

გ. ნეზიერიძე

ენათმეცნიერების შესავალი

გამომცემლობა „ნეკერი“
2003 წელი

წიგნში დაწვრილებითაა განხილული ენის რაობა და ფუნქციები, ენა და დიალექტი, ენის წარმოშობა, ენისა და საზოგადოების, ენისა და აზროვნების ურთიერთობა; აგრეთვე ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის, სემანტიკის საკითხები. ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გარდა, დიდი ადგილი აქვს დათმობილი თანამედროვე ენათმეცნიერების მეთოდების (დიტრიბუციული, უშუალო შემადგენელთა, კომპონენტური ანალიზის) განხილვას. ავტორი გვერდს არ უკლის არც ტიპოლოგიურ კვლევას.

წიგნი წარმოადგენს უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული სასწავლებლების ფაკულტეტების სტუდენტთა სახელმძღვანელოს. იგი გარკვეულ დახმარებას გაუწევს ყველას, ვინც კი დაინტერესებულია ზოგადი ენათმეცნიერების საკითხებით.

რედაქტორი პროფ. ალ. ლლონტი

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი: პროფ. ზ. სარჯველაძე და დოც. ო. ქაჯაია

ISBN 99928-58-78-8

წინასიტყვაობა

პროფ. გ. ნებიერიძის „ენათმეცნიერების შესავალი“ შედგენილია მოქმედი პროგრამის შესაბამისად და გათვალისწინებულია პირველი კურსის ფილოლოგ სტუდენტთა სახელმძღვანელოდ. ეს საგანი წინ უსწრებს ლინგვისტურ დისციპლინათა სწავლებას. მან სტუდენტი უნდა შეიყვანოს ენათმეცნიერების, როგორც თავისთავადი დისციპლინის, სამყაროში, გააცნოს ძირითადი ცნებები, მისცეს სწორი წარმოდგენა ენის რაობის, წარმოშობა-განვითარებისა და ფუნქციების, ფონეტიკური პროცესებისა და ფონოლოგიური სტრუქტურის, ენის ლექსიკური შედგენილობის, ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის შესახებ, მიაწოდოს აუცილებელი ცნობები გრამატიკისა და მისი დარგების, დამწერლობის წარმოშობისა და ისტორიის, თანამედროვე ენათმეცნიერების ტრადიციული და გამოყენებითი დარგების, სტრუქტურული ენათმეცნიერების ახალი მიმართულებების, ენათა კლასიფიკაციისა და კვლევის მეთოდების შესახებ. ჩამოთვლილი საპროგრამო და სხვა საკითხების გათვალისწინება საჭიროა იმ მიზნით, რომ სტუდენტი სათანადოდ მოემზადოს ენათმეცნიერული დისციპლინების შესასწავლად, მიეცეს მკვიდრი საყრდენი, რომ ზოგადად შეითვისოს ენის არსი, კონკრეტულად ქართული ენა, მისი ისტორია, ლექსიკა, აგებულება, სტილისტიკა, დიალექტოლოგია, რუსული და უცხოური ენები. ამდენად, „ენათმეცნიერების შესავლის“ კურსის პრაგმატული დანიშნულება იმთავითვე ცხადია. ყოველივე ამით, უწინარეს ყოვლისა, გაპირობებულია და ერთგვარად შეზღუდულიც საგნის მოცულობა.

ჩვენში არის „ენათმეცნიერების შესავლის“ სახელმძღვანელოს შედგენისა და გამოცემის საკმარისად კარგი ტრადიცია, რისი დასაბამიც თბილისის უნივერსიტეტის დაარსებას უკავშირდება. უნივერსიტეტში ეს საგანი პირველად პროფ. გ. ახვლედიანმა წაიკითხა და მისი ლექციების კურსი, სტუდენტთა ჩანაწერების მიხედვით, კიდევაც გამოიცა (გ. ახვლედიანი, ენათმეცნიერების შესავალი, ნაკვ. I, II, III, თბ., 1919), ეს იყო პირველი სახელმძღვანელო, ენათმეცნიერების ანბანი ქართულ ენაზე. მოგვიანებით საგნის ახალი კურსი შექმნა პროფ. ა. ჩიქობავამ: ზოგადი ენათმეცნიერება, პროპედევტიკული ნაწილი, თბ., 1935 წ., მეორე შევსებული გამოც., 1939 წ., მესამე გაუქვობ. გამოც., 1946 წ.

უკანასკნელი გადაშეშვებული გამოცემა 1952 წ. დაიბეჭდა და ამის შემდეგ წიგნი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. დღეს სტუდენტებს ამ მნიშვნელოვან საგანში ფაქტობრივად სახელმძღვანელო არა აქვთ. სამი ავტორის (ა. ჩიქობავას, ლ. ბულახოვსკისა და ვ. ვინოგრადოვის) დათქმული კურსი მთლიანად არ გამოცემულა. დაიბეჭდა მხოლოდ ა. ჩიქობავასა და (1952 წ.) და ლ. ბულახოვსკის (ქართ. გამოც., 1955წ.) ნაწილები, ვ. ვინოგრადოვის ნაწილი კი არ გამოცემულა.

რუსულ ენაზე გვაქვს „ენათმეცნიერების შესავლის“ რამდენიმე მარჯვე კურსი, რომელთა შორის უნდა ავლნიშნო რ. შორისა და ნ. ჩემოდანოვის, ა. რეფორმაციკის, დ. უშაკოვის, რ. ბუდაგოვის, ბ. გოლოვინის, ი. სტეპანოვის, ვ. კოდუხოვისა და სხვ. სახელმძღვანელოები და თანასახელმძღვანელოები, მაგრამ ისინი ჩვენი სტუდენტებისათვის ძნელად ხელმისაწვდომია. 1972 წ. ცის მანანასავით მოგვევლინა ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილი „ენათმეცნიერების შესავლის საკითხები“, რომელიც გ. ახვლედიანის რედაქციით გამოსცა თბილისის უნივერსიტეტმა. დასაანაია, რომ წიგნში გაშუქებულია კურსის მხოლოდ ძირითადი და არა პროგრამით გათვალისწინებული ყველა საკითხი. რედაქტორის წინასიტყვაობაში, სხვათა შორის, ნათქვამია: ამის საფუძველზე დაიწერება და გამოიცემა ახლო მომავალში სრული ძირითადი სახელმძღვანელო, ურომლისობაც კარგა ხანია მწვავედ იგრძნობა ყველგან, სადაც კი ისწავლება ეს საგანო. კოლექტიური შრომის ერთ-ერთმა თანაავტორმა, პროფ. გ. ნებიერიძემ, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრისა და პირადად ჩემი თხოვნით, იტვირთა სწორედ ძირითადი სახელმძღვანელოს შედგენა, გაითვალისწინა ქართულ, რუსულ, უცხოურ ენებზე არსებული სახელმძღვანელოები და უახლესი სპეციალური ლიტერატურა და შეადგინა „ენათმეცნიერების შესავლის“ „ნამდვილად თანამედროვე, ორიგინალური სახელმძღვანელო. წიგნის დედანი განიხილა ხსენებულმა კათედრამ და მოიწონა გამოსაცემად.

წიგნის უდავო ღირსება ის არის, რომ ძირითადი ენათმეცნიერული ცნებები და საპროგრამო საკითხები მასში უმთავრესად გაშუქებულია ქართული ენის მასალაზე, რაც ჩვენს სტუდენტებს საშუალებას მისცემს, უფრო ახლოს გაეცნონ ენათმეცნიერების ზოგად და კერძო საკითხებს და მიღებული ცოდნა გამოიყენონ ლინგვისტური დისციპლინების (დედაენა, რუსული და უცხოური ენები, ზოგადი ენათმეცნიერება) შესასწავლად. ავტორმა დიდი შრომა გასწია, რესპუბლიკის პედაგოგიური

ინსტიტუტების სტუდენტთათვის (და არა მარტო მათთვის) შექმნა ოპტიმალური სახელმძღვანელო, რომელიც მდიდარია ინფორმაციითაც, ნაირფეროვანი ფაქტობრივი მასალითაც, სტრუქტურითა და სადა ენითაც ხელმისაწვდომი და ადვილგასაგებია უშუალო მომხმარებელთათვის.

ავტორიცა და რედაქტორიც კარგად გრძნობენ, რომ ყველა საპროგრამო საკითხი აქ ერთნაირი სიღრმითა და სისავსით არ არის გაშუქებული, ზოგი პრობლემაც მკრთალადაა ნაჩვენები, მაგრამ იმედოვნებენ, რომ სახელმძღვანელოს მომდევნო გამოცემებში შენიშნული ნაკლი გაბო-წორდება, წიგნი დაიხვეწება და უფრო სრულყოფილ სახეს მიიღებს. ავტორი და რედაქტორი საქმიან შენიშვნებს პატივისცემით მიიღებენ და გამოიყენებენ. ამ სახელმძღვანელოს გამოცემით, ვფიქრობ, საშური საქმე გაკეთდა: სტუდენტებმა ძვირფასი საჩუქარი მიიღეს.

ა ლ . ლ ლ ო ნ ტ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ენათმეცნიერება ერთ-ერთი უძველესი მეცნიერებაა. იგი წარმოიშვა ჯერ კიდევ ძველ ინდოეთსა და ძველ საბერძნეთში. ყოველ შემთხვევაში ჩვენს წელთაღრიცხვაში IV ს-ში ინდოეთში უკვე არსებობდა გრამატიკა, რომლის ავტორი იყო პანინი. ამ გრამატიკამ ჩვენამდეც კი მოაღწია. ცოტა მოგვიანებით გრამატიკა წარმოიშვა ძველ საბერძნეთშიც. აქ იგი განიხილებოდა როგორც ფილოსოფიის ერთ-ერთი დარგი და ამიტომაც ბერძნული გრამატიკული აზროვნება ფილოსოფიის დიდ გავლენას განიცდიდა.

ენათმეცნიერება ვითარდებოდა შუა საუკუნეებშიც, მაგრამ მან თავი ვერ დააღწია ბერძნული და რომაული გრამატიკების გავლენას. რადგანაც რომაული გრამატიკული აზროვნება ბერძნული გრამატიკის გავლენას განიცდიდა, ამიტომ გასაგებია ის როლი, რაც ბერძნულ გრამატიკას მიუძღვის ევროპაში ენათმეცნიერების განვითარებაში.

მაგრამ არც ინდური, არც ბერძნული და არც რომაული გრამატიკა არ ყოფილა ისტორიული. მათთვის უცხო იყო ისტორიული თვალსაზრისი და ამიტომ ამ გრამატიკების ობიექტს წარმოადგენდა სანსკრიტის, ბერძნულის ან ლათინურის ერთი მოცემული მდგომარეობა. ისტორიული თვალსაზრისი ენათმეცნიერებაში გაჩნდა მხოლოდ მე-19 ს-ში, მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა გერმანელი ენათმეცნიერის ფრანც ბოპის ნაშრომი „უღლების შესახებ სანსკრიტში ბერძნულ, ლათინურ, სპარსულ და გერმანულ ენებთან შედარებით“ (1916 წ.) ბოპის ამ ნაშრომმა საფუძველი დაუდო ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების და საერთოდ ენათმეცნიერების თეორიული საფუძვლების დამუშავება წილად ხედა მეორე დიდ გერმანულ ენათმეცნიერსა და ფილოსოფოსს ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტს (1767-1835.)

მე-20 საუკუნემ არსებითი ცვლილებები შეიტანა ენათმეცნიერების თეორიული საფუძვლების გაგებაში. ჩვენი საუკუნის ლინგვისტიკის სათავეებთან დგას დიდი ფრანგი ენათმეცნიერი ფერდინანდ დე სოსიური (1857-1913), რომლის მოძღვრებამაც უდიდესი გავლენა მოახდინა ენათმეცნიერების შემდგომ განვითარებაზე როგორც ევროპაში, ისე ამერიკაშიც. სოსიურის იდეები დაედო საფუძვლად სტრუქტურულ ენათმეცნიერებას, რომლის შექმნაზეც მუშაობდა სამი სხვადასხვა სკოლა: პრაღის, რომელიც ოციან წლებში წარმოიშვა და მეორე მსოფლიო ომამდე მოქმედებდა, კოპენჰაგენის, რომლის ისტორია ოცდაათიანი

წლებიდან იწყება და სამოციანი წლებით მთავრდება და იელის (აშშ), რომელიც ასევე ოცდაათიან წლებში წარმოიშვა და სამოციან წლებამდე მოქმედებდა. სტრუქტურული ლინგვისტიკის შემდგომი განვითარებაა ე. წ. გენერატიული ანუ წარმოშობის ლინგვისტიკა, რომელიც სამოციან წლებში წარმოიშვა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ასეთია მოკლედ ენათმეცნიერების განვითარების ისტორია. თანამედროვე ენათმეცნიერება, რა თქმა უნდა, არ არის იგივე, რაც მე-19 საუკუნის ლინგვისტიკა. გარდა ამისა განსხვავებაა, და თანაც არსებითი, ენათმეცნიერების მიმდინარეობებს შორის, რაც მეტად ართულებს ენათმეცნიერების შესავლის კურსის შექმნის საქმეს. ყველა ამ მიმდინარეობის ერთ კურსში გაერთიანება თითქმის იმავეს ნიშნავს, რომ ერთდროულად რამდენიმე სხვადასხვა ხმაზე იმღერო ან რამდენიმე სხვადასხვა ენაზე ილაპარაკო. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ვიტყვით, რომ ღღეისოვის ცნობილი სხვადასხვა ლინგვისტური მიმდინარეობანი ერთმანეთისაგან ჩინური კედლით იყოს გათიშული. მიუხედავად დიდი განსხვავებისა, მაინც შესაძლებელი ხდება ე. წ. ოქროს შუალედის მოძებნა და ერთი ლინგვისტური თეორიის შექმნა, რომელშიც გაერთიანებული იქნება სხვადასხვა მიმდინარეობანი ლინგვისტიკაში. წინამძღვარე სახელმძღვანელო სწორედ ამგვარ კომპრომისულ თვალსაზრისს ემყარება. მასში, რა თქმა უნდა, გამარტივებული სახით წარმოდგენილია თითქმის მთელი თანამედროვე ენათმეცნიერება. ყოველ შემთხვევაში მიზანი ამ სახელმძღვანელოს ავტორისა ასეთია, მაგრამ თუ როგორ შევძელით მიზნის მიღწევა, ამის გადაწყვეტა პირუთენელი მკითხველისათვის მიგვიჩნია. ჩვენ სიამოვნებით გაუიზიარებთ ყველა შენიშვნას, რომლებიც კი სახელმძღვანელოს გასაუმჯობესებლად გამოგვადგება.

ა ე ტ ო რ ი

§ 1. რა არის ენა?

რა არის ენა? რა ფუნქციებს ასრულებს იგი? ეს საკითხები ენათმეცნიერების ცენტრალური საკითხებია.

ენა ურთულესი მოვლენაა. იგი იმდენად რთულია, რომ ჭირს კიდევ გაველოთ ზღვარი ენასა და არაენას შორის, ე.ი. მკვეთრად შემოვსაზღვროთ ენათმეცნიერების ობიექტი. ასეთი საზღვრების დადგენა მოითხოვს ენის ძირითადი ფუნქციების გარკვევას, ენის გამოიჯენას არაენობრივი მოვლენებისაგან.

ენის ძირითად ფუნქციად განიხილება ექსპრესიული ფუნქცია. ლათინური სიტყვა *expressio* ნიშნავს „გამოხატვა“. ამ შემთხვევაში იგულისხმება ის, რომ ადამიანი ბგერითი ენის საშუალებით გამოხატავს თავის აზრებს. ყრუ-მუნჯი ამ უნარს მოკლებულია, მაგრამ იგი სხვა საშუალებას იყენებს თავისი აზრების გამოსახატავად.

აზრების გამოხატვა შესაძლებელია არა მხოლოდ ენის საშუალებით, თუ, რა თქმა უნდა, ენის ცნებაში მოვაქცევთ მხოლოდ ბგერით ენას. იგივე ყრუ-მუნჯი, რომელიც წელან ვახსენეთ, აზრების გამოსახატავად ფესტიკულაციას (კინეტიკური ენა) იყენებს. ნორმალური ადამიანიც ზოგჯერ მიმართავს ფესტიკულაციას, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში კონკურენციასაც კი უწევს ბგერით ენას. თანამედროვე ადამიანი წარმოუდგენელია დამწერლობის გარეშე. დამწერლობა კი სხვა არაფერია, თუ არა იგივე ენა, უფრო ზუსტად გრაფიკული ენა, რომელიც აუცილებელია გარკვეულ პირობებში. *Verba volant – scripta manent* „სიტყვები ფრენენ დამწერლობა კიდრება“ – ამბობდნენ ძველი რომაელები და ამ სიტყვებით აჩვენებდნენ ძირითად განსხვავებას ბგერით და გრაფიკულ ენებს შორის. ბგერებით გამოხატულ სიტყვებს, გარკვეული აზრით, ისტორია არა აქვთ. ამიტომ აუცილებელი ხდება ბგერების გამოხატვა ასოებით, რათა ამ გზით შესაძლებელი გახდეს ერთი თაობის მიერ დაგროვილი ცოდნის გადაცემა სხვა თაობებისათვის. ჩვენ არაფერი არ გვეცოდინებოდა, ვთქვათ, ანტიკური ეპოქის შესახებ, რომ ძველ ბერძნებსა და რომაელებს დამწერლობა არ ჰქონოდათ. ამიტომ გარკვეულ პირობებში ბგერითი ენის გამოყენება შეუძლებელი ხდება, რაც აპირობებს კიდევ მის შეცვლას გრაფიკული ენით.

როგორც ვხედავთ, აზრის გამოხატვის (ექსპრესიული) ფუნქცია აქვს არა მარტო ბგერით, არამედ გრაფიკულ, კინეტიკურ და სხვა სახის ენებსაც. ამიტომ ამ თვალსაზრისით ბგერითი ენა არ განსხვავდება

სხვა ენებისაგან.

ბევრით ენას აქვს მეორე ფუნქციაც. ესაა საკომუნიკაციო ფუნქცია (ლათ. communicatio „ვატყობინებ“). ენის საშუალებით წდება აზრების გაზიარება ინდივიდებს შორის ანუ ინფორმაციის გადაცემა ერთი ინდივიდის მიერ მეორესათვის. ამ ფუნქციის მიხედვით ენა სოციალური (საზოგადოებრივი) მოვლენაა. შრომის განაწილება საზოგადოებაში შესაძლებელია, ძირითადად, მხოლოდ იმდენად, რამდენადც საზოგადოება იყენებს ენას. ბიბლია მოგვითხრობს, რომ ძველ ბაბილონში ხალხმა გადაწყვიტა აეშენებინა გოდოლი და ღმერთამდე მიეღწია. ღმერთმა ამ განზრახვის ჩასაფუშავად ის გააკეთა, რომ გოდოლის მშენებლებს ენა აურია. მშენებლებმაც ერთმანეთს ველარ გაუგეს და გოდოლის შენების საქმე აიშალა. ამ ლეგენდაში სიმართლე ისაა, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობების (ამ შემთხვევაში შრომა) დასამყარებლად საჭიროა ენა. ამიტომ უნო საზოგადოება წარმოდგენილია. ენა ქმნის საზოგადოებას, აკავშირებს რა ცალკეულ ინდივიდებს ერთმანეთთან, რის შედეგადაც წარმოიქმნება კიდევ ერთი ენობრივი კოლექტივი.

მაგრამ საკომუნიკაციო ფუნქცია არა აქვს მარტო ბევრით ენას. ამავე ფუნქციას ასრულებს დამწერლობაც (გრაფიკული ენა), ფესტიკულაცია და სხვა. ასე, მაგალითად, შორ მანძილზე რაიმე ინფორმაციის გადაცემის დროს ჩვენ ვიყენებთ გრაფიკულ ენას. ფესტიკულაციის (კინეტიკური) ენა კი ერთადერთია ყრუ-მუნჯებში. სწორედ ამ ენის საშუალებით ამყარებენ ყრუ-მუნჯები ერთმანეთთან კავშირს.

ამრიგად, გამოდის, რომ ბევრით ენა არ განსხვავდება სხვა ენებისაგან (გრაფიკული, კინეტიკური და სხვა ენები) არც ექსპრესიული და არც საკომუნიკაციო ფუნქციის მიხედვით. მაშასადამე, რაღა არის ბევრით ენის სპეციფიკა სხვა ენებთან მიმართებაში? ნუთუ ეს სპეციფიკა მხოლოდ ისაა, რომ ბევრით ენა იყენებს ბგერებს აზრების გამოსახატავად, ხოლო გრაფიკული და კინეტიკური ენები – ასოს, ფესტებსა და მიმიკებს სათანადოდ?

მაგრამ განსხვავება ბევრით და არაბევრით ენებს შორის უფრო ღრმაა და იგი არ დაიყვანება მხოლოდ გარეგნულ გამოხატულებაზე. ეს განსხვავება რომ სათანადოდ წარმოვანინოთ, საჭიროა განვიხილოთ ენის მესამე ფუნქციაც, რომელსაც სხვადასხვა სახელს უწოდებენ, მაგრამ ჩვენ მას საარტიკულაციო ფუნქციას დავარქმევთ (ლათ. artikulatio „ვანაწევრებ“). ენის ამ ფუნქციას ჩვენ განვიხილავთ თეორიული ენათმეცნიერების ფუძემდებლების ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტისა და ფერდინანდ დე სოსიურის მოძღვრებათა მიხედვით. გათვალისწინებული იქნება ასევე დიდი საბჭოთა ფსიქოლოგის ლ. ვიგოტსკის ნაშრომი

„Мышление и речь“ და გ. რამიშვილის „ენის ენერგეტული თეორიის საკითხები“.

ადამიანი (სუბიექტი) ამყარებს მიმართებას საგანთა სამყაროსთან, ობიექტურ სინამდვილესთან, აღიქვამს რა საგანთა სამყაროს. საგანი შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას, რომელიც მოქმედებს შეგრძნებათა ორგანოებზე (თვალი, ყური, კანის რეცეპტორები და სხვა). აღქმის პროცესში საგნის დამახასიათებელი ფიზიკური ინფორმაცია (ზომა, წონა, ფერი, ფორმა, სითბო, სიცივე, სინათლე და სხვა) გარდაიქმნება ნერვულ იმპულსებად, ე. ი. ფიზიოლოგიურ ინფორმაციად. ფიზიოლოგიური ინფორმაცია აღწევს ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, სადაც იგი (ფიზიოლოგიური ინფორმაცია) გარდაიქმნება ფსიქიკურ ინფორმაციად. ამიტომ საგნის აღქმის შედეგად ჩვენს ცნობიერებაში ჩნდება მისი ანაბეჭდი წარმოდგენის ანუ საგნის ხატის სახით. ასეთი ხატი შესაძლებელია წარმოსახვითიც კი იყოს, რომელსაც ობიექტურ სინამდვილეში, შესაძლებელია არაფერი არ შეესატყვისებოდეს (ბაყბაყდევია, ცხრათაყიანი ღვევი, კენტავრი, ქაჯი, ნადირობის ქალღმერთი დალი და სხვა.), მაგრამ ძირითადად წარმოდგენები საგნების ან მოვლენების ფსიქიკური ანაბეჭდებია. საგანთა სინამდვილე მრავალგვარია და შესაბამისად მრავალგვარია ადამიანის ცნობიერებაში არსებული წარმოდგენებიც, რომლებიც ქმნიან მიმართებათა რთულ სისიტემას. ამ სისტემის კვლევა ფსიქოლოგიის საქმეა.

ამრიგად, წარმოდგენა არ არის მატერიალური ფენომენი, რომლის აღქმაც შესაძლებელი იყოს ადამიანის განკარგულებაში მყოფი ხუთი გრძნობის ორგანოს საშუალებით (მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემო, შეხება). ამგვარ მოვლენებს, რომლებსაც ადამიანი ვერ აღიქვამს თავისი გრძნობის ორგანოების საშუალებით, ეწოდებათ მენტალური მოვლენები (ლათ. mens, ნათ. mentis „გონი, გონება“). ასე, მაგალითად, სიტყვა „სწავლა“ მენტალურ მოვლენას გამოხატავს. ამ მოვლენას ვერც დავინახავთ (*გუშინ სწავლა ვნახე*), ვერც გავზომავთ (*ღღეს ხუთი მეტრი ვისწავლე*), ვერც ავწონით (*ღღეს ხუთი კილო ვისწავლე*), ვერც ფერს მივაწერთ (*ღღეს წითლად ვისწავლე*), ვერც სუნს (*სწავლას სასიამოვნო სუნი ასდის*), ვერც შევხებით (*სწავლა გავლახე) და ა. შ. ერთი სიტყვით, მენტალურ მოვლენებს ფიზიკური მახასიათებლები არა აქვთ და ამიტომ მათი აღქმა ჩვენი ხუთი გრძნობის ორგანოს საშუალებით შეუძლებელია.

გარდა ამისა, წარმოდგენა საგნის მენტალური სურათია, ხატია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, წარმოდგენა ასე თუ ისე ყოველთვის უნდა

ჰგავდეს იმ საგანს, რომლის წარმოდგენაცაა იგი. თუ ქუჩაში დიდი ხნის უნახავი ნაცნობი შეგვხვდება, შესაძლებელია იგი ვერც კი ვიცნოთ, რადგან ჩვენს მეხსიერებაში არსებული წარმოდგენა ამ კაცისა არ დაემთხვევა იმას, რასაც ახლა ვხედავთ. წარმოდგენის მსგავსებას საგანთან ვუწოდოთ იკონურობის (ბერძ. eikon „სახე, გამოსახულება“) პრინციპი. წარმოდგენა იკონურია, ე. ი. იგი ასე თუ ისე ჰგავს იმ საგანს, რომელსაც აღნიშნავს. როგორც ამას ცოტა ქვემოთ დავინახავთ, ამ თვალსაზრისით წარმოდგენა არსებითად განსხვავდება ცნებისაგან, რომელიც იკონურობის პრინციპს არ ექვემდებარება.

რამდენადაც წარმოდგენა საგნის მენტალური სურათია, იმდენად იგი ყოველთვის კონკრეტულია. შესაძლებელია წარმოვიდგინოთ მხოლოდ კონკრეტული საგნები (კონკრეტული კაცი ან ქალი, კონკრეტული მაგიდა ან ქუჩა), მაგრამ არა საგანი საერთოდ (კაცი ან ქალი საერთოდ, მაგიდა ან ქუჩა საერთოდ და ა. შ.). მართალია, ფსიქოლოგები ზოგჯერ ლაპარაკობენ ზოგადი წარმოდგენების შესახებ, მაგრამ როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ზოგადი წარმოდგენები არ არსებობს. ზოგადი წარმოდგენა სხვა არაფერია, თუ არა ცნება, რომელიც ლინგვისტური (ენობრივი) ერთეულია და არა ფსიქოლოგიური.

აღამიანს შეუძლია აზროვნოს წარმოდგენებით, ე.ი. წარმოიდგინოს ესა თუ ის საგნები ან მოვლენები. ამგვარ აზროვნებას ეწოდება ვიზუალური (ლათ. visualis – ხედვითი). აზროვნების ეს ტიპი განსაკუთრებით განვითარებული აქვთ მხატვრებს, მოჭადრაკეებს, მხედართმთავრებს. მართალია, ნაპოლეონი მაინცდამაინც მაღალ შეფასებას არ აძლევდა ისეთ მხედართმთავრებს, რომლებსაც მხოლოდ ვიზუალური აზროვნება აქვთ განვითარებული, მაგრამ ასეთი აზროვნება მხედართმთავრებისათვის, მოჭადრაკეებისა და მხატვრებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მხედართმთავარმა ვიზუალურად უნდა წარმოიდგინოს თავისი და მოწინააღმდეგის ჯარების განლაგება და საჭიროების შემთხვევაში შეძლოს მათი გადაადგილება. ასევე უნდა იქცეოდეს მოჭადრაკეც. მან ვიზუალურად უნდა გამოთვალოს სვლები და წარმოიდგინოს, თუ რა სიტუაცია შეიქმნება დაფაზე ამა თუ იმ სვლის გაკეთების შემდეგ. ნათქვამი არ ნიშნავს იმას, რომ ვიზუალური აზროვნება დამახასიათებელია მხოლოდ მხედართმთავრების, მოჭადრაკეებისა და მხატვრებისათვის. ამგვარი აზროვნება ყველა აღამიანისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ აღამიანთა გარკვეული კატეგორიებისათვის იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

როდესაც ვლაპარაკობთ ვიზუალურ აზროვნებაზე, ლინგვისტური თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ასეთი

აზროვნება დამოკიდებული არ არის ენაზე. იგი, ასე ვთქვათ, უნო
აზროვნებაა, რომელიც წინ უსწრებს ენას დროში და ლოგიკურად.
მართალია ზოგჯერ გამოირიცხავენ უნო აზროვნების არსებობას, მაგრამ
ეს თვალსაზრისი არავითარ შემთხვევაში არაა მისაღები. უნო აზროვნების
არსებობა ფაქტია, რადგან ადამიანს თავისუფლად შეუძლია წარმოიდ-
გინოს ისეთი მოვლენები, რომლებიც მას ადრე უნახავს. უფრო მეტიც,
ადამიანს აქვს უნარი თავისი ფანტაზიით წარმოსახოს ისეთი მოვლენები,
რომლებიც მას არასოდეს არ უნახავს. ყველაფერი ეს შესალებელია
იმიტომ, რომ ადამიანი აზროვნებს წარმოდგენებით, ე.ი. მას აქვს
ვიზუალური აზროვნება, რომელიც არ საჭიროებს ენის ჩარევას.

მაგრამ ადამიანს აქვს სხვაგვარი აზროვნებაც, რომელსაც კონცეპტუ-
ალურ (ლათ. conceptus – ცნება) ანუ ცნებით აზროვნებას უწოდებენ.
აზროვნების ეს ტიპი მთლიანად განპირობებულია ენით, წარმოდგენს
რა ენის ფუნქციას. კონცეპტუალური აზროვნება ხორციელდება რიმედიუმე
კონკრეტულ ენაზე. მაგალითად, ქართველი ვერ იაზროვნებს ინდიელთა
რომელიმე ენაზე ისევე, როგოც ინდიელი ვერ იაზროვნებს ქართულ
ენაზე. რა თქმა უნდა, შესაძლებელია ადამიანმა იაზროვნოს არა
მშობლიურ ენაზეც (ვთქვათ, ქართველმა რუსულ ან ინგლისურ ენებზე,
თუ ეს ენები მან კარგად იცის), მაგრამ, ძირითადად, ადამიანი აზროვნებს
მხოლოდ მშობლიურ ენაზე.

ენისა და აზროვნებებს ასეთი მჭიდრო კავშირი დიდი ხნის წინ
იქნა შემჩნეული. ამ საკითხზე მსჯელობდნენ ჯერ კიდევ ანტიკურ
ხანაში. კ. მარქსი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ „ენა
აზროვნების უშუალო სინამდვილეა“, რაც ნიშნავს მხოლოდ იმას,
რომ ენა უშუალო სინამდვილეა კონცეპტუალური აზროვნებისა, რადგანაც
კონცეპტუალური ანუ ვერბალური (სიტყვიერი) აზროვნება არსებობს
იმდენად, რამდენადაც არსებობს ენა და ენა არსებობს იმდენად,
რამდენადაც კონცეპტუალური აზროვნება არსებობს.

თუ ენასა და კონცეპტუალურ აზროვნებას შორის ისეთი მჭიდრო
კავშირია, რომ ისინი უერთმანეთოდ არ არსებობენ, მაშინ სიტყვა
გამოხატავს არა წარმოდგენას, არამედ ცნებას, რომელიც გარკვეული
თვალსაზრისით წარმოდგენას ჰგავს, მაგრამ მისგან არსებითადაც
განსხვავდება. ცნებაც, ისევე როგორც წარმოდგენა, მენტალური მოვლენაა.
და იმიტომ მისი აღქმა გრძნობის ორგანოების საშუალებით შეუძლებელია.
მაგრამ წარმოდგენისაგან განსხვავებით ცნება აბსტრაქტულია და არა
კონკრეტული და, რაც მთავარია, არ არის იკონური, ე.ი. არ არის
საგნის ან მოვლენის ხატი, მისი ფსიქიკური ანაბეჭდი, სურათი.

გამოხატავს რა საგანთა კლასს (და არა ცალკეულ საგნებს და მოვლენებს), ცნება არც შეიძლება იკონური იყოს. საგანთა კლასი (ქალი საერთოდ, ქუჩა საერთოდ, ქათამი საერთოდ, მაგიდა საერთოდ და ა. შ.) შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იდეის სახით. ასე მაგალითად, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, ვთქვათ, ქალი საერთოდ. მართლაც, როგორი უნდა იყოს ქალი საერთოდ, ან უბრალოდ ქალი? შეუძლებელია დაუვადგინოთ, თუ რა სიმაღლე ან ფერი უნა ჰქონდეს მას, რამდენი წლის უნდა იყოს იგი, როგორი უნდა იყოს ის – ლამაზი თუ მაზინჯი, რა უნდა ეცვას და სხვა. მიუხედავად ამისა, „ქალი საერთოდ“ ან „ბავშვი საერთოდ“ და ა. შ. მაინც არსებობს, მაგარამ ეს არსებობა არაა ფიზიკური. ცნება არსებობს მხოლოდ როგორც მენტალური მოვლენა. ერთი სიტყვით, ცნება და წარმოდგენა არსებობს არა ონტოლოგიურად (ბერძ. *on*, ნათ. *ontos* „სინამდვილე“), არამედ მხოლოდ გნოსეოლოგიურად (ბერძ. *gnosis* „ცოდნა“).

ამრიგად, წარმოდგენასა და ცნებას შორის მსგავსებაცაა და განსხვავებაც. მსგავსება ისაა, რომ ორივე მათგანი მენტალური მოვლენაა, ისინი მხოლოდ გნოსეოლოგიურად არსებობენ და არა ონტოლოგიურად. მაგრამ წარმოდგენასა და ცნებას შორის განსხვავებაც გვაქვს და ამ განსხვავებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ წარმოდგენა იკონურია, საგანს ან მოვლენას ჰგავს, ხოლო ცნება არ არის იკონური, იგი აზრია საგნის ან მოვლენის შესახებ. რადგანაც წარმოდგენა იკონურია, ამიტომ იგი ყოველთვის კონკრეტულია, ხოლო ცნება, პირიქით, ყოველთვის აბსტრაქტულია. მოიცავს რა გარკვეულ საგანთა მთელ კლასს (მაგიდა საერთოდ, ბავშვი საერთოდ, ქუჩა საერთოდ და ა. შ.), ცნება არ შეიძლება იყოს აბსტრაქტული; მისგან განსხვავებით, წარმოდგენა მოიცავს მხოლოდ კონკრეტულ საგანს ან მოვლენას და, ამდენად, იგი (წარმოდგენა) შეუძლებელია იყოს აბსტრაქტული. სიტყვა გამოხატავს ცნებას და არა წარმოდგენას. საქმე ეხება არა მარტო საზოგადო სახელებს, როგორიცაა ხე, ბავშვი, მაგიდა, ფანჯარა, რეეული, ღორი, ქუჩა, მდინარე და ა. შ., არამედ სიტყვებს საერთოდ და მათ შორის ცალკეულ საგნების აღმნიშვნელ სიტყვებსა და საკუთარ სახელებსაც კი. ასე, მაგალითად, სიტყვა „მზე“ ერთეულ საგანს აღნიშნავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ცნების გამოხატველია და არა წარმოდგენისა. სხვაგვარად, „მზე“ სიტყვით გამოხატული მნიშვნელობა აზრია საგნის შესახებ და არა წარმოდგენა და ეს აზრი მდგომარეობს იმაში, რომ მოცემული სიტყვა აღნიშნავს მნათობს, რომელიც ყოველდღე ამოდის და ჩადის

და ათობის დედამიწას. უფრო მეტიც, ცნებას გამოხატავენ არა მარტო საზოგადო, არამედ საკუთარი სახელებიც. ქ. მარქსის ცნობილი გამოთქმა იმის შესახებ, რომ „რაიმე საგნის სახელწოდებას არაერთი კავშირი არა აქვს მის ბუნებასთან. მე არაფერი ვიცი მოცემულ ადამიანზე, თუ მხოლოდ ის ვიცი, რომ მას იაკობი ჰქვია“, არ უნდა გავიგოთ სწორხაზოვნად. საკუთარი სახელი „იაკობი“ ენობრივი ფაქტია და ამიტომ მან შეიძლება მოგვაწოდოს გარკვეული ინდივიდის შესახებ მხოლოდ ლინგვისტური ხასიათის ცნობები: რომ იაკობი არის სულიერი, ადამიანური არსება, რომ იგი არის მამრობითი სქესის. საკუთარმა სახელმა ასევე შეიძლება მოგვაწოდოს გარკვეული ინფორმაცია ეროვნებისა და რელიგიური აღმსარებლობის შესახებ. მაგ., საკუთარი სახელი „იბრაჰიმი“ მაჰმადიანურ რელიგიაზე მიგვითითებს, ხოლო ქრისტიანე – ქრისტიანულ რელიგიაზე. საკუთარი სახელი – „კახა“ ქართულ ეროვნებაზე მიგვანიშნებს, ხოლო „ჟანი“ – ფრანგულ ეროვნებაზე. საკუთარი სახელი, მართალია, ვერაფერს გვეტყვის ინდივიდის ქონებრივ ან სოციალურ მდგომარეობაზე, მის ფიზიკურ ან გონებრივ შესაძლებლობებზე, მაგრამ ასეთი რამ საკუთარ სახელს არც მოეთხოვება. სხვა მხრივ, საკუთარი სახელისთვის დამახასიათებელია ყველა ის ნიშანი, რაც ამ კლასის საზოგადო სახელს ახასიათებს. მაგრამ საზოგადო სახელისგან განსხვავებით მას ახასიათებს ისეთი ნიშნებიც, რომლებიც სათანადო საზოგადო სახელისათვის დამახასიათებელი არაა. ასე, მაგალითად, საკუთარი სახელი „გიორგი“ ცნობილი მოთხრობიდან „ოთარაანთ ქერივი“ დახასიათდება ყველა იმ ნიშნით, რაც დამახასიათებელია ახალგაზრდა მამრობითი სქესის ადამიანისათვის. ესაა: სულიერი არსება, ადამიანური არსება, მამრობითი სქესი, უმცროსი თაობა, პირდაპირი ნათესაური კავშირი (ოთარაანთ ქერივთან მიმართებაში, რადგანაც გიორგი ამ უკანასკნელის შვილია). გარდა ამისა, საკუთარი სახელისთვის დამახასიათებელი იქნება სპეციფიკური ნიშნებიც, რომლებიც სხვა მამრობითი სქესის ახალგაზრდისთვის არ იქნება საკვალდებულო. ეს ნიშნებია: ქაროველი, კახელი, სოფელ წაბლისურიდან, ქრისტიანი, ოთარაანთ ქერივის შვილი. ყველა ამ ნიშნის ერთობლიობა მოგვცემს საკუთარი სახელის, გიორგი ოთარაშვილის, მნიშვნელობას. როგორც ვხედავთ, საკუთარი სახელი უფრო რთული მნიშვნელობისაა, ვიდრე საზოგადო სახელი და ეს სირთულე განსაზღვრულია იმით, რომ საკუთარ სახელს ახასიათებს ის ნიშნებიც, რაც სათანადო საზოგადო სახელს ახასიათებს და ამას გარდა აქვს, მხოლოდ მისთვის (მოცემული საკუთარი სახელისთვის) დამახასიათებელი ნიშნებიც. ამდენად, თუ

საზოგადო სახელი ცნებას გამოხატავს, მაშინ საკუთარი სახელის ცნების გამომხატველია, რადგანაც, ვიმეორებთ, საკუთარ სახელს ის ნიშნებიც აქვს, რაც სათანადო საზოგადო სახელს. ნათქვამი ეზება არა მარტო ადამიანთა საკუთარ სახელებს, არამედ საერთოდ ყველა საკუთარ სახელს. ასე, მაგალითად, ცნობილი მდინარის სახელი „მტკვარი“ ხასიათდება ყველა იმ ნიშნით, რაც საერთოდ დამახასიათებელია მდინარისთვის, მაგრამ მას აქვს სპეციფიკური ნიშანიც, რომელიც ამ მდინარეს განასხვავებს, ვთქვათ, რიონისაგან.

როგორც ვხედავთ, საკუთარი სახელი ამავე დროს საზოგადო სახელიცაა და თუ საზოგადო სახელი ცნებას გამოხატავს, მაშინ ცნების გამომხატველია საკუთარი სახელიც. თუ მხედველობაში არ მივიღებთ შორისდებულებს, რომლებიც, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, სიტყვებს არ წარმოადგენენ, ნებისმიერი სიტყვა ცნების გამომხატველია.

ჩვენ აქამდე ცალ-ცალკე განვიხილავდით ვიზუალურ და კონცეპტუალურ აზროვნებას და მივედით იმ დასკვნამდე, რომ კონცეპტუალური აზროვნება აუცილებლობით გულისხმობს ბგერით ენას და, პირიქით, ბგერითი ენაც ასევე აუცილებლობით გულისხმობს კონცეპტუალურ აზროვნებას. ახლა კი უნდა განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან ვიზუალური და კონცეპტუალური აზროვნება და რა როლი აკისრია ენას მათ შორის მიმართების დამყარებაში.

ადამიანს აქვს მოთხოვნილება არა მარტო ჭამისა, სმისა, ძილისა, დასვენებისა, სუნოქვისა და სხვ., არამედ იმისიც, რომ კომუნიკაცია დაამყაროს სხვა ინდივიდებთან. იგი, როგორც სოციალური არსება, ჩარეულია საზოგადოებაში, გადასცემს სხვებს გარკვეულ ინფორმაციას და ლებულობს მათგან ახალ ინფორმაციას. მაგრამ ირკვევა პარადოქსული ფაქტი: ფსიქოლოგიის დონეზე ორი ინდივიდი ერთმანეთთან კომუნიკაციას ვერ ამყარებს. ვერ ამყარებს იმიტომ, რომ წარმოდგენა, როგორც ვთქვით, მენტალურია, ხოლო ადამიანს შეუძლია აღიქვას მხოლოდ მატერიალური მოვლენები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანს არა აქვს ისეთი გრძნობის ორგანო, რომელიც მას საშუალებას მისცემდა დაენახა ან მოესმინა, თუ რა წარმოდგენები და აზრები აქვს მეორე ინდივიდს ამა თუ იმ საგნისა ან მოვლენის შესახებ, ე.ი. ნორმალურად ადამიანი მოკლებულია ტელეპათიის (ბერძ. tele „შორს“, pathos „გრძნობა“) უნარს, რომელიც მას საშუალებას მისცემდა, ასე ვთქვათ, ჩაეხედა მეორე ინდივიდის ტვინში და გაეშიფრა მისი წარმოდგენები და აზრები. ფსიქოლოგიის დონეზე ინფორმაციის გაცვლა კი ტელეპათიის უნარს გულისხმობს, რომელიც, ვიმეორებთ, ნორმალურ ადამიანს არ გააჩნია. თუ ასეთი უნარი საეთოდ არსებობს, იგი დამახასიათებელი იქნება

მხოლოდ ერთეული ინდივიდებისათვის და არა ადამიანთა მოღვმისათვის საერთოდ, რომელიც ამ უნარს მოკლებულია.

ორ ინდივიდს შორის რომ კომუნიკაციის აქტი განხორციელდეს, საჭირო ხდება მენტალური მოვლენების (წარმოდგენების, ცნებების) მატერიალიზაცია, რაიმე ფიზიკური საშუალებით მათი გარეთ გამოტანა. წარმოდგენებისა და ცნებების მატერიალიზაციის პროცესში იჩენს სწორედ თავს ის განსხვავება, რაც ამ ორ ერთეულს შორის არსებობს. წარმოდგენის მატერიალიზაცია, რა თქმა უნდა, შესაძლებელია უშუალოდაც, პირდაპირ. წარმოდგენების ასეთი უშუალო მატერიალიზაცია ხდება, მაგალითად, მხატვრობაში. მხატვარი ფუნჯისა და ფერების საშუალებით ახდენს იმ წარმოდგენების მატერიალიზაციას, რომელიც მას აქვს ამა თუ იმ საგანსა ან მოვლენის შესახებ. დავით კაკაბაძის იმერული პეიზაჟები იმ წარმოდგენების მატერიალიზაციაა, რაც მხოლოდ დავით კაკაბაძეს შეიძლება ჰქონოდა იმერეთის შესახებ. სხვა მხატვარი იმერეთის პეიზაჟებს სხვაგვარად დაინახავს და სხვაგვარადაც დასაბუთებს.

მაგრამ წარმოდგენების მატერიალიზაცია ენაში ხდება არა ფუნჯისა და ფერების საშუალებით, არამედ ბგერით. ადამიანის ანატომიური სტრუქტურა ისეთია, რომ მენტალური მოვლენების მატერიალიზაციისათვის ამ სტრუქტურის მქონე არსება პირველ რიგში ბგერას უნდა იყენებდეს. მაგრამ ამ შემთხვევაში თავს იჩენს მეორე პარადოქსი, რაც განსაზღვრავს კიდევ კონცეპტუალური აზროვნების წარმოქმნას.

საქმე ისაა, რომ ბგერების საშუალებით წარმოდგენების უშუალო მატერიალიზაცია შეუძლებელია. წარმოდგენა, რაიგორც ვნახეთ, იკონურია და ამიტომ წარმოდგენების უშუალო მატერიალიზაციის დროს იკონურობის პრინციპი მკაცრად უნდა იყოს დაცული (ეს პრინციპი დაცულია მხატვრობაში).

ენაში მოქმედებს სხვა პრინციპები, ე.ი. იკონურობა ამ შემთხვევაში უარყოფილია. ამ პრინციპს უწოდებენ პირობითობის პრინციპს, რომელიც ენისათვის ფუნდამენტალურ კონსტიტუციურ პრინციპს წარმოადგენს. სიტყვა მხოლოდ პირობითად აღნიშნავს საგანთა ან მოვლენათა კლასს. ასე, მაგალითად, ის ნივთიერება, რომელსაც ქიმიკოსები H_2O ფორმულით გამოხატავენ, ქართულში აღინიშნება „წყალი“ სიტყვით, რუსულში - Вода გერმ. wasser, ინგლ. water, ფრანგ. l'eau, ლათ. aqua, სპარს. ab და სხვ. ბგერისა და საგანს შორის რომ პირობითი კავშირი არ არსებობდეს, მაშინ ერთი და იმავე საგნის ან მოვლენის ასეთი სხვადასხვა სიტყვებით აღნიშვნა შეუძლებელი იქნებოდა. ერთი და იგივე საგანი ან მოვლენა სხვადასხვა ენაში ერთი და იმავე ან მსგავსი სიტყვებით

იქნებოდა აღნიშნული და თანაც სიტყვა ყოველთვის მსგავსი იქნებოდა იმ საგნისა, რომელსაც აღნიშნავს. ასეთი მსგავსება სიტყვასა და საგანს შორის შეინიშნება მხოლოდ ხმაბაძვით სიტყვებში (ყიყინი, შრიალი, ღმუილი, კაკანი და ა.შ.). მაგრამ ხმაბაძვითი სიტყვები, ჯერ ერთი, ენის პერიფერიულ ლექსიკას განეკუთვნება და, მეორეც, ხმაბაძვით სიტყვასა და საგანს შორის მსგავსება ნაწილობრივია. როგორც ამას ქვემოთ დაეინახათ, ერთი და იგივე ბგერადობა სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად არის აღქმული (შდრ. ქართ. ყიყინი „ბაყაყი ყიყინებს“ და რუს. квакать: Лягушка квакает). როგორც ვხედავთ, დამთხვევა სიტყვასა და ამა თუ იმ საგნის მიერ გამოცემულ ბგერებს შორის არც ხმაბაძვით სიტყვებში გვაქვს და ამიტომ ერთი და იგივე ბგერადობა (ვთქვათ, ბაყაყის ყიყინი) სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ბგერებით არის გამოხატული.

ამრიგად, ენა ძირითადად შედგება ისეთი სიტყვებისაგან, რომლებიც პირობითად აღნიშნავენ საგნებსა და მოვლენებს, ე.ი. ენაში მოქმედებს არა იკონურობის, არამედ პირობითობის პრინციპი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიტყვა გამოხატავს არა წარმოდგენას, არამედ ცნებას. სიტყვა რომ წარმოდგენას გამოხატავდეს, მაშინ ენის ფუნდამენტალური პრინციპი იქნებოდა იკონურობა და არა პირობითობა. ასეთ შოშხვევაში ენა დაემსგავსებოდა მხატვრობას და მისი დაუფლება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ გარკვეული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანებისათვის და თანაც არა ორი ან სამი წლის ასაკში, არამედ გაცილებით გვიან. ენა მიმართავს ოპტიმალურ საშუალებას, ნულამდე დაჰყავს იკონურობის პრინციპი და პირობითობის პრინციპის შემოტანით შესაძლებელს ხდის ენას ფლობდეს ადამიანთა მოდემის ყველა წარმომადგენელი, თუ ამისათვის არსებობს სათანადო ფიზიოლოგიური პირობები.

როგორც ვხედავთ, ბგერას არა აქვს უნარი წარმოდგენების მატერიალიზაციისა, მაგრამ იგი (ბგერა) თავისუფლად ახერხებს ცნებების მატერიალიზაციას. ეს ხდება იმიტომ რომ ცნება, როგორც ვნახეთ, არაა იკონური ერთეული. იგი აზრია საგნის ან მოვლენის შესახებ და ამიტომ ბგერას ხელეწიფება მისი მატერიალიზაცია. თუ ეს თვალსაზრისი სწორია, მაშინ სწორი უნდა იყოს მეორე თვალსაზრისიც, რომელიც პირველიდან გამოიყვანება: წარმოდგენა ბგერასთან კონტაქტში გარდაიქმნება ცნებად, რადგანაც ბგერას, როგორც ვნახეთ, არ შეუძლია წარმოდგენის უშუალო მატერიალიზაცია. მხატვრობაში, მაგალითად, ასეთი გარდაქმნა არ ხდება, მაგრამ ენაში წარმოდგენის ცნებაში გარდაქმნა აუცილებელია. კომუნიკაციის მოთხოვნილება განსაზღვრავს წარმოდგე-

ნების მატერიალიზაციის აუცილებლობას, რადგანაც მათი უშუალო გადაცემა სხვა ინდივიდებისათვის არ ხერხდება, ხოლო წარმოდგენების მატერიალიზაცია ბგერებით თავის მხრივ განაპირობებს წარმოდგენების ცნებებად გარდაქმნას.

ამრიგად, გამოდის, რომ კომუნიკაციის პროცესში აუცილებელი ხდება წარმოდგენის ცნებებად გარდაქმნა. წარმოდგენების ცნებებად გარდაქმნას უწოდებენ აზროვნების დანაწევრებას. აზროვნება, რა თქმა უნდა, დანაწევრებულია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მაგრამ ლინგვისტურად იგი უფორმო მასაა, ამიტომ აუცილებელი ხდება მისი ხელახალი დანაწევრება, ამჯერად უკვე ლინგვისტური თვალსაზრისით. არტიკულაციის (დანაწევრების) ეს პროცესი ხორციელდება ბგერის საშუალებით, რადგანაც წარმოდგენა ცნებად გარდაიქმნება მხოლოდ ბგერასთან კავშირში. ამიტომ ბგერის როლი ენაში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეს ჩვეულებრივ წარმოუდგენიათ. არსებობს ყველა საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ბგერა ანაწევრებს აზროვნებას, ე.ი. წარმოდგენებს გარდაქმნის ცნებებად, რაც აპირობებს კიდევ ვიზუალური აზროვნების კონცეპტუალურ აზროვნებაში ტრანსფორმაციას. კონცეპტუალური აზროვნება კი ის მძლავრი იარაღია, რომელიც მხოლოდ ადამიანისათვის არის დამახასიათებელი და სხვა ცოცხალ არსებებში არ შეინიშნება. ერთი სიტყვით, კონცეპტუალური აზროვნება, რითაც ადამიანი უპირისპირდება ცხოველთა სამყაროს, მოლიანად დამოკიდებულია ბგერაზე, ამდენად, ბგერის როლი კონცეპტუალური აზროვნების წარმოქმნისა და ადამიანის წარმოშობის საქმეში განუზომელია. როგორც ვნახეთ, ბგერა წარმოდგენას გარდაქმნის ცნებაში იმიტომ, რომ წარმოდგენის უშუალო მატერიალიზაცია მას არ შეუძლია. მაგრამ ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც იგი უკავშირდება კონცეპტუალური აზროვნების წარმოქმნის საკითხს, რომლის გარეშეც ადამიანის არსებობა წარმოუდგენელი იქნებოდა.

ამრიგად, ბგერა ანაწევრებს რა ვიზუალურ აზროვნებას, გარდაქმნის მას თვისებრივად ახალი ტიპის აზროვნებაში, რომელსაც კონცეპტუალური, ანუ ვერბალური აზროვნება ეწოდება. მაგრამ ეს პროცესი გავლენას ახდენს თვითონ ბგერაზეც, რადგანაც აზროვნების დანაწევრების პროცესში თვითონ ბგერაც დანაწევრებული ხდება. დავუშვათ, რომ ენაში ცნებები გამოიხატებოდეს დაუნაწევრებელი ბგერებით, როგორიცაა ტირილი, ყვირილი, სიცილი, ღრიალი და სხვ. ასეთ შემთხვევაში ადამიანი შეძლებდა მხოლოდ რამდენიმე ათეული ცნების გამოხატვას. საქმე ისაა, რომ ადამიანის ფიზიოლოგიური შესაძლებლობანი დაუნაწევ-

რბელი ბგერების წარმოთქმის თვალსაზრისით შეზღუდულია და ამიტომ უკიდურესად შეზღუდული აღმოჩნდებოდა ადამიანის ლექსიკაც. არადა, ადამიანს სჭირდება ცნებათა დიდი რაოდენობის გამოხატვა, რამდენიმე ათასისა მაინც, რაც შეუძლებელი იქნებოდა დანაწევრებული ბგერის გარეშე. ამიტომ აზროვნების დანაწევრების პროცესში ბგერა თვითონაც დანაწევრებული ხდება, ე. ი. თუ ბგერა აზროვნებას ანაწევრებს, აზროვნება, პირიქით, ბგერის დანაწევრებას ახდენს. ასეთი დანაწევრებული ბგერების რაოდენობა მერყეობს ენიდან ენაში. ქართულში გვაქვს ოცდაცამეტი ასეთი ბგერა. სხვა ენებში ასეთი ბგერა შეიძლება მეტი იყოს ან ნაკლები, მინიმალური ზღვარია 15 ბგერა, ხოლო მაქსიმალური - 70-80.

დანაწევრებული ბგერა ადამიანს საშუალებას აძლევს ბგერათა სასრული რაოდენობით გამოხატოს ცნებათა უსასრულო რაოდენობა. ასე, მაგალითად, „საათი“ და „ათასი“ სიტყვები ერთი და იმავე ბგერებისაგან შედგება (ეს ბგერებია: ს-1, ა-2, თ-1, ი-1), მაგრამ სხვადასხვაა ამ ბგერათა კომბინაციები, რაც სათანადოდ იძლევა ორ სრულიად განსხვავებულ სიტყვას. ასევე ერთი და იმავე ბგერებისაგან შედგება „ქალი“ და „ლაქი“ სიტყვები, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სხვადასხვაა ბგერათა კომბინაციები. ენა ამ თვალსაზრისითაც ოპტიმალური სისტემაა, რადგანაც ენაში შესაძლებელი ხდება სასრული რაოდენობის ბგერათა სხვადასხვა კომბინაციებით გამოხატოს ცნებათა უსასრულო რაოდენობა.

ენა, ამრიგად, წარმოადგენს არტიკულაციის სფეროს, რომელიც ერთი მხრივ ანაწევრებს აზროვნებას, ხოლო მეორეს მხრივ - ბგერას. უფრო ზუსტად, აზროვნება და ბგერა ერთმანეთს ანაწევრებენ და ამიტომ დანაწევრებული აზრი (ცნება) აუცილებლობით გულისხმობს დანაწევრებული ბგერას და პირიქით: დანაწევრებული ბგერა - დანაწევრებულ აზრს. თეორიას, რომელიც დანაწევრებულ ბგერასა და დანაწევრებულ აზრს ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში განიხილავს, ეწოდება აზრისა და ბგერის სინთეზის თეორია. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანს რომ დანაწევრებული აზროვნება (ცნებები) არ ჰქონოდა, მაშინ მას არც დანაწევრებული ბგერა ექნებოდა და, პირიქით, მას (ადამიანს) რომ არ ჰქონოდა დანაწევრებული ბგერა, არ ექნებოდა არც დანაწევრებული აზროვნება. ერთი სიტყვით, ცნება და დანაწევრებული ბგერა არსებობს მხოლოდ სინთეზის წყალობით და ამიტომ უერთმანეთოდ მათი არსებობა წარმოუდგენელია. სადაც დანაწევრებული ბგერაა, იქ კონცეპტუალური აზროვნებაცაა, პირიქით: იქ, სადაც კონცეპტუალური აზროვნებაა, დანაწევრებული ბგერაც აუცილებლად იგულისხმება.

ენა არსებობს მხოლოდ აზრისა და ბგერის სინთეზის წყალობით, დაუნაწევრებელი აზროვნება (წარმოდგენების სისტემა) ფსიქიკური სტრუქტურაა, ხოლო დაუნაწევრებელი ბგერა — ფიზიოლოგიური (ადამიანი დაუნაწევრებელ ბგერებსაც იყენებს. ასეთია: სიცილი, ტირილი, ყვირილი, შორისდებულები და სხვ.). არც ერთი მათგანი ენობრივი თვალსაზრისით არ არის დამუშავებული და, ამდენად, ისინი ენის მიღმა არიან. მაგრამ ფსიქიკურისა (წარმოდგენების სისტემა) და ფიზიოლოგიურის (დაუნაწევრებელი ბგერები) სინთეზის შედეგად თვისებრივი ნახტომი კეთდება, რის შედეგადაც წარმოდგენა ცნებად გარდაიქმნება, ხოლო დაუნაწევრებელი ბგერა — დანაწევრებულ ბგერად, ანუ, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ფონემად. ერთი სიტყვით, ფსიქიკურისა და ფიზიოლოგიურის სინთეზის შედეგად წარმოიქმნება ენა, რომელიც არსებობს მხოლოდ ამ სინთეზის წყალობით.

ანალოგიისათვის ამ შემთხვევაში გამოგვადგება წყლის მაგალითი, როგორც ცნობილია წყალი H_2O შედგება ორი ატომი წყალბადისაგან და ერთი ატომი ჟანგბადისაგან. მაგრამ არც წყალბადი და არც ჟანგბადი წყლის რაიმე თვისებას არ ატარებს, ე. ი. ცალ-ცალკე არც ერთი მათგანი წყალს არ წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, წყალბადისა და ჟანგბადის გარკვეული წესით სინთეზის დროს წყალი წარმოიქმნება, რომელიც არსებობს მხოლოდ მოცემული სინთეზის საფუძველზე. საკმარისია წყალს ჩამოვაცილოთ ერთ-ერთი ელემენტი, რომ წყალიც, როგორც ასეთი, აღარ დარჩეს. ასევე, ნატრიუმი და ქლორი ცალ-ცალკე აღებული საწამლაია, მაგრამ მათი სინთეზით საჭმელი მარილი მიიღება.

როგორც ვხედავთ, სინთეზის შედეგად თვისებრივი ნახტომი ხდება, ერთი თვისობრიობიდან მეორე თვისობრიობა მიიღება, ამგვარ ცვლილებას დიალექტიკურ ცვლილებას უწოდებენ, რაც თვისებრივი გარდაქმნაა ერთი სტრუქტურისა მეორე სტრუქტურაში. სწორედ ასეთ დიალექტიკურ მიმართებაშია ენა, ერთი მხრივ, წარმოდგენათა სისტემასთან (ფსიქიკა) და, მეორე მხრივ დაუნაწევრებელ ბგერებთან (ფიზიოლოგია). არც წარმოდგენა და არც დაუნაწევრებელი ბგერა ცალ-ცალკე აღებული ენა არ არის, მაგრამ მათი სინთეზის გზით ენა წარმოიქმნება, რადგანაც ბინომი „წარმოდგენა — დაუნაწევრებელი ბგერა“ გარდაიქმნება ახალ ბინომად „ცნება — ფონემა“. ამრიგად, ენა ფორმდება ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის საზღვარზე, რომელთა სინთეზის გზით წარმოიქმნება ახალი თვისობრიობა ანუ ენობრივი სტრუქტურა.

როგორც ვხედავთ, ცნება და დანაწევრებელი ბგერა ერომანეთს

აუცილებლობით გულისხმობს და ერთმანეთის გარეშე არ არსებობს. ამიტომ მათი ერთმანეთისაგან დაცილება შეუძლებელია. შეუძლებელია იმიტომ, რომ ისინი ერთმანეთის არსებობას განაპირობებენ: დანაწევრებული ბგერა ცნების გარეშე დაუნაწევრებელ ბგერად გადაიქცევა, ხოლო ცნება დანაწევრებული ბგერის გარეშე წარმოადგენად გარდაიქმნება.

ენის როლი აზროვნების წარმოქმნის საქმეში განუზომელია. განუზომელია იმიტომ, რომ, როგორც ვნახეთ, აზროვნების ყველაზე განვითარებული საფეხური, კონცეპტუალური აზროვნება, მხოლოდ ენის პროდუქტია, ენის საშუალებით წარმოიქმნება. რომ ენა არ იყოს, მაშინ არც კონცეპტუალური აზროვნება იქნებოდა და არც ადამიანი. ამიტომაც ენის როლი ასე მნიშვნელოვანი ადამიანისა და აზროვნების წარმოქმნის საქმეში. იგი (ენა) არაა მზამზარეული აზრების უბრალო გამომხატველი (ექსპრესიული ფუნქცია), ენა პირველ რიგში აზროვნების (კონცეპტუალური აზროვნების) წარმოქმნელი მექანიზმია. ენას, მართალია, წინ უსწრებს აზროვნება დროში და ლოგიკურად, მაგრამ ესაა არა კონცეპტუალური, არამედ ვიზუალური აზროვნება, რომელიც კონცეპტუალური აზროვნების მასალაა მხოლოდ.

ამრიგად, მოლაპარაკე სუბიექტი მეტყველების პროცესში ფსიქიკურ და ფიზიოლოგიურ (წარმოდგენები და დაუნაწევრებული ბგერები) სტრუქტურებს გარდაქმნის ლინგვისტურ სტრუქტურად (ცნება და დანაწევრებული ბგერა) და ამ სახით გადასცემს მსმენელს, რომელიც თავის მხრივ ლინგვისტურ ინფორმაციას კვლავ ფსიქო-ფიზიოლოგიურ ინფორმაციად გარდაქმნის. ბგერების შემთხვევაში ეს გარდაქმნა ფაქტია, რადგანაც უბრალო ბგერადობას მეტყველი სუბიექტი სამეტყველო ორგანოების საშუალებით ფონემებად გარდაქმნის და ამ სახით გადასცემს მსმენელს. თუ კაცს სამეტყველო ორგანოები დაზიანებული აქვს, იგი ბგერების დანაწევრებას ვერ ახერხებს და მხოლოდ დაუნაწევრებელ ბგერებს წარმოთქვამს. ამიტომაც, რომ ყრუ-მუნჯები, მართალია, ბგერებს წარმოთქვამენ, მაგრამ მათ მეტყველებაში ფონემების გარჩევა შეუძლებელია. ნორმალური ადამიანი კი, როგორც უკვე ვთქვით, დაუნაწევრებელ ბგერებს დანაწევრებელ ბგერებად გარდაქმნის და ამ სახით აწოდებს მსმენელს.

შედარებთ პრობლემატურია წარმოდგენების საკითხი. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ მეტყველების პროცესს, როგორც წესი, თან არ ახლავს რაიმე წარმოდგენები. არც მოლაპარაკე და არც მსმენელი, როგორც წესი, წარმოდგენებს არ მიმართავს ცნებების დასაშიფრავად

(მოლაპარაკე) ან გასაშიფრად (მსმენელი). მაგრამ ეს გარემოება გვიჩვენებს არა იმას, რომ კომუნიკაციის აქ წარმოდგენილი მოდელი არასწორია, არამედ მხოლოდ იმას, რომ კომუნიკაციის პროცესი იმდენად ავტომატიზებულია, რომ მოლაპარაკესა და მსმენელს არ სჭირდებათ ყოველ წუთსა და ყოველ წამში მიმართონ წარმოდგენებს ცნების დაშიფვრის ან გაშიფვრის დროს. ამიტომ, ეთქვას, „მოწაფე მიდის სკოლაში“ წინადადების აზრი გასაგებია იმ შემთხვევაშიც, თუ არც მოწაფეს წარმოვიდგენთ, არც სვლის პროცესს და არც სკოლას. მაგრამ თუ ასეთი რამ საჭირო გახდა, მოლაპარაკეც და მსმენელიც ადვილად მიუსადაგებენ მოცემულ სიტყვებს სათანადო წარმოდგენებს, ე. ი. წარმოვიდგენენ კონკრეტულ მოწაფეს, სვლის პროცესსა და კონკრეტულ სკოლას, სადაც ეს მოწაფე მიეშურება. რამდენადაც მოლაპარაკესა და მსმენელს უნარი შესწევთ ცნებების დაშიფვრისა და გაშიფვრისა წარმოდგენებით, ამდენად კომუნიკაციის თეორია უნდა ითვალისწინებდეს წარმოდგენებსაც. უფრო მეტიც, ცნება გასაგები ხდება მხოლოდ წარმოდგენასთან კავშირში, რამდენადაც მოლაპარაკესაც და მსმენელსაც აინტერესებთ არა აბსტრაქტული ცნებები, არამედ ის წარმოდგენები, რომლებიც მათ აქვთ ამა თუ იმ საგნის ან მოვლენის შესახებ და თუ კომუნიკაციის პროცესში ჩვეულებრივ არ ხდება ცნებების დაშიფვრა და გაშიფვრა წარმოდგენებით, ეს იმიტომ, რომ, ვიმეორებთ, კომუნიკაციის პროცესი ენის საშუალებით ავტომატიზირებული პროცესია.

§2. ცხოველის ენა

ცხოველებსაც აქვთ უნარი ერთმანეთს გადასცენ გარკვეული ინფორმაცია. ფუტკარი, მაგალითად, მიდის დაზვერვაზე, პოულობს იმ ადგილს, სადაც ნექტარია, ბრუნდება სკაში და კედელზე ცეკვით გამოხატავს განვლილი გზის მოდელს. ამ გზით მიემართებიან შემდეგ მუშა ფუტკარები და შეუმცდარად აგნებენ ნაჩვენებ ადგილს. ზოგიერთი ცხოველი ან ფრინველი ინფორმაციის გადაცემას აწარმოებს ბგერების საშუალებით. მაიმუნები ბგერითი სიგნალებით აცნობენ თავიანთ ამხანაგებს მტრის მოახლოებას. ერთი სიტყვით, ცხოველებსაც აქვთ უნარი კომუნიკაცია ღამყარონ ერთმანეთთან და კომუნიკაციის პროცესში გამოიყენონ ბგერითი სიგნალები.

საინტერესოა ამ თვალსაზრისით ჭიანჭველებზე დაყენებული ცდები, რომლებიც კარგად გვიჩვენებენ, რომ ჭიანჭველებს აქვთ ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის საოცარი უნარი. აი, ეს ექსპერიმენტებიც:

ასანთის ღერებისაგან გაკეთებულ ხის ერთ-ერთ „ტოტზე“ მოათავსეს

საჭმელი ტკბილი სიროფით და შემდეგ გაუშვეს მზვერავე ჭიანჭველა. ჭიანჭველამ მოძებნა საჭმელი, შემდეგ დაბრუნდა ბუდეში და ამის შესახებ შეატყობინა მეფურაუე ჭიანჭველებს. მზვერავემა ჭიანჭველამ რომ ინფორმაცია გადასცა მეფურაუე ჭიანჭველებს, ეს ჩანს იქიდან, რომ ეს უკანასკნელი უმაღლესი წადინი საჭმლისაკენ მზვერავე ჭიანჭველის გარეშე და თანაც გარკვეული მიმართულებითა და უმოკლესი გზით. მათ შეუძლომლად მონახეს საკვები, ისე რომ მისი ძებნა არც კი დაუწყიათ.

მაგრამ იქნებ ჭიანჭველებმა სუნით მიაგნეს საკვებს? ამ დაშკების გამოსარიცხად მეცნიერებმა ასანთის ღერებისაგან გაკეთებული ხე, რომელზეც მზვერავე ჭიანჭველა უკვე იმყოფებოდა, შეცვალეს მისი ზუსტი ასლით და თანაც საჭმელიც აღარ მოუთავსებიათ „ტოტზე“ მიუხედავად ამისა, მეფურაუე ჭიანჭველებს მარშრუტი არ შეუცვლიათ და იმავე „ტოტზე“ ავიდნენ, სადაც მზვერავემა ჭიანჭველამ საჭმელი ნახა.

ჭიანჭველებს, როგორც ირკვევა, თვლაც შეუძლიათ 60-მდე მაინც. ამ თვალსაზრისით ჭიანჭველა აჭარბებს ყველაზე ჭკვიან ფრინველსაც კი. ცნობილია, რომ ყვავს შეუძლია დაითვალოს ოთხამდე, ძუძუმწოვართა ცხოველთაგან ყველაზე ჭკვიანი მგელი კი ითვლის ათამდე.

საინტერესოა ის ექსპერიმენტი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ჭიანჭველებს დათელის უნარი აქვთ. მიწაზე დაასვეს რამდენიმე ათეული პალო და მე-40 პალოს თავზე მოათავსეს საჭმელი. შემდეგ გაუშვეს მზვერავე ჭიანჭველა, რომელიც რიგ-რიგობით აცოცდა ყველა პალოზე, სანამ მეორმოცე პალოს წვერზე არ აღმოაჩინა სასურველი საჭმელი. მის შემდეგ იგი დაბრუნდა ბუდეში და ყველაფერი შეატყობინა მეფურაუე ჭიანჭველებს, რომლებიც კვლავ მზვერავე ჭიანჭველის გარეშე გაემურნენ პირდაპირ მეორმოცე პალოსაკენ ისე, რომ საჭმელი სხვა პალოებზე არც კი უძებნიათ.

აქვთ თუ არა ცხოველებსა და ფრინველებს ენა? კითხვა შეიძლება სხვაგვარადაც ჩამოყაყალიბოთ: აქვთ თუ არა ცხოველებსა და ფრინველებს აზროვნებისა და ბგერის დანაწევრების უნარი? ამ კითხვაზე ამთავითვე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ: ცხოველებსა და ფრინველებს აზროვნების დანაწევრების უნარი არ აქვთ და, ამდენად, არც ენა აქვთ.

(უწოდოთ დანაწევრებულ ბგერებს ფონემები (ბერძნ. phónēma „ბგერა“), ფონემის ასეთი განსაზღვრა მხოლოდ სამუშაო დეფინიციად, უფრო ზუსტად ფონემა ქვემოთ იქნება განსაზღვრული. დანაწევრებული ანუ კონცეპტუალური აზროვნება აუცილებლობით გულისხმობს ფონემებს.

მაგრამ ფონემები არც ერთი ცხოველის ან ფრინველის ბგერით სიგნალებში არ გამოიყოფა. მართალია, თუთიყუშები აზერზებენ ცალკეული სიტყვების წარმოთქმას, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ თუთიყუშების ბგერითი სიგნალები ფონემებისაგან შედგებოდეს. ჯერ ერთი, თუთიყუშების დანაწევრებული მეტყველება იმიტაციაა, რომლის მიღწევა ზერხდება დრესირების საშუალებით, ე. ი. თვითონ თუთიყუშს არავითარი მიდრეკილება არა აქვს დანაწევრებული მეტყველებისაკენ. მეორეც, ადამიანის ენაში ფონემები უკავშირდება აზრებს, გარკვეულ ცნებებს გამოხატავს. თუთიყუშის ენაში კი დანაწევრებული ბგერები მოკლებულია რაიმე გააზრებას. ერთი სიტყვით, თუთიყუშის ენაში „ფონემები“ აზროვნებასთან არაა დაკავშირებული და არ წარმოადგენს აზროვნების დანაწევრების პროდუქტს. გამოდის, რომ თუთიყუშს არა აქვს არც აზროვნების და არც ბგერის დანაწევრების უნარი, იგი მხოლოდ იმიტაციის უნარით ხასიათდება. ამიტომ თუთიყუშს შეუძლია გარკვეულად გაიმეოროს ადამიანის დანაწევრებული ბგერები, მაგრამ არ შესწევს უნარი, რაიმე აზრი ჩადოს ამ ბგერებში.

რადგანაც ცხოველებისა და ფრინველების ბგერით სიგნალებში ფონემები არ გამოიყოფა, ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ მათ (ცხოველებსა და ფრინველებს) არც კონცეპტუალური აზროვნება აქვთ. აზროვნების ეს ტიპი, როგორც ჩანს, დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანისთვის, რაც ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ადამიანს ძალუძს გარადაქმნას ვიზუალური აზროვნება კონცეპტუალურად, ხოლო დაუნაწევრებელი, ბგერები — ფონემებად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აზროვნებისა და ბგერების არტიკულაციის უნარი მხოლოდ ადამიანს აქვს და სხვა ცოცხალ არსებებში ეს უნარი არ შეინიშნება. როგორც ვხედავთ, ადამიანის და ცხოველის ენას შორის განსხვავება არ არის მხოლოდ რაოდენობრივი. განსხვავება მარტო ის კი არაა, რომ ადამიანს რამდენიმე ათასი თუ ათიათასი სიტყვა აქვს თავის ლექსიკონში, ხოლო ცხოველს სულ რამდენიმე, რომელთა რაოდენობა, ასე ვთქვათ, თითებზე ჩამოსათვლელია, არამედ, რატომთავარიცაა, ის, რომ ადამიანის ენა თვისებრივად განსხვავდება ცხოველის ენისაგან. ამ განსხვავებას ქმნის ის, რომ ადამიანს აქვს უნარი ვიზუალური აზროვნება და დაუნაწევრებელი ბგერები გარდაქმნას კონცეპტუალურ აზროვნებად და ფონემებად, რისი მიღწევაც ვერ შეძლეს ცხოველებმა და ფრინველებმა.

რადგანაც ცხოველებსა და ფრინველებს არა აქვთ აზროვნებისა და ბგერების არტიკულაციის უნარი, ამიტომ მათი აზროვნება შეიძლება იყოს მხოლოდ ვიზუალური. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ცხოველებისა და ფრინველების ვიზუალური აზროვნება შეზღუდულია ადამიანის

ვიზუალურ აზროვნებასთან შედარებით, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ვიზუალური აზროვნება სხვადასხვა ცხოველსა და ფრინველში არ არის ერთნაირი — ზოგ სახეობებში იგი შედარებით უფრო განვითარებულია, ხოლო ზოგში — შედარებით განუვითარებელი.

ვიზუალური აზროვნების ფარგლებში ცხოველები და ფრინველები წყვეტენ უმარტივეს ამოცანებს, როგორც ეს ვ. კოელერის ცდებმა აჩვენა. მაიმუნს გალიაში დაუკიდეს ბანანი ისე, რომ მას (მაიმუნს) შეეძლო მოეწყვიტა იგი, თუ ყუთს მიიტანდა და ბანანის ქვეშ დადგამდა. ცდამ აჩვენა, რომ მაიმუნმა ეს ამოცანა გადაჭრა. მეორე ცდის მიხედვით, მაიმუნს ბანანი შეეძლო მოეწყვიტა ჯოხით, თუ ორ მოკლე ჯოხს ერთმანეთზე გადააბამდა. მაიმუნმა ამ ამოცანასაც წარმატებით გაართვა თავი.

დაკვირვებანი ცხოველებისა და ფრინველების ქცევებზე ამტკიცებენ, რომ ისინი მოქმედებენ არა ინსტიქტით, არამედ გააზრებულად. მაგრამ მათი აზროვნება იკონურია და, ამდენად, მეტად შეზღუდულიც. ვ. კოელერის ერთ-ერთი ცდის მიხედვით, მაიმუნი ჩიკა, რომელმაც უკვე კარგად იცოდა ყუთის გამოყენება ბანანის მოსაწყვეტად, ამაოდ ცდილობდა ჭერზე ჩამოკიდებული ბანანის მოწყვეტას ახტომით. იქვე იდგა ყუთი, მაგრამ მასზე იწვა მეორე მაიმუნი. ამიტომ ჩიკასათვის მაიმუნიანი ყუთი სავსე საგანი აღმოჩნდა, ყუთის წარმოდგენა არ გამოიწვია, როდესაც მაიმუნი ყუთიდან ჩამოხტა, ჩიკამ მაშინვე დასტაცა ყუთს ხელი, შედგა და ბანანი მოწყვიტა.

როგორც ვხედავთ, „ცხოველის ენა“ მხოლოდ მეტაფორაა, თუ რა თქმა უნდა, ენის ცნებაში ვიგულისხმებთ გარკვეულ შინაარსს, ე.ი. ენას განვიხილავთ როგორც არტიკულაციის სფეროს, რომელიც ანაწევრებს, ერთი მხრივ, აზროვნებას და მეორე მხრივ, ბგერას. ამგვარად გაგებული ენა დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანისათვის და ცხოველთა და ფრინველთა სამყაროში მას რაიმე ანალოგი არ მოეპოვება.

§ 3. გრაფიკული და კინეტიკური მნიშვნელობები

საარტიკულაციო ფუნქცია უცხოა გრაფიკული (დამწერლობა), კინეტიკური (ჟესტიკულაცია) და სხვა ენებისთვის. მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც სხვაგვარი მდგომარეობა დასტურდება, ვიდრე ცხოველის ენაში. მართალია, საარტიკულაციო ფუნქცია გრაფიკულ ან კინეტიკურ ენას არ აქვს, მაგრამ არტიკულაციის პრინციპი მათთვის უცხო არ არის. უცხო არაა იმიტომ, რომ ისინი (გრაფიკული, კინეტიკური და სხვა ენები) ემყარებიან არტიკულაციის იმ წესებს, რომლებიც ბგერით

ენებში გვაქვს. ამიტომ გრაფიკული, კინეტიკური და სხვა ამგვარი სისტემები ენებს წარმოადგენენ, თუმცა არტიკულაციის წესები მათ ნასესხები აქვთ ბგერითი ენებისაგან.

გრაფიკული ენა დანაწევრების წესების მიხედვით ბგერით ენას მიღწევს როგორც აზროვნების, ისე ბგერის დანაწევრების თვასაზრისით. ასე მაგალითად, ქართული სამწერლობო ენაა და ამიტომ ჩვენ გვაქვს არა მარტო ბგერითი ქართული ენა, რომელსაც მეტყველების პროცესში ვიყენებთ, არამედ გრაფიკული ქართული ენაც, რომელსაც წერის დროს ვხმარობთ. გრაფიკული ქართული ენა შეიცავს იმავე სიტყვებს, რაც ბგერით ქართულ ენაში გვაქვს, ე. ი. გრაფიკულ ქართულ ენაში იგივე ცნებები გამოიხატება, რაც ბგერით ქართულ ენაში. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ბგერით და გარაფიკულ ენებს შორის რუსულში, ინგლისურში, ფრანგულში, გერმანულში და სხვა. ეს კი იმას გვიჩვენებს, რომ აზროვნების ცნებებად დანაწევრების წესები გრაფიკულ ენას ბგერითი ენიდან აქვს ნასესხები. თუ ბგერით ენაში არ გვაქვს ესა თუ ის ცნება, მაშინ იგი არც გრაფიკულ ენაში გვექნება. ასე, მაგალითად, ქართულში ენა, როგორც საკომუნიკაციო საშუალება, და ენა, როგორც ფიზიოლოგიური ორგანო, ერთი სიტყვით გამოიხატება და დამწერლობაში მის შესატყვისად სათანადო ერთი სიტყვა გვაქვს („ენა“). გერმანულში პირველი მათგანი Sprache [špraxe] ბგერებით გადმოცემა, ხოლო მეორე – Zunge [cunge] ბგერითი მიმდევრობით. დამწერლობაშიც შესაბამისად ორი სიტყვა გვაქვს (die Sprache, dic Zunge). ქართული და გერმანული, როგორც ვხედავთ, სხვადასხვაგვარად ანაწევრებს ჩვენთვის საინტერესო სფეროს და ეს სხვაობა დამწერლობაშიც აისახება.

ასევე ბგერითი ენისა აქვს გრაფიკულ ენას ასოებად დანაწევრების წესები. მართალია, ამ შემთხვევაში დასანაწევრებელია არა აკუსტიკური მასალა, რომელსაც ჩვენ ყურით აღვიქვამთ, არამედ ვიზუალური მატერია, რომელიც, რა თქმა უნდა, მხედველობით აღიქმება. მიუხედავად ამისა, გრაფიკული მატერიის დანაწევრების წესები იგივეა ან თითქმის იგივეა რაც ბგერითი მატერიისა. ამის დამამტიკიციებელია ის, რომ ის რომ ასოების რაოდენობა ემთხვევა ან თითქმის ემთხვევა ფონემების რაოდენობას ბგერით ენაში. ქართულში ამ მხრივ იდეალური მდგომარეობა გვაქვს, რადგანაც ქართული ენის ოცდაცამეტ ფონემას გრაფიკულ ქართულ ენაში შეესატყვისება ასოთა ასეთივე რაოდენობა. სხვა ენებში ანალოგიური ან თითქმის ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს. ისეთ ენაშიც კი, როგორც ინგლისურია, სადაც წარმოთქმა და დამწერლობა ერთმანეთისაგან მკვეთრად არის განსხვავებული, ვერ ვიტყვით, რომ

გრაფიკული სისტემა მთლიანად განსხვავდებოდა ინგლისური ენის ფონემათა სისტემებისაგან. ინგლისური ენის გრაფიკული სისტემა მაინც ფონემათა სისტემას ასახავს და სრულიად არ უდგება, მაგალითად, ქართულს. ეს კი დამამტკიცებელია იმისა, რომ ინგლისური დამწერლობაც ემყარება ფონემათა დანაწევრების იმ წესებს, რომლებიც ინგლისურში გვაქვს.

ენაში გამოყოფენ ორ სხვადასხვა სტრუქტურას, ორ სხვადასხვა პლანს — შინაარსისა და გამოხატულების პლანებს. ენის შინაარსის პლანს ქმნის მნიშვნელობათა (ცნებათა) სისტემა, ხოლო გამოხატულების პლანს — ფონემათა სისტემა. გრაფიკულ ენას შინაარსის პლანი ბგერითი ენისა აქვს, აზროვნების დანაწევრების წესებს იგი ბგერითი ენისაგან სესხულობს და ამიტომ საჭირო აღარ არის მათი ხელახალი დანაწევრება. გრაფიკული ენა ბგერითი ენისაგან განსხვავდება არა შინაარსის, არამედ გამოხატულების პლანის მიხედვით, რომელიც გრაფიკულ ენას საკუთარი აქვს, მაგრამ გრაფიკული ენის გამოხატულების პლანი მოცემული ენის ფონემათა სისტემის მიხედვით იქმნება. ამიტომ დამწერლობისათვის ყოველთვის ამოსავალია ბგერითი ენა. გრაფიკული ენის დანიშნულებაა არა დანაწევრების ახალი წესების შემოტანა, არამედ მის გარეშე დანაწევრებული ფონემებისათვის გრაფიკული ნიშნების შექმნა. ამიტომ დამწერლობის საფუძველს ქმნიან ფონემები, რომლებიც გრაფიკულ ენაში სათანადო ასოებში გადაისახებიან.

საკუთარი შინაარსის პლანი არა აქვს არც კინეტიკურ (ფესტიკულა-ციისა და მიმიკების) ენას, რომელიც ერთადერთი საკომუნიკაციო საშუალებაა ყრუ-მუნჯებისათვის, მაგრამ, როგორც დამხმარე საშუალება, ნორმალურ ადამიანებშიც გამოიყენება. კინეტიკურ ენასაც საკუთარი აქვს მხოლოდ გამოხატულების პლანი, რომელიც, მართალია, ბგერით ენაში მოქმედი დანაწევრების წესებს იყენებს, მაგრამ აქ უფრო რთული მდგომარეობა გვაქვს და ამიტომ ამ საკითხს ამჯერად ვერ განვიხილავთ. მთავარია ამ შემთხვევაში ის, რომ კინეტიკურ ენასაც საკუთარი დანაწევრების წესები არა აქვს.

როგორც ვხედავთ, გრაფიკულ და კინეტიკურ ენებს შინაარსის პლანი საერთოდ არა აქვთ საკუთარი. რაც შეეხება გამოხატულების პლანს, იგი, მართალია, მათ საკუთარი აქვთ, მაგრამ დანაწევრების წესები მაინც ბგერითი ენიდან აქვთ აღებული. ამიტომ გრაფიკული, კინეტიკური და სხვა ამგვარი სისტემები დანაწევრების პრინციპს ემყარებიან, რაც მათ ცხოველის ენისაგან განასხვავებს, მაგრამ რადგანაც დანაწევრების წესები ბგერითი ენისაგან აქვთ აღებული, ისინი განსხვავდებიან არა მარტო ცხოველის ენისაგან, არამედ ბგერითი ენისგანაც.

ეს განსხვავება შეიძლება აღიწეროს თეორიული ენათმეცნიერეების ფუძემდებლის ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის მიერ შემოტანილი ტერმინებით. ეს ტერმინებია: ენერგია (ბერძ. *energeia* „ქმნალობა“) და ერგონი (ბერძ. *ergon* „ქმნალობის პროდუქტი“). ენერგია გულისხმობს დინამიკას, რაღაცის შექმნას, ხოლო ერგონი – სტატიკას, ქმნალობის პროდუქტს. ბგერითი ენა ამ თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ როგორც ენერგია, როგორც თვითმარეგულირებელი სისტემა, რომელიც თვითონ გამოიმუშავებს თავის ელემენტებს ფსიქიკური და ფიზიოლოგიური სტრუქტურების თავისებრივი გარდაქმნის გზით. გარფიკული ან კინეტიკური ენა ამ თვალსაზრისით ერგონია და არა ენერგია, რადგანაც ისინი ამგვარ ელემენტებს მზამზარეული სახით ღებულობენ.

როგორც ვხედავთ, ბგერითი ენა განსხვავდება როგორც ცხოველის ბგერითი ენისაგან, ისე გრაფიკული, კინეტიკური და სხვა ამგვარი ენებისაგან. ცხოველის ენისაგან მას (ბგერით ენას) განასხვავებს ის, რომ ცხოველის ენისათვის უცნობია აზრისა და ბგერის დანაწევრების პრინციპი, ხოლო გრაფიკული ან კინეტიკური ენისაგან ბგერითი ენა განსხვავდება იმით, რომ გრაფიკულ და კინეტიკურ ენებში არტიკულაციის პრინციპი, მართალია, მოქმედებს, მაგრამ ეს პრინციპი მათ ბგერით ენისაგან აქვთ აღებული. ამიტომ ბგერითი ენა უნიკალური მოვლენაა როგორც ცხოველის ენასთან მიმართებაში, ისე გრაფიკულ, კინეტიკურ და სხვ. ამ ტიპის ენებთან მიმართებაშიც. ბგერითი ენის უნიკალობას კი, როგორც ვნახეთ, განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მხოლოდ ბგერით ენას აქვს უნარი დაანაწევროს აზროვნება და ბგერა. არტიკულაციის ეს უნარი, რომელიც მხოლოდ ადამიანს აქვს და სხვა ცოცხალ არსებებში არ შეინიშნება, განხორციელდა მხოლოდ ბგერით ენაში, საიდანაც იგი გავრცელდა შემდეგ გრაფიკულ და კინეტიკურ ენებშიც.

§ 4 ენა და მეტყველება

ერთმანეთისაგან განასხვავებენ სამეტყველო ქმედებას, (ფრანგ. *Langage*), ენას (ფრანგ. *Langue*) და მეტყველებას (ფრანგ. *parole*). ეს განსხვავება ენათმეცნიერებაში პირველად გენიალურმა ფრანგმა ენათმეცნიერმა ფერნანდ დე სოსიურმა შემოიტანა. ენა და მეტყველება ერთად სამეტყველო ქმედებას ქმნის. ამიტომ ძირითადია ენისა და მეტყველების გამოჯენა ანუ დიქოტომია (ბერძ. *dichotomia* ← *dicha* „ორ ნაწილად“ *to me* „გახლეჩა“).

ენა ქმნის სამეტყველო ქმედების სოციალურ ასპექტს, ხოლო

მეტყველება — ინდივიდუალურს. ამიტომ ენა ზეინდივიდუალური კატეგორიაა, იგი თავსმოხვეულია ინდივიდისადმი, ენა ბატონობს ინდივიდზე ე.ი. ენის მიმართება ინდივიდთან იმპერატიულია (ლათ. imperativus—ბრძანებითი, არჩევის უფლებას მოკლებული). ინდივიდი ვერც ქმნის ენას და ვერც თავის ნებაზე ცვლის მას. მეტყველება, პირიქით, ინდივიდის ფუნქციას წარმოადგენს, ინდივიდის მიერ იქმნება. ესაა ზეპირი დაწერილი ტექსტი, რომლის შექმნა მთლიანად დამოკიდებულია ინდივიდის ცოდნაზე და ტალანტზე.

უფრო ნათელი რომ განხადონ განსხვავება ენასა და მეტყველებას შორის, ენას აღარებენ ჭადრაკის თამაშთან. ჭადრაკი, როგორც ცნობილია, შედგება გარკვეული ფიგურებისა და წესებისაგან (თუ როგორ სვლას ასრულებს ესა თუ ის ფიგურა). ვუწოდოთ ფიგურებისა და წესების ერთობლიობას ჭადრაკის გრამატიკა. ჭადრაკის გრამატიკა სოციალურია, მოჭადრაკეს (ინდივიდს) არა აქვს მასში რაიმე ცვლილების შეტანის უფლება. ამიტომ ჭადრაკის გრამატიკის მიმართება მოჭადრაკესთან იმპერატიულია. მაგრამ მოჭადრაკეს აქვს უფლება შექმნას პარტია, ე.ი. ისე წარმართოს თამაში, ისეთი კომბინაციები შექმნას დაფაზე, რომ გამარჯვებას მიაღწიოს. როგორც ვხედავთ, ჭადრაკის გრამატიკა, მართალია, სოციალურია (ზეინდივიდუალური), მაგრამ დაფაზე გათამაშებული ყოველი პარტია ინდივიდუალურია. იგი (პარტია) მთლიანად დამოკიდებულია ინდივიდის საჭადრაკო ნიჭსა, გამოცდილებაზე და ა.შ.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ენაშიც. სამეტყველო ქმედებას აქვს როგორც სოციალური, ისე ინდივიდუალური მხარე. სოციალურია სამეტყველო ქმედებაში ყველაფერი ის, რაც ენობრივი ნორმაა, სხვა დანარჩენი კი ინდივიდუალურია. ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“ და აკ. წერეთლის „ბაში-აჩუკი“ ერთი და იმავე ენაზეა შექმნილი, მაგრამ მეტყველების (ტექსტის) თვალსაზრისით სხვადასხვაა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ დიალექტური ხასიათის განსხვავებებს, ორივე ტექსტი დაიყვანება ერთსა და იმავე ენაზე.


გარდა ამისა, ენა სასრული სისტემაა, როგორი დიდიც არ უნდა იყოს სიტყვათა რაოდენობა ენაში, მათი ჩამოთვლა მაინც შესაძლებელია, რომ აღარაფერი ვთქვათ ფონემებზე, გრამატიკულ თუ ლექსიკურ მორფემებზე, ანდა სინტაქსურ კონსტრუქციებზე. მეტყველება, პირიქით, უსასრულობაა. ერთი და იმავე ენაზე შეიძლება შეიქმნას ტექსტების უსასრულო რაოდენობა ისევე, როგორც ჭადრაკის თამაშის დროს პარტიების უსასრულო რაოდენობა იქმნება.

ენასა და მეტყველებას შორის ის განსხვავებაცაა, რომ უშუალო დაკვირვებაში ჩვენ გვეძლევა მხოლოდ მეტყველება და არა ენა. ქართული

ან ნებისმიერი სხვა ენა ჩვენ გვეძლევა არა უშუალოდ, არამედ მხოლოდ ტექსტების (მეტყველების) სახით. ყოველგვარი ტექსტის მიღმა დგას ენა, რომლის რეალიზაციასაც მეტყველება ახდენს. ენა ესაა წესების სისტემა, რომელსაც ვიყენებთ ჩვენ, როგორც მოლაპარაკე ინდივიდები, გარკვეული ტექსტების შესაქმნელად. ამიტომ როგორი დიდიც არ უნდა იყოს ერთი ტექსტი, იგი ვერასოდეს ვერ მოგვცემს სრულ წარმოდგენას იმ ენის შესახებ, რომელზედაც ეს ტექსტია შექმნილი. მაგალითად, „ვეფხისტყაოსანი“ საკმაოდ დიდი ტექსტია, მაგრამ ამის მიხედვით ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ მე-12 საუკუნის ქართულში არსებობდა ისეთი სიტყვები, როგორიცაა: მღვდელი, მონაზონი, ეპისკოპოსი და სხვ. (ეს სიტყვები „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენები არაა. ენის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად საჭიროა ტექსტების მეტად დიდი კორპუსი.

ამრიგად, ენასა და მეტყველებას შორის განსხვავება შეიძლება წარმოვადგინოთ სამი ძირითადი პარამეტრის მიხედვით: 1) ენა სოციალურია, ხოლო მეტყველება – ინდივიდუალური რეალიზაცია 2) ენა სასრული სისტემაა ელემენტებისა და წესებისა, მეტყველება კი – უსასრულობაა 3) ენა უშუალო დაკვირვებაში არ გვეძლევა, ხოლო მეტყველება ყოველთვის უშუალო დაკვირვების ობიექტია.

ისეთ მოვლენებს, რომლებიც ჩვენ უშუალო დაკვირვებაში არ გვეძლევა, კიბერნეტიკაში უწოდებენ შავ ყუთს, რომელშიც განასხვავებენ შესავალს, თვითონ შავ ყუთსა და გამოსავალს. შავ ყუთში მიმდინარე პროცესების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ იმ შედეგების მიხედვით, რასაც ვლბულობთ გამოსავალზე. კომუნიკაციის პროცესი შეიძლება განვიხილოთ როგორც კიბერნეტიკული მანქანა, რომელიც შესავალზე ღებულობს ფსიქიკურ და ფიზიკურ ინფორმაციას წარმოდგენებისა და დაუნაწევრებელი ბეგრების სახით, შავ ყუთში ეს ინფორმაცია გარდაიქმნება ლინგვისტურ ინფორმაციად, ე.ი. ცნებებად და ფონემებად. გამოსავალზე კი გვეძლევა მეტყველება სიტყვების, ფრაზების, წინადადებების სახით. სქემატურად ეს პროცესი ასე შეიძლება წარმოვადგინოთ.



მოცემული სქემა ასახავს ყველაფერს იმას, რაც ითქვა ზემოთ დაწვერების ან ენისა და მეტყველების შესახებ. კერძოდ, იგი გვიჩვენებს

რომ ფსიქოფიზიკური ინფორმაცია თვისებრივად გარდაიქმნება შავ ყუთში და ამგვარი გარდაქმნის შედეგად წარმოიქმნება ენა, რომელიც შემდეგ (გამოსავალზე) რეალიზდება მეტყველების სახით. მოცემული სქემა ასახავს მოლაპარაკე ინდივიდის ქცევას. მსმენელი შესავალზე მიიღებს მეტყველებას, შავ ყუთში გაშიფრავს მას ენის საშუალებით, ხოლო გამოსავალზე გარდაქმნის მიღებულ ინფორმაციას ფსიქოფიზიკურ ინფორმაციად.

§5 ენა როგორც ნიშანთა სისტემა და ენათმეცნიერება და სემიოტიკა

ენა, როგორც ენახეთ, ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის საზღვარზე წარმოიქმნება წარმოდგენებისა და დაუნაწევრებელი ბეგრების ცნებებზე და ფონემებზე გარდაქმნის გზით. ამიტომ სიტყვა ორმხრივი ერთეულია, რომლის ერთ მხარეს ქმნის ცნება, ხოლო მეორეს — ფონემა. ცნებისა და ფონემის ასეთ სიმბიოზს (ბერძ. symbiosis „თანასრსებობა“, „თანაცხოვრება“) ეწოდება ენობრივი ნიშანი, რომელშიც უნდა განვასხვავოთ აღსანიშნი (ცნება) და აღმნიშვნელი (ფონემა). აღსანიშნი და აღმნიშვნელი ერთმანეთის გარეშე არ არსებობს ისევე, როგორც ცნება და ფონემა. ფონემა იმდენად არის აღმნიშვნელი, რამდენადაც ის ცნებას აღნიშნავს, ხოლო ცნება იმდენადაა აღსანიშნი, რამდენადაც ის აღინიშნება. ერთი სიტყვით, აღსანიშნი და აღმნიშვნელი თვითონ ენაში, სიტყვაშია მოცემული ერთმანეთის გვერდით და ერთმანეთთან კავშირში. ამიტომ საქმის ვითარება ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს აღსანიშნი, როგორც ეს ხშირად ჰგონიათ, ენის გარეთ იმყოფებოდეს. ენის მიღმა იმყოფება საგანი ან მოვლენა, რომელიც რეფერენტია და არა აღსანიშნი. ამიტომ საგანი ან მოვლენა იმდენად არის აღსანიშნი, რამდენადაც ცნება (აღსანიშნი) მოიცავს ზოგად კლასს, რომლის რეფერენტიცაა ესა თუ ის კონკრეტული საგანი ან მოვლენა. ასე, სიტყვა „მაგიდა“ აღნიშნავს როგორც მაგიდების კლასს, ასე ამ კლასის ცალკეულ წარმომადგენელსაც, როგორც მოცემული კლასის წევრებს, ამიტომაც სიტყვა საგანს ან მოვლენას აღნიშნავს მხოლოდ როგორც ცნების რეფერენტებს (ლათ. referent „შემტყობინებელი“).

კავშირი აღსანიშნსა (ცნება) და აღმნიშვნელს (ფონემა) შორის პირობითია. არავითარი ლოგიკური აუცილებლობა არაა იმისა, რომ H_2O ქართულში მინცლამინც „წყალი“ ფონემათა მიმდევრობით აღინიშნებოდეს. ამის დამამტკიცებელია ის, რომ იგივე ცნება სხვა ენებში სხვა ფონემათა მიმდევრობებით აღინიშნება (შდრ. რუს. Вода გერმ.

Wasser ინგ. Water, ფრანგ. l'eau, ლათ. aqua, სპარს. آب და სხვ.). ენობრივი ნიშნის პირობითობა, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ენის ფუნდამენტალური კონსტიტუციური პრინციპია, რომელიც გამსჭვალავს მთელ ენობრივ სტრუქტურას. ამ პრინციპის მოქმედება აპირობებს ენათა სხვადასხვაობის ფაქტს, რადგანაც განსხვავება ენებს შორის საგანთა და მოვლენათა სახელდების (ნომინაციის) თვალსაზრისით იმდენადაა შესაძლებელი, რამდენადაც ენობრივი ნიშანი პირობითია. რადგანაც ნიშანი პირობითად აღნიშნავს ცნებას, ამიტომ ერთი და იგივე ცნება სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარადაა გამოხატული.

ამგვარად, აღსანიშნავია და აღმნიშვნელს შორის კავშირი ენობრივ ნიშანში პირობითია, კონვენციონალური (ლათ. conventionalis-შეთანხმებით) მაგრამ პირობითობის თეორია არ არის ერთადერთი თეორია ენობრივი ნიშნის შესახებ. ჯერ კიდევ ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში ჩამოყალიბდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისი ამ საკითხის შესახებ. ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა ერთი ნაწილი ამტკიცებდა, რომ საგნების სახელდება ხდება პირობითად, ჩვენი შეთანხმების მიხედვით. ამ თეორიას ეწოდება (thesei „შეთანხმება“). მეორე თვალსაზრისის მიხედვით, საგნების სახელდება ხდება არა შეთანხმების, არამედ მათი ბუნების გათვალისწინებით. ამ თეორიას ეწოდება physeis (ბუნებითი). ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსმა პლატონმა ამ პრობლემას სპეციალური დიალოგიც (კრატილი) კი მიუძღვნა, სადაც მოტანილია არგუმენტები როგორც ერთი, ისე მეორე თეორიის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ, მაგრამ პასუხი მაინც ორჭოფულია, რადგანაც პლატონი ვერც ერთ ამ თეორიას ვერ აძლევს უპირატესობას. მხოლოდ სიკვდილის წინ დაწერილ წერილში აღიარა პლატონმა კონვენციონალური თეორიის უპირატესობა. მეორე დიდი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე ამგვარად ანიჭებდა უპირატესობას ნიშნის კონვენციონალურ თეორიას.

დავა ენობრივი ნიშნის შესახებ გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში, რადგანაც ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში გადაუჭრელი დარჩა ერთი მეტად პრინციპული მნიშვნელობის საკითხი. საქმე ისაა, რომ თუ კონვენციონალური თეორია სწორია, ე. ი. თუ საგნების სახელდება ხდება პირობითად, ჩვენი შეთანხმებით, მაშინ რატომ არაა შესაძლებელი ნიშანთა შეცვლა ჩვენი ნება-სურვილის მიხედვით. რატომ არაა შესაძლებელი, ვთქვათ, წყალს დავარქვათ კარაქი, ცხვირს – გემი, ღორს – ბულბული, ძმას – მთა და ა. შ. ამ კითხვაზე პასუხს ვერ იძლეოდა ვერც ანტიკური და ვერც შუა საუკუნეების ფილოსოფია და

ლინგვისტიკა.

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე პასუხს იძლევა მხოლოდ ფერდინანდ სოსიური. იგი მიუთითებს ოთხ გარემოებაზე, რომლებიც ხელს უშლიან ენობრივ ნიშანთა ცვლას ჩვენი ნება-სურვილის მიხედვით. ეს გარემოებებია:

(1) თვითონ ნიშნის პირობითობა. რადგანაც კავშირი აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის პირობითია, ამიტომ არ დგას რაციონალურობის საკითხი. ენისათვის არსებითია თვითონ აღნიშვნის ფაქტი და არა ის, თუ როგორ აღინიშნება ესა თუ ის ცნება. ჩვენ ვერასოდეს ვერ დავამტკიცებთ იმას, რომ ქართ. „წყალი“ სიტყვა უფრო უკეთ აღნიშნავს H_2O -ს, ვიდრე რუს. Вода (ანდა პირიქით), რომ საჭირო გახდეს ერთ-ერთი მათგანის შეცვლა მეორით. ასევე ვერ დავამტკიცებთ იმას, რომ სიტყვა „ყური“ ცუდად აღნიშნავს გარკვეულ ფიზიოლოგიურ ორგანოს და ამიტომ საჭიროა მისი შეცვლა სხვა რაიმე სიტყვით. შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაშია რაციონალური, როდესაც უფრო უარესი უფრო უკეთესით იცვლება (ვთქვათ, ძველი ტანსაცმლის შეცვლა ახლით). ეს საკითხი ენობრივი ნიშნების მიმართ არ დაისმის და ამიტომ მათ შეცვლას ვინმეს ნება-სურვილის მიხედვით აზრი არა აქვს.

2) ნიშანთა სამრავლე ყოველ ენაში ნიშანთა რაოდენობა რამდენიმე ათეული ათასია. ამიტომ თუ ნიშნებს საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით შევცვლიდით, შედეგად მივიღებთ ქაოსს.

3) ენობრივი სისტემის სირთულე ენა მეტად რთული სისტემაა, მაგრამ იმათ, ვინც ამ სისტემით ყოველდღიურად სარგებლობს, წარმოადგენა არა აქვთ ამ სისტემის შესახებ. მეორე მხრივ, სისტემის გონივრულად შეცვლა ამ სისტემის ცოდნას გულისხმობს. ამიტომ თითქოს ენა შესაძლებელია გონივრულად შევცვალოთ საციალისტების, გრამატიკოსების, ლოგიკოსების და ა. შ. დახმარებით. მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აქამდე ამგვარ ცდებს რაიმე წარმატება არ მოჰყოლიაო, — დაასკვნის ფ. დე სოსიური.

4) ენობრივი კოლექტივის წინააღმდეგობა ყოველგვარი სიასლის მიმართ ენაში. ენის მიმართება ინდივიდთან, როგორც ენასეთ, იმპერატიულია, რადგანაც ენა სოციალური მოვლენაა. ენა წარმოადგენს თითოეულისა და ყველას კუთვნილებას მოცემულ ენობრივ კოლექტივში და ამიტომ ყოველგვარი ინდივიდუალური გადახვევა დადგენილი ენობრივი ნორმებიდან კოლექტივის მხრივ მხოლოდ წინააღმდეგობას იწვევს. ენობრივი კოლექტივი კონსერვატიული ძალაა, რომელიც აიძულებს ცალკეულ ინდივიდებს იმეტყველონ ისე, როგორც მეტყველებს ყველა დანარჩენი. ამ თვალსაზრისით ენა არსებითად განსხვავდება სხვა სოცი-

აღური მოვლენებისაგან. ამიტომ ენაში შეუძლებელია რაიმე რევოლუციის მოხდენა.

ამრიგად, ენა, მართალია, პირობით ნიშანთა სისტემაა, მაგრამ ენობრივი ნიშნის პირობითობის თეორია მაინც გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს. საქმე ისაა, რომ ენაში, ერთი შეხედვით, ყველაფერი არ არის პირობითი, თითქოს ადგილი რჩება ბუნებითობის თეორიისთვისაც. ასე, მაგალითად, სიტყვა „ყური“ პირობითი ნიშანია გარკვეული ფიზიოლოგიური ორგანოსი, მაგრამ მისგან ნაწარმოები „საყურე“ თითქოს აღარ არის პირობითი, რადგანაც „საყურე“ შეიძლება ეწოდოს ისეთ საგანს, რომელიც ყურისთვის არის დანიშნული. ასევე სიტყვა „ქათამი“ პირობითია, მაგრამ სიტყვა „საქათმე“ თითქოს აღარ არის პირობითი.

მაგრამ მოცემული სიტყვები ვერ უარყოფენ ნიშნის პირობითობის თეორიას. პირობითობა მაშინ იქნებოდა დარღვეული „საყურე“, „საქათმე“ და ა. შ. სიტყვები მსგავსნი რომ იყვნენ იმ საგნებისა, რომლებსაც ისინი აღნიშნავენ. ამ თვალსაზრისით თუ შევამოწმებთ განხილულ სიტყვებს, აღმოჩნდება, რომ აღსანიშნი საგნების მსგავსი არ არის მარტო „ყური“ და „ქათამი“ სიტყვები, არამედ „საყურე“ და „საქათმე“ სიტყვებიც. დაზატული საყურე ან საქათმე, რომლებიც ასევე ნიშნებს წარმოადგენენ, მსგავსი აღმოჩნდება აღსანიშნი საგნისა, მაგრამ „საყურე“ და „საქათმე“ სიტყვები არავითარ მსგავსებას არ ამყარებენ აღსანიშნი საგნებთან. ამ თვალსაზრისით ენა არსებითად განსხვავდება მსატერობისაგან, რომელიც, როგორც ეს აღნიშნული იყო ზემოთ, იკონურობის პრინციპს ექვემდებარება.

მიუხედავად ამისა, ერთი მხრივ, „ყური“, „ქათამი“ და მეორე მხრივ, „საყურე“, „საქათმე“ ტიპის სიტყვებს შორის მაინც განსხვავებაა. პირველი წყვილი (ყური, ქათამი) განეკუთვნება ე. წ. არამოტივირებულ, ხოლო მეორე (საყურე, საქათმე) — მოტივირებულ (ფრანგ. motif „გამომწვევი მიზეზი“) სიტყვათა ჯგუფს. ენაში გვაქვს როგორც მოტივირებული, ასე არამოტივირებული სიტყვებიც. მაგრამ მათი შეფარდება სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარია. ასე, მაგალითად, ფრანგული გერმანულისგან განსხვავებით, გაურბის მოტივირებულ სიტყვებს, რასაც გვიჩვენებს უბრალო შეპირისპირებაც კი:

ფრანგული	გერმანული
de „სათითური	Fingerhut
gant „ხელთათმანი“	Handschuh
entrer „შესვლა“	hineingehen
s'offrir „გასვლა“	hinausgehen

მიუხედავად შეფარდების სხვაობისა მოტივირებულ და არამოტივირებულ სიტყვებს შორის სხვადასხვა ენაში, ჩვენ მაინც ვერ ვიტყვით, რომ რომელიმე ერთ ენაში ყველაფერი მოტივირებული იყოს, ხოლო მეორე ენაში — ყველაფერი არამოტივირებული. ენებში, ვიმეორებთ, ორივე სახის სიტყვები გვაქვს, მაგრამ მათი შეფარდება ერთმანეთთან სხვადასხვა ენაში სხვადასხვაა.

რჩება კიდევ რამდენიმე საკითხი, რომლებიც თითქოს ხელს უშლიან ენის განხილვას პირობით ნიშანთა სისტემაში. პირველია ე. წ. ხმაბაძვითი (ონომატოპოეტიკური) სიტყვები, რომლებიც ზემოთაც იყო განსახილული, ნაწილობრივ მსგავსება აღმნიშვნელსა და საგანს შორის ამ შემთხვევაში მართლაც გვაქვს, მაგრამ ბუნების ბგერების გადმოსაცემად ყველა ენა იყენებს თავის საკუთარ ფონემურ სისტემას და ამიტომ ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ხმაბაძვითი სიტყვების დონეზეც კი, თუმცა ამ შემთხვევაში ენებს შორის თითქოს დამთხვევა იყო მოსალოდნელი. როგორც ეს ზემოთაც იყო ნათქვამი, ქართ. ყიყინი და რუს. КВАКАТЬ ფონეტიკური თვალსაზრისით ერთმანეთისგან განსხვავდება. მაგრამ ქართულში გვაქვს მეორე სიტყვა („ყვა“) ბაყაყის ბგერების გამოსახატავად, რომელიც იმავე ფონეტიკური თვალსაზრისით ახლოს დგას რუსულ КВАКАТЬ სიტყვებთან და რომლისგანაც ძველ ქართულში სახელიც კი იწარმოებოდა (მყვარი „ბაყაყი“). მიუხედავად იმისა, რომ „ყვა“ და „КВАКАТЬ“ ერთმანეთთან შედარებით ახლოს დგას, მაინც უნდა დავასკვნათ: ორივე შემთხვევაში ბაყაყის ხმაურის გამოსახატავად გამოყენებულია ის ფონემები, რომლებიც მოცემულ ენაში გვაქვს. ბაყაყის ხმაურის რუსულად აღსანიშნავად, რა თქმა უნდა, ვერ გამოიყენებდა /ყ/ ფონემას, რადგანაც ასეთი ფონემა ამ ენაში არ არსებობს. მეორე მხრივ, არც იმის თქმა შეიძლება, რომ ბაყაყის ყიყინში მაინც დამაინც /ყ/ ისმოდას. საქმე ისაა, რომ ცხოველების ბგერები დაუნაწევრებელი ბგერებია და ამიტომ ყველა ენა ამ ბგერებს ანაწევრებს თავისი საკუთარი ფონემატური მოდელის მიხედვით, რაც აპირობებს კიდევ განსხვავებებს ენებს შორის ხმაბაძვითი სიტყვების დონეზეც კი.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ხმაბაძვითი სიტყვებში მაინც არის რაღაც მსგავსება აღმნიშვნელსა და საგანს შორის, მაგრამ ეს გარემოება მაინც ვერ უარყოფს იმ ძირითად დებულებას, რომ ენა პირობით ბგერით ნიშანთა სისტემაა. ვერ უარყოფს იმიტომ, რომ, როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული, ხმაბაძვითი სიტყვები ენის პერიფერიულ ლექსიკას ეკუთვნის და ამიტომ ენის დეფინიცია ხმაბაძვითი სიტყვების მიხედვით არ ხდება. ენა ძირითადად პირობით ბგერითი ნიშნებისაგან შედგება და ამიტომ ხმაბაძვითი სიტყვების მოშველიებით

ამ ძირითადი დებულების უარყოფა შეუძლებელია.

გარდა ამისა, ენაში გვაქვს ისეთი „სიტყვებიც“, რომლებიც საერთოდ არ წარმოადგენენ ნიშნებს ამ სიტყვის გარკვეული და მკაცრი მნიშვნელობით. ენობრივი ნიშანი ცნებას უნდა გამოხატავდეს, მაგრამ ენაში ჩვენ გვაქვს „სიტყვებიც“, რომლებიც ცნებებს არ გამოხატავენ. ასეთია შორისდებულები: ქართ. ვა, რუს. УВА და ა. შ. შორისდებულები მოკლებულია ზომიანობის (სახელდების) ფუნქციას და ამიტომ ცნებას ვერ გამოხატავენ. ისინი, ისევე როგორც ცხოველებისა და ფრინველების ბგერითი სიგნალები, წარმოადგენენ არა ნიშნებს, არამედ ოპერატორებს. მაგალითად, ქართ. ვაჲ ან რუს. УВА მწუხარებას გამოხატავს, მაგრამ ეს სიტყვები მწუხარების ნიშნობის კი არ ახდენენ (ამ მიზნით სახელები გამოიყენება: ქართ. მწუხარება, რუს. ПЕЧАЛЬ), არამედ მხოლოდ სიგნალების როლში გამოიყენებიან, რომლებიც მიგვანიშნებენ გარკვეულ განცდაზე. ამიტომაც შორისდებულები ოპერატორებია. იგივე მდგომარეობა შესაძლებელია კადმოიცეს ნიშნებითაც, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭირო ხდება სახელის გამოყენება (შდრ. ქართ. მწუხარება, რუს. ПЕЧАЛЬ და ა.შ.).

ამრიგად, ენაში რუდიმენტის სახით გვაქვს ისეთი „სიტყვებიც“, რომლებიც ოპერატორებია ისევე, როგორც ცხოველებისა და ფრინველების ბგერითი სიგნალები. მაგრამ ვერც ეს გარემოება არღვევს იმ ძირითად დებულებას, რომ ენა პირობით ბგერით ნიშანთა სისტემაა: შორისდებულები, უფრო მეტად, ვიდრე ხმაბაძვითი სიტყვები, — ენის პერიფერიულ ლექსიკას ეკუთვნის და ამიტომ ენის დეფინიციისათვის მათ რაიმე პრინციპული მნიშვნელობა არ ენიჭება.

ამრიგად, არსებობს ყველა საფუძველი იმისა, რომ ენა პირობით ბგერით ნიშანთა სისტემად განვიხილოთ. ნიშანთა სისტემები საერთოდ შეისწავლება ცალკე მეცნიერების მიერ, რომელსაც სემიოტიკა (ბერძ. semeiōtike „მოძღვრება, მეცნიერება ნიშნების შესახებ“). სემიოტიკა შედარებით ახალი მეცნიერებაა. მისი ფუძემდებლებია ფერდინანდ დე სოსიური და ამერიკელი ლოგიკოსი ჯ. პერსი. სოსიური ამ მეცნიერებას უწოდებდა სემიოლოგიას (ბერძ. semeiōn „ნიშანი“ და logos „სიტყვა“, „მეცნიერება“). მაგრამ მთავარია არა იმდენად სახელწოდება, არამედ ის, თუ რას იკვლევს ესა თუ ის მეცნიერება. სემიოტიკის ობიექტია ბუნებრივი ენები, გრაფიკული და კინეტიკური ენები, სხვადასხვა შუქსიგნალები თუ ბგერითი სიგნალები, მორზეს ანბანი, მათემატიკური და სხვა მეცნიერებათა ფორმალნიზებული ენები, სიმბოლოთა სისტემები და ა. შ. ენათმეცნიერება ერთ-ერთი უძველესი და წამყვანი სემიოტიკური მეცნიერებაა, რადგანაც ენათმეცნიერების ობიექტი ყველაზე უფრო საინტერესოა სემიოტიკურ სისტემებს შორის.


§ 6 სინქრონიისა და დიაქრონიის გამოიყვანა

ფერდინანდ დე სოსიურმა პირველმა მოითხოვა ენათა კვლევის დროს მკაცრად ყოფილიყო გამოიყვანული სინქრონიული (ბერძ. synchronos „ერთდროული“, syn „თან“, chronos „დრო“) და დიაქრონიული (ბერძ. dia „გავლით“, chronos „დრო“) პერსპექტივა. ეს მოთხოვნა შემდეგში თანამედროვე ენათმეცნიერების საფუძველი გახდა. სინქრონია წარმოადგენს ენის ერთ მოცემულ მდგომარეობას და, ამდენად, იგი (სინქრონია) ასახავს მოლაპარაკე სუბიექტის პერსპექტივას. მოლაპარაკე სუბიექტმა იცის მხოლოდ ერთი მდგომარეობა {ენისა და} იგი იყენებს ენას, რომ არ სჭირდება მისი ისტორიის ცოდნა. აქედან დასკვნა: ენა ფუნქციონირებს, ასრულებს თავის ფუნქციებს (ექსპრესიულს, საკომუნიკაციოს და საარტიკულაციოს) როგორც სინქრონიული კატეგორია. თანამედროვე ქართულს ქართულად მეტყველების ან წერის დროს არ სჭირდება მე-5 საუკუნის ქართულის ცოდნა, ასევე თანამედროვე ინგლისელს ან რუსს – მე-15 საუკუნის ინგლისურის ან რუსულის ცოდნა და ა. შ.

მაგრამ ენა იცვლება დროში. დღევანდელი ქართული იგივე არაა, რაც მე-5 საუკუნის ქართული. ასევე შეიცვალა დროში სომხური, რუსული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული და სხვა ენები. ენის ცვლილება დროში უნდა გავიგოთ როგორც ერთი სინქრონიული მდგომარეობიდან მეორე სინქრონულ მდგომარეობაში გადასვლა. მე-12 ს-ის ქართული წარმოადგენდა გარკვეულ სინქრონულ მდგომარეობას, რომელიც ასახულია შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. ასევე შექმნიას ტრაგედიებში ასახულია ის სინქრონიული მდგომარეობა, რომელიც ინგლისურს ჰქონდა მე-16 ს-ის მეორე ნახევარში. ა. პუშკინის ენა ასახავს იმ მდგომარეობას, რომელიც რუსულს ჰქონდა მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში და ა. შ. საქმის ვითარება ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს სინქრონიული მდგომარეობები ენაში იცვლებოდეს საუკუნეების მიხედვით, რომ თითქოს ენაში იმდენი სინქრონიული მდგომარეობა გვქონდეს, რამდენ საუკუნესაც ითვლის მისი არსებობის ისტორია. ერთი სინქრონიული მდგომარეობა ენისა შეიძლება გაგრძელდეს საუკუნეების განმავლობაში. ენა რომ ერთი სინქრონიული მდგომარეობიდან მეორე სინქრონულ მდგომარეობაში გადავიდეს, საჭიროა ამ ენაში ძირეული ცვლილება მოხდეს (მცირეოდენი ცვლილებები მხედველობაში არ არის მისაღები). ძველი ქართული, მაგალითად, ერთ გარკვეულ სინქრონულ მდგომარეობას წარმოადგენს ქართული ენის განვითარების ისტორიაში. ძველი ქართული შეცვალა საშუალება ქართულმა (XII-XIII სს.), რომელიც ასევე გარკვეული სინქრონიული მდგომარეობაა,

ზოლო საშუალო ქართული შეიცვალა იმ სინქრონული მდგომარეობით, რომელიც დღესაც გვაქვს. სხვადასხვა სინქრონულ მდგომარეობებს ასახავენ ერთი ენის განვითარებაში ისეთი ცნებები, როგორცაა ძველი რუსული და თანამედროვე რუსული, ძველი სომხური და ახალი სომხური, ძველი ინგლისური და ახალი ინგლისური, ძველი გერმანული და თანამედროვე გერმანული, ძველი ფრანგული და თანამედროვე ფრანგული და ა. შ. შეიძლება დავასკვნათ: დიაქრონია წარმოადგენს ერთი სინქრონული მდგომარეობიდან მეორე სინქრონულ მდგომარეობაში გადასვლას. თუ სინქრონიას წარმოვიდგენთ ჰორიზონტალური ღერძის სახით, მაშინ ერთი ჰორიზონტალური ღერძიდან მეორე ჰორიზონტალურ ღერძზე გადასვლა იქნება ერთი სინქრონიული მდგომარეობის ტრანსფორმაცია მეორე სინქრონიულ მდგომარეობაში.

მართალია, ყველა ენა იცვლება დროში, მაგრამ ცვლილების ტემპები სხვადასხვა ენაში ერთი შეხედვით სხვადასხვაა. ზოგი ენა უფრო ნელა იცვლება, ზოგიც უფრო ჩქარა. ძველი და ახალი ქართული ერთმანეთისაგან განსხვავებულია, მაგრამ მე-5 საუკუნის ქართული ასე თუ ისე გასაგებია ჩვენი დროის ქართველებისთვის. შედარებით სხვაგვარი მდგომარეობაა ძველსა და ახალ სომხურს შორის. თანამედროვე სომხისათვის ძველი სომხური სხვა ენაა, ვიდრე ახალი სომხური. ერთი სიტყვით, V ს-დან დღემდე სომხური უფრო მკვეთრად შეიცვალა, ვიდრე ქართული.



მაგრამ 15 საუკუნე საკმაოდ მცირე დროა ენის განვითარების ისტორიაში. თუ კიდევ ერთ თხუთმეტ საუკუნესაც ავიღებთ, ძველი წელთაღრიცხვით X ს-დან ჩვენი წელთაღრიცხვის V ს-მდე ქართული უფრო მეტად შეიცვალა, ვიდრე სომხური. ამიტომ ენათა განვითარების დიდ პერიოდებს თუ ავიღებთ, მაშინ ცვლილების ტემპი სხვადასხვა ენაში ერთნაირი იქნება, რაც არ გამორიცხავს იმას, რომ დროის ერთ მონაკვეთში ერთი ენა უფრო სწრაფი ტემპით იცვლებოდა, ვიდრე მეორე. მიგრაციები, დიდი ისტორიული მოვლენები აჩქარებენ ენის

ცვლილების ტემპს რომის იმპერიის დაცემამ და ერთი ცენტრის მოშლამ დააჩქარა რომანული ენების წარმოქმნა. გერმანიკული ტომების ერთი ნაწილის გადასვლამ ბრიტანეთის ტერიტორიაზე დააჩქარა ინგლისურის ჩამოყალიბება და ა. შ.

სინქრონიისა და დიაქრონიის გამოყენის ლოგიკური შედეგია ორგვარი ლინგვისტიკის განსხვავება. ესენია: სინქრონიული ლინგვისტიკა და დიაქრონიული ლინგვისტიკა. ორივე იკვლევს ენას, მაგრამ სხვადასხვა თვალსაზრისით. სინქრონიული ლინგვისტიკის ობიექტია ერთი მოცემული მდგომარეობა ენისა, რომელსაც სინქრონიული ლინგვისტიკა იკვლევს ისე, რომ მხედველობაში არ იღებს დროის ფაქტორს, ე. ი. არ ითვალისწინებს იმ გარდაქმნებს (ისტორიულ ცვლილებებს), რომლებმაც წარმოქმნეს მოცემული მდგომარეობა ენისა. უფრო მეტიც, სინქრონიული კვლევის დროს პრინციპულად დაუშვებელია მოცემული ენის ისტორიის გათვალისწინება, რადგანაც ეს გარემოება საფუძველი ხდება სინქრონიისა და დიაქრონიის ერთმანეთში აღრევისა, რასაც ხშირად ჰქონდა ადგილი სოსიურამდელ ენათმეცნიერებაში და შემდეგაც.

დიაქრონიული ენათმეცნიერება, პირიქით, დროის ფაქტორზე დამყარებული. იგი განსაზღვრავს, თუ რა ცვლილებები მოხდა ამა თუ იმ ენაში დროის გარკვეულ მონაკვეთზე, ე. ი. რა წესების მიხედვით მოხდა ერთი სინქრონიული მდგომარეობის შეცვლა მეორე სინქრონიული მდგომარეობით (ვთქვათ, ძველი ქართულისა საშუალო ქართულით, ან ძველი რუსულისა თანამედროვე რუსულით და ა. შ.). რადგანაც დიაქრონიული ენათმეცნიერება ადგენს იმ წესებს, რომელსაც მოცემული ენა ერთი სინქრონიული მდგომარეობიდან მეორე სინქრონიულ მდგომარეობაში გადაჰყავს, ამიტომ ასეთი კვლევის დროს აუცილებელია გვქონდეს მინიმუმ ორი სინქრონიული მდგომარეობა მაინც. რა თქმა უნდა, რაც უფრო მეტია ასეთი სინქრონიული მდგომარეობები, მით უფრო ეფექტურია დიაქრონიული კვლევა და მით უფრო მეტია ჩვენი ცოდნა მოცემული ენის ისტორიის შესახებ, მაგრამ ორი სინქრონიული მდგომარეობა აუცილებელი მინიმუმია. ერთი სიტყვით, თუ სინქრონიის ლოგიკურად გამორიცხავს დიაქრონიას, დიაქრონიული კვლევის დროს სხვაგვარად არის საქმე. დიაქრონიული კვლევა აუცილებლობით გულისხმობს სინქრონიულ კვლევას: ენის სხვადასხვა სინქრონიული მდგომარეობები რომ ერთმანეთთან შევადაროთ და ამ გზით აღვადგინოთ მოცემული ენის ისტორია, აუცილებელია პირველ რიგში თვითონ ეს სინქრონიული მდგომარეობები გვქონდეს გამოკვლეული. ამიტომ დიაქრონიული ენათმეცნიერების საფუძველს ყოველთვის შეადგენს სინქრონიული ენათმეცნიერება, რომლის გარეშეც დიაქრონიული კვლევა ენისა წარმოუდგენელია.

სინქრონიული და დიაქრონიული ლინგვისტიკის მეთოდები ქვემოთ თავ-თავის ადგილზე უფრო დაწვრილებით იქნება განხილული, მაგრამ მაინც ვერ ავუვლით გვერდს დიაქრონიული ლინგვისტიკის ორგვარი პერსპექტივის განხილვას. ესაა პროსპექტული და რეტროსპექტული პერსპექტივები პროსპექტული დიაქრონიული ენათმეცნიერება ენას განიხილავს დროის მოძრაობის მიმართულებით (ლათ. prospectus, pro-„წინ“, spectare-„ხედავ“), ხოლო რეტროსპექტული დიაქრონიული ლინგვისტიკა (retro „უკან“, spectare „ხედავ“) – დროის მოძრაობის საწინააღმდეგოდ. ამიტომ პროსპექტული დიაქრონიული ლინგვისტიკა ენის კვლევას იწყებს ისტორიიდან და თანდათან გადადის თანამედროვეობისაკენ. რეტროსპექტიული დიაქრონიული ენათმეცნიერება კი თანამედროვე მდგომარეობიდან ამოსვლით ახერხებს ენის ისტორიაში შეჭრას.

პროსპექტულ დიაქრონულ ენათმეცნიერებას გარკვეული შეზღუდვა ახასიათებს, რადგანაც ამ თვალსაზრისით შეიძლება ვიკვლიოთ მხოლოდ ხანგრძლივი სამწერლობო ტრადიციების მქონე ენები. რაც შეეხება უმწერლობო ენებს, ანდა ისეთ ენებს, რომელთაც ახლად შექმნილი დამწერლობა აქვთ, მათი პროსპექტული კვლევა შეუძლებელია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ადრეული სინქრონიული მდგომარეობები ასეთი ენებისა ჩვენთვის უცნობია. პროსპექტული თვალსაზრისით შეიძლება ვიკვლიოთ, მაგალითად, ქართული, რადგანაც ამ ენაზე წერილობითი დოკუმენტები V ს-დან მოგვეპოვება და ამიტომ საშუალება გვაქვს საუკუნეების მანძილზე თვალი გავადევნოთ სალიტერატურო ქართული ენის განვითარების ისტორიას. ამავე მიზეზის გამო პროსპექტული თვალსაზრისით შეიძლება ვიკვლიოთ რუსული, სომხური, ბერძნული, ლათინური, გერმანული, ინგლისური და სხვა. მაგრამ, ვთქვათ, მეგრულის კვლევა, რომელიც უმწერლობო ენაა, ამავე თვალსაზრისით შეუძლებელია. ჩვენ, უბრალოდ, არ ვიცით, თუ როგორი იყო V ან X საუკუნის, ან თუნდაც XV ს-ის მეგრული, რომ შესაძლებელი იყოს მეგრულის სხვადასხვა სინქრონიული მდგომარეობების ერთმანეთთან შედარება და ამ გზით მისი განვითარების ისტორიის აღდგენა.

რეტროსპექტული დიაქრონიული ლინგვისტიკა თავისუფალია ამ შეზღუდვისაგან. იგი ერთმანეთს უდარებს იმ სინქრონულ მდგომარეობებს, რომლებიც მონათესავე ენებში გვაქვს და მათი შედარების საშუალებით არკვევს იმას, თუ რა არის ამ ენებში არქაული (ბერძ. archaios „ძველი“) და რა წარმოადგენს გვიანდელ მოვლენას. დაწვრილებით რეტროსპექტული დიაქრონიული ლინგვისტიკა განხილული იქნება ქვემოთ (იხ. ისტორიულ-შედარებითი მეთოდი), ამჯერად კი აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ რეტროსპექტული დიაქრონიული ენათმეცნიერება

უფრო ეფექტური და მძლავრი მეცნიერებაა, ვიდრე პროსპექტული დიაქრონიული ლინგვისტიკა.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

ენა და საზოგადოება

§ 1. ზოგადი საკითხები

ენისათვის საზოგადოება წარმოადგენს იმას, რასაც ფიზიკური სხეუ-ლისათვის სივრცე. საზოგადოება ენის სივრცეა, ენა საზოგადოებაში განფენილი. ამიტომ არც ენა არსებობს საზოგადოების გარეშე და, პირიქით, არც საზოგადოება — ენის გარეშე. ბუნებრივია, ამდენად, დაისვას საკითხი ენისა საზოგადოების ურთიერთმიმართებისა. გასარკვევია, თუ რა გავლენას ახდენს საზოგადოება ენაზე ან, პირიქით, ენა — საზო-გადოებაზე.

ენსა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხი მრავალასპექტიანია. ფაქტურად ესაა საკითხების მთელი წყება, რომლებსაც სოციოლინგვისტიკა იკვლევს. ენა, როგორც ვთქვით, საზოგადოებაში განფენილი, ხოლო საზოგადოება (ენობრივი კოლექტივი) — გარკვეულ ტერიტორიაზე, რაც აპირობებს ენებში ტერიტორიული დიალექტების წარმოქმნას. ერთსა და იმავე საზოგადოებაში სხვადასხვა სოციალური ფენებია წარმოდგენილი. ეს გარემოება მიზეზი ხდება სოციალური დიალექტების წარმოქმნისა. თვითონ ენის წარმოშობაც კი გარკვეულად სოციოლოგიური საკითხია, რადგანაც ენის საჭიროება საზოგადოებაში ჩნდება. საზოგადოებრივი ორგანიზმი სხვადასხვაგვარია, ისტორიულად ცვალებადია. ამის მიხედვით ჩვენ ვასხვავებთ პირველყოფილ თემურ წყობილებას, მონათმფლობელობას, ფეოდალიზმს, კაპიტალიზმსა და სოციალიზმს. რა თქმა უნდა, ენა არ იცვლება საზოგადოებრივი ფორმაციების ცვლასთან ერთად, მაგრამ ერთი ფორმაციის გადასვლა მეორეში გარკვეულ ცვლილებებს იწვევს ენის ლექსიკაში: ხმარებიდან გამოდის ძველი ფორმაციის შესაფერისი სიტყვები და მათ ადგილს ახალი იკავებს.

ენისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხი ჩამოთვლილი პრობლემებით არ ამოიწურება. აქვე შეშობის ენათა კონტაქტების (ენათა ერთმანეთზე ან ერთი ენის მეორე ენაზე გავლენის), ტომობრივი, ეროვნული და ინტერნაციონალური ენების საკითხები. ენებში გავრცელებული პროცესია ტაბუირება, ე. ი. ზოგიერთი ლექსიკური ერთეულების აკრძალვა, რაც ლექსიკონში იქნება განხილული.

როგორც ვხედავთ, ენისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხი

უფრო რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. აღსანიშნავია ისიც, რომ ენასა და საზოგადოებას შორის პირდაპირი კავშირი გვაქვს მხოლოდ ლექსიკის დონეზე. გრამატიკა და ფონეტიკა შედარებით ნეიტრალურია ამ თვალსაზრისით. ამიტომ ლექსიკა უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე გრამატიკა და ფონეტიკა.

§ 2. ენა, დიალექტი და იდიოლექტი

ენა ყოველთვის გავრცელებულია მასაში, რაიმე ტერიტორიაზე. ენის გავრცელების არე ტერიტორიული თვალსაზრისით შესაძლებელია ძალზე დიდი იყოს. მაგ.: ინგლისური გავრცელებულია მეტნაკლებად ხუთივე კონტინენტზე. მაგრამ ენა შესაძლებელია გავრცელებული იყოს მეტად მცირე ტერიტორიაზე, ერთ სოფელშიც კი. ასეთ ჯუჯა ენებს აულის ენებს უწოდებენ. აულის ენები გავქვს კავკასიაშიც, კერძოდ დაღესტანში.

როგორ მცირე ტერიტორიაზეც არ უნდა იყოს ენა გავრცელებული, იგი მაინც ყოველთვის შეიცავს განსხვავებულ თქმებს. განსხვავება თავს იჩენს ერთ ოჯახშიც კი, რადგანაც ახალი თაობა ისე არ მეტყველებს, როგორც ძველი. ქალების მეტყველება განსხვავდება მამაკაცების მეტყველებისაგან და ა. შ. თვითონ ერთი ინდივიდის მეტყველებაც კი ყოველთვის არ არის ერთნაირი, იგი იცვლება გარემოებების ცვლასთან ერთად. ერთი და იგივე მოსწავლე, მაგალითად, სახლში სხვაგვარად ლაპარაკობს, სკოლაში — სხვაგვარად, თავის ტოლებთან თამაშის დროს კი განსხვავებულად მეტყველებს და ა. შ. ყველაზე მცირე ერთეულად მიჩნეულია იდიოლექტი, რომელიც განისაზღვრება როგორც ერთი ინდივიდის მეტყველება გარკვეული სტილით. ამიტომ ერთი ინდივიდის მეტყველება რამდენიმე იდიოლექტად შეიძლება დაიშალოს. იდიოლექტზე უფრო დიდი ერთეულია თქმა, რომელიც შეიძლება ახასიათებდეს ერთ ოჯახს, ერთ კუთხეს და სოფელსაც კი. კიდევ უფრო მსხვილი ერთეულია კილოკავი, რომელიც დიალექტის შიგნით გამოიყოფა, რადგანაც ერთი დიალექტის ფარგლებში რამდენიმე კილოკავი შეიძლება განსხვავდებოდეს (მაგ., ზემოიმერული კილოკავი, ქვემოიმერული კილოკავი და ა. შ.) ენის შემდეგ ყველაზე დიდი ერთეულია დიალექტი (ბერძ. *dialektos* — „საერთო სახალხო ენისაგან განსხვავებული კილო“). ზოგჯერ ძნელიც კია ზღვარი გავაყოთ ენასა და დიალექტს შორის. დღემდე სადავოა, ვთქვათ, რუმინული და მოლდავური, ან მეგრული და ჭანური (ლაზური) ორი სხვადასხვა ენაა თუ ერთი ენის ორი სხვა-დასხვა დიალექტი. ეს ხდება იმიტომ, რომ არ არსებობს ზუსტი

საზომი იმის გასარკვევად, თუ სად მთავრდება ენა და სად იწყება დიალექტი. ასეთ საზომად შეიძლება გამოგვადგეს ურთიერთგაგებინების კრიტერიუმი, მაგრამ ეს კრიტერიუმიც არ არის მთლად ზუსტი. ქართული და მეგრული რომ ორი სხვადასხვა ენაა, ეს თავისუფლად მტკიცდება, რადგანაც ქართველს (თუ, რა თქმა უნდა, მან მეგრული არ იცის) მეგრული არ ესმის. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ჭანურის შესახებ. მეგრული და ჭანი ერთმანეთს გარკვეულად გაუგებს, თუ მეგრული მეგრულად ილაპარაკებს, ხოლო ჭანი — ჭანურად. მაგრამ ურთიერთგაგებინება განსორციელდება მეტად შეზღუდულ დონეზე, რადგანაც მეგრული და ჭანური ერთმანეთისაგან მეტად დაშორებულია. ამიტომ მეგრული და ჭანური დღეისათვის ორი სხვადასხვა ენა უფროა, ვიდრე ერთი ენის ორი დიალექტი. პირიქით ჩეხური და სლოვაკური, ან რუმინული და მოლდავური ერთმანეთთან ძალიან ახლოს დგანან, იმდენად ახლოს, რომ ჩეხს თითქმის თავისუფლად ესმის სლოვაკური, ან და მოლდაველს — რუმინული ასევე პიროქითაც). მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩეხური და სლოვაკური ორ სხვადასხვა ენად ითვლება, ასევე ორ სხვადასხვა ენად განიხილება რუმინული და მოლდავური.

ენებისა და დიალექტების გამოყოფა ხშირად არ ხდება მხოლოდ ლინგვისტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. თავს იჩენს ისეთი არალინგვისტური (ექსტრალინგვისტური) ფაქტორები, როგორცაა ისტორიული გეოგრაფია, ეთნოგრაფიული დაყოფა, რელიგია, სახელმწიფოს განვითარების ისტორია და სხვა. რუმინული და მოლდავური თავისუფლად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა ერთი ენის ორ დიალექტად, მაგრამ რუმინეთი ცალკე სახელმწიფოა, ხოლო მოლდავეთი ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკა იყო. რადგანაც რუმინული და მოლდავური სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე გავცელებული, ამიტომ ისინი ორ სხვადასხვა ენად განიხილებოდნენ. ქვემო და ზემოიმერული იმდენადაა ერთმანეთისაგან დაცილებული, რომ ისინი შეიძლებოდა ორ სხვადასხვა დიალექტად მიგვეჩნია, მაგრამ ისტორიული გეოგრაფიის მიხედვით და ეთნოგრაფიულადაც იმერეთი ერთი კუთხეა და ამიტომ ქვემო და ზემოიმერული ერთი დიალექტის კილოკავებად განიხილება.

ამრიგად, ენის გავრცელებას ასე თუ ისე დიდ ტერიტორიაზე ყოველთვის თან სდევს ახალი დიალექტების წარმოქმნა ანუ დიფერენციაციის პროცესი. ენის გავრცელება დიდ ტერიტორიაზე საფუძველი ხდება კონტაქტების მოშლისა სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ერთი ენობრივი კოლექტივის წევრებს შორის. კონტაქტების შემცირება კი თავის მხრივ აპირობებს ახალი დიალექტური თავისებურებების გაჩენას და, ამდენად, ახალი დიალექტების წარმოქმნას, რომლებიც შემდგომში დაპოუჯიდებელ

ენებადაც კი შეიძლება ჩამოყალიბდნენ. რომის იმპერიის წარმოქმნამ გამოიწვია ლათინური ენის გავრცელება მეტად დიდ ტერიტორიაზე, მაგრამ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ლათინური (ხალხური ლათინური) თანდათანობით დაიშალა დიალექტებად, რომლებიც შემდეგ დამოუკიდებელი ენები გახდნენ. ეს ენებია: ფრანგული, იტალიური, ესპანური, რუმინული, მოლდავეური და სხვა. ყველა ეს ენა თავის დროზე ლათინურის დიალექტებს წარმოადგენდა, მაგრამ ყოფილმა დიალექტებმა შემდეგში რომანული ენები მოგვცეს. ასევე ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური ოთხი ათასი ან ხუთი ათასი წლის წინათ დიალექტები უნდა ყოფილიყვნენ იმ ენისა, რომელსაც ჩვენ პირობითად ქართველურ ენას ვუწოდებთ, მაგრამ შემდეგში თანდათანობით ეს დიალექტები ენებად ჩამოყალიბდნენ.

არსებითი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როდის მოხდა ამა თუ იმ ენის გავრცელება დიდ ტერიტორიაზე. რუსული გაცილებით უფრო დიდ ტერიტორიაზეა გავრცელებული, ვიდრე ქართული, მაგრამ ქართულში უფრო მეტი დიალექტი გვაქვს, ვიდრე რუსულში. თუ რუსულში განასხვავებენ სამიოდე დიალექტს (ჩრდილოური, შუარუსული და სამხრეთული), ქართულში დიალექტების რაოდენობა თხუთმეტამდე აღწევს. ეს დიალექტებია: ქართული, მესხურ-ჯავახური, კახური, მთიულური, მოხეური, თუშური, ფშაური, ხევსურული, იმერული, რაჭული და ლეჩხუმური, გურული, აჭარული. ყველა ეს დიალექტი საქართველოს ტერიტორიაზეა. საქართველოს ფარგლებს გარეთ წარმოდგენილია ინგილოური (აზერბაიჯანის სსრ), იმერხეული (თურქეთი), ფერეიდნული (ირანი).

რატომაა, რომ რუსულს, მიუხედავად მისი ასეთ დიდ ტერიტორიაზე გავრცელებისა, უფრო ნაკლები დიალექტი აქვს, ვიდრე ქართულს? ამის მიზეზი ისევ კონტაქტების სიხშირეში უნდა ვეძებოთ. ქართული ენის დიალექტები ჩამოყალიბდა ფეოდალური დაქსაქსულობის პერიოდში, როდესაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეები ერთმანეთთან მეტად სუსტ ურთიერთობაში იყვნენ პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სხვა. რუსული ენა კი ასე დიდი ტერიტორიაზე გავრცელდა საკმაოდ გვიან, როდესაც ფეოდალური დაქსაქსულობა და კუთხური კარჩაეკეტილობა წარსულს ბარდებოდა. ამიტომ, რომ დიალექტების რაოდენობით ქართული აღემატება რუსულს, თუმცა რუსული მეტად დიდ ტერიტორიაზეა გავრცელებული.

დიფერენციაციის პროცესს ენაში უპირისპირდება ინტეგრაციის (ლათ. *integratio* „გაერთიანება“ „შეკვება“) პროცესი, რომელიც დიალექტობრივი სხვაობების მოშლასა და საერთო ნაციონალური ენის ჩამოყალიბებაში გამოიხატება. ინტეგრაციის საფუძველს წარმოადგენს კონტაქტების გაძლიერება. რაც უფრო მეტია კონტაქტები ერთი ენობრივი კოლექტივის შიგნით, მით უფრო მეტია დიალექტობრივი

სხვაობების მოშლის შესაძლებლობა.

დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პროცესები მოქმედებენ ენებში ყოველთვის და ყველგან. ისინი დამახასიათებელი იყო ენათა განვითარების ადრეული ეტაპებისათვისაც. მაგრამ სხვადასხვა ეპოქაში მათი შეფარდება სხვადასხვაა: ფეოდალური კარნაკტილობის დროს ჭარბობდა დიფერენციაციის პროცესი, რაც აპირობებდა კიდევ ახალი დიალექტების წარმოქმნას. კაპიტალისტური და სოციალისტური წყობილების პერიოდში კი სჭარბობს ინტეგრაციის პროცესი. ამიტომ დღეს ჩვენ დიალექტობრივი სხვაობების მოშლის მოწმენი უფრო ვართ, ვიდრე მათი გაჩენისა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ დღეს დიალექტობრივი განსხვავებები აღარ წარმოიქმნებოდეს. დიალექტობრივი განსხვავებების წარმოქმნა ხდებოდა ყოველთვის და ხდება ახლაც, მაგრამ საქმე ეხება შეფარდებას დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პროცესებს შორის. დღეისათვის დიფერენციის პროცესს ამკარად სჭარბობს ინტეგრაციის პროცესი, რასაც ხელს უწყობს სკოლა, პრესა, რადიო, ტელევიზია და სხვა.

ენისა და დიალექტების შესახებ მსჯელობისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სალიტერატურო ენის საკითხი. რა თქმა უნდა, ყველა ენა არ არის სალიტერატურო. მეგრული და სვანური, მართალია, ენებია, რომელთაც აქვთ დიალექტებიც კი, მაგრამ სალიტერატურო ენა სვანებისა და მეგრელებისათვის ყოველთვის იყო და არის ქართული. საერთოდაც მსოფლიო ენათა უმრავლესობა (მათი რიცხვი კი 3000-ზე მეტია), არ წარმოადგენს სალიტერატურო ენას.

სალიტერატურო ენა ერთგვარ პრესტიჟულ მდგომარეობაში იმყოფება უმწერლობო ენებთან ან დიალექტებთან შედარებით. ამ პრესტიჟულ მდგომარეობას აპირობებს ის, რომ სალიტერატურო ენა პოლიფუნქციონალურია. ესაა ენა ლიტერატურის, ხელოვნების, სკოლის, პრესის, რადიოსი, ტელევიზიის, მეცნიერების. სალიტერატურო ენაზე იწერება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტები, იგია სახელმწიფო ენა, რომლის ნორმების დაცვა სახელმწიფოებრივი საქმეა.

მიუხედავად სალიტერატურო ენის ასეთი დიდი უპირატესობისა დიალექტებთან შედარებით, სალიტერატურო ენასა და დიალექტებს შორის გარდაუვალი ზღვარი მაინც არ არსებობს. სალიტერატურო ენა სხვა არაფერია, თუ არა ყოფილი დიალექტი, რადგანაც სალიტერატურო ენას საფუძვლად ედება ესა თუ ის დიალექტი, მაგრამ კონკრეტულად თუ რომელი, ეს დამოკიდებულია კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე. სალიტერატურო ენის საფუძველი ხდება ის დიალექტი, რომლის მატარებელნიც დაწინაურებული არიან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით. ასე, მაგალითად, ლათინურს საფუძვლად დაედო რომის დიალექტი, რადგანაც რომს

გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ძველი რომის იმპერიაში. ამავე მიზეზის გამო ფრანგულს საფუძვლად დაედო პარიზის მეტყველება, ძველ ბერძნულს — ატიკური, რუსულს ჩრდილოური, ქართულს — ქართლ-კახური დიალექტი და ა. შ.

როგორც ვხედავთ, წარმოშობის თვალსაზრისით სალიტერატურო ენა რომელიმე ტერიტორიულ დიალექტს ემთხვევა. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ტერიტორიული დიალექტი სალიტერატურო ენად ჩამოყალიბდება, იგი (სალიტერატურო ენა) დამოუკიდებელი ერთეული ხდება და ვითარდება სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი კანონის მიხედვით. ეს კანონი ისაა, რომ სალიტერატურო ენა, როგორც მკაცრად ნორმირებული სისტემა, უფრო კონსერვატულია, ვიდრე ტერიტორიული დიალექტები. ტერიტორიული დიალექტი, ასე ვთქვათ, ღია სისტემაა, რომელშიც გზა აქვს გახსნილი ყოველგვარ ინოვაციას (სიახლეს), ხოლო სალიტერატურო ენა მასთან შედარებით დახურული სისტემაა, რომელიც, ემყარება რა თავის პრესტიჟულ მდგომარეობას, გზას უღობავს დიალექტებში მომხდარ გარდაქმნებს. ამიტომ დროთა განმავლობაში სალიტერატურო ენა შესაძლებელია გაუგებარიც კი გახდეს ხალხისათვის, რაც წარმოშობს სალიტერატურო ენის დამოუკიდებლად შესწავლის საჭიროებას. ინგლისური სალიტერატურო ენა ისე დაცვილებულია ინგლისურის დიალექტებისაგან, რომლებიც მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე არიან წარმოდგენილი, რომ ინგლისურენოვანი მოსახლეობა სალიტერატურო ინგლისურს სწავლობს როგორც დამოუკიდებელ ენას. სწორედ სალიტერატურო ინგლისური აერთიანებს ინგლისურენოვან სამყაროს ერთ მთლიანობად და არა ინგლისურის დიალექტები, რომლებიც ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებიან. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს გერმანულენოვან სამყაროში, რადგანაც გერმანულის დიალექტები ისე დაცვილებული არიან ერთმანეთისაგან, რომ მხოლოდ სალიტერატურო გერმანული აერთიანებს გერმანულენოვან სამყაროს ერთ ენობრივ კოლექტივად. თითქმის ასეთვე მდგომარეობა გვაქვს ქართულშიც: ქართველებს, მეგრელებსა და სვანებს ერთ ენობრივ კოლექტივად აერთიანებს სალიტერატურო ქართული, რაც საფუძველი ხდება იმისა, რომ სვანები და მეგრელები ქართველებია ეროვნული თვალსაზრისით.

დრო და დრო საჭირო ხდება სალიტერატურო ენის კორექტირება დიალექტების მიხედვით, რაც განიხილება როგორც რეფორმა სალიტერატურო ენაში. მე-19 ს-ის 60-იან წლებში ქართულ სალიტერატურო ენაში ი. ჭავჭავაძის თაოსნობით განხორციელდა სწორედ ასეთი რეფორმა სალიტერატურო ქართული ენის ხალხურ ქართულ ენასთან დაახლოვების მიზნით. რეფორმა გატარდა დამწერლობაშიც, რადგანაც ამოღებული იქნა ისეთი ასოები, რომელთა

შესატყვისი ბევრები ქართულში აღარ წარმოითქმოდნენ. მაგრამ რეფორმა პირველ რიგში შეეხო სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკასა და ლექსიკას, უარყოფილი იქნა ანტონ კათალიკოსის მიერ ქართულ სალიტერატურო ენაში დანერგილი ხელოვნური გრამატიკული წესები და ამ გზით ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკა დაუახლოვდა ხალხური ქართული ენის გრამატიკას. რეფორმა გატარდა რუსულშიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა სალიტერატურო რუსულის ის მოდელი, რომლითაც დღეს ვსარგებლობთ. ერთი სიტყვით, გარკვეული რეკორმების გატარება სალიტერატურო ენაში აუცილებელია, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში სალიტერატურო ენა ადვილი შესაძლებელია მთლიანად დასცილდეს საერთო სახალხო ენას, ე. ი. გაუგებარი გახდეს ხალხისთვის.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ტერიტორიული და სოციალური დიალექტები. ტერიტორიული დიალექტი ყოველთვის გავრცელებულია რაიმე გეოგრაფიულ არეალში. საკუთრივ ლინგვისტური თვალსაზრისით ტერიტორიული დიალექტი საინტერესოა იმით, რომ მას აქვს თავისებური სისტემა ფონემებისა, ასევე თავისებური გრამატიკული სისტემა და ლექსიკა. ამიტომ ტერიტორიული დიალექტები წარმოადგენენ ერთი და იმავე ენის სხვადასხვა ვარიანტებს. ასე, ქართული ენის თხუთმეტი სხვადასხვა დიალექტი ქართული ენობრივი სისტემის სხვადასხვა ვარიანტებია, ასევე სვანური ენის სხვადასხვა ვარიანტებია მისი დიალექტები: ბალს ზემოური, ბალს ქვემოური, ლაშხური და ლენტეხური. რუსული ენის სხვადასხვა ტერიტორიულ ვარიანტებს წარმოადგენენ ჩრდილოური, შუა და სამხრეთული დიალექტები და ა. შ. ყველა ენას, თუ ის ასე თუ ისე დიდ ტერიტორიაზეა გავრცელებული, ყოველთვის აქვს ასეთი ტერიტორიული დიალექტები, რომლებიც ერთი ენის სხვადასხვა ვარიანტებს წარმოადგენენ. რადგანაც ტერიტორიულ დიალექტს თავისებური ფონემატური სისტემა, გრამატიკა და ლექსიკა აქვს, ამიტომ დროთა განმავლობაში ამგვარი დიალექტისაგან, როგორც ენახეთ, ენაც კი შეიძლება მივიღოთ.

სხვაგვარია სოციალური დიალექტი. ერთსა და იმავე გეოგრაფიულ არეალში შესაძლებელია წარმოადგენილი იყოს სხვადასხვა სოციალური დიალექტი. ეს ნიშანი სოციალურ დიალექტს უკვე განასხვავებს ტერიტორიული დიალექტისაგან, მაგრამ მათ შორის საკუთრივ ლინგვისტური განსხვავებაც არსებობს. სოციალურ დიალექტს თავისი არც ფონემატური სისტემა აქვს და არც გრამატიკა. ამიტომ სოციალური დიალექტისაგან ენა არ მიიღება. ასეთი დიალექტი საერთო სახალხო ენისაგან განსხვავ-

დება მხოლოდ ლექსიკით, რაც დაკავშირებულია სხვადასხვა პროფესიასთან. მაგალითად, თბილისის მეტყველებაში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე სოციალური დიალექტი — მწერლების, მეცნიერების, სტუდენტების, მოსწავლეების, რკინიგზის მუშაკების, მქსოველების, მხატვრების და ა. შ.

სოციალური დიალექტები წარმოადგენენ ე. წ. ჟარგონებს (ფრ. jargon, argot „რომელიმე სოციალური ან პროფესიონალური ჯგუფის ენა“), სლენგებს (ინგ. slang იგივეა, რაც ჟარგონი). ჟარგონები წარმოიშობა პრაქტიკული მოთხოვნების შედეგად, რაც ენობრივი განცალკევებისაკენ მიდრეკილებაში მქლავდება. ამა თუ იმ პროფესიის ხალხისათვის, სოციალური ფენისათვის დამახასიათებელია გარკვეული პროფესიული და სოციალური ხასიათის ლექსიკა, რაც სხვებისთვის გაუგებარია. ასეთია, მაგალითად, ქურდების, მაწანწალების, სტუდენტების, ვაჭრების, მეძავეების და სხვ. ჟარგონები. მეძავეების ჟარგონზე „Канюки ломать“ ქალის ღალატს ნიშნავს, „Когти рвать“ — „გაქცევას“, Комендант — მოხუც პატივსაცემ მეძავეს და სხვ. ჟარგონებში გავრცელებული ზერხია მარცვლების გადასმა და დამატება. ასე, მაგალითად, ერთ ამერიკულ ჟარგონში ყოველი სიტყვის თავკიდურა თანხმოდანი გადადის ბოლოში და მას ემატება — ay (წარმოითქმის [ei]). მაგალითად: That man goes down the street „ეს კაცი ქუჩას მიჰყვება“ ასეთ სახეს იღებს: at-thay an-may ocs-gay own-day e-thay eet-stray.

§ 3. ენის წარმოშობის საკითხი

ენის წარმოშობის საკითხი ტრადიციული პრობლემაა ენათმეცნიერებისა. ამ საკითხით დაინტერესებული იყვნენ ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოსები და ლინგვისტები, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ენის წარმოშობის თავისებური (რელიგიური) თეორია მოცემულია ჯერ კიდევ „ბიბლიაში“. ამ თეორიის მიხედვით ღმერთმა ასწავლა ადამს საგანთა სახელები, თუმცა სხვა ადგილას ლაპარაკია იმაზეც, რომ ადამმა თვითონ დაარქვა სახელები ცხოველებს, ფრინველებსა და საერთოდ უსულო და სულიერ საგნებს.

სტოელთა სკოლამ ძვ. საბერძნეთში სათავე დაუდო ენის წარმოშობის ღრმამატოპოეტურ (ხმაბაძვით) თეორიას, რომლის მიხედვითაც უნო ადამიანმა სულიერ და უსულო საგნებს სახელები შეურჩია იმის მიხედვით, თუ რა ბგერებს გამოსცემენ ისინი, ეი, მიბაძა მათ და შედეგად მივიღეთ ენა. ამ თვალსაზრისის მიხედვით, როგორც ვხედავთ, ენის წარმოშობა იმიტაციის პროცესია. მართლაც, ენებში მრავლად

გვაქვს სმაბადებითი სიტყვები (შდრ. ჭიჭყინი, ბუყ-ბუყი, ბრახა-ბრუხი...), მაგრამ როგორც ვნახეთ, ისინი ენის პერიფერიული ლექსიკაა და არა ძირითადი. გარდა ამისა, ენის წარმოშობა, ლექსიკის გარდა, გრამატიკასა და ფონეტიკას გულისხმობს. როგორ გაჩნდა ენის გრამატიკა ან მისი ფონეტიკური სისტემა, როგორ შეიქმნა ძირითადი ლექსიკა ენისა, ე. ი. ისეთი ლექსიკა, რომელიც ამგვარ მიბაძვას გამორიცხავს (შდრ. ქალი, კაცი, თელა, ძმა, და, თავისუფლება, ლამაზი, კარგი, ხე და სხვა), მოცემული თეორია ამ კითხვებს ვერ პასუხობს.

ანტიკურ ფილოსოფიაშივე დაედო საფუძველი ე.წ. შორისდებულების თეორიას (ეპიკურეელთა სკოლა), რომლის მიხედვით, პირველყოფილმა ადამიანებმა ცხოველური ბგერითი სიგნალები გარდაქმნეს ბუნებრივ ბგერებად. ამ თეორიის მიხედვით, რომელსაც ჟან-ჟაკ რუსოც იზიარებდა, შორისდებულებისაგან არის წარმოქმნილი ყველა სხვა სიტყვა. მაგრამ ენათმეცნიერებას თავისი განვითარების დღევანდელ ეტაპზეც კი არ შეუძლია დაამტკიცოს, რომ არა თუ ყველა ენის, არამედ ერთი ენის ყველა სიტყვაც კი შორისდებულზე დაიყვანებოდეს. მართალია, ესა თუ ის სიტყვა მოცემულ ენაში წარმოშობით შესაძლოა უკავშირდებოდეს შორისდებულებს, მაგრამ ამგვარ შემთხვევათა რიცხვი ძალზე მცირეა და პრაქტიკულად და თეორიულად ამ ფაქტს შესაძლებელია საერთოდ არ გავუწიოთ ანგარიში.

ერთი შეხედვით პარადოქსია, მაგრამ მაინც ფაქტია, რომ რაც უფრო ვითარდება ენათმეცნიერება, რაც უფრო ზუსტი მეცნიერება ხდება იგი, მით უფრო ნელდება ინტერესი ენის წარმოშობის საკითხის მიმართ. პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოება 1866 წ. იმასაც კი აცხადებდა, რომ საზოგადოება არ იღებს მოხსენებებს, რომელიც ენის წარმოშობასა და საყოველთაო ენის შექმნას ეხებაო. საქმე ისაა, რომ ამ სფეროში შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ვარაუდების წამოყენება და ეს იმიტომ, რომ ის პერიოდი, როდესაც პირველყოფილი ადამიანი თანდათანობით ეყოფოდა ცხოველთა სამყაროს და თანდათანობით ეჩვეოდა დანაწევრებული ბგერების წარმოთქმას ელემენტალური ცნებების გამოსახატავად, ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგულია. გარკვეული წარმოდგენა ამ პერიოდის შესახებ შეიძლება მოგვცეს ბავშვის მიერ ენის ათვისების პროცესმა, მაგრამ ენის წარმოშობასა და ბავშვის მიერ ენის ათვისებას შორის პრინციპული განსხვავებაა. ბავშვს აქვს გარკვეული ლინგვისტური ნიჭი, რომლის წყალობითაც იგი ითვისებს იმ ენას, რომელ ენობრივ კოლექტივშიც იზრდება. თვითონ ეს ნიჭი თანდაყოლილი ნიჭია, რაც ბავშვს განასხვავებს ცხოველებისაგან. თანდაყოლილი ლინგვისტური ნიჭი შემდეგში რეალიზდება კონკრეტული ენის ან ენების სახით, ე. ი.

ბავშვი ითვისებს ენას თუ ენებს, რაც ცხოველს არ შეუძლია. პატარა მაიმუნი ადამიანთა საზოგადოებაში რომ გაიზარდოს, იგი მაინც ვერ შეისწავლის ადამიანის ენას. ბავშვი, პირიქით, ენას მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებაში ეუფლება და ცხოველებთან თუ მოხვდება, ამ ნიჭს ვეღარ გამოამჟღავნებს, ე. ი. ენას ვერ აითვისებს. რ. კიპლინგის მაუგული ცხოველებთან გაიზარდა და ამიტომ მას ენაც არ განვითარებია*.

ენის ათვისება, ადღენად, ადამიანისათვის თანდაყოლილ ენობრივ ნიჭსაც გულისხმობს და ენობრივ კოლექტივსაც. თუ ერთ-ერთი გვაკლია, მაშინ ბავშვი ენასაც ვერ ითვისებს.

მაგრამ ერთია ენის ათვისება ბავშვის მიერ და მეორეა ენის წარმოშობა. ბავშვი ენას კი არ ქმნის, არამედ ითვისებს იმ ენას, რომელ ენობრივ კოლექტივშიც ის იზრდება. ენის წარმოშობა კი ენის შექმნაა, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს რომელიმე კონკრეტული ენის, ქართულის ან გერმანულის წარმოშობას. საკითხი უფრო ფართოა და გულისხმობს საერთოდ ენის წარმოშობას, რომელსაც პირობითად შეიძლება ჩვენი პლანეტის პირველი ადამიანის (ბიბლიის მიხედვით) ადამის ენა ვუწოდოთ. მართალია, ასეთი ენა არასოდეს არ არსებულა, მაგრამ ამ ტერმინის შემოტანით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ მაიმუნის გაადამიანება, როგორც ჩანს, ერთ გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში მოხდა, რომელიც ჩვენთვის დღეს უცნობია. დღეს შეიძლება ვამტკიცოთ მხოლოდ ის, რომ მაიმუნის გაადამიანების პროცესი არ შეიძლებოდა ერთბაშად განვითარებულიყო სხვადასხვა კონტინენტებზე, ვთქვათ აზიასა და ამერიკაში. სადღაც რომელიღაც ერთ რეგიონში, როგორც ჩანს, რაღაც ცვლილება მოხდა მაიმუნის გენეტიკურ პროგრამაში, რამაც შემდეგში ადამიანის წარმოქმნამდე მიგვიყვანა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გენეტიკური თვალსაზრისით ენათა მრავალგვარობა არ უნდა გვქონოდნა, სრულიად შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ დღეისათვის ჩვენს პლანეტაზე არსებული ყველა ენა გენეტიკური თვალსაზრისით ერთ ენაზე უნდა დაიყვანებოდეს, ერთი ამოსავალი ენის თანდათანობითი და ეტაპობრივი გარდაქმნის შედეგი უნდა იყოს. ენათა წარმოშობის უნიტარული თეორია, რომელიც „ბიბლიაშია“ მოცემული, თავისთავად სწორი უნდა იყოს, მაგრამ ეს არც იმას ნიშნავს, რომ წინარე – ენა ადამის ენა იყო და არც იმას, რომ ენათმეცნიერებას ჰქონდეს შესაძლებლობა თუნდაც მიახლოებით მაინც აღადგინოს ეს ენა. ჩვენ შეიძლება პიპოთეტურად განვსაზღვროთ მხოლოდ ის, თუ როგორ, რა პირობებში უნდა ამეტყველებულიყო

*რ. კიპლინგი (1852-1936) ინგლ. მწერალი, მისი ამავე სახელწოდების მოთხრობის მოქმედი პირია.

ადამიანი, მაგრამ სრულიად უნაყოფოა იმის დადგენის ცდა, თუ რა ენაზე ამეტყველდა იგი.

ამრიგად ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ორი საკითხი: 1) ამა თუ იმ კონკრეტული ენის წარმოშობა-განვითარება (ვთქვათ, ქართულის), 2) საერთოდ ენის წარმოშობა. თუ ქართულს 4000 ან 5000 წლის ისტორია აქვს, ენის ისტორია მილიონამდე წლით ადრე განისაზღვრება (ადამიანი დედამიწაზე დაახლოებით მილიონი წელია რაც არსებობს). ამჯერად ჩვენ გვინტერესებს არა კონკრეტული ენების წარმოშობის, არამედ საერთოდ ენის წარმოშობის საკითხი როგორც გლოტოგონიური პროცესი (ბერძ. *glossa* „ენა“ და *gōnē, gōnēia* — „წარმოშობა“).

სამწუხაროდ, ენის წარმოშობის პროცესი ჩვენთვის საბუდამოდ დაკარგულია, რადგანაც იგი ხდებოდა პრეისტორიულ ხანაში, მილიონზე მეტი წლის წინ, როდესაც, რა თქმა უნდა, არ იყო დამწერლობა და ამიტომ ენის წარმოშობის შესახებ რაიმე ინფორმაცია არ შემონახულა. ამიტომაც ჩვენ ამჟამად შეიძლება განვსაზღვროთ მხოლოდ ის პირობები, რომელთა გარეშეც ენა ვერ წარმოიქმნებოდა.

გადამწყვეტი ფაქტორია გენეტიკური ფაქტორი. როგორც ჩანს, მაიმუნის რაღაც ჯიშის გენეტიკურ პროგრამაში მოხდა გარკვეული ცვლილება (მუტაცია), რამაც ეს ჯიში განასხვავა მაიმუნთა სხვა ჯიშებისგან და რომლისგანაც შემდეგში ადამიანი წარმოიშვა, ე.ი. ჩამოყალიბდა ისეთი ანატომიური სტრუქტურა, რომ ამ სტრუქტურის მქონე არსება შეუძლებელია არ ალაპარაკებულყო. არსებითია ამ შემთხვევაში ამართული სიარული, რამაც ადამიანის ხორხი გაათავისუფლა და ამ გზით შესაძლებელი გახადა დანაწევრებული ბგერების წარმოთქმა. როგორც ეს ზემოთ ვნახეთ, კონცეპტუალური აზროვნება მთლიანად განპირობებულია დანაწევრებული ბგერებით და მათ გარეშე არ არსებობს. სწორედ ამ გარემოებას უნდა მიენიჭოს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ადამიანს, როგორც ჩანს, განუვითარდა ბგერების დანაწევრების უნარი, რამაც შესაძლებელი გახადა აზროვნების დანაწევრებაც, ე.ი. ვიზუალური აზროვნების გარდაქმნა კონცეპტუალურ აზროვნებად. შრომის როლი ამ პროცესში, როგორც ჩანს, არც თუ ისე დიდი მნიშვნელობისაა, როგორც ეს მარქსისტულ თეორიას მიანია. შრომა დამახასიათებელია, ვთქვათ, ფუტკრებისა და ჭიანჭველებისათვის, მაგრამ მათ კონცეპტუალური აზროვნება მაინც არ განვითარებიათ. მთავარია ამ შემთხვევაში, ვიმეორებთ, ის, რომ ადამიანს არტიკულაციის უნარი განუვითარდა, რამაც შესაძლებელი გახადა ენის წარმოშობა. რომელმაც თავის მხრივ ადამიანი დააპირისპირა ცხოველთა სამყაროსთან.

ადამიანს განუვითარდა დანაწევრების უნარი. მან შეძლო ფსიქიკური

(წარმოდგენები) და ფიზიკური (დაუნაწევრებელი ბგერები) სტრუქტურების გარდაქმნა ენობრივ სტრუქტურად, რითაც გამოეყო კიდეც ცხოველთა სამყაროს და დაუპირისპირდა მას, რადგანაც მხოლოდ ადამიანმა მოახერხა ვიზუალური აზროვნების გარდაქმნა კონცეპტუალურ აზროვნებად. სწორედ კონცეპტუალურმა აზროვნებამ აქცია მაიმუნი ადამიანად. კონცეპტუალური აზროვნება ხომ აზროვნების უმაღლესი საფეხურია თავისი აბსტრაქტული ხასიათის გამო.

ამრიგად, ადამიანის ანატომიურმა სტრუქტურამ და შრომამ განსაზღვრეს ის, რომ ადამიანს, სხვა ცხოველებისაგან განსხვავებით, არტიკულაციის უნარი განუვითარდა, რაც ენის წარმოშობაში გამოიხატა. მხოლოდ ადამიანს გაუჩნდა მოთხოვნილება სახელები დაერქმია საგნებისათვის და ამ გზით არასემიოტიკური ფაქტი სემიოტიკურ ფაქტად ექცია.

ადამიანის ანატომიური სტრუქტურა ისეთია, რომ ბგერითი ენა აუცილებლად პირველადი უნდა ყოფილიყო სხვა ენებთან შედარებით. ამის გახაზვა იმიტომ არის საჭირო, რომ ზოგჯერ საეჭვო ხდება ბგერითი ენის პირველადობის საკითხი.

ინგლისელი ფილოსოფოსი ბერტრან რასელი (Russell) ფიქრობს, რომ ჩვენ არა გვაქვს ფაქტები იმის დასამტკიცებლად, ბგერითი ენა იყო პირველადი თუ დამწერლობა, რადგანაც ორივე მათგანის წარმოშობის საკითხი წინარე ისტორიაში იკარგება და ამიტომ ისტორიას არაფერი შეუძლია თქვას ბგერითი ენის პირველადობის შესახებ. ამავე თვალსაზრისზე დგას დანიელი ენათმეცნიერი ლუი ჰიელმსლევიც. ამ თვალსაზრისს ჩვენშიც ჰყავდა დამცველები. ცნობილია, რომ ნ. მარი ბგერით ენას პირველადად არ მიიჩნევდა. იგი თვლიდა, რომ ადამიანი თავდაპირველად იყენებდა შესტიკულაციის ენას (ხელის ენას), ხოლო ბგერითი ენა შედარებით გვიან გაჩნდა და თანაც მხოლოდ ქურუმების წრეში, რადგანაც ბგერითი ენა საჭირო გახდა ღმერთებთან სალაპარაკოდ.

შესტიკულაციის ენა, როგორც ირკვევა, ცხოველებშიც ერთობ გავრცელებულია, მაგრამ ეს მაინც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ იგი ბგერით ენას დაუპირისპიროთ. მართალია, ნ. მარის თეორია მთლად არ არის მოკლებული საფუძველს, როგორც ეს ადრე ეგონათ, მაგრამ ბგერითი ენა და მაიმუნის გაადამიანება მაინც ერომანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული. როგორც ჩანს, შესტიკულაციის ენა უფრო ძველია, ვიდრე ბგერითი ენა. უფრო ძველია იმიტომ, რომ მას (შესტიკულაციის ენას) ცხოველებიც იყენებენ, მაგრამ კონცეპტუალური აზროვნების წარმოქმნის საკითხი მხოლოდ და მხოლოდ ბგერით ენასთან არის დაკავშირებული და ამიტომ ადამიანის წარმოშობა და ბგერითი ენის განვითარება სინქრონიული პროცესებია, რომლებიც ერთმანეთის

გარეშე გაუგებარია. ამიტომ ბგერითი ენა, მართალია, უფრო გვიან გაჩენილი ჩანს, ვიდრე ექსტიკულაციის ენა, მაგრამ ადამიანის არსებობის ისტორია ბგერითი ენის წარმოშობის შემდეგ იწყება. თუ ეს თვალსაზრისი სწორია, მაშინ უსაფუძვლოა ვამტკიცოთ, რომ თითქოს ბგერითი ენა ქურუმების წრეში შეიქმნა. ბგერითი ენა შრომის პროცესში უნდა შექმნილიყო და არა ქურუმების წრეში, რათა ქურუმებს ცალმხრივი კავშირი დაემყარებინათ ღმერთებთან.

3) *ტომობრივი, ნაციონალური და ინტერნაციონალური ენები.* ერთი ენობრივი კოლექტივი შეიძლება ქმნიდეს ტომს ან ერს. ერთი ტომის ხალხი სისხლისმიერი ნათესაობით უნდა იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ ტომის ამგვარი განსაზღვრა ვარგისია მხოლოდ პირველყოფილი თემური წყობილებისათვის. მაგალითად, სვანები ერთ ტომს ქმნიან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა სვანი ერთმანეთთან სისხლისმიერ ნათესაობაში იმყოფებოდეს. ბარემ ვთქვათ ისიც, რომ სვანური ტომობრივი ენაა, ასევე ტომობრივი ენაა მეგრული, დაღესტნის ტომთა ენები (წახურული, აღლური, რუტულური და სხვ.), ტომობრივია ამერიკელ ინდიელთა ენები (ალგონკინური, იროკეზული, მაიას ენა და სხვ.). საერთოდ ტომობრივი ენები დღესაც კი გაცილებით სჭარბობს რაოდენობრივი თვალსაზრისით ეროვნულ ენებს.

ეროვნული ენა, რა თქმა უნდა, ერს ემსახურება. პირველი ეროვნული ენების წარმოშობა, როგორც ჩანს, პირველი სახელმწიფოების აღმოცენებას ემთხვევა. სახელმწიფოს წარმოქმნა აპირობებს ერების წარმოქმნას, რაც, თავის მხრივ, ნაციონალური ენების წარმოშობას უწყობს ხელს. ასე, მაგალითად, ძვ. რომში დაწინაურდა ცენტრალური ოლქი ლაციუმის სახელწოდებით. ლათინების ექსპანსიის შედეგად ლათინური ენა ძვ. წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან გავრცელდა ჯერ მთელ იტალიაში, ხოლო შემდეგ გაღიაში (თანამედროვე საფრანგეთი), იბერიაში (თანამედროვე ესპანეთი) და დაკიაში (თანამედროვე რუმინეთი).

ძვ. წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნიდან საქართველოში დაწინაურდა ქართლი, რამაც, როგორც ჩანს, ავტომატურად გამოიწვია ქართის ტომის დიალექტის ნაციონალურ ენად ქცევა, რომელიც ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელდა, შემდეგში კი სამხრეთსა და დასავლეთ საქართველოშიც. ასე რომ, ჩვენი წელთაღრიცხვის X ს-ის მოღვაწე გიორგი მერჩულე უკვე ამაყად აცხადებს: „ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულებისო“. ამრიგად, ქართული უკვე მხოლოდ ქართის ტომის ენა კი არ არის, არამედ სხვა ქართველური ტომებისაც, ხოლო საქართველო მარტო ქართლი კი არ არის, არამედ ყველა ის

პროვინცია, სადაც კი წირვა-ლოცვა ქართულად მიმდინარეობს. ერთი სიტყვით, ძე. წელთაღრიცხვის III საუკუნიდან დღემდე ქართული წარმოადგენს ეროვნულ ენას როგორც საკუთრივ ქართველებისათვის, ისე მეგრულ-ჭანებისა და სვანებისთვისაც.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ნაციონალური ენისა და სახელმწიფო ენის ცნებები. ნაციონალური ენა ყოველთვის არ წარმოადგენს სახელმწიფო ენას. ასე, მაგალითად, აფრიკაში რამდენიმე ნაციონალური ენა გვაქვს: სუაჰილი, ჰაუსა, იორუბა, მანდე, ევე და სხვა, მაგრამ არც ერთი მათგანი სახელმწიფო ენას არ წარმოადგენს. ეს ენები ისწავლება მხოლოდ დაბალ კლასებში. მაღალი კალსებიდან იწყება სახელმწიფო ენების შესწავლა, რომელიც ან ინგლისურია, ან ფრანგული. მაგრამ ეს ევროპული ენები ნაციონალურ ენებს არ წარმოადგენენ აფრიკელებისათვის. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ინდოეთშიც, სადაც ჰინდი, ბენგალური და სხვა ნაციონალური ენებია და არა სახელმწიფო, რომლის ფუნქციას აქ ინგლისური ასრულებს.

ნაციონალური ენების გვერდით გვაქვს ინტერნაციონალური ენებიც. ინტერნაციონალური ენები ცალკე არ არსებობენ.* ამგვარი ენების ფუნქციებს ესა თუ ის ნაციონალური ენა ასრულებს. ასეთი ნაციონალური ენები, რომლებიც ინტერნაციონალური ენების ფუნქციებსაც ასრულებენ, დღეისათვის შემდეგია: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, რუსული, ჩინური. ინტერნაციონალური ენები ადრეც გვქონდა. შუა საუკუნეებში ლათინური წარმოადგენდა ინტერნაციონალურ ენას კათოლიკური ევროპისათვის, ხოლო არაბული — მაჰმადიანური სამყაროსათვის.

ხშირად სვამენ საკითხს ერთი ინტერნაციონალური ენის შესახებ, რომელზეც თითქოს უნდა ალაპარაკდეს მთელი კაცობრიობა. მიაჩნიათ, რომ ერები ისე დაუახლოვდებიან ერთმანეთს, რომ მათ შორის მოიშლება როგორც სახელმწიფოებრივი, ისე ენობრივი საზღვრებიც, რომ ჩამოყალიბდება ერთი ერი, რომელიც მხოლოდ ერთ ენაზე ილაპარაკებს და ამ გზით ბოლო მოელება მარაგალენიანობის შემაწუხებელ ფაქტს ჩვენს პლანეტაზე. ეს ენა თითქოს არ იქნება არც ინგლისური, არც ჩინური და არც სხვა რომელიმე, არამედ რაღაც სრულიად ახალი ენა, რომელიც არ დაემთხვევა არც ერთ დღეისათვის ცნობილ ენას.

მაგრამ ასეთი ზოგადსაკაცობრიო ენა, რომელზეც ერთგვარად ილაპარაკებდნენ, ვთქვათ კახელები და კალიფორნიელები (აშშ), შეუძლებელია შეიქმნას და თვითონ საკითხის დასმაც ამგვარი ენის შექმნის შესახებ არამეცნიერულია. ის, ვინც ზოგადსაკაცობრიო ენის

* ცალკე შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ხალხური ინტერნაციონალური ენა (ესპერანტო), რომელიც არ წარმოადგენს რომელიმე ერის ან ტომის მშობლიურ ენას

შექმნის საკითხს აყენებს, კარგად არ იცნობს ენის ბუნებას და არ იცის, რომ ენა ისტორიული კატეგორიაა, რომელიც არ შეიძლება დროში არ იცვლებოდეს. კიდევ რომ შესაძლებელი გახდეს მთელი კაცობრიობის ერთ ენაზე ალაპარაკება, გავა დრო და მანც მრავალენიანობას მივიღებთ, რადგანაც ასეთ სავარაუდო ინტერნაციონალურ ენას გაუნდება თავისი დიალექტები, რომლებიც შემდეგში დამოუკიდებელ ენებად გარდაიქმნებიან. ამიტომ ფუჭია იმაზე ოცნება; თუ როგორ გადავიყვანოთ მთელი კაცობრიობა ერთ ინტერნაციონალურ ენაზე, რომელიც მშობლიური ენა იქნებოდა ყველასათვის და რომელიც შეეცვლათა დღეისათვის არსებულ ყველა ენას. ამ იდეას განხორციელება არ უწერია პრაქტიკულად და მთლიანად უსაფუძვლოა იგი თეორიულად.

§ 4. მშობლიური ენა

ამ ბოლო დროს განსაკუთრებით აქტუალური გახდა მშობლიური ენის საკითხი და მასთან დაკავშირებული პრობლემები. ამ საკითხის ირგვლივ, მართალია, ცხარე დისკუსიები იმართება, მაგრამ მშობლიური ენის საკითხი გაურკვეველი რჩება. ეს არცაა შემთხვევითი, რადგანაც თანამედროვე ენათმეცნიერებას რაიმე გარკვეული თვალსაზრისი მშობლიური ენის შესახებ არ დაუმუშავებია. გაურკვეველია რა სახის მოვლენაა მშობლიური ენა — სოციალური თუ ბიოლოგიური თუ ორივე ერთად, ემთხვევა თუ არა ყოველთვის მშობლიური ენა ბავშვის პირველ ენას ანდა რამდენი მშობლიური ენა შეიძლება ადამიანს და სხვ.

მშობლიური ენის საკითხი ორგანულადაა დაკავშირებული ბავშვის მიერ პირველი ენის შეთვისების საკითხთან და ამიტომ პირველ რიგში ჩვენ ამ პრობლემას შევეხებით.

ბავშვის მიერ ენის შეთვისების შესახებ არსებობს ორი სხვადასხვა თეორია — ტრადიციული და თანამედროვე. ტრადიციული თეორიის მიხედვით, რომლის დამუშავებაში განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის ჟ. პიაჟეს და მის სკოლას, ახალდაბადებული ბავშვი ლინგვისტური თვალსაზრისით წარმოადგენს სუფთა დაფას (tabula rasa). მაგრამ ბავშვს, ცხოველისაგან განსხვავებით, აქვს უნარი შეითვისოს ნებისმიერი ენა იმის მიხედვით, თუ რომელ ენობრივ კოლექტივში იზრდება იგი. ამ თვალსაზრისის მიხედვით ბავშვის მშობლიური ენა შეიძლება გახდეს ნებისმიერი ენა. თუ, მაგალითად, ახალდაბადებული ქართველი ბავშვი ჩინეთში მოხვდება და იქ გაიზრდება, მისი მშობლიური ენა სათანადოდ ჩინური იქნება და არა ქართული. ასევე თუ ახალდაბადებული ჩინელი ბავშვი საქართველოში მოხვდება, მისი მშობლიური ენა ქართული იქნება. ბავშვს ცხოველებისაგან განსხვავებს მეტყველების ნიჭი,

რომელიც გარკვეულ ასაკში რეალიზდება. თუ ცხრა წლამდე ბავშვმა ვერ ისწავლა რომელიმე ენა, მაშინ იგი საერთოდ ვეღარ ისწავლის მას.

მორე თეორიის მიხედვით, რომელსაც სათავე ე. ლენებერგმა და ნ. ზომსკიმ დაუდეს, ახალდაბადებულ ბავშვს თან დაჰყვება გარკვეული ლინგვისტური პროგრამა (თანდაყოლილი იდეები) და ამ პროგრამაზე დაყრდნობით ბავშვი ასერხებს მშობლიური ენის გრამატიკის კონსტრუირებას. ნ. ზომსკის აზრით, ეს თანდაყოლილი პროგრამა არის არა მშობლიური ენის (ინგლისური, რუსული, ჩინური, ქართული და სხვა) მოდელი, არამედ უნივერსალური გრამატიკა. მთავარია ამ შემთხვევაში ის, რომ ე. ლენებერგისა და ნ. ზომსკის აზრით, ახალდაბადებული ბავშვი ლინგვისტური თვალსაზრისით არ წარმოადგენს სუფთა დაფას, რადგანაც მას თან დაჰყვება გარკვეული გენეტიკური პროგრამა, მაგრამ გასარკვევია, თუ რა სახის არის ეს პროგრამა.

ჩვენი აზრით, თანდაყოლილი ლინგვისტური პროგრამა შეიძლება იყოს მხოლოდ მშობლიური ენა და არა უნივერსალური გრამატიკა. ბავშვს, როგორც ჩანს, დაბადებისას თან დაჰყვება მშობლიური ენის გენეტიკური პროგრამა, რომელიც შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ნეიროლინგვისტური სისტემის სახით და რომლის რეალიზაციასაც ბავშვი თანდათანობით ახდენს კომუნიკაციის პროცესში. თანდაყოლილი ლინგვისტური პროგრამა არის სწორედ ის მეტყველების ნიჭი, რაც ადამიანს ცხოველებისაგან განასხვავებს და ბავშვს შესაძლებლობას აძლევს დაეუფლოს თავის მშობლიურ ენას. წინააღმდეგ შემთხვევაში მეტყველების ნიჭის ცნება გაუგებარი იქნებოდა. მართალია, მეტყველების ნიჭის ცნება ხშირად გამოიყენება, როდესაც ბავშვის ენის საკითხზე მიდის მსჯელობა, მაგრამ არავის სერიოზულად არ გაურკვევია, თუ რა არის თვითონ მეტყველების ნიჭი. იგი (მეტყველების ნიჭი) არ შეიძლება იყოს რაღაც აბსტრაქტული უნარი, რადგანაც ასეთი უნარები არ არსებობენ. მეტყველების ნიჭი შეიძლება წარმოადგენილი იყოს მხოლოდ გარკვეული პროგრამის სახით და ამიტომ იგი ან უნივერსალურ გრამატიკას უნდა ემთხვეოდეს, ანდა მშობლიური ენის მოდელს. უნივერსალური გრამატიკა ცალკე არ არსებობს, იგი, ასე ვთქვათ, კონკრეტულ ენებშია გაფანტული, კონკრეტული ენები უნივერსალური ენობრივი სტრუქტურის სხვადასხვა რეალიზაციას წარმოადგენენ და ამიტომ მათში (კონკრეტულ ენებში) შეუძლებელია არსებობდეს ისეთი რამ, რაც უნივერსალური ენობრივი სტრუქტურის მიხედვით დაუშვებელი იქნება. მიუხედავად ამისა, უნივერსალური გრამატიკული სისტემა

დამოუკიდებლად არ არსებობს და ამიტომ მეტყველების ნიჭი ანუ თანდაყოლილი ლინგვისტური პროგრამა შეიძლება ემთხვეოდეს მხოლოდ მშობლიური ენის მოდელს.

ამრიგად, ახალდაბადებულ ბავშვს თან უნდა დაჰყვებოდეს მშობლიური ენის გენეტიკური პროგრამა ნეიროლინგვისტური სისტემის სახით. ამგვარი დაშვება აუცილებელია ორი მიზეზის გამო.

1) სხვადასხვა პრინციპი ედება, ერთი მხრივ, დამწერლობის, მხატვრული ლიტერატურის თუ მათემატიკის და, მეორე მხრივ, ბგერითი ენის შესწავლას ბავშვის მიერ. დამწერლობის, მხატვრული ლიტერატურის, მათემატიკისა და სხვ. შესწავლის დროს ბავშვს უკვე აქვს ისეთი მძლავრი იარაღი, როგორცაა ენა. ენის საშუალებით ბავშვი ითვისებს როგორც დამწერლობას, ისე მხატვრულ ლიტერატურას, მათემატიკას და სხვ. ერთი სიტყვით, ბავშვს არა აქვს რაიმე გენეტიკური პროგრამები მათ შესასწავლად, მაგრამ ამ პროგრამების მაგივრობას ეწევა ენა, რომელზე დაყრდნობითაც ბავშვი ითვისებს ყველგვარ არალინგვისტურ ცოდნას.

სხვა მდგომარეობა გვაქვს ენის შესწავლის დროს. ამ სტადიაზე ბავშვს არა აქვს რაიმე სხვა საშუალება, რაიმე სხვა ბაზა, რომელიც საფუძველი გახდებოდა ენის შესწავლისათვის. ამიტომ ბავშვის მიერ პირველი ენის დაუფლების პროცესი, როგორც პარადოქსულადაც არ უნდა გეჩვენოს ეს თვალსაზრისი, ენას უკვე მოცემულად ეარაუდობს. ბავშვი რომ ენას დაეუფლოს, მას უნდა ჰქონდეს ენა. მაგრამ ბავშვს ამ ეტაპზე ენა შეიძლება ჰქონდეს არა საკომუნიკაციო სისტემის, არამედ თანდაყოლილი პროგრამის სახით და, ამდენად, ბავშვის მიერ პირველი ენის დაუფლების პროცესი ლოგიკურად გულისხმობს გენეტიკურ ლინგვისტურ პროგრამას. საწინააღმდეგო შემთხვევაში ბავშვი ენას ვერ ისწავლიდა ისევე, როგორც ცხოველი. უფრო მეტიც, ადამიანიცა და ცხოველიც ენას სწავლობს გარკვეული თანდაყოლილი პროგრამების მიხედვით. კატის კნუტი რომ კნავილს სწავლობს, ხოლო ძაღლის ლეკვი — ყუფას, ეს მათი თავისებურებებითაა განპირობებული, გარკვეული გენეტიკური პროგრამების რეალიზაციაა. ასევე გენეტიკურადაა განპირობებული ის ფაქტიც, რომ ქართველი ბავშვი ქართულს სწავლობს, რუსი — რუსულს, ჩინელი — ჩინურს და ა. შ. როგორც კატის კნუტს ან ძაღლის ლეკვს აქვს თანდაყოლილი პროგრამები კნავილის ან ყუფის შესასწავლად, ასევე ახალდაბადებულ ქართველ ბავშვსაც აქვს ქართული ენის თანდაყოლილი პროგრამა, რომლის მიხედვითაც იგი ქართულ ენას სწავლობს, რუს ბავშვს სათანადოდ რუსული ენის თანდაყოლილი პროგრამა აქვს, ჩინელს — ჩინურისა და სხვ. ერთი სიტყვით, მშობლიური

ენის შესწავლა თანდაყოლილი პროგრამის მიხედვით ხდება.

2) როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავენ ამერიკელი ფსიქოლოგები პ. ლინდსეი და დ. ნორმანი „სიტყვების პირველი დღეებიდანვე ბავშვს თავს ატყობდა გრამატიკულად სწორი წინადადებების, ფრაზების არასწორი ნაწყვეტების, არასრული გამონათქვამების, კთხვების და ბოლოს ენის მოჩლექის საოცარი ნარევი. ამ სიტყვიერი ვინეგრეტიდან ბავშვმა უნდა გამოყოს წესები, რომლებიც მართავენ ცნებებისა და მიმართებების შესახებ ინფორმაციის გადაცემას“.

ერთი სიტყვით, ბავშვს ენა ეძლევა არა უშუალოდ, არამედ ცალკეული გრამატიკულად სწორი თუ არასწორი ფრაზების სახით, ე.ი. მეტყველების სახით და ამ „სიტყვიერი ვინეგრეტიდან“ ბავშვმა უნდა გამოყოს ენა, ე.ი. გარკვეული წესების სისტემა, რომლის მიხედვითაც ბავშვი ახერხებს წინადადებების წარმოქმნას. ამ „სიტყვიერი ვინეგრეტიდან“ არა თუ ბავშვი, არამედ მოზრდილიც კი ვერ მოახერხებდა ენის გამოყოფას, თუ წინასწარვე არ ექნებოდა შესწავლილი ენის მოდელი თანდაყოლილი ლინგვისტური პროგრამის სახით. ამიტომ რა კუთხიდანაც არ უნდა შევხედოთ ბავშვის მიერ მშობლიური ენის შეთვისების პროცესს, თანდაყოლილი ლინგვისტური პროგრამის დაშვება აუცილებელია, რადგანაც საწინააღმდეგო შემთხვევაში ბავშვი უბრალოდ ვერ ისწავლიდა ენას, ვერც მშობლიურსა და ვერც უცხოურს.

მშობლიური ენის თანდაყოლილი პროგრამა შეუძლებელია წარმოადგენდეს საკომუნოკაციო საშუალებას. ეს პროგრამა უნდა არსებობდეს მხოლოდ როგორც ნეიროლინგვისტური სისტემა და ამიტომ იგი საკომუნიკაციო საშუალებად ვერ გამოდგება. არადა, გარკვეულ ასაკში ბავშვს უწინდება მოთხოვნილება კომუნიკაციის დამყარებისა, რაც შესაძლებელია მხოლოდ თანდაყოლილი ლინგვისტური პროგრამის რეალიზაციის გზით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბავშვი გენეტიკურ ლინგვისტურ პროგრამას საკომუნიკაციო სისტემად გარდაქმნის. მაგრამ გარდაქმნის ეს პროცესი ხორციელდება მხოლოდ საზოგადოებაში, მხოლოდ საზოგადოებაში ხდება თანდაყოლილი ლინგვისტური პროგრამის გაღვივება, რის შედეგადაც ბავშვი ეუფლება თანდაყოლილი ლინგვისტური პროგრამის მშობლიურ ენად გარდაქმნის წესებს.

მშობლიური ენა ჩვენ უნდა განვსაზღვროთ როგორც ურთიერთცალსახა შესატყვისობა თანდაყოლილ ლინგვისტურ პროგრამასა და საკომუნიკაციო ბგერით ენას შორის. ამიტომ მშობლიური ენა არ არის მხოლოდ საკომუნიკაციო სისტემა, მხოლოდ სოციალური მოვლენა, იგი ამავე დროს ბიოლოგიური მოვლენაც არის, რადგანაც მის ცნებაში გენეტიკური ლინგვისტური პროგრამაც შემოდის. ყველა ენა მშობლიურია

და ამიტომ ენა საერთოდ ერთდროულად ბიოლოგიური მოვლენაც არის და სოციალურიც. ბიოლოგიურია, ვიმეორებთ, იგი როგორც გენეტიკური ლინგვისტური პროგრამა და სოციალური – როგორც საკომუნიკაციო საშუალება.

ამრიგად, ბავშვი დაბადებამდე დაპროგრამებული იმისათვის, თუ რომელი ენა უნდა ისწავლოს მან მომავალში. ქართველი ბავშვი დაპროგრამებულია ქართულისათვის, რუსი – რუსულისათვის, იაპონელი – იაპონურისათვის, ვიეტნამელი – ვიეტნამურისათვის და ა. შ. ახალდაბადებულ ბავშვს უკვე აქვს ენა, მაგრამ მხოლოდ როგორც ბიოლოგიური სისტემა, რომელსაც ადამიანთა საზოგადოებაში იგი საკომუნიკაციო სისტემად გარდაქმნის.

მშობლიური ენის არჩევა, ამრიგად, ბავშვისთვის პირობადებულია გენეტიკური პროგრამის მიხედვით. ქართველი ბავშვისთვის მშობლიური ქართული ენა ნაგულისხმევაა უკვე გენეტიკური პროგრამით ისევე, როგორც, ვთქვათ, მამლისათვის – ყვილი, ბულბულისათვის – გალობა, ძაღლისათვის ყეფა და ა.შ., მაგრამ მათ შორის მანც არის განსხვავება. მამლის ყვილი ან ძაღლის ყეფა მხოლოდ ბიოლოგიური მოვლენაა და არა სოციალური. ქართველისათვის ან რუსისათვის კი მშობლიური ენის არჩევა ერთდროულად ბიოლოგიურიც არის და სოციალურიც. ამიტომ ახალდაბადებული ძაღლის ლეკვი სადაც არ უნდა გაიზარდოს, მაინც ყეფას ისწავლის, მაგრამ ახალდაბადებული ქართველი ბავშვი, თუ იგი, ვთქვათ, ინგლისურ ენობრივ კოლექტივში მოხვდება, ინგლისურს ისწავლის და არა ქართულს. ასევე ახალდაბადებული ბავშვი თუ ცხოველებში გაიზრდება, იგი საერთოდ ვერ ისწავლის რომელიმე ენას. მეცნიერებისათვის ცნობილია ფაქტები, როდესაც ბავშვები გაზარდეს მგლებმა, ლეოპარდებმა, დათვებმა, მაიმუნებმა და ცხვარმაც კი, მაგრამ ამ ბავშვებს ენა არ უსწავლიათ. ისინი (ბავშვები), მართალია, გამოსცემდნენ ბგერით სიგნალებს, მაგრამ ვერ ლაპარაკობდნენ რომელიმე ენაზე. აქედან დასკვნა: თანდაყოლილი ლინგვისტური პროგრამა ენად ჩამოყალიბდება მხოლოდ საზოგადოებაში, ე.ი. გენეტიკური ლინგვისტური პროგრამა საკომუნიკაციო სისტემად მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებაში გარდაიქმნება.

ამრიგად, ახალდაბადებული ქართველი ბავშვი თუ ინგლისში ან ჩინეთში გაიზრდება, იგი, რა თქმა უნდა, ინგლისურს ან ჩინურს ისწავლის. სხვა საკითხია, გახდება თუ არა ინგლისური ან ჩინური ასეთი ბავშვისათვის მშობლიური ენა. თუ მშობლიური ენა ურთიერთოცალ სახაა შესატყვისობას გულისხმობს თანდაყოლილ ლინგვისტურ პროგრამასა და საკომუნიკაციო ენობრივ სისტემას შორის, მაშინ ინგლისური

ან ჩინური ვერ გახდება ქართველი ბავშვის მშობლიური ენა. ეს ენები ქართველი ბავშვისათვის იქნება მხოლოდ საკომუნიკაციო სისტემა და არა მშობლიური ენა, რადგანაც ქართველ ბავშვს გენეტიკური ლინგვისტური პროგრამა ქართული ექნება, ხოლო საკომუნიკაციო ენობრივი სისტემა ინგლისური ან ჩინური. ერთი სიტყვით, ქართველმა ბავშვმა შესაძლებელია ზედმიწევნით კარგად შეითვისოს ინგლისური ან ჩინური, მაგრამ ეს ენები და საერთოდ ყველა სხვა არაქართული ენა ბავშვისათვის მშობლიური ენა ვერ გახდება, რადგანაც მას (ქართველ ბავშვს) შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ქართულის შესატყვისი გენეტიკური პროგრამა და, ამდენად, არც ერთ სხვა ენას არ შეიძლება მიენიჭოს მშობლიური ენის სტატუსი ქართველი ბავშვისათვის. როგორც არ უნდა უყვარდეს გერს თავისი დედინაცვალი, ეს უკანასკნელი მაინც ვერ გახდება დედა გერის მიმართ. ასევე უცხოური ენა ვერ გახდება მშობლიური ქართველი ბავშვისათვის, თუნდაც მან სრულყოფილად ისწავლოს იგი. ამიტომ თუ ქართველი ბავშვი ქართულს არ ისწავლის, იგი საერთოდ მშობლიური ენის გარეშე დარჩება. ასევე ჩინელიც თუ ჩინურს არ ისწავლის, მას მშობლიური ენა არ განუვითარდება. ამიტომ მშობლიური ენა ყოველთვის არ უდრის პირველ ენას. პირველი ენა შეიძლება არამშობლიურიც იყოს, ე.ი. ბავშვს საერთოდ არ განუვითარდეს მშობლიური ენა.

ამრიგად, მშობლიური ენა ისეთი სოციალური მოვლენაა, რომელსაც ღრმად აქვს ვადგმული ფესვები გენეტიკაშიც. ვადაუჭრებლად შეიძლება ითქვას, რომ მშობლიური ენა ნაციონალური გენის რეალიზაციაა. ქართული ენა, ამდენად, არ არის უბრალო საკომუნიკაციო სისტემა, რომელსაც ქართული ენობრივი კოლექტივი იყენებს; ქართული ენა პირველ რიგში ქართული ნაციონალური გენის ლინგვისტური გამოვლენაა. თავის დროზე ვ. ფონ ჰუმბოლდტი ტოლობის ხაზს აკლებდა ნაციონალურ სულსა და ენას შორის და აღნიშნავდა, რომ „ენა ხალხისა თითქოს სულის გარეგანი გამოვლენაა; ენა ხალხისა არის მისი სული და სული ხალხისა არის მისი ენა — ძნელია წარმოვიდგინოთ ერთმანეთის უფრო იგივეური ორი სხვა რაიმე მოვლენა“. შესაძლებელია ვ. ფონ ჰუმბოლდტის ეს თვალსაზრისი იდეალისტურად მოგვეჩვენოს, მაგრამ თუ სულის ცნებაში გენს ვიგულისხმებთ, მაშინ იდეალიზმისათვის ადგილი აღარ დარჩება და შესაძლებელი იქნება დავასკვნათ, რომ ვ. ფონ ჰუმბოლდტს ფაქტიურად ლაპარაკი აქვს ნაციონალური გენისა და ენის იდენტობაზე. მართალია, ნაციონალური გენის ცნება შესაძლოა უფრო ფართო იყოს, ვიდრე მშობლიური ენაა, მაგრამ საკითხის ასე დასმის შემთხვევაშიც ენა მაინც დარჩება ნაციონალური გენის გამოვლენად. მაშასადამე, ქართული ქართველი კაცისათვის გენეტიკურად

განპირობებული ლინგვისტური სისტემა და ამიტომ ქართული რომ ქართულად ლაპარაკობს, ეს ფაქტი არ არის მხოლოდ სოციალური მოვლენა, მას (ქართულ ენას) მჭიდრო კავშირი აქვს ქართული კაცის გენეტიკურ ტიპთან. თუ ბუღბუღისათვის გალობა გენეტიკურად არ არის განპირობებული, ქართველი კაცისათვის ასევე გენეტიკურად პირობადებულია ის, რომ ქართულად უნდა ლაპარაკობდეს. ქართველი კაცის გენეტიკური ტიპის შესატყვისი ენობრივი სისტემა ქართულია და არა რუსული ან ჩინური. ამიტომ ქართველის მშობლიური ენა მხოლოდ ქართული შეიძლება იყოს. ამავე მიზეზის გამო რუსისათვის მშობლიური ენა შეიძლება იყოს მხოლოდ რუსული, ჩინელისათვის — ჩინური, იაპონელისათვის — იაპონური და ა. შ.

მშობლიურ ენას ღრმად აქვს გადგმული ფესვები ადამიანის გენეტიკურ სტრუქტურაში და ამიტომ გარკვეულ გენეტიკურ ტიპს გარკვეული მშობლიური ენა შეესატყვისება. შეუძლებელია ჩინური გახდეს ქართველების მშობლიური ენა ანდა, პირიქით. არა თუ ჩინური, არამედ რუსულიც კი შეუძლებელია ქართველთა მშობლიურ ენად მოგვევლინოს, რადგანაც ერთმანეთისაგან განსხვავებულია ქართული და რუსული გენეტიკური ტიპები. ჩვენ ამ გარემოებას გავხაზავთ იმიტომაც, რომ ამ ბოლო დროს მსჯელობის საგანი გახდა ორი მშობლიური ენის საკითხი. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ვთქვათ, ქართველს შესაძლებელია აქონდეს ორი მშობლიური ენა: ქართული და რუსული, სომეხს — სომხური და რუსული და ა. შ. მაგრამ ორი მშობლიური ენის საკითხი უაზრობაა და იგი ეწინააღმდეგება თვითონ მშობლიური ენის იდეას. ქართველისათვის, თუ, რა თქმა უნდა, მისი გენეტიკური ტიპი არ შეიცვლება, რუსული ვერ გახდება მშობლიური ენა, რადგანაც ქართულ გენეტიკურ ტიპს ქართული ენა შეესატყვისება და არა რუსული. ამიტომ ქართველი, მართალია, კარგად ეუფლება რუსულს როგორც საკომუნიკაციო სისტემას, მაგრამ იგი ვერასდროს ვერ შეითვისებს რუსული ენის გენეტიკურ ლინგვისტურ პროგრამას, რადგანაც ეს პროგრამა რუსული გენეტიკური ტიპის შესატყვისია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსული ვერ გახდება ქართველისათვის მკარავ მშობლიური ენა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ქართველი ზედმიწევნით კარგად დაეუფლება რუსულს. ადამიანს აქვს უნარი უცხოური ენა შეითვისოს მხოლოდ როგორც საკომუნიკაციო სისტემა და არა როგორც მშობლიური ენა და ეს იმიტომ, რომ მშობლიური ენა უფრო მეტაა, ვიდრე საკომუნიკაციო სისტემის ცნება. მშობლიური ენა, როგორც უკვე არაერთგზის იყო აღნიშნული, გენეტიკურ ლინგვისტურ პროგრამასაც მოიცავს, რომლის შეთვისება შეუძლებელია. გენეტიკური ლინგვისტური პროგრამა მხოლოდ

თანდაყოლილი შეიძლება იყოს და ამიტომ იმთავითვე გამორიცხულია მისი შექმნა.

ამრიგად, ადამიანი შესაძლებელია წარმატებით დაეუფლოს უცხოურ ენას როგორც საკომუნიკაციო სისტემას, მაგრამ იგი ვერ დაეუფლება იმ გენეტიკურ ლინგვისტურ პროგრამას, რომელიც საფუძვლად უდევს უცხოურ ენას და რომელიც მხოლოდ მემკვიდრეობით გადაეცემა. ამიტომ ტრადიციული თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ბავშვი წარმოადგენს სუფთა დაფას და, მაშასადამე, მისი მშობლიური ენა იქნება ნებისმიერი საზოგადოების ენა, რომელშიც ეს ბავშვი გაიზრდება, თავიდან ბოლომდე მცდარია. ბავშვი არ არის სუფთა დაფა, რადგანაც მას თან დაჰყვება გენეტიკური ლინგვისტური პროგრამა და ამიტომ მშობლიური ენის არჩევა არ არის შემთხვევითი, იგი დეტერმინირებულია გენეტიკური თვალსაზრისით. თანდაყოლილი ლინგვისტური პროგრამა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ როგორც ნეირო-ლინგვისტური სისტემა და ამიტომ თანდაყოლილ ლინგვისტურ პროგრამას პირდაპირი კავშირი აქვს აზროვნებასთან. თუ საკომუნიკაციო ენობრივი სისტემა და თანდაყოლილი ლინგვისტური პროგრამა ერთმანეთს შეესატყვისება, მაშინ გვექნება კოჰერენტობის მიმართება (ლათ. cohaerens კავშირში მყოფი), მაგრამ თუ მათ შორის შესატყვისობა არ მყარდება, მაშინ გენეტიკურ ლინგვისტურ პროგრამასა და საკომუნიკაციო ენობრივ სისტემას შორის არაკოჰერენტული მიმართება გვექნება. თავისთავად ცხადია, რომ კოჰერენტობის პრინციპი განხორციელებული იქნება მხოლოდ მშობლიურ ენაში. რაც შეეხება უცხოურ ენას, იგი არაკოჰერენტულია მშობლიური ენის თანდაყოლილი პროგრამის მიმართ. ამიტომ მშობლიური ენის თანდაყოლილი ლინგვისტური პროგრამა და საკომუნიკაციო სისტემა ერთმანეთთან თანხმობაშია, რაც აპირობებს იმას, რომ მშობლიურ ენაზე ლაპარაკი და აზროვნება ბუნებრივად და ლაღად მიმდინარეობს და თანაც ნაკლები ძალისხმევით. არამშობლიურ ენაზე ლაპარაკი და აზროვნება, პირიქით, რაღაც ხელოვნურის შთაბეჭდილებას ტოვებს, შედარებით უფრო დიდი ძალისხმევა სჭირდება და ამიტომ უფრო მომქანცველიცაა და მოსაბეზრებელიც. ეს არც არის გასაკვირი. არამშობლიური ენა კოჰერენტული არა არის თანდაყოლილი ლინგვისტური პროგრამისა და ამიტომ მასზე ლაპარაკიცა და აზროვნებაც, რა თქმა უნდა, უფრო ძნელია და არაბუნებრივი.

რადგანაც კოჰერენტობის პრინციპი მხოლოდ მშობლიურ ენაშია დაცული, ამიტომ ბავშვის ინტელექტუალური განვითარება უნდა ხდებოდეს მხოლოდ მშობლიურ ენაზე. საწინააღმდეგო შემთხვევაში ენა და აზროვნება არაკოჰერენტული სიდიდეები აღმოჩნდებიან, რაც, რა თქმა

უნდა, უარყოფით გავლენას მოახდენს ბავშვის როგორც გონებრივ, ისე ლინგვისტურ განვითარებაზე. როგორც ჩანს, დიდი პედაგოგები ინტუიციონისა და პრაქტიკის მიხედვით ყოველთვის გრძნობდნენ მშობლიური ენის უპირატესობას ბავშვის გონებრივი განვითარების საქმეში. კ. უმინსკი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „ყრმა, რომელიც დედაენას შეისწავლის, ცხოვრებაში განუზომელი ძალებით შედის. მშობლიურ ენას რომ სწავლობს, ბავშვი ეუფლება არა მარტო პირობით ბგერებს, არამედ დედაენის მშობლიური ტუბუდან იწოვს სულიერ ცხოვრებასა და ძალას“. დიდი იაკობ გოგებაშვილი კიდევ უფრო მეტი კატეგორიულობით გახაზავს მშობლიური ენის უპირატესობას ბავშვის გონებრივი განვითარებისათვის: „დედა ენა, როგორც ბუნებითი იარაღი გონებისა, – წერს ი. გოგებაშვილი, – მტკიცედ შეკავშირებული ადამიანის სულთან და ხორცთან, უკეთესი ღონისძიებაა ნორმალური გონებითი და ზნეობითი გახსნისათვის. ვინც ზედმიწევნით არ სწავლობს თავის ენას, ის ვერასდროს ვერ მიეწევა ჯეროვან სიღრმეს აზრისას და გრძნობისას და იქნება მეტნაკლებობით ფუქსავატი არსება, თუნდაც რომ მთელი დუჟინი უცხო ენები იცოდეს“. ერთ თავის ნაწარმოებში აკ. წერეთელი მე-19 ს-ის 40-იანი წლების განათლების სისტემას ეხება და ასეთ საინტერესო აზრებს გვთავაზობს: „მაშინდელმა პედაგოგებმა შენიშნეს, რომ სკოლებში ისინი უკეთ სწავლობდნენ და უკეთ ითვისებდნენ რუსულსაც, ვინც დედა-ენა იცოდა და ქართულ წერა-კითხვაში პქონდა გატეხილი თვალი; და ვისაც პირდაპირ უცხო ენაზე დააწყებინებდნენ სწავლას, ისინი ჩამორჩენილი იყვნენ და გონებაც ურღუნგდებოდათ. ეს რომ გაიგო ვორონცოვმა, ბრძანა, რომ ქართველი ყმაწვილებისათვის ჯერ, პირველ ხანებში, დედა-ენა ესწავლებინათ და მერე გადაეყვანათ უცხოზე.“ ჩვენ რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ვამტკიცებთ იმას, რომ ქართველი ბავშვის ინტელექტუალური განვითარება ან „გონებითი გახსნა“, როგორც ამას დიდი იაკობი იტყობდა, უნდა ხდებოდეს ქართულ ენაზე, რადგანაც მხოლოდ ქართული ენა მოდის თანხმობაში ქართველისათვის დამახასიათებელ გენეტიკურ ლინგვისტურ პროგრამასთან, მხოლოდ ქართული არის ქართველი ბავშვის აზროვნების „ბუნებითი იარაღი“. თუ ქართველი ბავშვი განათლებას რუსულ ენაზე მიიღებს, მისი გონება ისე ვერ განვითარდება, როგორც ეს მოხდებოდა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შემთხვევაში. შემთხვევითი არ არის, რომ შედეგები მხატვრულ ლიტერატურაში, იქნება ეს ჰომეროსის „ილიადა“ თუ ფირდოუსის „შაჰ-ნამე“, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ თუ დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედია“, გოეთეს „ფაუსტი“ თუ სერვანტესის „ღონ

კიხოტი“, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პოეზია და ა. შ. მხოლოდ მშობლიურ ენებზეა შექმნილი. მხოლოდ მშობლიურ ენაზე აღწევს ადამიანი სრულყოფას გონებრივი და ენობრივი განვითარების თვალსაზრისით, უცხოურ ენაზე კი ამის მიღწევა შეუძლებელია.

გარდა ამისა, არამშობლიურ ენაზე განათლების მიღება არც ისე უმტკივნეულო პროცესია ჯანმრთელობის თვალსაზრისით, როგორც ეს ერთი შეხედვით ჰგონიათ. ირ. ფაღავას ხელმძღვანელობით ჩატარებული ცდები გვიჩვენებს, რომ იმ ბავშვებს, რომლებიც დაწყებით სკოლებში არამშობლიურ ენებზე (ძირითადად, რუსულზე) სწავლობენ, არტირიალური წნევა რამდენადმე უფრო მაღალი აქვთ, ვიდრე იმათ, ვინც მშობლიურ ენაზე სწავლობს. მაგრამ, როდესაც ეს ბავშვები კვირა დღეს შეაოწმეს, წნევა ყველას ნორმალური აღმოაჩნდა. დიდი ხნით ადრე ანალოგიური შედეგები მიღებული აქვს ცნობილ პედიატრ სიკორსკის: პოლონურ სკოლებში მოსწავლე პოლონელ ბავშვებს ნორმალური წნევა აღმოაჩნდათ, რუსულ სკოლებში მოსწავლე პოლონელ ბავშვებს წნევა რამდენადმე მაღალი ჰქონდათ, ხოლო გერმანულ სკოლებში მოსწავლე პოლონელ ბავშვებს კიდევ უფრო მაღალი წნევა დაუდასტურდათ. ასეთივე შედეგები იქნა მიღებული ინგლისურ სკოლებში მოსწავლე იაპონელი ბავშვების შემოწმებისას. როგორც ვხედავთ, არამშობლიურ ენაზე განათლების მიღება უარყოფით გავლენას ახდენს არა მარტო ბავშვის გონებრივ განვითარებაზე, არამედ მის ჯანმრთელობაზეც.

ჩვენ, რა თქმა უნდა, შოვინიზმს არ ვქადაგებთ და არც რუსული ენის შესწავლის წინააღმდეგი ვართ. მაგრამ რუსული ენის შესასწავლად გარუსება სრულიადაც არ არის საჭირო. ქართველი, ასე ვთქვათ, ასპროცენტიანი რუსი ვერ გახდება, რადგანაც ეს გენეტიკის კანონებს ეწინააღმდეგება, მაგრამ ქართველობას კი დაკარგავს, თუ რუსულ სკოლაში გაიზრდება. პირველ რიგში იგი დაკარგავს მშობლიურ ენას, რადგან რუსულ სკოლაში რუსულია გაბატონებული, მაგრამ სამაგიერო მშობლიურ ენას ვერ შეიძენს, თუნდაც შესანიშნავად დაეუფლოს რუსულ ენას. ამიტომ რუსულ სკოლაში აღზრდილი ქართველი ბავშვი მშობლიური ენის გარეშე აღმოჩნდება, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს მისი აზროვნების განვითარებაზე, რადგანაც ინტელექტუალური სრულყოფა ბავშვისა, გარკვეული მიზეზების გამო, მხოლოდ მშობლიურ ენაზეა შესაძლებელი.

მშობლიურ ენაში ადამიანი ხელავს არა მორზეს ანბანისა და საგზაო ნიშნების მსგავს ნიშანთა სისტემას, არამედ თავისი სულისა და ხორცის ნაწილს. ამიტომ ყველას, იქნება ის ინგლისელი, არაბი, რუსი, აფხაზი,

იაპონელი, ქართველი თუ სხვ., თავისი მშობლიური ენა უფრო უყვარს, უფრო დახვეწილი და აზროვნებისათვის უფრო მოქნილი ჰგონია, კიდრე უცხოური ენა. იგივე ძალა, რაც ადამიანს თავის მშობლიურ ენას აყვარებს, ანტიპათიას უკითარებს მას უცხოური ენის მიმართ და ეს არც არის მოულოდნელი: უცხოური ენა სხვა გენეტიკური ტიპისათვის არის დანიშნული და, ამდენად, მშობლიური ენის ადგილსაც ვერ იკავებს. მშობლიური ენის უპირატესობა კარგად უგრძობია იოანე ზოსიმეს ჯერ კიდევ X ს-ში და ქებათა ქება აღუვლენია ქართული ენისათვის, რათა ამ გზით დაემტკიცებინა მისი უპირატესობა ბერძნულთან შედარებით. იოანე-ზოსიმეს აზრით, ქართული ენა დღეს, მართალია, „მდაბალი და დაწუნებულია“, მაგრამ იგი ბერძნულის თანასწორია და მეგობარი. უფრო მეტიც, ქართულ ენას უპირატესობაც კი აქვს ბერძნულთან შედარებით, რადგანაც „ესე ენაჲ, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვისა უფლისასა... რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“. მართალია ქართულის უპირატესობა ბერძნულთან შედარებით იოანე-ზოსიმემ ვერ დაამტკიცა, მაგრამ შესანიშნავად გამოხატა ქართველის დამოკიდებულება თავისი მშობლიური ენის მიმართ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ ინტერნაციონალური ენის საკითხს. როგორც ირაკვეა, გარკვეული ენა ადამიანთა გარკვეულ გენეტიკურ ტიპს გულისხმობს. ამიტომ რამდენი ენაცა გვაქვს, იმდენივე იქნება ადამიანთა გენეტიკური ტიპიც ინტერნაციონალური ენის გაბატონება იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ შესაძლებელი გახდებოდა ადამიანთა გენეტიკურ ტიპებს შორის განსხვავების მოშლა, ყოველ შემთხვევაში რასების (თეთრი, შავი, ყვითელი რასა) დონეზე მაინც. მაგრამ ამის მიღწევა შეუძლებელია რასები არსებობენ და ისინი იარსებებენ მომავალშიც. ასევე შეუძლებელია განსხვავებების მოშლა ადამიანთა სხვადასხვა გენეტიკურ ტიპებს შორის, რომლებიც რასებს შიგნით გამოიყოფა. ამიტომ გენეტიკური თვალსაზრისით ინტერნაციონალური ენის შესახებ საკითხის დასმაც კი არამეცნიერულია. კაცობრიობა ერთ ენაზე ვერ აღაპარაკდება, თუ, რა თქმა უნდა, არ მოიშლება რასობრივი და ეროვნული განსხვავებანი. რადგანაც ამ განსხვავებების მოშლა შეუძლებელია გენეტიკური თვალსაზრისით, ამიტომ შეუძლებელია მთელი კაცობრიობის მშობლიური ენა ერთი ენა გახდეს.

ფონეტიკა და ფონოლოგია

§ 1. ფონეტიკა

§ 1.1 ფონეტიკის ობიექტი

როგორც ვნახეთ, ენა ანაწევრებს ბგერებს გარკვეული ორგანოების საშუალებით. მეტყველი სუბიექტი იყენებს ამ ორგანოებს და დაუნაწევრებელ ბგერებს გარდაქმნის დანაწევრებულ ბგერებად ანუ ფონემებად, რომლებიც აკუსტიკური (ბერძ. akustikos „სმენითი“) ეფექტების სახით აღწევს მსმენელის ყურამდე. ენათმეცნიერებაში უკვე დიდი ხანია, რაც შეიქმნა ამგვარი დანაწევრებული ბგერების შემსწავლელი მეცნიერება. ამ მეცნიერებას ეწოდება ფონეტიკა (ბერძ. phōnē „ბგერა“, phōnētikós „ფონეტიკა“), რომელიც დანაწევრებულ ბგერებს იკვლევს ორგანოთვალსაზრისით, რაც საფუძველს იძლევა განვასხვავოთ ორგანოთვალსაზრისით ფონეტიკა: არტიკულაციური და აკუსტიკური. არტიკულაციური ფონეტიკა ბგერებს იკვლევს იმის მიხედვით, თუ რომელი ორგანოები ღებულობენ მონაწილეობას ამა თუ იმ ბგერის წარმოქმნაში, ხოლო აკუსტიკური ფონეტიკა – იმის მიხედვით, თუ როგორი აკუსტიკური ეფექტი მიიღება ამა თუ იმ ორგანოების მუშაობის შედეგად.

ფონეტიკა არის კერძო და არის ზოგადი. კერძო ფონეტიკა იკვლევს მოცემული, ვთქვათ, ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბგერების ფიზიოლოგიურ და ფიზიკურ მახასიათებლებს. ზოგადი ფონეტიკა, როგორც ამას თვითონ სახელწოდებაც გვიჩვენებს, განაზოგადებს იმ შედეგებს, რაც კონკრეტული ენების კვლევის სფეროშია მიღწეული ამ თავლსაზრისით. ასეთი განზოგადების შედეგად უფრო ამომწურავი ხდება ჩვენი ცოდნა ადამიანის სამეტყველო აპარატის შესაძლებლობების შესახებ. თუ ზოგადი ფონეტიკა შეიზღუდება მხოლოდ ევროპული ენებით, მაშინ შეუძლებელი იქნება გავითვალისწინოთ, ვთქვათ, მკვეთრების (პ, ტ, წ, ჭ, კ, ყ) არსებობა, რომლებიც კავკასიურ ენებში გვაქვს. ამიტომ რაც უფრო ახალი და ახალი ენები შემოდის ენათმეცნიერების კვლევის სფეროში, მით უფრო მდიდრდება ჩვენი ცოდნა სამეტყველო აპარატის შესახებაც.

§1.2. სამეტყველო ორგანოები

ბგერები ძირითადად იწარმოება ამოსუნთქვით, ექსპირაციით (ლათ. expiratio „ამოსუნთქვა“), მაგრამ იშვიათად ბგერების საწარმოებლად ჩასუნთქული ჰაერიც გამოიყენება. ამგვარ ბგერებს უწოდებენ წკლაპუნა ბგერებს ანუ კლიქებს (ინგ. clicks). სასუნთქი ორგანოებია: სასუნთქი

მილი, ფილტვები და დიაფრაგმა. ფილტვებიდან ამონასუნთქი ჰაერნაკადი ჯერ გამოივლის ხორხს (ბერძ. larynx/laryngos), სადაც მოთავსებულია სახმო სიმები. სახმო სიმები წარმოადგენენ ბაგეებს, ორ ჰორიზონტალურ ელასტიურ ნაოჭს, რომელთაც აქვთ უნარი დაგრძელებისა და დავიწროებისა. მათ შეუძლიათ დაიჭომონ ან მოდუნდნენ. თუ სახმო სიმები დახშულია და ფილტვებიდან ამონასუნთქი ჰაერნაკადი მოახდენს მათ განხშვას, მაშინ წარმოიქმნება გლოტალური (ბერძ. glōtta „ხორხი“) ხშვა, რომელსაც საერთაშორისო ფონეტიკური ტრანსკრიპციით (‘) ნიშნით, აღნიშნავენ ხოლო ქართულში (ც)-ს სახით, მაგრამ თუ სახმო სიმებს შორის ნაპრაღია დარჩენილი და ფილტვებიდან ამონასუნთქი ჰაერნაკადი ეხახუნება დაუჭიმავე სახმო სიმების კიდეებს, მაშინ წარმოიქმნება ფშვინვა (ლათ. aspiratio), რომელიც აღინიშნება როგორც [h] (ქართულში ჰ).

ხორხის ზემოთ მოთავსებულია ხახა (ბერძ. pharynx), რომელიც პირის ღრუს უერთდება. პირის ღრუ წარმოადგენს ძირითად საარტიკულაციო ორგანოს, სადაც წარმოითქმის ბგერათა აბსოლუტური უძრავლესობა. ამიტომ ბგერები ძირითადად პირისმიერია, ორალური (ლათ. os/oris „პირი“). პირის ღრუში მოთავსებულია ყველაზე აქტიური საწარმოთქმო ორგანო — ენა (ლათ. lingua „ენა“), რომელიც შედგება ენის წვეურისა (ლათ. apex/apicis), ენის ზურგისა (ლათ. dorsum) და ენის ძირისაგან (ლათ. radix). ენის ზურგი თავის მხრივ იყოფა წინა, შუა და უკანა ენად. შემდეგი მნიშვნელოვანი საწარმოთქმო ორგანოა სასა, რომელიც წინიდან შემოსაზღვრულია ნუნებით (ლათ. alveolus „ნუნა“), ნუნების ზემოთ გვაქვს მაგარი სასა (ლათ. palatum), რომელსაც მოსდევს რბილი სასა (ლათ. velum). რბილი სასა მთავრდება ნაქით (ლათ. uvula), რომელიც კეტავს გასავალს ცხვირის ღრუში. თუ რბილი სასა ნაქითურთ ზევით აიწევს და მიეხრება ხახის კედელს, ჰაერნაკადი ცხვირის ღრუში ვეღარ მოხვდება. მაგრამ თუ ნაქი ჩამოშვებულია, მაშინ ჰაერნაკადის ერთი ნაწილი ცხვირის ღრუში ხვდება. საწარმოთქმო ორგანოებს განეკუთვნება წინა კბილებიც (ლათ. dens/dentis „კბილი“).

შემდეგი ორგანოებია ბაგეები (ლათ. labium) და ცხვირის ღრუ, სადაც, მართალია, ბგერები არ წარმოითქმის, მაგრამ ცხვირის ღრუ მაინც საწარმოთქმო ორგანოა, რადგანაც რეზონატორს წარმოადგენს, კერძოდ კი გარკვეულ ორალურ ბგერებს ნაზალურ (ლათ. nasus „ცხვირი“, ფრანგ. nasal „ცხვირისმიერი“) ელფერს აძლევს.

საწარმოთქმო ორგანოებიდან ზოგი აქტიურია და ზოგიც პასიური. აქტიურია ის ორგანო, რომელიც მოძრაობს და აქვს უნარი იმოქმედოს

სხვა ორგანოს მიმართ; თვითონ სამოქმედო ორგანო კი პასიურია. ენა ან ქვედა ყბა, მაგალითად, აქტიური ორგანოებია, ხოლო კბილები ან მაგარი სასა — პასიური.

§ 1.3. ბგერათა დახასიათება წარმოთქმის ადგილისა და რაგვარობის მიხედვით

ბგერების დახასიათება ხდება წარმოთქმის (არტიკულაციის) ადგილისა და რაგვარობის მიხედვით. ორი ან მეტი ბგერა თუ ერთსა და იმავე ადგილზე იწარმოება, მაშინ ისინი ერთ რიგში გაერთიანდებიან, მაგრამ თუ ორი ან მეტი ბგერა ერთი და იმავე რაგვარობით ხასიათდება, მაშინ ისინი ერთ სერიაში უნდა გავაერთიანოთ. ერთი სიტყვით, წარმოთქმის ადგილის მიხედვით მივიღებთ რიგებს, ხოლო წარმოთქმის რაგვარობის მიხედვით — სერიებს. ერთ რიგში გაერთიანებულ ბგერებს ეწოდება ჰომორგანული (ბერძ. homos „ერთნაირი“), ე.ი. ერთი და იმავე საწარმოთქმო ორგანოებით ნაწარმოები, ხოლო სხვადასხვა ორგანოებით ნაწარმოებთ — ჰეტერორგანული (ბერძ. heteros „სხვა, სხვადასხვა“). ერთ სერიაში გაერთიანებული ბგერები განიხილება როგორც ჰომოგენური (ბერძ. homos „ერთნაირი“, genos „წარმოშობა“), სხვადასხვა სერიებში გაერთიანებულნი კი — როგორც ჰეტეროგენული.

ძირითადი რიგები, რომლებიც ყველა ენაშია წარმოდგენილი, შემდეგია: 1) ბილაბიალური b-p, 2) დენტალური d-t, ველარული g-k. გარდა ამისა, გვაქვს ისეთი რიგებიც, რომლებიც ენათა მხოლოდ ერთ ნაწილში გვხვდებიან: 1) ლაბიოდენტალური v-f, 2) ალვეოლარული, რომელიც იყოფა პრეალვეოლარულ (წინა ალვეოლარულ) ძ-ც-წ და პოსტალვეოლარულ (უკანაალვეოლარულ) ჯ-ჩ-ჭ რიგებად, 3) ცერებრალური (ლათ. cerebralis „ტვინისა“) ანუ კაკუმინალური (ლათ. cacuminalis „მწვერვალისა“) d-t. ამ ბგერებს უწოდებენ რეტროფლექსურსაც (ლათ. retro „უკანა“, flexio „მოხრა“), 4) ფარინგალური: ქართ. ჯ-ყ, 5) ლარინგალური: როგორც აღნიშნული იყო ზემოთ, სახმო სიმებით წარმოითქმება გლოტარული ხშული¹ და ნაპრალოვანი h, ნ. უკულარული: ნაქის თრთოლის შედეგად მიიღება r grasseye ფრანგულში.

როგორც ითქვა, სერიებში ბგერების გაერთიანება ხდება ჰომოგენურობის პრინციპის მიხედვით. მაგრამ სანამ ამ საკითხზე გადავიდოდეთ, განვიხილოთ ჯერ საწარმოთქმო რაგვარობის საკითხი: 1) ყველაზე ღიდი დაყოფა ბგერებისა ხდება თანხმოვნობა-ხმოვნობის (ლათ. consonans-vocalis) მიხედვით. თანხმოვნების წარმოთქმისას ფილტვებიდან ამონასუნთქ ჰაერსაკადს ყოველთვის უხდება დაბრკოლებების

გადალახვა, რომლებიც წარმოიქმნება საწარმოთქმო ადგილებში. პირიქით ხმოვანთა წარმოთქმის დროს დაბრკოლებათა გადალახვა არ ხდება; 2) ხშულობა — ნაპრალოვნობა. დაბრკოლების გადალახვის დროს სამეტყველო ორგანოები ერთმანეთის მიმართ შეიძლება დახშული იყოს და ჰერნაკადის საშუალებით მოხდეს მათი განხშვა ან შეიძლება სამეტყველო ორგანოებს შორის ნაპრალო იყოს და ჰერნაკადმა ამ ნაპრალოში გაიაროს. პირველ შემთხვევაში მიიღლებთ ხშულებს, ხოლო მეორე შემთხვევაში — ნაპრალოვნებს ანუ სპირანტებს (ლათ. spirans/spirantis). ხშულებია მაგ: ბ-ფ-პ, რომლებიც ბაგეების დახშვით წარმოითქმიან, ხოლო ნაპრალოვებია ზ-ს, რომლებიც პრეალვეოლარული ბგერებია. 3) შერეული რაგვარობა. ბგერა შესაძლებელია ერთდროულად ხშულიც იყოს და ნაპრალოვანიც. ასეთებია: 1) აფრიკატები, 2) ვიბრანტები, 3) ლატერალები, 4) ნაზალები.

1) აფრიკატები: ეს ბგერები ხასიათდებიან როგორც ხშვით, ისე ნაპრალოვნობით; მათი არტიკულაციის დასაწყისი ხშულისებურია, ხოლო დასასრული სპირანტულია. ამიტომ ეს ბგერები განიხილება როგორც ხშულ-ნაპრალოვანი (ლათ. affricare „ხეხვა“). აფრიკატების სტრუქტურა სქემატურად ასე უნდა წარმოვადგინოთ: ძ=ღ+ზ, ც=თ+ს, წ=ტ+ს, ჯ=ღ+ჟ, ჩ=თ+შ, ჳ=ტ+შ. აფრიკატია ასევე გერმანული pf (Pferd „ცხენი“).

2) ვიბრანტები: ვიბრანტი ანუ მორთოლია რ ბგერა ნებისმიერ ენაში, რომლის წარმოთქმის დროს დაჭიმული ენის წვერი ვიბრირებს, ე.ი. უკანა ნუნებზე ხდება ენის წვერის რამდენიმე დარტყმა. ასევე შესაძლებელია ვიბრირებდეს ნაქიც, რის შედეგადაც მიიღება ფრანგული რ (r grasseyé), უეულარული ბგერა.

3) ლატერალები: ლატერალური (ლათ. lateralis „გვერდითი“) თანხმოვანია l, რომლის წარმოთქმისას წინა ენა ებჯინება ზედა კბილებს, ენის შუა ნაწილი (განსაკუთრებით მარჯვენა მხარე) ჩაწეულია და ენას მიღებული აქვს კოვზის ფორმა. ლ-ს წარმოთქმის დროს ჰერნაკადი გამოდის ენის გვერდებსა და ლოყების კედლებს შუა შექმნილი ნაპრალიდან. ჩვეულებრივ l ბილატერალურია (ორგვერდითი), მაგარამ ასევე შესაძლებელია გვერდის უნილატერალური (ცალგვერდითი) l-ც. ლატერალური თანხმოვნებით განსაკუთრებით მდიდარია დაღესტნის ენები.

4) ნაზალები: (ლათ. nasus „ცხვირი“) ეწოდება ისეთ ბგერებს, რომელთა წარმოთქმაში მონაწილეობას ღებულობს ცხვირის რეზონატორი. ასეთებია: m და n, რომელთა წარმოთქმისას ნაქი დაშვებულია ქვევით და ამიტომ ჰერნაკადის ერთი ნაწილი ცხვირის ღრუში ხვდება.

ღ ი ა ო ბ ა. საწარმოთქმო ორგანოებს შორის მეტ-ნაკლები

ნაპრალოს არსებობას ეწოდება ღიაობა. ყველაზე ღია ბგერებია ხმოვნები, რომელთა წარმოთქმის დროს რაიმე დაბრკოლების გადალახვა არ ხდება. ღიაობის ხარისხის მიხედვით მეორე ადგილზეა ნახევარხმოვნები (j-w), ვიბრანტი (r), ლატერალი (l) და ნაზალები (m-n). r, l, m, n ბგერების წარმოთქმისას ღიაობა წარმოიქმნება სხვადასხვა გზით: r-ს წარმოთქმისას ვიბრაციის ხარჯზე, ინგლისური l-ს წარმოთქმისას ლატერალობის, ხოლო m და n ბგერების წარმოთქმისას – ნაზალობის ხარჯზე. სხვა მხრივ ეს ბგერები ხშულებია. r ხშულია იმიტომ, რომ ენის წვერი უკანა ნუნებს არის მიბჯენილი (ორ დარტყმას შორის პერიოდი ინგლისური r-ს წარმოთქმისას არის ღიაობა). l ხშულია იმდენად, რამდენადაც მისი წარმოთქმისას ენის წვერი ზედა კბილებს ებჯინება. m წარმოადგენს წყვილბაგისმიერ, ხოლო n – პრელავეოლარულ (წინანუნისმიერ) ხშულს. ღიაობის მესამე საფეხურზეა ნაპრალოვნები (v-í, z-s, ž-š, γ-x და სხვ.) ღიაობის ნულოვანი საფეხური დამახასიათებელია ხშულებისათვის (b-p, d-t, g-k და ა.შ.).

მჟღერობა—სიყრუე. ხშულები და ნაპრალოვნები ან მჟღერებია, ან კიდევ — ყრუები, ე.ი. არამჟღერები. განსხვავებას მჟღერ და ყრუ ბგერებს შორის ქმნის სახმო სიმები. თუ სახმო სიმები პერიოდულად ირხევა, მაშინ მჟღერი ბგერები მიიღება, მათი არაპერიოდული რხევის შემთხვევაში კი ყრუ თანხმივნები წარმოიქმნება. მჟღერებია b, d, g, z, ž და ა. შ., ხოლო ყრუებია p, t, k, s, š და ა. შ.

ასპირაცია—აბრუპტივობა. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, თუ სახმო სიმებს შორის ნაპრალია დარჩენილი და ფილტვებიდან ამონასუნთქი ჰაერნაკადი ეხახუნება დაუჭიძავი სახმო სიმების კიდევებს, მაშინ წარმოიქმნება ფშვინვა (h), მაგრამ თუ სახმო სიმები დახშულია და ფილტვებიდან ამონასუნთქი ჰაერნაკადი მათ განხშვას ახდენს მაშინ მიიღება გლოტალური ხშვა ('). ხშულების წარმოთქმაში შეიძლება მონაწილეობდეს როგორც პირველი, ისე მეორე ნიშანი. შედეგად მივიღებთ ფშვინვიერ ანუ ასპირატ ბგერებს ანდა ე.წ. მკვეთრებს ანუ აბრუპტივებს (ლათ. abruptio „მოწყვეტა“). ასპირატებია, მაგალითად, ქართულის ფ, თ, ც, ჩ, ქ, რომლებიც ლათინური ტრანსკრიფციით უნდა წარმოვადგინოთ როგორც ph, th, c, č, kh, ხოლო აბრუპტივებია ქართულშივე პ, ტ, წ, ჭ, კ, ყ, რომლებიც ლათინური ტრანსკრიფციით ჩაიწერებიან p' t' c' č' k' q' ბგერების სახით.

§ 1.4. საარტიკულაციო ბაზისი.

ფიზიოლოგიური თვალსაზრისით სამეტყველო აპარატი არ იცვლება არც ინდივიდიდან ინდივიდში და რაც ენიდან ენაში, ე.ი. ყველა ადამიანს

ერთნაირი სამეტყველო აპარატი აქვს, მაგრამ მისი (სამეტყველო აპარატის) გამოყენება სხვადასხვა ენაში სხვადასხვაა. ენის ძირი და ხახა, მაგალითად, აქვს როგორც ქართველს, ისე რუსს, ინგლისელს, ფრანგს, გერმანელს და სხვა, მაგრამ ეს ორგანოები მხოლოდ ქართულში გამოიყენება გარკვეული ბგერის (ყ) საწარმოებლად. ასევე ენის წვერი და კბილები ქართველსაც აქვს და ინგლისელსაც, მაგრამ ინტერდენტალური ბგერები (th, ð) მხოლოდ ინგლისურში გვაქვს. ქართულში ეს შესაძლებლობა გამოყენებული არაა. სხვადასხვა ენა, როგორც ვხედავთ სხვადასხვანაირად ანაწევრებს სამეტყველო აპარატს, სხვადასხვანაირად იყენებს მას. საწარმოთქმო ჩვევების ერთობლიობას, რომელიც მოცემული ენისათვის არის დამახასიათებელი, ეწოდება საარტიკულაციო ბაზისი. საარტიკულაციო ბაზისი სხვადასხვა აქვს სხვადასხვა ენას. ქართული საარტიკულაციო ბაზისი განსხვავდება რუსულის ან ინგლისურის საარტიკულაციო ბაზისისაგან. სხვადასხვა საარტიკულაციო ბაზისი აქვს ერთი ენის დიალექტებსაც კი, ამიტომ განსხვავება შეინიშნება, ვთქვათ კახელისა და იმერელის საწარმოთქმო ჩვევებშიც, რაც ჩვენ საშუალებას გვაძლევს სხვა რაიმე ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაშიც მეტყველების მიხედვით გავარჩიოთ იმერელი და კახელი.

საარტიკულაციო ბაზისი ქმნის გარკვეულ ბარიერებს უცხოური ენის ათვისების პროცესში. მშობლიური ენის საარტიკულაციო ბაზისის გამოყენებას უცხოურ ენაზე მეტყველების დროს ეწოდება „აქცენტი“. საარტიკულაციო ბაზისის გამოა, რომ ქართველს უჭირს რუსულად მეტყველებისას რბილი თანხმოვნების წარმოთქმა. ამგვარი თანხმოვნები ქართულში არა გვაქვს და ამიტომ მათი წარმოთქმაც გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. რუსს თავის მხრივ უჭირს წარმოთქმას სპეციფიკური ქართული ბგერები: ჭ, წ, ყ, (იგი მას სათანადოდ ცვლის ც, წ, კ ბგერებით). რა თქმა უნდა, ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად, განსაკუთრებით ახლგაზრდულ წლებში, შესაძლებელია დავეუფლოთ უცხოური ენის საარტიკულაციო ბაზისს, მაგრამ ეს საჭიროებს მშობლიური ენის საარტიკულაციო ბაზისის მიერ დაწესებული ბარიერების დაძლევას.

როგორც ვხედავთ, საარტიკულაციო ბაზისის ცნება არ წარმოადგენს ფოზიოლოგიურ ცნებას. იგი, ასე ვთქვათ, ენობრივი (ლინგვისტური), უფრო ფართოდ, სოციალური ცნებაა. ამიტომ საარტიკულაციო ბაზისი შეიძლება მივაკუთვნოთ არა ფონეტიკას, არამედ ფონოლოგიას.

§ 1.5. აკუსტიკური ფონეტიკა

აკუსტიკური ფონეტიკა იკვლევს ბგერის ფიზიკურ მახასიათებლებს,

მაგრამ იგი სწავლობს მხოლოდ იმას, თუ როგორი სმენითი ეფექტი მიიღება ამა თუ იმ სამეტყველო ორგანოების მუშაობის შედეგად. თვითონ ტერმინი „აკუსტიკა“ წარმოშობით ბერძნულია (akustikós „სმენითი“).

ბგერის წარმოქმნისათვის საჭიროა მერხვევი სხეული და გარემო, რომელიც ატარებს ბგერას. ამგვარ გარემოს წარმოადგენს, ძირითადად, ჰაერი (უჰაერო გარემოში ბგერა არ ვრცელდება). ბგერა, ამრიგად, წარმოადგენს მერხვევი სხეულის ვიბრაციის შედეგს, ხოლო თვითონ ვიბრაცია დროის გარკვეულ მონაკვეთში ხდება. ადამიანის ყური აღიქვამს მხოლოდ გარკვეულ ბგერებს. თუ რხევების რაოდენობა წამში 16-ზე ნაკლებია, მაშინ მათ ადამიანის ყური ვერ აღიქვამს. ასეთ ბგერებს ეწოდებათ ინფრაბგერები (ლათ. infra „დაბალი, ქვეშ“). ადამიანის ყური ვერ აღიქვამს ვერც ისეთ ბგერებს, როდესაც რხევათა რიცხვი 20 000-ს აღემატება. ასეთ ბგერებს უწოდებენ ულტრაბგერებს (ლათ. ultra „ზე, ზევით, ზომაზე მეტი“).

ბგერა აღიქმება ორგვარად: როგორც ტონი და როგორც ჩქამი. თუ მერხვევი სხეული ირხევა პერიოდულად, მაშინ ტონი მიიღება, მაგრამ თუ მერხვევი სხეული არაპერიოდულად ირხევა, ჩქამი წარმოიქმნება. სამეტყველო ბგერები შეიძლება ჩქამიერიც იყოს და ტონიერიც. ხმოვნები ტონიერია, ხოლო თანხმოვნები — ჩქამიერი.

ბგერა აკუსტიკური თვალსაზრისით ხასიათდება ოთხ განზომილებაში. ესენია: სიმაღლე, ხანგრძლივობა, სიძლიერე და ტემბრი.

ბგერის სიმაღლე. სიმაღლე ბგერისა დამოკიდებულია რხევათა სიხშირეზე: რაც უფრო მეტია პერიოდულ რხევათა რიცხვი, მით უფრო მეტია ბგერის სიმაღლე. ბგერის სიმაღლე ასევე დამოკიდებულია მერხვევი სხეულის სიგრძეზე, რადგანაც სიმაღლესა და მერხვევი სხეულის სიგრძეს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულებაა. რაც უფრო მოკლეა მერხვევი სხეული, მით უფრო მაღალია ბგერა. მოზრდილი ადამიანის სახმო სიმები უფრო გრძელია, მსხვილი და მკვრივი, ვიდრე ბავშვისა. ამიტომ ბავშვის ხმა უფრო მაღალია, ვიდრე მოზრდილი ადამიანისა. ქალის სახმო სიმები უფრო მოკლეა, ვიდრე მამაკაცისა და სათანადოდ ქალის ხმა უფრო მაღალია მამაკაცის ხმაზე. ბგერის სიმაღლე დამოკიდებულია ასევე სიმის სიმსხოსა და მის დაჭიმულობაზე: რაც უფრო დაჭიმულია სიმი, მით უფრო მაღალია ტონი. სიმაღლე მხოლოდ ტონისათვის არის დამახასიათებელი, ჩქამის აბსოლუტური სიმაღლის გაზომვა შეუძლებელია.

ბგერის ხანგრძლივობა. ბგერის ხანგრძლივობა არის დროის ის მონაკვეთი, რომელშიც გვესმის ბგერა. ბგერები ერთმანეთისაგან განს-

სხვადებიან ხანგრძლივობის მიხედვით. ყველაზე უფრო ხანგრძლივია ხმოვნები, შემდეგ მოდის სონორები (მ, ნ, ლ, რ); კიდევ უფრო ნაკლები ხანგრძლივობა ახასიათებს ნაპრალოვნებს, ამ თვალსაზრისით ბოლო ადგილზე ხშულები არიან.

ბგერის ინტენსივობა (სიძლიერე). ბგერის ინტენსივობა დამოკიდებულია მერხვეი სხეულის რხევათა გაქანების სიდიდეზე, ანუ ამპლიტუდაზე. ამპლიტუდა და ინტენსივობა ერთმანეთთან პირდაპირ პროპორციულ დამოკიდებულებაშია და იგი (ინტენსივობა) უდრის ამპლიტუდის კვადრატს. თუ ამპლიტუდა გადიდება ორჯერ, ინტენსივობა გაიზრდება ოთხჯერ, თუ ამპლიტუდა გადიდება სამჯერ, ინტენსივობა გაიზრდება ცხრაჯერ და ა.შ.

ბგერის ტემბრი. ტემბრი არის ბგერის თვისება, რომლითაც, მაგალითად, ერთმანეთისაგან განსხვავდება სხვადასხვა მუსიკალური საკრავის ხმა: გიტარისა – ვიოლინოს ხმისაგან, ორივესი – ფორტეპიანოსაგან და ა.შ. ერთი ადამიანის ხმა მეორისაგან განსხვავდება ტემბრით, თუნდაც ხმის ყველა სხვა თვისება (სიმაღლე, სიძლიერე, ხანგრძლივობა) ერთნაირი იყოს.

ბგერები ენაში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ტემბრით. ფიზიკური სხეული შეიძლება ირხეოდეს ქანქარისებრ და გვაძლევდეს მარტივ ტონს, რომელსაც ტემბრი არა აქვს (მარტივი ტონით კამერტონი ხასიათდება). ბგერების წარმოთქმის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს რეზონანსს. რეზონანსი წარმოიქმნება დახშულ ჰაეროვან სფეროში. სამეტყველო აპარატში ასეთი რეზონატორებია ხახის, პირისა და ცხვირის ღრუები. რეზონატორებში ხდება თავდაპირველი (ძირითადი) ტონის გაძლიერება და გამდიდრება ობერტონებით (გერმ. oberton - მაღალი ტონი), რომელთა რხევათა რიცხვი ჯერაღია ძირითადი ტონის რხევათა რიცხვთან მიმართებაში. ამიტომ ობერტონები უფრო დიდი სიხშირით ხასიათდებიან, ვიდრე ძირითადი ტონი. სწორედ ობერტონები ანიჭებენ ბგერებს გარკვეულ ტემბრს. ამიტომ ტემბრი ბგერისა რთული მოვლენაა, რომელიც შედგება ძირითადი ტონისა ან ჩქამისა (ანდა მათი კომბინაციისაგან) და ობერტონებისაგან.


§ 2. ფ ო ნ ო ლ ო ბ ი ა

§. 2.1. დისტრიბუცია.


ბოლო ათეულ წლებში ენათმეცნიერებაში მკვიდრად მოიკიდა ფეხი კიდევ ერთმა ახალმა ტერმინმა, რომელსაც დისტრიბუცია (ლათ.

distribuere - „განაწილება“) ეწოდება. იგულისხმება ენობრივი ელემენტების განაწილება ერთმანეთის მიმართ სხვადასხვა პოზიციაში. ერთი ელემენტის მეზობლობას მეორე ელემენტთან თუ პოზიციას ეუწოდებთ, მაშინ დისტრიბუცია იქნება ყველა იმ პოზიციის ვეაში, რომლებშიც მოცემული ელემენტი გვხვდება.


ენობრივი ელემენტების მიმართება ერთმანეთის მიმართ დისტრიბუციული თვალსაზრისით შეიძლება იყოს მხოლოდ ოთხი სახის: 1) ვთქვათ, მოცემულია ორი ელემენტი x და y . თუ x გვხვდება ყველა იმ პოზიციაში, სადაც წარმოდგენილია y . (ანდა პირიქით, მაშინ ამბობენ), რომ x -ის დისტრიბუცია ეკვივალენტურია y -ის დისტრიბუციისა. თუ x -ის დისტრიბუციას A -თი ავლნიშნავთ, ხოლო y -ის დისტრიბუციას B -თი, მაშინ A და B ამ შემთხვევაში ერთმანეთის ტოლი აღმოჩნდება. ეკვივალენტური დისტრიბუცია სქემატურად ასე გამოიხატება;




2) ეკვივალენტური დისტრიბუციის დროს x და y ელემენტებს ყველა პოზიცია საერთო აქვს. მაგრამ შესაძლებელია x -სა და y -ს არ აღმოჩნდეს არც ერთი საერთო პოზიცია, ე.ი. იმ პოზიციებში, სადაც x გვხვდება, არ იქნება წარმოდგენილი y და პირიქით. დისტრიბუციის ამ მოდელს ეწოდება დამატებითი დისტრიბუცია (არაეკვივალენტური დისტრიბუცია) და სქემატურად იგი ასე გამოიხატება:



3) დისტრიბუციის ამ ორ პოლარულ წერტილს შორის გამოიყოფა ნაწილობრივი ეკვივალენტობის ორი შემთხვევა: ა) x შესაძლებელია გვხვდებოდეს ყველა იმ პოზიციაში, სადაც გვხვდება y , მაგრამ y -ს ჰქონდეს ისეთი პოზიციებიც, სადაც წარმოდგენილი არ იქნება x . ამ შემთხვევაში y -ს დისტრიბუცია მოიცავს x -ს დისტრიბუციასაც, რაც სქემატურად შემდეგნაირად უნდა წარმოვადგინოთ:



ბ) ასევე შესაძლებელია x -სა და y -ს ჰქონდეთ თავისი სპეციალური პოზიციები, მაგრამ მათ შეიძლება აღმოაჩნდეს საერთო პოზიციებიც, ე.ი. ისეთი პოზიციები, სადაც ორივე ეს ელემენტი გვხვდება. მოცემული შეფარდება სქემატურად ასე უნდა გამოიხატოს:



დისტრიბუციის ბოლო ორ შემთხვევას ეწოდება კონსტრატული დისტრიბუცია. საერთოდ ორ ენობრივ ელემენტს საკმარისია აღმოაჩნდეს ერთი საერთო პოზიციაც კი, რომ ჩვენ ისინი ერთმანეთთან კონტრასტული დისტრიბუციის მიმართებაში განვიხილოთ.

როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, დისტრიბუციის მოცემული სამი მოდელი (ეკვივალენტური დისტრიბუცია ანუ თავისუფალი ვარიირება, დამატებითი დისტრიბუცია და კონტრასტული დისტრიბუცია) საკმარისია ფონოლოგიური და მორფოლოგიური ელემენტების განაწილების დასადგენად მოცემულ ენაში. სხვა რაიმე შემთხვევა დისტრიბუციისა ცნობილი არ არის. ენობრივი ელემენტები ერთმანეთთან ან თავისუფალი ვარიირების მიმართებაშია, ან კონტრასტული დისტრიბუციის, ანდა კიდევ დამატებითი დისტრიბუციის. შეუძლებელია ერთი და იგივე ელემენტები ერთსა და იმავე ენაში, ვთქვათ, კონტრასტული დისტრიბუციის მიმართებაშიც იყოს და დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშიც. დისტრიბუციის მოდელები ერთმანეთთან დიზიუნქციის (გამორიცხვის) მიმართებაში არიან და ამიტომ თუ ორ ელემენტს შორის, ვთქვათ, დამატებითი დისტრიბუციის მიმართება გვაქვს, მაშინ ავტომატურად გამოირიცხება კონტრასტული და ეკვივალენტური დისტრიბუცია.

დისტრიბუციის საკითხთან დაკავშირებულა პარადიგმატიკისა (ბერძ. *paradeigma* „მაგალითი, ნიმუში“) და სინტაგმატიკის (ბერძ. *syntagma* „შეერთებული“) საკითხებიც. პარადიგმატიკა ესაა კონტრასტული დისტრიბუციის მიმართებაში მყოფი ელემენტების ურთიერთობა.

მაგალითად, ხმოვნები ქართულში შეიძლება ჩავანაცვლოთ ერთსა და იმავე პოზიციაში, ვთქვათ, სიტყვაში „ცელი“ ე-ს თუ შევცვლით ო-თი, მივიღებთ სიტყვას „კოლი“, თუ შევცვლით ი-თი, მაშინ მიიღება „ცილი“, მაგრამ უ-თი თუ შევცვლით, მაშინ კიდევ ერთი ახალი სიტყვა „ცული“ წარმოიქმნება. ასევე შეიძლება ე ხმოვანი ამ სიტყვაში ა ხმოვნით ჩავანაცვლოთ და მივიღოთ „ცალი“ სიტყვა. როგორც ამას ქვემოთ დავინახათ (იხ. ხმოვანთა სისტემები), ხმოვნები ქართულში, როგორც ურთიერთჩანაცვლებადი ელემენტები, ქმნიან გარკვეულ სისტემას, ე.ი. პარადიგმატულ მიმართებებს ამყარებენ ერთმანეთთან. ასევე ურთიერთჩანაცვლების პრინციპს ემყარება ის ფაქტი, რომ, ვთქვათ, ქართულში სახელი იბრუნვის (კაც-ი, კაც-მა, კაც-ს, კაც-ის, კაც-ით, კაც-ად, კაც-ო) ანუ ქმნის ბრუნვის პარადიგმას.

სინტაგმატიკა დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში მყოფი ელემენტების საკითხია. ესაა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ელემენტი შეიძლება მისდევდეს ან წინ უძღოდეს ამა თუ იმ ელემენტს. მაგალითად, მეგრულში რ არ შეიძლება მოსდევდეს ქ-ს. ამიტომ მეგრულში „ოქრო“ სიტყვის ნაცვლად გვაქვს „ორქო“. სპარსულში სიტყვა არ შეიძლება დაიწყოს pl მიმდევრობით. ამ ენაში, ვთქვათ, სიტყვა „პლატონი“ წარმოითქმის როგორც aplatun. როგორც ვხედავთ, სინტაგმატიკა ერთიმეორის მომდევნო ენობრივი ელემენტების ურთიერთობის საკითხია და არაურთიერთჩანაცვლებადი ელემენტებისა. დაწვრილებით ეს საკითხი განხილული იქნება ქვემოთ (იხ. ფონოტაქტიკა).

§ 2..2. ფონოლოგიური ოპოზიციები

დაუნაწევრებელი ბგერების ფონემებად გარდაქმნას, როგორც ეს ნაჩვენებია იყო ზემოთ, აპირობებს აზროვნების დანაწევრების მოთხოვნილება, ე.ი. აზროვნება ანაწევრებს ბგერას. ამიტომ ფონემის საკითხი შეუძლებელია განვიხილოთ კონცეპტუალურ აზროვნებასთან კავშირის გარეშე. ამიტომაც ფონოლოგიაში ძირითადი გახდა ბგერის ის ფუნქცია, რომელსაც დისტინქციური (განმასხვავებელი) ფუნქცია ეწოდება და რომლის მინდევითაც ფონემა ახრთა (ცსებების) განმასხვავებელი ელემენტი გამოდის. სწორედ ეს ფუნქცია დაედო საფუძვლად ახალ ლინგვისტურ მეცნიერებას, რომელიც ჩვენი საუკუნის 20-30-იან წლებში ჩამოყალიბდა. ამ ახალ მეცნიერებას ეწოდება ფონოლოგია (ბერძ. phōnē „ბგერა“ logos „მოდღერება“).

როგორც ამას თვითონ სახელწოდებაც გვიჩვენებს, ფონოლოგიაც ბგერას იკვლევს, ისევე როგორც ფონეტიკა, მაგრამ სრულიად სხვა თვალსაზრისით. თუ ფონეტიკა არკვევს ბგერის არტიკულატორულ და

აკუსტიკურ მახასიათებლებს, ფონოლოგია ბგერებს იკვლევს ფუნქციონალური თვალსაზრისით, კერძოდ კი განსაზღვრავს იმას, თუ მოცემულ ნებში რა ბგერები განასხვავებენ ერთმანეთისაგან სიტყვათა მნიშვნელობებს.

ზოგადად თუ ავიღებთ, ორი ბგერა შესაძლებელია ერთ ენაში განასხვავებდეს სიტყვათა მნიშვნელობებს, მაგრამ მეორე ენაში — არა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი და იგივე ბგერითი წყვილი ერთ ენაში შესაძლებელია სიტყვათგანმასხვავებელ ოპოზიციის (ლათ. oppositio „დაპირისპირება“) ქმნიდეს, ხოლო მეორე ენაში იგივე ბგერითი წყვილი სიტყვებს ვერ განასხვავებდეს ერთმანეთისაგან. ისეთ ბგერით ოპოზიციას, რომელიც მოცემულ ენაში ერთმანეთისაგან განასხვავებს სიტყვებს, ეწოდება ფონოლოგიური, ხოლო ისეთ ოპოზიციას, რომელიც მოცემულ ენაში სიტყვებს არ განასხვავებს, არაფონოლოგიური ოპოზიციის სახელით არის ცნობილი.

ამრიგად, მოცემულ ენაში ბგერით ოპოზიციათა ერთი ნაწილი შესაძლებელია ფონოლოგიური აღმოჩნდეს, მეორე ნაწილი კი — არაფონოლოგიური. ფონოლოგიური და არაფონოლოგიური ოპოზიციების გამოჩენისათვის ენათმეცნიერებაში საკმაოდ ზუსტი კრიტერიუმი არსებობს: თუ ბგერითი ოპოზიცია მოცემულ ენაში სიტყვებს განასხვავებს ერთმანეთისაგან, მაშინ ასეთი ოპოზიცია ფონოლოგიურია, ხოლო თუ არ განასხვავებს — არაფონოლოგიური. თუ სიტყვაში „გვარი“ გ ბგერას ჩაეანაცვლებთ გ ბგერით, მაშინ მივიღებთ სულ სხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვას (გვარი). აქედან დასკვნა: ბგერითი წყვილი გ—გ ქართულში ფონოლოგიურ ოპოზიციას ქმნის.

მაგრამ თუ ორი ბგერის ურთიერთჩანაცვლება ვერ უცვლის სიტყვებს მნიშვნელობებს, მაშინ ასეთი ორი ბგერა არაფონოლოგიურ ოპოზიციას ქმნის. იგივე გ—გ ყაბარღოულში არაფონოლოგიურ ოპოზიციას ქმნის, რადგანაც მათი ურთიერთჩანაცვლება სიტყვის მნიშვნელობის შეცვლას არ იწვევს.

ამრიგად, ჩვენ შეიძლება გვქონდეს როგორც ფონოლოგიური, ისე არაფონოლოგიური ოპოზიციები. ფონემა ამიტომ წარმოადგენს სიტყვათგანმასხვავებელ ერთეულს. შესაბამისად ფონემა განისაზღვრება როგორც ისეთი უმცირესი მნიშვნელობის განმასხვავებელი ერთეული, რომელიც მოცემულ ენაში აღარ იშლება მასზე უფრო მცირე ერთიმეორის მომდევნო მნიშვნელობის განმასხვავებელ ერთეულებად.

§ 2.3. ფონემების გამოყოფა

ფონემა წარმოადგენს აბსტრაქციას. ყოველგვარი ბგერის მიღმა მეტყველებაში ყოველთვის დგას ესა თუ ის ფონემა, მაგრამ ფონემა

მიანც არ ემთხვევა ბგერას. ჩვენ წარმოვთქვამთ არა ფონემებს, არამედ ბგერებს. ზოგჯერ მიაჩნიათ, რომ ფონემა თითქოს ემთხვევა მის ერთ-ერთ ვარიანტს, კერძოდ კი, ძირითად ვარიანტს, რაც, რა თქმა უნდა შეცდომაა. ფონემასა და ვარიანტს შორის ყოველთვის განსხვავებაა და ფონემა ამიტომ არა თუ არ ემთხვევა ბგერას, არამედ არც შეიძლება ემთხვეოდეს მას.

ფონემის ვარიანტებს ეწოდებათ ფონები (ბერძ. φῶνῆ - „ბგერა“), მაგრამ რადგანაც ფონემას სხვადასხვა ვარიანტი აქვს, ამიტომ შემოაქვთ ალოფონის (ბერძ. ἄλλος - „სხვა“) ცნება და შესაბამისად ლაპარაკობენ ფონემის ალოფონების შესახებ.


ალოფონები ორგვარია. ალოფონთა ერთი რიგის არსებობა განპირობებულია სამეტყველო აპარატის არასტაბილური ხასიათით. სამეტყველო აპარატი, მართალია, სტაბილურია, მაგრამ არც ისე, რომ შევძლოს აბსოლუტური სიზუსტით გაიმეოროს ერთი და იგივე ბგერა. ერთი და იგივე ინდივიდიც კი სხვადასხვა მდგომარეობაში სხვადასხვაგვარად წარმოთქვამს ბგერებს. ასე, მაგალითად, სიტყვას „ამხანაგო“ ერთი და იგივე ინდივიდი სხვადასხვაგვარად წარმოთქვამს იმის მიხედვით, თუ როგორია მისი ფიზიკური მდგომარეობა: დასვენებულია თუ დაღლილი, ფხიზელია თუ მთვრალი, ბავშვს ელაპარაკება თუ მოზრდილს, ოჯახურ წრეშია თუ ოფიციალურ გარემოში და ა. შ. ამის მიხედვით მოცემულ სიტყვაში გვექნება რამდენიმე სხვადასხვა ა, რამდენიმე სხვადასხვა მ, რამდენიმე სხვადასხვა ხ და ა. შ. ისევე როგორც ხელნაწერში ერთი და იმავე ასოს ორჯერ აბსოლუტური სიზუსტით გამეორება შეუძლებელია, ასევე არ ხერხდება ერთი ბგერის ორჯერ გამეორება სიზუსტის გარკვეული ხარისხით. განხილული ვარიანტულობა დამოკიდებული არ არის პოზიციაზე და ამიტომ ასეთ ალოფონებს პოზიციურად შეუპირობებელი ანუ ფაკულტატური (ლათ. facultas, facultatis „შესაძლებელი, არასავალდებულო“) ალოფონები ეწოდება.

მაგრამ ალოფონები შესაძლებელია პოზიციურად იყოს განპირობებული. ასე, მაგალითად, რუსულში მაგარი თანხმოვნების მომდევნო პოზიციაში წარმოადგენილია მაგარი ხ, ხოლო ყველა სხვა პოზიციაში – რბილი ი. რადგანაც ხ-ს წინ ყოველთვის მაგარი თანხმოვანი უნდა გვქონდეს, ამიტომ ამ ხმოვანზე (ხ) რუსულში სიტყვა არ იწყება. მეორე მხრივ, ი ხმოვანი თუ მაგარი თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში მოხვდა, მაშინ იგი ავტომატურად გარდაიქმნება ხ-დ (შდრ. история > предыстория, интересный > небезынтересный). მაგარი თანხმოვნის მომდევნოდ რუსულში რბილი ი ხმოვანი არ შეიძლება, რაც აპირობებს კიდევ ამ პოზიციაში ი-ს გადასვლას ხ-ში.

როგორც ვხედავთ, ხ და ი ხმოვნები რუსულში ერთმანეთთან

დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია და ამიტომ ისინი ერთმანეთს არასოდეს არ ჩაენაცვლებიან. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნი Σ და ნ Σ ნი სიტყვებში რუსულში Σ და Σ ერთსა და იმავე პოზიციაშია წარმოდგენილი, მაგრამ ასეთი დასკვნა მოჩვენებითია და გამოწვეულია რუსული გრაფიკის თავისებურებებით. სინამდვილეში კი ნი Σ სიტყვაში Σ წარმოდგენილია რბილი ნ'–ს მომდევნო პოზიციაში, ხოლო ნ Σ ნი სიტყვაში – მაგარი ნ–ს მომდევნო პოზიციაში. ერთი სიტყვით, მოცემულ სიტყვებში ერთმანეთისაგან განსხვავებულია თავიკიდურა თანხმოვნები ნ' და ნ და ეს განსხვავება რუსულ გრაფიკაში ასახული არაა, რადგანაც რუსულში სპეციალური ასოები არ არსებობს რბილი თანხმოვნებისათვის. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ ადვილი ზდება იმის გარკვევა, რომ Σ სიტყვაში ნ Σ ნი წარმოდგენილია მაგარი თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში ისევე, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, ხოლო სიტყვაში ნი Σ – რბილი თანხმოვნის მომდევნო პოზიციაშია და ამ თვალსაზრისით ეს სიტყვა არ განსხვავდება Σ –ს დისტრიბუციის სხვა შემთხვევებისაგან.

ამრიგად, ჩვენ შეიძლება გვქონდეს პოზიციური ვარიანტულობაც, ე.ი. ისეთი ალოფონები, რომელთა არსებობა მეზობელი ბგერების გავლენით არის განპირობებული. ბგერები გავლენას ახდენენ ერთმანეთზე სინტაგმატურ თანმიმდევრობაში, ქმნიან რა ერთ გაბმულ გამას, სადაც ძნელია გაეარკვიოთ, თუ სად მთავრდება ერთი ბგერა და სად იწყება მეორე. ეს მოვლენა გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ ბგერის არტიკულაციის სამ მომენტს, რომლებსაც შემართვას, დაყოვნებასა და დამართვას უწოდებენ. თუ ბგერას იზოლირებულად წარმოვთქვამთ, მაშინ საძივე ეს მომენტი იქნება წარმოდგენილი, მაგრამ გაბმულ მეტყველებაში ერთი ბგერის დამართვა დამთავრებული არც კი არის, რომ მეორე, მისი მომდევნო ბგერის შემართვა იწყება, რაც შლის კიდევ ზღვრებს ბგერებს შორის. იზოლირებული ბგერის არტიკულაცია გამოვხატოთ ასეთი სქემით:



სიტყვაში ბგერების წარმოთქმა სხვა სქემით უნდა გამოიხატოს.



როგორც ვხედავთ, დ-ს დამართვა დამთავრებული არ არის, რომ სამეტყველო ორგანოები რ-ს წარმოსათქმელად ემზადება, ასევე რ-ს წარმოქმნის დამთავრებამდე სამეტყველო აპარატი ო-ს არტიკულაციაზე გადადის. ამიტომ, ვთქვათ, რ სიტყვაში „დრო“ ო-ს ელფერს იძენს, ე.ი. ოდნავ ლაბიალიზებული ხდება და, ამდენად, იგი განსხვავდება რ-საგან სიტყვაში „ქარი“, სადაც მას ლაბიალიზაციის მომენტი არ ახასიათებს. სამაგიეროდ სიტყვაში ქარი რ ოდნავ დარბილებულია, რადგანაც მისი მეზობელი ი ხმოვანი რბილია და ა. შ. ერთი სიტყვით, მეტყველებაში ბგერები ემსგავსებიან ერთმანეთს იმ აზრით, რომ ერთმანეთზე გავლენას ახდენენ, რაც განაპირობებს კიდევ პოზიციურ ვარიანტულობას.

ამრიგად, ფონემა რეალიზდება ბგერებით, ფაკულტატური ან პოზიციური ალოფონებით, რომელთა რაოდენობა პრაქტიკულადაც და თეორიულადაც უსასრულოა. ამიტომ ენათმეცნიერებაში დაისვა საკითხი ბგერათი ვარიანტების უსასრულო რაოდენობის გაერთიანებისა ფონემაში ანუ ბგერითი ვარიანტების იდენტიფიკაციისა, ე. ი. იმის გარკვევისა, თუ რომელ ფონემას უნდა მივაკუთვნოთ ესა თუ ის ბგერითი ვარიანტი. ამისათვის დამუშავდა კიდევ ფონოლოგიური ანალიზის გარკვეული მეთოდი, რომლის მკაცრად გამოყენების შემთხვევაში ცალსახად შეიძლება დაკადგინოთ, თუ რომელი ფონემის ალოფონია ესა თუ ის ბგერა.

წესებს, რომელთა მიხედვითაც ხდება ბგერების დაჯგუფება ფონემებად, ეწოდება ფონემების გამოყოფის წესები. ეს წესები ემყარება დისტრიბუციულ მიმართებებს, რომლებიც, როგორც ვნახეთ, შესაძლებელია იყოს სამი სახის. ესენია: თავისუფალი ვარიირება (ეკვივალენტური დისტრიბუცია), კონტრასტული დისტრიბუცია, დამატებითი დისტრიბუცია.

წესი 1. თუ ორი ბგერა ერთმანეთთან თავის სუფალი ვარიირების მიმართებაშია, ე.ი. თუ მათი ურთიერთჩანაცვლება არ იწვევს სიტყვის მნიშვნელოვანობის შეცვლას, მაშინ ასეთი ორი ბგერა უნდა განვიხილოთ როგორც ერთი ფონემის ალოფონები.

ყაბარდოულში, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ჯ და გ ბგერების ურთიერთჩანაცვლება არ იწვევს სიტყვის მნიშვნელობის შეცვლას.

ამიტომ ეს ბგერები ერთი ფონემის ალოფონებია. ფრანგულსა და გერმანულში უველარული რ-ს ნაცვლად (r grasseyé) ხშირად წარმოთქვამენ აპიკალურ რ-ს, მაგრამ ამგვარი შენაცვლებით სიტყვის მნიშვნელობა არ იცვლება. ამიტომ მოცემული ორი რ ფრანგულსა და გერმანულში ერთი ფონემის ალოფონებია. ჩინურში რ და | ბგერები თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს სიტყვებში ისე, რომ ამით სიტყვის მნიშვნელობა არ იცვლება, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ ეს ბგერები ჩინურში ერთი ფონემის ალოფონებია.

ჩვეულებრივ მსმენელის ყური თავისუფალ ვარიირებას ვერ აღიქვამს, თორემ თუ ჩვენ, ეთქვათ, სიტყვას „ამხანაგო“ ათჯერ გავიმეორებთ, მივიღებთ ათ სხვადასხვა ა-ს სიტყვის „დასაწყისში, ათ სხვადასხვა მ-ს, ათ სხვადასხვა ხ-ს, ათ სხვადასხვა ა-ს (ამჯერად უკვე სიტყვის შიგნით), ათ სხვადასხვა ნ-ს და ა. შ. ყოველი ახლად წარმოთქმული ბგერა ახალი ალოფონია, მაგრამ ასეთ ბგერით ვარიანტებს ჩვენ ყურადღებას აღარ ვაქცევთ ისევე, როგორც მათემატიკაში უსასრულოდ მცირე სიდიდეებს.

წ ე ს ი I. თ უ ო რ ი ბ გ ე რ ა ე რ თ მ ა ნ ე თ თ ა ნ კ ო ნ ტ რ ა ს ტ უ ლ ი დ ი ს ტ რ ი ბ უ ც ი ი ს მ ი მ ა რ თ ე ბ ა შ ი ა, ე. ი. თ უ მ ა თ ი უ რ თ ი ე რ თ ჩ ა ნ ა ც ვ ლ ე ბ ა ს ი ტ ყ ვ ა თ ა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ე ბ ი ს შ ე ც ვ ლ ა ს ი წ ვ ე ვ ს, მ ა შ ი ნ ა ს ე თ ი ო რ ი ბ გ ე რ ა ო რ ი ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ფ ო ნ ე მ ი ს ა ლ ო ფ ო ნ ე ბ ი ა.

ამ წესის მიხედვით ჯ-გ ქართულში ერთი ფონემის ალოფონები კი არა, ორი სხვადასხვა ფონემის ალოფონებია. სიტყვაში „ჯკარი“ თუ ჩვენ შევცვლით ჯ ბგერას გ-თა, მივიღებთ სრულიად სხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვას „გვარი“. ასევე შეიცვლება სიტყვათა მნიშვნელობები ამ ბგერების ურთიერთჩანაცვლებით „ვერი-გერი“, „გორი-გორი“ და სხვა სიტყვებში. ორ ფონემას წარმოადგენს ქართულში რ და ლ ბგერებიც, რადგანაც მათი ურთიერთჩანაცვლება (ჩინურისაგან განსხვავებით) მნიშვნელობის შეცვლას იწვევს (მღრ. ქალი-ქარი, ბალი-ბარი, ბელი-ბერი, დარი-დალი, ხარი-ხალი და სხვ.).

საერთოდ ფონემების გამოყოფა ემყარება ფონოლოგიური ანალიზის მეორე წესს. ამ წესის გათვალისწინებითაა ქართულში გამოყოფილი 33 ფონემა. ც და ლ ბგერებს შორის ქართულში, ეთქვათ, სიტყვაში „ცალი“ ჩვენ შეიძლება ჩავანაცვლოთ ყველა ხუთივე ხმოვანი (მღრ. ცალი - ცოლი - ცელი - ცული - ცილი) და ამ გზით დავამტკიცოთ, რომ

ხუთივე ეს ხმოვანი ქართულში ფონემებია. საკმარისია, ესა თუ ის ბგერა ერთ პოზიციაშიც კი განასხვავებდეს სიტყვის მნიშვნელობას, რომ ის ჩვენ ფონემად მივიჩნიოთ. მაგალითად, ქართულში ჰ არ გვხვდება ხშირად, შეზღუდული დისტრიბუცია აქვს. იგი წარმოდგენილია სულ რამდენიმე სიტყვაში და თანაც სიტყვის დასაწყისში. მიუხედავად ამისა, „ჰავა“ და „გავა“ სიტყვებში ქართულში განსხვავებას ამყარებს ჰ-სა და გ-ს ოპოზიცია და ეს განსხვავება დისტინქტიურია, მნიშვნელობას ცვლის. ამიტომ ჰ ქართულში ფონემად უნდა მივიჩნიოთ, რომ აღარაფერი ეთქვათ გ-ზე, რომლის ფონემურობა ეჭვსაც კი არ იწვევს.

ფონემების გამოყოფა ხდება მინიმალური წყვილების საფუძველზე. მინიმალური წყვილი ეწოდება ერთი ბგერით განსხვავებულ სიტყვებს. ორი სიტყვა ერთმანეთისაგან შეიძლება განსხვავდებოდეს თავიდან ბოლომდე (შღრ. მიწა – ღელე, ხოხობი – კაკანათი და სხვ.), მაგრამ ასევე შესაძლებელია ორ სიტყვას შორის განსხვავებას მხოლოდ ერთი ბგერა ამყარებდეს (ჯვარი–გვარი, ღარი–თარი, ღარი–ხარი, ხარი–ხალი, ცელი–ცოლი და სხვ.). თუ ასეთი განსხვავება საკმარისია სიტყვათა მნიშვნელობების განსასხვავებლად, მაშინ მინიმალურ წყვილს მივიღებთ. მაგალითად, ჯვარი–გვარი ქართულში მინიმალური წყვილია, რადგანაც საწყისი ბგერების ურთიერთჩანაცვლება მნიშვნელობის შეცვლას იწვევს, მაგრამ ნოლი–ნული არ წარმოადგენს მინიმალურ წყვილს, რამდენადაც ო-უ ხმოვნების ურთიერთჩანაცვლება მოცემულ კერძო შემთხვევაში არ იწვევს სიტყვის მნიშვნელობის შეცვლას.

ფონემების გამოყოფის დროს მინიმალური წყვილების დაძებნა აუცილებელია. მხოლოდ მინიმალურ წყვილში ჩანს ის, რომ მოცემული ორი ბგერა მოცემულ ენაში კონტრასტული დისტრიბუციის მიმართებაშია ერთმანეთთან (საერთო პოზიციები აქვთ) და რომ მათი ურთიერთჩანაცვლება სიტყვის მნიშვნელობის შეცვლას იწვევს. მაგრამ ზოგჯერ (მეტად იშვიათად) თუ მინიმალურ წყვილს ვერ დაძებნით, შესაძლებელია სხვა საშუალებებით დავადგინოთ, თუ რომელი ფონემის ალოფონია ესა თუ ის ბგერა.

წ ე ს ი III. თ უ ო რ ი ბ გ ე რ ა ე რ თ მ ა ნ ე თ თ ა ნ
დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი დ ი ს ტ რ ი ბ უ ც ი ი ს მ ი მ ა რ თ
ე ბ ა შ ი ა (ე.ა. თ უ ო რ ი ბ გ ე რ ა ა რ ა ს ო დ ე ს ა
რ ჩ ა ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ა ე რ თ მ ა ნ ე თ ს ე რ თ ს ა დ ა
ი მ ა ვ ე პ ო ზ ი ც ი ა შ ი) დ ა თ უ ა ს ე თ ი ო რ ი
ბ გ ე რ ა მ ს გ ა ვ ს ი ა ე რ თ მ ა ნ ე თ ი ს ა ფ ო ნ ე
ტ ი კ უ რ ა დ, მ ა შ ი ნ ი ს ი ნ ი ჩ ვ ე ნ უ ნ დ ა გ
ა ნ ვ ი ხ ი ლ ო თ რ ო გ ო რ ც ე რ თ ი დ ა ი მ ა ვ ე
ფ ო ნ ე მ ი ს პ ო ზ ი ც ი უ რ ი ა ლ ო ფ ო ნ ე ბ ი.

რუსულში, როგორც ვნახეთ, *ხ* და *и* ბგერები ერთმანეთთან დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია, რადგანაც *ხ* წარმოდგენილია მხოლოდ მაგარი თანხმოვნების მომდევნო პოზიციაში, სადაც მისი ჩანაცვლება *и* ბგერით დაუშვებელია (ასეთი ჩანაცვლებით მივიღებდით რუსული ენის თვალსაზრისით არასწორ ფორმებს: *дым>*дим, предыстория>*предистория, дыня>*дinya* და სხვ.). გარდა ამისა, *ხ* და *и* რუსულში ფონეტიკურად მსგავსია ერთმანეთისა. ფონეტიკური მსგავსება იზომება ორი ბგერისათვის დამახასიათებელი საერთო ფონეტიკური ნიშნების მიხედვით. *ხ* და *и* რუსულში ფონეტიკურად მსგავსია ერთმანეთისა იმიტომ, რომ მათთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნების ერთობლიობა (ხმოვნობა, არაბაგისმიერობა, ენის აწეულობის მაქსიმალური ხარისხი) სხვა ბგერითი წყვილისათვის რუსულში დამახასიათებელი არ არის. განსხვავება ამ ორ ბგერას შორის ისაა, რომ *ხ* მაგარია, ხოლო *и*—რბილი, სხვა ნიშნები კი მათ საერთო აქვთ, ამიტომ *ხ* და *и* რუსულში ერთი ფონემის ალოფონებია არა მარტო დისტრიბუციის (დამატებითი დისტრიბუცია), არამედ ფონეტიკური მსგავსების მიხედვითაც.

დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში მყოფი ბგერებისათვის ფონეტიკური მსგავსება აუცილებელია, რომ ჩვენ ისინი ერთი ფონემის ალოფონებად განვიხილოთ. კორეულში სიტყვის თავსა და შიგნით წარმოდგენილია *ს* და *რ* ბგერები, ხოლო სიტყვის ბოლოში — *ლ* ბგერა. დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია ერთმანეთთან როგორც *ს*—*ლ*, ისე *რ*—*ლ* ბგერები. ისმება კითხვა: რომელი წყვილი უნდა განვიხილოთ მოცემული ორი წყვილიდან ერთი ფონემის ალოფონებად. დამატებითი დისტრიბუციის მიხედვით ამას ვერ გავარკვევთ, რადგანაც ამ თვალსაზრისით მოცემული ორი წყვილი ერთმანეთისგან არ განსხვავდება. რჩება მხოლოდ ფონეტიკური მსგავსება. ამ კრიტერიუმის მიხედვით *რ*—*ლ* ბგერები გამოდის ფონეტიკურად მსგავსი, რადგანაც *ლ*-ს *რ*-თან უფრო მეტი აქვს საერთო, ვიდრე *ს*-თან. ამიტომ კორეულში ერთი ფონემის ალოფონებად უნდა განვიხილოთ *რ* და *ლ* ბგერები და არა *ს* და *ლ*.

ბგერისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის ნიშანი, როგორც ვხედავთ, ზოგჯერ პოზიციურია, მხოლოდ მოცემულ პოზიციაში არ არის წარმოდგენილი. მაგალითად, *ხ* რუსულში სიმაგრით ხასიათდება მხოლოდ მაგარი თანხმოვნების მომდევნო პოზიციაში, ხოლო სხვა პოზიციებში იგი რბილი *и* ხმოვნით იცვლება. ვ ბგერა ქართულში ყრუ თანხმოვნების წინ (ეთესავ, ვჭამ, ვკერავ, ვკლავ და სხვ.) ან სიტყვის ბოლოში წარმოითქმის როგორც *ფ*. სიტყვა „ეთესავ“ წარმოითქმის მიხედვით არის *ფ*თესა*ფ*. აქედან დასკვნა: ვ და *ფ* ქართულში ერთმანეთთან დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია და თანაც სიყრუე პოზიციური

თვისებაა Φ -სათვის, რადგანაც ამ ნიშანს იგი იძენს მხოლოდ ყრუ თანხმოვნებთან მეზობლობაში და სიტყვის ბოლოში. ასეთ პოზიციებში შეძენილი ნიშნები ფონოლოგიურ ოპოზიციებში არ მონაწილეობენ, ე. ი. ამ ნიშნების მიხედვით სიტყვათა მნიშვნელობების განსხვავება არ ხდება.

ბგერისათვის დამახასიათებელ იმ ნიშნებს, რომლებიც მოცემულ ენაში სიტყვათა მნიშვნელობების განსასხვავებლად გამოიყენებიან, ეწოდებათ რელევანტური ნიშნები. (ფრანგ. *relevante* „ღირებული“), ხოლო იმ ნიშნებს, რომლებიც ამ ნიშნით არ გამოიყენებიან — ირელევანტური (არაღირებული). ასე, მაგალითად, χ -თვის რუსულში სიმაგრე ირელევანტური ნიშანია, ასევე ირელევანტური ნიშანია χ -თვის სილბო და ამდენად, სილბო-სიმაგრის მიხედვით დაპირისპირება χ - χ წყვილში ფონეტიკური ხასიათისაა და არა ფონოლოგიური. ასევე ირელევანტური ნიშნებია ψ - ϕ წყვილში მჟღერობა და სიყრუე და ა. შ.

ფონემაში შედის მხოლოდ ფონოლოგიურად რელევანტური ნიშნები და ამიტომ ფონემის მეორე დეფინიცია ასეთია: ფონემა არის მოცემული ბგერის არტიკულაციისათვის დამახასიათებელი რელევანტური ნიშნების ერთობლიობა. მაგალითად, χ - χ ბგერებისათვის დამახასიათებელია რუსულში რელევანტური ნიშნების გარკვეული ერთობლიობა. ეს ნიშნებია: ხმოვნობა, არაბაგისმიერობა, ენის აწეულობის მაქსიმალური ხარისხი. მოცემული სამი რელევანტური ნიშნის ერთობლიობა რუსულში χ მნის / χ / ხმოვან ფონემას, რომელიც არც რბილია და არც მაგარი, მაგრამ პოზიციებში იგი ან მაგარი ალოფონით იქნება წარმოდგენილი (მაგარი თანხმოვნების მომდევნო პოზიცია), ან რბილი ალოფონით (ყველა სხვა პოზიცია). ასევე ფონემა (ვ) ქართულში დახასიათდება როგორც თანხმოვანი, ნაპრალოვანი, კბილბაგისმიერი, მაგრამ, მჟღერობა-სიყრუე ირელევანტური ნიშანი გამოვა. ეს ნიშნები (ვ)-სთვის დამახასიათებელია მხოლოდ გარკვეულ პოზიციებში და, ამდენად, ამ ნიშნების მიხედვით მნიშვნელობათა განსხვავება არ მოხერხდება. სხვა შემთხვევებში იგივე ნიშნები ქართულში რელევანტური იქნება, თუ, რა თქმა უნდა, ისინი მონაწილეობას მიიღებენ სიტყვათა განსხვავებაში. მაგალითად, დარი-თარი და გერი-ქერი მინიმალურ წყვილებში მჟღერობა-სიყრუე რელევანტური ნიშნებია. დ-თ ან გ-ქ ფონემებს ყველა სხვა ნიშანი საერთო აქვთ, მათ განასხვავებს მხოლოდ მჟღერობა-სიყრუე და ეს განსხვავება ქართულში საკმარისია სიტყვათა განსასხვავებლად, რაც დამატაციკებელია იმისა, რომ დ-თ, გ-ქ წყვილებში მჟღერობა სიყრუე რელევანტური ნიშნებია.

ამრიგად, ფონემა ხასიათდება როგორც რელევანტური ნიშნების ერთობლიობა, ხოლო ბგერა — როგორც რელევანტური, ისე ირელევან-

ტური ნიშნების ერთობლიობა. ამიტომ ნიშნების რაოდენობის მიხედვით ბგერა ყოველთვის მეტია ფონემაზე. ბგერას შეიძლება ახასიათებდეს ბგერა სხვადასხვა ნიშანი, როგორც პოზიციურად შეპირობებული, ისე პოზიციურად შეუპირობებელიც. ერთი და იგივე ფონემები სხვადასხვაგვარად რეალიზდებიან ქალისა და კაცის მეტყველებაში და ამიტომ ჩვენ ადვილად ვარჩევთ, ქალი მეტყველებს თუ კაცი. ასევე სხვადასხვაგვარად რეალიზდებიან ისინი ბავშვისა და მოზუცის ან მოვრალისა და ფხიზელის მეტყველებაში და ა. შ. ყველა ეს ნიშანი პოზიციურად განუპირობებელია და, რაც, მთავარია, ბგერებისთვის არის დამახასიათებელი. საკუთრივ ლინგვისტური თვალსაზრისით ასეთი ნიშნები ირელევანტურია, რადგანაც ისინი სიტყვათა განსხვავებისათვის არ გამოიყენება. ერთი სიტყვით, ბგერა უფრო რთული მექანიზმია, ვიდრე ფონემა. ბგერებში ენათმეცნიერებას აინტერესებს მხოლოდ ის, რაც მოცემულ ენაში სიტყვათა განსხვავებისათვის გამოიყენება, ე. ი. ბგერებში ენათმეცნიერებას მხოლოდ ფონემები აინტერესებს. რადგანაც ბგერა გაცილებით უფრო მეტი ნიშნებით ხასიათდება, ვიდრე ფონემა, თავისთავად ცხადია, რომ ფონემა არ შეიძლება დაემთხვეს რომელიმე თავის ალოფონს. ალოფონს ყოველთვის ახასიათებს ბგერა ისეთი ნიშანი, რომლებიც რელევანტური არ არიან და, ამდენად, ფონემას არ ეკუთვნიან. ამიტომ, როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული, ფონემისა და ალოფონის ერთმანეთთან გათანაბრება და იმის მტკიცება, რომ ფონემა თავის ძირითად ვარიანტს ემთხვევა, რა თქმა უნდა, არასწორია. ფონემა და ბგერა პრინციპულად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან. მათი ერთმანეთში აღრევა დაუშვებელია.

§3 ფონოლოგიური სისტემები

§3.1. თანხმოვანთა და ხმოვანთა სისტემები

ფონემები ქმნიან გარკვეულ სისტემებს და ეს სისტემები სხვაობენ ენადან ენაში, რაც დამამტკიცებელია იმისა, რომ სხვადასხვა ენა სხვადასხვაგვარად ანაწევრებს ბგერათა მასას ფონემებად. უნივერსალურია დაყოფა ფონემებისა თანხმოვანთა და ხმოვანთა სისტემებად, რადგანაც არა გვაქვს ისეთი ენა, რომელშიც იქნებოდა ან მხოლოდ ხმოვანთა და ან მხოლოდ თანხმოვანთა სისტემა. ორივე ეს სისტემა ენებში ერთ-მანეთთან თანაარსებობს და ერთმანეთის გარეშე არ წარმოიდგინება. თანხმოვანთა სისტემები თავის მხრივ იყოფა ხშულების, ნაპრალინების და სონორების სისტემებად. ხშულები და სონორები ხასიათდება უნივერსალური გავრცელებით, ხოლო ნაპრალონები არა გვაქვს ოკეანეთის ზოგიერთ ენაში. ქვემოთ ჩვენ ცალ-ცალკე განვიხილავთ ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემებს სხვადასხვა ენებში.

§3.2. ხმოვანთა სისტემები

ხმოვანთა სისტემებს წარმოადგენენ გარკვეული გეომეტრიული ფიგურების სახით. ეს ფიგურებია: სწორი ხაზი, სამკუთხედი, ტრაპეცია, ოთხკუთხედი, მრავალკუთხედი, კუბი და ა. შ. როგორც ჩანს, ისეთი ენა, რომელშიც მხოლოდ ერთი ხმოვანი ფონემა იქნება, არც შეიძლება არსებობდეს და არცა გვაქვს. მართალია, ზოგიერთ ენაში ერთ ხმოვან ფონემას გამოყოფენ მხოლოდ, მაგრამ ამგვარი ფონოლოგიური ანალიზი გარკვეულ ეჭვებს იწვევს.

ხმოვანთა სისტემებში ფუნდამენტურია ოპოზიციები ენის აწეულობის, ლოკალური რიგისა და ბაგეების მონაწილეობის მიხედვით. განვიხილოთ ეს ნიშნები.

ენის აწეულობის მიხედვით განასხვავებენ სამ საფეხურს: დაბალს, საშუალოსა და მაღალს. დაბალი აწეულობის ხმოვნების წარმოთქმისას ქვედა ყბა და ენა შედარებით ძირს არის ჩამოშვებული. ასეთი ხმოვნებია მაგალითად, ა ქართულში, a რუსულში, ჯ და ^ ინგლისურში და სხვ. საშუალო აწეულობის ხმოვნების წარმოთქმისას ან წინა ენა აიწევეს ოდნავ მაღლა, ანდა უკანა ენა. პირველ შემთხვევაში მიიღება ე ხმოვანი ქართულში, ანდა e და ö გერმანულში, ხოლო მეორე შემთხვევაში – ო ხმოვანი ქართულში ან o გერმანულში. თუ წინა ენა კიდევ უფრო აიწევეს მაღლა, მაშინ მიიღება ქართულის ი ან გერმანულის i და ü, ასევე რუსული и და ü. მაგრამ თუ უკანა ენა აიწევეს მაღლა, მაშინ მივიღებთ ქართულის უ ხმოვანს, ან რუსულის y-სა და გერმანულის u-ს.


ლოკალური რიგიც სამია: წინა, შუა და უკანა. წინა რიგის ხმოვნები იწარმოებიან წინა ენით. ასეთებია ი და ე ქართულში, ჯ და и რუსულში, ან e, i, ö, ü – გერმანულში და სხვ. შუა რიგისაა ა ხმოვანი ქართულში ასევე შუა რიგისაა რუსულის a და ä ა. შ. უკანა რიგისაა ო და უ ქართულში, o და y რუსულში, ან o და u გერმანულსა და ინგლისურში.

ბაგეების მონაწილეობის მიხედვით გამოყოფიან ლაბიალური (ბაგისმიერი) ხმოვნები (მაგ. ო და უ ქართულში, ან o და u ინგლისურსა და გერმანულში), რომლებიც ამ ნიშნით უპირისპირდებიან არა ლაბიალურ ა-ე-ი ხმოვნებს ქართულსა ან სხვა ენებში.


ზოგ ენაში ხმოვნები უპირისპირდებიან ერთმანეთს მხოლოდ ენის აწეულობის ხარისხის მიხედვით. ხმოვანთა ასეთ სისტემას ეწოდება ხაზობრივი. ხაზობრივი სისტემა ხმოვნებისა გვაქვს, მაგალითად, ყაბარდოულში, რომელშიც განსხვავდება მოხლოდ სამი ხმოვანი – ფონემა (შესაძლებელია ორიც კი):

ა
e
a


სამი ხმოვანი ფონემა გვაქვს არაბულშიც, მაგრამ ამ შემთხვევაში ენის აწეულობის ხარისხის გვერდით (ენის აწეულობის ორი საფეხური გვაქვს ამ ენაში) არსებობს დაპირისპირება ლაბიალობის მიხედვითაც. ამიტომ არაბულის სამი ხმოვანი ქმნის არა ხაზობრივ, არამედ სამკუთხა სისტემას (ხმოვანთა სამკუთხედს), რომელშიც განსხვავდება დაბალი (a) და მაღალი აწეულობის (i-u) ხმოვნები, ერთი მხრივ, და ლაბიალური (u) და არალაბიალური (a-i) ხმოვნები, მეორე მხრივ:




ხმოვანთა სამკუთხა სისტემა გვაქვს ქართულშიც, მაგრამ ამ შემთხვევაში განსხვავებულია ენის აწეულობის სამი საფეხური:



ხმოვანთა სამკუთხედი წარმოადგენს ხმოვანთა სისტემის მეტად გავრცელებულ ტიპს მსოფლიოს სხვადასხვა ენებში. ქართულის გარდა იგი გვაქვს ლათინურში:




სამკუთხა სისტემა ხმოვნებისა გვაქვს რუსულშიც.




ხმოვანთა სამკუთხედი გვაქვს იაპონურში და ბევრ სხვა ენაში

(აზიის, აფრიკის, ამერიკის, ავსტრალიის ენებში). მაგრამ ფონოლოგიური შინაარსი ხმოვანთა სამკუთხედისა სხვადასხვა არის სხვადასხვა ენებში. რუსულში o - 3 და y - h ხმოვნებს შორის ოპოზიცია ემყარება არა ლოკალური რიგების მიხედვით (უკანა-წინა) განსხვავებას, არამედ ლაბიალობის მიხედვით დაპირისპირებას, ე. ი. რუსული o და y უპირისპირდებიან 3 და h ხმოვნებს არა როგორც უკანაენისმიერი წინაენისმიერთ, არამედ როგორც ლაბიალურები - არალაბიალურებს. იაპონურში, პირიქით, o და u ხმოვნები e და i ხმოვნებისაგან ლოკალური რიგით განსხვავდებიან და არა ლაბიალობა - არალაბიალობის მიხედვით. ამიტომ რუსულში o და y ხმოვნები დახასიათდებიან როგორც ლაბიალური, ხოლო 3 და h - როგორც არალაბიალური. რაც შეეხება იაპონურს, აქ საწინააღმდეგო მდგომარეობა გვაქვს და ამიტომ o და u იაპონურში წარმოადგენენ უკანა რიგის ხმოვნებს, რომლებიც უპირისპირდებიან წინა რიგის e და i ხმოვნებს.

ხმოვნები ამა თუ იმ ენაში შესაძლებელია ქმნიდნენ ოთხკუთხედსაც. ასეთი მდგომარეობა გვაქვს, მაგალითად, უზბეკური ენის ტაშკენტურ დიალექტში და სხვა ენებშიც.



ზოგ ენაში ხმოვანთა სისტემას კუბის სახითაც კი წარმოადგენენ ასეთი სისტემა გვაქვს, მაგალითად, თურქულში:



მოცემული კუბის მიხედვით გვაქვს შემდეგი ოპოზიციები: 1) დაბალი ($e, a, 3, o$) - მაღალი ($i, ɿ, u, ü$), ლაბიალური ($(ö, ü, o, u)$ - არალაბიალური ($e, i, a, ɿ$), წინა რიგი ($e, i, ö, ü$) - უკანა რიგი ($a, ɿ, o, u$).

განზილული საძი ნიშნის გარდა (ენის აწეულობა, ლოკალური რი-

გი, ლაბიალობა) ხმოვნებს შეიძლება ახასიათებდეთ სხვა ნიშნებიც: განსაკუთრებით გავრცელებულია ენებში ნაზალიზაცია და ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე.

ნაზალიზაცია რეზონანსული ნიშანია, რადგანაც იგი წარმოიქმნება ცხვირის რეზონატორში. გარკვეულ პოზიციებში, სახელდობრ თანხმოვნის წინ და სიტყვის ბოლოში ნაზალური მ და ნ ბგერები კარგავენ სხვა ნიშნებს ნაზალიზობის გარდა. რადგანაც ფონემა არ შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ერთი ნიშნისაგან, ამიტომ ეს ნიშანი (ნაზალიზაცია) წინამძველ ხმოვანს მიეკედლება, რაც იწვევს კიდევ ნაზალიზებული ხმოვნების წარმოქმნას. ასე, მაგალითად, ფრანგულში prendre „აღება“ ი-ს არტიკულაციისგან რჩება მხოლოდ ნაზალიზაცია, რომელიც წინამძველ ხმოვანთან ერთად ი ნაზალიზებულ ხმოვანს ქმნის.

ნაზალიზებული ხმოვნები, ფრანგულის გარდა, გავრცელებულია სხვა ენებშიც, მაგრამ ნაზალიზებულ ხმოვანთა რაოდენობა არასოდეს არ აჭარბებს არანაზალიზებულ ხმოვანთა რიცხვს. შესაძლებელია ისინი რაოდენობრივად ემთხვეოდნენ ერთმანეთს, როგორც ეს, მაგალითად, ბირმულში ხდება, მაგრამ, როგორც წესი, ნაზალიზებულ ხმოვანთა რაოდენობა უფრო ნაკლებია, ვიდრე არანაზალიზებულებისა. იმავე ფრანგულში ათ არანაზალიზებულ ხმოვანზე (ა, ვ, ა, ე, მ, ე, უ, ყ, ი) მოდის მხოლოდ 4 ნაზალიზებული ხმოვანი (ნ, ზ, მ, ნ).

გავრცელებულია ენებში ხმოვანთა სიგრძე – სიმოკლის მიხედვით დაპირისპირებაც ანუ ქვანტიტატიური (რაოდენობრივი) ოპოზიციები. ხმოვანთა აქამდე განხილული ოპოზიციები ქვალიტატიურია (თვისებრივი) სხვა სახისაა ქვანტიტატიური ფონოლოგიური ოპოზიცია. ამ შემთხვევაში ოპოზიცია იყარდება იმის მიხედვით, თუ რა სიგრძისაა ხმოვანი. რადგანაც ბგერის წარმოთქმა დროის გარკვეულ მონაკვეთში ხდება, ამიტომ სიგრძე დამახასიათებელია ყველა ბგერისათვის. მაგალითად, ა-ს წარმოთქმის ხანგრძლივობა ქართულში საშუალოდ უდრის წამის 17/100-ს, გ-სი 10/1000-ს და ა. შ. მაგრამ ქართულში მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ა ხმოვნის ხანგრძლივობა 17/100-ს უდრის თუ 29/100-ს. ა-ს ხანგრძლივობა სხვადასხვა შეიძლება იყოს ქართულში, მაგრამ ეს ნიშანი სიტყვათა განსხვავებისთვის არ გამოიყენება, ე. ი. ქართულში არა გვაქვს გრძელი და მოკლე ხმოვანი ფონემების ოპოზიციები.

მაგრამ ჩვენ გვაქვს ისეთი ენები, სადაც ხმოვანთა ხანგრძლივობას ფონოლოგიური დანიშნულება აქვს. ასე, მაგალითად, ლათინურში venit (მოკლე ე-თი) ნიშნავს „მიდის“, ხოლო venit (გრძელი ე-თი) – „მივიდა“. ამავე ენაში manus ხელს ნიშნავს, ხოლო manus ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა (ხელისა). ქვანტიტატიური ოპოზიციები ხმოვნებისა გვაქვს გერმანულში, ინგლისურში, ჩეხურში და სხვა (შდრ. გერმ.

Saat [zāt] „თესლი“ და Satt [zat] „მაძღარი“, ინგ. seat [sit] „სკამი“ და sit [sit] „ჯდომა“ და სხვა).

§3.3. თანხმოვანთა სისტემები

3.3.1. ხშულთა სისტემები

როგორც უკვე ითქვა, თანხმოვანთა სისტემები იყოფა ხშულების ნაპრალოვნების და სონორების სისტემებად. განვიხილოთ ეს სისტემები, ამავე რიგის მიხედვით.

ხშულთა სისტემაში ჰომორგანული ხშულები შეიძლება ქმნიდნენ წყვილულებს სამეულებსა და ოთხეულებს. წყვილულებს მივიღებთ იმ შემთხვევაში, თუ ერთ ლოკალურ რიგში განსხვავებული იქნება მხოლოდ ორი ფონემა. ასეთი სისტემა ხშულებისა წარმოდგენილია, მაგალითად გერმანულში:

	I	II
1. ბილიბიალური	b	p
2. დენტალური	d	t
3. ველარული	g	k

ხშულები წყვილულებს ქმნიან ინგლისურშიც:

1. b p
2. d t
3. g k

ასევე წყვილულებს ქმნიან ხშულები ფრანგულშიც:

1. b p
2. d t
3. g k

და ბოლოს, ხშულთა წყვილები გვაქვს რუსულშიც:

1. б п
2. д т
3. г к

ხშულთა წყვილულებრივ სისტემებში, როგორც ვხედავთ, ჰომოგენურობის მიხედვით განსხვავებულია ორ-ორი სერია – მჟღერებისა (b-d-g, б-д-г) და ყრუებისა ანუ არამჟღერებისა (p-t-k, п-т-к). მაგრამ ყრუ ხშულების სერია შეიძლება გაიყოს ორ სერიად, რომელთაგან ერთი იქნება ფშვინვიერების სერია, ხოლო მეორე არაფშვინვიერებისა. არაფშვინვიერების სერია ქართულსა და სხვა კავკასიურ ენებში რეალიზდება მკვეთრების ანუ აბრუპტივების სერიის სახით. ეს ზღვება იმიტომ, რომ აბრუპტივებისათვის დამახასიათებელია ყელხშვა (გლოტალური ხშვა). იმიტომ ქართულის მკვეთრები (აბრუპტივები), ვთქვათ, რუსულის ყრუ

ხმულებისაგან განსხვავდებიან იმით, რომ რუსულის ხმულები ყელხშვით არ ხასიათდებიან. თუ, მაგალითად, ველარული ყრუ ხმული რუსულში არის k, მაშინ სათანადო ველარული ყრუ ხმული ქართულში იქნება ან kh (ფშვინვიერი), ან kG (ყელხშული). ამიტომ ყრუ ხმულების სერია ქართულში ორ სხვადასხვა სერიად არის გაყოფილი და სათანადოდ სისტემატაც ასეთია:

	I	II	III
1. ბილაბიალური:	ბ	ფ	პ
2. დენტალური:	დ	თ	ტ
3. პრეალვეოლარული:	ძ	ც	წ
4. პოსტალვეოლარული:	ჯ	ჩ	ჭ
5. ველარული:	გ	ქ	კ
6. ფარინგალური:			ყ

ხმულები შესაძლებელია სამეულებრივ სისტემას ქმნიდნენ, მაგრამ მესამე სერია არ წარმოადგენს ყელხშულთა სერიას ისევე, როგორც ეს გვაქვს ხშულთა წყვილებრივ სისტემაში რუსულსა, გერმანულსა, ინგლისურსა, ფრანგულსა და სხვა ენებში, სადაც ყრუ ხმულები ფონოლოგიური თვალსაზრისით არც ფშვინვიერება და არც მკვეთრები, თუმცა ვარიანტების სახით ამ სერიის ყრუ ხმულებს შესაძლებელია ჰქონდეთ ფშვინვიერი ბგერები. როგორც ჩანს, ასეთი სამეულებრივი სისტემა ხმულებისა წარმოადგენილია ძვ. ბერძნულში:

	I	II	III
1. ბილაბიალური:	b	ph	p
2. დენტალური:	d	th	t
3. ველარული:	g	kh	k

დასასრულ, ხმულებმა შეიძლება შექმნან ოთხეულებრივი სისტემატაც კი. ასეთი ოთხეულებრივი სისტემა ხმულებისა წარმოადგენილია ძვ. ინდურში, სადაც ძვ. ბერძნულისაგან განსხვავებით, დაპირისპირება ფშვინვიერობა – არაფშვინვიერობის მიხედვით გატარებულია არა მარტო ყრუ, არამედ მჟღერ ხმულებშიც, ე.ი. გვაქვს ფშვინვიერი და არაფშვინვიერი მჟღერი ხსულები

	I	II	III	IV
1. ბილაბიალური:	bh	b	ph	p
2. დენტალური:	dh	d	th	t
3. ველარული:	gh	g	kh	k

ოთხეულებრივი სისტემა ხმულებისა შესაძლოა სხვა სახითაც იყოს. ქვემოაღილეური ენის დიალექტებში განსხვავებულია ფშვინვიერთა ორი სერია, რომელთაგან ერთი ხასიათდება ფშვინვიერების მაქსიმალური

ხარისხით, ხოლო მეორე – მინიმალური ხარისხით. მინიმალური ხარისხის მქონე ყრუ ფშვინვიერებს სხვაგვარად უწოდებენ პრერუპტივებს

	I	II	III	IV
1. ბილაბიალური:	ბ	ფ	მ	პ
2. დენტალური:	ღ	თ	ა	ტ
3. პრეალვეოლარული:	ძ	ც	წ	წ
4. პოსტალვეოლარული:	ჯ	ჩ	ყ	ჭ
5. ველარული:	გ	ქ	ჩ	კ

3.3.2. ნაპრალოვნები: ხშულებისაგან განსხვავებით ნაპრალოვნები (სპირანტები), როგორც წესი, წვეილეულებრივ სისტემებს ქმნიან, რომლებშიც განსხვავებულია მჟღერებისა და ყრუ ნაპრალოვნების სერიები, ქართულში ეს სისტემა შემდეგი სახისაა:

	I	II
1. ლაბიოდენტალური:	ვ	–
2. პრეალვეოლარული:	ზ	ს
3. პოსტალვეოლარული:	ჟ	შ
4. ველარული:	ღ	ხ
5. ლარინგალური:	–	კ

რუსულში სპირანტთა სისტემა შედარებით განსხვავებულია:

	I	II
1. ლაბიოდენტალური:	ბ	ფ
2. პრეალვეოლარული:	ვ	ც
3. პოსტალვეოლარული:	ჟ	შ
4. ველარული		ხ

ანალოგიური სისტემა ნაპრალოვნებისა წარმოდგენილია ინგლისურში, გერმანულსა და ფრანგულში:

	I	II
1. ლაბიოდენტალური:	ვ	ფ
2. პრეალვეოლარული:	ზ	ს
3. პოსტალვეოლარული:	ჟ	შ
4. ველარული		ხ

ველარული რიგი წარმოდგენილია მხოლოდ გერმანულში და ისიც დეფექტური სახით, რადგანაც, ისევე, როგორც რუსულში, ჩამოთვლილ ენებშიც არა გვაქვს (ღ). ამიტომ ინგლისურსა და ფრანგულში გვაქვს მხოლოდ სპირანტთა პირველი სამი რიგი.

3.3.3. სონორები. სონორები (m, n, l, r) ხშულებისა და ნაპრალოვნებისგან განსხვავებით მხოლოდ ცალეულებს ქმნიან, ე. ი. სინორებში

არა გვაქვს ოპოზიციები ჰომოგენურობის პრინციპის მიხედვით. სონორები მუდგერი ფონემებია, მაგრამ ამ ნიშნის მიხედვით ისინი ვერ უპირისპირდებიან სათანადო ყრუ სონორებს. მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებელია სონორების დაჯგუფება გარკვეულ წყვილებად. პირველი ასეთი წყვილი იქნება $m-n$, ხოლო მეორე $-l-r$. დაჯგუფების საფუძველია ჰომოგენურობის პრინციპი და ამიტომ მოცემული წყვილებიც ქმნიან არა რიგებს, არამედ სერიებს. $m-n$ ფონემები ჰომოგენურია იმდენად, რამდენადაც ორივე ნაზალურია, ხოლო ჰეტერორგანულია ისინი იმიტომ, რომ m წყვილბაგისმიერია, ხოლო n —დენტალური. ასევე ჰომოგენურია $l-r$ ფონემებიც. მათ ჰომოგენურობას გგანსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ორივე მთრთოლია: r —ს წარმოთქმის დროს თრთის ენის წვერი, ხოლო l —ს წარმოთქმის დროს — ენის გვერდი, რაც ქმნის კიდევ მსგავსებას ამ ორ ბგერას შორის ჰომოგენურობის პრინციპის მიხედვით. ერთი სიტყვით, $l-r$ ფონემები ერთ საოპოზიციო წყვილს ქმნიან როგორც მთრთოლი ბგერები (ვიბრანტები), რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან ჰეტერორგანულობის წესის მიხედვით: l დენტალური ხშულია, ხოლო r —ალვეოლარული. როგორც ვხედავთ, სონორებიც არ წარმოადგენენ ცალკეულებს, ე. ი. სონორებიც ოპოზიციებს ქმნიან გარკვეული წყვილების შიგნით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სონორები წყვილულებრივ სისტემას ქმნიან და, ამდენად, სისტემის გარეთ არ რჩებიან. სონორებმა შეიძლება სამეულებრივი სისტემაც კი შექმნან, $m-n-l$ ფონემები ინგლისურში ქმნიან საოპოზიციო სამეულს, რომელთა გამაერთიანებელი ნიშანია ნაზალობა, ხოლო განმასხვავებელი ნიშანი — წარმოების ადგილი: m ბილაბიალური ნაზალია, n —დენტალური ნაზალი, ხოლო l —ველარული ნაზალი.

საოპოზიციო წყვილს ქმნიან $g(j)$ და w ნახევარხმოვნებიც. როდესაც ჩვენ ხმოვანთა სამკუთხედზე ვმსჯელობდით, სპეციალურად არ შეეჩერებულვართ იმაზე, რომ სამკუთხედში ვერტიკალური მიმართულებით ($a-e-i$, $a-o-u$) ხმოვნები თანდათანობით ვიწროვდებიან. დაბალი აწეულობის ხმოვანი (a) ყველაზე ფართო ხმოვანია, შედარებით ვიწროა e და o ხმოვნები, მაგრამ კიდევ უფრო ვიწრო — i და u . u -ს შემდგომი დავიწროებით მიიღება ნახევარხმოვანი w (ჟ), ხოლო i — დავიწროებით — ასევე ნახევარხმოვანი — j (ჯ). ამიტომ j და w ღიაობის ერთი და იმავე ხარისხით ხასიათდებიან, ეს საფეხური მინიმალურია ხმოვანთა სისტემაში, მაგრამ მაქსიმალურია თანხმოვანთა სისტემაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, j და w ჰომოგენურია, რადგანაც ორივეს ახასიათებს ღიაობის მინიმალური საფეხური, მაგრამ ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან როგორც ლაბიალური (w) და არალაბიალური (j) ბგერები. ერთ ენაში ეს დაპირისპირება შესაძლებელია

ფონოლოგიური იყოს, მეორეში — არაფონოლოგიური. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, განასხვავებენ თუ არა j და w სიტყვებს ამა თუ იმ ენაში.

§4. ფონოტაქტიკა

ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო ფონოლოგიური სისტემების, არამედ ფონემათა ურთიერთშეხამების წესების მიხედვითაც. ფონემათა ურთიერთშეხამების წესებს იკვლევს ფონოტაქტიკა (ბერძ. *phōnē* „ბგერა“, *taktika* „დაწყობა, დალაგება“).

ყველა ენას ახასიათებს სპეციფიკური ფონოტაქტიკური წესები, რაც გარკვეულ აკრძალვებში გამოიხატება. შესაძლებელია რომელიმე პოზიციაში დასაშვები იყოს მოცემული ენის ყველა ფონემა, ხოლო მეორე პოზიციაში რაიმე შეზღუდვები იყოს დაწესებული. ასე, მაგალითად, ქართულში სიტყვა შეიძლება იწყებოდეს ნებისმიერი თანხმოვნით (ბარი, ფარი, პარი, დარი, თარი, ტარი, ძელი, ცელი, წელი, ჯვარი, ჩვარი, ჭერი, გერი, ქერი, კერა, ყანა, ვარდი, ზარი, სარი, ჟამი, შავი, ღორი, ხელი, ჰაერი, მამალი, ნერგი, ლომი, რიყე), მაგრამ ასეთი თავისუფლება სიტყვის ბოლოსათვის არ არის დამახასიათებელი. ქართულში სიტყვა არ შეიძლება მთავრდებოდეს მჟღერ თანხმოვანზე, რადგანაც მჟღერი ხშულები და ნაპრალოვნები სიტყვის ბოლოს ქართულში ყრუდებიან. ამიტომაც, რომ „კამაყობ“ წარმოითქმის როგორც [კამაყოფ], კარგად — როგორც [კარგათ], „ავდეგ“ — როგორც [ავდექ] და სხვა.

ფონოტაქტიკური წესები სხვადასხვა ენაში სხვადასხვაა. ისეთ მახლობელ ენებშიც კი, როგორიც ქართული და მეგრულია, სხვადასხვა ფონოტაქტიკური წესები იჩენს თავს. მაგალითად, ქართულში ტრ კომპლექსი თავისუფლად რეალიზდება სხვადასხვა პოზიციაში (შდრ. ტრიალი, პეტრე, სტრიქონი და სხვ.). მაგრამ მეგრულში ასეთი კომპლექსი დაუშვებელია. ამიტომ მეგრული ამ კომპლექსს ან ხმოვნით თიშავს (შდრ. მტრედი ტორონჯი) ანდა რ-ს გადმოსვამს ტ-ს წინ (შდრ. პეტრე პერტე). მაგრამ საქმის ვითარება ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ყველა ენას რაღაც სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი წესები ჰქონდეს. ამგვარი თვალსაზრისის გასაბათილებლად საკმარისია იმის აღნიშვნაც, რომ მჟღერი თანხმოვნების დაყრუების წესი სიტყვის ბოლოში მოქმედებს არა მარტო ქართულში, არამედ რუსულში (შდრ. *труд*[*ტრუტ*], *город* [*გოპოტ*], *глаз* [*გლაც*]), გერმანულში (შდრ. *gesund* [*გეზუნტ*], *traurig* [*ტრაურიკ*]) და სხვა ენებშიც. ენებში მოქმედი ფონოტაქტიკური წესები ზოგადლინგვისტური წესებია, მაგრამ რომელიმე ეს წესი მოქმედებს ენათა ერთ ნაწილში და არ

მოქმედებს ენათა მეორე ნაწილში.

ფონტაქტიკური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა გ. ახვლედიანის მიერ დამუშავებული თეორია დეცესიური და აქცესიური კომპლექსების შესახებ ქართულში, რომელიც ენებში მოქმედი ზოგადლინ-გეისტური კანონია და არა მხოლოდ საკუთრივ ქართული. დეცესიური ნიშნავს უკან მიმართულს (ლათ. decessio „უკან მივმართავ“), ხოლო აქცესიური — წინ მიმართულს (ლათ. accessio „წინ მივმართავ“). დეცესიურია თანხმოვანთა კომპლექსი იმ შემთხვევაში, თუ პირველი ბგერა ასეთი კომპლექსისა წინ იწარმოება, ხოლო მეორე — უკან. აქცესიურ კომპლექსებში შებრუნებული რიგი გვაქვს.

დეცესიური კომპლექსები ქართულში ორ სხვადასხვა სისტემას ქმნიან იმის მიხედვით, თუ როგორია ამ კომპლექსთა მეორე კომპონენტი (გ-ქ-კ ან ლ-ხ-ყ).

A			B		
ბგ	ფქ	პკ	ბლ	ფხ	პყ
ღგ	თქ	ტკ	ღლ	თხ	ტყ
ძგ	ცქ	წკ	ძლ	ცხ	წყ
ჯგ	ჩქ	ჭკ	ჯლ	ჩხ	ჭყ

როგორც ვხედავთ, დეცესიურ კომპლექსებში პირველი კომპონენტია ხშულთა პირველი — ოთხი სამეულის რომელიმე ფონემა, ხოლო მეორე — მეხუთე სამეული (გ-ქ-კ) ფონემები ან საეციალური (ლ-ხ-ყ) სამეულის წევრები. მაგრამ საქმის ვითარება ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს დასაშვები იყოს პირველი ოთხი სამეულის ნებისმიერი ფონემის კომბინაცია გ-ქ-კ ან ლ-ხ-ყ ფონემებთან.

მოცემული კომპლექსები გულისხმობს გარკვეულ შეზღუდვებს ჰომოგენურობის პრინციპის მიხედვით: 1) დასაშვებია კომბინაცია მჟღერისა მხოლოდ მჟღერთან (ბგ, ღგ, ძგ, ჯგ; ბლ, ღლ, ძლ, ჯლ), ე. ი. დაუშვებელია მჟღერისა და ყრუ თანხმოვნების კომბინაციები (*ბქ, *ბკ, *ღქ, *ღკ... *ბხ, *ბყ, *ღხ, *ღყ...), ზოგი ამ აკრძალულ კომპლექსთაგან შესაძლებელია დასაშვებად მოგვეჩვენოს, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზიაა. ასე, მაგალითად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბყ არ წარმოადგენს ქართულში აკრძალულ კომპლექსს, რადგანაც გვაქვს სიტყვა „ბყრობა“ (დაბყრობა, მობყრობა). მაგრამ ასეთი ილუზია შეიძლება გააჩინოს მხოლოდ დამწერლობამ და ისიც არა ყოველთვის, რადგანაც დამწერლობაშიც კი ჩვეულებრივია „დაბყრობა“, „მობყრობა“ ფორმები, ხოლო — „დაბყრობა“ და „მობყრობა“ — ხელოვნურია. მაგრამ მთავარია ამ შემთხვევაში ის, რომ ფონოლოგია იკვლევს არა გრაფიკულ ენას, არამედ ბგერით ენას, ხოლო ბგერით ქართულში ბყ მიმდევრობა არ არსებობს. ნორმალურ წარმოთქმაში გვაქვს მხოლოდ პყ, სადაც

ჰომოგენურობის პრინციპი ბოლომდე დაცულია. 2) ყრუ თანხმონებისაგან შედგენილ კომპლექსებში დასაშვებია მხოლოდ ან ფშვინვიერთა, ანდა მკვეთრთა კომბინაციები, ე. ი. დაუშვებელია ფშვინვიერის შეერთება მკვეთრთან (*ფკ, *თკ, *ცკ, *ჩკ, *ფყ, *თყ, *ცყ, *ჩყ) ან მკვეთრისა ფშვინვიერთან (*პქ, *ტქ, *წქ, *ჭქ, *პხ, *ტხ, *წხ, *ჭხ).

როგორც ვხედავთ, დეცესიური კომპლექსები ქართულში გარკვეული წესების მიხედვით წარმოიქმნება, რაც გამორიცხავს ნებისმიერი თანხმონების კომბინაციას ნებისმიერ თანხმონთან. ეს კომპლექსები აგებულია ჰომოგენურობის წესების მკაცრი დაცვით. ამიტომ ამ კომპლექსებს ისე წარმოვთქვამთ, თითქოს ცალკეულ თანხმონებს წარმოვთქვამდეთ და არა მათ კომბინაციებს. ამიტომაც ამ კომპლექსებს ჰარმონიულ კომპლექსებს უწოდებენ, რათა განასხვავონ ისინი ისეთი ძნელად წარმოსათქმელი ამ აკრძალული კომპლექსებისაგან, როგორიცაა: *ფკ, *თკ, *პქ, *ტქ და სხვ.

აქცესიური კომპლექსებიც ორ სხვადასხვა სისტემას ქმნიან:

	A			B	
გბ	ქფ	კპ	ღბ	ხფ	ყპ
გღ	ქთ	კტ	ღღ	ხთ	ყტ
გძ	ქც	კწ	ღძ	ხც	ყწ
გჯ	ქჩ	კჭ	ღჯ	ხჩ	ყჭ

მოცემული კომპლექსების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უნდა დავასკვნათ, რომ ჰომოგენურობის პრინციპი დაცულია აქცესიურ კომპლექსებშიც, რადგანაც ამ შემთხვევაშიც დასაშვებია მხოლოდ კომბინაციები მჟღერისა მჟღერთან, ყრუ ფშვინვიერისა — ყრუ ფშვინვიერთან, ხოლო ყრუ მკვეთრისა ყრუ მკვეთრთან. მაგრამ აქცესიურ კომპლექსებში ასევე დასაშვებია კომბინაციები ყრუ მკვეთრებისა მჟღერებთან (კბ, კღ, კძ, კჯ, ტბ, წბ...), ამ შემთხვევაში ჰომოგენურობის პრინციპი დარღვეულია, რადგანაც ყრუ თანხმონი კომბინაციაში შედის მჟღერ თანხმონებთან. მაგრამ ქართულში შეინიშნება ტენდენცია ამგვარი კომპლექსების გარდაქმნისა ისეთ კომპლექსებად, რომლებიც ჰომოგენურობის პრინციპს არ არღვევენ, ე. ი. რომლებშიც ყრუ მკვეთრი მხოლოდ ყრუ მკვეთრთან შედის კომბინაციაში (კბ→კპ, კღ→კტ, კძ→კწ, კჯ→კჭ, ტბ→ტპ, წბ→წპ). ამიტომაც, რომ ვთქვათ, სიტყვა „კბილი“ თვითონ სალიტერატურო ენაშიც კი ნორმალურად წარმოითქმის როგორც [კპილი].

ამრიგად, ყველა ენა იყენებს გარკვეულ ფონეტიკურ წესებს, რომელთა მიხედვითაც ფონემათა კომბინაციების ერთი წყება მოცემულ ენაში დასაშვებია, ხოლო მეორე წყება — აკრძალული. ენათა კვლევა ფონოლოგიური თვალსაზრისით გულისხმობს არა მარტო იმას, თუ როგორი ფონოლოგიური სისტემა გვაქვს ხმონების ან თანხმონებისა

ამა თუ იმ ენაში, არამედ გამოყოფილ ფონემათა ურთიერთშეხამების წესების დადგენასაც. ამიტომ ფონოტაქტიკური წესების კვლევა ენებში ფონოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

§ 5. მ ა რ ც ვ ა ლ ი

მარცვალის ისეთივე ბუნებრივი ერთეულია ენისა, როგორც სიტყვა და წინადადება. ამიტომ მარცვლის საკითხიც ისევე რთული აღმოჩნდა ენათმეცნიერებაში, როგორც სიტყვისა და წინადადებისა. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ზოგი საერთოდ უარყოფს მარცვლის არსებობას, თუმცა ცნობილია, რომ მეტყველისათვის (ასევე შმენელისათვის) უფრო ადვილია სიტყვის დანაწევრება მარცვლებად, ვიდრე ფონემებად. ასევე კარგად ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მარცვალს პოეზიაში, რადგანაც ლექსის რიტმი ემყარება მარცვალთა რაოდენობას.

მარცვალი, მართალია, არსებობს, მაგრამ გასარკვევია: მარცვალს მარტო ხმოვნები ქმნიან თუ თანხმოვნებსაც აქვთ უნარი მარცვლის შექმნისა. კლასიკური ფორმულის მიხედვით სიტყვაში იმდენი მარცვალი გვაქვს რამდენი ხმოვანიცაა მასში (ხმოვნებში, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება ნახევარხმოვნები). მაგრამ შემდეგში, ძირითადად, ო. ესპერსენის გავლენით, ეს თვალსაზრისი შეიცვალა და მარცვლის შექმნის უნარი სონორებსაც მიაწერეს. ზოგი იმასაც კი ფიქრობს, რომ მარცვლის შექმნა შეუძლია არა მარტო სონორებს, არამედ ყველა სხვა თანხმოვანსაც.

კიდევ უფრო პრობლემატური აღმოჩნდა სიტყვათა დამარცვლის ანუ მარცვლის საზღვრების საკითხი. ვერ მოხერხდა დამარცვლის წესების ზუსტი კრიტერიუმების დადგენა. მაგალითად, სიტყვა „საქარ-თველო“ ჩვენ შეიძლება დამარცვლოთ სხვადასხვაგვარად: 1) სა-ქარ-თველო, 2) სა-ქარ-თველო, 3) საქ-არ-თველო, 4) საქ-არ-თველო, 5) „სა-ქარ-თველო“ და ა. შ. ასევე სხვადასხვაგვარად შეიძლება დამარცვლოთ ნებისმიერი სხვა სიტყვაც, თუ, რა თქმა უნდა, სიტყვა ერთმარცვლიანი არაა. ამიტომ დგება საკითხი იმის შესახებ, თუ სიტყვის დამარცვლის რამდენიმე ვარიანტიდან რომელი ვარიანტი უნდა მივიჩნიოთ სწორად. რომელი ვარიანტია სწორი, „სა-ქარ-თველო“ თუ „სა-ქარ-თველო“ ან „საქ-არ-თველო“ და ა. შ. მართალია, დღეისათვის ცნობილია რამდენიმე სხვადასხვა თეორია, რომელთაც აქვთ პრეტენზია მარცვლის საზღვრების დადგენისა, მაგრამ არც ერთი ეს თეორია არ არის ზუსტი, ე. ი. ცალსახად ვერ არკვევს მარცვლის საზღვრებს ამა თუ იმ ენაში.

მარცვალთან დაკავშირებით არსებობს სხვა სახის პრობლემაც: ესაა ფონემების განლაგების (არანჟირების) საკითხი მარცვალში.

ფონემების მარცვალში დალაგება რაიმე წესის ანუ წესების მიხედვით ხდება, თუ ამ თვალსაზრისით მარცვალში სრული ქაოსია, რომელიც ავტომატურად გამოირიცხავს რაიმე წესრიგს.

როგორც ვხედავთ, მარცვალთან დაკავშირებულია საკითხთა მთელი წყება, რომელთაგან პირველ რიგში უნდა განვიხილოთ საკითხი მარცვლოვანი თანხმოვნების შესახებ. შესაძლებელია თუ არა თანხმოვანმა შექმნას მარცვალი? ამ კითხვაზე რომ პასუხი გავცეთ, საჭიროა განვიხილოთ ე.წ. სონორობის თეორია.

ბგერები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლები ბგერასავსეობით ანუ სონორობით (ლათ. sonoris „მჟღერი, ხმიერი“) სონორობა იზომება იმის მიხედვით, თუ რამდენად შორს ისმის ესა თუ ის ბგერა. სხვა თანაბარი პირობების შემთხვევაში (წარმოთქმის სიძლიერე, ამინდი, ბგერითი გარემოცვა...) ხმოვნები უფრო შორს ისმის, ვიდრე თანხმოვნები, ე.ი. ხმოვნები უფრო სონორია თანხმოვნებზე. თვითონ თანხმოვნებს შორის საკუთრივ სონორი ბგერები (m, n, l, r) სონორობის ხარისხით აღემატება ნაპრალოვან და ხშულ თანხმოვნებს, თავის მხრივ სხვა თანაბარი პირობების შემთხვევაში (ჰომოგენურობისა და ჰომორგანულობის შემთხვევაში) ნაპრალოვანი უფრო სონორია, ვიდრე ხშული. მჟღერი ნაპრალოვანი ზ, მაგალითად, სონორობის ხარისხით აღემატება მის ჰომორგანულ ბგერა ძ-ს, ყრუ ს-ც-ს ან წ-ს, ყ-ჯ-ს, შ-ჩ/ჭ-ს და ა.შ. თუ ხმოვნებს აღვნიშნავთ V-თი, სონორებს S-ით, ნაპრალოვნებს F-ით, ხოლო ხშულებს C-თი, მაშინ სხვა თანაბარი პირობების დაცვის შემთხვევაში სონორობის ხარისხის მიხედვით მივიღებთ ასეთ სქემას: (C<F<S<V).

სონორობის თეორიის მიხედვით სიტყვაში იმდენი მარცვალია, რამდენიცაა მასში სონორობის მწვერვალი. მაგალითად, სიტყვაში „სახლს“ გვეჩვენა ორი მარცვალი, რადგანაც სონორობის ორი მწვერვალი გვაქვს. პირველია ხმოვანი ა, რომელიც სონორობის ხარისხით აღემატება მის მეზობელ ს და ხ ბგერებს, ხოლო მეორეა ლ, რომელიც ასევე აღემატება სონორობის მიხედვით მეზობელ ხ და ს ბგერებს. სიტყვაში „თეთრს“ ასევე ორი მარცვალია ამ თეორიის მიხედვით, რამდენადაც რ-ც მარცვლის შემქმნელი გამოდის. ამ თვალსაზრისით მარცვლოვანი იქნება გ-ც სიტყვაში „ბიბეს“, რადგანაც იგი (გ) უფრო სონორია, ვიდრე მისი მეზობელი ბგერები. რა თქმა უნდა, ორმარცვლიანი აღმოჩნდება „მზე“, „მთა“, „რძე“ და სხვა ასეთი სიტყვები.

სიტყვათა მარცვლოვნობის შემოწმების ერთადერთი კრიტერიუმი პოეზია. თუ ამ თვალსაზრისით შევამოწმებთ განხილულ სიტყვებს, აღმოჩნდება, რომ სონორობის თეორია მცდარია. სიტყვა „სახლს“ ქარ-თულ პოეზიაში არასოდეს არ ქმნის ორ მარცვალს, ასევე

ერთმარცვლი-ანია და არა ორმარცვლიანი ქართულ პოეზიაში „თეთრს“, „ბიძგს“, „მზე“, „მთა“, „რძე“ და სხვა ასეთი სიტყვები.

როგორც ვხედავთ, ქართულ სიტყვაში გვაქვს არა იმდენი მარცვალი, რამდენიც მასში სონორობის მწვერვალია, არამედ იმდენი მარცვალი, რამდენიცაა მასში ხმოვანი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართული მკაცრად იცავს კლასიკურ ფორმულას, რომლის მიხედვითაც სიტყვაში მარცვალთა რაოდენობა ემთხვევა ხმოვანთა რაოდენობას. მაგრამ ჩვენ გვაქვს ისეთი ენებიც, სადაც მარცვლოვანი სონორები გამოიყოფა. ასეთებია, მაგალითად, სერბული, ჩეხური და სხვა ენები. სერბ. *prst*, „თითი“, ან ჩეხ. *vlk*, „მგელი“ სიტყვაში გამოიყოფენ *r* და *l* მარცვლოვან სონორებს და მართლაც, სხვა რა შეიძლება იყოს მარცვლის შემქმნელი, ვთქვათ ჩეხურ *vlk* სიტყვაში? ხმოვანი თითქოს ამ სიტყვაში არა გვაქვს და ამიტომ ერთი შეხედვით აუცილებელია დაუშვათ, რომ სონორი *l* ქმნის მარცვლს ამ და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში, რაც არღვევს კიდევ კლასიკურ ფორმულას, რომლის მიხედვითაც სიტყვაში იმდენი მარცვალი გვაქვს, რამდენიც მასში ხმოვანია.

მაგრამ იქნებ *prst*, *vlk* და სხვა მსგავს სიტყვებში გვაქვს ხმოვანი? და მართლაც, ფონეტიკოსები მარცვლოვან სონორებს შლიან ნეიტრალურ ხმოვნად და თანხმოვან სონორებად. ეს ნეიტრალური ხმოვანი, რომელიც საერთაშორისო ფონეტიკური ტრანსკრიფციით *ɒ* ნიშნით აღინიშნება (ქართულში *ɔ* ნიშნით) ისმის, მაგალითად, რუსულ სიტყვაში *часы* [časɨ].

როგორც ვხედავთ, ფონეტიკური თვალსაზრისით მარცვლოვანი სონორები (*π, ς, λ, r*) იშლება ნეიტრალურ ხმოვნად და *m, n, l, r* თანხმოვნებად, ამიტომ ფონეტიკის დონეზე *prst*, *vlk* სიტყვები უნდა წარმოვადგინოთ როგორც [pərsɨ], [vəlɨk]. ამგვარი დაშლის შედეგად ნათელი ხდება, რომ სერბულსა და ჩეხურში მარცვალს ქმნის ნეიტრალური ხმოვანი (და არა სონორი თანხმოვნები) ისევე როგორც, მაგალითად, *часы* და *город* რუსულ სიტყვებში.

კლასიკური ფორმულა, რომლის მიხედვითაც სიტყვაში იმდენი მარცვალი გვაქვს, რამდენიცაა მასში ხმოვანი, როგორც ჩანს, არასოდეს არ ირღვევა. არ ირღვევა იმიტომ, რომ მარცვლოვანი სონორები იშლება ნეიტრალურ ხმოვნად და საკუთრივ თანხმოვნებად და მარცვლის შემქმნელის როლში ამ შემთხვევაშიც ხმოვანი გამოდის. მიუხედავად ამისა, მარცვლოვანი სონორების ანუ სონანტების (ასე უწოდებენ მარცვლოვან სონორებს) საკითხი მაინც არ იხსნება. საქმე ისაა, რომ ნეიტრალურ ხმოვანს ორგვარი ფონოლოგიური სტატუსი ენიჭება სხვადასხვა ენაში: 1) თუ ნეიტრალური ხმოვანი მოცემულ ენაში გველინება მხოლოდ სონორი თანხმოვნების თანმხლებ ელემენტად გარკვეულ პოზიციებში

(ორ თანხმომავანს შორის, სიტყვის თავში თანხმომავანის წინ ან სიტყვის ბოლოში თანხმომავანის შემდეგ), მაშინ ასეთი ნეიტრალური ხმოვანი მეზობელი სონორის (ან სხვა თანხმომავანის) თანხმომავანი ნიშანია და არა ცალკე ფონემა. ასეთი მდგომარეობა გვაქვს სწორედ სერბულსა და ჩეხურში, სადაც ნეიტრალური ხმოვანი გვევლინება როგორც *l, r* სონორი თანხმომავანების თანხმომავანი ელემენტი ორ თანხმომავანს შორის. სხვა პოზიციებში იგი (ნეიტრალური ხმოვანი) არ გვხვდება და ამიტომ ჩეხურსა და სერბულში ნეიტრალური ხმოვანი ცალკე ფონემა კი არაა, არამედ სონორი თანხმომავანისათვის დამახასიათებელი ნიშანი გარკვეულ პოზიციებში. ერთი სიტყვით $\text{e}+l, \text{e}+r$ მიმდევრობები ორ თანხმომავანს შორის სერბულსა და ჩეხურში უნდა განვიხილოთ როგორც მარცვლოვანი სონორები, რადგანაც ნეიტრალური ხმოვანი ცალკე ფონემად არ გამოიყოფა. 2) სხვა მდგომარეობა გვაქვს ამ თვალსაზრისით, ვთქვათ, ინგლისურში, სადაც ასევე მარცვლოვან სონორებს გამოყოფენ (მდრ. *little* [litl] მცირე, პატარა "eagle" [i:gl] „არწივი“ და სხვ.). ფონეტიკური თვალსაზრისით ეს სიტყვები უნდა წარმოვადგინოთ როგორც [litəl], [i:glə], ე. ი. მარცვლის შემქმნელ ელემენტად სიტყვის ბოლოში უნდა მივიჩნიოთ ნეიტრალური ხმოვანი. მაგრამ ნეიტრალური ხმოვანი ინგლისურში არ წარმოადგენს სონორი თანხმომავანების თანხმომავან ელემენტს გარკვეულ პოზიციებში. იგი (ნეიტრალური ხმოვანი) ინგლისურში გვხვდება მრავალ ისეთ პოზიციებში, სადაც სონორი თანხმომავანები არა გვაქვს. ამიტომ ნეიტრალური ხმოვანი ინგლისურში ცალკე ფონემაა, ეს ფონემა წარმოადგენილია *little* და *eagle* სიტყვებშიც და ამიტომ $\text{e}+l$ მიმდევრობა ინგლისურში ორი ფონემისაგან შედგება, ე. ი. ამ მიმდევრობას ვერ განვიხილავთ, როგორც მარცვლოვან სონორს. ერთი სიტყვით, ინგლისურში მარცვლოვანი სონორები არა გვაქვს, თუმცა ტრადიციულად მარცვლოვან სონორებს ამ ენაშიც გამოყოფენ.

ამრიგად, თუ ნეიტრალური ხმოვანი მოცემულ ენაში ფონემას არ წარმოადგენს, მაშინ ნეიტრალური ხმოვანისა და სონორი თანხმომავანისაგან წარმოქმნილი მიმდევრობა ერთი ფონემაა. მაგრამ თუ ნეიტრალური ხმოვანი მოცემულ ენაში ფონემაა, მაშინ იგივე მიმდევრობა ორ ფონემად დაიშლება. მხოლოდ პირველ შემთხვევაში მივიღებთ მარცვლოვან სონორებს, თუმცა მარცვლის შემქმნელის როლში გამოვა არა თვითონ სონორი, არამედ მისი თანხმომავანი ნეიტრალური ხმოვანი. ამიტომ პრინციპში მარცვლოვანი შეიძლება იყოს არა მარტო სონორები, არამედ ნებისმიერი სხვა თანხმომავანიც, საჭიროა მხოლოდ, რომ ასეთი თანხმომავანს თან ახლდეს ფონემატური ღირებულების არმქონე ნეიტრალური ხმოვანი. მაგალითად, რუსულში *участь* სიტყვაში ჩვენ შეიძლება გამოვყოთ მარცვლოვანი *ч*, რადგანაც მას თან ახლავს ისეთი ნეიტრალური

ხმოვანი, რომელსაც ფონემატური ღირებულება არა აქვს. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მარცვალს ამ და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში ქმნის ნეიტრალური ხმოვანი და არა თანხმოვნები, რადგანაც ამ ხმოვნის გარეშე თანხმოვანი ვერასოდეს ვერ შექმნილა მარცვალს.

ამრიგად, სიტყვაში იმდენი მარცვალი გვაქვს, რამდენი ხმოვანიცაა მასში. ეს კლასიკური ფორმულა არ ირღვევა ისეთ ენებშიც კი, სადაც მარცვლოვან სონორებს გამოყოფენ. თანხმოვანი არ შეიძლება მარცვალს ქმნიდეს. ყველა იმ შემთხვევაში, სადაც თანხმოვანს მიეწერება მარცვლის შექმნის უნარი, სინამდვილეში მარცვლის შემქმნელია ნეიტრალური ხმოვანი. ამ ფორმულას ვერ არღვევს ვერც დიფთონგების არსებობა, რომლებშიც, მართალია, ორი ხმოვანი გვაქვს, მაგრამ მარცვალი ერთია. დიფთონგის (ბერძ. *di-* (ორმაგი, *phthongos* „ბგერა“) ორი ელემენტიდან ერთი ყოველთვის სრული ხმოვანია, ხოლო მეორე-ნახევარხმოვანი. ამიტომ უმარცვლო ელემენტი დიფთონგში შეიძლება იყოს მხოლოდ ნახევარხმოვნები $x(j)$ ან w . ერთი სიტყვით, დიფთონგი მიიღება არა ორი ხმოვნის ($v+v$), არამედ ხმოვნისა და ნახევარხმოვნის შეერთებით ($v+j, v+w, j+v, w+v$). ორი სრული ხმოვნის შეერთება დიფთონგს ვერასოდეს ვერ მოგვცემს: $a+e, o+i, o+e, e+a, o+a, e+o$ და ა. შ. ხმოვნები დიფთონგებს ვერ მოგვცემენ. დიფთონგების მოცემა შეუძლია მხოლოდ $v+i, v+u, i+v, u+v$ ხმოვანთა კომბინაციებს, თუ, რა თქმა უნდა, i და u ხმოვნები დასუსტდებიან და სათანადო ნახევარხმოვნებს მოგვცემენ.

თანამედროვე ქართულში დიფთონგები არა გვაქვს, ე. ი. არა გვაქვს $v+i, v+u$ ან $i+v, u+v$ კომბინაციები. მაგრამ დიფთონგები გვქონდა ძველ ქართულში: ვიხილევ წმინდაჲ შუშანიკ, სძალო და მხვეალო ქრისტეჲსაო და ა.შ. უფრო გავრცელებულია დიფთონგები რუსულში: дай, читай, другой, попорный, скорей და სხვ. ასევე გავრცელებულია დიფთონგები ინგლისურში (player [plejə] „მოთამაშე“, remain [rimeɪn] „დარჩენა“ და ა.შ.), ფრანგულსა (nuit [nuj] „ღამე“, droit [drwa] „უფლება“...) და გერმანულში (schreiben [ʃraɪbən] „წერა“, Junge [junge] „ბიჭი“). დიფთონგი ორგვარია: აღმავალი და დამავალი. აღმავალია დიფთონგი, თუ ჯერ ნახევარხმოვანია და შემდეგ სრული ხმოვანი (Junge, ёлка, я და სხვ.), თუ შებრუნებული მიმდევრობა გვაქვს, მაშინ დიფთონგი დამავალი იქნება (player, nuit, schein და სხვ.).

ამრიგად, ნახევარხმოვანები არ წარმოადგენენ მარცვლის შემქმნელ ელემენტებს და ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ მარცვლის შექმნის უნარი აქვს მხოლოდ ხმოვნებს, ხოლო თანხმოვნები და ნახევარხმოვნები ამ უნარს მოკლებულია. ამიტომ კლასიკური ფორმულა, რომლის მიხედვითაც სიტყვაში მარცვალთა რაოდენობა ემთხვევა ხმოვნების

რაოდენობას, აბსოლუტურია და რაიმე გამონაკლისს არ უშვებს. ნახევარხმოვნები ამ თვალსაზრისით თანხმოვნებს ეკედლება, ე. ი. მარცვალს არ ქმნის.

ხომ არ არის რაიმე კანონზომიერება თანხმოვნების განლაგების თვალსაზრისით მარცვალში? ირკვევა, რომ თანხმოვნები მარცვალში უწესრიგოდ კი არ არის დალაგებული, არამედ გარკვეული წესის მიხედვით. ეს წესია ის, რომ ფონემები მარცვალში კლებადი სონორების წესის მიხედვით ლაგდებაან. ეს ნიშნავს იმას, რომ მარცვლის ცენტრიდან (ხმოვანი) მარცხნივ და მარჯვნივ სონორობა თანდათანობით იკლებს. ასე, მაგალითად, სიტყვაში „ცხრა“ ხმოვნის წინ (მარცხნივ) თანხმოვნები ამ წესითაა დალაგებული: რ უფრო სონორია ვიდრე ხ, რომელიც თავის მხრივ უფრო სონორია, ვიდრე ც. ასევე კლებადია სონორობის წესის მიხედვითაა აგებული „თხრა“ და სხვა ამგვარი მარცვლები. ორივე შემთხვევაში მარცვლის სტრუქტურა ასეთია: GFSV. შეუძლებელია ამ სტრუქტურის გარდაქმნა *G+S+F+V (*ცრზა, *თრზა) ან *F+S+C+V (*ზრცა, *ზრთა) ტიპის სტრუქტურებად. თუ მარცვალში ოთხივე სონორული კლასი გვაქვს, მაშინ ეს კლასები მასში დალაგდებიან მხოლოდ როგორც C+F+S+V, ე.ი. კლებადი სონორობის წესის დაცვით. ამავე წესის დაცვითაა აგებული GFV(გზა, დღე...), CSV(თმა, ძმა, ღრო...), FSV(ხმა, ხრა, ღრე...), CV(და, თუ...), FV(ხე, ზე...), SV(რა, ლა, რომ...) ტიპის მარცვლები.

გვაქვს მოჩვენებითი დარღვევებიც. თუ, მაგალითად, „თმა“ მარცვალი კლებადი სონორობის წესის მიხედვითაა აგებული, მაშინ „მთა“ მარცვალი ამ წესს არღვევს. არღვევს იმიტომ, რომ მ, როგორც უფრო სონორი, თ-ს წინ არ უნდა ყოფილიყო. აქედან ჩვენ ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ კლებადი სონორობის წესი მოქმედებს მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში. ეს ფარგლებია ორ სონორულ მწვერვალს შორის მანძილი. ჩვენ გვაქვს ისეთი სტრუქტურები მარცვლისა, რომლებისთვისაც მხოლოდ ერთი სონორული მწვერვალი (პიკი) არის დამახასიათებელი. ასეთებია: CV,SV,FV,CSV,FSV,CFV,CFSV. როგორც ვხედავთ, ერთმწვერვალიანი მარცვლები საკმაოდ ბევრია. ისინი ქმნიან მარცვალთა ძირითად ტიპებს. მაგრამ გვაქვს ორმწვერვალიანი მარცვლებიც: S-CV(მთა), S-FV(მზე), S-CFSV(მე-რცხლის), CS-CFSSV(ბრდღვნა, ფრცქვნა). შეიძლება გვქონდეს სამმწვერვალიანი მარცვლებიც: CS-CS-CF-SSV(გა-გებრდღვნა). ალბათ სხვა ენაში არც კი მოიძებნება ისეთი მარცვლები, სადაც თავმოყრილი იქნება ერთბაშად რვა თანხმოვანი, როგორც ეს „გერფცქვნა“ და „გერბდღვნა“ მარცვლებში გვაქვს. ერთი სონორული პიკით გაერთიანებულ ფონემებს ვუწოდოთ ბლოკი. ქართულში, ისევე როგორც სხვა ენებში, ძირითადია

ერთბლოკიანი მარცვლები, სადაც სონორულ პიკს, რა თქმა უნდა, ქმნიან ხმოვნები. მაგრამ ქართულში, განსხვავებით, ვთქვათ, იაპონურისაგან, სადაც მარტო ერთბლოკიანი (CV,FV,SV ტიპის) მარცვლებია, გვაქვს ორბლოკიანი და სამბლოკიანი მარცვლებიც კი. ყოველი ბლოკი ორ — და სამბლოკიან მარცვლებში აგებულია კლებადი სონორობის წესის დაცვით, რომ აღარაფერი ვთქვათ ერთბლოკიან მარცვლებზე, რომლებშიც ეს წესი აბსოლუტური, ე.ი. უგამონაკლისია. ამრიგად, განსხვავება „თმა“ და „მთა“ მარცვლებს შორის ისაა, რომ პირველი (თმა) ერთბლოკიანი მარცვალა და ამიტომ კლებადი სონორობის წესის მიხედვით არის აგებული, ხოლო მეორე (მთა) — ორბლოკიანია, რომლის მეორე ბლოკი, როგორც CV ტიპის მარცვალი, რა თქმა უნდა, კლებადი სონორობის პრინციპს იცავს, ხოლო პირველი, რომელიც მხოლოდ ერთი ფონემისაგან შედგება, ცალკე ბლოკს ქმნის.

რაც შეეხება მარცვლის საზღვრების საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ რაიმე ზუსტი კრიტერიუმის თუ კრიტერიუმების დადგენა მარცვლის საზღვრების გასარკვევად, როგორც ჩანს, შეუძლებელია და არც არის საჭირო. რა თქმა უნდა, არასწორი იქნება სიტყვა „საქართველო“ დავმარცვლოთ როგორც *ს-ა-ქ-ა-რ-თ-ვე-ლ-ო ან სხვა სახით, რადგანაც ასეთ შემთხვევებში მარცვალი ყოველთვის არ შეიცავს ხმოვანს, ე.ი. ყველა გამოყოფილი სეგმენტი მარცვალს არ წარმოადგენს, მაგრამ თუ მოცემულ სიტყვაში ოთხ მარცვალს გამოვყოფთ, მაშინ სწორი იქნება მისი ნებისმიერი დამარცვლა. როგორც ჩანს, უფრო ბუნებრივია მოცემული სიტყვა დავმარცვლოთ როგორც სა-ქარ-თვე-ლო, მაგრამ იგივე სიტყვა შეიძლება დავმარცვლოთ როგორც სა-ქა-რთვე-ლო ან როგორც საქ-არ-თვე-ლო და სხვა. ერთი სიტყვით, მარცვალს რაიმე მკაცრი საზღვრები არა აქვს და ასეთი საზღვრები არცაა საჭირო. დამარცვლის არაცალსახა წესები მეტყველებას უფრო მოქნილსა და ბუნებრივს ხდის, ვიდრე ეს იქნებოდა იმ შემთხვევაში, ენაში რომ დამარცვლის ცალსახა წესები არსებულებო.

§6 მახვილი და ინტონაცია

აქამდე ჩვენ განვიხილავდით ბგერებს, რომლებიც ხაზობრივადაა განლაგებული ერთმანეთის მომდევნოდ. ამგვარ ერთმანეთის მომდევნო ერთეულებს ვუწოდოთ სეგმენტური. მახვილი და ინტონაცია არ წარმოადგენენ სეგმენტურ ერთეულებს, ისინი, ასე ვთქვათ, ზევიდან ერთიან ბგერებს. ასეთ ერთეულებს ზესეგმენტური ანუ სუპრასეგმენტური (ლათ. supra „ზე“) ერთეულები ეწოდება.

მახვილი ორგანოა: ლინგვისტური და ლოგიკური. ლოგიკური მახვილი ნიშნავს წინადადებაში რომელიმე სიტყვის გამოყოფა-

წარმოიჩინებას. მაგალითად, წინადადებაში „ვანო სკოლაში წავიდა“ ჩვენ შეგვიძლია თითოეული სიტყვა წამოვწიოთ წინა პლანზე იმის მიხედვით თუ როგორ წარმოვჩინებთ მათ. ამიტომ ეს წინადადება შეიძლება გამოხატავდეს იმ აზრს, რომ ვანო წავიდა სკოლაში და არა თედო. ამავე წინადადებაში შეიძლება გამოხატოს ის აზრი, რომ ვანო სკოლაში წავიდა და არა კინოში, რომ წავიდა ვანო და არა დაბრუნდა სკოლიდან. იმის მიხედვით, თუ რომელი აზრი გვინდა გამოვხატოთ, ჩვენ სათანადოდ გავხაზავთ შესაბამის სიტყვას, ე.ი. მის აქტუალიზებას მოვახდენთ. ამგვარი აქტუალიზება ამა თუ იმ სიტყვისა უნივერსალურ წესებს ექვემდებარება, ე.ი. ყველა ენაში ერთნაირია და ამიტომ მასვილსაც სათანადოდ ლოგიკური ეწოდება.

სხვაგვარია ლინგვისტური ანუ ენობრივი მახვილი. ამგვარი მახვილი სხვაობს ენიდან ენაში, ე.ი. ყველა ენას მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მახვილის წესები აქვს. მაგალითად, რუსულში მოქმედი მახვილის წესები აშკარად უვარგისია ქართულისათვის და, პირიქით, ქართულისა – რუსულისათვის. ქართულში უჩვეულოა მახვილის დასმა სიტყვის ბოლო ხმოვანზე. ამიტომ რუსულის არამცოდნე ქართველი рука, перо, письмо, და ა. შ. სიტყვებს წარმოთქვამს როგორც *рýка, *пéро, *письмо, რაც, რა თქმა უნდა, რუსული ენის ნორმების დამახინჯებაა, მაგრამ ეს დამახინჯება მაჩვენებელია იმისა, რომ მახვილის წესები ქართულსა და რუსულში სხვადასხვაა.

ლინგვისტური მახვილი შეიძლება იყოს დინამიკური და ტონური (მუსიკალური). ხმოვნის სიძლიერის გაზრდას სიტყვაში ეწოდება დინამიკური მახვილი, ხოლო მისი სიმალის გაზრდას – ტონური მახვილი. ამიტომ მახვილის საკითხი ორივე შემთხვევაში ხმოვანთან არის დაკავშირებული, რომლის სიძლიერის ან სიმალის ზრდა სათანადოდ აღიქმება როგორც დინამიკური ან ტონური მახვილი.

დინამიკური მახვილი შეიძლება იყოს მოძრავი (თავისუფალი) და ფიქსირებული (უძრავი). თავისუფალი დინამიკური მახვილი გვაქვს, მაგალითად, რუსულში. რაიმე ზოგადი წესი მახვილის ხმარებისა რუსულში არ არსებობს და ამიტომ არც მახვილის ადგილის წინასწარმეტყველებაა შესაძლებელი. მახვილი რუსულში შეიძლება სიტყვას მოუდიოდეს. როგორც თავში (შდრ. город, книга, корпус და ა. შ.) ისე შუაშიც (энциклопедия, коряга, обходчик და ა. შ.) და ბოლოშიც (рука, нога, судьба, сатана და ა. შ.) მხოლოდ ამგვარ თავისუფალ მახვილს შეიძლება ჰქონდეს ფონოლოგიური (დისტინქციური) ფუნქცია, რადგანაც მხოლოდ მოძრავ მახვილს აქვს უნარი განასხვავოს ისეთი სიტყვები, რომლებიც სეგმენტური ერთეულების მიხედვით ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან (შდრ. мýка-мýкá, зáмок-замóк,

ბრანი-ორგანი და სხვ.).

რაც შეეხება ფიქსირებულ მახვილს, ორი სიტყვა მოცემულ ენაში ამგვარი მახვილის მიხედვით არ შეიძლება განსხვავდებოდეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ორივეს ერთნაირი მახვილი ექნება. ფიქსირებული მახვილის ადგილი ხომ წინასწარ განსაზღვრულია, რადგანაც იგი სიტყვებს მოუდის ან თავში (ამგვარი მდგომარეობა გვაქვს ჩეხურში), ან ბოლოში (სიტყვის ბოლოში ბოლო წარმოთქმადი მარცვალი მახვილიანია ფრანგულში) და ა.შ.

განსაკუთრებით აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მახვილის საკითხი ქართულში, რაც განპირობებულია იმით, რომ ქართულის მახვილი სუსტია.

6. მარის მიხედვით, ორმარცვლიან სიტყვებს ქართულში მახვილი მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალზე (კაცი, შვილი, ჩემი და სხვ.), ხოლო სამ – და მეტმარცვლიან სიტყვებში მახვილი ბოლოდან მეორე ან მესამე მარცვალზეა (ქართველი- ქართველი, მწერალი-მწერალი, მარგალიტი-მარგალიტი და სხვ.). ამ ბოლო დროს ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის მიხედვით (ი. თევდორაძე) ქართულში მახვილი ყოველთვის სიტყვის დასაწყისშია (კაცი, შვილი, ქართველი, მწერალი, საქართველო, სამასწავლებო), თუმცა ოთხ – და მეტმარცვლიან სიტყვებში გვაქვს თანამახვილიც, რომელიც სიტყვებს ბოლოდან მეორე მარცვალზე აქვთ (საქართველო, გამეზარდაშვილი, სამასწავლებლო და სხვ.).

ტონური მახვილი პირველ რიგში ფონოლოგიურ (დისტინქციურ) ფუნქციას ასრულებს, რადგანაც ტონის ცვლა სიტყვის მნიშვნელობის ცვლასაც იწვევს. ტონური მახვილი გარკვეულ საფეხურებრივ ოპოზიციებს ქმნის, თუმცა ოპოზიციის ხასიათი სხვადასხვა ენაში სხვადასხვაა. იაპონურში განსხვავდება ტონის ორი საფეხური: დაბალი და მაღალი. hana სიტყვა დაბალი ტონით (პირველი მარცვალი) აღნიშნავს ცხვირს, ხოლო მაღალი ტონით – დაწყებას. ჩინურში ტონის ოთხ სხვადასხვა საფეხურს განასხვავებენ. ესენია: დაბალი აღმავალი, დაბალი დაღმავალი, მაღალი, მაღალი აღმავალი.

მახვილზე უფრო რთული სტრუქტურისაა ინტონაცია, რომელიც წინადადების აუცილებელი კომპონენტია.

ინტონაცია პროსოდიული (ბერძ. prosōdia „მისამღერი, მახვილი“) ელემენტია, რომელიც ერთ მთლიან სტრუქტურად კრავს წინადადებას ფონეტიკური თვალსაზრისით, გამოხატავს რა სხვადასხვა მოდლობას. ამიტომ ინტონაციის მიხედვით ჩვენ ერთმანეთისაგან ვასხვავებთ თხრობით, კითხვით და ძახილის წინადადებებს. თხრობითი წინადადებისათვის დამახასიათებელია ტონის თანდათანობითი ამღვლეობა, რასაც მოსდევს ტონის ასეთივე დაღმვლეობა წინადადების ბოლოში. წინადადებაში „ვანო

სკოლაში წავიდა“ ჯერ ტონი თანდათანობით მაღლდება, შემდეგ კი თანდათანობით დაბლდება და ამიტომ მოცემული წინადადება აღიქმება როგორც თხრობითი. კითხვით წინადადებაში, თუ იგი კითხვით სიტყვას არ შეიცავს, წინადადების ბოლოსკენ ტონი თანდათანობით მაღლდება: ვანო სკოლაში წავიდა? მაგრამ თუ წინადადებაში კითხვითი სიტყვაა, მაშინ კითხვითი წინადადების ინტონაცია შეიძლება არ განსხვავებულდეს თხრობითი წინადადების ინტონაციისაგან (შდრ. ვინ წავიდა სკოლაში). მაგრამ ასევე შესაძლებელია ტონის ამაღლებაც წინადადების ბოლოში (ვინ წავიდა სკოლაში?). ძახილის წინადადება შინაარსით მრავალგვარია: იგი შეიძლება გამოხატავდეს ბრძანებას, ნატვრას, თხოვნას, წაქეზებას, გაკვირვებას, აღტაცებას, მწუხარებას და ა.შ., მაგრამ ყველა მათგანშიც როგორც წესი, აქცენტირებულია ზმნა (შემასმენელი).

ამრიგად, ინტონაციას აქვს არა გრამატიკული, არამედ სტილისტურა ფუნქცია: თხრობითი, კითხვითი და ძახილის წინადადებები ერთი და იმავე წინადადებების სტილისტური ვარიანტებია და ამიტომ ინტონაცაც, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს თხრობით, კითხვით და ძახილის წინადადებებს, სტილისტური საშუალებაა და არა გრამატიკული.

ინტონაციური კონტურით გაერთიანებული წინადადება იცვლება ტაქტებად. ტაქტი ეწოდება ფრაზის ნაწილს, გაერთიანებულს ერთა მახვილით. ასეთი მახვილი ტაქტში აქვს მხოლოდ სრულმნიშვნელოვან სიტყვებს, დამხმარე სიტყვებს კი თავისი მახვილი არა აქვთ და ამიტომ ისინი სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვებს ეკედლებიან, მაგალითად, წინადადებაში „ზოგა ყრიდა შიგან ზღუასა“ წინდებული „შიგან“ არ ხასიათდება საკუთარი მახვილით. ამიტომ მოცემული წინადადება, მართალია, ოთხი სიტყვისაგან შედგება, მაგრამ მასში მხოლოდ სამი ტაქტი გამოიყოფა: ზოგა ყრიდა შიგან ზღუასა. თუ დამხმარე სიტყვა მარცხნიდან უერთდება სრულმნიშვნელოვან სიტყვას, მაშინ საქმე გვაქვს პროკლიტიკასთან (ბერძ. proklinō „წინისაკენ ეხრი“), მაგრამ თუ დამხმარე სიტყვა მარჯვნიდან ერწყმის მახვილიან სიტყვას (შდრ. სახლის წინ, სახლში და სხვ.), მაშინ ეს პროცესი ენკლიტიკად იწოდება (ბერძნ. enklinō – ვიხრები).

§ 7. დიაქრონიული ფონოლოგია

§7.1. ზოგადი საკითხები

ენის ფონოლოგიური სისტემა იცვლება დროში, თან იცვლება არა მარტო თვითონ სისტემა, არამედ ფონოტაქტიკური წესებიც. ფონოლოგიური ცვლილება ორგვარია: 1) სპონტანური ლათ. spontaneus „თვითნებური“) და 2) კომბინატორული. სხვაგვარად

სპონტანურ ფონოლოგიურ ცვლილებას უწოდებენ შეუპირობებელს, ხოლო კომბინატორულს – შეპირობებულს ანუ პიზიციურს. როგორც არ უნდა იყოს ფონოლოგიური ცვლილება – სპონტანური თუ კომბინატორული, იგი დამოკიდებული არ არის სემანტიკაზე. ფონოლოგიური ცვლილება ენისა სემანტიკისაგან დამოუკიდებლად ხორციელდება, იგი, ასე ვთქვათ, ავტონომურია. ამიტომ დიაქრონიულ ფონოლოგიაში წესები ყალიბდება სემანტიკისაგან დამოუკიდებლად, რაც ჩვენ საფუძველს გვაძლევს ენის ფონოლოგიური სისტემის ცვლილება დროში განვიხილოთ როგორც სისტემა. ასე, მაგალითად, ძვ. ქართულში გვქონდა ფონემა ჯ, რომელიც ფარინგალურ ყრუ ფშვინვიერ ხშულს წარმოადგენდა. შემდეგში ეს ჯ გადავიდა ფარინგალურ ნაპარალოვან ხ-ში, ამგვარი ცვლილების შედეგად კელი „ხელი“ და ხელი „გიჟი“ ომონიმები გახდნენ. „კელი“ სიტყვაში ჯ რომ არ გადასულიყო ხ-ში, ასეთ შემთხვევაში ფონოლოგიური ცვლილება დამოკიდებული აღმოჩნდებოდა სემანტიკაზე. სემანტიკა შეუშლიდა ხელს ფონოლოგიური ცვლილების თანამიმდევრულად განხორციელებას მაგრამ, სემანტიკა ხელს კერ უშლის ფონოლოგიურ გარდაქმნას და ამიტომ ფონოლოგია ავტონომურია, სემანტიკას არ ექვემდებარება. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ ჯერ კომბინატორულ და შემდეგ სპონტანურ ბგერათცვლილებებს, რომელთა განხილვის დროს სემანტიკა მთლიანად გამორიცხული იქნება.

კომბინატორულ ბგერათცვლილებებს წარმოადგენენ ასიმილაციის, დისიმილაციის, სინაპრონიზმის, უმლაუტის, მეტათეზისის, რედუქციის, ჰაპლოლოგიის, ანალოგიის პროცესები. ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასიმილაციის მოვლენა და ამიტომ პირველად მას შევეხებით.

§7.2. ასიმილაცია. თვითონ სიტყვა ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა ნიშნავს დამსგავსებას (ლათ. *assimilatio* „მიმსგავსება“). მეზობელი ბგერები იმსგავსებენ ერთმანეთს გარკვეული ნიშნით თუ ნიშნების მიხედვით. განასხვავებენ ასიმილაციის სამ სახეს მიმართულების, მანძილისა და შედეგის მიხედვით.

მიმართულების მიხედვით ასიმილაცია ორგვარია: პროგრესული (ლათ. *progressus* „წინსვლა“) და რეგრესული (ლათ. *regressus* „უკან სვლა“). პროგრესულია ასიმილაცია, თუ იგი მიმართულია სიტყვის დასაწყისისაკენ, ე.ი. თუ ასიმილატორი წინ უსწრებს ასიმილირებულ ბგერას. სიტყვაში „ტბა→ტპა“ ასიმილატორია ტ, ხოლო ასიმილირებული –ბ, რომელიც სიყრუისა და აბრუპტივობის მიხედვით ემსგავსება მ-ს წინ მდგომ ტ-ს. ამგვარი დამსგავსების შედეგად კი ვღებულობთ პ-ს, რომელიც ბ-სგან განსხვავდება მხოლოდ სიყრუითა და სიმკვეთრით (აბრუპტივობა). ასევე პროგრესული ასიმილაციაა „კბილი→კპილი“, „თბილი→თფილი“.

„ყბა→ყბა“ და სხვ. რეგრესული ასიმილაციის შემთხვევაში ასიმილატორს წარმოადგენს მომღვენო ბგერა, რომელიც იმსგავსებს მის წინ მდგომ ბგერას. მაგალითად, სიტყვა „ერთგული“ ჩვეულებრივ წარმოითქმის როგორც [ერდგული]. გ, როგორც მჟღერი ბგერა, იმსგავსებს მის წინ მდგომ თ-ს, რომელიც თვითონ ყრუ ბგერას წარმოადგენს, რის შედეგადაც თ იძლევა დ-ს, ხოლო [ერთგული]→[ერდგული] ფორმას. რეგრესულია ასევე ასიმილაცია რიგი→რიქს ფორმებში, სადაც ყრუ ს-ს გავლენით მჟღერი გ სათანადო ყრუ ფშვინვიერ ქ-ს იძლევა და ა.შ.

მანძილის მიხედვითაც ასიმილაცია ორგვარია: კონტაქტური (ლათ. contactus „შეხება“) და დისტანციური (ლათ. distantia „მანძილი“). კონტაქტურია ასიმილაცია იმ შემთხვევაში, თუ ასიმილატორი და ასიმილირებული ბგერები ერთმანეთის უშუალო მეზობლობაშია. კონტაქტურია როგორც „კბილი→კბილი“ ტიპის პროგრესული ასიმილაცია, ისე „ერთგული→ერდგული“ ტიპის რეგრესული ასიმილაციაც. ასევე კონტაქტურია რეგრესული ასიმილაცია რუსულში читать→зидать ტიპისა, სადაც მჟღერი ч იმსგავსებს ყრუ с-ს, აქცევს მას მჟღერ სპირანტად, დისტანციურია ასიმილაცია, თუ ასიმილატორსა და ასიმილირებულ ბგერას შორის დგას სხვა ბგერა ან ბგერები. დისტანციური ასიმილაციის ნიმუშია Hand→hände ტიპის ასიმილაცია გერმანულში, სადაც ბოლო კიდურა e გავლენას ახდენს მისგან დაშორებულ a ხმოვანზე (მღრ. hand) და გადაჰყავს იგი e ხმოვანში. ასევე დისტანციურია, ვთქვათ, „წაიყვანე“ ფორმისაგან „წევიყვანე“ ფორმის მიღება იმერულში, რომელშიც ასიმილატორი ი და ასიმილირებული ა გათიშულია ერთმანეთისაგან ვ თანხმოვნით.

შედეგის მიხედვითაც ორგვარი ასიმილაცია არის განსხვავებული: სრული და ნაწილობრივი. ასიმილაცია სრულია, თუ ასიმილირებული ბგერა მთლიანად ემსგავსება ასიმილატორს. სრული ასიმილაციის ნიმუშია, გერმანულში Hand→hände ტიპის დამსგავსება. ანდა „წაულია“ ფორმის დიალექტური (გურული დიალექტი) ვარიანტი „წუულია“. ნაწილობრივია ასიმილაცია, თუ ასიმილირებული ბგერა რაღაც ერთი ან მეტი ნიშნით ემსგავსება ასიმილატორს, მაგრამ მთლიანად არ ემთხვევა ამ უკანასკნელს. ასეთია, მაგალითად, „ერთგული→ერდგული“ ტიპის ასიმილაცია.

ასიმილაცია ვლინდება სპეციალური წესების სახით, რომელთაგან ენებში ყველაზე გავრცელებულია პალატალიზაცია, უმლაუტი და სინჰარმონიზმი.

§ 7.3 პალატალიზაცია

ენებში მეტად გავრცელებული მოვლენაა პალატალიზაციის წესი. პალატალიზაცია ეწოდება არაპალატალური ბგერების პალატალურ ბგერებად გარდაქმნას. ამიტომ აუცილებელია

ვიცოდეთ, თუ რომელი ბგერებია პალატალური და რომელი არა-პალატალური. თვითონ ტერმინი პალატალიზაცია ნაწარმოებია palatum-ისაგან, რომელიც, როგორც ვნახეთ, მაგარ სასას აღნიშნავს. პალატალურია ის ბგერები, რომლებიც პალატუმში იწარმოება. სმოვნებიდან ასეთებია ი და ე, პალატალურია ასევე ნახევარსმოვნანი ხ რუსულში. თანხმოვნებიდან პალატალურია, მაგალითად ქართულში, ძ-ც-წ-ზ-ს, ჯ-ჩ-ჭ-ყ-შ. რუსულში პალატალურია II-ჰ-ც, ყ-ჟ-III, ინგლისურში z-s, ჯ-ჩ-ჭ-ჭ გერმანულში z-s, ჯ-ჩ-ჭ ფრანგულში z-s, ჯ-ჩ და ა.შ. ყველა სხვა თანხმოვანი, იქნება ის ველურული დენტალური თუ ლაბიალური, არაპალატალურია.

არაპალატალური თანხმოვნები პალატარული სმოვნების წინ გარკვეულ მოდიფიკაციას განიცდიან. მართალია, პალატუმში მაგარი სასაა, მაგრამ პალატარული სმოვნები აკუსტიკური თვალსაზრისით რბილი სმოვნებია და ამიტომ პალატალიზაციის პროცესიც არაპალატალურ სმოვნანათა და თანხმოვნანათა დარბილებას ნიშნავს. არაპალატარულ თანხმოვნანათა პალატალიზაციის მრავალი სხვადასხვა შემთხვევაა ცნობილი ენებში, მაგრამ ყველაზე მეტად პალატალიზაციას მაინც ველარული ხშულები ექვემდებარებიან. ველარულ ხშულთა პალატალიზაციის შემთხვევები ცნობილია რუსულში და საერთოდ სლავურ ენებში, ლათინურში, ფრანგულში, ინგლისურში და სხვ., მაგრამ შედეგები პალატალიზაციისა და სხვადასხვა არის აქ ჩამოთვლილ ენებში. ლათინურში k პალატალიზაციის შედეგად იძლევა c-ს. პროცესი ხორციელდება, რა თქმა უნდა, e და i, პალატალური სმოვნების წინ. ამიტომ, ვთქვათ, cicero „ცეროცი“ (წარმოითქმოდა ადრე როგორც [kikero] იძლევა [cicero] ფორმას, მაგრამ სიტყვაში casus „შემთხვევა“ იგივე [k] არ გადადის [c]-ში. არ გადადის იმიტომ, რომ მოცემულ შემთხვევაში k არაპალატალური a სმოვნის წინაა და ამიტომ პალატალიზაციასაც ადგილი არა აქვს.

პალატალიზაციის შედეგად g ფრანგულში ჯ-ს იძლევა, (შდრ. ლათ. generalis „ზოგადი“ → ფრანგ. general [ženeral].

ინგლისურში ანალოგიურ პოზიციაში g იძლევა ჯ-ს, (შდრ. generalis „ზოგადი“. general [ženeral]). პალატალიზაციის გზით რუსულში x→ш-ს, ɣ→ж-ს, ხოლო k→ყ-ს იძლევა რბილი სმოვნების წინ (შდრ. око „თვალი“-очи „თვალები“, ухo „ყური“-уши, „ყურები“, Бог „ღმერთი“-Боже „ღმერთო“, мокрый „სველი“-мочить „დასველება“ და სხვ.).

7.4. უმლაუტი. უმლაუტი (გერმ. Umlaut) ნიშნავს გადაბგერებას, გადახმოვნანებას ისევე, როგორც ბერძნ. metaphonia. უმლაუტად განიხილება წინმდგომ მარცვალში სმოვნის

გაფართოვება დაეიწროვება მოძღვენო მარცვლის ხმოვნის გავლენით. როგორც ვხედავთ, უმლაუტიც ასიმილაციაა, უფრო ზუსტად, მისი კერძო სახეა. უმლაუტი ორგვარია იმის მიხედვით, თუ რასთან გვაქვს საქმე ხმოვნის გაფართოვებასთან თუ დაეიწროვებასთან. დაეიწროვების შემთხვევაში მივიღებთ პალატალიზაციას, ე.ი. არაპალატალური ხმოვანი (ა, ო, ი) პალატალური გახდება. (ა, ო, ი). ასეთი მოვლენა დადასტურებულია ძვ. ზემოგერმანულსა და სვანურში ძვ. ზემოგერმანულში, ვთქვათ სიტყვა *gast* „სტუმარი“ მრავლობითი რიცხვის ფორმაში (*gasti*) პალატალურმა *i*- ხმოვანმა დაეიწროვა *a* და მისგან პალატალური ასიმილაციის შედეგად ვერ მივიღეთ *ä*, ხოლო შემდეგ *e*. პალატალიზაციის გზითაა მიღებული *ö* და *ü*-ც გერმანულში, ვთქვათ, სიტყვებში *Töchter* „ქალიშვილები და *Brüder* „ძმები“. ასეთივე პროცესი შეინიშნება სვანურშიც: წინა მარცვლის ველარული ხმოვნები (ა, ო, უ) მოძღვენო მარცვლის პალატალური ხმოვნების გავლენით, ო, ა უ პალატიზირებულ ხმოვნებს იძლევიან (შდრ. დავითი→დავით, სადილი→სადილ, ადგარი „კლავს“ და სხვ.).

უმლაუტის დროს, როგორც ითქვა, შესაძლებელია მოხდეს ხმოვანთა გაფართოვებაც. ძვ. ზემოგერმანულ *sutum* „ჩვენ ვზარშავდით“ ფორმაში პირველი *u* ხმოვანი სათანადო მიძლეობაში *isotan* „მოზარშული“ მოძღვენო *a*-ს გავლენით ფართოვდება და *o*-ს იძლევა. ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ასიმილაციასთან, მაგრამ აქ ასიმილაცია ხმოვნის გაფართოვებას გულისხმობს და არა მის დაეიწროვებას.

§ 7. 5. სინჰარმონიზმი

სინჰარმონიზმიც (ბერძ. *syn* „თან“, *harmonia* „ჰარმონია“) ასიმილაციის კერძო შემთხვევაა და იგი გულისხმობს ხმოვანთა პროგრესულ დისტანციურ და სრულ ასიმილაციას მთელი სიტყვის მანძილზე. ეს პროცესი განსაკუთრებით დამახასიათებელია ურალურ-ალთაური (ფინური, უნგრული, თურქული, და სხვ.) ენებისათვის. სინჰარმონიზმის დროს სუფიქსალური ხმოვანი ემსგავსება ფუძისეულ ხმოვანს. მაგ., იაკუტურ ენაში მრავლობითი რიცხვის ნიშანი სახელებში ღებულობს ისეთ განზოგადებას, რაც სათანადო სახელს აქვს: *aya* „მამა“ → *ayalar* „მამები“, *äsä* „დათვი“ ← *äsälär* „დათვები“, *oyo* „ბავშვი“ ← *oyolor* „ბავშვები“. რუსულში თურქულიდან ნასესხები სიტყვები აძირომ ხშირად ადვილად გამოიცინობა სინჰარმონიზმის მიხედვით: *таган*, *ятаган*, *кишмиш*, *чугун*, *пюпюн*, *сундук*.

სინჰარმონიზმის ელემენტები შეინიშნება ევროპულ ენებშიც: ფრანგ. *camarade* → *camerade*, გერმ. *Nachbar* ← ძველ ზემოგერმანული *nahgibir*, იტალ. *Toronto Tarento*.

§ 7.6. დისიმილაცია

ასიმილაციის საწინააღმდეგო პროცესია დისიმილაცია (ლათ. *dissimilatio* „განსხვავება“). თუ ასიმილაციის დროს ბგერები ერთმანეთს ეშვავსებიან, დისიმილაციის დროს, პირიქით, ორი მსგავსი ან ერთნაირი ბგერა ერთმანეთს განეშვავება. ქართულში სიტყვა „რბილი“ დისიმილაციის გზით არის მიღებული „ლბილი“ სიტყვისაგან (შდრ. გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა „ვეფხისტყაოსანი“). ორი ლ ერთ სიტყვაში განეშვავება ერთმანეთს და პირველმა რ მოგვცა. ასევე „ლელწამი“ სიტყვისაგან „ლერწამი“ მივიღეთ. განსაკუთრებით გაურკველბულია ენაში ორი რ-ს დისიმილაცია. რადგანაც გვაქვს კახურ-ი, თბილის-ურ-ი და სხვა, უნდა გვქონოდა *გორ-ურ-ი, *იმერ-ურ-ი, *რუს-ურ-ი და ა.შ. ფორმები, მაგრამ გვაქვს გორ-ულ-ი, იმერ-ულ-ი, რუს-ულ-ი და ა.შ. მოცემულ სიტყვებში ორი რ იძლევა ლ-ს. ეს პროცესი რუსულშიც დასტურდება. მაგ. *пѣрпалх* მიღებულია *пѣрпалх* ფორმისაგან, *прорынь* იძლევა *приорынь*-ს და სხვ. ლათინურმა *peregrinus* „უცხო, უცნობი“ იტალიურში მოგვცა *pellegrino*, ინგლისურში *pilgrim* „პილიგრიმი“.

დისიმილაცია მოსდით სხვა სონორებსაც. „ჯანდაბა“ სიტყვა ქართულში ჯანნამასაგან არის მიღებული, სადაც ორი ნ ერთმანეთს არის განმსგავსებული, ასევე განეშვავება ერთმანეთს ბაგისმიერიც: მუხამბაზი-მუხამბაზი, რუს. *номя*→*ноиыня*, *трамвай*←*трамваѣ* დისიმილაციას, სონორების გარდა, სხვა თანხმოვნებიც განიცდიან. რუსულის დიალექტებში *к кому* ფორმა დისიმილაციის გზით იძლევა *хкому*-ს, *кто*→*хто*-ს და ა.შ. განსაკუთრებით საინტერესოა დისიმილაციური გ ა მ ე ლ ე რ ე ბ ა. ამ პროცესს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ერთ სიტყვაში ორი აბრუპტივი (მკვეთრი) იყრის თავს (შდრ. პატარა ბატარა და ა.შ.).

დისიმილაცია ხმოვნებსაც ემართება. ქართულში უნდა გვქონოდა *„სათითოოდ“, მაგრამ გვაქვს „სათითაოდ“, სადაც ორი ო დისიმილირებულია: *ო-ო-ა-ო*. „ა მ ა ლ ა მ“ ფორმა იძლევა „ა მ ე ლ ა მ“ ფორმას, ანლა-ეხლა და სხვ. დისიმილაციას წარმოადგენს ის, რომ გერმანულში *ci* იძლევა *ai*-ს: *cin*→*ain* (წარმოთქმაში), *stein*→*stain* და ა.შ. და ხმოვნები ახლოს დგას ერთმანეთთან, რადგანაც *i* მაღალი აწეულობის მქონე ხმოვანია, ხოლო *e*-საშუალო აწეულობისაა. მათგან განსხვავებით *a* დაბალი აწეულობის მქონეა. *e* და *i* განეშვავსებიან ერთმანეთს, რის შედეგადაც *e* იძლევა *a*-ს, ე,ი, იზრდება დისტანცია ორ მეზობელ ხმოვანს შორის.

დისიმილაციის შედეგად დისიმილირებული ბგერა საერთოდ შეიძლება დაიკარგოს. მაგ., სიტყვა „ერთმანეთი“ მოძღინარეობს „ერთმანერთისაგან“.

ორი რ, როგორც ვიცით, სიტყვაში ვერ ძლებს და ამიტომ მოცემულ შემთხვევაში იგი იკარგება: ერთმანერთი→ერთმანეთი. ასევე დაკარგულია დისიმილაციის გზით ხ სიტყვაში ოთოთხი, რომელიც *ოთხოთხი ფორმისაგან უნდა იყოს მიღებული. ამავე მიზეზის გამო ლათინურში lanterna სიტყვაში დაკარგულია n და ამიტომ გვაქვს laterna „ფანარი“, steti „იღვა“ მიღებული უნდა იყოს *stē sti-საგან (stare „დგომა“) და სხვა.

დისიმილაციის ნიადაგზე სიტყვაში ორი ერთნაირი მარცვლიდან შეიძლება დაიკარგოს ერთ-ერთი. ამ მოვლენას ეწოდება ჰაპლოგია (ბერძ. haploos „მარტივი“). მარცვლის ჰაპოლოგიის გზითაა მიღებული დიალექტური ფეხშველა (ფეხშიშველა→ფეხშველა), (ბიძის-ცოლა→ბიცილა). ლათინურში ამავე მიზეზით stripipedium „ჯამაგირი“ (სალდათისა) ფორმამ მოგვცა stipendium, ხოლო რუსულში орденоносец, знаменоносец ფორმების ნაცვლად გვაქვს орденосец, знаменосец და სხვ.

დისიმილაცია შეიძლება იყოს პროგრესული („გორური→გორული) და რეგრესული (ლბილი→რბილი, კონტაქტური (трамвай→транвай, და დისტანციური (ლბილი→რბილი). თუ ასიმილაციის შემთხვევაში კონტაქტური ასიმილაცია უფროა გავრცელებული, ვიდრე დისტანციური, დისიმილაციის შემთხვევაში, პირიქით, დისტანციური ასიმილაცია უფრო ხშირია, ვიდრე კონტაქტური.

§7.7. რედუქცია

ენებში ასევე გავრცელებული პროცესია ბგერათა რედუქცია (ფრანგ. reduction „შემცირება, დაკლება“). გარკვეულ პოზიციაში ბგერას შეიძლება დააკლდეს ზოგიერთი ნიშანი, ე.ი. დასუსტდეს.

რედუქცია მოხდით როგორც თანხმოვნებს, ისე ხმოვნებსაც. დენტალური თანხმოვნების წინ ქართულის დიალექტებში ჩვეულებრივია ს-ზ, ფონემების დაკარგვა: ამისთანა→ამიჰთანა→ამითანა, მისდევს→მიზდევს→მიდდევს→მიდევს. ანალოგიური პროცესი გავრცელებული იყო ლათინურშიც. ე.ი. *nisdos „ბუღე“ ლათინურში იძლევა nīdos ფორმას, სადაც s-ს დაკარგვას თან მოჰყვა i ხმოვნის საკომპენსაციო დაგრძელება. სხვა ინდოევროპულ ენებში ეს s შემონახულია (შდრ. ინგლ. nest, რუს. гнездо, და სხვ.).

ნაზალური თანხმოვნის დაკარგვას გარკვეულ პირობებში ხშირად თან სდევს წინამავალი ხმოვნის ნაზალიზაცია. ასეთი წარმოშობისაა ნაზალიზებული ბგერები მრავალ ენაში და მათ შორის ფრანგულშიც. ლათ. cantāre „სიმღერა“ ფრანგულში იძლევა chanter [šāte] ფორმას ლათ. centum „ასი“ ფრანგულში ასახულია როგორც cent [sā] და სხვ.

ნახალური II, III, თანხმოვნების რედუქციამ ფრანგულში, რაც თანხმოვნის წინ და სიტყვის ბოლოში ხდებოდა, გამოიწვია ნახალიზებული ხმოვნების წარმოქმნა. მოცემულ პიზიციაში II და III ფონემებისაგან დარჩა მხოლოდ ნახალობა (დაიკარგა დენტალობა და ბილაბიალობა), რომელიც წინამკვალ ხმოვანს მიეკედლა, შექმნა რა მასთან ერთად ნახალიზებული ხმოვანი ფონემა.

რედუქციად განიხილება ისიც, რომ რ და ლ ბგერები ქართულში იკარგებიან ორ თანხმოვანს შორის (შდრ. ბრძოლა: ბძოლა, სახლს სახს, კლდე→კლე, ბრდღენა→ბღღენა და სხვ.). ასევე რედუქციაა ბგერის დაკარგვა ინგლისურში ხმოვნის მომდევნო პოზიციაში (შდრ. serpent [se:pent] „გველი“, gorge [go:ʒ] „ხეობა“ და სხვ.). ინგლისური ენის ისტორიაში შეინიშნება რედუქციის გზით v-ს დაკარგვაც (შდრ. hla: vord→lord „ლორდი“, hla:vdije→lady „ლედი“ დასხვ.).

რედუქციად განიხილება დეზაფრიკატიზაცია ანუ აფრიკატის მარტივ თანხომანში გადასვლა. დეზაფრიკატიზაცია ხორციელდება ორი გზით: 1) აფრიკატი, როგორც ეს ზემოთ ითქვა, ერთდროულად ხშულიც არის და ნაპრალოვანიც (სპირანტი). აფრიკატმა, შეიძლება დაკარგოს სპირანტული ელემენტი და გადაიქცეს მარტივ ხსულად (შდრ. სწავლა→სტავლა), 2) აფრიკატმა შეიძლება ხშულობა დაკარგოს და ნაპრალოვანი მოგვეცეს (შდრ. ძღარბი→ზღარბი. ჯღომა→ჯღომა).

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ხმოვანთა რედუქცია, რაც უმთავრესად მახვილთან არის დაკავშირებული. იმ ენებში, სადაც ძლიერი მახვილი გვექვს, უმახვილო ხმოვნები ხშირად სუსტდება და იკარგება. ფინალური ხმოვნების (შდრ. ძე. ინგლის. ic singe, ინგლ. I sing „მე ვმღერო“) ამოვარდნას ეწოდება ა პ ო კ ო პ ა (ბერძ. apokopē „მოკვეცა“), ხოლო სიტყვის შიგნიდან ხმოვნის ამოვარდნას – ს ი ნ კ ო პ ა (ბერძ. synkopē „შემოკლება, შეკვეცა“). სინკოპის მაგალითებია: ძე. ინგლ. stānas „ქვები“→ ინგლ. stones [stɔwnz] ან ქართ. წყალი→ წყლის და რუს. жидн жид→ფორმები.

რედუქციის შედეგად ხმოვანი შეიძლება დასუსტდეს, მაგრამ მთლიანად არ დაიკარგოს. ამის ნიმუშია o და a ხმოვნების რედუქცია რუსულში. სიტყვა вода, მაგალითად, წარმოითქმება როგორც вода, რომელშიც ორივე o რედუცირებულია, მაგრამ დაკარგული არაა. რედუქციად შეიძლება განვიხილოთ ასევე ე ხმოვნის გადასვლა ი-ში „ვერეხ←ვერიხე“ ტიპის ფორმებში ქართულში.

§ 7.8. მეტათეზისი

მეტათეზისი (ბერძ. metathesis „გადასმა“) ეწოდება ბგერების გადანაცვლებას, ერთი პოზიციიდან მეორე პოზიციაში გადასმას. მეტათე-

ზისის გზით, „კლვა“ „ფორმისაგან მივიღეთ „კვლა“, „ათრვამეტი-საგან“-„თვრამეტი“ და სხვ. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ვ-ს მეტათეზისთან, რომელიც სიტყვის თავისკენ ინაცვლებს. მეტათეზისის გზითაა მიღებული тарелка „თეფში“ სიტყვა რუსულში. ეს სიტყვა ნასესხებია გერმანული-დან (შდრ. გერმ. Teller „თეფში“, მაგრამ რუსულ ფორმაში l და r ფონემები ერთმანეთსაა შენაცვლებული.

საურთიერთოა მეტათეზისი, როცა ერთმანეთისაგან დაშორებული ბგერა ჩაენაცვლება ერთმანეთს პოზიციურად: ნამგალი→მანგალი, ცალიერი→ცარიელი, რუს. ДАЛОНЬ (შდრ. ძვ. სლავური ДАЛОНЬ „ხელი, ხელისგული“)→ПЛОДОНЬ, ლათ. scintilla→stincilla „ნაპერწყალი“.

§7.9. ანალოგია

ენებში საკმაოდაა გავრცელებული ანალოგიის მოვლენა. ანალოგიაც კომბინატორულ ცვლილებას წარმოადგენს, მაგრამ მისი გამომწვევი მიზეზია არა მეზობელი ბგერა ან ბგერები, არამედ სხვა ფორმა ან ფორმები, რომელთა მოდელის მიხედვით წარმოიქმნება ესა თუ ის ფორმა. ასე, მაგალითად, ლათინურში ერთ ღროს გექონდა honōs „ღირსება“-honōsem (ბრალდებითი ბრუნვა). მაგრამ შემდეგში ორ ხმოვანს შორის ლათინურში s გადავიდა r-ში (როტაციზმი), რის შედეგადაც honōsem ფორმამ მოგვცა honōrem. ამრიგად, honōs-honōsem დაპირისპირება შეიცვალა honōs-honōrem დაპირისპირებით. ლათინურში გექონდა სხვა სახის ოპოზიციაც სახ. orātor ბრალდ. orātorium „ორა-ტორი“, რომლის მოდელის მიხედვით honōs-honōrem ოპოზიცია შეიცვალა honōr-honōrem ოპოზიციით, სადაც s-ს შეიცვალა r-თი მოხდა არა რაიმე ფონეტიკური წესის მიხედვით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ orātor ფორმის ანალოგიით. აი, ასეთ ფონოლოგიურად შეუპირობებელ ბგერათცვლილებას ეწოდება ანალოგია.

ანალოგიის გზითაა ქართულში დაღმართი, წალმართი ფორმები. ამ სიტყვაში ღ გამოჩნდა „აღმართი-ს“ ანალოგიით, სადაც წარმოდგენილია ა-ზმნისწინის ძველი ფორმა აღ-(შდრ. აღმოსავლეთი, აღტაცება, აღმოჩენა და სხვ.). მაგრამ ქართულში არა გვაქვს დაღ-ან წალ-ზმნისწინები. ამიტომ უნდა გვექონოდა „დამართი“ და „წამართი“ „დაღმართი“ და „წალმართი“ სიტყვების ნაცვლად. და თუ ქართულში მაინც „დაღმართი“ და „წალმართი“ ფორმებია, ეს აიხსნება იმით, რომ ღ ამ სიტყვებში გაჩენილია „აღმართი“ ფორმის ანალოგიით.

ქართულში გავქვს საწყისი ფორმა „დგომა“, რომლისგანაც კანონზომიერად ნაწარმოებია „ავდეგ“ ფორმა. რადგანაც სიტყვის ბოლოში მჟღერი თანხმოვანი ყრუდება, ამიტომ „ავდეგ“ იცვლება „ავდექ→ავდექი“ ფორმით. „ავდგომა“ საწყისი ფორმისაგან უნდა მიგვეღო „დავეჯედ→დავეჯეთ“ (გვაქვს კიდევ ეს ფორმები ზოგ დააღვექტში) ფორმა, მაგრამ გვაქვს

„დავჯექი→დავჯექი“, სადაც დ/თ შეცვლილია ქ ფონემით. ქს გამოჩენა „დავჯექი“ ფორმაში სხვა არაფერია, თუ არა ანალოგია: „ავ-დქი→ავდექი“ ფორმის ანალოგიით ქართულში ჩამოყალიბდა „დავ-ჯექი→დავჯექი“ ფორმა მოსალოდნელი „დავჯედ(თ)“ ფორმის ნაცვლად.

ძვ. ქართული „ათოთხმეტი“ ფორმისაგან ქართულში მივიღეთ „თოთხმეტი“, ხოლო „თხუთმეტი“-საგან - „თხუთმეტი“. მაგრამ „თოთხმეტ-ის“ ანალოგიით „თხუთმეტი“ ფორმაში ხ-ს მეტათეზისი მოხდა, რის შედეგადაც „თხუთმეტი-მა“ მოგვცა „თუთხმეტი“. ასევე რუსულში ДСВЯТЬ რიცხვით სახელში დ თანხმოვნის ნაცვლად უნდა გვექონოდა Н, რადგანაც სხვა ინდოევროპულ ენებში ამ სიტყვაში n გვაქვს (შდრ. სანს. pava, ლათ. novem გერმ. neun ინგლ. nine ფრანგ. neuf და სხვ.), მაგრამ десять სიტყვის ანალოგიით н შეიცვალა დ-თი, რის შედეგადაც მივიღეთ девять. დღეისათვის რუსულში გვაქვს ров-рва „თხრილი-თხრილისა“, лёд-льда „ყინული-ყინულისა“, ძვ. რუსულში კი გვექონდა არა рва და льда, არამედ рова, леда, მაგრამ лон-лна, леиш-лшна და სხვ. სიტყვების ანალოგიით ხმოვანთა რელუქციის წესი გავრცელდა рова, леда და სხვ. ტიპის სიტყვებზეც, რის შედეგადაც მივიღეთ рва, льда ტიპის ფორმები.

ძვ. ინგლისურში სახელთა მრავლობითი რიცხვი იწარმოებოდა როგორც -as სუფიქსით (შდრ. stail „ქვა- stanas ქვები“), ისე -n სუფიქსითაც (შდრ. steorra „ვარსკვლავი- steorran „ვარსკვლავები“). ინგლისურში კი ანალოგიის შედეგად გაბატონდა -s სუფიქსი და ამ გზით წარმოიქმნა stone-stones [stoun-stownz] „ქვა-ქვები“ და „star-stars“ [sta:-sta:z] „ვარსკვლავი-ვარსკვლავები“ ტიპის ოპოზიციები. საშუალო ინგლისურმა ძველი ფრანგულისაგან ისესხა cherise „აღუბალი“ სიტყვა cheris ფორმის სახით მაგრამ მოცემულ სიტყვაში ბოლო-კიდური s ანალოგიის წესის მიხედვით გაგებული იქნა როგორც მრავლობითი რიცხვის ნიშანი, რამაც განაპირობა cherry „აღუბალი“ ფორმის წარმოქმნა და განსაზღვრა cherry-cherries „აღუბალი-აღუბლები“ ოპოზიციის ჩამოყალიბება.

რიგორც ეხედავთ, ანალოგიის მოვლენა მეტად გავრცელებულია სხვადასხვა ენებში, მაგრამ საქმის ვითარება ისე არ უნდა გავიგოთ. რომ ანალოგიის პროცესი ენებში ქაოტურად იჩენდეს თავს, რადგანაც იგი ფონოლოგიურად არ არის შეპირობებული. ანალოგიის პროცესი მკაცრად შეპირობებულია, რაც ჩვენ საშუალებას გვაძლევს ანალოგია განვიხილოთ როგორც ასიმბლაციის კერძო სახე. საქმე ისაა, რომ ანალოგია ყოველთვის იჩენს თავს იქ, სადაც პროპორცია არის დარღვეული. ზემოთ განხილულ მაგალითში ლათინურიდან, ერთი მხრივ, orator-oratorem ხოლო მეორე მხრივ, honor-honorem წყვილებს შორის პროპორცია დარღვეულია, რადგანაც წყვილი ისე არ შეუფარდება ერთმანეთს, როგორც orator-oratorem. მოცემულ ორ წყვილს შორის

პროპორცია რომ დამყარდეს საჭიროა *hionōs* ფორმაში *s* შეიცვალოს *r*-თი. ეს პროცესი შესაძლებელია არ განხორციელდეს, მაგრამ თუ განხორციელდება, მაშინ პროპორცია დამყარდება წყვილებს შორის და თანაც პროპორცია დამყარდება ანალოგიის შედეგად. ამ გზით *hionōs* სიტყვა ემსგავსება *ōrātor* სიტყვას, რადგანაც პირველ სიტყვაშიც *r* განჩნდება. ერთი სიტყვით ანალოგიის პროცესი ყოველთვის გულისხმობს ანალოგიის გამომწვევ მიზეზს და ამდენად, ანალოგიაც ასიმილაციის ერთ-ერთი სპეციალური სახეა.

§ 7. 10. სპონტანური ბგერათცვლილებები

სპონტანური ანუ თვითნებური ბგერათცვლილება, როგორც უკვე აღნიშნული იყო შეუპირობებელია პოზიციურად. ასეთი ცვლილება ყველა პოზიციაში ხდება და ამიტომ იგი პოზიციაზე არც შეიძლება იყოს დამოკიდებული. ასე, მაგალითად, ძვ. ქართულში გვქონდა ფარინგალური ფშვინვიერი ხშული ფონემა *χ*, რომელსაც დისტინქციის უნარი ჰქონდა ისევე, როგორც ყველა სხვა ფონემას (შდრ. *ჯელი-ხელი*). ეს ფონემა წარმოადგენილი იყო ბევრ სხვადასხვა პოზიციაში (შდრ. *ჯელი*), მკვდარი, შეინაჯე, *ჯუება*, *ღაიჯუთა*, *ჯმა*, *ჯრწნა*, *ჯარო*, *გარღმოჯდა* და სხვ.), მაგრამ შემდეგში იგი თანდათანობით შეიცვალა ჩვეულებრივი ხ ფონემით ყველა შესაძლო პოზიციაში. ასე, რომ დღეისათვის გვაქვს მხოლოდ ხ, რომელიც აღარ უპირისპირდება *χ*-ს.

მაგრამ ბგერის ცვლილება ერთ შემთხვევაში შეიძლება სპონტანური იყოს, ხოლო მეორე შემთხვევაში- კომბინაციური: ქართულის ა სმოვანს მებრულში ერთ შემთხვევაში შეესატყვისება ო:

ქართ.	მეგრ.
კაცი	კოჩი
ასი	ოში
ხარი	ხოჯი
ქათამი	ქოთომი
ასული	ოსური

ხოლო მეორე შემთხვევაში იმავე ა-ს შეესატყვისება უ:

ქართ.	მეგრ.
მამალი	მუმული
ღათვი	თუნთი
მაჩვი	მუნჩქვი
მხარი	ხუჯი(<*მხუჯი)
მატლი	მუნტური

მაგრამ ქართული ა-ს შესატყვისად მებრულში უ გვაქვს იმ შემთხვევებში, თუ ქართულში ა-ს წინ იმყოფება მ (მამალი, მხარი,

მატლი, მაჩვი...) ანდა მის მომღვენოდ წარმოდგენილია ვ (მდრ. დათვი, მაჩვი...). ამიტომ ა-ს გადასვლა უ-ში, რასაც მეგრულში აქვს ადგილი განიხილება როგორც კომბინატორული ცვლილება, გამოწვეული ლაბიალური მ და ვ ფონემებით. როგორც ჩანს, ხსენებული ლაბიალური ფონემები ავიწროვებდნენ ა-ს მეგრულში იმდენად, რომ მისგან მაქსიმალურად ვიწრო ხმოვანი მივიღეთ. თავისთავად ა-ს გადასვლა ო-ში სხვა არაფერია, თუ არა დაევიწროვება, მაგრამ ამ შემთხვევაში რაიმე კომბინატორული მიზეზი ამგვარი ცვლილებისა არა ჩანს. იმ სიტყვებში, სადაც ქართულის ა-ს მეგრულში ო შეესატყვისება, ლაბიალური თანხმოვნები საერთოდ შეიძლება არ გვქონდეს და ამიტომ ა-ს გადასვლა ო-ში უნდა განვიხილოთ როგორც სპონტანური პროცესი, განსხვავებით ა→უ ტრანსფორმაციისაგან, რომელსაც კომბინატორული ახსნა ეძებნება. ერთი სიტყვით, ა→ო გარდაქმნა მეგრულში სპონტანურია, ხოლო ა→უ გარდაქმნა→კომბინატორული.

ასევე სპონტანურ ბგერათცვლილებად უნდა განვიხილოთ ის ფაქტი, რომ ქართულის სისინა სპირანტებსა და აფრიკატებს მეგრულში შეესატყვისება სათანადო შიშინა სპირანტები და აფრიკატები (ს→შ, ზ→ჟ, წ→ჭ, ც→ჩ, ძ→ჯ).

ქართ.	მეგრ.
სმა	შუმა
ზე	ჟი
წაბლი	ჭუბური
ცხელი	ჩხე
ძმა	ჯიმა

რაიმე კომბინატორული მიზეზი სისინა სპირანტებისა და აფრიკატების შეცვლისა მეგრულში სათანადო შიშინა სპირანტებითა და აფრიკატებით არა ჩანს და ამიტომ სისინა ფონემების გაშიშინება მეგრულში (ასევე ჭანურსა და სვანურში) სპონტანური პროცესია.

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე
დ ა მ წ ე რ ლ ო ბ ა

§ 1. დამწერლობის წარმოშობა

დამწერლობა კაცობრიობის უდიდეს აღმოჩენათა რიცხვს ეკუთვნის. თავისი მნიშვნელობით დამწერლობის წარმოშობა ცეცხლის აღმოჩენას თუ შეიძლება გავუტოლოთ. დამწერლობას სამართლიანად ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა კაცობრიობის კულტურის განვითარების ისტორიაში. დამწერლობას ახასიათებს ისეთი თვისებები, რაც მას ბგერითი ენისაგან განასხვავებს და რაც მას კაცობრიობის ისტორიაში განუმეორებელ მნიშვნელობას ანიჭებს. ბგერითი ენა შეზღუდულია

დროსა და სივრცეში, მისი საშუალებით კონტაქტი შეიძლება დაამყარო მხოლოდ ახლო მანძილზე, შორ მანძილზე კი იგი უვარგისი ხდება. გარდა ამისა, ზეპირ მეტყველებას ისტორია არა აქვს, მისი ისტორია წარმოთქმისთანავე მთავრდება. ამიტომ ბგერითი მეტყველება ვერ იქნება ინფორმაციის შენახვისა და თაობიდან თაობაში გადაცემის კარგი საშუალება. როგორც ეს აღნიშნული იყო ზემოთაც, ლათინური ანდაზა *Verba volant-scripta manent* „სიტყვები ფრენენ, ნაწერი რჩება“ კარგად გამოხატავს დამწერლობისთვის დამახასიათებელ უძვირფასეს თვისებას, რომლის წყალობითაც დამწერლობამ ასეთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა კაცობრიობის კულტურის განვითარების ისტორიაში.

მაგრამ კაცობრიობა ერთბაშად არ მისულა დამწერლობის შექმნის იდეამდე. დამწერლობის წარმოშობას წინ უსწრებდა ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც ათასეულობით წლებს მოიცავდა.

დამწერლობის წარმოშობამდე მიმართავენ საგანთა სიმბოლიკას, პირველყოფილი ხალხები ომის გამოცხადების ნიშნად ერთმანეთს უგზავნიდნენ შუბებს, ისრებს ან სხვა საომარ იარაღს. პეროდოტე მოგვითხრობს, რომ როცა ძველმა სპარსელებმა სკვითებს მოსთხოვეს დამორჩილება, სკვითებმა მათ ფრინველი, თავი, ბაყაყი და ხუთი ისარი გაუგზავნეს, რაც შემდეგს ნიშნავდა: „სპარსელებო, თუ თქვენ არ შეგიძლიათ ფრინველივით ფრენა, სორიებში თავიკით ძრომა და დამალვა, ჭაობებში ბაყაყით ხტომა, მაშინ ჩვენი ისრები თქვენ უეჭველად მოგძებნიან და დაგხოცავენ, როგორც კი ჩვენს მიწაზე ფეხს დაადგამთ“. საზავო მოლაპარაკების დროს გაერცელებული იყო ყალიონის წვეა, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა და მოდავე მხარეების შერიგებას გამოხატავდა.

მაგრამ საგანთა სიმბოლიკა მაინც არა არის დამწერლობა. განვითარებული ადამიანს დამწერლობის შექმნის საჭიროება გაუჩნდა და შექმნა კიდევ იგი. ამ დარგში პიონერები იყვნენ ძველი ეგვიპტელები, შუმერები და ძველი ჩინელები. ეგვიპტური და შუმერული დამწერლობა წარმოიშვა ჯერ კიდევ IV ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ცოტა მოგვიანებით (III ათასწლეული) შეიქმნა ჩინური დამწერლობაც, რომელიც დამოუკიდებლად წარმოიშვა.

დამწერლობის წარმოშობა ემთხვევა პირველი სახელმწიფოს გაჩენას ჩვენს პლანეტაზე. ესენია ძველი ეგვიპტე და მესოპოტამია (შუამდინარეთი), სადაც ერთ დროს არსებობდა შუმერთა (სუმერთა) სახელმწიფო. სწორედ ეგვიპტესა და შუამდინარეთში დაირწა ცივილიზაციის აკვანი, რამაც გადამწყვეტი მნიშვნელობა დამწერლობასაც ჰქონდა. ოთხი ათასი წლის წინ ჩვენს ერამდე ძველ ეგვიპტესა და მესოპოტამიაში შეიქმნა დამწერლობა. რომელი დამწერლობა შეიქმნა უფრო ადრე - ეგვიპტური თუ შუმერული? ეს საკითხი დღესაც სადავოა, მაგრამ მთავარია ის, რომ ორივე ეს დამწერლობა უძველესია.

შედარებით უფრო გვიანდელია ჩინური დამწერლობა (მესამე ათასწლეული ჩვენს ერამდე), მაგრამ ჩინური დამწერლობა დღესაც მოქმედია, ხოლო ეგვიპტური და შუმერული დამწერლობები დიდი ხანია ხმარებიდან გამოვიდა. მხოლოდ XIX საუკუნეში გახდა შესაძლებელი ამ დამწერლობათა გაშიფვრა. ეგვიპტეში ნაპოლეონის ლაშქრობის დროს შემთხვევით აღმოაჩინეს ქვა, რომელმაც შემდეგში როზეტას ქვის სახელწოდება მიიღო, რადგანაც იმ ადგილს, სადაც ქვა აღმოაჩინეს, როზეტა ერქვა. ქვაზე აღმოჩნდა წარწერა ბერძნულ და ეგვიპტურ ენებზე. როზეტას ქვამ უდიდესი როლი შეასრულა ეგვიპტური დამწერლობის გაშიფვრის საქმეში. ფრანგმა შამპოლიონმა, გენიალურმა მეცნიერმა, შეძლო გაეშიფრა ეგვიპტური წარწერა. მართალია, შამპოლიონამდეც ბევრი შეეცადა როზეტას ქვის გაშიფვრას, მაგრამ არც ერთ ამ ცდას რაიმე მეცნიერული ღირებულება არ ჰქონია. მხოლოდ შამპოლიონის გენიამ აამეტყველა როზეტას ქვა და ამით საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ეგვიპტოლოგიას.

ეგვიპტელები წერდნენ პაპირუსზე (ეგვიპტ. პა-პიურ, „მდინარის მცენარე“), რაც შემდეგში ეგვიპტიდან სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა (გერმ. Papier „ქაღალდი“ იგივე ძირია). ასეთი პაპირუსები მრავლადაა ნაპოვნი ეგვიპტურ აქლდამებში. შუმერები საწერად სხვა მასალას იყენებდნენ. ესაა თიხა. სპეციალურად ამზადებდნენ თიხის ფირფიტებს, რომლებზედაც აკეთებდნენ წარწერებს. შემდეგ ამ ფირფიტებს საგანგებოდ გამოწვავდნენ, რათა მათთვის გამძლეობა მიენიჭებინათ. ქაღალდი შედარებით გვიან გაჩნდა და ისიც არა ეგვიპტესა და მესოპოტამიაში, არამედ ჩინეთში. დიდი ხნის განმავლობაში ჩინელები ქვის ფილებზე ან ხის ტაბულებზე წერდნენ, მაგრამ ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში მათ მიაგნეს ქაღალდის შექმნის საიდუმლოებას და VIII საუკუნემდე მკაცრად ინახავდნენ მას. მაგრამ 751 წელს ბაღდადის ხალიფას ნაცვალმა სამარყანდში დაატყვევა ორი ჩინელი, რომლებიც სპეციალობით ქაღალდის სპეციალისტები აღმოჩნდნენ. ტყვეების შემწევობით სამარყანდში გახსნეს ქაღალდის ფაბრიკა, საიდანაც ქაღალდი გავრცელდა ჯერ მახლობელ აღმოსავლეთში და შემდეგ მთელს მსოფლიოში.

§2 პიქტოგრაფიული დამწერლობა


მანც როგორი იყო პირველი დამწერლობა? იგი, რა თქმა უნდა, არ ყოფილა ანბანური. პირველი დამწერლობა, იქნება ეს ეგვიპტური, შუმერული თუ ჩინური, პიქტოგრაფიულია. ტერმინი პიქტოგრაფია ლათ. pictus „ნახატი“ და ბერძ. grāphō „ეწერ“ სიტყვებისაგან შედგება და კარგად გამოხატავს დამწერლობის იმ სახის თავისებურებას, რომელსაც პიქტოგრაფიული დამწერლობა ეწოდება. აი, როგორი იყო ზოგიერთი პიქტოგრაფიული ეგვიპტურ დამწერლობაში:

	თვალი
	ჟირაფი
	ნეჭვის კია
	კუთხე
	პური
	ფრენა

ერთი და იგივე სხვადასხვა პიქტოგრაფიულ დამწერლობაში სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოიხატოს. აი, როგორ განსხვავებულადაა გამოხატული თვალი და პური ეგვიპტურ, შუმერულ და ჩინურ პიქტოგრაფიულ დამწერლობაში.

	ეგვიპტური	შუმერული	ჩინური
თვალი			
პური			

პიქტოგრაფიული დამწერლობა, მართალია, დამწერლობის უძველესი საფეხურია, მაგრამ იგი დღესაც გამოიყენება. რეკლამები, რომლებიც მაღაზიების ფირნიშებზეა გაკეთებული, მიგვანიშნებენ იმაზე, თუ რა იყიდება (ხორცი, ფეხსაცმელი, ქალის ტანსაცმელი, კაცის ტანსაცმელი...) ამა თუ იმ მაღაზიაში. ზოგიერთ ტომებში პიქტოგრაფიული დამწერლობა დღესაც ერთადერთია. აი, როგორი წერილი გაუგზავნეს ინდიელებმა ამერიკის პრეზიდენტს მე-19 ს-ის შუა წლებში:













წერილი ასე იშვირება: „წეროს, სამი კვერნის, დათვის, ზღვის კაცისა და წავის ტომებმა მიანდეს თავიანთი გულების საერთო ზრახვა (ამიტომ გულები ხაზებითაა შეერთებული) წეროს, რათა მან თხოვნით მიმართოს პრეზიდენტს ტბების მხარეში გადასახლების ნებართვის შესახებ“. თხოვნა რომ საერთო აზრს გამოხატავს, ამას გვიმტკიცებს ის, რომ ყველა ტომის თვალები წეროს თვალებთანაა შეერთებული, ხოლო თვითონ წერო ერთი მხრივ პრეზიდენტისკენ იყურება (წინა ხაზი), ხოლო მეორე მხრივ-ტბებისკენ (მისი თვალიდან გამოძვალა ხაზი ტბებთან არის შეერთებული).

§ 3. იდეოგრაფიული დამწერლობა

შედარებით მაღალი საფეხურია იდეოგრაფიული დამწერლობა, რომელიც პიქტოგრაფიული დამწერლობიდან განვითარდა. პიქტოგრაფიული დამწერლობაში პიქტოგრამა ასე თუ ისე ჰგავს იმ საგანს, რომელსაც ეს პიქტოგრამა აღნიშნავს, ე. ი. პიქტოგრაფიული დამწერლობა იკონურობის პრინციპს ემყარება.

სხვა პრინციპი, — პირობითობის პრინციპი, — უდევს საფუძვლად იდეოგრაფიულ დამწერლობას. თვითონ სიტყვა შედგება ბერძ. *idéa* „აზრი“ და *grāphō* „ეწერ“ სიტყვებისაგან, რაც გვიჩვენებს იმას, რომ, იდეოგრაფიული დამწერლობით იდეები, ცნებები აღინიშნება და არა ბგერები. ამგვარ იდეოგრამებს წარმოადგენს, მაგალითად, ციფრები (0,1,2,3,4,5,6,7, 8,9), რომლებსაც ჩვენ ნებისმიერ ენაზე კვითხულობთ სწორედ იმიტომ, რომ ისინი ბგერებს არ გამოხატავენ.

იდეოგრაფიული დამწერლობა პიქტოგრაფიული დამწერლობის ტრანსფორმაციის შედეგია. პიქტოგრამები დროთა განმავლობაში იდეოგრამებად გადაიქცნენ. აი, როგორ მოხდა ეს ცვლილება ჩინურ პიქტოგრაფიულ დამწერლობაში:

პიქტოგრაფიული		იდეოგრაფიული
	წყობა	
	თვალი	
	სასარი	
	ბოცა	
	პერი	


როგორც ვხედავთ, პიქტოგრამა იკონური ნიშანია, ხოლო იდეოგრამა-პირობითი ნიშანი, იგი უკვე აღარ ჰგავს საგანს. ჩინურში დღეისათვის 40-დან 50 ათასამდე იდეოგრამა გვაქვს, თუმცა თანამედროვე განათლებული მკითხველისათვის საკმარისია იცოდეს 6 ათასიდან 10 ათასამდე იდეოგრამა.

იდეოგრაფიულ დამწერლობას სხვაგვარად იეროგლიფურსაც უწოდებენ, ხოლო თვითონ იდეოგრამებს-იეროგლიფებს. ბერძ. hieroglyphoi ორი სიტყვისაგან შედგება: hieros „წმინდა“ და glyphoi „ნაწერები“ (სიტყვა-სიტყვით „ქურუმთა ნაკვეთები“). თავდაპირველად იეროგლიფები ძვ. ბერძნებმა უწოდეს ეგვიპტურ ნაწერებს, რომელიც მათთვის, რა თქმა უნდა, გაუგებარი იყო, ხოლო შემდეგში იეროგლიფები ეწოდა ჩინურ, ხეთურ და სხვ. დამწერლობებსაც.

§ 4. ანბანური დამწერლობა

ზემოთ ჩვენ, მართალია, ვთქვით, რომ ეგვიპტური დამწერლობა პიქტოგრაფიული იყო, მაგრამ ეს აზრი გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს: ეგვიპტური დამწერლობა არ ყოფილა მხოლოდ პიქტოგრაფიული, იგი ამავე დროს იდეოგრაფიულიც იყო. უფრო მეტიც, ეგვიპტურ დამწერლობაში ჩაისახა დამწერლობის ის ტიპი, რომელსაც ჩვენ დღეს ანბანურ დამწერლობას ვუწოდებთ და რომელშიც ასოები აღნიშნავენ არა იდეებს, არამედ ბგერებს.

ღროთა განმავლობაში ბევრმა ეგვიპტურმა იდეოგრამამ ცელილება განიცადა და მხოლოდ სიტყვის დასაწყისი ბგერის აღნიშვნელი გახდა. თუ ადრე იდეოგრამა, რომელიც იკითხებოდა როგორც aleph, ხარს აღნიშნავდა, ახლა უკვე a აღნიშნა, beth იდეოგრამამ – ხ აღნიშნა (ადრე სახლს ნიშნავდა), gimel „უღელი“ იდეოგრამამ – გ და ა. შ. აი, როგორ იწერებოდა ეგვიპტური დამწერლობით პტოლემეოსი და კლეოპატრა:



სანამ ამ ნიშნებს კითხულობდნენ როგორც პიქტოგრამებს ან როგორც იდეოგრამებს, ეგვიპტური დამწერლობის გაშიფვრის საქმე წინ არ მიდოდა. მხოლოდ შამპოლიონმა დაუშვა იმის შესაძლებლობა, რომ მოცემული იდეოგრამები ასოები იყვნენ. კერძოდ, მან ყურადღება მიაქცია

იმას, რომ პირველი ნიშანი □ „პტოლემეოს“ სიტყვისა მეორე სიტყვაში (კლეოპატრა) მეორდება, მაგრამ აქ მეხუთე ადგილი უკავია. ასევე ემთხვევა ერთმანეთს პირველი სიტყვის მეოთხე და მეორე სიტყვის მეორე ნიშნები, პირველი სიტყვის მესამე და მეორე სიტყვის მეოთხე ნიშანი და სხვ. შამპოლიონმა ეს იდეოგრამები წაიკითხა შესაბამისად როგორც P,I,O, ე. ი. გაშიკო ის ასოები, რომლებიც ორივე სახელშია წარმოდგენილი. ამ აღმოჩენამ შამპოლიონი დაარწმუნა, რომ პირველი სიტყვა უნდა წაკითხულ იქნას როგორც ptolmees, ხოლო მეორე როგორც kleopatra და ამ გზით მან გაარკვია რა აღნიშნავდა სხვადასხვა ნიშნის მნიშვნელობები.

ამრიგად, ანბანური დამწერლობის ჩანასახები უკვე ეგვიპტურ დამწერლობაში გამოჩნდა, მაგრამ ეგვიპტელებს ანბანური დამწერლობა მაინც არ შეუქმნიათ. ეს პატივი წილად ხვდა ფინიკელებს, რომელთაც კაცობრიობის კულტურის ისტორიაში უდიდესი აღმოჩენა გააკეთეს შექმნეს ანბანური დამწერლობა და ამით უკვდავყვეს კიდევ თავისი სახელი ისტორიაში.

ფინიკიურ დამწერლობას საფუძვლად დაედო ეგვიპტური, კერძოდ კი ის ნიშნები ეგვიპტური დამწერლობისა, რომლებიც თანხმოდებებს გამოხატავდნენ. ფინიკელებმა ამ ნიშნების საფუძველზე შექმნეს ანბანური დამწერლობა, რომელშიც 22 ასო შედიოდა. ეს ასოები მხოლოდ თანხმოდებებს აღნიშნავდნენ და ამიტომ ამ დამწერლობას კონსონანტური ეწოდება.

ფინიკიური დაედო შემდეგში საფუძვლად ძვ. ბერძულ დამწერლობას. ბერძნებმა ხმოვნებისთვისაც შემოიღეს გარკვეული ნიშნები და ამ გზით ნამდვილი ანბანური დამწერლობა შექმნეს. ბერძულ დამწერლობას ემყარება ისეთი ცნობილი დამწერლობები, როგორცაა ლათინური ქართული, სომხური, სლავური (გლაგოლიცა და კირილიცა).

ფინიკიური დამწერლობის მეორე განშტოებაა არამეული, რომელიც კონსონანტურ დამწერლობას წარმოადგენს. ეს დამწერლობა წარმოიშვა ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი ათასწლეულის დასაწყისში. არამეული დამწერლობა შემდეგში საფუძვლად დაედო სირიულ, ებრაულ, არაბულ, ფალაურ, უიგურულ და მონგოლურ დამწერლობებს. ამრიგად, ანბანური დამწერლობების საფუძველს ფინიკიური დამწერლობა ქმნის, რომლის ორი დიდი განშტოება (ბერძნული, არამეული) შემდეგში უამრავ სხვადასხვა ანბანურ დამწერლობაში გადაიზარდა.

ამრიგად, ანბანური დამწერლობა ეგვიპტური დამწერლობის მრავალგზის ტრანსფორმაციის შედეგია. სხვაგვარად წარიმართა შემერული და ჩინური დამწერლობების განვითარების ისტორია: მათ ანბანური დამწერლობა არ მოუციათ თუმცა, გარკვეული ტრანსფორმაცია მათაც

განიცადეს. ჩინური დამწერლობა საფუძვლად დაედო იაპონურ დამწერლობას, რომელიც იდეოგრაფიული და სილაბური (მარცვლოვანი) დამწერლობის ნაერთს წარმოადგენს. სილაბურ დამწერლობაში კი, როგორც ამას თვითონ სახელწოდებაც გვიჩვენებს (ბერძ. syllabe „მარცვალი“), აღინიშნება მარცვლები და არა ფონემები. სილაბური დამწერლობის საუკეთესო ნიმუშია ძველი ინდური დამწერლობა „დევანაგარის“ სახელწოდებით. დევანაგარის თითქმის ყველა ნიშანი გამოხატავს მარცვლებს ა გახმოვანებით; პა, ბა, და, ტა და ა.შ. სხვა ხმოვნიანი მარცვლების წასაკითხად იყენებდნენ დიაკრიტიკულ (ბერძ. diakritikos „განმასხვავებელი“) ნიშნებს. სილაბურ დამწერლობაში გრაფიკული ნიშნები წარმოადგენენ არა ასოებს, არამედ სილაბებებს, ე.ი. ერთი ნიშანი ერთ მარცვალს აღნიშნავს ისევე, როგორც, მაგალითად, რუსულ დამწერლობაში я, ю, ё ნიშნები.

საუკუნეების მანძილზე გარკვეულად შეიცვალა შუემრული დამწერლობაც. მას შემდეგ, რაც ბაბილონელებმა, სემიტური მოდემის ხალხმა, დაამხეს შუემრთა სახელმწიფო (ძვ.წ. შესამე ათასწლეული), მათ (ბაბილონელებმა) შუემრებისგან შეითვისეს დამწერლობა და საგრძნობლად შეცვალეს იგი. ბაბილონელთაგან დამწერლობა გაერცვლა ასურეთსა და ხეთების ქვეყანაში. უფრო გვიან ასურულ-ბაბილონელთაგან დამწერლობა მეგკვიდრობით მიიღეს სპარსელებმა. შუემრულმა დამწერლობამ, რა თქმა უნდა, საგრძნობი ტრანსფორმაცია განიცადა, მაგრამ ანბანური დამწერლობა არც მისგან წარმოქმნილა. ამ შემთხვევაშიც ჩამოყალიბდა მხოლოდ სილაბური დამწერლობა და, ამდენად, უფრო შორს შუემრული თუ ასურულ-ბაბილონური დამწერლობა არ წასულა.

§ 5. ქართული დამწერლობის წარმოშობა

რადგანაც დამწერლობის წარმოშობაზე ვლასპარაკობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ქართულ დამწერლობას. ისტორიული ცნობები ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ მეტად მწირია. XI ს-ის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი ქართული დამწერლობის წარმოშობის თარიღად ჩვენს წელთაღეივხვამდე შესამე საუკუნეს ასახელებს. „და ესე ფარანავაზ, - წერს ლ. მროველი, - იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართლოსისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“. სწორედ ეს ცნობა აქვს მხედველობაში გრ. ორბელიანს, როდესაც „სადღევრძელოში“ აღნიშნავს.

„შენ, ჰე, ფარნაოზ, ჰქმენ ერთ-მთავრობა,
შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი,
შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა
და ერთობისა წესი და ძალი!“

სხვა ამ ცნობას უტყუარ ჭეშმარიტებად მიიჩნევდა, მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში მას ეჭვის თვალით შეხედეს, თუმცა ამგვარი ეჭვისათვის რაიმე საფუძველი არც კი არსებობს. ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხი, ამ ცნობის მიხედვით უკავშირდება აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს. სახელმწიფოს შექმნა საქართველოშიც მწვავედ დააყენებდა დამწერლობის შექმნის საკითხს, როგორც ეს საერთოდ ხდებოდა ხოლმე და ამიტომ ლეონტი მროველის ცნობა, როგორც ჩანს, საეჭვო არ უნდა იყოს.

მაგრამ გასარკვევია თუ როგორი დამწერლობა შეიქმნა ფარნაოზ მეფის დროს. ეს ის დამწერლობაა, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის V საუკუნიდან დოკუმენტურად არის დადასტურებული და რომელსაც ხუცური (მრგლოვანი) ეწოდება, თუ სხვა რაღაც დამწერლობა, რომელ-საც ჩვენამდე ან არ მოუღწევია, ანდა, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ხოლმე ეს დამწერლობა არ იყო ქართული. უფრო ზუსტად, მესამე ს-ში ჩვ. წ. აღრიცხვამდე ქართველებმა დაიწყეს რაღაც სხვა დამწერლობის გამოყენება, ხოლო შედარებით გვიან, უკვე ქრისტიანობის მიღების შემდეგ, შექმნეს საკუთარი დამწერლობა.

საკუთარი დამწერლობის არქონა არც ისე საძიარხისია, როგორც ეს ზოგჯერ ჰგონიათ ხოლმე. მართალია, ჩვენში გავრცელებულია ლეგენდა, რომ საკუთარი დამწერლობა მხოლოდ თითხმეტია და მათ შორის არის ქართულიც, მაგრამ თუ თვალს გავადევნებთ დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების ისტორიას, რომელიც ზოგადად ზემოთაც იყო წარმოდგენილი, საკუთარი დამწერლობის შექმნა მხოლოდ სამმა ხალხმა, (ეგვიპტელებმა, შუმერებმა და ჩინელებმა შეძლო). ყველა სხვა დამწერლობა იქნება ის ფინიკური, ბერძნული, არამეული, ხეთური, ლათინური, არაბული, იაპონური, რუსული თუ სხვა, ამ დამწერლობათა განშტოებებია, მათი ტრანსფორმაციის გზით წარმოქმნილი გრაფიკული სისტემებია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ძველ ბერძნებსაც კი არ ჰქონათ საკუთარი დამწერლობა, მაშინ არც ქართველებს უნდა ჩაგვეთვალოს ნაკლად საკუთარი დამწერლობის არქონა. როგორც ჩანს, ფარნაოზ მეფის დროს დაიწყეს არამეული დამწერლობის გამოყენება. უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოში იყენებდნენ ბერძნულ დამწერლობასაც, რადგანაც საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ბერძნულ ნაპოვნი არამეული (გ. წერეთლის მიხედვით, არამეულის არძანული ვარიანტი) ან ბერძნული წარწერა,

მაგრამ არა გვაქვს არც ერთი წარწერა ჩვენი წელთაღრიცხვის V ს-მდე, რომელიც მრგლოვანით (ასომთაერულით) იქნებოდა შესრულებული. ამგვარი წარწერები ჩნდება მხოლოდ V საუკუნიდან. უძველესია მათ შორის ბოლნისის სიონის წარწერა, რომელიც შესრულებულია 493-494 წწ-ში. კიდევ უფრო ძველია პალესტინის წარწერები, რომლებსაც V საუკუნის 30-იანი წლებით ათარიღებენ. არიგად, ქართული დამწერლობის არსებობა V საუკუნის პირველი ნახევრიდან ფაქტია.

როგორც, ჩანს, დამწერლობა საქართველოში უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ ქრისტიანობის მიღებამდე და ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდეც კი, მაგრამ ეს დამწერლობა, თუ დამწერლობანი არ უნდა ყოფილიყო ქართული. უფრო მეტიც, ანტიკური პერიოდის ბერძენ და რომაელ ისტორიკოსთა შრომებში მოცემული ცნობების მიხედვით შეიძლება ვილაპარაკოთ კოლხური დამწერლობის შესახებაც კი.

აპოლონიოს როდოსელის მიხედვით (IV ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე), კოლხებს „შენახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კვირბები, რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელთის ყველა გზა და საზღვარი“. კოლხური „კვირბები“, ამრიგად, საინტერესოა არა მარტო დამწერლობის, არამედ კარტოგრაფიული ხელოვნების თვალსაზრისითაც. ამიტომ აღნიშნავს ცნობილი გეოგრაფი რიტერი, რომ „კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონება სრულიადაც არ ეკუთვნით ბერძნებს. მას ბევრად უფრო ადრე ხმარობდნენ კოლხეთის ვაჭრები“.

სხვა ცნობის მიხედვით, „კოლხეთში დაცული ტყავი ნამდვილად ოქროს საწმისი კი არ იყო (ეს პოეტური მონაჭორია), არამედ ტყავზე ნაწერი წიგნი, რომელიც შეიცავდა იმის აღწერას, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით“. როგორც ვხედავთ, ძველი ბერძნები და რომაელი ავტორები არაერთხელ მიუთითებენ კოლხეთში დამწერლობის არსებობაზე, მაგრამ ეს დამწერლობა ისტორიას არ შემორჩენია.

ამრიგად, დამწერლობა იბერიასა და კოლხეთში უნდა გვქონოდა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მაგრამ ქრისტიანობის შემოღების შემდეგ მაინც ახალი დამწერლობა შეიქმნა. როგორც ჩანს, ძველი დამწერლობა თუ დამწერლობანი ველარ უპასუხებდა ახალი დროის მოთხოვნებს. ქრისტიანობის შემოღება, რაც უდიდესი მნიშვნელობის აქტი იყო ქართველი ერის ისტორიაში როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული თვალსაზრისით, აუცილებელს ხდიდა ძველი და ახალი აღთქმის ქართულ ენაზე თარგმნას, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ქრისტიანობა ვერ გავრცელდებოდა. როგორც ჩანს, ამ გარემოებამ განაპირობა ახალი დამწერლობის შექმნა და ეს დამწერლობა შეიქმნა კიდევ დაახლოებით IV ს-ის ბოლოსა და V ს-ის დასაწყისში.

სომხურ ისტორიოგრაფიაში არსებობს ცნობა, რომ ქართული ანბანი

შექმნა მე-5 ს-ის ცნობილმა სომეხმა მოღვაწემ მესროპ-მამტოცმა. ცნობას გვაწვდის V ს-ის სომეხი ისტორიკოსი კორიუნი, რომლის მიხედვითაც მესროპ-მამტოცმა დაიწყო რა „ასოების შექმნა ქართული ენისათვის, წერდა, აწესრიგებდა და ამშვენებდა. თავისი საუკეთესო მოწაფეებიდან რამდენიმე იახლა და წარუდგა მეფეს, რომელსაც ბაკური ერქვა და ქვეყნის ეპიკოპოსს, სახელად მოსეს... მან თავისი ხელოვნება წარუდგინა, ურჩევდა, ამხნევებდა მათ, რის შემდეგაც ყველამ თავს იღო მისი მოთხოვნის შესრულება. იპოვეს ერთი კაცი ქართულ ენაზე მთარგმნელი, რომელსაც ჯალა ერქვა და რომელიც წიგნიერი და ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანი იყო“.

მაგრამ ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, რომ კორიუნის ცნობები ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ გვიანდელი ფალსიფიკაციაა. საქმე ისაა, რომ მე-5 ს-ის სომეხი მემატანე ლაზარ ფარაბეცი საკმაოდ ვრცლად საუბრობს მესროპ-მამტოცზე, მაგრამ არაფერს ამბობს მის მიერ ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ. ეს მით უფრო საოცარია, რომ მესროპ-მამტოცზე საუბრისას ლაზარ ფარაბეცი თავის ერთადერთ წყაროდ კორიუნს ასახელებს და ამ წყაროში რომ ლაპარაკი ყოფილიყო მესროპ-მამტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ, ეს ცნობა ლაზარ ფარაბეცთანაც აღმოჩნდებოდა. სამწუხაროდ, კორიუნის შრომის დედანი ისტორიას არ შემოუნახავს, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ მისმა გვიანდელმა ვერსიამ, რომელიც არსებითადაა შეცვლილი. ამიტომ კორიუნის ცნობა სანდო არაა. ეს ცნობა ან გვიანდელ საუკუნეებშია ჩართული, ანდა გადაკეთებულია მესროპ-მამტოცის როლის გაზვიადების მიზნით.

მესროპ-მამტოცს, როგორც ირკვევა, არც შეეძლო ქართული ანბანის შექმნა. ამასთან დაკავშირებით თ. გამყრელიძე აღნიშნავს შემდეგს: კორიუნის „ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ მესროპ-მამტოცმა თვით არ იცოდა ქართული, რაც სრულიად გამორიცხავს შესაძლებლობას მის მიერ ქართული ანბანის შექმნისას.

ახალი დამწერლობის შექმნა გულისხმობს უწინარეს ყოვლისა ენის ღრმა ლინგვისტური ანალიზის ჩატარებას.. ეს შეუძლებელს ხდის კონკრეტული ენისათვის დამწერლობის შექმნას ისეთი პირის მიერ, რომელიც ამ ენას ღრმად არ არის დაუფლებული, რომელსაც წინასწარ ამ ენის თავისებური ლინგვისტური ანალიზი არ ჩაუტარებია“.

მესროპ-მამტოცს, — განაგრძობს თ. გამყრელიძე — ვერც „ინსტრუქტორად“ ან „კონსულტანტად“ ვივარაუდებთ ძველი ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის საქმეში, რამდენადაც ძველი ქართული დამწერლობა ძველი სომხურისაგან განსხვავებულ სტრუქტურულ პრინციპებს ემყარება. ძველი ქართული დამწერლობა, როგორც ნიშანთრიგი,

ისე ნიშანთა გრაფიკული მახასიათებლები პროტოტიპი ბერძნული სისტემისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით სომხურისაგან არსებითად განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს, რაც თავისთავად გამოორიცხავს ძველი სომხური დამწერლობის შემქმნელის მონაწილეობას ქართული ანბანის შედგენაში, თუნდაც „კონსულტანტის“ როლში, რომელიც უზიარებს ახალი დამწერლობის შექმნის თავის გამოცდილებასა და ზოგად პრინციპებს“.

ამრიგადად, თ. გამყრელიძის მიხედვით, რომლის თეორიაც ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ ჩვენ ზემოთ მეტაად გამარტივებული სახით წარმოვადგინეთ, ძველი ქართული დამწერლობა, ისევე როგორც სომხური დამწერლობა, ბერძნული დამწერლობის მიხედვითაა შექმნილი V ს-ის დასაწყისში, მაგრამ ამ დამწერლობის შემქმნელი არ შეიძლება იყოს სომეხი განმანათლებელი მესროპ-მამტოცი რამდენიმე მიზეზის გამო: 1) მესროპ-მამტოცმა არ იცოდა ქართული და ამიტომ იგი ქართულ დამწერლობას ვერ შექმნიდა, 2) ქართული და სომხური ანბანები სხვადასხვა პრინციპს ემყარება, რადგანაც სხვადასხვა არის ასოთა რიგი. ამ თვალსაზრისით ქართული მისდევს იმ რიგს, რომელიც ბერძნულ დამწერლობაში გვაქვს, ხოლო სომხური ხშირად არღვევს ამ რიგს, რადგანაც ის ასოები, რომლებიც ბერძნულში არ გვქონდა, ქართულ დამწერლობაში ბოლოშია გატანილი, ხოლო სომხურში ანალოგიური ასოები ჩართულია ანბანს შიგნით, რითაც დარღვეულია ანბანის ტრადიციული რიგი. ასე, მაგალითად, ჯ-ს აღმნიშვნელი ასო, რომელიც ბერძნულს არა აქვს, ძველ ქართულ ანბანში ბოლოშია მოქცეული, ხოლო სომხურ ანბანში იგი პ ასოს შემდეგ არის მოთავსებული.

ამრიგად, მესროპ-მამტოცი არ შეიძლება იყოს ქართული ანბანის არათუ შემქმნელი, არამედ „კონსულტანტიც“ კი. მაშინ ვინ უნდა დაესახოთ ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელად? შესაძლებელია ქართული ანბანის შემქმნელი სწორედ ის ჯალა, „კაცი წიგნიერი და ჭეშმარიტად მორწმუნე“, რომელსაც სომხური ისტორიული წყარო იხსენებს, მაგრამ საბუთების უქონლობის გამო ჯალას მიჩნევა ქართული ანბანის ავტორად, მართალია, გამოორიცხული არაა, მაგრამ ეჭვიმუტანელ ჭეშმარიტებად არ შეიძლება ჩაითვალოს.

შემდეგში ქართულმა დამწერლობამ გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა და ამიტომ მის განვითარებაში სამ სხვადასხვა საფეხურს გამოყოფენ: პირველია მრგლოვანი, რომელიც მე-5 ს-დან მე-9-მდე პერიოდს მოიცავს. მეცხრე საუკუნიდან ჩნდება ნუსხური, ხოლო მე-10 ს-დან- მხედრული, რომლებიც სათანადოდ მეორე და მესამე საფეხურებს ქნიან ქართული ანბანის განვითარების ისტორიაში. დღეისათვის მოქმედი

ანბანია მხედრული. სამი საფეხურის გამოყოფა არ ნიშნავს იმას, რომ წინასაფეხური სრულ დაიწყებას მიეცა. მრგლოვანი განაგრძობდა არსებობას მეცხრე საუკუნის შემდეგაც, მაგრამ გამოიყენებოდა ძირითადად ქვებზე ან კლდეებზე წარწერებისათვის, ანდა სათაურებისათვის. ასევე განაგრძობდა არსებობას ნუსხური დამწერლობაც, მაგრამ მე-11 საუკუნიდან იგი გამოიყენებოდა უმთავრესად ეკლესიაში, ამიტომ მრგლოვანსა და ნუსხურს სხვაგვარად „ზუცურ“ დამწერლობას უწოდებენ. საერო საქმეებისათვის მე-11ს-დან იწყება მხედრულის გამოყენება, რომელსაც „მხედრული“ ეწოდება სწორედ იმიტომ, რომ დამწერლობის ეს სისტემა საერო პირობებში ანუ მხედრობაში იყო გავრცელებული.

§ 6. ანბანი

ანბანური დამწერლობა უმაღლესი საფეხურია დამწერლობის განვითარების ისტორიაში. ანბანური დამწერლობის უპირატესობა პიქტოგრაფიულ და იდეოგრაფიულ დამწერლობებთან მიმართებაში აშკარაა და ეს უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ანბანური დამწერლობით ნიშნის აღსანიშნი კი არ გამოიხატება უშუალოდ, არამედ აღმნიშვნელი ბგერები. უფრო ზუსტად, თუ პიქტოგრაფიულ და იდეოგრაფიულ დამწერლობაში მხოლოდ ენობრივი ნიშნის აღსანიშნი გამოიხატება, ანბანურ დამწერლობაში აღმნიშვნელიც გამოხატულია და აღსანიშნიც, რაც ამგვარ დამწერლობას აქცევს დამწერლობის ოპტიმალურ სისტემად. თუ, მაგალითად, ჩინელს სჭირდება დაიმახსოვროს ათასობითა და ათიათასობით გრაფიკული ნიშანი, ქართველისათვის აუცილებელია 33 ასოს დამახსოვრება, რაც, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ადვილი საქმეა. თუ ასეა, მაშინ რატომ არ გადადიან ჩინელები ანბანურ დამწერლობაზე? საქმე ისაა, რომ, თავის მხრივ, იდეოგრაფიულ დამწერლობასაც აქვს გარკვეული უპირატესობა ანბანურ დამწერლობასთან შედარებით. რადგანაც იდეოგრაფიულ დამწერლობაში გამოიხატება მხოლოდ ენობრივი ნიშნის აღსანიშნი მხარე, ამიტომ იდეოგრაფები შეიძლება წავიკითხოთ, ასე ვთქვათ, გავახმოვანოთ, ნებისმიერ ენაზე, რაც ამგვარ დამწერლობას უნივერსალურ ხასიათს ანიჭებს. ასე, მაგალითად რიცხვით სახელებს თუ ქართული ასოებით ჩაწერთ (ერთი, ორი, სამი, ოთხი და ა. შ.), მაშინ მათი წაკითხვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ქართულ ენაზე, მაგრამ თუ იმავე რიცხვით სახელებს არაბული ციფრებით ჩაწერთ (1, 2, 3, 4 და ა. შ.) მაშინ მათი წაკითხვა ნებისმიერ ენაზე იქნება შესაძლებელი. ანბანური დამწერლობა მხოლოდ ერთ წაკითხვას უშვებს, ხოლო იდეოგრაფიული დამწერლობა ამ მხრივ შეზღუდული არ არის. მთავარია ვიცოდეთ იდეოგრაფების მნიშვნელობა, მათი წაკითხვა კი ნებისმიერ ენაზე შესაძლებელი.

ჩინური მრავალი დიალექტის მქონე ენაა და ამ დიალექტებს შორის ზოგჯერ ისეთი განსხვავებაა, რომ ორ სხვადასხვა დიალექტზე მოლაპარაკე ინდივიდებს ერთმანეთისა არც კი ესმით. ასეთი დიალექტობრივი სიტყვების შემთხვევაში ჩინურენოვან ხალხს, რომელთა რაოდენობა მილიარდზე მეტია, ერთ ენობრივ კოლექტივად აერთიანებს მხოლოდ დამწერლობა. თუ იდეოგრაფიული დამწერლობა ჩინეთში შეიცვლებოდა ანბანური დამწერლობით, მაშინ ეს ერთიანობაც არ იქნებოდა, რადგანაც ერთი დამწერლობის ნაცვლად საჭირო გახდებოდა რამდენიმე სხვადასხვა ანბანური დამწერლობის შექმნა, ე. ი. რამდენიმე სხვადასხვა სალიტერატურო ენის შექმნა. ამიტომ ჩინურ დამწერლობაში არსებითი ხასიათის რეფორმის გატარება მისი ანბანური დამწერლობით შეცვლის მიზნით მეტად დიდ სიმწელებთან არის დაკავშირებული.

ანბანურ დამწერლობაში აღსანიშნ ბგერებთან მიმართების თვალსაზრისით განასხვავებენ სამ სხვადასხვა პრინციპს, პირველი ესაა ფონეტიკური პრინციპი, მეორეა მორფოლოგიური, ხოლო მესამე — ისტორიული, ანუ ტრადიციული პრინციპი. ამ პრინციპების ერთიანობა ქმნის ორთოგრაფიას (ბერძ. orthos „სწორი“, graphō „ეწერ“), რომელიც აწესრიგებს მართლწერის საკითხებს ამა თუ იმ ენაში.

ფონეტიკური პრინციპის მიხედვით სიტყვა უნდა იწერებოდეს ისევე, როგორც წარმოითქმის, ე. ი. ერთ ბგერას ერთი ასო უნდა შეესაბამებოდეს ყოველთვის. ეს პრინციპი ძირითადად ქართულ ორთოგრაფიაში, მაგრამ იგი ყოველთვის მაინც არ არის დაცული. ამ პრინციპს თუ ბოლომდე დაეცავდით, მაშინ უნდა გვეწერა ვაქეფ, ვამაყოფ, კარგათ, ამხანაგათ და ა.შ. ეს ხდება იმიტომ, რომ ძველი თანხმოვნები ქართულში ყრუვდება სიტყვის ბოლოში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ეწერთ ვაქებ, ვამაყობ, კარგად, ამხანაგად და ა.შ., რაც ეწინააღმდეგება ფონეტიკურ პრინციპს.

პრინციპი, რომელსაც ემყარება ამგვარი ორთოგრაფიული ნორმა. მორფოლოგიურია და არა ფონეტიკური. მორფოლოგიური პრინციპი ორთოგრაფიისა ემყარება სიტყვის მორფოლოგიურ სტრუქტურას და ცდილობს ერთი და იმავე მორფემის პოზიციური ალომორფები ერთი გარეგანი ფორმით გამოხატოს. ასე, მაგალითად, „ვაქებ(ფ)“ და „ქება“ ფორმების ფუძე ფონეტიკურად განსხვავებულია ერთმანეთისაგან, რადგანაც პირველ შემთხვევაში (ვაქეფ) თემის ნიშანია ფე, ხოლო მეორე შემთხვევაში (ქება) — ბ. ამრიგად ვაქებს ორი ალომორფი — ფე და ებ, მაგრამ რადგანაც ეს ორი ალომორფი ერთი მორფემაა, ამიტომ ორთოგრაფიის მორფოლოგიური პრინციპის მიხედვით ისინი ერთნაირად იწერება. გამოდის, რომ ორთოგრაფიაში ფონეტიკური და მორფოლოგიური პრინციპები თანაარსებობენ და არეგულირებენ სწორი წერის საკითხებს.

ორთოგრაფიაში ცნობილია სხვა პრინციპიც, რომელსაც ისტორიული, ანუ ტრადიციული პრინციპი ეწოდება. ამ პრინციპის მიხედვით დამწერლობაში აისახება არა თანამედროვე, არამედ წარსული მდგომარეობა. თანამედროვე მდგომარეობის მიხედვით ინგლისურში სიტყვა night „ღამე“ უნდა დაგვეწერა როგორც nile, მაგრამ ამ შემთხვევაში ისტორიული მდგომარეობა არის გათვალისწინებული. ასევე ისტორიული პრინციპია დაცული „ალბათ“ და „უნებლიეთ“ სიტყვების დაწერილობაში. ისტორიულად ორივე ამ სიტყვაში თ გვექონდა სიტყვის ბოლოში და ამიტომ შევცდომად ითვლება მის ნაცვლად დ-ს ხმარება.

ორთოგრაფიასთან დაკავშირებულია ორთოეპია (ბერძ. orthos „სწორი“, epos – მეტყველება), რადგანაც ორთოეპიის საკითხები სალიტერატურო ენაში დაისმება ხოლმე იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა წარმოთქვათ ესა თუ ის სიტყვა. ასე, მაგალითად, რუსულში тема და отель სიტყვებში ერთნაირადაა გამოხატული რბილი т' (тема) და მგარი т (отель) ამიტომ დგება საკითხი: როგორ უნდა წარმოითქვას მეორე სიტყვა - როგორც ([ОТ'ЭЛ?]) თუ როგორც [ОТЭЛ]). რუსული ორთოეპიის ნორმების მიხედვით სწორადაა მიჩნეული მეორენაირი წარმოთქმა ე. ი. отель სიტყვაში მგარი т უნდა წარმოითქმოდეს. ასევე პრობლემაა ქართულში მაგალითად, „ბუღალტერი“ სიტყვის წარმოთქმა. დამწერლობაში შეიძლება შეგვხვდეს როგორც „ბუღალტერი“, ისე „ბუხპალტერი“, რაც რა თქმა უნდა, წარმოთქმაზეც ახდენს გავლენას.

§ 4 ტრანსკრიფცია და ტრანსლიტმაცია.

ტრანსკრიფცია (ლათ transcriptio „გადაწერა“) სხვადასხვანაირია: პრაქტიკული, ფონეტიკური და ფონოლოგიური. პირველი მნიშვნელობით ტრანსკრიფცია ნიშნავს უცხოური ენის ბგერების (ჩვეულებრივ, საკუთარი, გეოგრაფიული სახელების, მეცნიერული ტერმინების) მეორე ენის ასოებით გამოხატვას. ასე, მაგალითად, საკუთარი სახელი „გივი“ რუსულად ტრანსკრიბირებული უნდა იქნეს როგორც Гиви, მაგრამ ფრანგულად Guivi, ე. ი. გ-ს შემდეგ უნდა დაემატოს u. რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში გ თანხმოვანი ფრანგულში წაიკითხება როგორც ž. რუსული გვარი Лапшин გერმანულად დაიწერება Lapschin, ფრანგულად Lapchine, იტალიურად Lapscin, ინგლისურად Lapshin, ჩეხურად Lapšin, პორტუგალიურად Lapxin და ა. შ.

ფონეტიკური ტრანსკრიფცია მიზნად ისახავს ბგერების ზუსტ გრაფიკულ გამოხატვას. ამიტომ ამგვარი ტრანსკრიფცია აუცილებელია იმ უცხოურ ენათა ლექსიკონებში, სადაც დამწერლობა და წარმოთქმა ერთმანეთისაგან ძალზე დაშორებულია. ამიტომ ინგლისურ-რუსულ ან

ინგლისურ-ქართულ ლექსიკონებში ინგლისური სიტყვები წარმოდგენილია როგორც ანბანური დამწერლობით (fatigue, invistigate და სხვ.), ისე ტრანსკრიბირებული სახითაც [fáti:g], [in'vestigeit]. ბგერების ზუსტი ტრანსკრიბირების მიზნით შექმნილია საერთაშორისო ფონეტიკური ტრანსკრიფცია, რომელიც ლათინურს ემყარება.

ფონოლოგიური ტრანსკრიფციით გადმოიცემა არა ბგერები, არამედ ფონემები. თუ ფონეტიკური ტრანსკრიფციის მიხედვით ქართულში სიტყვა „ფთესავ“ ჩაწერება როგორც flesaf, იგივე სიტყვა ფონოლოგიური ტრანსკრიფციის მიხედვით უნდა წარმოვადგინოთ როგორც vtesav და ეს იმიტომ, რომ f ქართულში v ფონემის ჰოზიციური ვარიანტია, რომელიც ფონოლოგიურ ტრანსკრიფციაში არ შეიძლება აისახებოდეს.

ტრანსკრიფციისაგან განსხვავდება ტრანსლიტერაცია (ლათ. trans ზე, ში, შემდეგ, იქით, lit(ter)a-ასო), რომელიც ერთი ანბანით ჩაწერილი სიტყვების მეორე ანბანით გამოხატვას გულისხმობს (შდრ. ქართ. თბილისი, რუს. Тбилиси, გერმ. Tbilissi და სხვ.), ანდა ქართ. მგელი, რუს. мгли, გერმ. mgeli და სხვ.).

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე
ბ რ ა მ ა ტ ი კ ა

§ 1. მორფოლოგია

§ 1.1. ფონემა და მორფემა

გრამატიკა (ბერძ. grammatikē) ენის უფრო მაღალი დონეა, ვიდრე ფონოლოგია. იგი (გრამატიკა) შედგება მორფოლოგიისა (ბერძ. morphē „ფორმა“, logos „მოდვრება“) და სინტაქსისაგან (ბერძ. syntaxis „შედგენა“). ენის ეს ორი დონე ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. უფრო ზუსტად, მორფოლოგია იმდენად არის საჭირო, რამდენადაც იგი გამოხატავს სინტაქსურ მიმართებებს. ამიტომ მორფოლოგიას სინტაქსის გარეშე არ არსებობს, სინტაქსი და მორფოლოგია ასე ვთქვათ, ერთი მედლის ორი მხარეა; მორფოლოგია წინა პირია ამ მედლისა. ზოლო სინტაქსი – უკანა პირი. მორფოლოგია წარმოადგენს ენის ისეთ დონეს, საიდანაც იწყება ენის სემიოტიკური ფუნქციონირება. მორფოლოგიის ძირითადი ერთეულია მორფემა, რომელიც ფონემისაგან განსხვავებით მნიშვნელობის მქონე ერთეულია. ფონემა, მართალია, ერთმანეთისაგან განასხვავებს მნიშვნელობებს, მაგრამ, როგორც ვნახეთ, თვითონ არა აქვს რაიმე მნიშვნელობა, ე.ი. არა აქვს სემანტიკა. აქ, ფონემები ცალ-ცალკე არაფერს არ აღნიშნავენ, მაგრამ შეერთებით ქარ მორფემა მიიღება, რომელიც გარკვეულ მეტეოროლოგიურ მოვლენას აღნიშნავს.

თუ ფონემა ისეთი ცალმხრივი ერთეულია ენისა, რომელსაც სემანტიკა არა აქვს, მორფემა, პირიქით, ორმხრივი (ორპლანდიანი) ერთეულია, რადგანაც მას აქვს როგორც გამოხატულება, ისე სემანტიკაც. ამ მხრივ მორფემა უფრო სიტყვასა და წინადადებას ჰგავს, ვიდრე ფონემას. მაგრამ სიტყვისა და წინადადებისაგან განსხვავებით, მორფემა აღარ იშლება მასზე უფრო მცირე მნიშვნელობის მქონე ერთეულებად. წინადადებებს ჩვენ ვშლით სიტყვებად, რომლებიც მნიშვნელობის მქონე ერთეულებს წარმოადგენენ. სიტყვები თავის მხრივ იშლება მინიმალურ მნიშვნელობის მქონე ერთეულებად ან მორფემებად. ასე, მაგალითად, წინადადებაში „მატარებელი გავიდა“ ჩვენ გამოვყოფთ ორ სიტყვას (მატარებელი, გავიდა), რომელთაგან თითოეული მორფემებად იშლება.

ეს მორფემებია: მა-ტარ-ებ-ელ-ი გა-ვიდ-ა. ამგვარი დაშლა სიტყვებისა განსხვავდება სიტყვების მარცვლებად დაშლისაგან. მოცემული ორი სიტყვა უფრო ბუნებრივი იქნებოდა მარცვლებად დაგვეშალა როგორც მა-ტა-რ-ე-ბე-ლი გა-ვი-და. სიტყვის მარცვლებად დაშლის დროს მნიშვნელობის მქონე ელემენტები არ გამოიყოფა ისევე, როგორც ფონემებად დაშლის შემთხვევაში, რადგანაც სემიოტიკურ ერთეულს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, ამიტომ ფონემა და მარცვლი არასემიოტიკური ერთეულებია, ხოლო მორფემა, სიტყვა და წინადადება-სემიოტიკური ერთეულები. მინიმალურ სემიოტიკურ ერთეულს ენაში, რომელიც აღარ იშლება მასზე უფრო მცირე მნიშვნელობის მქონე ერთეულებად, ეწოდება მორფემა.

როგორც ვხედავთ, მორფემა კიდევ ჰგავს ფონემასა და სიტყვას და კიდევ განსხვავდება მათგან. მორფემა ფონემას ემსგავსება იმით, რომ ორივე მინიმალური ერთეულებია ენისა, მაგრამ განსხვავდება ფონემისაგან იმით, რომ მორფემა, ისევე როგორც სიტყვა და წინადადება, სემიოტიკური ერთეულია. მაგრამ სიტყვისა და წინადადებისაგან განსხვავებით მორფემა მინიმალური სემიოტიკური ერთეულია, ე.ი. ისეთი ერთეულია, რომელიც აღარ იშლება მასზე უფრო მცირე სემიოტიკურ ერთეულებად. მორფემა შეიძლება დაიშალოს მხოლოდ არასემიოტიკურ ერთეულებად-ფონემებად, მარცვლებად ან, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ (იხ. ლექსიკოლოგია), სემანტიკურ კომპონენტებად.

§ 12. მორფემა და ალომორფი

მორფემა, ისევე როგორც ფონემა, აბსტრაქტული ერთეულია ენისა. მორფემა, როგორც აბსტრაქტული ერთეული, რეალიზდება გარკვეული ვარიანტებით, რომლებსაც მორფები ეწოდება. მორფი საბუთო ტერმინია (ბერძ. μορφή „ფორმა“), რადგანაც მორფემა ყოველთვის რამდენიმე ვარიანტით რეალიზდება, ამიტომ შემოაქვთ ალომორფის ცნება და

ამბობენ, რომ მორფემა რეალიზდება ალომორფებით. ტერმინი ალომორფი შექმნილია ტერმინ ალოფონის ანალოგიით და შედგება ბერძნული *allos* „სხვა, მეორე“ და *morphē* „ფორმა“ სიტყვებისაგან.

ალომორფი ორგვარია: ფაკულტატური (თავისუფალი, პოზიციურად შეუპირებელი) და პოზიციური. მაგალითად, ქართულში სახელის მრავლობითი რიცხვი რეალიზდება –ებ (ქალ-ებ-ი, მამ-ებ-ი, წიგნ-ებ-ი...) და –ნ (ქალ-ნ-ი, მამა-ნ-ი, წიგნ-ნ-ი) ალომორფებით. მოცემული ალომორფები, როგორც ვხედავთ, ერთსა და იმავე პოზიციაში წარმოდგენილი და ამიტომ ისინი ფაკულტატური ალომორფებია.

პოზიციური ალომორფები არასოდეს არ გვხვებიან ერთსა და იმავე პოზიციაში. რომელიმე ერთი ალომორფი წარმოდგენილია მხოლოდ ერთ გარკვეულ პოზიციაში, მეორე ალომორფი –სხვა რომელიმე პოზიციაში და ა.შ. ასე, მაგალითად, მესამე სუბიექტური პირის ნიშნები ქართულში –ს, -ა, -ო სხვადასხვა პოზიციებშია განაწილებული და იქ, სადაც, ვთქვათ, –ს გვხვდება, არ შეიძლება ვიხმართ –ა ან –ო (შდრ. აშენებს და არა *აშენებ-ა ან *აშენებ-ო, ასევე ააშენ-ა და არა *ააშენ-ს ან *ააშენ-ო და სხვ)

ერთი სიტყვით, ფაკულტატური ალომორფები ერთმანეთთან თავისუფალი ვარიირების მიმართებაშია, ხოლო პოზიციური ალომორფები დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში. ამიტომ მორფოლოგიური ანალიზის, ე.ი. სიტყვის მორფემებად დაშლის დროს ამოსავალია დისტრიბიციული პირობები. მაგრამ რადგანაც მორფემა მნიშვნელობის მქონე ერთეულია, ამიტომ მორფოლოგიური ანალიზის დროს გადამწყვეტია სემანტიკური ფაქტორი. დისტრიბუციისა და სემანტიკის გათვალისწინებით მორფოლოგიური ანალიზის წესები ასე უნდა ჩამოვაყალიბოთ.

წესი I (თავისუფალი ვარიირება). თუ ორი მორფი ერთმანეთს ჩაენაცვლება ერთსა და იმავე პოზიციაში, მაგრამ შინაარსის სტრუქტურაში მათ ერთი და იგივე წერტილი შეესატყვისება (ე.ი. ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ), მაშინ ასეთი ორი მორფი უნდა განვიხილოთ როგორც ერთი მორფემის ალომორმები.

ამ წესის მიხედვით, ქართულში ერთი მორფემის ალომორფებია უკვე განხილული –ებ და –ნ მორფები, რომლებიც სახელის მრავლობით რიცხვს გამოხატავენ. ეს მორფები ერთმანეთს ენაცვლება ერთსა და იმავე პოზიციებში, მაგრამ მათი ურთიერთჩანაცვლება არ იწვევს განსხვავებას მნიშვნელობის მიხედვით და ამიტომ ისინი ერთი მორფემის ალომორმებად უნდა განვიხილოთ. ასევე ერთი მორფემის ალომორფებია რუსულში მოქმედებითი ბრუნვის ნიშნები მდებარებითი სქესის სახელებში –ой და –ою (შდრ. ног-ой—ног-ою, рук-ой—рук-ою) ერთი მორფემის

ალოფორმებია ინგლისურში სახელთა მრავლობითი რ. ცხვის გამოხატველი -s და -n სუფიქსები. ცნობილია, რომ cow „როხა“ სიტყვისაგან ინგლისურში მრავლობითი რიცხვი ორგვარად იწარმოება cow→cow-s cow→kine [ky'n]. მეორე ფორმა არქაულია და გვხვდება მხოლოდ პოეზიაში, მაგრამ ამ შემთვევაში არსებითია ის, რომ იმავე ეს ფორმა მრავლობით რიცხვს გამოხატავს და, ამდენად, -s და n ერთი მორფემის ფაქულტატური ალომორფებია.

ერთი მორფემის ფაქულტატური ალომორფებს შორის განსხვავება სტილისტურია და არა გრამატიკული. ორი ალომორფიდან ერთი არქაულ სტილს გამოხატავს (შდრ. ქართ. მამა-ნი, რუს. pyk-ию, ინგ. kine), ხოლო მეორე თანამედროვე სტილს (შდრ. ქართ. მამ-ები, რუს. папи и мам. cow-s) გრამატიკის დონეზე ასეთი ფაქულტატური ალომორფები ერთი და იმავე მორფემის ალომორფებად განიხილებიან.

წესი II (კონტრასტული დისტრიბუცია). თუ ორი მორფი ერთმანეთს ენაცვლება ერთსა და იმავე პოზიციაში, მაგრამ მათ სხვადასხვა წერტილი შეესატყვისება შინაარსის სტრუქტურაში (ე.ი. სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ), მაშინ ისინი უნდა განვიხილოთ როგორც ორი სხვადასხვა მორფემა.

მორფოლოგიური ანალიზის მეორე წესს ემყარება, ძირითადად, სიტყვის დაშლა მორფემადად. სიტყვის დაშლა მარცვლებად შესაძლებელია სხვადასხვანაირი იყოს (შდრ. მა-სწავლებელი, მასწავლებელი, მასწავლებელი და სხვ.), მაგრამ სიტყვის მორფემად დაშლა ყოველთვის ცალსახა უნდა იყოს. ამ შემთხვევაში სწორია მხოლოდ ერთ-ერთი შესაძლებლობა და სხვა დანარჩენი გამორიცხულია. იგივე სიტყვა მორფემადად იშლება მხოლოდ როგორც მა-სწავლებელი და ყოველგვარი სხვაგვარი დაშლა ამ სიტყვისა მორფემადად არასწორია და მიუღებელი.


მორფემა ოპოზიციურ ერთეულს წარმოადგენს და რადგანაც ოპოზიცია ყოველთვის გულისხმობს მინიმუმ ორ წევრს მაინც, ამიტომ ესა თუ ის მორფემა ყოველთვის შეიძლება ჩაენაცვლოთ თავისი საოპოზიციო პარტნიორით; ანდა მის მარცხენივ და მარჯვნივ მოვახდინოთ ჩანაცვლება, ამ ოპოზიციას, სადაც ხდება მორფთა ურთიერთჩანაცვლება, ვუწოდოთ ფოკუსი) ხოლო მეზობელ მორფემებს, რომელთა წინა ან მომდევნო პოზიციაში ხდება მორფემის ჩანაცვლება, გარემოცვა. მაგ., სახელის ფუძის შემდეგი პოზიცია ქართულში (ამხანაგ-, სახლ-, წიგნ- და სხვ.) შეიძლება განვიხილოთ როგორც ფოკუსი, სადაც ერთმანეთს ენაცვლება -ი, -ს და ა.შ მორფები (შდრ. ამხანაგ-ი, ამხანაგ-ს და ა.შ.). თუ ამგვარი ურთიერთჩანაცვლების შედეგად განსხვავება მივიღეთ ენის შინაარსის სტრუქტურაში, მაშინ ურთიერთჩანაცვლებადი მორფები

ორი სხვადასხვა მორფემა აღმოჩნდება. რადგანაც მოცემულ შემთხვევაში მორფემის ურთიერთჩანაცვლება ცვლილებას იწვევს შინაარსის სტრუქტურაში (შდრ. ამხანაგი ხატავს-ამხანაგს ხატავს), ამიტომ -ი და-ს ქართული ენის ბრუნვათა სისტემაში სხვადასხვა მორფემებია.

ასევე შესაძლებელია -ი მორფემის წინა პოზიცია მივიჩნიოთ ფოკუსად და ამ პოზიციაში მოვანდინოთ გარკვეული მორფემის ურთიერთჩანაცვლება (შდრ. ამხანაგ-ი, სახლ-ი და სხვ.). ამ შემთხვევაშიც მორფთა ურთიერთჩანაცვლება ცვლილებას იწვევს შინაარსის სტრუქტურაში და ამიტომ ამხანაგ- და სახლ- სხვადასხვა მორფემებია.


როგორც ვხედავთ, ფოკუსისა და გარემოცვის ცნებები ფარდობითი ცნებებია. ის, რაც ერთ შემთხვევაში ფოკუსია, მეორე შემთხვევაში გარემოცვა შეიძლება გახდეს და პირიქით. ამიტომ ნებისმიერმა პოზიციამ შეიძლება მიიღოს როგორც ფოკუსის, ისე გარემოცვის მნიშვნელობა ამხანაგ-ი-ამხანაგ-მა-ამხანაგ-ს-ამხანაგ-ის-ამხანაგ-ით-ამხანაგ-ად. პარადიგმაში ის პოზიცია, რომელიც სახელობითი ბრუნვის ნიშანს უკავია, ფოკუსია, მაგრამ „ამხანაგ-ი - ქალ-ი - ქლაქ-ი და სხვ. პარადიგმაში იგივე პოზიცია გარემოცვას წარმოადგენს.

მორფთა ურთიერთჩანაცვლების დროს, რასაც სუბსტიტუცია (ლათ. „ვანაცვლება“) ეწოდება, უნდა მივიღოთ ან კვადრატი ანდა სამკუთხედი მაინც. სუბსტიტუცია გულისხმობს მინიმუმ ორი ელემენტის ჩანაცვლებას „ამხანაგი-ამხანაგს“ პარადიგმაში ერთმანეთს, როგორც ვნახეთ, -ი და -ს მორფები ენაცვლება, ხოლო „ამხანაგი-სახლი“ პარადიგმაში ასეთსავე ურთიერთობაშა ერთმანეთთან ამხანაგ- და სახლ- მორფები. შემაჯავებლად გარკვეული აღნიშვნები. ამხანაგ- აღნიშნით A ასოთი, სახლ- მორფი-B -თი, -ი-C, ხოლო -ს-D- თი. ურთიერთჩანაცვლებადი მორფებია A-B და C-D, ხოლო მათი ურთიერთჩანაცვლება მორფოლოგიურ კვადრატს ქმნის:




მაგრამ სიტყვის მორფებად დაშლის დროს ყოველთვის არ მიიღება კვადრატი. ზოგჯერ მორფოლოგიური ოპოზიცია არსებობს, მაგრამ ოპოზიციის ორი წევრიდან მხოლოდ ერთია გამოხატული გარკვეული ალომორფებით. ოპოზიციის იმ წევრს, რომელიც გამოხატულია გარკვეული ალომორფებით, ეწოდება მარკირებული (ფრანგ. marquer

„აღნიშვნა“) ანუ აღნიშნული, ხოლო მის პარტნიორს-არამარკირებული (აღუნიშნავი). ქართულში, მაგალითად, მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის ოპოზიციაში მარკირებულია მრავლობითი რიცხვი, მხოლოდობითი კი რაიმე მორფემით არ გამოიხატება, ე.ი. არამარკირებულია (შდრ. სახლ-ო-სახლ-ე-ი, ამხანაგ-ო-ამ-ხანაგ-უ-ბი და სხვ.). თუ მრავლობითი რიცხვის -ებ და -ნ მორფემას აღუნიშნავთ D-ასოთი, ხოლო მათ წინა პოზიციაში ურთიერთმონაცვლე მორფემებს (ამხანაგ-, სახლ-...) A და B ასოებით, მაშინ მივიღებთ სამკუთხედს, რომელშიც გვაკლია C, ე.ი. მხოლოდობითი რიცხვის აღნიშნული მორფემა:




მაგრამ მოცემული სამკუთხედი თავისუფლად შეიძლება გარდაკქნათ კვადრატად, თუ, რა თქმა უნდა, შემოვიტანთ ნულოვანი მორფემის ცნებას და ვიტყვი, რომ მხოლოდობითი რიცხვი ქართულში ნულოვანი მორფემით არის გამოხატული:



ამრიგად, სიტყვა რომ დაიშალოს მორფემებად, აუცილებელია მივიღოთ თუ კვადრატი არა, სამკუთხედი მაინც. ამგვარი დაშლის შედეგად ზოგჯერ (მეტად იშვიათად) გამოყოფილ მორფემებს შესაძლებელია ვერ დაეუძებნოთ გარკვეული მნიშვნელობა, მაგრამ თუ ასეთი სეგმენტი მანიც გამოიყოფა, იგი მაინც მორფემად უნდა მივიჩნიოთ. ასე, მაგალითად, ქართულში „დედამთილი“ და „მამამთილი“ სიტყვებში დედა- და მამა- მორფემები ურთიერთჩანაცვლებადია და მათ სხვადასხვა სემანტიკაც აქვთ. ამიტომ ეს სეგმენტები, რა თქმა უნდა, მორფემებია. მაგრამ

რჩება მთილ-სეგმენტის, რომლის სუბსტიტუცია რაიმე სხვა მორფით ქართულში არ ხდება. მიუხედავად ამისა, მთილ- მაინც უნდა გამოიყოს როგორც ცალკე მორფემა (ამგვარ მორფემებს ცარიელ მორფემებს უწოდებენ), რადგანაც მის მარცხნივ (დელამთილი, მამამთილი) და მარჯვნივ (დელამთილი, დელამთილს, დელამთილის და ა.შ.) მორფების სუბსტიტუცია დასაშვებია და, ამდენად, — მთილ-ცალკე რჩება. ამ შემთხვევაში ჩვენ ვლებულობთ სამკუთხედს, რომელიც საკმარისი პირობაა სიტყვის მორფოლოგიური ანალიზისათვის:



მაგრამ თუ სიტყვის რომელიმე სეგმენტის წინა ან მომდევნო პოზიციაში მორფების ურთიერთჩანაცვლება არ ხდება, მაშინ ასეთი სიტყვა საერთოდ დაუშლელია მორფემებად. ასე, მაგალითად, მაშინ, გუშინ, უწინ ზმნიზღებში შეიძლებოდა გამოგვეყო მაშ-, გუშ-, უწ-, - ინ სეგმენტები, მაგრამ ასეთი დაშლა მოცემული სიტყვებისა არ იქნებოდა სწორი არც დისტრიბიციული და არც სემანტიკური თვალსაზრისით. დისტრიბიციული თვალსაზრისით ასეთი დაშლა არ იქნებოდა სწორი იმიტომ, რომ — ინ სეგმენტის რაიმე სხვა სეგმენტით ჩანაცვლება საერთოდ არ ხდება. ჩვენ რომ გვეჩონოდა, მაგალითად, მაშინ, გუშინ, უწინ სიტყვების გვერდით *მაშევ, *გუშევ, * უწევ სიტყვები ქართულში, მაშინ — ინ და * ევ სეგმენტები ურთიერთჩანაცვლებადი აღმოჩნდებოდნენ, მაგრამ რადგანაც ვარსკვლავებით აღნიშნული სიტყვები არა გვაქვს, ამიტომ არც — ინ სეგმენტის სუბსტიტუციაზე შეიძლება ლაპარაკი რაიმე სხვა მორფით.

რაც შეეხება სემანტიკას, მოცემული სიტყვების დაშლა მაშ-, გუშ- უწ- და — ინ სეგმენტებად სრულიად უაზროა, რადგანაც ვერცერთ შემთხვევაში მნიშვნელობის მქონე ერთეულს ვერ ვლებულობთ, ხოლო მორფემების გამოყოფის დროს, როგორც ვიცით, მნიშვნელობის მქონე ერთეულები უნდა მივიღოთ. მაშ-, გუშ-, უწ- და — ინ სეგმენტები კი არ წარმოადგენენ მნიშვნელობის მქონე ერთეულებს ქართულში და, ამდენად, მათი გამოყოფა როგორც მორფემებისა დაუშვებელია სემანტიკური თვალსაზრისათაც. ერთი სიტყვით, მაშინ, გუშინ, უწინ სიტყვები ქართულში მორფემებად არ იშლება არც დისტრიბიციული და არც სემანტიკური თვალსაზრისით.

მიუხედავად ამისა, მოცემულ სიტყვებს ზოგჯერ მაინც ულიან მორფემებად, რაც, რა თქმა უნდა, არასწორია, რადგანაც ასეთი დაშლისათვის არ არსებობს არც დისტრიბუციული და არც სემანტიკური საფუძველი. სიტყვის დაშლა მორფემებად, ვიშორებთ, დისტრიბუციულ და სემანტიკურ კრიტერიუმებს უნდა ემყარებოდეს, ე.ი. ორი მორფი ურთიერთთანაცვლებადი უნდა იყოს და მათი ურთიერთთანაცვლება უნდა იწვევდეს ერთი მნიშვნელობის მეორე მნიშვნელობით შეცვლას. თუ ამ ორი კრიტერიუმიდან ერთ-ერთი უგულბებელყოფილია, მაშინ მორფოლოგიური ანალიზიც საეჭვო ხდება, რომ აღარაფერი ვთქვათ ორივე ამ კრიტერიუმის უგულბებელყოფის შესახებ, როდესაც მორფოლოგიური ანალიზი საერთოდ მცდარია. სამწუხაროდ, დისტრიბუციული და სემანტიკური კრიტერიუმების უარყოფა მორფოლოგიური ანალიზის დროს არც თუ იშვიათია, რასაც, რა თქმა უნდა, მცდარ დასკვნებამდე მივყავართ.

წესი III (დამატებითი დისტრიბუცია). თუ ორი მორფი არასოდეს არ ჩაენაცვლება ერთმანეთს და თანაც ისინი მსგავსია ერთმანეთისა სემანტიკურად, მაშინ ასეთი ორი მორფი უნდა განვიხილოთ როგორც ერთი მორფემის პოზიციური ალომორფები.

როგორც უკვე აღნიშნული იყო ზემოთ, მესამე სუბიექტური პირის ნიშნები ქართულში -ს, -ა, -ო ურთიერთგამომრიცხავი მორფებია, ე.ი. ერთმანეთთან დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში იმყოფებიან. გარდა ამისა, მოცემული სამი მორფი ერთმანეთის მსგავსია სემანტიკურად, რადგანაც სამივე მესამე სუბიექტურ პირს გამოხატავს. ამიტომ ეს მორფები ჩვენ უნდა განვიხილოთ როგორც ერთი მორფემის (მესამე სუბიექტური პირი მხოლოდობით რიცხვში) პოზიციური ალომორფები.

დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია ერთმანეთთან სახელთა მდედრობითი სქესის გამოძახებელი -ა და -ა მორფები რუსულში, პირველი (-ა) წარმოდგენილია მაგარი ფუძის მომდევნო პოზიციაში (вола, гора, книга...), ხოლო მეორე რბილი ფუძის მომდევნოდ (земля, дыня, воля...), გარდა ამისა, ისინი მსგავსია ერთმანეთისა სემანტიკურად, რამდენადაც ორივე სახელთა მდებრობით სქესსა და სახელობით ბრუნვას აღნიშნავს. ამიტომ მოცემული ორი მორფი რუსულში უნდა განვიხილოთ როგორც ერთი მორფემის პოზიციური ალომორფები.

მაგრამ -ა სუფიქსი რუსულში მდედრობითი სქესის ნიშნად გვაქვს ზმნაშიც (მდრ. она читала, писала და ა.შ.). შესაძლებელია თუ არა ეს სეგმენტი განვიხილოთ როგორც სახელებში მდედრობითი სქესის აღმნიშნელი მორფემის ალომორფი? ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. საქმე ისაა, რომ სახელის მდედრობითი სქესის აღმნიშვნელ ალომორფებსა და ზმნაში წარმოდგენილ -ა სუფიქსს შორის სემანტიკური

მსგავსება არა გვაქვს: ზმნაში -ა სუფიქსი აღნიშნავს მხოლოდ მდებარეობით სქესს, ხოლო სახელში, მდებარეობითი სქესის გარდა, იგი -ა სუფიქსთან ერთად აღნიშნავს სახელობით ბრუნვასაც. თუ ჩვენ -ა სუფიქსს ზმნაში გავუტოლებთ სახელში წარმოდგენილ -ა და -ა სუფიქსებს, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ -ა სუფიქსი ზმნაში სახელობით ბრუნვასაც აღნიშნავს. მაგრამ ასეთი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია და ამიტომ უნდა და-ვასკენათ, რომ ზმნაში წარმოდგენილი -ა სუფიქსი სემანტიკური თვალსაზრისით მსგავსი არ არის სახელში წარმოდგენილი a და я სუფიქსებისა და ამიტომ იგი დამოუკიდებელი მორფემაა. ამრიგად, ერთი მორფემის ალომორფებად უნდა განვიხილოთ მხოლოდ ისეთი დამატებითი დასტრიბუციის მიმართებაში მყოფი მორფები, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევა სემანტიკურად.

ზოგჯერ ძნელიც კია დავადგინოთ სემანტიკური მსგავსება მორფებს შორის. ასე, მაგალითად, ქართულში მე-ე აფიქსი აწარმოებს როგორც რიგობით რიცხვით სახელებს (ორი→მეორე, სამი→მესამე და ა.შ.), ისე პროფესიის აღმნიშვნელ სახელებსაც (ურეში→მეურმე, საათი→მესათე და ა.შ.). ერთი შეხედვით ძნელიც კია რაიმე სემანტიკური მსგავსება დაკინახოთ რიგობით რიცხვით სახელებსა და პროფესიის აღმნიშვნელ სახელებს შორის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მე-ე აფიქსი რიგობით რიცხვით სახელებში აჩვენებს გარკვეულ ადგილს, რომელიც ამ რიცხვს უკავია რიცხვით სახელთა სისტემაში, ხოლო პროფესიის აღმნიშვნელ სახელებში იმ ადგილს, რომელიც ამა თუ იმ ადამიანს უკავია სოციალურ ურთიერთობათა რთულ სისტემაში, მაშინ გასაგები გახდება, რომ მე-ე აფიქსი თითქმის ერთსა და იმავე სემანტიკას გამოხატავს რიგობით რიცხვით სახელებსა და პროფესიის აღმნიშვნელ სახელებში. ამიტომ ჩვენ მოცემულ შემთხვევაში ერთ მორფემასთან გვაქვს საქმე და მაშასადამე, სწორი არ არის ქართულ გრამატიკაში გავრცელებული აზრი, რომლის მიხედვითაც მე-ე აფიქსი რაოდენობით რიცხვით სახელებსა და პროფესიის აღმნიშვნელ სახელებში სხვადასხვა მორფემად განიხილება.

დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში მყოფი ალომორფები ორგვარია: ფონოლოგიურად შეპირობებული და მორფოლოგიურად შეპირობებული. ალომორფი ფონოლოგიურად შეპირობებულია, თუ მისი არსებობა მეზობელი ბგერების ან ბგერის გავლენით აიხსნება. მაგალითად, -ა და -я ალომორფები რუსულში ფონოლოგიურად შეპირობებულია, რადგანაც მათი არჩევა შეპირობებულია წინამავალი თანხმოვნის ან ხმოვნის ხასიათით-მაგარია ისინი თუ რბილი. თუ მაგარია, მაშინ მდებარეობითი სქესის ნიშნად გვექნება -ა (მღრ. КНИГА, ВОДА... და არა *КНИГЯ, *ВОДЯ;), მაგრამ თუ რბილია, მაშინ სათანადოდ -я გვექნება

ЗЕМЛЯ, ДЫНЯ და არა *земля, *дыня...).

ხშირად ესა თუ ის ალომორფი შეპირობებული არ არის ბგერითი გარემოცვით და ამიტომ ამგვარ ალომორფებს მორფოლოგიურად შეპირობებული ალომორფები ეწოდება. მაგალითად, ქართულში მესამე სუბიექტური პირის ნიშნები მხოლოდით რიცხვში მორფოლოგიურად შეპირობებული ალომორფებია. ჩვენ ვერ ვიტყვით იმას, რომ –ს იძლევა –ა-ს რომელიმე ბგერის მომდევნო პოზიციაში. „თლის“ და „აკერია“ ფორმებში –ს და –ა ალომორფები აბსოლიტურად ერთნაირ პოზიციაშია წარმოდგენილი და ამიტომ შეუძლებელია ვილაპარაკოთ იმაზე, რომ რომელიმე მათგანი მეორისაგან იყოს მიღებული.

დასასრულ უნდა შევჩერდეთ ერთ გარემოებაზეც. მორფების მორფემბად დაჯგუფების დროს რაიმე არსებითი მნიშვნელობა არა აქვს მათ ფონეტიკურ მსგავსებას. ორი მორფი ერთმანეთისაგან შესაძლებელია აბსოლუტურად განსხვავდებოდეს, მაგრამ ისინი ერთ მორფემაში გაერთიანდეს, თუ ამისთვის არსებობს სათანადო დისტრიბუციული (თავისუფალი ან დამატებითი დისტრიბუცია) და სემანტიკური (მსგავსება სემანტიკური თვალსაზრისით) პირობები. ასე, მაგალითად, –ა და –ს ქართულში „თლი-ს“ და „აკერია-ა“ სიტყვებში ერთ მორფემაში ერთიანდება იმიტომ, რომ ისინი დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში ერთმანეთთან და სემანტიკური თვალსაზრისით მსგავსია ერთმანეთისა. მაგრამ –ს და –ს მორფები ქართულში „ამხანაგ-ს“ და „თლი-ს“ სიტყვებში სხვადასხვა მორფემას წარმოადგენენ, მიუხედავად იმისა, რომ ფონეტიკურად ერთნაირი ერთმანეთს. გადამწყვეტია ამ შემთხვევაში სემანტიკა: „ამხანაგ-ს“ სიტყვაში –ს მორფი მიცემითი ბრუნვის ნიშანია, ხოლო „თლის“ სიტყვაში მესამე სუბიექტური პირისა და ამოტიმ რაიმე საერთო სემანტიკური მახასიათებლის დაძებნა მათ შორის არ ხერხდება და ამიტომ მოცემული ორი მორფი ორი სხვადასხვა მორფემაა.

§ 1.3. ძირი, ფუძე და ფლექსია.

ძირი აუცილებელი ელემენტია სიტყვისა. ამ თვალსაზრისით სიტყვის ძირი ხმოვანს ჰგავს: როგორც მარცვალში აუცილებელია ხმოვანი, ასევე სიტყვაში აუცილებელია ძირი. ეს გასაგებიცაა: სიტყვა ყოველთვის აღნიშნავს რაიმეს გარე სამყაროში, ე.ი. სიტყვას ყოველთვის აქვს ლექსიკური მნიშვნელობა, რომლის გამომხატველიც არის სიტყვის ძირი ამიტომ სიტყვა შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ ძირისგან. ძმა, და, ცა, მიწა, ღელე ქართულში, брат, стол, конь რუსულში, dog, cat, table ინგლისურში Stadt, Gast გერმანულში და სხვ. ისეთი სიტყვებია, რომლებიც მხოლოდ ძირებისგან შედგებიან.

მაგრამ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა ყოველთვის ძირით არ

გადმოიცემა. სიტყვაში „ცხენოსანი“ ლექსიკურ მნიშვნელობას გადმოსცემს „ცხენ“ ძირისაგან ნაწარმოები „ცხენოსანი“ სევმენტი. ლექსიკური მნიშვნელობის გამოხატველ მორფემას, რომელიც აღარ იშლება მასზე უფრო მცირე მორფემებად, ვუწოდოთ ძირი. „ცხენი“ და „ცხენოსანი“ სიტყვებში ასეთი მინიმალური ერთეული ცხენ-, რომლისგანც ნაწარმოებია „ცხენოსანი“ სიტყვა. მაგრამ „ცხენოსან“ სევმენტი ლექსიკურ მნიშვნელობას გამოხატავს ისევე, როგორც „ცხენ“ სევმენტი. მაგრამ ამ ორ სევმენტს შორის მაინც განსხვავებაა და ეს განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ პირველი (ცხენ-) ბაზისური ფორმაა, ხოლო მეორე – მისგან ნაწარმოები (დერივატი)! – ოსან დერივაციული მორფემის საშუალებით (ცხენ→ცხენ-ოსან-). ეს განსხვავება აისახება ტერმინებშიც, რამდენადაც ბაზისური ლექსიკური მორფემა ძირად განიხილება, ხოლო მისი დერივატი-ფუძედ. ამრიგად, ცხენოსან-ფორმა ფუძეა, მაგრამ იგი არ წარმოადგენს ძირს, ცხენ- ერთდროულად ძირიც არის და „ცხენი“ სიტყვის ფუძეც. ფუძე შეიძლება ემთხვეოდეს ძირს- ასეთი დამთხვევა ხდება მხოლოდ ბაზისურ ლექსიკურ მორფემებში. მაგრამ ფუძის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე ძირის ცნება, რადგანაც დერივატ ლექსიკურ მორფემებში ფუძე და ძირი ერთმანეთს არასოდეს არ ემთხვევა.

როგორც ვხედავთ, ლექსიკური მორფემა ორგვარია—ბაზისური და დერივატი. დერივატი ყოველთვის გულისხმობს სადერივაციო საშუალებებს. ამგვარი სადერივაციო საშუალებების როლში გვევლინება სწორედ დერივაციული მორფემები (ლათ. derivatio „წარმოქმნა“), რომლებიც ბაზისური ლექსიკური მორფემებისგან ახალი ლექსიკური მნიშვნელობის მქონე დერივატებს აწარმოებენ (ცხენი→ცხენოსანი, ღორი→საღორე, ფული→ფულიანი, ქართველი→საქართველო და ა.შ.)

როგორც ძირეული მორფემები, ისე მათი დერივატები დაირთავენ ფლექსიას (ლათ. flexio „მიმოხერა“) ანუ რელაციურ მორფემებს (ლათ. relatio „მიმართვა, მიმართება“), რომლებიც სიტყვებს უცვლიან არა ლექსიკურ, არამედ გრამატიკულ მნიშვნელობებს (მღრ. კაც-ი, კაც-მა, კაც-ს, კაც-ის, კაც-ით, კაც-ად, კაც-ო, ვ-ა-შენ-ებ ~ ვ-ი-შენ-ებ ~ ვ-უ-შენ-ებ, ვ-ა-შენ-ებ ~ ა-შენ-ებ ~ ა-შენ-ებ-ს და სხვ.).

დერივაციული და რელაციური მორფემები გარამტიკული მორფემებია. მართალია, დერივაციული მორფემები ახალ ლექსიკურ ერთეულებს აწარმოებენ და ამდენად, მათი ადგილი სემანტიკაში უნდა იყოს, მაგრამ რადგანაც ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოება გრამატიკული საშუალებებით (მორფემებით) ხდება, ამიტომ დერივაციული მორფემები გრამატიკაშიც განიხილება. უფრო ზუსტად, დერივაციული მორფემები, როგორც ახალი ლექსიკური ერთეულების მაწარმოებელი გრამატიკული

საშუალებანი, გრამატიკაში (მორფოლოგია) უნდა განიხილებოდეს. მაგრამ ამ გზით წარმოქმნილი ლექსიკური ერთეულები სემანტიკაში უნდა განვიხილოთ. ერთი სიტყვით დერივაციული მორფემებით ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოებას გარდამავალი საფეხური უკავია სემანტიკასა და მორფოლოგიას შორის: ვიქორებთ, თვითონ დერივაციული მორფემები მორფოლოგიაში განიხილება, ხოლო მათ მიერ წარმოქმნილი ლექსიკური ერთეულები—სემანტიკაში. ამიტომ დერივაციული მორფემები არც მთლად ლექსიკური მორფემებია და არც მთლად გრამატიკული. ლექსიკურ მორფემებს ისინი არ წარმოადგენენ იმიტომ, რომ ასეთი მორფემები თავისთავად არაფერს არ აღნიშნავენ გარე სამყაროში. ამ თვალსაზრისით დერივაციული მორფემები რელაციურ მორფემებს უტოლდებათ. მიუხედავად იმისა, დერივაციული მორფემები მაინც არ დაიყვანება რელაციურ მორფემებზე. არ დაიყვანება იმიტომ, რომ დერივაციული მორფემები, როგორც არაერთხელ იყო აღნიშნული, ახალ ლექსიკურ ერთეულებს აწარმოებენ.

ამრიგად, გამოიყოფა მორფემათა სამი ტიპი: ლექსიკური, დერივაციული და რელაციური. მოცემული სამი ტიპიდან დერივაციული და რელაციური მორფემები გრამატიკული მორფემებია, რომლებიც ძირის მიმართ გარკვეული წესის მიხედვით ლაგდებათ. სურთოდ გრამატიკულ მორფემებს ეწოდებათ აფიქსები (ლათ. affixus „მიმაგრებული“). მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ პოზიციაშია წარმოდგენილი ესა თუ ის აფიქსი, განასხვავებენ პრეფიქსებს, სუფიქსებსა და ინფიქსებს. პრეფიქსი (ლათ. prefixus „წინიდან მიმაგრებული“) ეწოდება ისეთ აფიქსს, რომელიც წინიდან (მარცხნიდან) დაკრთვის ძირს. პრეფიქსებია, მაგალითად, პირის ნიშნები ქართულში: ვ-ხატავ, მ-ხატავ, გ-ხატავ და სხვ. სუფიქსი (ლათ. suffixus „ბოლოდან მიმაგრებული“) კი ეწოდება ძირის შემდეგ (მარჯვნივ) მოთავსებულ აფიქსს თუ აფიქსებს: ხატ-ავ-ს, ქალაქ-ი, ქალაქ-ურ-ი, და სხვ. თუ აფიქსი ძირის შიგნით არის ჩართული, მაშინ მას ინფიქსს (ლათ. infixus „ჩასმული, ჩართული“) უწოდებენ. ინფიქსის მაგალითად ქართულში შეიძლება მივიჩნიოთ ვ) საწყისის ფორმებში: კლ-ვ-ა→კ-ვ-ლ-ა, კრ-ვ-ა→კ-ვ-რ-ა და სხვ. ინფიქსადვე შეიძლება მივიჩნიოთ ვ- პირველი სუბიექტური პირის ნიშანი დიალექტურ ნა-ვ-ხ-ე (ვ-ნა-ხ-ე) ფორმაში ანდა -ი ულემენტური ლათინურ vi-n-c-o „ვიმარჯვებ“ სიტყვაში, რადგანაც სათანადო სახელში victor „გამარჯვებული“ ეს -ი- არა გვაქვს. ინფიქსები უფრო რთული სახითაც გვაქვს. ასეთ ინფიქსებს ტრანსფიქსებსაც (ლათ. trans „გავლით, შორის“) უწოდებენ, რადგანაც ისინი გამსჭვალავენ მთელ ძირს თავიდან ბოლომდე. ტრანსფიქსები განსაკუთრებით გავრცელებულია არაბულში, სადაც ძირი მხოლოდ თანხმოვნებისაგან შედგება, ხმოვნებს კი

გარამტიკული ფუნქციები აქეთ დაკისრებული. მაგალითად: kti „კელა“ ძირი იმის მიხედვით, თუ როგორი გახმოვანება აქვს მას, შეიძლება აქტივიც იყოს და პასივიც. თუ აქტივია, მაშინ პერფექტში katala გვექნება (მოკლა), ხოლო თუ პასივია, მაშინ kutila (მოკვდა). ე. ი. ძირის გახმოვანება a-a ხმოვნით აქტივზე მიუთითებს, ხოლო იმავე ძირის გახმოვანება u-i ხმოვნებით—პასივზე. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს daraba „დაკეტა“ — duriba „დაიკეტა“ (ძირი drb) ან kataba „დაწერა“ — kutiba „დაიწერა“ (ძირი ktb) ფორმებშიც. ტარანსფიქსებს ზოგჯერ წვეტილ მორფემებსაც უწოდებენ.

ცალკე გამოიყოფა აფიქსის კიდევ ერთი სახე, რომელსაც ცირკუმფიქსს (ლათ. Cirkum „ირგვლივ“) უწოდებენ. ასეთი აფიქსი თითქოს სიტყვის ძირზე ირგვლივ არის შემოხვეული. ასეთი ცირკუმფიქსები საკმაოდ სოლიდურადაა წარმოდგენილი ქართულში (მდრ. ქათამი→სა-ქათმ-ე, გზა→სა-გზა-ო, ღვინო→მე-ღვინ-ე/სა-ღვინ-ე და ა. შ.)

§ 2.4. აფიქსთა მაგივრობის გამწვევი საშუალებანი

აქამდე ჩვენ განვიხილავდით ე. წ. სეგმენტურ ერთეულებს, რომლებშიც აფიქსებს ყოველთვის ბგერითი გამოხატულება აქვთ. მართალია, აფიქსების გამოხატვა სეგმენტური ერთეულებით ყველაზე უფრო გავცელებული ხერხია ენებში, მაგრამ იგი არ არის ერთადერთი. აფიქსი შეიძლება გამოიხატებოდეს არასეგმენტური ერთეულებითაც — მახვილით, სიტყვათა რიგითა და რედუქლიკაციით.

მახვილის საშუალებით გარამტიკული მორფემების გამოხატვა ცნობილი ხერხია ერთ-ერთ აფრიკულ ენაში (შილუკი) jit მაღალი ტონით აღნიშნავს „ყურს“, ხოლო დაბალი ტონით — „ყურებს“, ე. ი. მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის განსხვავება ამ ენაში დამოკიდებულია ტონური მახვილის სიმაღლეზე. მაშასადამე, ტონური მახვილი ამ შემთხვევაში იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ქართულში —ებ ან —ნ აღმორფები, რომელთა საშუალებით სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმები იწარმოება.

გარამტიკული მორფემის მაგივრობას ხშირად ასრულებს სიტყვათა რიგი წინადადებაში. თუ ამ თვალსაზრისით შევეუბრისპირებთ ერთმანეთს ლათინურსა და ინგლისურს, აღმოჩნდება, რომ სიტყვათა რიგი ინგლისურში ასრულებს იმავე ფუნქციას, რასაც ლათინურში სახელობითისა (ნომინატივი) და ბრალდებითის (აკუსატივი) გამოხატველი ბრუნვის ნიშნების დაპირისპირება. ლათინურ წინადადებაში Pater filium amat „მამას უყვარს შვილი“ სახელობითი (pater) უნიშნობითაა გამოხატული, ხოლო ბრალდებითი (filium) გადმოცემულია —m სუფიქსით (მდრ. სახ. filius). რამდენადაც სახელობითი და ბრალდებითი ერთმანეთისაგან

მორფოლოგიურად განსხვავებულია, ამდენად სიტყვათა რიგი ლათინურში თავისუფალია: Pater amat filium, filium pater amat. სხვა მდგომარეობა გვაქვს ამ თვალსაზრისით ინგლისურში, სადაც სიტყვათა რიგი ფიქსირებულია იმიტომ, რომ სახელობითი და ბრალდებითი ერთმანეთისაგან მორფოლოგიურად არ განსხვავდება: თუ სახელი ზმნის წინ დგას, მაშინ იგი სახელობითის ფუნქციას ეწვევა, მაგრამ თუ იგი მოსდევს ზმნას, მას ბრალდებითის ფუნქცია ეკისრება. ამიტომ pater filium amat წინადადების შესატყვისი წინადადება ინგლისურში იქნება The father loves the son „მამას უყვარს შვილი“, რომელშიც თუ სახელებს ადგილს შეუცვლით, წინადადებაც სათანადოდ შეიცვლის აზრს: The son loves the father „შვილს უყვარს მამა“. ამრიგად, ლათინურში Pater amat filium და Filium amat pater ერთსა და იმავე აზრს (მამას უყვარს შვილი) გამოხატავს. ინგლისურში კი The father loves the son და The son loves the father სხვადასხვა აზრს გადმოსცემს (მამას უყვარს შვილი, შვილს უყვარს მამა). ეს ხდება იმიტომ, რომ ინგლისურში სიტყვათა რიგი ასრულებს ნომინატივისა და აკუზატივის ფუნქციას: იცვლება რიგი — იცვლება ნომინატივისა და აკუზატივის მიმართულებაც. ლათინურში კი ამავე ფუნქციას სვემენტური მორფემები ასრულებენ და ამიტომ ნომინატივისა და აკუზატივის გარჩევა სიტყვათა რიგზე დამოკიდებული არაა. მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში მთავარია ის, რომ სიტყვათა ფიქსირებული რიგი აფიქსების მაგივრობას ეწვევა, რაც მხოლოდ ინგლისურისთვის არ არის დამახასიათებელი. იშვიათად ეს მოვლენა დასტურდება რუსულშიც (შღრ. Мать любит дочь „დედას უყვარს ქალიშვილი“ და „Мать любит мать. „ქალიშვილს უყვარს დედა“) და ძვ. ქართულშიც კი (შღრ. „აბრაამ შვა ისააკ“ ტიპის წინადადებები).

ასევე გავრცელებული ხერხია გრამატიკული ოპოზიციების დასამყარებლად ძირის სრული ან ნაწილობრივი განმეორება (რედუპლიკაცია ლათ. reduplicatio „გაორმაგება, გაორკეცება“). მალაიურში orang აღნიშნავს „კაცს“, ხოლო orang-orang „ხალხს“. შუმერულში kur აღნიშნავს „ქვეყანას“, kur-kur კი — ქვეყნებს. როგორც ეხედავთ, ძირის რედუპლიკაცია ხსენებულ ენებში იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც (ებ) ან —ნ სუფიქსები ქართულში. ძირის ნაწილობრივ რედუპლიკაციას გრამატიკული ფუნქცია აქვს ლათინურსა, ძველ ბერძნულსა და სანსკრიტშიც. ზოგჯერ რედუპლიკაციის გზით ამ ენებში აწყობსაგან პერფექტი იწარმოება: ლათ. tango „ეხებები“—tetigi „შეეხე“, cado „ვეცემი“—cecidī „დავეცი“, ბერძნ. leipo „ვტოვებ“—leloipa „დავტოვე“, სანსკ. kar „კეთება“—(cākara←kākara) „მან გააკეთა“.

დასასრულ უნდა შევხვით ე. წ. სუპლემენტივზმსაც (ლათ. suppleo, suppletum „შევსება, დამატება“). ახალი გრამატიკული ფორმის საწარ-

მოებლად ყოველთვის არ გამოიყენება ახალი მორფემა. ამ მიზნით შესაძლებელია ახალი ძირი იქნეს გამოყენებული. ერთი სიტყვის ფორმები, რომლებიც სხვადასხვა ძირისაგან არიან ნაწარმოები, თითქოს ავსებენ ერთმანეთს, ქმნიან რა ერთ მორფემას. მაგალითად, მრავლობითი რიცხვი „კაცი“ სიტყვისა „კაცი-ხალხი“ წყვილში ნაწარმოებია არა —ებ ან —ს სუფიქსით, არამედ ახალი ძირით. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს რუსულშიც (შდრ. человек-люди). სუპლეტურად არის ნაწარმოები ქართულში „ყოფნა“ ზმნის ფორმებიც (არის-იყო-იქნება). ასევე სუპლეტური წარმოება ახასიათებს ამ ზმნას რუსულში (შდრ. есть-был-будет), გერმანულში (შდრ. sein: bin~war~gewesen) და სხვ. სუპლეტური წარმოება განსაკუთრებით დამახასიათებელია პირის ნაცვალსახელებისათვის (შდრ. სახ. იგი, მოთხრ. მან, მიც. მას და სხვ., რუსულში я-меня, ლათ. ego~mei და სხვ.).

§ 2.5. მეტყველების ნაწილები

თეორია მეტყველების ნაწილების შესახებ შეიქმნა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში. სისტემის სახით ეს თეორია მოცემულია უკვე ალექსანდრიის სკოლის წარმომადგენლებთან ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ს-ში. მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციამ შემდეგში განიცადა გარკვეული ცვლილებები, რადგანაც ზოგი მეტყველების ნაწილი ზედმეტად იქნა მიჩნეული, ზოგიც დაემატა და კლასიფიკაციამაც ასეთი სახე მიიღო დღეისათვის

- | | |
|----------------------|--------------------------|
| 1. არსებითი სახელი | 6. ზმნიზედა |
| 2. ზედსართავი სახელი | 7. თანდებული (წინდებული) |
| 3. რიცხვითი სახელი | 8. კავშირი |
| 4. ნაცვალსახელი | 9. ნაწილაკი |
| 5. ზმნა | 10. შორისდებული |

მოცემულ კლასიფიკაციას თუ განვიხილავთ სემიოტიკური თვალსაზრისით, აღმოჩნდება, რომ მასში გაერთიანებულია სრულიად სხვადასხვა დონისა და სტრუქტურის მქონე ელემენტები. დავიწყეთ იქიდან, რომ შორისდებულების შეტანა მეტყველების ნაწილთა სისტემაში უსაფუძვლოა. საქმე ისაა, რომ შორისდებული, როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული, არ წარმოადგენს ნიშანს, იგი ოპერატორია და არა ნიშანი. შორისდებული მოკლებულია სახელდების (ნომინაცია) უნარს, ე. ი. შორისდებული არ აღნიშნავს. იგი, ასე ვთქვათ, ისეთივე ბგერითი სიგნალია, როგორიცაა ცხოველის ბგერითი სიგნალები, რომლებიც გამოხატავენ, ვთქვათ, მხოლოდ ტკივილს ან სიზარულს, მაგრამ არა იმას, თუ კონკრეტულად რა სტკივა ან რა უხარია ცხოველს.

ამრიგად, შორისდებული არ წარმოადგენს ნიშანს. იგი, ასე ვთქვათ, რუდიმენტია ცხოველის ენისა ადამიანის მეტყველებაში, თავისებური რელიქტია და ამიტომ მეტყველების ნაწილებში მისი გავრთიანება არ არის სწორი. მეტყველების ნაწილები ნიშნებია და არა ოპერატორები. რამდენადაც ამ პირობას აქმაყოფილებს ყველა ცხრა დარჩენილი მეტყველების ნაწილი, ამდენად შეუძლებელია ერთ საკლასიფიკაციო სისტემაში მოვაქციოთ როგორც ნიშნები, ისე ოპერატორები. შორისდებულები მეტყველების ნაწილი კი არაა, არამედ თავისებური ენაა, რომელიც ადამიანს ცხოველთან ახლოვებს და ამიტომ ამ ენას სხვაგვარი კვლევა სჭირდება.

რაც შეეხება დარჩენილ ცხრა მეტყველების ნაწილს, აქაც არა გვაქვს გარკვეული ერთგვაროვნობა (ჰომოგენურობა). ერთგვაროვნობა არა გვაქვს იმიტომ, რომ ერთი მხრივ, არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა და ზმნიზედა, ხოლო მეორე მხრივ, თანდებული (წინდებული), კავშირი და ნაწილაკი სემანტიკური თვალსაზრისით ჰეტეროგენული (სხვადასხვაგვაროვანი) ელემენტებია. თანდებული ან წინდებული, კავშირი და ნაწილაკი გრამატიკული ელემენტებია, დამხმარე სიტყვებია. ხოლო პირველი – ექვსი მეტყველების ნაწილი წარმოადგენს არა გრამატიკულ, არამედ სრულმნიშვნელიან სიტყვებს. ამიტომ თანდებული (წინდებული), კავშირი და ნაწილაკი უნდა განიხილებოდეს როგორც გრამატიკული კატეგორიები. თანდებულები ან წინდებულები, როგორც წესი, ლოკალურ ბრუნვებს აწარმოებენ და ამიტომ ისინი ბრუნვის კატეგორიაში უნდა განვიხილოთ, კავშირები ცალკე გრამატიკულ კატეგორიას ქმნიან, რადგანაც წინადადებების ან წინადადებაში სიტყვების დასაკავშირებლად გამოიყენებიან. ნაწილაკები სხვადასხვა სტილისტურ ელფერს აძლევენ სიტყვებს და ამიტომ ისინი სტილისტიკაში უნდა განიხილებოდეს.

ჩრება, მაშასადამე, ექვსი მეტყველების ნაწილი: 1) არსებითი სახელი, 2) ზედსართავი სახელი, 3) რიცხვითი სახელი, 4) ნაცვალსახელი, 5) ზმნა, 6) ზმნიზედა. მაგრამ უნივერსალური არც ეს სქემაა. ზოგ ენაში, მაგალითად, ჩინურში ცალკე არ გამოიყოფა ზედსართავი სახელი. რა თქმა უნდა, საგნის თვისებები გამოიხატება ჩინურშიც, მაგრამ არა სპეციალური მეტყველების ნაწილის (ზედსართავი), არამედ ზმნის საშუალებით. ეს იგივეა, მაგალითად, რომ ჩვენ ქართულში „წითელი ვაშლი“ ან „კარგი ამხანაგი“ ფრაზების ნაცვლად გვქონდეს „ვაშლი წითლობს“ ან „ამხანაგი კარგობს“.

კიდევ უფრო შორს მიდის ამ თვალსაზრისით იანა ენა (ამერიკელ ინდიელთა ენა კალიფორნიის შტატში, აშშ), სადაც რიცხვითი სახელიც კი ზმნით გამოიხატება („კაცი ათობს“, „კაცი მეორეობს“). ამვე

ენაში ცალკე არ გამოიყოფა ზმნიზედების კლასიც. ზმნიზედა იანა ენაში ან სახელით გამოიხატება (შდრ. ქართ. „ძირს დავხედე“, „ქალაქს წავიდა...“), ან ზმნური აფიქსებით.

უნივერსალური გავრცელებით მეტყველების ნაწილებიდან ხასიათდება მხოლოდ ზმნა, არსებითი სახელი და ნაცვალსახელი. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ჩვენ გვექონდეს ისეთი ენები, რომლებიც ვერ გამოხატავენ საგანთა თვისებებსა და რიცხვს. თვითონ საგნების, მათი თვისებებისა და რიცხვის, ასევე საგანთა მოქმედებისა და მდგომარეობის გამოხატვა და ამ პირობების გადმოცემა, რომლებშიც ხორციელდება მოქმედება თუ მდგომარეობა, აუცილებელია ყველა ენისათვის, მაგრამ სხვადასხვა ენა სხვადასხვაგვარად გამოხატავს მათ. ამიტომ მეტყველების ნაწილებიც ასე თუ ისე იცვლება ენების მიხედვით, თუმცა არც ისე არსებითად, რომ შესაძლებელი იყოს ისეთი ორი ენის დაძებნა, რომლებშიც მეტყველების ნაწილები აბსოლუტურად არ დაემთხვევიან ერთმანეთს. ამ თვალსაზრისით ენებს შორის დასაშვებია გარკვეული განსხვავება, მაგრამ არა სრული განუკითხაობა.

მეტყველების ნაწილების განხილვისას აუცილებელია დაზუსტდეს ერთი საკითხი-გამოხატავს თუ არა ყველა მეტყველების ნაწილი ცნებას. ამის საკითხის დაზუსტება აუცილებელია იმიტომ, რომ ზოგჯერ ნაცვალსახელები არ მიაჩნიათ ცნებების გამომხატველ ლექსიკურ ერთეულებად. „მე“-ესაა მხოლოდ მითითება მოლაპარაკებზე, „შენ“-მსმენელზე, „ის“-ისეთ პირზე, რომელიც კომუნიკაციის აქტში არ მონაწილეობს. ვინ არის „მე“-კაცი, ქალი, მუშა, გლეხი, ინჟინერი, მეცნიერი, არტისტი თუ სხვა ვინმე, უცნობია. ამის გაგება შეიძლება მხოლოდ სიტუაციის მიხედვით. ამიტომ ნაცვალსახელები, როგორც წესი, სიტუაციური სიტყვებია.

მაგრამ ეს თვალსაზრისი არ არის სწორი. არ არის სწორი იმიტომ, რომ ცნების საკითხი, ამ თვალსაზრისის მიხედვით, დაიყვანება მხოლოდ საგნობრივ მნიშვნელობაზე. საგნობრივი მნიშვნელობა აქვს, ვთქვათ, არსებით სახელს (კაცი, ქალი, მუშა და ა.შ.), მაგრამ არა აქვს ნაცვალსახელს, რაც თითქოს ამტკიცებს იმას, რომ ნაცვალსახელები ცნებებს არ გამოხატავენ. განსხვავება სხვა სახელებსა და ნაცვალსახელებს შორის, მართალია, სწორადაა დანახული, მაგრამ მცდარია ამ ფაქტის კვალიფიკაცია. ცნება ყოველთვის არ უდრის საგნობრივ მნიშვნელობას. ისეთი გრამატიკული ცნებები, როგორცაა „სუბიექტი“, „ობიექტი“, „ატრიბუტი“, „პრედიკატი“ და სხვ., როგორც აბსტრაქტული ცნებები, საგნობრივ მნიშვნელობას არ გადმოსცემენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არავის არ უმტკიცებია, რომ ისინი ცნებებს არ გამოხატავენ. ამიტომ ის გარემოება, რომ ნაცვალსახელებს საგნობრივი მნიშვნელობა

არა აქვთ, ვერ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ ნაცვალსახელები ცნებებს არ გამოხატავენ.

მართლაც, ნაცვალსახელები, როგორი აბსტრაქტულნიც არ უნდა იყვნენ ისინი, ცნებების გამოხატველი ელემენტებია და არა უბრალო შანვლები, ვთქვათ, პირველი, მეორე და მესამე პირისა. თავისთავად პირველი, მეორე და მესამე პირი ცნებებია: პირველი ცნება გულისხმობს კომუნიკაციის აქტში მონაწილე ადამიანურ არსებას. ასევე კომუნიკაციის აქტში მონაწილე ადამიანური არსებაა მეორე პირიც. მაგრამ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი პირი მოსაუბრეა, ხოლო მეორე-მსმენელი. ამრიგად, პირველი პირი დახასიათდება როგორც ადამიანი, კომუნიკაციის აქტში მონაწილე და მოსაუბრე, ხოლო მეორე პირი- როგორც ადამიანი, კომუნიკაციის აქტში მონაწილე და მსმენელი. მათგან განსხვავებით მესამე პირი ადამიანს შეიძლება იყოს, ცხოველიც და უსულო საგანიც, იგი ასევე არ მონაწილეობს კომუნიკაციის აქტში და, ამდენად, არც მოსაუბრეა და არც მსმენელი. ერთი სიტყვით, ნაცვალსახელებიც ცნებებს გამოხატავენ, მაგრამ არა საგნობრივ, არამედ აბსტრაქტულ ცნებებს და, ამრიგად, პირის ნაცვალსახელები უბრალოდ კი არ მიუთითებენ გარკვეულ თვისებების მქონე პირებს. ამიტომ პირისა და სხვა ნაცვალსახელებიც ცნებების გამოხატველია და, ამდენად, ნაცვალსახელები გამოხატავენ არ წარმოადგენენ სხვა მეტყველების ნაწილებისაგან.

§ 2. სინტაქსი

§2.1. წინადადება და წინადადების წევრები

სინტაქსის (ბერძ. syntaxis „განლაგება“) ობიექტია წინადადება, რომლებშიც იგი გამოყოფს გარკვეულ წევრებს. წინადადების წევრები გამოიყოფა კითხვების დასმის საშუალებით, რაც კარგად არის ცნობილი სასკოლო გრამატიკიდან. ამ მეთოდს ჯერ კიდევ ძველ ბერძნულ გრამატიკებში ჩაეყარა საფუძველი. განსხვავდება ხუთი წევრი: ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება, განსაზღვრება და გარემოება. დამატება შეიძლება იყოს პირდაპირი, ირიბი და უბრალო, ხოლო გარემოება – ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზნისა და მიზეზისა. წინადადების მთავარ წევრებად მიჩნეულია ქვემდებარე და შემასმენელი, ხოლო მეორეხარისხოვან წევრებად-დამატება, განსაზღვრება და გარემოება.

წევრები ქმნიან წინადადებაში გარკვეულ სინტაქსურ წყვილებს. წინადადებაში გაკეცს იმდენი წყვილი, რამდენი წევრიცაა მასში, ერთის გამოკლებით. თუ წევრების რაოდენობა არის n , მაშინ წყვილების რაოდენობა $n-1$ იქნება. ასე, მაგალითად, წინადადებაში „არწივი ნელ-ნელა დაბლა იწვედა“ ოთხი წევრი და სამი წყვილი გაკეცს: 1)

არწივი იწვევდა, 2) ნელ-ნელა იწვევდა, 3) დაბლა იწვევდა. წყვილებს არ წარმოადგენენ „არწივი ნელ-ნელა ან არწივი დაბლა, რადგანაც მათი შემადგენელი წევრები ერთმანეთს აზრობრივად არ უკავშირდებიან.

წყვილების შემადგენელ წევრებს შორის სინტაქსური კავშირის სამი სახე მყარდება. ესენია: შეთანხმება, მართვა და მირთვა. შეთანხმების დროს წყვილში შემაჯავლი ორი წევრიდან ერთი ლებულობს იმავე ფორმას, რაც მეორეს აქვს. წინადადებაში „ბავშვები მღერიან“ ქვემდებარესა და შემასმენელს შორის შეთანხმება გვაქვს რიცხვში (ორივე მხარე მრავლობით რიცხვშია). უფორ ზუსტად ქვემდებარე მრავლობით რიცხვშია და ამიტომ შემასმენლისაგანაც იგი მრავლობით რიცხვს მოითხოვს. ამიტომ „ბავშვები მღერის“ ან „ბავშვი მღერიან“ წინადადებები ქართულში გრამატიკულად არასწორია. თუ ქვემდებარე მხოლოდობით რიცხვში იქნება, მაშინ შემასმენელიც ამავე რიცხვში უნდა იყოს წარმოდგენილი (მღრ. ბავშვი მღერის).

მ ა რ თ ვ ა ეწოდება ისეთ სინტაქსურ კავშირს ერთი წყვილის შემადგენელ წევრებს შორის, როდესაც ერთი წევრი მოითხოვს მეორისაგან ისეთ ფორმას, რომელიც პირველს ან არა აქვს, ანდა საერთოდ არ შეიძლება ჰქონდეს. იმავე წინადადებაში „ბავშვები მღერიან“ შემასმენელი ქვემდებარისგან მოითხოვს გარკვეულ ბრუნვას, კერძოდ, სახელობით, რომელიც თვითონ შემასმენელს არ შეიძლება ჰქონდეს. ამიტომ „ბავშვებმა მღერიან“ ან „ბავშვებს მღერიან“ ქართულში გრამატიკულად არასწორი წინადადებებია.

მ ი რ თ ვ ა ეწოდება წევრების ისეთ შინაარსობრივ დაკავშირებას, როდესაც ეს კავშირი გრამატიკულად არ არის გამოხატული, ე. ი. არც შეთანხმება გვაქვს და არც მართვა. წინადადებაში „ოქროპირი, გვიან დაბრუნდა“ ორი წყვილი გვაქვს—„ოქროპირი დაბრუნდა“ და „გვიან დაბრუნდა“. როგორც ვხედავთ შემასმენელი „დაბრუნდა“ სინტაქსურ კავშირს ქმნის დროის გარემოებასთან „გვიან“, მაგრამ ეს კავშირი არც შეთანხმებით გამოიხატება და არც მართვით. არ გამოიხატება იმიტომ, რომ „გვიან“ სიტყვა ფორმაუცვლელია. ამიტომ შემასმენელს იგი მხოლოდ ერთი ფორმით ეწყობა.

როგორც უკვე ითქვა, სინტაქსის ობიექტი წინადადებაა, მაგრამ წინადადების დეფინიცია რთული აღმოჩნდა. სასკოლო გრამატიკაში მოცემული წინადადების განსაზღვრა, როგორც დასრულებილი აზრის გამოხატველი სიტყვისა ან სიტყვათა ჯგუფისა, სწორი არ არის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენ არ ვიცით, თუ რა არის დასრულებული აზრი, რომ მისი საშუალებით წინადადება განესაზღვროთ. ჯონ რისის (John Ries) წიგნში „Was ist ein Satz“ (რა არის წინადადება) წინადადების ასორმოცდათი სახეადასხვა განსაზღვრაა განხილული,

მაგრამ ყველა მათგანი რაღაც თვალსაზრისით ნაკლოვანია. თანაც ეს რიცხვიც (150) არ არის სრული, რადგანაც ჯონ რისის წიგნის გამოსვლის შემდეგ წინადადების ბევრი ახალი განსაზღვრა გამოჩნდა. მიუხედავად ამისა, პრაქტიკულად ჩვენ აღვიღად გამოვიყოფთ წინადადებებს ტექსტში, ე. ი. ვარკვეთ იმას, თუ სად მთავრდება ერთი წინადადება და სად იწყება მეორე. ამიტომ წინადადება საესეებით რეალური ერთეულია ენისა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი ხდება ენობრივი ანალიზის ჩატარება.

წინადადებათა კლასიფიკაცია ხდება მოდულობისა და აგებულების მიხედვით. მოდულობის მიხედვით განსხვავდება თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი და ძახილის წინადადება, ხოლო აგებულების მიხედვით – მარტივი, შერწყმული და რთული (რთული თანწყობილი და რთული ქვეწყობილი) წინადადება. მარტივია წინადადება თუ იგი არც შერწყმულია და არც რთული. ამიტომ მარტივ წინადადებას განსაზღვრა არ სჭირდება. თუ წინადადებაში რამდენიმე (ორი ან მეტი) ერთნაირი წევრია, მაშინ ასეთი წინადადება შერწყმულია. წინადადებაში „ქელი, კაცი, გოგო, ბიჭი ეხილება ზამთრის სარჩოს“ ოთხი ქვემდებარე გვაქვს ერთ შემასმენელთან და ამიტომ იგი შერწყმულია. რთულია წინადადება, თუ იგი ორ ან მეტ მარტივ ან შერწყმულ წინადადებას შეიცავს. წინადადებათა დაკავშირების ხასიათი რთულ წინადადებაში ორგვარია; თუ რთული წინადადების შემადგენელი წინადადებები სინტაქსური თვალსაზრისით თანასწორუფლებიანია, ე. ი. თუ ისინი დამოუკიდებლად ხმარების შემთხვევაშიც წინადადებებს წარმოადგენენ, მაშინ ასეთ დაკავშირებას თანწყობა (ბერძ. parataxis) ეწოდება. მაგალითად, წინადადებაში „გამხიარულებული ბუნარი გუგუნებდა და კოპიტის შემას ტკაცვა-ტკუცი გაჰქონდა“ თანწყობა გვაქვს. ეს ირკვევა იმით, რომ მოცემული რთული წინადადების შემადგენელი მარტივი წინადადებები დამოუკიდებლად ხმარების შემთხვევაშიც გრამატიკულად სწორ წინადადებებს წარმოადგენენ (მღრ. 1) გამხიარულებული ბუნარი გუგუნებდა 2) კოპიტის შესას ტკაცვა-ტკუცი გაჰქონდა) მაგრამ თუ რთულ წინადადებაში ერთი წინადადება მეორეზე დამოკიდებული ე. ი. დამოუკიდებლად ხმარების შემთხვევაში გრამატიკულად არასწორია, მაშინ საქმე გვაქვს ქვეწყობასთან (ბერძ. hypotaxis). მაგალითად, წინადადებაში „ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია“ ორი მარტივი წინადადება გვაქვს, რომელთაგან მეორე (იგი თავისა მტერია) დამოუკიდებლად ხმარების დროს გრამატიკულად სწორი წინადადებაა, ხოლო პირველი (ვინც მოყვარესა არ ეძებს), ცალკე თუ ვინმართ, გრამატიკულად არასწორია. ამრიგად, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შემაველი წინადადებები არასწორუფლებიანია, რადგანაც ერთი მთავარია,

ხოლო მეორე-მასზე დამოკიდებული. რთულ თანწყობილ წინადადებებში თანასწორუფლებიანი სიდიდეების დაკავშირებასთან ანუ კოორდინაციასთან გვაქვს საქმე, ხოლო რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დაქვემდებარებასთან ანუ სუბორდინაციასთან.

§ 2.2 აქტანტები

აქტანტებს წარმოადგენენ სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი და ირიბი ობიექტი (სუბიექტია წინადადების ის წევრი, რომლის შესახებაც რაღაც მტკიცდება, რომელიც რაღაც მოქმედებას ასრულებს, ხოლო ობიექტია ის წევრი, რომელზეც ან რომლისთვისაც ხდება მოქმედება). აქტანტების რაოდენობის მიხედვით ჩვენ შეიძლება გავზომოთ ზმნის ვალენტობა. ვალენტობა არის ზმნის უნარი, შეიწყოს აქტანტების გარკვეული რაოდენობა. ამ თვალსაზრისით ზმნა შეიძლება იყოს ავალენტური, ე.ი. არ შეიწყობდეს რაიმე აქტანტას. ასეთი ავალენტური ზმნებია ენებში მეტეოროლოგიული მოვლენების აღმნიშვნელი ზმნები: თოვს, წვიმს რუს. *сбегает* „თენდება“, *морочит* „ჟინულავს“, გერმ. *es regnet* „წვიმს“ და სხვ. თუ ზმნა ერთ აქტანტას შეიწყობს, მაშინ ის ერთვალენტია. ასეთი ზმნებია ქართულში, მაგალითად, თბება, დგება, გალობს, სადილობს, ზის და სხვ. თუ ორ აქტანტას შეიწყობს ზმნა, იგი სათანადოდ ორვალენტია იქნება (წერს, ხატავს, კითხულობს, ემალება, უთეთრდება და სხვ.) ხოლო თუ სამ აქტანტას შეიწყობს – სამვალენტია (უწერს, უხატავს, აწერინებს, ახატვინებს და სხვ.). სამზე მეტ ვალენტია ზმნა აღარ გვექნება, რადგანაც აქტანტა მხოლოდ სამია: სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი, ირიბი ობიექტი. ზოგჯერ თითქოს ოთხვალენტია ზმნებიც გვაქვს, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზიაა. ასე, მაგალითად, წინადადებაში „ქალს ნუ მიმაცემინებ თეიმურაზსა“ თითქოს ოთხი აქტანტა გვაქვს „ნუ მიმაცემინებ შენ მე ქალს თეიმურაზსა“ მაგრამ მოცემული ოთხი აქტანტიდან ორი (მე, თეიმურაზსა) ერთნაირად რადგანაც ორივე ირიბი ობიექტია. გარდა ამისა, ასეთი შემთხვევები მეტად იშვიათია. როგორც წესი, ქართულში ზმნა ოთხ აქტანტას არ შეიწყობს, რომ აღარაფერი ვთქვათ ხუთ ან მეტ აქტანტაზე.

აქტანტები განიხილება პრიმარულ (საწყის) და ფინალურ დონეებზე. პრიმარულ და ფინალურ აქტანტებს შორის ყოველთვის არ დასტურდება ურთიერთცალსახა შესატყვიობა. წინადადებაში „ოსტატი სახლს აშენებს“ სიტყვა „ოსტატი“ ერთდროულად არის პრიმარული და ფინალური სუბიექტი, ხოლო „სახლს“ სიტყვა – პრიმარული და ფინალური ობიექტი. მაგრამ ამ წინადადების საპირისპირო პასიურ წინადადებაში „სახლი შენდება ოსტატის მიერ“ სიტყვა „სახლი“ ფინალური სუბიექტია, მაგრამ იგი არ წარმოადგენს პრიმარულ სუბიექტს. როგორც პრიმარული

აქტანტა, იგი პირდაპირი ობიექტია, რადგანაც იგულისხმება, რომ სახლს ვიღაც აშენებს. „ოსტატის მიერ“ თანდებულაანი სიტყვა ფინალური უბრალო ობიექტია, მაგრამ პრიმალური აქტანტების დონეზე იგი სუბიექტს წარმოადგენს, რამდენადაც წინადადებაში „სახლი შენდება ოსტატის მიერ“ უბრალო ობიექტი (ოსტატის მიერ) მშენებლის როლში გამოდის. როგორც ვხედავთ პრიმარული და ფინალური აქტანტები ერთმანეთს არ ემთხვევიან ყოველთვის და ამიტომ მათი განსხვავება აუცილებელია.

სუბიექტის, პირდაპირი ობიექტისა და ირიბი ობიექტის ცნებები აბსტრაქტული, სინტაქსური ცნებებია. სემანტიკური თვალსაზრისით სხვადასხვა პოზიციაში ეს ცნებები სხვადასხვაგვარი იქნება. ქვემოთ მოცემულ ორ წინადადებაში სუბიექტი სხვადასხვაა თუმცა ეს განსხვავება ერთი შეხედვით არ ჩანს:

- 1) ბავშვმა ფანჯარა ჩაამტერია
- 2) ქვამ ფანჯარა ჩაამტერია.

პირველ წინადადებაში სუბიექტი (ბავშვმა) აგენსია, მოქმედია, ხოლო მეორე წინადადებაში იგი ინსტრუმენტია, რაც მტკიცდება იმით, რომ „ბავშვმა ფანჯარა ქვით ჩაამტერია“ წინადადება ქართულში აღარ არის გრამატიკულად სწორი. აღარ არის იმიტომ, რომ „ბავშვმა“ სიტყვა აგენსია და იგი ამიტომ ინსტრუმენტად არ გადაკეთდება, ხოლო „ქვამ“ სიტყვა ისედაც ინსტრუმენტია და ამიტომ ნამდვილ ინსტრუმენტად (ქვით) გადაკეთება ადვილია. ამრიგად, ჩვენ შეიძლება დავასკენათ, რომ სუბიექტი შეიძლება აგენსიც იყოს და ინსტრუმენტიც.

ჩვენ შეიძლება გვქონდეს სხვა სახის სუბიექტიც. წინადადებებში „თბილისი დიდი ქალაქია“ და „ვანო დიდი ბიჭია“ ორი სხვადასხვა სუბიექტი გვაქვს. პირველი (თბილისი) ლოკატივია, ადგილის აღმნიშვნელი სუბიექტია და ამიტომ, ვთქვათ „ის თბილისში ცხოვრობს“ წინადადება ქართულში გრამატიკულად სწორია. მეორე წინადადების სუბიექტი კი აგენსია და არა ლოკატივი. ამიტომ ასეთი სუბიექტი ლოკატივად არ გადაკეთდება, ე.ი. „*ის ვანოში ცხოვრობს“ წინადადება ქართულში არასწორია.

ასევე სხვადასხვა შეიძლება აღმოჩნდეს პირდაპირი და ირიბი ობიექტიც: „ვანო სახლს აშენებს“ და „ვანო სახლს ყიდულობს“ წინადადებებში სხვადასხვა პირდაპირი ობიექტი გვაქვს. პირველ წინადადებაში პირდაპირი ობიექტი (სახლს) ტრანსფორმირებადია, რადგანაც შენების პროცესში იგი სახეს იცვლის, თანდათანობით ღებულოჰს სახლის ფორმას, ხოლო მეორე წინადადებაში პირდაპირი ობიექტი (სახლს) არ არის ტრანსფორმირებადი. ტრანსფორმირებადი პირდაპირი ობიექტია სწორედ სამოქმედო პირდაპირი ობიექტი ანუ პაციენსი,

ხოლო არატრანსფორმირებადი პირდაპირი ობიექტი არ წარმოადგენს პაციენსს. წინადადებებში „ვანო თბილისს გაემგზავრა“ და „ვანო თბილისს შეეჩვია“ სემანტიკური თვალსაზრისით სხვადასხვა ირიბი ობიექტი გვაქვს: პირველ წინადადებაში ირიბი ობიექტი შეიძლება გადავაკეთოთ თანდებულის გარემოებად (შდრ. „ვანო თბილისში გაემგზავრა“), მეორე წინადადებაში ირიბ ობიექტს (თბილისს) არ აქვს ლოკატიური მნიშვნელობა და ამიტომ *„ვანო თბილისში შეეჩვია“ გრამატიკულად არასწორი წინადადებაა.

აქტანტები ერთმანეთთან მიმართებაში გარკვეულ საფეხურებრივ (იერარქიულ) სისტემას ქმნიან. ამ იერარქიული სისტემის მწვერვალაა სუბიექტი, მეორე საფეხურზე დგას პირდაპირი ობიექტი, ხოლო მესამეზე – ირიბი ობიექტი. ქვემოთ მოცემული იქნება იმის დამტკიცება, რომ აქტანტებს შორის მართლაც ასეთი მიმართება არსებობს. ამჯერად მოცემული სქემა დაუმტკიცებლად მივიღოთ: სქემატურად ეს სისტემა უნდა გამოიხატოს ასე: S>DO>JO (სუბიექტი>პირდაპირი ობიექტი >ირიბი ობიექტი).

თუ აქტანტა გადაადგილდება მარცხნიდან მარჯვნივ, მაშინ საქმე გვექნება დაქვეითებასთან, მაგრამ თუ პირიქით მოხდება გადაადგილება, მაშინ რა თქა უნდა, დაწინაურებას მივიღებთ. ასე, მაგალითად, აქტიური წინადადების პასიურ წინადადებაში გარდაქმნისას აქტიური წინადადების პირდაპირი ობიექტი პასიურ წინადადებაში სუბიექტი ხდება (შდრ. ოსტატი სახლს აშენებს→სახლი შენდება ოსტატის მიერ), ე.ი. წინაურდება. პირიქით, საშუალი გვარის, ზმნის აქტიურ ზმნად გადაკეთების დროს საშუალი გვარის ზმნის სუბიექტი აქტიურ წინადადებაში პირდაპირი ობიექტი ხდება (შდრ. ვანო მღერის←ამხანაგები ვანოს ამღერებენ), რაც სხვა არაფერია თუ არა აქტანტის დაქვეითება. აქტანტის დაქვეითებას ზოგჯერ შეიძლება თან მოჰყვეს არააქტანტად გადაკეთება. აქტიური წინადადების პასიურში ტრანსფორმაციის დროს აქტიური წინადადების სუბიექტი პასიურ წინადადებაში არააქტანტად გადაკეთდება (შდრ. ოსტატი სახლს აშენებს→სახლი შენდება ოსტატის მიერ). ასევე არააქტანტად გადაკეთდება არა ირიბი ობიექტი გარდამავალი ზმნის მესამე სერიის ფორმებთან (შდრ. პეტრე მეზობელს სახლს უშენებს→პეტრეს მეზობლისთვის სახლი აუშენებია). ირიბი ობიექტი (მეზობელს) როგორც ვხედავთ მესამე სერიის ფორმებთან უბრალო დამატებად გადაკეთდა (მეზობლისთვის) და, ამდენად, აქტანტის გაგებაც დაკარგა. აქტანტის გადაკეთებას არააქტანტად ეწოდება შომერიზაცია, ხოლო თვითონ არააქტანტას – შომერი (ფრანგ. Chômeur „უშუშეგარი, უფუნქციო“). შომერი უფუნქციო ელემენტია წინადადებაში იმიტომ, რომ წინადადება გრამატიკულად სწორია მის გარეშეც.

§ 2.3. უშუალო შემადგენელთა მეთოდი.

უშუალო შემადგენელთა მეთოდი წარმოადგენს სინტაქსური ანალიზის ეფექტურ მეთოდს. იგი ამერიკულ დესკრიფციულ (აღწერილობით) ენათმეცნიერებაში დამუშავდა და თავდაპირველად დაუპირისპირდა სინტაქსური ანალიზის ტრადიციულ მეთოდს წინადადების წევრების მიხედვით. მაგრამ თანამედროვე ამერიკულ ენათმეცნიერებაში წინადადების წევრის ცნება რეაბილიტირებულა და, ამდენად, აღარც არსებობს საფუძველი, უშუალო შემადგენელთა მეთოდი დაუპირისპიროთ სინტაქსური ანალიზის ხსენებულ ტრადიციულ მეთოდს.

მიუხედავად ამისა, მაინც არ შეიძლება იმის თქმა, რომ უშუალო შემადგენელთა მეთოდი ემთხვევა წინადადების ანალიზს წევრების მიხედვით. საქმე ისაა, რომ ტრადიციული სინტაქსური თეორია წინადადებას განიხილავს როგორც ხაზობრივ სტრუქტურას, ხოლო უშუალო შემადგენელთა გრამატიკა წინადადებას იერარქიულ სტრუქტურად მიიჩნევს, გამოყოფს რა წინადადებაში მის უშუალო შემადგენელ კვანძებს (ფრაზებს) და ამ კვანძთა უშუალო შემადგენლებს. ასე, მაგალითად, წინადადება „მეზობლის ცოლმა ჟანგიანი დანით შავი პური დაჭრა“ ტრადიციული სინტაქსური თეორიის მიხედვით ასე გაანალიზდება: მეზობლის (განსაზღვრება), ცოლმა (ქვემდებარე), ჟანგიანი (განსაზღვრება), დანით (უბრალო დამატება), შავი (განსაზღვრება), პური (პირდაპირი დამატება), დაჭრა (შემასმენელი). ამავე თეორიის მიხედვით მოცემულ წინადადებაში უნდა გამოვყოთ გარკვეული წევრები (სინტაგმები): მეზობლის ცოლმა, ცოლმა დაჭრა, ჟანგიანი დანით, დანით დაჭრა, შავი პური, პური დაჭრა.

უშუალო შემადგენელთა თეორია უფრო მეტ ინფორმაციას იძლევა წინადადების სტრუქტურის შესახებ, ვიდრე ტრადიციული სინტაქსი. ავლნიშნით წინადადება S-ით (ინგლ. sentence „წინადადება“). ნებისმიერი S უშუალო შემადგენელთა გრამატიკის მიხედვით უნდა გაიყოს ორ ფრაზად (P). ესენია ქვემდებარის ფრაზა (NP: Noun phrase „სახელური ფრაზა“) და შემასმენლის ფრაზა (VP: Verb phrase „ზმნური ფრაზა“). მოცემულ წინადადებაში NP იქნება „მეზობლის ცოლმა“, ხოლო VP – „ჟანგიანი დანით შავი პური დაჭრა“. ამგვარ დაყოფას თავისი დისტრიბუციული საფუძველი აქვს. საქმე ისაა, რომ ნებისმიერი NP იქნება ეს „მეზობლის ცოლმა“, „ჩემი მეზობლის ცოლმა“, „ჩემი ახლო მეზობლის ცოლმა“ თუ სხვა რამ, ჩვენ შეიძლება ჩავანაცვლოთ ქვემდებარით N (მღრ. ცოლმა ჟანგიანი დანით შავი პური დაჭრა), ე. ი. ნებისმიერი NP ჩვენ შეიძლება გავუტოლოთ ქვემდებარეს (N), მაგრამ ამ ფრაზებს

ვერ გავუტოლებთ რომელიმე განსაზღვრებას, რადგანაც ამ გზით გრამატიკულად არასწორ წინადადებებს მივიღებთ (შდრ. *„ჩემი ახლო მეზობლის... ჟანგიანი დანით შავი პური დაჭრა, *„ჩემი ახლო... ცოლმა ჟანგიანი დანით შავი პური დაჭრა, *„ჩემი... ცოლმა ჟანგიანი დანით შავი პური დაჭრა და ა. შ.). ამავე წესით ფრაზა „ჟანგიანი დანით შავი პური დაჭრა“ შეიძლება ჩავანაცვლოთ მხოლოდ შემასმენლით (ცოლმა დაჭრა) და არა სხვა რომელიმე წევრით (შდრ. *ცოლმა ჟანგიანი დანით შავი პური..., *ცოლმა ჟანგიანი დანით პური..., *ცოლმა ჟანგიანი დანით... და სხვ.), რადგანაც ასეთი ჩანაცვლებით წინადადება სართოდ არ მიიღება.

ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ წინადადებაში შემავალი ყველა სიტყვა არ ამყარებს ერთმანეთთან სინტაქსურ კავშირს: ასე, მაგალითად, ფრაზაში „ჩემი ახლო მეზობლის ცოლმა“ „ჩემი“ და „ახლო“ სიტყვებს შორის არ არსებობს რაიმე სინტაქსური კავშირი, მაგრამ ორივე დაკავშირებულია სიტყვასთან „მეზობლის“ (ჩემი მეზობლის, ახლო მეზობლის). ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს ერთმანეთისაგან განვასხვავოთ შემადგენლისა და უშუალო შემადგენლის ცნებები. წინადადების შემადგენელია ნებისმიერი სიტყვა, იქნება ის სრული მნიშვნელობის მქონე თუ დამხმარე სიტყვა. მაგრამ უშუალო შემადგენლებს წარმოადგენენ ისეთი სიტყვები, რომლებიც სინტაქსურად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ე.ი. სინტაქსურ კონსტრუქციას ქმნიან. ამ თვალსაზრისით „ჩემი“ და „ახლო“ ერთმანეთის მიმართ უბრალოდ შემადგენლებია, ხოლო იგივე სიტყვები „ჩემი მეზობლის“ და „ახლო მეზობლის“ კონსტრუქციებში ისინი უშუალო შემადგენლების როლში გვევლინებიან. ამრიგად, უშუალო შემადგენლებია მხოლოდ ისეთი შემადგენლები, რომლებიც სინტაქსურ კონსტრუქციას ქმნიან.

უშუალო შემადგენელი შეიძლება იყოს არა მარტო ესა თუ ის სიტყვა, არამედ მთელი ფრაზაც, თუ რა თქმა უნდა, ეს ფრაზა მეორე ფრაზასთან სინტაქსურ კავშირს ამყარებს. ამიტომ NP (ჩემი ახლო მეზობლის ცოლმა) და VP (ჟანგიანი დანით შავი პური დაჭრა) უნდა განვიხილოთ როგორც S-ის უშუალო შემადგენლები.

ამრიგად, წინადადებაში „ჩემი ახლო მეზობლის ცოლმა ჟანგიანი დანით შავი პური დაჭრა“ ფრაზა „ჩემი ახლო მეზობლის ცოლმა“ უტოლდება ქვემდებარეს (ცოლმა), ხოლო ფრაზა „ჟანგიანი დანით შავი პური დაჭრა-შემასმენელს (დაჭრა). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირველ ფრაზაში ბირთვია ქვემდებარე, ხოლო მეორე ფრაზაში-შემას-მენელი. რადგანაც შემასმენელი და ქვემდებარე ბირთვია წინადადებისა, ამიტომ ანალიზის პირველ საფეხურზე უშუალო

შემაღვრელობის მიხედვით წინადადება უნდა გაიყოს ორ ფრაზად, რომელთაგან ერთი ქვემდებარის ფრაზა (NP) იქნება, ხოლო მეორე-შემასმენლის ფრაზა (VP). ამიტომ წინადადებაში შეიძლება გვაკლდეს ნებისმიერი სხვა წევრი (განსაზღვრება, გარემოება, დამატებები), მაგრამ მასში, როგორც წესი, უნდა იყოს ქვემდებარე და შემასმენელი, ანდა ეს წევრები კონ-ტექსტით უნდა იგულისხმებოდეს.

ქვემდებარის ფრაზა შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ქვემდებარით, მაგრამ ასევე შესაძლებელია მისი გაერთობა, ე.ი. ახალი წევრების დამატება. ამ ოპერაციას ფრაზის გაშლა ეწოდება. წინადადება-„ცოლმა დაჭრა“ შეიძლება გავშალოთ ახალი და ახალი წევრების დამატებით: მეზობლის ცოლმა დაჭრა, ახლო მეზობლის ცოლმა დაჭრა, ჩემი ახლო მეზობლის ცოლმა დაჭრა“ და ა.შ. ასევე შეიძლება გავაერთოთ შემასმენელიც: ცოლმა დანით დაჭრა, ცოლმა ჟანგიანი დანით დაჭრა, ცოლმა ჟანგიანი დანით პური დაჭრა, ცოლმა ჟანგიანი დანით შავი პური დაჭრა, ცოლმა ჟანგიანი დანით შავი პური ძლივს დაჭრა და ა.შ.


მაგრამ ასევე შესაძლებელია წინადადებას ჩამოვაცილოთ გარკვეული წევრები და დავიყვანოთ მხოლოდ ქვემდებარესა და შემასმენელზე. ამგვარ ოპერაციას უწოდებენ წინადადების შეკუმშვას (რედუქცია). შეკუმშვა, რა თქმა უნდა, წინადადების გაშლის საპირისპირო პროცესია. მიუხედავად ამისა, წინადადების გაშლა და შეკუმშვა ერთი და იმავე წესების მიხედვით ხდება და ეს წესები ყოველთვის დაიყვანება ბირთვისა და სატელიტის (ლათ. satelles, ნათ. ბრ. satellitis-თანამგზავრი. მცველი, დაქვემდებარებული) მიმართებაზე. იმ წევრს, რომლის რედუქციის შედეგად გრამატიკულად სწორი წინადადება მიიღება, ვუწოდოთ სატელიტი, ხოლო იმ წევრს, რომლის რედუქციაც გრამატიკულად არასწორი წინადადების წარმოქმნას იწვევს-ბირთვი.

ფრაზაში „ჩემი ახლო მეზობლის ცოლმა“, როგორც ვნახეთ, ბირთვია ქვემდებარე(ცოლმა), რომლის სატელიტია „მეზობლის“ სიტყვა. სატელიტი განსაზღვრების ფუნქციას ასრულებს (განსაზღვრება A ასოთი აღინიშნება, ინგ. Adjective-ზედსართავი სახელი). ერთი სიტყვით, A+N კონსტრუქციაში ბირთვია N, ხოლო სატელიტია-A. A-ს თავის მხრივ აქვს თავისი სატელიტი ან სატელიტები. ფრაზაში „ახლო მეზობლის“ ბირთვია „მეზობლის“, ხოლო სატელიტია „ახლო“, რადგანაც „ჩემი მეზობლის ცოლმა პური დაჭრა“ წინადადება კი გრამატიკულად არასწორ წინადადებას წარმოადგენს. ასევე ფრაზაში „ჩემი მეზობლის“ ბირთვია „მეზობლის“ და სატელიტია „ჩემი“, რადგანაც „ახლო მეზობლის ცოლმა პური დაჭრა“ გრამატიკულად სწორია, ხოლო *„ჩემი ახლო...ცოლმა პური დაჭრა“-გრამატიკულად არასწორი. ასეთივე


ოპერაციებით ჩვენ შეიძლება დავადგინოთ, რომ „ძლივს დაჭრა“ (Adv+V) კონსტრუქციაში ბირთვია V და სატელიტია Adv (გარემოება), „დანით დაჭრა“ ($N_{III}+V$) კონსტრუქციაში კი ბირთვია ისევ V, ხოლო სატელიტია N_{III} და ა.შ. საერთოდაც, V ყოველთვის ბირთვია, რომელ კონსტრუქციაშიც არ უნდა იყოს იგი წარმოდგენილი. ბირთვია იგი შემასმენლისა და დამატებებისგან შედგენილ კონსტრუქციებშიც (პური დაჭრა, მეზობელს პური დაუჭრა და სხვ.) და, რაც მთავარია შემასმენელი ბირთვია ქვემდებარესთან მიმართებაშიც კი. კონსტრუქციაში „ცოლმა დაჭრა“ ($N+V$) ქვემდებარის შეკუმშვის შედეგად მანც წინადადება მიიღება (დაჭრა); ხოლო V-ს შეკუმშვის შედეგად (ცოლმა) წინადადება საერთოდ აღარ რჩება. ამიტომ შემასმენელი ჩვენ უნდა განვიხილოთ როგორც წინადადების ცენტრი, რომლის გარშემო დაჯგუფებულია ყველა სხვა წევრები ან უშუალოდ, ან შუალობითად დაკავშირებული არიან შემასმენელთან. რადგანაც ქვემდებარეს N-ით აღვნიშნავთ, პირდაპირი დამატება N_1 -ით აღვნიშნოთ, ირიბი დამატება - N_2 -ით, ხოლო უბრალო დამატება - N_3 -ით. შემასმენლის მიმართება აქტანტებთან (ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება) და შომერებთან (უბრალო დამატება) აღიწერება შემდეგი წესებით: $N+V \rightarrow V$, $N_1+V \rightarrow V$, $N_2+V \rightarrow V$, $N_3+V \rightarrow V$, $Chom+V \rightarrow V$. ერთი სიტყვით, V ბირთვია არა მარტო გარემოებასთან მიმართებაში, არამედ აქტანტებთან და შომერებთან მიმართებაშიც.

ამრიგად, წინადადების ანალიზის დროს უშუალო შემადგენლების მიხედვით ანალიზის ყოველ საფეხურზე გამოიყოფა ბირთვი და სატელიტი და თანაც ბირთვისა და სატელიტის მიმართებაში შეიძლება იყვნენ როგორც ფრაზები (კვანძები), ისე ცალკეული სიტყვებიც. ამიტომ ანალიზის ყოველ საფეხურზე გამოიყოფა მხოლოდ ორი უშუალო შემადგენელი (ბირთვი და სატელიტი). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წინადადების ანალიზი უშუალო შემადგენლების მიხედვით ბინარულია (ლათ. binarius-ორმაგი, ორობითი).

წინადადების ანალიზი უშუალო შემადგენლების მიხედვით უნდა წარმოვიდგინოთ უშუალო შემადგენელთა ხის სახით, რომელიც ნათლად გამოხატავს იმ მიმართებებს, წინადადებაში შემავალ ცალკეულ სიტყვებსა და ფრაზებს შორის რომ არსებობს. ერთი სიტყვით, უშუალო შემადგენელთა ხე გვაწვდის სრულ და ამომწურავ ინფორმაციას წინადადების სინტაქსური სტრუქტურის შესახებ. ასე, მაგალითად, ცნობილ წინადადებას „ჩემი ახლო მეზობლის ცოლმა ჟანგიანი დანით შავი პური ძლივს დაჭრა“ უშუალო შემადგენელთა ასეთი ხე შეესატყვისება:




ხოლო წინადადება „ჩემი პატარა ამხანაგები ჩემს გულჩვილობას იქ დასცინოდნენ“ უშუალო შემადგენლების მიხედვით ასე გაანალიზდება:




ჩვენ საგანგებოდ შევარჩიეთ, რაც შეიძლება რთული სტრუქტურის მქონე მარტივი წინადადებები. შედარებით მოკლე მარტივი წინადადებების ანალიზი ამ თვალსაზრისით უფრო ადვილია. ასე, მაგალითად, „ბავშვს


სძინავს“ წინადადების სტრუქტურა ასეთი იქნება:




წინადადება „ბავშვი სკოლაში მიდის“ სინტაქსური თვალსაზრისით ასე გაანალიზება:



წინადადება „ბავშვი დილით სკოლაში მიდის“ უფრო რთული სტრუქტურისა იქნება:



კიდევ უფრო რთული სტრუქტურა ექნება „ჩემი ბავშვი დილით სკოლაში მიდის“ წინადადებას და ა.შ.



ამრიგად, უშუალო შემადგენელთა გრამატიკამ უნდა გვიჩვენოს ის სინტაქსური მიმართებები, რომლებიც ამა თუ იმ წინადადების შიგნით

მყარდება უშუალო შემადგენლებს შორის. მაგრამ აქ ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ამა თუ იმ წინადადებას მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ე.ი. უნიკალური უშუალო შემადგენლური სტრუქტურა ჰქონდეს. უშუალო შემადგენელთა გრამატიკის მიხედვით წინადადებების ანალიზი სტრუქტურული ანალიზია, ე.ი. ამგვარი ანალიზის შედეგად გარკვეული ზოგადი მოდელები მიიღება, რომლებიც დამახასიათებელია წინადადებათა კლასებისათვის და არა მხოლოდ ცალკეული წინადადებებისათვის, ასე, მაგალითად, „ბავშვს სძინავს“ წინადადების ანალოგიური იქნება „ბავშვს ღვიძავს“, „ბავშვს ეძინია“, „ბავშვს შია“, „ბავშვს სწყურია“ და სხვა წინადადებები. ყველა ეს წინადადება წარმოადგენს ერთი საერთო მოდელის სხვადასხვა რეალიზაციას. „ბავშვი სკოლაში მიდის“ წინადადების სინტაქსური მოდელი დამახასიათებელია, ვთქვათ, „ბავშვი ტყეში დარბის“, „მეზობელი ანსამბლში ცეკვავს“, „ღორი ტა-ლანში კოტრიალობს“ და უამრავი სხვა წინადადებისათვის. ეს გარემოება ჩვენ საშუალებას გვაძლევს, გამოვყოთ ენაში გარკვეული სინტაქსური მოდელები, რომელთა მიხედვით მოცემულ ენაში წარმოიქმნება წინადადებათა უსასრულო რაოდენობა. ქართულში, მაგალითად, მარტივი წინადადებისათვის შეიძლება გამოიყოს შემდეგი მოდელები (სია, რა თქმა უნდა, არასრულია)

1. V (თოვს, წვიმს, ცივა...)
2. N+V (ბავშვი თამაშობს, ბიჭი დარბის, მზე ჩადის...)
3. N+V+N₁ (ბიჭი წერილს წერს, ღედა სადილს ამზადებს...)
4. N+V+N₁+N₂ (ბებია შეილიშვილს ჭკუას არიგებს, პეტრე მეზობელს სახლს უშენებს, მამა მეგობარს წერილს სწერს...)
5. N+V+N₁+N₂+N₃ (პეტრე მეზობელს აგურით უშენებს სახლს, ბებია შეილიშვილს მეგობრისთვის წერილს აწერინებს. ...)
6. A+N+V (ჩემი ძმა მღერის, ლამაზი ქალი ცეკვავს, პატარა ბულბული გალობს, ცელქი ბავშვი დარბის...)

როგორც ვხედავთ, წინადადების ანალიზი უშუალო შემადგენლებად ჯერ ფრაზების დონეზე ტარდება, შემდეგ კი სიტყვების (წევრების) დონეზე. ეს მომენტი უშუალო შემადგენელთა გრამატიკას განასხვავებს ტრადიციული სინტაქსისაგან, რომელიც ანალიზს აწარმოებდა მხოლოდ წევრების დონეზე. ყურადღების გამახვილება ფრაზების (კვანძების) მიმართ, რაც უშუალო შემადგენელთა გრამატიკისთვის არის დამახასიათებელი, არსებით გავლენას ახდენს სინტაქსურ ანალიზზე, რადგანაც ასეთი ანალიზი სხვაგვარად წარმოადგენს წინადადების სტრუქტურას.

ნებისმიერი ფრაზის თუ წინადადების უშუალო შემადგენლური სტრუქტურა ირკვევა ანალიზის მომდევნო საფეხურზე. თუ პირველ საფეხურად S სიმბოლოს მივიჩნევთ, მაშინ მეორე საფეხურზე უნდა

გაირკვეს, მოცემულ წინადადებაში რომელია NP და რომელი VP. მესამე საფეხურზე ვარკვევთ NP-ის ან VP-ის უშუალო შემადგენლებს, რადგანაც ორივეს სტრუქტურის ერთ საფეხურზე წარმოდგენა შეუძლებელია. დაეუშვათ, რომ ამ (მესამე) საფეხურზე ვარკვევთ NP-ის უშუალო შემადგენლებს. მაშინ მეოთხე საფეხურზე გაანალიზდება VP და ა.შ. ანალიზი გაგრძელდება მანამ, სანამ არ მივიღებთ სინტაქსური თვალსაზრისით დაუშლელ ერთეულებს, ანუ წინადადების წევრებს. სინტაქსური ანალიზის ბოლო საფეხურს ეწოდება ტერმინალური (საბოლოო) და ეს საფეხური აღინიშნება T-თი. მაჩილს S-დან T-მდე ეწოდება მოცემული წინადადების დერივაციის ისტორია.

წინადადების დერივაციის ისტორია იერარქიული პროცესია. იერარქიულია ეს პროცესი იმიტომ, რომ სინტაქსური ანალიზის ყოველ მომდევნო საფეხურზე ირკვევა წინა საფეხურზე წარმოდგენილი მხოლოდ ერთი უშუალო შემადგენლის სტრუქტურა. მაგალითად, ანალიზის მეორე საფეხურზე ირკვევა S-ის უშუალო შემადგენლები, მესამე საფეხურზე NP-ს (და არა VP-ს) უშუალო შემადგენლები და ა.შ. მაგრამ ამგვარი ანალიზით ირკვევა ისიც, რომ NP-ს უშუალო შემადგენლები აღარ არიან S-ის უშუალო შემადგენლები, ასევე VP-ს უშუალო შემადგენლები არ წარმოადგენენ S-ის უშუალო შემადგენლებს. წინადადებაში „მეზობლის ბიჭი ცეკვავს“ NP-ს (მეზობლის ბიჭი) უშუალო შემადგენლები A (მეზობლის) და ბიჭი (N) არ არიან S-ის უშუალო შემადგენლები. ეს რომ ასე იყოს, მაშინ *„მეზობლის ცეკვავს“ ქართულში გრამატიკულად სწორი წინადადება იქნებოდა. განსაზღვრება (A) წარმოადგენს არა S-ის, არამედ N-ის უშუალო შემადგენელს. ფეოდალურ საზოგადოებაში, როგორც ცნობილია, იერარქიული მიმართება სხვადასხვა სოციალურ საფეხურებზე მყოფ ფენებს შორის გამოიხატებოდა ფორმულით: „ჩემი ვასალის ვასალი ჩემი ვასალი არ არისო“. ასეთივე მიმართება გვაქვს უშუალო შემადგენლებს შორისაც წინადადებაში, რადგანაც ირკვევა, რომ S-ის ვასალის (N) ვასალი (A) არ წარმოადგენს თვითონ S-ის ვასალს და ამ უკანასკნელთან S მიმართებას ამყარებს მხოლოდ N-ის მეშვეობით. S მიმართებას ამყარებს ასევე პირდაპირ, ირიბ, უბრალო დამატებასთან და გარემოებასთან არა უშუალოდ, არმედ V-ს მეშვეობით, ხოლო V განსაზღვრებასთან სინტაქსურ კავშირს ამყარებს აქტანტების ან შომერების მეშვეობით.

წინადადების წევრთა რაოდენობას თუ შვიდი წევრით განსაზღვრავდით, მაშინ შვიდ წევრს უნდა მოეცა 49 ბინარული კონსტრუქცია. მოცემული შვიდი წევრი შექმდებოდა: V (შემასმენელი), N (ქვემდებარე), N₁ (პირდაპირი დამატება), N₂ (ირიბი დამატება), N₃ (უბრალო დამატება ან შომერი), Adv (გარემოება), A (განსაზღვრება). ჯერ-ჯერობით

გამოვიცხოთ ერთგვარი წევრებისაგან შედგენილი ბინალური კონსტრუქციები (V+V, N+N, N₁+N₁, N₂+N₂, N₃+N₃, Adv+Adv, A+A, რადგანაც ასეთი კონსტრუქციები სხვაგვარად უნდა აღიწეროს: რჩება მხოლოდ 42 ბინარული კონსტრუქციები:

- | | | | |
|------------------|------------------|--------------------------------|--------------------------------|
| 1) V+N | 2) N+V | 3) N ₁ +V | 4) N ₂ +V |
| V+N ₁ | N+N ₁ | N ₁ +N | N ₂ +N |
| V+N ₂ | N+N ₂ | N ₁ +N ₂ | N ₂ +N ₁ |
| V+N ₃ | N+N ₃ | N ₁ +N ₃ | N ₂ +N ₃ |
| V+Adv | N+Adv | N ₁ +Adv | N ₂ +Adv |
| V+A | N+A | N ₁ +A | N ₂ +A |
-
- | | | |
|--------------------------------|------------------|--------------------|
| 5) N ₃ +V | 6) A+V | 7) Adv+V |
| N ₃ +N | A+N | Adv+N |
| N ₃ +N ₁ | A+N ₁ | Adv+N ₁ |
| N ₃ +N ₂ | A+N ₂ | Adv+N ₂ |
| N ₃ +Adv | A+N ₃ | Adv+N ₃ |
| N ₃ +A | A+Adv | Adv+A |

მაგრამ მოცემული 42 კონსტრუქციიდან პრაქტიკულად რეალიზდება მხოლოდ 20 კონსტრუქცია: V+N, V+N₁, V+N₂, N+V, V+N₃, V+Adv, V+A, N+A, N₁+V, N₁+A, N₂+V, N₂+A, N₃+V, N₃+A, A+N, A+N₁, A+N₂, A+N₃, Adv+V, Adv+A, A+Adv.

მოცემული 20 კონსტრუქცია შეიძლება დაიყვანოს 10 კონსტრუქციაზე, რადგანაც დარჩენილ ათ კონსტრუქციაში წევრების რიგია მხოლოდ შეცვლილი:

- | | | |
|----------------------|---|-------------------|
| 1. V+N | — | N+V |
| 2. V+N ₁ | — | N ₁ +V |
| 3. V+N ₂ | — | N ₂ +V |
| 4. V+N ₃ | — | N ₃ +V |
| 5. V+Adv | — | Adv+V |
| 6. N+A | — | A+N |
| 7. N ₁ +A | — | A+N ₁ |
| 8. N ₂ +A | — | A+N ₂ |
| 9. N ₃ +A | — | A+N ₃ |
| 10. Adv+A | — | A+Adv |

წინადადებაში „პატარა ამხანაგები ჩემს გულჩვილობას დასცინოდნენ“ უნდა გვქონდეს 10 ბინარული კონსტრუქცია: A+N (პატარა ამხანაგები), A+A (პატარა ჩემს), A+N₂ (პატარა გულჩვილობას), A+V (პატარა დასცინოდნენ), N+A (ამხანაგები ჩემს), N+N₂ (ამხანაგები გულჩვი-

ლობას), N+V (ამხანაგები დასცინოდნენ), A+N₂ (ჩემს გულჩვილობას), A+V (ჩემს დასცინოდნენ), N₂+V (გულჩვილობას დასცინოდნენ). მაგრამ მოსალოდნელი 10 კონსტრუქციიდან გვაქვს მხოლოდ ოთხი კონსტრუქცია: A+N (პატარა ამხანაგები), N+V (ამხანაგები დასცინოდნენ), A+N₂ (ჩემს გულჩვილობას), N₂+V (გულჩვილობას დასცინოდნენ). როგორც ვხედავთ, წინადადებაში ხშირად აკრძალული კონსტრუქციები უფრო მეტია, ვიდრე დასაშვები.

ამრიგად, თეორიულად შესაძლებელი 42 ბირთვული კონსტრუქცია დაიყვანება 10 კონსტრუქციაზე, რომელნიც ასე შეიძლება წარმოადგინოთ: N+V, V+N₁, V+N₂, V+N₃, Adv+V, A+N, A+N₁, A+N₂, A+N₃, A+Adv. მოცემული კონსტრუქციების ბირთვებია შემდეგი უშუალო შემადგენლები: N+V V, V+N₁ V, V+N₂ V, V+N₃ V, Adv+V V, A+N N, A+N₁ N₁, A+N₂ N₂, A+N₃ N₃, A+Adv Adv.


ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ A+Adv, უფრო ზუსტად, Adv+A კონსტრუქციაში ბირთვი იყოს A, ხოლო მისი სატელიტო Adv. მაგალითად, წინადადებაში „ძალზე მაღალი კაცი ცეკვავდა“ თუ „ძალზე“ სიტყვის რედუქციას მოვახდენთ, მაშინ გრამატიკულად სწორი წინადადება მიიღება (შდრ. მაღალი კაცი ცეკვავდა), მაგრამ თუ „მაღალი“ სიტყვის რედუქციას მოვახდენთ, მაშინ გრამატიკულად არასწორი წინადადება წარმოიქმნება (შდრ.*ძალზე კაცი ცეკვავდა.) ამიტომ თითქოს უნდა დავასკვნათ, რომ Adv+A კონსტრუქციაში ბირთვია A, ხოლო სატელიტია Adv. ამგვარი დასკვნა ეწინააღმდეგებოდა შემთხვევათა უძრავლესობას, როდესაც A+Adv კონსტრუქციაში ბირთვის როლში Adv გამოდის, ხოლო სატელიტის როლში-A. ასე, მაგალითად, წინადადებაში „დაბურულ ტყეში დიდი მუხა იდგა“ A+Adv (დაბურულ ტყეში) კონსტრუქციის ბირთვია Adv, რადგანაც „ტყეში დიდი მუხა იდგა“ გრამატიკულად სწორი წინადადებაა, ხოლო A სატელიტს წარმოადგენს, რამდენადაც „*დაბურულ...დიდი მუხა იდგა“ ფრაზა არ წარმოადგენს წინადადებას. ამრიგად, ერთ შემთხვევაში (Adv+A) კონსტრუქციაში განსაზღვრება გამოდის ბირთვის როლში გარემოებასთან მიმართებაში, ხოლო მეორე შემთხვევაში, პირიქით, გარემოება გვეკვლინება ბირთვის როლში განსაზღვრებასთან მიმართებაში.

გარემოების გამოსვლა ბირთვის როლში განსაზღვრებასთან მიმართებაში წარმოადგენს გაერცელებულ მოვლენას, ხოლო საპირისპირო შემთხვევები მეტად შეზღუდულია. გარდა ამისა (რაც მთავარია), „ძალზე მაღალი“ ტიპის ფრაზები არ წარმოადგენენ Adv+A კონსტრუქციას. საქმე ისაა, რომ ამ ტიპის ფრაზებში „ძალზე“ და სხვა ამგვარი დამხმარე სიტყვები (ძალიან, ნამეტნავად, ზედმეტად და სხვ.) უფროობითი ხარისხის მაწარმოებელი ელემენტები არიან (ძალზე

მაღალი-უმაღლესი), რასაც ამტკიცებს ისიც, რომ უფროობითი ხარისხის ფორმები ამგვარ გარემოებით სიტყვებს აღარ დაირთავენ. ამიტომ არაა გვაქვს „*მაღზე უმაღლესი“, *მაღზე უძლიერესი“ და სხვა-ამ ტიპის ფრაზები. რადგანაც „მაღზე მაღალი“ ტიპის ფრაზები Adv+A კონსტრუქციას არ ქმნიან, ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ A+Adv ან Adv+A კონსტრუქციაში ყოველთვის ბირთვია Adv, ხოლო A ასევე ყოველთვის მისი სატელიტია.

ამრიგად, შემასმენელი სინტაქსურ კავშირს ამყარებს ქვემდებარესთან, პირდაპირ ობიექტთან, ირიბ ობიექტთან, უბრალო დამატებასთან და გარემოებასთან და თანაც იგი (შემასმენელი) ყოველთვის ბირთვის როლში გამოდის. თვითონ ქვემდებარე, პირდაპირი ობიექტი, ირიბი ობიექტი, უბრალო დამატება და გარემოება სატელიტებია შემასმენლისა, რომელთაც თავის მხრივ სატელიტად აქვთ განსაზღვრება. როგორც ვხედავთ, შემასმენელი ყოველთვის ბირთვია, ხოლო განსაზღვრება, პირიქით, ყოველთვის სატელიტს წარმოადგენს, რაც შეეხება ქვემდებარეს, პირდაპირ ობიექტს, ირიბ ორიექტს, უბრალო დამატებასა და გარემოებას, ისინი, მართალია, სატელიტებია შემასმენელთან მიმართებაში, მაგრამ ბირთვებს წარმოადგენენ განსაზღვრებასთან მიმართებაში. ეს შეფარდება წინადადების წევრებს შორის სქემატურად შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:


წინადადების წევრებს შორის, როგორც ვხედავთ, იერარქიული მიმართებები გვაქვს. ამ იერარქიის უმაღლეს საფეხურზეა შემასმენელი, ხოლო ყველაზე უდაბლეს საფეხურზე-განსაზღვრება. ორ პოლარულ წერტილს შორის იერარქიული რიგის დაცვით განლაგებულია ქვემდებარე, პირდაპირი ობიექტი, ირიბი ობიექტი, უბრალო დამატება და გარემოება.




წინადადების სტრუქტურის აგება ხდება კასტური პრინციპის მიხედვით, სადაც მკაცრად განსაზღვრულია არა თუ სინტაქსური ფუნქციები, არამედ ისიც, თუ რომელმა მეტყველების ნაწილმა უნდა გამოხატოს ესა თუ ის სინტაქსური ფუნქცია: ზმნა გამოხატავს შემასმენელს, არსებითი სახელი—ქვემდებარეს, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი და მიმღეობა—განსაზღვრებას, ზმნიზება—გარემობას. მიუხედავად ამისა მაინც დასაშვებია გადაადგილება იერარქიის უფრო მაღალ ან უფრო დაბალ საფეხურზე. თუ გადაადგილება ხდება ცენტრი-საკენ (იერარქიის მაღალი საფეხური), მაშინ დაწინაურებასთან გვექნება საქმე, მაგრამ თუ გადაადგილება ცენტრიდან პერიფერიისკენ ხდება (იერარქიის დაბალი საფეხური), მაშინ დაქვეითება იჩენს თავს. როგორც დაწინაურების, ისე დაქვეითების შემთხვევაში მეტყველების ნაწილი ინარჩუნებს თავისი კასტისთვის დამახასიათებელ თვისებებს. ასე, მაგალითად, ზედსართავი, რიცხვითი სახელი ან მიმღეობა შეიძლება დაწინაურდნენ და ქვემდებარის ფუნქციით მოგვევლინონ (შდრ. დიდმა გალახა, პატარა ტიროდა, წითელი ბოერია, მეორემ იმარჯვა, წაქცეული ადგა და სხვ.), მაგრამ ამით მათ სატელიტები არ გაუჩნდებათ განსაზღვრების სახით. პირიქით, არსებითი სახელი შეიძლება ჩამოქვეითდეს და განსაზღვრება ან გარემოება გამოხატოს (ხის სახლი, დაბურულ ტყეში), მაგრამ თავისი კასტის დამახასიათებელ ნიშნებს იგი მაინც არ დაკარგავს. ამიტომ თუ არსებითმა სახელმა ჩამოქვეითების შედეგად განსაზღვრება გამოხატა, მას მაინც აქვს უნარი ზედსართავის ან რიცხვითი სახელის დართვისა განსაზღვრების ფუნქციით (შდრ. წითელი ხის სახლი, თეთრი ქვის სახლი, ათი ხის სახლი, ორი ქვის სახლი და ა.შ.). ასევე თუ არსებითი სახელი გარემობის დონეზე ჩამოქვეითდება, იგი მაინც ინარჩუნებს უნარს სატელიტად დაირთოს განსაზღვრება (შდრ. დაბურულ ტყეში, მწვანე ტყეში და სხვ.), თუმცა გარემოება (პირველადი გარემოება) განსაზღვრებას არ დაირთავს (შდრ. იქ იდგა, აქეთ წამოვიდა, გუშინ წვიმდა და სხვ.). ერთი სიტყვით, იერარქიულ სისტემას ქმნიან არა მარტო წინადადების წევრები, არამედ მეტყველების ნაწილებიც.

სინტაქსური კავშირი ორ უშუალო შემადგენელს შორის შეიძლება იყოს მხოლოდ ორი სახის: ესენია სუბორდინაცია (ლათ. subordinatio „დაქვემდებარება“) და კოორდინაცია (ლათ. coordinatio „ურთიერთმოწესრიგება“) სუბორდინაციის შემთხვევაში უფლებრივად არათანასწორი უშუალო შემადგენლები, ანუ ბირთვი და სატელიტი გვაქვს. ამგვარი მიმართება შეიძლება იყოს როგორც ორ წევრებს შორის, ისე ორ ფრაზას ან წევრსა და ფრაზას შორის. სუბორდინაციის მიმართება

დასტურდება ორ წინადადებას შორისაც კი, რადგანაც რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი წინადადება ბირთვია, ხოლო დამოკიდებულების სატელიტი. სატელიტს შეიძლება ჰქონდეს თავისი სატელიტი დამოკიდებული წინადადების სახით და ა.შ. ამიტომ რთული ქვეწყობილი წინადადება ადვილად შეიძლება გავანალიზოთ უშუალო შემადგენლების გრამატიკის მიხედვით. ასე, მაგალითად, წინადადება „სამიკიტნოს ის პაწია ოთახი, სადაც აკაკის ჯღომა უყვარდა, მერცხლის ბუდესავით გადასცქეროდა რიონს“ შედგება მთავარი (სამიკიტნოს ის პაწია ოთახი მერცხლის ბუდესავით გადასცქეროდა რიონს) და დამოკიდებული (სადაც აკაკის ჯღომა უყვარდა) წინადადებისაგან და თანაც დამოკიდებული წინადადება განსაზღვრებითია, რომელიც განსაზღვრავს მთავარი წინადადების ქვემდებარეს. ამიტომ დამოკიდებული წინადადება მთავარი წინადადების ქვემდებარის სატელიტად უნდა განვიხილოთ (S₁-ით აღვნიშნოთ დამოკიდებული წინადადება):



„როცა დავითი შინ მივიდა, საღამო ხანი იყო“ წინადადება უშუალო შემადგენლებად ასე განალიზდება:




როგორც ვხედავთ, პირველ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადება NP-ის უშუალო შემადგენელია, ხოლო მეორე შემთხვევაში -VP-ის უშუალო შემადგენელი. საერთოდაც დამოკიდებული წინადადება ან NP-ის უშუალო შემადგენელი იქნება, ანდა VP-სი. ამიტომ გასარკვევი რჩება ის, თუ მთავარი წინადადების NP-ისა და VP-ის რომელ უშუალო შემადგენელთან ამყარებს მიმართებას ესა თუ ის დამოკიდებული წინადადება.

სინტაქსური კავშირის მეორე სახეა, როგორც ეს უკვე იყო აღნიშნული. კოორდინაცია, რომელიც თანაბარი უფლების მქონე უშუალო შემადგენლების კავშირია. ამგვარი უშუალო შემადგენლები შეიძლება იყოს როგორც ცალკეული წევრები და ფრაზები, ისე წინადადებებიც. თუ ასეთ უშუალო შემადგენლებს წარმოადგენენ წევრები ან ფრაზები, მაშინ მივიღებთ შერწყმულ წინადადებას, ხოლო თუ უშუალო შემადგენლები თვითონ წინადადებებია, მაშინ რთული თანწყობილი წინადადება მიიღება.

კოორდინაციის შემთხვევაში სინტაქსურ კავშირს ამყარებენ ერთმანეთთან ორი ან მეტი ერთგვაროვანი უშუალო შემადგენელი - ორი ან მეტი ბირთვი ანდა ორი ან მეტი სატელიტი. დაუშვებელია სატელიტისა და ბირთვის გაერთიანება ერთ კონსტრუქციაში. აქტანტების შემთხვევაში

მკაცრად უნდა იყოს დაცული იერარქიული რიგი, რადგანაც ორი სხვადასხვა რანგის აქტანტა სინტაქსურ კავშირს ვერ ამყარებს ერთმანეთან. ასევე ვერ ამყარებს ერთმანეთთან სინტაქსური კავშირს ორი სხვადასხვა შომერი ან ორი სხვადასხვა გარემოება. ამ შეზღუდვების გათვალისწინებით კოორდინაციული კონსტრუქციები ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: $A+A$, $N+N$, $V+V$, N_1+N_1 , N_2+N_2 , N_3+N_3 , $Adv+Adv$.

რადგანაც კოორდინაციულ კონსტრუქციებს ქმნიან თანასწორუფლებიანი უშუალო შემადგენლები, რომლებშიც აკრძალულია ბირთვისა და სატელიტის გაერთიანება, ამიტომ უშუალო შემადგენლების რაოდენობა ამგვარ კონსტრუქციებში განსაზღვრული არაა. თუ სუბორდინაციულ კონსტრუქციებში სინტაქსური კავშირი მყარდება მხოლოდ ორ უშუალო შემადგენელს შორის, რომელთაგან ერთი ბირთვია, ხოლო მეორე-მისი სატელიტი, კოორდინაციულ კონსტრუქციებში უშუალო შემადგენლების რაოდენობა თეორიულად უსასრულოა, თუმცა პრაქტიკულად უშუალო შემადგენელთა რაოდენობა ყოველთვის სასრულია და არ აჭარბებს რამდენიმე ერთეულს. ასე, მაგალითად, შერწყმული წინადადება „ყველა კლდესა და ღრეს ეფარებოდა“ შეიძლება კიდევ უფრო გავავრცოთ ახალი წევრების დამატებით: 1) ყველა კლდესა, ღრესა და ხეცს ეფარებოდა, 2) ყველა კლდესა, ღრესა, ხეცსა და ტყეს ეფარებოდა (ვაჟა). შეიძლება კიდევ გავავრძელოთ ეს წინადადება ახალი ერთგვაროვანი წევრების დამატებით, რაც მარჯვენებელია იმისა, რომ ერთგვაროვანი უშუალო შემადგენლების რაოდენობა შერწყმულ წინადადებაში თეორიულად უსასრულოა, თუმცა პრაქტიკულად, ვიმეორებთ, ამგვარი უშუალო შემადგენლების რიცხვი არ აჭარბებს რამდენიმე ერთეულს. რადგანაც კოორდინაციულ კონსტრუქციებში უშუალო შემადგენლების რაოდენობა განსაზღვრული არ არის, ამიტომ ამ შემთხვევაში არც ანალიზია უშუალო შემადგენლების მიხედვით ბინარული. ანალიზი ბინარულია მხოლოდ სუბორდინაციულ კონსტრუქციებში, ხოლო კოორდინაციულ კონსტრუქციებში იგი შეიძლება იყოს ბინარულიც, ტერნარულიც (სამობითი) და ა.შ. ამიტომ კოორდინაციული კონსტრუქცია შესაძლებელია ერთდროულად დავშალოთ ორ, სამ, ოთხ და ა.შ. უშუალო შემადგენლად. მაგალითად, წინადადება „ჭრელი ჰეპელა დაათრო და გააბრუა იამა“ ამ თვალსაზრისით შემდეგანირად გაანალიზდება (სიბოლო ცოპ აღნიშნავს კავშირს, ლათ ცოპულა „კავშირი“).




თუ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დამოკიდებული წინადადება სინტაქსურ კავშირს ამყარებს მთავარი წინადადების რომელიმე წევრთან, რთულ თანწყობილ წინადადებაში საქმე გვაქვს ორი თანასწორუფლებიანი წინადადების შეკავშირებასთან, სადაც არც ბირთვი გამოიყოფა და არც სატელიტი. ამიტომ, ვთქვათ, წინადადებაში „ტურა-შელები ფრინველებს იპარავენ, მგელები ოთხფეხს იტაცებდნენ და დათვი იქაურობას ტორავდა და ანადგურებდა“ გამოიყოფა სამი უშუალო შემადგენელი წინადადება: S₁ (ტურა-შელები ფრინველებს იპარავენ), S₂ (მგელები ორხფეხს იტაცებდნენ), S₃ (დათვი იქაურობას ტორავდა და ანადგურებდა), რომლებიც შემდეგ დაიშლებაინ უშუალო შემადგენლებად ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა მარტივი ან შერწყმული წინადადება.


ტრადიციული სინტაქსი, როგორც უკვე ითქვა, განასხვავებს წინადადებებს შორის ორგვარ მიმართებას. ესენია: პარატაქსი (ბერძ. parataxis „თანწყობა“) და ჰიპოტაქსი (ბერძ. hypotaxis „ქვეწყობა“). რადგანაც ამგვარი მიმართებების შესახებ არ არის ლაპარაკი წინადადების წევრების დონეზე, ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ ტრადიციული სინტაქსი სხვადასხვა მიმართებებს გულისხმობს, ერთი მხრივ, წინადადების წევრებს შორის და, მეორე მხრივ, თვითონ წინადადებებს შორის. უშუალო შემადგენელთა გრამატიკა წინადადებებს შორისაც იმავე მიმართებებს

ადგენს, რა მიმართებებიცაა კონსტრუქციის უშუალო შემადგენელ წევრებს შორის. ესაა ან სუბორდინაციის, ან კოორდინაციის მიმართება. უშუალო შემადგენლებს შეიძლება ქმნიდნენ როგორც წინადადების წევრები, ისე თვითონ წინადადებებიც, ხოლო უშუალო შემადგენლებს შორის მიმართება ან სუბორდინაციას გვაძლევს, ან კოორდინაციას. ამიტომ წინადადებების წევრებიც იმავე მიმართებას ამყარებენ ერთმანეთთან, რასაც თვითონ წინადადებები. ერთი სიტყვით, პარატაქსი კოორდინაციაა, ხოლო ჰიპოტაქსი-სუბორდინაცია და ამიტომ პარატაქსისა და ჰიპოტაქსის მიმართებები შეიძლება გვექონდეს არა მარტო წინადადებებს შორის, არამედ წინადადების წევრებს შორისაც: ერთგვაროვან წევრებს შორის შერწყმულ წინადადებაში პარატაქსის მიმართება გვაქვს, ხოლო სხვადასხვა წევრებს შორის შერწყმულ ან მარტივ წინადადებაში ან ჰიპოტაქსის მიმართებაა, ანდა საერთოდ არ არის მათ შორის რაიმე სინტაქსური კავშირი.


ზოგჯერ წინადადება ორაზროვანია, ე.ი. დასაშვებია მისი ორი სხვადასხვაგვარი წაკითხვა. ესეთ შემთხვევებში სხვადასხვაგვარია ამ წინადადების უშუალო შემადგენლური სტრუქტურაც. ასე, მაგალითად, წინადადება „ვანო პირველი თავჯდომარე იყო ქიზიყში“ შეიძლება გავიგოთ ორგვარად იმის მიხედვით, თუ რას აღნიშნავს სიტყვა „პირველი“: რიგობით რიცხვით სახელს თუ გვარს. თუ ეს სიტყვა რიგობით რიცხვით სახელს აღნიშნავს, მაშინ იგი ზმნის ფრაზაში მოექცევა (VP) და წინადადების სტრუქტურაც ასეთი იქნება:




მაგრამ თუ სიტყვაა „პირველი“ გვარს აღნიშნავს, მასინ მისი ადგილი სახელის ფრაზაში (NP) იქნება:



ასევე ორ სხვადასხვა წაკითხვას უშვებს, ვთქვათ, „ახალი სკოლის დირექტორი ლაპარაკობდა რადიოში“ წინადადება იმის მიხედვით, თუ რომელ სიტყვასთან ამყარებს სიტყვა „ახალი“ სინტაქსურ კავშირს: თუ იგი განსაზღვრავს სკოლას, მაშინ წინადადების სტრუქტურა ასეთი იქნება:



მაგრამ თუ სიტყვა „ახალი“ განსაზღვრავს დირექტორს, მაშინ წინადადება ასე უნდა გავაანალიზოთ:



§2.4. ტრანსფორმაციული ანალიზის მეთოდი

ერთი სახის სინტაქსური სტრუქტურა შესაძლებელია გარდაექმნათ მეორე სახის სინტაქსურ სტრუქტურაში ისე, რომ მნიშვნელობა ან არ შეიცვალოს, ანდა თითქმის არ შეიცვალოს. მაგალითად, თხრობითი წინადადება (ბავშვი სკოლაში წავიდა) ინტონაციის შეცვლით შეიძლება გარდაექმნათ კითხვით (ბავშვი სკოლაში წავიდა?) ან ძახილის წინადადებად (ბავშვი სკოლაში წავიდა!) აქტიური წინადადება (მხატვარი სურათს ხატავს) ასევე შეიძლება გარდაექმნათ პასიურ წინადადებად (სურათი იხატება მხატვრის მიერ), რთული ქვეწყობილი წინადადება (როგორც კი გათენდა მამა ტყეში წავიდა, რომ შეშა მოეტანა)—მარტივ წინადადებად (გათენებისთანავე მამა ტყეში წავიდა შეშის მოსატანად.) და ა. შ. ერთი სინტაქსური სტრუქტურის მეორე სტრუქტურაში გარდაქმნას ეწოდება ტრანსფორმაცია (ლათ. transformatio—„გარდაქმნა, გარდასახვა“), ტრანსფორმაცია, რა თქმა უნდა, ფართო ცნებაა და იგი ენათმეცნიერების გარდა ბევრ სხვა მეცნიერებაშიც გამოიყენება, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ჩვენ სინტაქსური ტრანსფორმაციები გვინტერესებს და ამიტომ ტრანსფორმაციის დეფინიცია მხოლოდ სინტაქსის ითვალისწინებს.

ტრანსფორმაციული ანალიზის დროს დეტალურად უნდა შემოწმდეს,

მოცემული სინტაქსური სტრუქტურა მოცემულ ენაში რა სახის სინტაქსურ სტრუქტურებში შეიძლება გარდაიქმნას. ამოსავალ სინტაქსურ სტრუქტურას, რომლის გარადქმნის შესაძლებლობას ვამოწმებთ, ვუწოდოთ ბირთვული ან ბაზისური, ხოლო მისგან ნაწარმოებ სინტაქსურ სტრუქტურას — ტრანსფორმი. ტრანსფორმაციული ანალიზის შედეგად უნდა გაირკვეს, მოცემული ორი სინტაქსური სტრუქტურიდან რომელია ბაზისური და რომელი მისი ტრანსფორმი. განვიხილოთ ამ თვალსაზრისით მოქმედებითი გვარის ზმნები ქართულში.

მოქმედებითი გვარის ზმნები ქართულში შეიძლება გავყოთ ორ კლასად, რომელთაგან პირველ კლასში (A კლასი) შევა ის აქტიური ზმნები, რომელთაც —ა პრეფიქსი არა აქვთ (ხატავს, წერს, თლის, ჭრის, გრეხს, კლავს, ყოფს, ხნავს და სხვა), ხოლო მეორე კლასში (B კლასი)—ა პრეფიქსის მქონე აქტიური ზმნები (აკეთებს, ატირებს, ათეთრებს, აკერებს, აქრობს, აპობს, ასისინებს, აყენებს და სხვა).

A კლასის აქტიური ზმნები ქართულში ბაზისური ფორმებია, რომელთაგან იწარმოება ი- ან ე- პრეფიქსიანი პასიური ზმნები (ხატავს→იხატება/ეხატება, წერს→იწერება/ეწერება, თლის→ითლება/ეთლება, გრეხს→იგრეხება/ეგრეხება, კლავს→იკვლება/ეკვლება, ყოფს→იყოფა/ეყოფა, ხნავს→იხვნება/ეხვნება და სხვ.) დაუშვებელია A კლასის აქტიური ზმნების ტრანსფორმაცია ღონიან (ხატავს→*ხატავდება, წერს→*წერდება და სხვ.) ან უნიშნო ვნებითი (ხატავს→*ხატავება, წერს→*წერება და სხვ.). ასევე დაუშვებელია ამ კლასის აქტიური ზმნების ტრანსფორმაცია საშუალო გვარის ზმნებში (ხატავს→*ხატაობს, გრეხს→*გრეხაობს, თლის→*თალაობს და სხვ.). ტრანსფორმაციის აკრძალვას ეწოდება ბლოკირება. A კლასის აქტიური ზმნების ტრანსფორმაცია ღონიან ან უნიშნო ვნებითი, ანდა საშუალო გვარის ზმნებში, ქართულში ბლოკირებას განიცდის, ე.ი. A კლასის აქტიური ზმნები ჩამოთვლილ ტრანსფორმებს არ იძლევა.

სხვა მდგომარეობა გვაქვს ამ თვალსაზრისით B კლასის აქტიურ ზმნებში. ამ შემთხვევაში აქტიური ზმნა ბაზისური ფორმა კი არ არის, არამედ ტრანსფორმი, რომელიც ნაწარმოებია ა-პრეფიქსის საშუალებით ან საშუალო გვარის ზმნებისაგან (ტირის→ატირებს, სისინებს→ასისინებს, გიჟობს→აგიჟებს, სადილობს→ასადილებს, კითხულობს→აკითხებს, ფუსფუსებს→აფუსფუსებს და სხვ.), ან უნიშნო (ქრება→აქრობს, თბება→ათბობს, ღნება→აღნობს) და ღონიანი ვნებითისაგან (თენდება→ათენებს, ჩერდება→აჩერებს, გორდება→აგორებს და სხვ.), ანდა ინიანი ვნებითისაგან (ირწყვა→არწყვს, ირხვეა→არხვეს, იბნევა→აბნევს და სხვ.). ერთი სიტყვით, B კლასის აქტიური ზმნები ქართულში ნაწარმოებია საშუალო გვარის ან გარკვეული პასიური ზმნებისაგან.

ამრიგად, A კლასის აქტიური ზმნები ქართულში ბაზისური ფორმებია, ხოლო B კლასის აქტიური ზმნები-ტრანსფორმები. პირველ შემთხვევაში ტრანსფორმაცია აქტივიდან პასივისაკენ არის მიმართული, აქტიური ზმნების გარდაქმნა ხდება პასიურ ზმნებად, ხოლო მეორე შემთხვევაში, პირიქით, ტრანსფორმაცია მიმართულია პასიური ან მედიალური (საშუალო) გვარის ზმნებიდან აქტიური ზმნებისაკენ, ე.ი. მედიალური და პასიური ზმნები გარდაიქმნებიან აქტიურ ზმნებად.

ტრანსფორმაციის ორგვარი მიმართულება გავლენას ახდენს აქტანტებზეც, აპირობებს რა მათ სხვადასხვა სინტაქსურ სტატუსს. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტიური ზმნა პასიურ ზმნად ტრანსფორმირდება, აქტიური ზმნის სუბიექტი, როგორც ვიცით, „თვის“ თანდებულისან შომერად გადაკეთდება (დაქვეითდება), ხოლო პირდაპირი ობიექტი პასიურ წინადადებაში ფინალური სუბიექტის დონემდე აღზევდება (შდრ. მხატვარი სურათს ხატავს→სურათი იხატება მხატვრის მიერ). მაგრამ თუ ტრანსფორმაციას საპირისპირო მიმართულება აქვს, ე.ი. პასიური ან მედიალური ზმნის ტრანსფორმაცია ხდება აქტიურ ზმნად, მაშინ მედიალური ან პასიური ზმნის სუბიექტი ჩამოქვეითდება აქტიურ წინადადებაში ფინალური პირდაპირი ობიექტის დონემდე, რაც ავტომატურად იწვევს ახალი სუბიექტის შემოყვანას აქტიურ წინადადებაში (შდრ. ვანო გიჟობს→ვანოს გოგო ავიყვებს, კაბა შრება→დღა კაბას აშრობს და სხვ). როგორც ვხედავთ, როდესაც ტრანსფორმაცია აქტივიდან პასივისაკენ არის მიმართული, აქტიური წინადადების პირდაპირი ობიექტი პასიურ წინადადებაში სუბიექტს იძლევა, ხოლო როდესაც ტრანსფორმაცია მედიალური ან პასიური ზმნებიდან აქტიური ზმნებისკენ არის მიმართული, მაშინ, პირიქით, პასიური და მედიალური ზმნების სუბიექტი აქტიურ წინადადებებში ფინალურ პირდაპირ ობიექტად გადაკეთდება.

აღბათ დაისმება კითხვა, თუ რატომ არ შეიძლება A კლასის აქტიური ზმნები ქართულში სათანადო პასიური ზმნების ტრანსფორმებად მივიწინოთ, ხოლო თვითონ პასიური ზმნები-ბაზისურ ფორმებად? ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს. საქმე ისაა, რომ A კლასის აქტიური ზმნების შესატყვისი პასიური ზმნები მარკირებულია გვარის ნიშნებით, ი- ან ე- პრეფიქსებით, ხოლო თვითონ A კლასის აქტიური ზმნები გვარის გამომხატველნი რაიმე ნიშნით მარკირებული არაა. ეს გარემოება აშკარას ხდის იმას, რომ დერივაცია აქტივიდან პასივისკენ არის მიმართული, ე.ი. პასიური ზმნებია ნაწარმოები აქტიური ზმნებისაგან ენებითი გვარის ნიშნების დართვით.

B კლასის აქტიური ზმნები რომ სათანადო მედიალური და პასიური ზმნებისაგან არის ნაწარმოები, ამას კვლავ მარკირება გვიჩვენებს გვარის

ნიშნების მიხედვით. მედიალური ზმნები მარკირებული არაა რაიმე ნიშნის მიხედვით, ასევე არ არის მარკირებული გვარის თვალსაზრისით ე.წ. უნიშნო ვნებითი. პირიქით, B კლასის ზმნები მარკირებულია ა-პრეფიქსით, რომელიც, მართალია, მოქმედებითი გვარის მწარმოებელი ფორმანტი არაა, მაგრამ ითავსებს ამ ფუნქციას B კლასის ზმნებში, რადგანაც ამ პრეფიქსის მეშვეობით მედიალური და პასიური ფორმები, როგორც ვნახეთ, აქტიურ ზმნებად გადაკეთდება.

ის ფაქტი, რომ „აშენებს-შენდება“ ტიპის წყვილები მარკირებულია როგორც ვნებითი (შენ-დ-ებ-ა), ისე მოქმედებითი (ა-შენ-ებ-ს), ერთი — დ სუფიქსით, ხოლო მეორე ა-პრეფიქსით, ვერ ვუარყოფთ იმ ზოგად წესს რომლის მიხედვითაც B კლასის ზმნები პასიური და მედიალური ზმნების ტრანსფორმებია ქართულში. საქმე ისაა, რომ ერთი და იგივე ფორმა ერთ შემთხვევაში შეიძლება ტრანსფორმის როლში მოგვევლინოს, ხოლო მეორე შემთხვევაში — ბაზისური ფორმის როლში. „შენდება“ ფორმა ტრანსფორმია „შენება“ საწყის ფორმასთან მიმართებაში, ხოლო იგივე ფორმა ბაზისურია „აშენებს“ ფორმასთან კავშირში. ამიტომ ქართულში ერთგვარად მარკირებულია როგორც პასივი „შენდება“ ტიპისა, ისე მისი შესატყვისი აქტივიც „აშენებს“ ტიპისა. მაგრამ თუ რატომღა საჭირო პასივისა და აქტივის მარკირება ამის შესახებ ქვემოთ გვეჩვენა ლაპარაკი (იხ. თავი მეხუთე, §3). შეიძლება დავასკვნათ: „აშენებს-შენდება“ ტიპის წყვილებშიც ტრანსფორმაცია მიმართულია პასივიდან აქტივისაკენ. ასევე პასივიდან აქტივისაკენ არის მიმართული ტრანსფორმაცია „ირხევა-არხევს“ ტიპის წყვილებში და ამ თვალსაზრისით სრული ანალოგია გვაქვს მედიალურ ზმნებთან და უნიშნო ვნებითის ფორმებთან, რომლებშიც ტრანსფორმაციის მიმართულება ეჭვს არ იწვევს.

როგორც უკვე აღინიშნა, ტრანსფორმაციული ანალიზი ორი სინტაქსურის სტრუქტურის მსგავსებას გულისხმობს სემანტიკური თვალსაზრისით რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი სინტაქსური სტრუქტურის მეორე სინტაქსურ სტრუქტურაში ტრანსფორმაციის დროს წინადადების ლექსიკური მნიშვნელობა არ უნდა იცვლებოდეს. როდესაც ჩვენ „მსატყარი სურათს ხატავს“ აქტიური წინადადების ტრანსფორმაციას ვახდენთ პასიურ „სურათი იხატება მსატყრის მიერ“ წინადადებაში, ტრანსფორმაციის შედეგად წინადადების ლექსიკური მნიშვნელობა არ იცვლება და ამიტომ აქტიური და მისი სათანადო პასიური წინადადება ერთმანეთთან ტრანსფორმაციულ მიმართებაში უნდა განვიხილოთ. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია რომელიმე წევრის წაშლა ან შეზოგვანა, რაც ოდნავ ცულის მნიშვნელობას, მაგრამ თუ სხვა შემთხვევებში მნიშვნელობის იდენტობის პრინციპი დაცულია, მაშინ მათ ანალოგიურ შემთხვევებშიც ორი წინადადება ტრანსფორმაციულ მიმართებაში უნდა განვიხილოთ ერთმანეთთან.

ამიტომ სათანადო აქტიურ წინადადებასთან ტრანსფორმაციულ მიმართებაში არა მარტო „სურათი იხატება მხატვრის მიერ“ პასიური წინადადება, არამედ „სურათი იხატება“. წინადადებაც, სადაც შომერი საერთოდ წაშლილია. ერთი სიტყვით, „მხატვარი სურათას ხატავს“ წინადადების ტრანსფორმია როგორც „სურათი იხატება მხატვრის მიერ“ წინადადება, ისე „სურათი იხატება“ წინადადებაც.

ასეთივე მდგომარეობა გვაქვს იმ შემთხვევებშიც, როდესაც ტრანსფორმაცია მედიალური და პასიური ზმნებიდან აქტიური ზმნებისაკენ არის მიმართული. ერთმანეთთან ტრანსფორმაციულ მიმართებაშია, როგორც „ქარისგან კაბა შრება“ და „ქალი კაბას აშრობს“ წინადადებები, ისე „კაბა შრება“ და „ღელა კაბას აშრობს წინადადებებიც“, სადაც აქტიური წინადადებების სუბიექტი, ასე ვთქვათ, გარედან არის შემოყვანილი, რადგანაც სათანადო პასიურ წინადადებაში მისი შესატყვისი შომერი არა გვაქვს (* „კაბა შრება ღელის მიერ“ ქართულში გრამატიკულად არასწორი წინადადებაა).

ლექსიკური მნიშვნელობა შენარჩუნებულია თხრობითი წინადადების, კითხვით ან ძახილის წინადადებაში ტრანსფორმაციის დროსაც: თხრობითი (ბავშვი მოვიდა), კითხვითი (ბავშვი მოვიდა?) და ძახილის (ბავშვი მოვიდა!) წინადადებები ლექსიკური მნიშვნელობით არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. განსხვავება მათ შორის სტილისტურია. ასევე არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ლექსიკური მნიშვნელობის მიხედვით რთული ქვეწყობილი (როგორც კი გათენდა, მამა ტყეში წავიდა, რომ შეშა მოეტანა) და მისი შესატყვისი მარტივი (გათენებისთანავე მამა ტყეში წავიდა შეშის მოსატანად) წინადადებები.

ტრანსფორმაციის დროს წინადადების ერთი სინტაქსური მოდელი იცვლება მეორე სინტაქსური მოდელით და არა ლექსიკური მნიშვნელობა წინადადებისა, ამიტომ წინადადების ლექსიკური მნიშვნელობა წარმოადგენს იმ კონსტანტას, რომელიც დამოკიდებული არ არის ერთი სინტაქსური სტრუქტურის, მეორე სინტაქსურ სტრუქტურაში ტრანს-ფორმაციაზე.

ბაზისური ფორმისა და ტრანსფორმის საკითხი დაისმის ერთი პარა-დიგმის ფარგლებშიც. ასე, მაგალითად, თუ ჩვენ ავიღებთ მედიოაქტიური ზმნის პარადიგმას ქართულში (აწმყო: მეფობს, მყოფადი: იმეფებს, წყვეტილი: იმეფა, თურმეობითი I: უმეფია), ბაზისურ ფორმად უნდა მივიჩნიოთ აწმყოს ფორმა, რომლის ტრანსფორმებს წარმოადგენენ მყოფადის, წყვეტილისა და თურმეობითი I-ის ფორმები. ამგვარი დასკვნის საფუძველს იძლევა ის, რომ ფორმალურად „მეფობს“ არამარკირებულია,

ხოლო „იმეფებს“, „იმეფა“ და „უმეფია“ — მარკირებული გარკვეული სწოვან-პრეფიქსებით. უკანასკნელი ფორმები ტრანსფორმებია სემანტიკური თვალსაზრისითაც. ასე, „მეფობა“ და „იმეფა“ ფორმებს შორის განსხვავება გვაქვს არა მხოლოდ ფორმის მიხედვით, არამედ სემანტიკის მიხედვითაც და ეს განსხვავება სამ პარამეტრს ემყარება: 1) პირველი არის დრო, რადგანაც „მეფობს“ აწმყოა, ხოლო „იმეფა“ წარსული 2) მეორე განსხვავება ასპექტობრივია: „მეფობს“ უსრულ ასპექტს გადმოსცემს, ხოლო „იმეფა“—შეწყვეტილ ასპექტს, 3) მესამე განსხვავება ემყარება „აბსტრაქტულობა—კონკრეტულობას“: „მეფობს“ აბსტრაქტული ფორმაა, რომელიც დროში არ არის განფენილი. ამიტომ, „მეფობს“ ტიპის ფორმები ზოგად აწმყოსაც გამოხატავენ. „იმეფა“, პირიქით, კონკრეტულ შინაარსს გამოხატავს, რომელიც დროშია განფენილი და დროის ჩარჩოებით შემოსაზღვრული, ამიტომ ქართულში, ვთქვათ, წინადადება „ქალაქში სიმშვიდე მეფობს“ გრამატიკულად სწორია, მაგრამ *„ქალაქში სიმშვიდემ იმეფა“ ნახევრად გრამატიკულად სწორი წინადადებაა. მიზეზი ამისა არის ის, რომ წინადადება „ქალაქში სიმშვიდე მეფობს“ ზოგად აწმყოს გამოხატავს, რომელიც არ უშვებს ტრანსფორმაციას კონკრეტულ შინაარსში და, ამდენად, *„ქალაქში სიმშვიდემ იმეფა“ აღარ წარმოადგენს გრამატიკულად სწორ წინადადებას. მოცემული სამი ნიშანი განასხვავებს ერთმანეთისაგან „მეფობს—უმეფია“ ტიპის ფორმებსაც, მაგრამ „იმეფა“ ფორმისაგან განსხვავებით, „უმეფია“ მოქმედების შედეგსაც (რეზულტატურობა) აჩვენებს, რაც განასხვავებს კიდევ მას „იმეფა“—„მეფობს“ ტიპის ფორმებისაგან. განსხვავება არის „მეფობა-იმეფებს“ ტიპის ფორმებს შორისაც, რადგანაც „მეფობს“ ხასიათდება აწმყო დროით, უსრული ასპექტით და აბსტრაქტულობით, ხოლო „იმეფებს“— მომავალი დროით, უსრული ასპექტით და აბსტრაქტულობით, ხოლო „იმეფებს“—მომავალი დროით, კონკრეტულობით და შეწყვეტილი ასპექტით.

აწმყოს ფორმისგან მყოფადის, წყვეტილისა და თურმეობითი პირველის ფორმების გამოყვანა, უფრო ადვილია არა მატო ფორმალური, არამედ სემანტიკური თვალსაზრისითაც. უფრო მიზანშეწონილია წარსული დრო მივიჩნიოთ ახლანდელი დროის ტრანსფორმად, ვიდრე პირიქით, ასევე უფრო მიზანშეწონილია შეწყვეტილი ასპექტი და კონკრეტული სემანტიკა უსრული ასპექტისა და აბსტრაქტული სემანტიკის ტრანსფორმებად განვიხილოთ, ვიდრე საპირისპირო ტრანსფორმაციები დაეუშვათ. მაგრამ მთავარი მანც ისაა, რომ აწმყოს ფორმები „მეფობს“ ტიპისა

არამარკირებულა, ხოლო სხვა ფორმები – მარკირებული, და, ამდენად, ტრანსფორმებიც.

§ 3. გრამატიკული კატეგორიები

§3.1. ზოგადი საკითხები.

გრამატიკული მორფემები ერთიანდება გარკვეულ კატეგორიებში მათი ზიგადი სემანტიკის მიხედვით. ბრუნვის აღმნიშვნელი მორფემები, რა თქმა უნა, ბრუნვის კატეგორიაში გაერთიანდება, პირისა- პირის კატეგორიაში და ა. შ. გრამატიკული კატეგორიის შესახებ ლაპარაკობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, ესა თუ ის სემანტიკური მიმართება ან მიმართებები მოცემულ ენაში გრამატიკული მორფემებით (რელაციური მორფემებით) თუ არის გამოხატული. მაგალითად, ითვლება, რომ რუსულში გვაქვს სქესის კატეგორია, თუმცა სქესის მიხედვით განსხვავება ქართულშიც შეიძლება დავადასტუროთ. ქალი-კაცი, და-ძმა, ქმარი-ცოლი, გოგო-ბიჭი, დედა-მამა, ვაცი-ნეზვი და სხვა. ქართულში განსხვავებულია ერთმანეთისაგან მხოლოდ მდედრობითი და მამრობითი სქესი, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც არ ვამბობთ იმას, რომ ქართულში სქესი გვაქვს. საქმე ისაა, რომ რუსულში, სადაც სქესის კატეგორიას გამოყოფენ გარკვეული გრამატიკული მორფემები გვაქვს სხვადასხვა სქესის გამოსახატაად. მაგალითად, სიტყვაში ВЕСНА -а მდედრობითი სქესის ნიშანია ЗЕМЛЯ ამავე სქესის ნიშნად –я სუფიქსი გვეკლინება, ხოლო სიტყვაში ПЕРО სუფიქსი –о საშუალო სქესის ნიშნის როლში გამოდის და ა. შ. ქართულში კი სქესის გამოხატველი აფიქსები არა გვაქვს, და ამდენად, არც სქესის კატეგორია გამოიყოფა. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ სწორედ ასეთ გრამატიკულ კატეგორიებს.

§3.2. ბრუნება

ბრუნება, რომელიც სახელისთვის დამახასიათებელი კატეგორიაა, გამოხატავს გრამატიკულ, პოსესიურ და ლოკალურ მნიშვნელობებს. თუ პოსესიურსა და ლოკალურ მნიშვნელობებს ერთ კლასში გაფაერთიანებთ, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ბრუნება გამოხატავს გრამატიკულ და სემანტიკურ მიმართებებს. ეს ფუნქციები, მართალია, სხვადასხვა ბრუნებშია განაწილებული, მაგრამ მაინც შესაძლებელი ხდება მათი დიფერენცირება. პირველ რიგში განვიხილოთ გრამატიკული მიმართებები. ბრუნვის პარადიგმაში ბაზისური ფორმაა სახელობითი (ლათ. Nominativus), რომლის ტრანსფორმებს წარმოადგენს ყველა სხვა ბრუნვა. სახელობითის ძირითადი ფუნქციაა ნომინაცია, საგნის ან მოვლენის სახელდება. მაგრამ ესაა სახელობითის სემანტიკური ფუნქცია.

სახელობითის ძირითადი გრამატიკული ფუნქციაა სუბიექტის გამოხატვა. სახელობით ბრუნვას უპირისპირდება ბრალდებითი ბრუნვა (ლათ. Accusativus), რომლის ძირითადი გრამატიკული ფუნქციაა პირდაპირი ობიექტის გამოხატვა. საერთოდაც ცენტრალური გრამატიკული მიმართება არის იერარქიული მიმართება სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს შორის, რომელიც შეუძლებელია არ რეალიზდებოდეს რომელიმე ენაში. იმის მიხედვით, თუ როგორ გამოიხატება მრცეხული იერარქიული მიმართება სხვადასხვა ენაში, ჩვენ გვექნება ორი სხვადასხვა სისტემა, რომელთაგან ერთს ნომინატიური სისტემა ეწოდება, ხოლო მეორეს-ერგატიული.

აღვნიშნოთ გარდაუვალი ზმნის სუბიექტი S სიმბოლოთი (ლათ. Subject „სუბიექტი“), გარდამავალი ზმნის სუბიექტი A-თი (ლათ. Agens, ნათ. ბ. Agentis „მოქმედი“), ხოლო პირდაპირი ობიექტი P – თი (ლათ. Patiens „სამოქმედო“). თუ ენაში გარდაუვალი ზმნის სუბიექტი (S) და გარდამავალი ზმნის სუბიექტი (A) გამოიხატება ერთი და იმავე ბრუნვით (ნომინატივი), ხოლო პირდაპირი ობიექტი კი (P) – სპეციალური ბრუნვით (აკუსატივი), მაშინ სისტემა ნომინატიურ-აკუსატიური ან უბრალოდ ნომინატიური იქნება. ასე, მაგალითად, რუსულში S და A ყოველთვის ნომინატივში დგას. (შდრ. Рабочие строят школу. Школа строится рабочими): გარდამავალი ზმნის სუბიექტი (рабочие) და გარდაუვალი ზმნის სუბიექტი (школу) ნომინატივშია წარმოდგენილი, ხოლო პირდაპირი ობიექტი-აკუსატივში. ამიტომ ერთმანეთს ემთხვევა ბრუნვის მიხედვით აგენსი (A) და გარდაუვალი ზმნის სუბიექტი (S) და ორივე უპირისპირდება პირდაპირ ობიექტს, რომელიც მათგან განსხვავებული ბრუნვით (აკუსატივი) არის გამოხატული. ამგვარ სისტემას ეწოდება სწორედ ნომინატიური სისტემა.

სუბიექტმა და პირდაპირმა ობიექტმა მორფოლოგიური გამოხატულების მიხედვით სხვაგვარი სისტემაც შეიძლება შექმნან. გარდაუვალი ზმნის სუბიექტი (S) და გარდამავალი ზმნის სუბიექტი (A) შესაძლებელია არ ემთხვეოდეს ერთმანეთს ბრუნვის მიხედვით. უფრო მეტიც, ხშირად გარდაუვალი ზმნის სუბიექტი (S) ბრუნვის მიხედვით ემთხვევა არა გარდამავალი ზმნის სუბიექტს (A), არამედ პირდაპირ ობიექტს (P). რადგანაც გარდაუვალი ზმნის სუბიექტი (S) პირდაპირ ობიექტს (P) ემთხვევა ბრუნვის მიხედვით, ამიტომ გარდამავალი ზმნის სუბიექტი (A) აღარ შეიძლება იდგეს იმავე ბრუნვაში, რომელ ბრუნვაშიცაა წარმოდგენილი გარდაუვალი ზმნის სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი. ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გვექნება სიტყვათა ფიქსირებული რიგი, ე. ი. სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი ერთმანე-

თისაგან განსხვავებული იქნება პოზიციურად ისევე, როგორც ეს რუსულში «Мать любит дочь» და «Дочь любит мать» წინადადებებში გვაქვს. თუ ენაში სიტყვათა რიგი ფიქსირებული არაა, მაშინ გარდამავალი ზმნის სუბიექტი (A) არ შეიძლება იდგეს იმავე ბრუნვაში, რა ბრუნვაშიც ღვანან გარდაუვალი ზმნის სუბიექტი (S) და პირდაპირი ობიექტი (P). ასეთი დამთხვევა გარდამავალი ზმნის სუბიექტისა (A) და პირდაპირ ობიექტს (P) შორის გვექნებოდა, მაგალითად, ქართულში, რომ გვექნებოდა ასეთი წინადადებები: *„პეტრე ვანო მოკლა“, „*პეტრე ვანო გალახა, „*ბავშვი მამა დაინახა, *პლანტატორი ზანგი იყიდა და სხვ. ამის ნაცვლად ქართულში გვაქვს „პეტრემ ვანო მოკლა“, „პეტრემ ვანო გალახა“, „ბავშმა მამა დაინახა“, „პლანტატორმა ზანგი იყიდა“ და სხვა ამგვარი წინადადებები, რომლებშიც გარდამავალი ზმნის სუბიექტი (A) და პირდაპირი ობიექტი (P) სხვაგვარად სხვა ბრუნვის ფორმით არის გამოხატული და ამ გზით დისტანცია არის დამყარებული სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს შორის, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი ერთმანეთში აღრევა. ამრიგად, თუ პირდაპირი ობიექტი (P) გამოიხატება იმავე ბრუნვით, რა ბრუნვაშიც წარმოდგენილია გარდაუვალი ზმნის სუბიექტი (S), მაშინ ან სიტყვათა რიგი იქნება ფიქსირებული, ანდა გარდამავალი ზმნის სუბიექტი (A) დადგება ისეთ ბრუნვაში, რომელშიც არ იქნება წარმოდგენილი არც გარდაუვალი ზმნის სუბიექტი (S) და არც, მით უმეტეს, პირდაპირი ობიექტი (P). ამგვარ სპეციალურ ბრუნვას, რომელშიც გარდამავალი ზმნის სუბიექტი (A) დაისმის, ეწოდება ერგატივი (ბერძნ. ergates „მოქმედი პირი“), ხოლო თვითონ სისტემას ერგატიული. ასეთი სისტემა გვაქვს სწორედ ქართულში გარდამავალი ზმნის მეორე სერიის ფორმებთან, რადგანაც გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტი ნომინატივით გამოიხატება ისევე, როგორც გარდაუვალი ზმნის სუბიექტი (მდრ. სახლი აშენდა – პეტრემ სახლი ააშენა), რაც აპირობებს გარდამავალი ზმნის სუბიექტს (A) ერგატივში დასმას.

ამრიგად, ნომინატიურ სისტემაში ერთი და იმავე ბრუნვით (ნომინატივი) გამოხატულია გარდაუვალი ზმნის სუბიექტი (S) და გარდამავალი ზმნის სუბიექტი (A), მაგრამ პირდაპირი ობიექტისათვის (P) არსებობს სპეციალური ბრუნვა აქუსატივის სახით. ერგატიულ სისტემაში, პირიქით, ნომინატივით გამოხატულია გარდაუვალი ზმნის სუბიექტი (S) და პირდაპირი ობიექტი (P) და ამიტომ სპეციალური ბრუნვა (ერგატივი) არსებობს გარდამავალი ზმნის სუბიექტისათვის (A). ენათა ერთ ნაწილში ნომინატიური სისტემა გვაქვს, ხოლო მეორე ნაწილში-ერგატიული სისტემა, თუქცა ზოგიერთ ენაში ეს ორი სისტემა ერთმანეთთან თანაარსებობს. ამიტომ ენებს ყოფენ ნომინატიური და ერგატიული წყობის ენებად.

რუსული, მაგალითად, ნომინატიური წყობის ენებს ეკუთვნის, ხოლო ქართული-ერგატიული წყობის ენებს, რა თქმა უნდა, გარკვეული აზრით.

ნომინატივისა და ერგატივის ძირითადი გრამატიკული ფუნქციაა სუბიექტის გამოხატვა, ხოლო აკუსატივისა-პირდაპირი ობიექტის გამოხატვა. სუბიექტი არ შეიძლება იდგეს აკუსატივში, მაგრამ პირდაპირი ობიექტი შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ნომინატივში. ერგატიულ სისტემაში პირდაპირი ობიექტის ფუნქციად, მართალია, კვლავ რჩება სუბიექტის გამოხატვა, რადგანაც, სხვას რომ თავი დავანებოთ, გარდაუვალი ზმნების სუბიექტს ერგატიული წყობის ენებში ნომინატივი გამოხატავს, მაგრამ მოცემულ სისტემაში (ერგატიული სისტემა) ნომინატივი ითავსებს პირდაპირი ობიექტის გამოხატვის ფუნქციასაც, რაც სხვა არაფერია, თუ არა ნომინატივის ჩამოქვეითება. ნომინატივის ძირითადი ფუნქციაა, ვიშორებთ, როგორც ნომინატიური, ისე ერგატიული წყობის ენებში სუბიექტის გამოხატვა. ამიტომ როდესაც ნომინატივი პირდაპირ ობიექტს გამოხატავს, ეს მოვლენა ნომინატივის ჩამოქვეითებაზე მიგვანიშნებს.

ჯერ კიდევ ანტიკურ გრამატიკაში განიხილებოდა ნომინატივი როგორც პირდაპირი ბრუნვა (ლათ. *casus rectus*), ხოლო სხვა ბრუნვები-როგორც ირიბი ბრუნვები (*casus obliquus*) და ნომინატივის ამგვარი დაპირისპირებისათვის სხვა ბრუნვებთან არსებობს საფუძველი. ნომინატივი, როგორც ნომინაციის ერთადერთი ფორმა და აქტანტებს შორის ყველაზე მაღალი რანგის მქონე აქტანტის (სუბიექტი) გამოხატველი ბრუნვა, რომელიც ამავე დროს ბაზისური ფორმაა, განსხვავდება სხვა ბრუნვებისაგან, რომლებიც მის ტრანსფორმებს წარმოადგენენ.

სხვადასხვა გრამატიკულ ფუნქციას ასრულებს მიცემითი ბრუნვა (*Dativus*), მაგრამ მისი ფუნქციების შესახებ ქვემოთ იქნება ლაპარაკი (იხ. ქვევა, კუსატივი).

პოსესივის (კუთვნილება) გამოხატვის ფუნქცია ენებში დაკავშირებულია ნათესაობით (*Genetivus*) ბრუნვასთან. ამ თვალსაზრისით ენებს შორის საოცარი პარალელიზმი შეინიშნება.

ნათესაობით ბრუნვას რამდენიმე სხვადასხვა ფუნქცია აქვს: 1) ნათესაობითი ბრუნვა გამოხატავს იმავე შინაარსს, რაც სხვა შემთხვევებში ქონა-ყოლის ზმნებით გამოიხატება (შდრ. ხარის კული-ხარს აქვს კული, ამხანაგის სახლი-ამხანაგს აქვს სახლი, მეზობლის გოგომეზობელს ჰყავს გოგო და სხვ.), 2) ნათესაობითი შეიძლება გამოიხატოს იგივე მნიშვნელობა, რასაც ზედსართავი გამოხატავს (შდრ. „ხის კედელი-деревянный дом, ქვის კედელი-каменная стена და სხვ.). „ხის სახლი“, მეორე მხრივ, არ უდრის „ხეს აქვს სახლი“ ტიპის ფრაზებს მნიშვნელობის მიხედვით და ამიტომ „ხარის კული“ და „ხის სახლი“ კონსტრუქ-

ციებში ნათესაობით ბრუნვას სხვადასხვა დერივაციის ისტორია აქვს. 3) ნათესაობითი ბრუნვით გამოინატება სუბიექტი, ამიტომ „ბულბულის გალობა“ მნიშვნელობით უდრის „ბულბული გალობს“ კონსტრუქციას. 4) ნათესაობითმა შეიძლება გამოხატოს პირდაპირი ობიექტიც. ფრაზაში „სახლის შენება“ ნათესაობითი გამოხატავს პირდაპირ ობიექტს, რადგანაც ეს ფრაზა იმავ მნიშვნელობას გადმოსცემს, რასაც „სახლს აშენებს“ კონსტრუქცია. ამიტომ ერთმანეთისაგან განასხვავებენ სუბიექტის ნათესაობითსა და ობიექტის ნათესაობითს. ორივე ეს მნიშვნელობა ნათესაობითისა შესაძლებელია ერთ კონსტრუქციამაც კი იყოს გაერთიანებული. მაგალითად, „მწერლის მიპატიება“ გამოხატავს როგორც სუბიექტის ნათესაობითს (მწერალი ვილაცას პატიებას), ისე ობიექტის ნათესაობითსაც (მწერალს ვილაც პატიებას). 5) ნათესაობითი შეიძლება გამოხატავდეს პარტიცივსაც (ლათ. pars/partis – ნაწილი). ეს ფუნქცია ნათესაობით ბრუნვას ქართულშიც აქვს (შდრ. წყლის წვეთი, პერანგის ნაგლეჯი და სხვ.), მაგრამ უფრო რელიეფურადაა იგი წარმოდგენილი რუსულში (შდრ. стакан воды, кружка пива და სხვ.).

ნათესაობითი ბრუნვის ყველა ფუნქციას, რა თქმა უნდა, ჩვენ აქ ვერ განვიხილავთ, მაგრამ აღნიშნულიც საკმარისია იმის საჩვენებლად, თუ როგორი რთული ტრანსფორმია ნათესაობითი ბრუნვა, ე. ი. თუ როგორ სხვადასხვაა მისი დერივაციის ისტორია. მიუხედავად ასეთი სხვადასხვაობისა, ყველა ეს მნიშვნელობა ნათესაობითი ბრუნვის ერთ კლასში იყრის თავს. ესაა პოსესივის კლასი. როგორი განსხვავებულიც არ უნდა იყოს ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციები, ყველა ისინი მაინც პოსესიური მნიშვნელობებია, ხოლო პოსესივის გამომხატველი ბრუნვა ნათესაობითია.

ბრუნვით გამოინატება ლოკალური მნიშვნელობებიც. ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლოკალურ მნიშვნელობაში არ იგულისხმება მხოლოდ სივრცე (ლათ. localis „ადგილობითი“), აქვე შემოდის დროც, რადგანაც ეს ორი ცნება ენებში ერთ სისტემებშია გაერთიანებული (შდრ. თბილისში დაიბადა—1920 წელში დაიბადა, ცხენზე ზის—დროზე მოვიდა, გორიდან თბილისამდე 80 კილომეტრია—20 წლიდან—30 წლამდე სოფელში ცხოვრობდა და სხვ.).

ზოგადი ლოკალური მნიშვნელობები, რომლებიც ენებში გამოინატება, დაახლოებით შემდეგია: ინესივი, ადესივი, სუპერესივი, ალატივი, აბლატივი, ელატივი, ილატივი, პარტიცივი, კომიტატივი და სხვ. ინესივი აღნიშნავს შიგნით ყოფნას (სახლში, მინდორში, ტყეში... дома, в лесу), ადესივი ახლოს ყოფნას (სახლთან ახლოს, თეატრთან ახლოს... у дома, у театра...), სუპერესივი გამოხატავს ზედაპირზე ყოფნას (კლდეზე, მიწაზე... на скале, на земле), ალატივის ფუნქცია გადმოიციკა

„კენ“ თანდებულთ (სახლისკენ, ტყისკენ... к дому, к лесу...). აბლატივი და ელატივი-ორივე გამოსვლითობას აღნიშნავს, მაგრამ ქართულში ეს ორი მნიშვნელობა ერთმანეთისგან არ განსხვავდება. რუსულში, პირიქით, ისინი ერთმანეთისაგან მკაცრად გარჩეულია: ელატივი აღნიშნავს შიგნიდან გამოსვლას (შდრ. Он вышел из дому), ხოლო აბლატივი — გარედან გამოსვლას (შდრ. От Москвы до Ленинграда). ილატივით გამოხატულია რაღაცის შიგნით შესვლა (შდრ. სახლში შევიდა, ქალაქში წავიდა...). ილატივისა და ინესივის განსხვავებას ქართულში არ ენიჭება მნიშვნელობა (შდრ. ქალაქში წავიდა—ქალაქში ცხოვრობს), მაგრამ რუსულში ისინი გარჩეულია და სხვადასხვა ბრუნვით გამოიხატება (შდრ. Он отправился в город — Он живёт в городе). პარტიტივი აღნიშნავს მთელის ნაწილს (შდრ. წყლის წვეთი, стакан воды, бутылка пива), ხოლო კომიტატივი-თანაობას (შდრ. ქალაქში წავიდა თავის ძმასთან ერთად).

ლოკალური მნიშვნელობები, როგორც წესი, წინდებულებით ან თანდებულებით გამოიხატება, მაგრამ იშვიათად გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ლოკალური შინაარსი უთანდებულო ბრუნვით არის გამოხატული (შდრ. ქალაქს წავიდა, ქალაქით მოვიდა...). პოსესიური მნიშვნელობები, პირიქით, როგორც წესი, ნათესაობითი ბრუნვით გამოიხატება, მაგრამ იშვიათად იგი შეიძლება გამოიხატოს თანდებულთ (შდრ. ინგ. My brother's wife „ჩემი ძმის ცოლი“) ან წინდებულთ (professor of general linguistics „ზოგადი ენათმეცნიერების პროფესორი“). ამიტომ თანდებულები და წინდებულები ცალკე გრამატიკულ კატეგორიას არ ქმნიან. ისინი ბრუნვის კატეგორიაში ერთიანდებიან, გამოხატავენ რა ლოკალურ მიმართებებს დროსა და სივრცეში.

§3.3. რიცხვი

რიცხვი ორგვარია ლექსიკური და გრამატიკული. ლექსიკური რიცხვი გამოიხატება რიცხვითი სახელებით, იქნება ეს რაოდენობითი (ერთი, ორი, სამი...), რიგობითი (პირველი, მეორე, მესამე...) თუ წილობითი (მეორედი, მესამედი, მეოთხედი...).

თვლის სისტემა განსხვავებულია ენების მიხედვით. ჩვენ გვაქვს ისეთი ენები, სადაც თვლის მაქსიმალური ზღვარი ექვსია. ასე, მაგალითად, ინდიელთა ერთ-ერთ ენაში (ბაკაირის ენა ამაზონზე) თვლის ექვსობითი სისტემა გვაქვს მხოლოდ. ამ ენაზე tokale ნიშნავს ერთს, ahage — ორს, ahage tokale სამს, ahage ahage — ოთხს, ahage ahage tokale — ხუთს, ხოლო ahage ahage ahage — ექვსს. ექვსზე მეტი რიცხვი უკვე ბევრია. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ბევრ სხვა ეგზოტიკურ ენაშიც.

ოდითგანვე თვლა დაკავშირებული იყო თითებთან, მაგრამ ერთ-ერთი პაპუასური ენა ტელეფოლი (ახალი გვინეა) ამ თვალსაზრისით ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. ამ ენაში მარცხენა ხელის ნეკი აღნიშნავს „ერთს“, არათითი — ორს, შუა თითი-სამს, სალოკი თითი-ოთხს, ცერი-ხუთს, მარცხენა მაჯა-ექვსს, მარცხენა წინა მხარე-შვიდს, მარცხენა იდაყვი რვას, მარცხენა ბიციფსი-ცხრას, მარცხენა ბეჭი-ათს, კისრის მარცხენა მხარე-თერთმეტს, მარცხენა ყური-თორმეტს, მარცხენა თვალი-ცამეტს, ცხვირი თოთხმეტს. შემდეგ თვლა გრძელდება მარჯვენა მხარეზე, სადაც მარჯვენა თვალი თხუთმეტს აღნიშნავს, მარჯვენა ყური-თექვსმეტს და ა. შ. თვლა გრძელდება 27-მდე, რომელიც მარჯვენა ხელის ნეკით არის აღნიშნული.

თითებით თვლის მიხედვით ენებში განსხვავებულია ათობით ანუ დეციმალური (ლათ. decem „ათი“) და ოცობით ანუ ვიგეზიმალური (ლათ. vigesim „ოცი“) სისტემები. რუსულში, მაგალითად, დეციმალური სისტემა გვაქვს, რადგანაც სამოცი რუსულად არის არა სამი ოცი, არამედ ექვსი ათი (шестьдесят), ხოლო ოთხმოცი-არა ოთხი ოცი, არამედ რვა-ათი (восемьдесят). ქართულში, პირიქით, სამოცი არის არა ექვსი ათი, არამედ სამი ოცი, ხოლო ოთხმოცი არის არა რვა ათი, არამედ ოთხი ოცი. ასეულების დონეზე ქართულიც ათობით სისტემაზე გადადის.

ლექსიკური რიცხვებისაგან განსხვავდება გრამატიკული რიცხვი. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, ერთმანეთს უპირისპირდება მხოლობითი და მრავლობითი და ამ ოპოზიციაში მარკირებულია მხოლოდ მრავლობითი რიცხვი, მხოლობითი კი რაიმე სპეციალური მორფემით არ გამოიხატება (შდრ. ქართ. წიგნი→წიგნები, რუს. мальчик→мальчики, ინგ. book→books და სხვ.).

ზოგ ენაში მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის გვერდით გვაქვს ორობითი რიცხვიც (dualis). ასეთი მდგომარეობა გვქონდა, მაგალითად, ძველ რუსულში, სადაც была ფორმა „ორ მგელს“ აღნიშნავდა. როგორც ჩანს, ფიჯი ენას მხოლოობითი, ორობითი და მრავლობითი რიცხვის გარდა სამობითი (trialis) რიცხვიც აქვს.

ენებში გავრცელებულია ე. წ. pluralia tantum (მხოლოდ მრავლობითი). ასეთი ფორმებია რუსულში сани, брюки, очки და ა. შ., ინგლისურში scissors [sɪzəz] „მაკრატელი“, trousers [traʊzəz] „მარვალი“ და სხვ.

რიცხვი საზიარო კატეგორიაა სახელისა და ზმნისათვის. ამიტომ რიცხვი ზმნითაც გამოიხატება. როგორც წესი, ზმნაში გამოიხატება მხოლოდ სუბიექტის რიცხვი (შდრ. он читает-они читают, он пишет-они пишут და ა. შ.) მაგრამ ძველ ქართულში ზმნაში სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტის რიცხვიც გამოიხატებოდა (შდრ. სჯობს,

საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია). მხოლოდით რიცხვში გვექნებოდა „სჯობს, საყვარელსა უჩვენო საქმე საგმირო“, მაგრამ რადგანაც პირდაპირი ობიექტი (საქმენი) მრავლობითში დგას, ამიტომ მისი რიცხვი ასახულია ზმნაში — სუფიქსით (უჩვენ-ნ-ე).

საინტერესოა რიცხვის თვალსაზრისით პირის ნაცვალსახელები. „ისინი“ აღნიშნავს მესამე პირის სიმრავლეს, „თქვენ“ აღნიშნავს მეორე ან მეორე და მესამე პირის სიმრავლეს, ხოლო „ჩვენ“ ან პირველი პირის სიმრავლეს აღნიშნავს, ან პირველი და მეორე პირის სიმრავლეს, ანდა პირველი და მესამე პირის სიმრავლეს. რადგანაც „ჩვენ“ ნაცვალსახელი ასე დატვირთულია სემანტიკური თვალსაზრისით, ამიტომ ზოგ ენაში სხვადასხვაგვარი ფორმით აღინიშნება, ერთი მხრივ, პირველი და მეორე პირის სიმრავლე, ხოლო მეორე მხრივ, პირველი და მესამე პირის სიმრავლე. თუ პირველი პირის ნაცვალსახელი მრავლობით რიცხვში გულისხმობს მეორე პირს, მაშინ გვექნება ინკლუზიური მრავლობითი (ფრანგ. inclusion „ჩართვა“), მაგრამ თუ იგი მეორე პირს გამორიცხავს, მესამე პირს გულისხმობს, მაშინ, ექსკლუზიურ (ფრანგ. exclusion „ამორთვა“, „ამორიცხვა“, „ამოღება“) მრავლობით რიცხვს მივიღებთ. ასეთი მდგომარეობა გვაქვს, მაგალითად, სვანურში, სადაც „ლ-აშხი-ღ“ და „ხუ-აშხი-ღ“ აღნიშნავს „ჩვენ ვწვავთ, მაგრამ პირველ შემთხვევაში იგულისხმება „მე და შენ ვწვავთ“ (ინკლუზივი), ხოლო მეორე შემთხვევაში — „მე და ის ვწვავთ“ (ექსკლუზივი).

§ 3.4. სქესი და კლასი

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სქესი როგორც სემანტიკური კატეგორია (ლათ. sexus „სქესი“, რუს. пол) და სქესი როგორც გრამატიკული კატეგორია (ლათ. genus „სქესი“, რუს. род) პირველი მნიშვნელობით სქესი მხოლოდ ცოცხალი არსებებისათვის (სულიერთა კლასი) არის დამახასიათებელი და გამოხატავს დაპირისპირებას მამრობით და მდედრობით სქესს შორის (მდრ. ქალი-კაცი, გოგო-ბიჭი, ძმა-და, ქალი-ვაჟი და სხვ.). ასეთი სქესი გამოიხატება ყველა ენაში მამრობითი და მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი სიტყვების დაპირისპირებით. გრამატიკული სქესი დამახასიათებელია არა მარტო სულიერი, არამედ უსულო საგნებისათვისაც, რომელთაც ბიოლოგიური სქესი არც შეიძლება ჰქონდეთ. რუსულში, მაგალითად, მამრობითი სქესისაა როგორც брат „ძმა“, ისე камень „ქვა“, თუმცა ქვას, როგორც უსულო საგანს, ბიოლოგიური სქესი არ ახასიათებს. ამიტომ საგანთა კლასიფიკაცია გრამატიკული სქესის მიხედვით პირობითია, ე.ი. არ არის მოტივირებული თვითონ საგნის ბუნებით. ამიტომაც, რომ завод „ქარხანა“ რუსულში

მამრობითი სქესისაა, ხოლო фабрика – მდედრობითი სქესისა, сунбота „შაბათი“ მდედრობითია, понедельник „ორშაბათი“ – მამრობითი, ხოლო воскресенье „კვირა“ – საშუალი სქესისა. მხოლოდ პირობითობით თუ შეიძლება აიხსნას ის, რომ რუსულში зима „ზამთარი“ მდედრობითი სქესისა, ხოლო лето „ზაფხული“ – საშუალი სქესისა.

ასევე პირობითია საგანთა კლასიფიკაცია გრამატიკული სქესის მიხედვით გერმანულშიც. ამიტომ der Tisch „მაგიდა“ მამრობითი სქესისაა, das Buch „წიგნი“ – საშუალი, ხოლო die Feder „კალამი“ – მდედრობითი სქესისა. რაგდანაც გრამატიკული სქესის მიხედვით საგანთა კლასიფიკაცია პირობითია, ამიტომ ერთი და იგივე საგანი სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სქესში შეიძლება მოექცეს. რუსულში книга „წიგნი“ მდედრობითი სქესისაა, გერმანულში ამავე მნიშვნელობის მქონე სიტყვა das Buch – საშუალო სქესისაა, ხოლო ფრანგულში – მამრობითი სქესისა (le livre).

სხვადასხვა ენაში შესაძლებელია სხვადასხვა იყოს თვითონ ოპოზიციებიც გრამატიკული სქესის მიხედვით. რუსულსა და გერმანულში გრამატიკული სქესის სამწევრა მოდელი გვაქვს, რომელშიც განსხვავებულია მამრობითი, მდედრობითი და საშუალი სქესი. მაგრამ ფრანგულში მხოლოდ ორწევრა მოდელი გვაქვს, რადგანაც აქ მხოლოდ მამრობითი და მდედრობითი სქესის ოპოზიციია. ინგლისურში სახელების დონეზე ეს ოპოზიცია საერთოდ განეიტრალებულია და მხოლოდ მესამე პირის ნაცვალსახელების მიხედვით ირკვევა, თუ რომელ სქესს გამოხატავს ესა თუ ის სიტყვა.

მართალია, გრამატიკული სქესის მიხედვით საგანთა კლასიფიკაცია პირობითია, მაგრამ ლიტერატურასა და პოეზიაში გარკვეული ეფექტის მისაღებად აუცილებელი ხდება პირობითი კლასიფიკაციის გააზრება მოტივირებულ კლასიფიკაციად. როგორც ცნობილია, ნ. ვ. გოგოლმა თავის ნაწარმოებში „Петербургские заметки 1836 года“ ერთმანეთს დაუპირისპირა სქესობრივი თვალსაზრისით მოსკოვი (Москва) და პეტერბურგი (Петербург) და ასეთ დასკვნაზე მივიდა „Москва женского пола Петербург мужского. В Москве все невесты в Петербурге все женихи“.

როგორც ვხედავთ, მხატვრული თვალსაზრისით მოსკოვისა და პეტერბურგის გოგოლისეული დაპირისპირება მოხდენილია, მაგრამ სინამდვილეში მას არაფერი არ შეესატყვისება.

ჰ. ჰაინეს ლექსში „Ein Fichtenbaum steht einsam“ ლაპარაკია კედარზე (Fichtenbaum), რომელიც გერმანულში მამრობითი სქესისაა. კედარი, რომელიც ჩრდილოეთში იმყოფება, შეყვარებულია შორეულ სამხრეთში მყოფ პალმაზე die Palme (მდედრობითი სქესი). მამრობითი

და მდებარეობითი სქესის ამგვარი დაპირისპირებით ჰ. ჰინე ქმნის მამაკაცური სიყვარულის უკიდვანობის შესანიშნავ მხატვრულ სახეს. მაგრამ მ. ლერმონტოვმა მამრობითი სქესის Fichtenbaum რუსულად თარგმნა როგორც СОСНА „ფიჭვი“, რომელიც მდებარეობითი სქესისაა და ამ გზით, ლ. შჩერბას სიტყვებით, სრულიად დაუკარგა ლექსის ის აზრი, რაც დამყარებული იყო მამრობითი სქესის Fichtenbaum-სა და მდებარეობითი სქესის Palme-ს დაპირისპირებაზე. ჰ. ჰინე ამ ლექსში მამრობითი და მდებარეობითი სქესის დაპირისპირებას მოტივირებულ გააზრებას აძლევდა, რაც მ. ლერმონტოვის თარგმანში მთლიანად დაიკარგა, რადგანაც შეყვარებული წყვილის როლში ორი მდებარეობითი სქესის არსება აღმოჩნდა.

სქესის კატეგორიისაგან უნდა განვასხვავოთ გრამატიკული კლასის კატეგორია. ეს განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ გრამატიკული კლასების მიხედვით საგანთა კლასიფიკაცია მოტივირებულია და არა პირობითი, როგორც ეს სქესის შემთხვევაში გვექონდა. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ პაპუასურ ენაში, რომელსაც ასმატი ეწოდება, განსხვავებულია საგანთა ხუთი კლასი გარკვეული სემანტიკური ნიშნების მიხედვით: პირველ კლასში შედის ისეთი საგნები, რომლებიც დგანან, წვრილი და ძალაღლი (ამ კლასში შემოდის, სხვათაშორის, ხეები და მამაკაცები). მეორე კლასში გაერთიანებულია მჯდომიარე საგნები, რომლებსაც სიგანე და სიმაღლე თითქმის ერთნაირი აქვთ. ამ კლასშია გაერთიანებული სახლებიცა და ქალებიც. მესამე კლასში შედის მწოლიარე საგნები, ფართო და დაბალი (წაქცეული ხეები, ქვეწარმავლები, ასევე მზე და მთვარე, როდესაც ისინი ეს-ეს არის გამოჩნდებიან პორიზონტზე). მეოთხე კლასში მოქცეულია მცურავი საგნები (თევზები, ნავები და თვით მდინარეებიც). მეხუთე კლასს ქმნის მფრინავი საგნები (ფრინველები, მწერები, საგნები, რომლებიც დაკიდებულია ანდა ზემოთ არიან მოთაესებული).

გრამატიკული კლასები გაერცელებულია კავკასიურ ენებშიც. ერთ-ერთი ასეთი ენაა ხუნძური (დაღესტნის ენა), რომელშიც განსხვავებულია სამი კლასი: მამაკაცის, ქალისა და ნივთის. მამაკაცის კლასი ზმნაში გამოხატულია ვ-პრეფიქსით (შღრ. ემენ ვ-უგო „მამა“), დედაკაცისა — ჟ პრეფიქსით (შღრ. ემენ ჟ-უგო „დედა“), ხოლო ნივთი — ბ პრეფიქსით (შღრ. ბაყ ბ-უგო „მზე“). საყურადღებოა, რომ გათხოვებამდე ქალი ნივთის კლასში ექცევა, ხოლო გათხოვების შემდეგ — დედაკაცის კლასში.

§ 3.5. პირი

ეს კატეგორია დამახასიათებელია ნაცვალსახელისა და ზმნისათვის. არსებითი სახელი ყოველთვის მესამე პირია. პირი სამია: პირველი

მოსაუბრე პირი, ე.ი. მოლაპარაკე ინდივიდი, მეორეა მსმენელი, ხოლო მესამე ის პირია, ვიზეც ან რაზეც საუბრობენ. კომუნიკაციის უშუალო მონაწილეა მხოლოდ პირველი და მეორე პირი. ამიტომ პირველი და მეორე პირი შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანი. კომუნიკაციას ადგილი აქვს მხოლოდ ადამიანებს შორის და, ამდენად, კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირებიც მხოლოდ ადამიანური არსებები უნდა იყვნენ. მართალია, ზღაპრებში ცხოველები და ფრინველებიც ლაპარაკობენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი ადამიანების სახით არიან წარმოდგენილი, პერსონიფიცირებული არიან და ამიტომ ზღაპრებსა და იგაეებშიც კომუნიკაციის აქტის მონაწილეებად ადამიანები იგულისხმება. მესამე პირი შეიძლება იყოს როგორც ადამიანი, ისე ყველა სულიერი და უსულო არსება.

ამრიგად, პირველი და მეორე პირი უპირისპირდება მესამე პირს. ეს დაპირისპირება ზოგჯერ იქამდეც კი მიდის, რომ ამა თუ იმ ენაში მესამე პირის ნაცვალსახელი შესაძლოა საერთოდ არ იყოს. ამგვარი მდგომარეობა გვაქვს, მაგალითად, ქართულში, სადაც მესამე პირის გამოხატავად ჩვენებითი ნაცვალსახელები გამოიყენება. „ის“, „იგი“ ნაცვალსახელები ქართულში ჩვენებითი ნაცვალსახელებია და თავისი მნიშვნელობით ისინი რუსულში უტოლდებათ ТОТ, ТА, ТО ჩვენებით ნაცვალსახელებს და არა ОН, ОНА, ОНО პირის ნაცვალსახელებს. ამის დამამტკიცებელია ის, რომ ქართულში „ის“, „იგი“ ნაცვალსახელები სინტაქსურ კავშირს ამყარებენ არა მარტო შემასმენელთან (შდრ. ის მოვიდა, ის მღერის; იგი მოვიდა, იგი მღერის...), არამედ არსებით სახელთანაც (შდრ. ის კაცი, იგი კაცი და სხვ.). რუსულში კი ОН, ОНА, ОНО სინტაქსურ კავშირს ამყარებენ მხოლოდ შემასმენელთან (შდრ. ОН пришёл, она пришла, оно пришло...) და არა არსებით სახელებთან. ამიტომ რუსულში «*он товарищ», «*она книга», «*оно перо» ტიპის ფრაზები არა გვაქვს. ასეთ შემთხვევაში რუსულში შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ ჩვენებითი ნაცვალსახელები: ТОТ товарищ, та книга, то перо (შდრ. Тот товарищ пришёл და არა *Он товарищ пришёл. Та книга лежит на столе და არა *Она книга лежит на столе. То перо хорошо пишет და არა *Оно перо хорошо пишет). ეს გარემოება კი იმას გვიმტკიცებს, რომ ОН, ОНА, ОНО რუსულში მხოლოდ პირის ნაცვალსახელებია, რომელთა მაგივრობას ქართულში ჩვენებითი ნაცვალსახელები ეწევიან.

პირი ორგვარია იმის მიხედვით, სუბიექტს გამოხატავს იგი თუ ობიექტს. სუბიექტური პირის გამოხატვა ზმნაში ჩვეულებრივი მოვლენაა. შედარებით იშვიათია ობიექტური პირის გამოხატვა. რუსულში, მაგალითად ზმნაში გამოიხატება მხოლოდ სუბიექტური პირი (შდრ. Я

რი-სუ-იო, ტყ რისუ-ეშ, ონ რისუ-ეტ). ქართულში კი სუბიექტურ პირთან ერთად (მე ვ-ხატავ, შენ (პ)-ხატავ, ის ხატავ-ს) ზმნაში გამოიხატება ობიექტური პირიც (ის მ-ხატავ-ს მე, ის გ-ხატავ-ს შენ, ის ხატავ-ს მას). სუბიექტური პირის ნიშნებს ქართულში უწოდებენ ვინის რიგს პირველი სუბიექტური პირის ვ- ნიშნის მიხედვით, ხოლო ობიექტური პირის ნიშნებს - მანის რიგს პირველი ობიექტური პირის მ-ნიშნის მიხედვით.

პირის ნიშნებით ენაში გამოიხატება იგივე მიმართებები, რაც გრამატიკული ბრუნვებით. თუ გარდაუვალი ზმნის სუბიექტი და გარდამავალი ზმნის სუბიექტი ერთი და იმავე პირის ნიშნებით გამოიხატება, ხოლო პირდაპირი ობიექტი ზმნაში ან საერთოდ არ გამოიხატება, ანდა პირის ნიშნების სპეციალური რიგით არის გამოხატული, მაშინ საქმე გვექნება ნომინატურ სისტემასთან. ნომინატიური სისტემა გვაქვს, მაგალითად, რუსულში, რადგანაც სუბიექტური პირის ნიშნები ამ ენაში გამოხატავს მხოლოდ სუბიექტს, რომელიც შეიძლება იდგეს მხოლოდ ნომინატივში. ამიტომ სუბიექტური პირის ნიშნები რუსულში ფუნქციონალური თვალსაზრისით ნომინატივს უტოლდება (ორივე სუბიექტს გამოხატავს). აკუზატივის ფუნქციას რუსულ ზმნაში ასრულებს ობიექტური პირის ნიშნების არარსებობა, ე.ი. ნულოვანი აფიქსებით გამოხატვა, რადგანაც რუსულში გარდაუვალი და გარდამავალი ზმნის სუბიექტი ერთი და იმავე პირის ნიშნებით გამოიხატება ზმნაში, ხოლო ობიექტური პირი საერთოდ არ გამოიხატება, ამიტომ რუსულ ზმნაში ნომინატიური სისტემა არის წარმოდგენილი.

ასევე ნომინატიური სისტემა არის წარმოდგენილი ქართული ზმნის პირველ-ორ სერიაში, რადგანაც ამ შემთხვევაშიც გარდაუვალი და გარდამავალი ზმნის სუბიექტი ერთი და იმავე პირის ნიშნებით ანუ ვინის რიგით გამოიხატება (შდრ. მე ვ-ი-ხატ-ებ-ი, შენ ი-ხატ-ებ-ი, ის ი-ხატ-ებ-ა მე ვ-ხატავ, შენ (პ)-ხატავ, ის ხატავ-ს), ხოლო პირდაპირი ობიექტი-სპეციალური რიგით (ის მ-ხატავ-ს მე, ის გ-ხატავ-ს შენ, ის ხატავ-ს მას). რადგანაც გარდაუვალი და გარდამავალი ზმნის სუბიექტი ქართულში აფიქსთა ერთი და იმავე რიგითაა გამოხატული, ხოლო პირდაპირი ობიექტი - აფიქსთა სხვა რიგით, ამიტომ ქართული ზმნის პირველ-ორ სერიაში ნომინატიური სისტემა გვაქვს.

სხვა მდგომარეობა გვაქვს ამ თვალსაზრისით დრო-კილოთა მესამე სერიაში. ამ შემთხვევაში გარდაუვალი ზმნის სუბიექტი გამოიხატება ვინის რიგით (შდრ. გა-ვ-ზრდილ-ვ-არ, გაზრდილ-ხ-არ, გაზრდილ-ა), ხოლო გარდამავალი ზმნის სუბიექტი-მანის რიგით (შდრ. გა-მ-იზრდ-ია, გა-გ-იზრდ-ია გა-უზრდი-ა). როგორც ვხედავთ, გარდაუვალი ზმნის სუბიექტი და გარდამავალი ზმნის სუბიექტი ზმნაში სხვადასხვანაირად,

სხვადასხვა პირის ნიშნებით არის გამოხატული, რაც მხოლოდ ერგატიულ სისტემაში არის დასაშვები. უფრო მეტიც, გარდაუვალი ზმნის სუბიექტი გამოხატულია იმავე პირის ნიშნებით, რომლებითაც პირდაპირი ობიექტი გამოიხატება დრო-კილოთა მესამე სერიაში (შდრ. მე გა-უ-ზრდი-ვ-არ მას, შენ გაუზრდი-ხ-არ მას, ის გაუზრდი-ა მას). ერთი სიტყვით, დრო-კილოთა მესამე სერიაში პირის ნიშანთა ინვერსიას აქვს ადგილი და ამიტომ გარდაუვალი ზმნის სუბიექტი აფიქსების იმავე რიგითაა გამოხატული, რაც გარდამავალ ზმნებში პირდაპირ ობიექტს გამოხატავს (ეინის რიგი), ხოლო გარდამავალი ზმნის სუბიექტი სპეციალური მანის რიგით გამოიხატება და, ამდენად, ამ სერიაში მორფოლოგიური გამოხატულების თვალსაზრისით გარდაუვალი ზმნის სუბიექტი ემთხვევა არა გარდამავალი ზმნის სუბიექტს, როგორც ეს პირველ-ორ სერიაში გვქონდა, არამედ პირდაპირ ობიექტს. ისეთი სისტემა კი, სადაც გარდაუვალი ზმნის სუბიექტი ერთნაირად გამოიხატება, ხოლო გარდამავალი ზმნის სუბიექტი-სხვაგვარად, წარმოადგენს ერგატიულ და არა ნომინატიურ სისტემას. ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ ქართული ზმნის პირველ-ორ სერიაში პირის ნიშნებით ნომინატიური სისტემა გამოხატულა, ხოლო მესამე სერიაში-ერგატიული სისტემა. მართალია, უფრო ღრმა ანალიზით მტკიცდება, რომ დრო-კილოთა მესამე სერიაშიც ქართულში ნომინატიური სისტემა გამოიხატება, მაგრამ მესამე სერია კარგ საილუსტრაციო მასალას იძლევა ნომინატიური და ერგატიული სისტემების განსასხვავებლად და ამიტომ წმინდა ჰედაგოგიური მოსაზრებით ჩვენ შეიძლება დაეუშვათ დრო-კილოთა მესამე სერიაში ერგატიული სისტემის არსებობა.

§3.6. გვარი

ეს კატეგორია ყველა ენაში არ არის წარმოდგენილი. ერგატიული წყობის ენათა უმრავლესობამ გვარის კატეგორია არ იცის. პიქით, ნომინატიური წყობის ენები გვარის კატეგორიის გარეშე არ წარმო-იდგინება.

გვარი შეიძლება იყოს სამნაირი: მოქმედებითი (აქტიური), ვნებითი (პასიური), საშუალო (მედიალური). მოქმედებითი გვარი სამოქმედო ობიექტებს-გულისხმობს, ე.ი. მოქმედებითი გვარის ზმნის პირდაპირი ობიექტი პაციენსი უნდა იყოს. ამიტომ მოქმედებითი გვარის ზმნის სუბიექტის მოქმედება ყოველთვის გადადის პირდაპირ ობიექტზე (შდრ. მხატვარი ხატავს სურათს). ვნებითი გვარის ზმნაც სამოქმედო ობიექტს გულისხმობს, მაგრამ ამ შემთხვევაში სამოქმედო ობიექტს წარმოადგენს არა სხვა ვინმე ან რაიმე, არამედ თვითონ სუბიექტი, ე.ი. სუბიექტი თავის თავზე მოქმედებს (შდრ. სურათი იხატება, სახლი შენდება და

სხვ.). საშუალო გვარის ზმნა მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი (საშუალო გვარის ზმნა) სამოქმედო ობიექტს არ გულისხმობს, არც სხვა რაიმეზე მოქმედებს და არც თავის თავზე (მღრ. ბულბული გალობს, ბაეში ცეკვავს და სხვ.). გვარების მიხედვით განსხვავებას კარგად აჩვენებს „აგორებს-გორდება-გორავს“ ოპოზიცია ქართულში, სადაც „აგორებს“ ფორმა სხვა საგანზე მოქმედებას გამოხატავს (აგორებს ქვას, ბურთს და ა.შ.), „გორდება“-თავის თავზე მოქმედებას (ქვა გორდება), ხოლო „გორავს“ არც სხვა საგანზე მოქმედებას გამოხატავს და არც თავის თავზე მოქმედებას (ბურთი გორავს). ეს ფორმა (გორავს) გვიჩვენებს მხოლოდ იმას, რომ გორვა ბურთისთვის დამახასიათებელი თვისებაა. მოცემული სამი ფორმა შესაბამისად გვარების მიხედვით განაწილდება როგორც მოქმედებითი (აგორებს), ვნებითი (გორდება) და საშუალო (გორავს).

გვარის მიხედვით ზმნების მარკირებისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ამოსავალი ზმნური ფორმების სემანტიკას, ჩვენ გვაქვს ისეთი ამოსავალი ფორმები, რომელთა სემანტიკა პირდაპირ ობიექტს გულისხმობს (წერა, ხატვა, თლა, ჭრა, რკვა და სხვ.). ასეთი ფორმები, ასე ვთქვათ, „გენეტიკური პროგრამის“ მიხედვით არიან მოქმედებითი გვარისა და ამიტომ ამგვარი მოქმედებითი გვარის ზმნების მარკირება გვარის ნიშნებით არ ხდება (A კლასის აქტიური ზმნები ქართულში). რადგანაც ამ კლასის ზმნები თავისთავადაა მოქმედებითი გვარისა, ამიტომ მისგან ნაწარმოები ვნებითი გვარის ზმნების მარკირება აუცილებელია ვნებითის ნიშნებით (იწერება, იხატება, ითლება, იჭრება, ირკვება და სხვ.).

მაგრამ გვაქვს ისეთი ამოსავალი ზმნური ფორმებიც, რომლებიც ამავე „გენეტიკური პროგრამის“ მიხედვით მხოლოდ საშუალო გვარს გამოხატავენ (სისინი, ვახშობა, გალობა, გიჟობა, ყიყინი, ღიღინი და სხვ.), რადგანაც ეს ზმნები ლექსიკური თვალსაზრისით არიან საშუალო გვარისა, ამიტომ საშუალო გვარის ზმნები მარკირებული არ არიან გვარის ნიშნებით (სისინებს, ვახშობს, გალობს, გიჟობს, ყიყინებს, ღიღინებს და სხვ.). სამაგიეროდ ამგვარი ზმნებისაგან ნაწარმოები მოქმედებითი გვარის ზმნები არ შეიძლება მარკირებული არ იყოს. ამიტომ ქართულში ასეთი მოქმედებითი გვარის ზმნები ყოველთვის მარკირებულია ა-პრეფიქსით.

გვაქვს ისეთი ამოსავალი ზმნური ფორმებიც, რომლებიც „გენეტიკური პროგრამის“ მიხედვით ნეიტრალურია, ე.ი. არც აქტივია, არც პასივი და არც მედიუმი. ასეთებია ქართულში: რხევა, ვსება, რყევა, მზადება, გორება, გაწითლება, გაგიჟება და სხვ. რადგანაც ამგვარი ფორმები

„გენეტიკური პროგრამის“ მიხედვით ნეიტრალურია, ამიტომ მათგან ნაწარმოები აქტიური და პასიური ზმნებიც მარკირებულია (არხვეს-ირხვეა, არწვეს-ირწვეა, აესებს-იესება, ამზადებს-მზადდება, აგორებს-გორდება, აწითლებს-წითლდება, აგიჟებს-გიჟდება და სხვ.).

ამრიგად მოქმედებითი, ვნებითი და საშუალო გვარის მარკირება გვარის ნიშნებით ხდება მხოლოდ მაშინ, თუ გვარის მიხედვით ზმნათა კლასიფიკაცია არ ემთხვევა ამოსავალი ფორმების „გენეტიკურ პროგრამას“. მაგრამ თუ ეს ორი სიდიდე ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ გვარის მარკირება არ ხდება.

§3.7. ასპექტი

ზმნით გამოხატული ნებისმიერი მოქმედება ჩვენ შეიძლება დავეყოს სამ ფაზად. ესენია საწყისი, შუა და ბოლო ფაზა. ასპექტი(ლათ. aspectus „სახე“) იზომება მოქმედების საწყისი და ბოლო ფაზის მიხედვით: თუ მოქმედების ბოლო ფაზა უსასრულოდ გრძელდება, მაშინ ზმნა ყოველთვის შუა ფაზის გამომხატველია და, ამდენად, ასპექტიც უსრულია (მუშაობს, წერს, ხატავს, თეთრდება და სხვ.). მაგრამ მოქმედების ბოლო ფაზა შესაძლებელია დასრულებულად იქნეს წარმოდგენილი, დამთავრებული იყოს. ასეთ შემთხვევებში გვექნება სრული ასპექტი (მღრ. წერს – დაწერა, ხატავს – დახატა, თეთრდება – გათეთრდა და სხვ.) ჩვეულებრივ, ასპექტის შესახებ მსჯელობისას განასხვავებენ უსრულ და სრულ ასპექტს, მაგრამ შეიძლება გამოვეყოთ ხვნაგვარი ასპექტიც. საქმე ისაა, რომ მოქმედების ბოლო ფაზა ყოველთვის არ არის წარმოდგენილი დაუსრულებლად, ან დასრულებულად. შესაძლებელია მოქმედება შეწყდეს, ისე რომ იგი არც დაუსრულებელი იყოს და არც მთლად დასრულებული. ეუწოდოთ ასეთ ასპექტს შეწყვეტილი ასპექტი. ამგვარად ასპექტს გამოხატავენ ქართულში დრო-კილოთა მეორე (წერა, ხატა, თალა, შალა და სხვ.) და მესამე (უწერია, უხატია, უთლია, უშლია და სხვ.) უზმნისწინო ფორმები. მაგალითად, წვეტილის ფორმა „წერა“ ასპექტის მიხედვით განსხვავდება როგორც „წერდა“ (უწყვეტილი), ისე „დაწერა“ (წყვეტილი) ფორმებისაგან.. „წერდა“ ფორმისაგან იგი განსხვავდება იმით, რომ „წერდა“ უსრულ ასპექტს გამოხატავს, ხოლო „წერა“- შეწყვეტილ ასპექტს. ასევე განსხვავდება „წერა“ ფორმა ასპექტის თვალსაზრისით „დაწერა“ ფორმისაგან, რომელიც სრული ასპექტის გამომხატველია.

ჩვენ უნდა განვასხვავოთ ორგვარი სრული ასპექტი - შეწყვეტილი

და სრული. შეწყვეტილი ასპექტი გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც სუბიექტმა დამთავრებამდე მიატოვა, ე.ი. შეწყვიტა. ამიტომაც, რომ “წერა, წერა და ვერ დაწერა” ქართულში გრამატიკულად სწორი წინადადებაა, ხოლო „*დაწერა, დაწერა და ვერ დაწერა” ქართულში გრამატიკულად არასწორი. პირველ წინადადებაში მოქმედებს მრავალგზისი გამოვლილება შესაძლებელია იმიტომ, რომ იგი დამთავრებული არ არის. თუ მოქმედება დამთავრებულია, მაშინ მისი გამოვლილება აღარ შეიძლება და ამიტომ „*დაწერა, დაწერა და ვერ დაწერა” ქართულში გრამატიკულად არასწორი წინადადებაა. მეორე მხრივ, არც „*წერდა, წერდა და ვერ წერდა” ტიპის წინადადება ქართულში გრამატიკულად სწორი, რადგანაც ამ შემთხვევაშიც მოქმედების შეწყვეტასთან არა გვაქვს საქმე. განმეორება შეიძლება მხოლოდ შეწყვეტილი, მაგრამ დაუმთავრებელი და არა დამთავრებული ან შეუწყვეტელი მოქმედებისა.

ამრიგად, მოქმედების ბოლო ფაზის მიხედვით ასპექტის სამწევრა (ტერნარული) მოდელები გვაქვს და არა ორწევრა (ბინარული), სადაც მხოლოდ სრული და უსრულო ასპექტია განსხვავებული. ასპექტის სამწევრა მოდელში განსხვავებულია ორგვარი სრული მოქმედება: შეწყვეტილი და სრული. მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნებში შეწყვეტილი მოქმედების გამოხატვა არ წარმოადგენს გავრცელებულ მოვლენას. შეწყვეტილ მოქმედებას აქ გამოხატავენ დრო-კილოთა მეორე და მესამე სერიის უმზნისწინო ფორმები, რომლებიც უპირისპირდებიან სრული ასპექტის გამოხატველ ზმნისწინიან ფორმებს (მღრ. წერა-დაწერა, უწერია-დაუწერია, იზარდა-გაიზარდა; ზრდილა-გაზრდილა...). მაგრამ მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნების უმზნისწინო ფორმები დრო-კილოთა მეორე და მესამე სერიისა იშვიათად გვხვდებიან და ამიტომ შეწყვეტილი ასპექტიც იშვიათია.

სრულიად სხვა სურათი გვაქვს ამ თვალსაზრისით საშუალო გვარის ზმნებში. საშუალო გვარის ზმნები ზმნისწინებს იშვიათად თუ დაირთავენ. ამიტომ საშუალო გვარის ზმნები ან უსრულ ასპექტებს გამოხატავენ, ანდა შეწყვეტილს. უსრული ასპექტის გამოხატაველი პირველი სერიის ფორმები (აწმყო: მეფობს, უწყვეტ: მეფობდა, აწმყოს კავშირებითი: მეფობდეს). მყოფადის წრის (მყოფადი: იმეფებს) ან მეორე (წყვეტილი: იმეფა) და მესამე (თურმეობითი I. უმეფავ) სერიის ფორმები შეწყვეტილ ასპექტს გამოხატავენ. ასე, მაგალითად, „იყივლა“ და „დაიყივლა“ ფორმებს შორის ის განსხვავებაა ასპექტის მიხედვით, რომ „იყივლა“ გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც შეწყვეტილია ისე, რომ დამთავრებული არ არის, ხოლო „დაიყივლა“ ფორმა სრული ასპექტის

გამომხატველია. „იყივლა“ ფორმა რომ შეწყვეტილ ასპექტს გამოხატავს, ამას კარგად გვიჩვენებს ის, რომ ასეთი მოქმედება მრავალგზის შეიძლება განმეორდეს. ამიტომ „მამალმა იყივლა, იყივლა და გაჩუმა“ ქართულში გრამატიკულად სწორი წინადადებაა, მაგრამ „*მამალმა დაიყივლა, დაიყივლა და გაჩუმა“ არ არის გრამატიკულად სწორი. ეს კი მაჩვენებელია იმისა, რომ „დაიყივლა“ სრულ ასპექტს გამოხატავს, მაგრამ საშუალო გვარის ზმნებში სრული ასპექტის გამოხატვა არ წარმოადგენს გავრცელებულ მოვლენას ისევე, როგორც მოქმედებითი და ენებითი გვარის ზმნებში შეწყვეტილი ასპექტის გამოხატვა.

ასპექტი შეიძლება გამოიხატებოდეს როგორც უზმნისწინო და ზმნისწინიანი ფორმების დაპირისპირებით (შდრ. ხატა-ღახატა, წერა-ღაწერა...), ისე სერიების დაპირისპირებითაც, რადგანაც პირველი სერიის (აწმყო წრე) ფორმები უსრული ასპექტის გამოხატველია, ხოლო მეორე და მესამე სერიის ფორმები-შეწყვეტილი ან სრული ასპექტისა (შდრ. ხატავდა-ხატა, წერდა-წერა...) ასპექტის გამოხატვას ზმნისწინების საშუალებით უწოდებენ სლავურ სისტემას, რადგანაც სლავურ ენებში სრულ და უსრულ ასპექტს შორის განსხვავება, ძირითადად, ზმნისწინების საშუალებით ხდება (შდრ. რუს. писал-написал, рисовал-нарисовал). ასპექტის გამოხატვას იმპერფექტული (ლათ. imperfectum „უსრული“) და პერფექტული (ლათ. perfectum „სრული“) ფორმების დაპირისპირების მიხედვით უწოდება ბერძნული სისტემა, რამდენადაც ეს სისტემა ბერძნულშია გავრცელებული. ასეთივე სისტემა გვაქვს ევროპულ ენებშიც (გერმანული, ფრანგული, ინგლისური). ქართულში, იქნება ის ძველი თუ ახალი წარმოდგენილია როგორც ბერძნული, ისე სლავური სისტემა ასპექტისა.

საწყისი ფაზის მიხედვით ასპექტი შეიძლება იყოს ორგვარი: ინცეპტური და არაინცეპტური. ინცეპტური ასპექტი ნიშნავს მოქმედების საწყისი ფაზის გაძლიერებას, მის წინა პლანზე წამოწევას. ინცეპტური ასპექტის გამოხატველი ზმნური ფორმები მოქმედების საწყისი ფაზას გამოხატავენ. ასე, მაგალითად, „იღვიძებს“, „იძინებს“ ზმნები ქართულში აჩვენებენ მოქმედების დასაწყისს, ე.ი. იმას, რომ მოქმედება უკვე იწყება. მათგან განსხვავებით „ღვიძავს“, „ძინავს“ ფორმები მოქმედების შუა ფაზას გამოხატავენ. ასევე „გორდება“, „გიჟდება“, „ვაჭრდება“ და სხვ. მოქმედების საწყისი ფაზის გამოხატველი ფორმებია, ხოლო „გორავს“, „გიჟობს“, „ვაჭრობს“-მოქმედების შუა ფაზისა, რომელიც დაუსრულებლად გრძელდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „იღვიძებს“, „იძინებს“, „გორდება“, „გიჟდება“, „ვაჭრდება“ და სხვ. ინცეპტური ზმნური ფორმებია, ხოლო მათი პარტნიორები „ღვიძავს“, „ძინავს“, „გორავს“, „გიჟობს“, „ვაჭრობს“ და სხვ. არაინცეპტურ ფორმებს წარმოადგენენ.

პირველნი მოქმედების საწყის ფაზას გამოხატავენ, ხოლო მეორენი მოქმედების შუა ფაზას.

ასპექტის შესახებ როდესაც ვლაპარაკობთ, შეუძლებელია არ შევეხოთ რეზულტატურ ასპექტს. არსებობს ისეთი ზმნური ფორმები, რომლებიც ერთდროულად პროცესს გამოხატავენ (დაწერა, დახატა, იმეფა, გათბა, დაჯდა და სხვ.), მაგრამ არსებობს ისეთი ზმნებიც (ასეთი ზმნების რაოდენობა შედარებით მცირეა), რომლებიც, ასე ვთქვათ, მხოლოდ შედეგს აჩვენებენ (წერა, ხატია, აფენია, ღვას, ზის სა სხვ.). პროცესის გამოხატველ ზმნებს დინამიკურს უწოდებენ, ხოლო შედეგის გამოხატველ ზმნებს-სტატიკურს.

მაგრამ ჩვენ გვაქვს ისეთი ზმნური ფორმებიც, რომლებიც ერთდროულად პროცესსაც გამოხატავენ და შედეგსაც, დინამიკურიც არიან და სტატიკურიც. სწორედ ამგვარია დრო-კილოთა მესამე სერიის ფორმები. ეს ფორმები ერთდროულად აჩვენებენ იმასაც, რასაც სათანადო ზმნის წყვეტილის ფორმები და იმასაც, რასაც გამოხატავენ ამავე ზმნის სტატიკური ფორმები. ამიტომ „დაუწერია“ ფორმის მნიშვნელობა დაიყვანება „დაწერა“ და „უწერია“ ფორმების მნიშვნელობებზე, „სწერებია“ ფორმისა-„დაიწერა“ („იწერება“ ზმნის წყვეტილი) და „უწერია“ ფორმების მნიშვნელობებზე, ხოლო „წერებულა“ სათანადოდ უდრის „დაიწერა“ და „წერია“ მნიშვნელობებს. დრო-კილოთა მესამე სერიის ფორმები ამიტომ რეზულტატურ მნიშვნელობას გამოხატავენ. მართალია, ყველა ზმნას არ მოეპოვება სათანადო სტატიკური ფორმა, მაგრამ ეს მაჩვენებელია მხოლოდ იმისა, რომ დერივაციის თვალსაზრისით მესამე სერია გაცილებით უფრო მდიდარია, ვიდრე სტატიკური ზმნები, რომელთა რაოდენობა შეზღუდულია. ასე, მაგალითად, „დაუგლეჯია“ ფორმა დინამიკურიც არის და სტატიკურიც, პროცესსაც გამოხატავენ და შედეგსაც, მაგრამ სათანადო სტატიკური ზმნა „*გლეჯია“ ქართულში არა გვაქვს. ამრიგად, „დაწერა“ და „დაუწერია“ ფორმებს შორის ის განსხვავებაა ასპექტის თვალსაზრისით, რომ „დაწერა“ სრულ და არა რეზულტატურ ასპექტს გამოხატავს, ხოლო „დაუწერია“ -სრულ და რეზულტატურ ასპექტს.

ასპექტთან დაკავშირებულია ტელიკურობა-ატელიკურობის საკითხიც. ტელიკურობა-ატელიკურობა იგივეა, რაც რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული предельность-непредельность (ზღვრადობა,-არაზღვრადობა). ზოგი ზმნა ისეთ მოქმედებას გამოხატავს, რომელიც არ შეიძლება არ დაბთავრდეს, საზღვარი არ დაედოს. მაგრამ გვაქვს ისეთი ზმნებიც, რომელთაც უჭირთ გამოხატონ დასრულებული მოქმედება. ამ ტიპის ზმნები თითქოს უდროო ფორმები არიან, რადგანაც მათ მიერ გამოხატულ მოქმედებას საზღვარი არ უჩანს. ასე, მაგალითად,

„ზატავს“ ზნა ტელიკურია, რადგანაც ეს პროცესი არ შეიძლება არ დასრულდეს, პირიქით, „ტრიალებს“ ზნა ატელიკურია, რადგანაც ამ ზნით გამოხატულ პროცესს დროში დასასრული არ უჩანს (მდრ. დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს). იმ ზნებს, რომლებიც გარკვეული საზღვრისკენ მიისწრაფიან, ეწოდოთ ტელიკური, ხოლო იმ ზნებს, რომლებიც არ მიისწრაფიან გარკვეული საზღვრისაკენ - ატელიკური. ტელიკურობა-ატელიკურობის საკითხი ამიტომ უნდა დაეუკავშიროთ სრულ ასპექტს: თუ ზნათა მოცემული კლასისათვის დამახასიათებელია სრული ასპექტის წარმოება, მაშინ, ეს კლასი ტელიკურ ზნათა კლასია, მაგრამ თუ რომელიმე კლასისათვის სრული ასპექტი დამახასიათებელი არაა, მაშინ, ბუნებრივია, ამ აკლსის ზნებს ატელიკურად მივიჩნევთ. მოქმედებითისა და ღინამიკური ზნების კლასები ამ თვალსაზრისით ტელიკური ზნებია. მოცემული ორი კლასისათვის სრული ასპექტის გამოხატველი ფორმების წარმოება ჩვეულებრივი მოვლენაა. პირიქით, საშუალი გვარის ზნებისა და სტატიკური ვნებითის კლასები ქართულში ატელიკურია, რადგანაც ამ ორი კლასის ზნებს ქართულში სრული ასპექტის ფორმები თითქმის არ ეწარმოებათ; ყოველ შემთხვევაში, მათთვის სრული ასპექტის ფორმათა წარმოება არ წარმოადგენს არსებით ნიშანს. მოცემული ორი კლასის ზნათა, ასე ვთქვათ, გენეტიკური კოდი იმგვარია, რომ ისინი მოქმედების ან მდგომარეობის დასრულებას არ გულისხმობენ. პირიქით, მოქმედებითი გვარისა და ღინამიკური ვნებითის ზნური ფორმები კი ისეთია, რომ ისინი ორიენტირებული არიან სრულ ასპექტზე. მაგალითად, წინადადება „მზატვარი სურათს ზატავს“ ისეთ მოქმედებას გამოხატავს, რომელიც უნდა დასრულდეს, მაგრამ „დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს“ წინადადება დასრულებას არ ვარაუდობს. ატელიკური ზნებით გამოხატული მოქმედება შეიძლება მხოლოდ შეწყდეს, ე.ი. ატელიკური ზნების დამახასიათებელი ნიშანია მოქმედების შეწყვეტა და არა მისი დამთავრება, ხოლო ტელიკური ზნებისათვის, პირიქით, მოქმედების დამთავრებაა ნიშანდობლივი და არა მათი შეწყვეტა. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ქართულში მოქმედებითი გვარისა და ღინამიკური ვნებითისათვის სრული ასპექტია ნიშანდობლივი, საშუალი გვარისა და სტატიკური ვნებითისათვის კი ასპექტის ეს ტიპი უცხოა. პირიქით, საშუალი გვარისა და სტატიკური ვნებითისათვის ნიშანდობლივია შეწყვეტილი ასპექტი, რომელიც მაინცდამაინც გავრცელებული არ არის მოქმედებით გვარისა და ღინამიკურ ვნებითში.

§3.8. კაუზატივი

კაუზატივი (ლათ. causa „მიზეზი“) გამოხატავს იძულებით მოქმედებას. სუბიექტი შეიძლება იძულების წესით მოქმედებდეს

პირდაპირ ან ირიბ ობიექტზე, რაც სათანადოდ კვალიფიცირდება როგორც კაუზაციტი. სუბიექტის ზემოქმედება პირდაპირ ან ირიბ ობიექტზე შეიძლება ისეთი იყოს, რომ სუბიექტი მოქმედების ორგანიზატორის როლში გამოდიოდეს, ხოლო პირდაპირი და ირიბი ობიექტი მოქმედების ფაქტიური შემსრულებლის როლში. მაგალითად, წინადადებაში „მეზობელმა ბავშვი აატირა“ სუბიექტი (მეზობელმა) მოქმედების ორგანიზატორია, იგი თვითონ კი არ ტირის, არამედ სხვას ატირებს და ეს სხვა (ჩვენს შემთხვევაში ბავშვი) მოქმედების ფაქტიური შემსრულებელია, რამდენადაც იგი (ბავშვი) ტირის. წინადადებაში „ბებიაშვილიშვილს წერილი დააწერინა“ სუბიექტი (ბებიაშვილი) მოქმედების ორგანიზატორია, ხოლო მოქმედების ფაქტიური შემსრულებლის როლში ირიბი ობიექტი (შვილიშვილი) გამოდის, რადგანაც წერილი მან დაწერა.

ამრიგად, კაუზატიურ წინადადებაში ჩვენ უნდა ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ორგანიზატორი (სუბიექტი) და მოქმედების ფაქტიური შემსრულებელი, რომელიც ან პირდაპირი ობიექტია, ანდა ირიბი ობიექტი. მოქმედების ფაქტიურ შემსრულებელ პირდაპირ ან ირიბ ობიექტს უწოდებენ ჩართულ სუბიექტს. ჩართული სუბიექტი წარმოადგენილია ორი სახით: 1) იგი პირდაპირი ობიექტით არის გამოხატული, თუ წინადადებაში სხვა პირდაპირი ობიექტი არა გვაქვს. ამიტომ კაუზატიური ზმნები, რომელთა ჩართული სუბიექტი პირდაპირ ობიექტს ემთხვევა, შეიძლება იწარმოებოდეს მხოლოდ გარდაუვალი ზმნებისაგან (გარდაუვალი ეწოდება ისეთ ზმნას, რომელსაც პირდაპირი ობიექტი არ შეეწყობა, ხოლო ისეთი ზმნა, რომელიც პირდაპირ ობიექტს დაირთავს, გარდამავალია). ამიტომ პირდაპირი ობიექტის ადგილი დაკავებული არ არის მხოლოდ გარდაუვალ ზმნებში. გარდაუვალი ზმნებისაგან კაუზატიური ზმნების წარმოების დროს (ტირის→ატირებს, მღერის→ამღერებს, ყიყინებს→აყიყინებს, ვანძობს→ავანძობს, გიჟობს→აგიჟებს, ცხოვრობს→აცხოვრებს, ყვირის→აყვირებს და სხვ.), როგორც ეს გარკვეული იყო ზემოთ, გარდაუვალი ზმნის სუბიექტი ჩამოქვეითდება პირდაპირი ობიექტის დონემდე, მაგრამ ასეთი პირდაპირი ობიექტი მაინც ინარჩუნებს სუბიექტის თვისებას იმ აზრით, რომ კაუზატიურ კონსტრუქციას გვაძლევს, სადაც მას ჩართული სუბიექტის როლი ენიჭება. ასე, მაგალითად „ბავშვმა იტირა“ წინადადებაში სიტყვა „ბავშვი“ სუბიექტია, ამ წინადადებისგან ნაწარმოებ კაუზატიურ წინადადებაში კი (მეზობელმა ბავშვი აატირა) იგივე სიტყვა პირდაპირი ობიექტია, მაგრამ პირდაპირი ობიექტი ამ შემთხვევაში ჩართული სუბიექტია. ამიტომ წინადადება „მეზობელმა ბავშვი აატირა“ ჩვენ შეიძლება წარმოვიდგინოთ ორი წინადადების სახით: 1) მეზობელმა აიძულა

ბავშვი, 2) ბავშვა იტირა. მაგრამ თუ ჩვენ მოვინდომებთ ამავე წესით დაეშალოთ, ვთქვათ, „მხატვარმა სურათი დახატა“ წინადადება, უაზრობას მივიღებთ, რადგანაც ამ გზით მიღებული წინადადებადნ, „*მხატვარმა აიძულა სურათი“ და სურათი დაიხატა“ -პირველი გრამატიკულად არასწორია. ეს გარემოება მანვენებელია იმისა, რომ „მეზობელმა ბავშვი აატირა“ წინადადებაში პირდაპირი ობიექტი ჩართულ სუბიექტს წარმოადგენს, ხოლო „მხატვარმა სურათი დახატა“ წინადადებაში პირდაპირი ობიექტი მხოლოდ პირდაპირი ობიექტია და სხვა ფუნქცია მას არ აკისრია.

მაგრამ გარდაუვალი ზმნისაგან ნაწარმოები კაუზატიური ზმნების პირდაპირი ობიექტი ზოგჯერ არ წარმოადგენს ჩართულ სუბიექტს. როგორც ვნახეთ, ა-პრეფიქსიანი ზმნები ქართულში (იხ., თავი V, §2,3) ნაწარმოებია პასიური ან მედიალური ზმნებისაგან. ირკვევა, რომ ქართულში საშუალი გვარის ზმნებისაგან ნაწარმოები აქტიური ზმნების პირდაპირი ობიექტი ყოველთვის ჩართული სუბიექტია, ხოლო პასიური ზმნებისაგან ნაწარმოები აქტიური ზმნების პირდაპირი ობიექტი კი არ წარმოადგენს ჩართულ სუბიექტს. „მასწავლებელმა ბავშვი აატირა“ წინადადებაში საშუალი გვარის ზმნისაგან ნაწარმოები აქტიური ზმნა გვაქვს (იტირა→აატირა) და ამიტომ მისი პირდაპირი ობიექტი ჩართული სუბიექტის როლში გამოდის, მაგრამ „დედამ კაბა გააშრო“ ან „ქარმა კაბა გააშრო“ წინადადებებში პასიური ზმნისაგან ნაწარმოები აქტიური ფორმა გვაქვს (გაშრა→გააშრო) და ამიტომ მისი პირდაპირი ობიექტიც არ გვევლინება ჩართული სუბიექტის როლში. ამიტომაც „დედამ კაბა გააშრო“ და „ქარმა კაბა გააშრო“ წინადადებები არ დაიყვანება *„დედამ აიძულა კაბა“ ან *„ქარმა აიძულა კაბა“ და „კაბა გაშრა“ წინადადებებზე. მიუხედავად ამისა, კაუზატივს წარმოადგენს როგორც „აატირა“, ისე „გააშრო“ და ამდენად, „მეზობელმა ბავშვი აატირა“ და „ქარმა კაბა გააშრო“ კაუზატიური კონსტრუქციებია: მაგრამ „მეზობელმა ბავშვი აატირა“ ტიპის წინადადებაში პირდაპირი ობიექტი ჩართული სუბიექტის როლშიც გამოდის, ხოლო „დედამ კაბა გააშრო“ ტიპის წინადადებებში პირდაპირ ობიექტზე, მართალია, იძულების წესით მოქმედებენ, მაგრამ იგი მაინც არ გვევლინება ჩართული სუბიექტის როლში.

ასევე ორგვარია ირიბი ობიექტიც კაუზატიური წინადადებებისა. ირიბი ობიექტი კაუზატიურ წინადადებებში შეიძლება ასრულებდეს ჩართული სუბიექტის ფუნქციას. ასეთი მდგომარეობა გვაქვს კაუზატივის იმ ფორმებში, რომლებსაც აკ. შანიძე შუალობით კონტაქტს უწოდებს. მართალია, შუალობითი კონტაქტიც კაუზატივია, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩართული სუბიექტის როლში გამოდის არა პირდაპირი ობიექტი, არამედ ირიბი ობიექტი. წინადადებაში „ბებიაშვილი შვილიშვილს წერილი დააწერინა“

სწორედ ირიბი ობიექტი (შვილიშვილს) გვევლინება ჩართული სუბიექტის ფუნქციით.

კაუზატიურ წინადადებაში ირიბი ობიექტი შეიძლება არ გამოდიოდეს ჩართული სუბიექტის როლში. მაგალითად, წინადადებაში "ვანოს ცოლი აზის თავზე" კაუზატიური შინაარსი არის გამოხატული, რადგანაც სუბიექტი იძულების წესით მოქმედებს ირიბ ობიექტზე, ე.ი. სუბიექტი ირიბი ობიექტის სურვილების საწინააღმდეგოდ მოქმედებს, მაგრამ თვითონ ირიბი ობიექტი არავითარ მოქმედებას არ ასრულებს, ე.ი. ჩართულ სუბიექტს არ წარმოადგენს.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში კაუზატივის ცნება გატოლებულია შუალობითი კონტაქტის ცნებასთან. მაგრამ კაუზატივი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე შუალობითი კონტაქტი. კაუზატივის უფრო სრული თეორია დაუმუშავდა ამ ბოლო დროს ამერიკულ ენათმეცნიერებაში, რომლის მიხედვითაც კაუზატიურია ნებისმიერი წინადადება, რომლებშიც პირდაპირი ან ირიბი ობიექტი ჩართული სუბიექტის როლში გამოდის. კაუზატივის ეს თეორია მოიცავს შუალობითი კონტაქტის შემთხვევებსაც, ე.ი. ისეთ შემთხვევებს, როდესაც ჩართული სუბიექტის როლში ირიბი ობიექტი გამოდის და, გარდა ამისა, კაუზატივებად განიხილავს ისეთ ზმნებსაც, რომელთა პირდაპირი ობიექტი ჩართულ სუბიექტს წარმოადგენს. მაგრამ ეს შედარებით სრული თეორიაც კი არ მოიცავს კაუზატივის ყველა შემთხვევას. კაუზატიურ კონსტრუქციებში, როგორც ვნახეთ, ხშირად პირდაპირი და ირიბი ობიექტი არ გამოდის ჩართული სუბიექტის როლში. ამიტომ საჭირო ხდება კაუზატივის ცნების კიდევ უფრო გაფართოება და ისეთი შემთხვევის კაუზატივებად განხილვა, როდესაც პირდაპირი ან ირიბი ობიექტი, მართალია, ჩართულ სუბიექტს არ წარმოადგენენ, მაგრამ ისინი მაინც კაუზირებული აქტანტები არიან, რადგანაც სუბიექტი მათზე იძულების წესით მოქმედებს.

კაუზატივის გამოხატვის ორგვარი საშუალება არსებობს—ლექსიკური და გრამატიკული. ამ განსხვავებას კარგად გვიჩვენებს ქართული და რუსული ენების შეპირისპირება. წინადადება „ბებიაშვილიშვილს წერილი დააწერინა“ რუსულად ითარგმნება როგორც „бабушка заставила внука написать письмо“, რაც ქართულში სიტყვისიტყვით უდრის „ბებიაშვილი აიძულა შვილიშვილი წერილი დაეწერა“. ასევე „მასწავლებელმა ბავშვი აატირა“ რუსულად უნდა ვთარგმნოთ როგორც „Учитель заставил ребенка плакать“, რასაც ქართულში სიტყვისიტყვით შეეფარდება „მასწავლებელმა აიძულა ბავშვი ეტირა“. რუსულში კაუზატივი ლექსიკურად გამოიხატება და ამიტომ ამ ენაში არა გვაქვს კაუზატივის რაიმე მაწარმოებელი ფორმანტი. თუ საჭირო ვახდა რუსულში კაუზატიური შინაარსის გამოხატვა, მაშინ აუცილებელია

заставить „იძულება“ ზმნის გამოყენება. ქართულში, პირიქით, კაუზატივი გრამატიკული კატეგორიაა, იგი გარკვეული აფიქსებით გამოიხატება. კაუზატივის მაწარმოებელი ფორმატი ქართულში არის ა-პრეფიქსი, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ირიბი ობიექტით ჩართული სუბიექტის გამოხატვა, კაუზატივის ა-პრეფიქსს ემატება – ინ (ა-წერ-ინ-ებ-ს, ა-კეთებ-ინ-ებ-ს...) ან –ეინ (ა-თლ-ეინ-ებ-ს, ა-ჭრ-ეინ-ებ-ს...) და, ამდენად, კაუზატივი ა-ინ ან ა-ეინ კონფიქსიებით იწარმოება. მიუხედავად ასეთი განსხვავებისა ქართულ და რუსულ ენებს შორის, კაუზიტივის გამოხატვის ორივე წესი (ლექსიკური და გრამატიკული) ერთ მიზანს ემსახურება. ორივე ეს წესი გამოხატავს კაუზატიურ მიმართებებს და, ამდენად, ენებს შორის ამ თვალსაზრისით განსხვავება არ შეინიშნება. ყველა ენას აქვს უნარი გამოხატოს კაუზატიური მიმართებები, მაგრამ ზოგი ენა მათ გამოსახატავად ლექსიკურ საშუალებას მიმართავს, ხოლო ზოგი-გრამატიკულ საშუალებებს.

§3.9. ქცევა

ქცევა ანუ ვერსია (ლათ. versio „სახის ცვლა“) კაუზატივის საწინააღმდეგო მოვლენაა. თუ კაუზატიურ წინადადებებში სუბიექტი აიძულებს პირდაპირ ან ირიბ ობიექტს და ასრულებინებს მათ გარკვეულ მოქმედებას, ქცევის გამომხატველ წინადადებებში, პირიქით, თვითონ სუბიექტი მოქმედებს ირიბი ობიექტისათვის, ასრულებს რა მისთვის გარკვეულ მოქმედებას. ამიტომ ქცევის სუბიექტი არასოდეს არ გამოდის მოქმედების ორგანიზატორის როლში, იგი მოქმედების ფაქტიური შემსრულებელია ყოველთვის.

მოქმედებას შეიძლება ჰყავდეს ადრესატი, ე.ი. ისეთი აქტანტა, რომლისთვისაც სრულდება მოქმედება, მაგრამ ასევე შესაძლებელია, რომ მას არ გააჩნდეს ადრესატი. თუ მოქმედებას ადრესატი არა ჰყავს, მაშინ მივიღებთ საარვისო ქცევას (აშენებს, ხატავს, წერს, თბება, შრება და სხვ.). მაგალითად, წინადადებაში „პეტრე სახლს აშენებს“ არ ჩანს, თუ ვისთვის აშენებს პეტრე სახლს. ამიტომ ამ წინადადებას ადრესატი არა ჰყავს. საარვისო ქცევას სხვაგვარად ნეიტრალურ ვერსიასაც უწოდებენ. საარვისო ქცევა ფაქტიურად არ არის ქცევა, რადგანაც ქცევა ყოველთვის ადრესატს გულისხმობს. ამიტომაც ქცევის ასეთ ნულოვან ფორმას საარვისო, ანუ ნეიტრალური ქცევა ეწოდება.

მოქმედების ადრესატის როლში ყოველთვის ირიბი ობიექტი გამოდის, თუმცა ეს ირიბი ობიექტი ზოგჯერ არ ჩანს. ამის მიხედვით განასხვავებენ სასხვისო და სათავისო ქცევას. სასხვისო ქცევის ირიბი ობიექტი ყოველთვის წარმოდგენილია. ამიტომ, ვთქვათ, წინადადება „პეტრე

უშენებს სახლს“ ან „თმები უთეთრდება“ გრამატიკულად არასწორი წინადადებებია, თუ, რა თქმა უნდა, კონტექსტით არ იგულისხმება ირიბი ობიექტი. გრამატიკულად სწორი ეს წინადადებები იქნება მხოლოდ მაშინ, თუ მათ ირიბი ობიექტი ექნებათ (პეტრე მეზობელს სახლს უშენებს“ ან „პეტრეს თმები უთეთრდება“). ამგვარ ქცევას, ე.ი. ისეთ ქცევას, როდესაც სუბიექტის მოქმედება ირიბი ობიექტისათვის არის დანიშნული, ეწოდება სასხვისო ანუ საობიექტო ქცევა. ამიტომ „უშენებს“, „უთეთრდება“ და სხვ. ასეთი ფორმები სასხვისო ქცევის ფორმებია.

გვაქვს ქცევის მესამე სახეც, რომელსაც სათავისო ქცევას უწოდებენ. სათავისო ქცევის შემთხვევაში სუბიექტი თავისთვის მოქმედებს, ე.ი. სუბიექტი ადრესატის (ირიბი ობიექტის) როლშიც გამოდის. მაგალითად, წინადადებაში „პეტრე სახლს იშენებს“ სუბიექტი (პეტრე) ამავე დროს ირიბი ობიექტიცაა, რადგანაც სუბიექტი მოქმედებს არა სხვისთვის, არამედ თავისი თავისათვის. ამიტომ თუ „პეტრე“ მხოლოდ სუბიექტია, ხოლო „მეზობელს“-ადრესატი, წინადადებაში „პეტრე სახლს იშენებს“ იგივე აქტანტა (პეტრე) ერთდროულად სუბიექტიც არის და ადრესატიც ანუ ირიბი ობიექტი. ამრიგად, ირიბი ობიექტი სათავისო ქცევის ფორმასაც აქვს, მაგრამ სათავისო ქცევასაც სასუბიექტო ქცევას უწოდებენ.

ვერსიული (ქცევებრივი) მიმართებებიც ენებში ლექსიკური ან გრამატიკული საშუალებებით გამოიხატება. არ არსებობს ისეთი ენა, რომელიც ვერსიულ მიმართებებს არ გამოხატავდეს, მაგრამ ქცევა, როგორც გრამატიკული კატეგორია, ბევრ ენაში არა გვაქვს. ქართული სწორედ ისეთ ენათა რიცხვს ეკუთვნის, რომლებშიც ქცევის გრამატიკული კატეგორია აქვს. საარვისო ქცევა, როგორც ცნობილია, ქართულშია ა-პრეფიქსით (აშენებს, ათბობს, ამაგრებს...) ან უნიშნობით გამოიხატება (ხატავს, წერს, თეთრდება, წითლდება, წუხს), სათავისო ქცევის ნიშანია ი-პრეფიქსი (იშენებს, იწერს, იხატავს, იმაგრებს...), ხოლო სასხვისო ქცევისა ი-(მ-ი-შენებს-გ-ი-შენებს, მ-ი-თეთრდება-გ-ი-თეთრდება...), უ-(უ-შენებს, უ-თეთრდება...) ან ე- პრეფიქსები (ე-მალება, ე-გებება...). მაგრამ ქართულშივე ქცევა შესაძლებელია გამოიხატოს ლექსიკური საშუალებებით. მაგალითად, წინადადება „პეტრე სახლს იშენებს“, სადაც სათავისო ქცევა ი-პრეფიქსით არის გადმოცემული ზმნაში, მნიშვნელობით უდრის „პეტრე თავის სახლს აშენებს“ წინადადებას, რომელშიც სათავისო ქცევა ლექსიკურად არის გამოხატული ასევე სასხვისო ქცევის გამომხატველი წინადადება „პეტრე მეზობელს სახლს უშენებს“ მნიშვნელობით ემთხვევა „პეტრე მეზობლისათვის სახლს აშენებს“ წინადადებას, რომელშიც სასხვისო ქცევა ასევე ლექსიკურად გამოიხატება.

სხვა მდგომარეობა გვაქვს ამ თვალსაზრისით რუსულში. ამ ენაში

გვაქვს ქცევის გამოხატვის მხოლოდ ლექსიკური საშუალებები. Пётр строит дом რუსულში საარვისო ქცევის გამოხატველი წინადადებაა (პეტრე სახლს აშენებს), Пётр строит дом для себя სათავისო ქცევას გამოხატავს (პეტრე სახლს იშენებს), ხოლო Пётр строит дом для соседа –სასხვისო ქცევას (პეტრე მეზობელს სახლს უშენებს). როგორც ვხედავთ, ქცევის მიხედვით რუსულში ზმნა არ იცვლება და ყველა წინადადებაში ერთი და იგივე ფორმით გვხვდება, მაგრამ ეს ხელს არ უშლის რუსულს ლექსიკური საშუალებებით გამოხატოს ვერსიული მიმართებები.

§3.10. განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა

განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის საკითხს ჩვეულებრივ არტიკლთან აკავშირებენ, მაგრამ ეს ცნება უფრო ფართოა, ვიდრე არტიკლის ცნება და მოიცავს ზნმნასაც და ნაცვალსახელსაც.

რაც შეეხება ნაცვალსახელებს, პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელი, როგორც კომუნიკაციის უშუალო მონაწილეები, ყოველთვის განსაზღვრულია. მაგრამ მესამე პირი შეიძლება განსაზღვრულიც იყოს და განუსაზღვრელიც. განსაზღვრულია ქართულში ის, იგი, ეს, ეგ მესამე პირის ნაცვალსახელები, მაგრამ განუსაზღვრელია ვიღაც, რაღაც, ვინმე, რამე და სხვ. ასევე ინგლისურში განსაზღვრულია he, she, it „ის“, მაგრამ განუსაზღვრელია someone „ვიღაც“ somebody „ვინმე“, something „რაიმე“, „რაღაც“.

განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის საკითხთან დაკავშირებულია სიახლოვის საკითხიც. იგულისხმება კომუნიკაციაში მონაწილე პირებთან სიახლოვე. რადგანაც ასეთი შეიძლება იყოს მხოლოდ მესამე პირი, ამიტომ მხოლოდ მესამე პირის აღმნიშვნელ ნაცვალსახელებშია განსხვავებული ფორმები პირველ და მეორე პირთან სიახლოვის მიხედვით. ქართულში, მაგალითად, „ეს“ ნაცვალსახელი გამოხატავს პირველ პირთან სიახლოვეს, „ეგ“-მეორე პირთან, ხოლო ille „ის“ მესამე პირთან სიახლოვეს. მაგრამ რუსულსა და ინგლისურში შედარებით სხვაგვარი მდგომარეობა გვაქვს, რადგანაც აქ სამწევრა მოდელის ნაცვალად ორწევრა მოდელი გვაქვს და ამიტომ მეორე და მესამე პირს შორის დაპირისპირება მოხსნილია. რუს. ЭТО, ЭТА, ЭТО ან ინგლ. this პირველ პირთან სიახლოვის გამოხატველი ფორმებია, ხოლო რუს. ТОТ, ТА, ТО ან ინგ. that მეორე ან მესამე პირთან სიახლოვეს გამოხატავენ.

განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა დამახასიათებელია ზმნისთვისაც. საწყისი ფორმა ზმნისა გამოხატავს განუსაზღვრელ მოქმედებას ან მდგომარეობას, ე.ი. ისეთ მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც ინტერპრეტირებული არ არის პირის ნაცვალსახელით. ამიტომ ამგვარ

საწყის ფორმებს უწოდებენ ინფინიტივს (ლათ. infinitivus „განუსაზღვრელი“).

ქართულში ინფინიტივის როლს საწყისი ასრულებს, რომელსაც ზოგჯერ მასდარსაც უწოდებენ. ინფინიტივი უპირისპირდება ზმნის ფინიტიურ (ლათ. finitus „განსაზღვრული“) ფორმებს, ე.ი. პირიან ფორმებს. ერთი სიტყვით, პირიანი ფორმები ზმნისა განსაზღვრული ფორმებია.

განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა დამახასიათებელია, რა თქმა უნდა, არსებითი სახელისათვის. განსაზღვრეულების როლში ხშირად გამოდის დეიქტური (ბერძ. deixis „ჩვენება“) ნაცვალსახელები: ეს კაცი, ეგ კაცი, ის კაცი. სახელების განსაზღვრა დეიქტური ნაცვალსახელებით, როგორც ვხედავთ, ხდება ქართულშიც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ სახელთა განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა ქართულში გრამატიკულ კატეგორიას ქმნიდეს. ქართულში სახელთა განსაზღვრის ლექსიკური საშუალებები არსებობს. თვითონ არსებითი სახელი, როგორც ჩანს, ნეიტრალურია ამ თვალსაზრისით, მაგრამ თუ საჭირო გახდება მისი განსაზღვრა, ეს ადვილად ხერხდება დეიქტური ნაცვალსახელების გამოყენებით. მაგრამ თუ განუსაზღვრელი სახელი გეჭირდება, მაშინ სათანადოდ გამოვიყენებთ ან რიცხვით სახელს „ერთი“ (შდრ. იყო ერთი კაცი), ან განუსაზღვრელ ნაცვალსახელებს „ვიღაც“ ან „რაღაც (შდრ. ვიღაც კაცი დგას ეზოში, რაღაც სატიკიარი მანუხებს და სხვ.).

მაგრამ გვაქვს ისეთი ენებიც, სადაც არსებით სახელთა განსაზღვრება გრამატიკულ კატეგორიას ქმნის. ასეთ ენებში გვაქვს როგორც განსაზღვრულობის, ისე განუსაზღვრელობის გამოხატველი არტიკლები. არტიკლის ძირითადი ფუნქციაა სწორედ განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის გამოხატვა. მაგალითად, ინგლისურში განსაზღვრულ არსებით სახელს the (the man, the dog...) არტიკლი გამოხატავს, ხოლო განუსაზღვრელ არსებითს- a ან an არტიკლი (a man, a dog, an apple).

არტიკლი განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობასთან ერთად ზოგჯერ სქესსაც გამოხატავს. მაგალითად, ფრანგულში არტიკლებით გამოიხატება როგორც განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა, ისე სქესიც. ამიტომ le და la არტიკლები განსაზღვრულობასაც გამოხატავენ და მამრობით (le) და მდეშრობით (la) სქესსაც, ხოლო un და une არტიკლები განუსაზღვრელობასა და სქესს (un მამრობითია, une მდეშრობითი). არტიკლმა ასევე შეიძლება გამოხატოს ბრუნვაცა და რიცხვიც, მაგრამ ძირითადი ფუნქცია არტიკლისა, ვიმეორებთ, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის გამოხატვაა. ამიტომ ისეთი არსებითი სახელები, რომლებიც თავისთავად განსაზღვრულია (საკუთარი სახელები,

გეოგრაფიული სახელები) არტიკლს არ საჭიროებენ და არც დაირთავენ.

§3.11. მორფოლოგიური ოპოზიცია

მორფოლოგიური ოპოზიცია გრამატიკული მნიშვნელობის მიხედვით დაპირისპირებას გულისხმობს და მას ემყარება. ამიტომ მორფემათა ფონეტიკურ მსგავსებას ან განსხვავებას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს.

მორფოლოგიური ოპოზიცია პირველ რიგში პარადიგმატული ცნებაა. საკმარისია საოპოზიციო ერთეულები უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს ერთ რომელიმე პოზიციაში, რომ ასეთი ერთეულები ერთმანეთთან კონტრასტული დისტრიბუციის მიმართებაში განვიხილოთ და ამ საფუძველზე ისინი ორ სხვადასხვა მორფემად მივიჩნოთ. ასე, მაგალითად, სხვადასხვა სქესი რუსულში ერთმანეთს ჩაენაცვლება მესამე პირის ნაცვალსახელის შემთხვევაში (ОН, ОН-а, ОН-о) ზედსართავ სახელებში (красный, красная, красное) და ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიც (Один, ОД-н-а, ОДн-о). რაც შეეხება არსებით სახელებს, აქ ჩანაცვლება არ ხდება სქესებისა, რადგანაც არსებითი სახელი ერთ რომელიმე გარკვეულ სქესს ეკუთვნის და არა ორს ან სამს. ასე, მაგალითად, რუსულში სიტყვა ზამთარი მდებრობითი სქესისაა (ЗИМА) და ამ მდებრობითი სქესის აღმნიშვნელი სუფიქსის ჩანაცვლება საშუალო (*ЗИМ-о) ან მამრობითი სქესის (*ЗИМ) სუფიქსებით რუსულში არ ხდება. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ЗИМА სიტყვას რუსულში სქესი არა აქვს. (ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს რუსულში ყველა სხვა არსებით სახელში Лиса-Лис (მელა-მამალი მელა) ტიპის წყვილები, სადაც ერთმანეთს ენაცვლება მდებრობითი და მამრობითი, რუსულში მეტად იშვიათია და მხედველობაშიც კი არ არის მიღებული. როგორც ვხედავთ, მთავარია მოცემულ ენაში გამოიყოფოდეს გარკვეული მორფოლოგიური ოპოზიცია ერთ ან რამდენიმე პოზიციაში და საჭირო აღარ არის საოპოზიციო ერთეულები ერთმანეთს უპირისპირდებოდეს ყველა შესაძლო პოზიციაში. სინტაგმატური თვალსაზრისით შესაძლებელია ეს თუ ის მორფოლოგიური ოპოზიცია კონიუნქტურადაც რეალიზდებოდეს და დიზიუნქტურადაც. კონიუნქცია (ლათ. conjunctio „კავშირი“) ოპოზიციის ორივე წევრის არსებობას გულისხმობს, ხოლო დიზიუნქცია (ლათ. disjunctio „განცალკევება“) — მხოლოდ ერთ-ერთი წევრისას. ვთქვათ, რუსულში სქესის კატეგორია ზედსართავ სახელებში კონიუნქციის წესითაა რეალიზებული, ხოლო არსებით სახელებში — დიზიუნქციის წესით.

ქართულში საენათმეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა მორფოლოგიური ოპოზიციის არასწორი გაგება, რომლის მიხედვითაც დიზიუნქცი-

ური რეალიზაცია ამა თუ იმ მორფოლოგიური ოპოზიციისა საერთოდ გამორიცხებულია. საკმარისია რომელიმე გრამატიკულ ფორმას არ აღმოაჩნდეს თავისი საპირისპირო, რომ ეს უკანასკნელი საერთოდ ოპოზიციის მიღმა მოათავსონ. ასე, მაგალითად, „იცის“ ზმნას, რომელიც სათავისო ქცევის ფორმით არის წარმოდგენილი (ი-ც-ი-ს) არა აქვს საპირისპირო საარვისო (*ც-ი-ს ან ა-ც-ი-ს) და სახვისო (*უ-ც-ი-ს) ქცევის ფორმები და ამიტომ უქცეო ზმნად არის მიჩნეული. ამგვარი უქცეო ზმნების რიცხვი ქართულში, როგორც ირკვევა, მეტად დიდია; უქცეოა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, საშუალი გვარის ზმნები. ასევე უქცეოა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ზმნათა მესამე სერიის ფორმები. ლაპარაკობენ ასევე უასპექტო ზმნების შესახებ და ზოგჯერ უგვარო ზმნების შესახებაც კი. უასპექტოა, ამ თვალსაზრისის მიხედვით, საშუალი გვარის ზმნები ქართულში, რადგანაც ისინი სრულ ასპექტს ვერ გამოხატავენ (იხ. ასპექტი). იგივე საშუალი გვარის ზმნები ზოგჯერ უგვარო ზმნებად არის მიჩნეული და ა.შ საერთოდ ქართულ ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით მორფოლოგიურ ოპოზიციათა დიზინქტიური დალაგების შემთხვევაში უნდა ვილაპარაკოთ ოპოზიციათა განეიტრალების შესახებ, რასაც მიყვართ კიდევ უქცეო, უასპექტო, უგვარო ზმნების ცნებებამდე.

მაგრამ მორფოლოგიური ოპოზიციის განეიტრალება არ იწვევს უქცეო, უასპექტო, უგვარო და სხვ. ზმნების წარმოქმნას. საქმე ისაა, რომ მორფოლოგიური ოპოზიცია სემანტიკური ცნებაა, რადგანაც იგი გრამატიკული მნიშვნელობების დაპირისპირებას ემყარება. მორფოლოგიური ოპოზიციის განეიტრალების შემთხვევაში ორი საოპოზიციო ერთეულიდან რჩება ერთ-ერთი, რომლის სემანტიკა არ იცვლება. ასე, მაგალითად, ჩვენ გვაქვს მეტეოროლოგიური მოვლენების აღმნიშვნელი ზმნები, რომლებიც მხოლოდ მესამე პირის ფორმებითაა წარმოდგენილი: თოვს, წვიმს, თენდება და სხვ. პირველი-ორი პირის ფორმები ამ ზმნებს არა აქვთ, ე.ი. ამ ტიპის ზმნებში განეიტრალებულია ოპოზიცია, ერთი მხრივ, პირველ და მეორე პირსა და, მეორე მხრივ, მესამე პირს შორის. ამიტომ „თოვს“ ტიპის ზმნები უპირო ზმნებად უნდა მიგვეჩინა და გვეთქვა, რომ, ვთქვათ, „თოვს“ მესამე პირის ზმნა კი არ არის, არამედ რაღაც ისეთი ფორმა, რომელიც არც პირველ პირს გამოხატავს, არც მეორეს და არც მესამეს, ე.ი. აღნიშნავს ზოგად პირს თუ უპირობას. ასეთი ახსნა, რა თქმა უნდა, აბსურდული იქნებოდა, რადგანაც ამჟამად ჩანს, რომ „თოვს“ ტიპის ზმნები ქართულში მესამე პირის ფორმებია, რასაც კარგად გვიჩვენებს -ს პირის ნიშანიც.

ის ფაქტი, რომ „თოვს“ ტიპის ზმნებს პირველი და მეორე პირის ფორმები არა აქვთ, სემანტიკური ხასიათის შეზღუდვას წარმადგენს.

საქმე ეხება მეტეოროლოგიურ მოვლენებს, რომლებიც მხოლოდ შესაძლებელია პირით არიან წარმოდგენილი და ამიტომ „*მე ვთვოვ“ ან „*შენ სთოვ“ ტიპის ფორმები სემანტიკური უაზრობაა. თვითონ შესაძლებელია პირშიც კი ამ ზმნებს შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ განუსაზღვრელი სუბიექტი, რადგანაც უცნობია, თუ რა იწვევს თოვას ან წვიმას.

ამრიგად, მორფოლოგიური ოპოზიციის განეიტრალებას სემანტიკური ხასიათის შეზღუდვები აპირობებენ. რომელიმე ზმნურ ან სახელურ ფორმას არ უხერხდება ამა თუ იმ ოპოზიციის წვერთა წარმოება: „თოვს“ ტიპის ზმნებს არ უხერხდება პირველი-ორი პირის ფორმათა წარმოება, რუსულში „Зима“ სიტყვას ასევე არ უხერხდება მამრობითი და საშუალი სქესის ფორმების წარმოება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს სახელი მდებარეობითი სქესისაა და, ამდენად, იგი აღარ შეიძლება იყოს მამრობითი ან საშუალი სქესისა. ასევე არ უხერხდება ქართულში „იცის“ ზმნას საარვისო ქცევის ფორმის წარმოება, რადგანაც ამ ზმნის სემანტიკა ისეთია, რომ მას შეიძლება ჰქონდეს ან სათავისო (იცის), ან სასხვისო (ეცოდინება) ქცევის ფორმები. ასევე არ უხერხდება „მოდის“ ან „მიდის“ ზმნურ ფორმებს. სრული ასპექტის წარმოება და ამიტომ ეს ზმნები უასპექტო კი არ არის, არამედ უსრული ასპექტისაა და ა.შ. ერთი სიტყვით, უნდა ვილაპარაკოთ არა უქცეო, უასპექტო ზმნების შესახებ, არამედ ისეთ ზმნურ ფორმებზე, რომლებიც სემანტიკური შეზღუდვის გამო ქცევის ან ასპექტის ამა თუ იმ ფორმას ვერ აწარმოებენ და სათანადოდ ავსნანათ, თუ რატომ ვერ აწარმოებენ ისინი ამ ფორმებს, ე. ი. რა სემანტიკური ხასიათის შეზღუდვა ახასიათებს მათ. ასე, მაგალითად, ქართულში ჩვენ გვაქვს ისეთი ზმნები, რომლებიც სრული ასპექტის საწარმოებლად ზმნისწინებს არ იყენებენ, რადგანაც მათ გარეშეც ისინი სრული ასპექტის ფორმებია: თქვა, ბრძანა, ჰკითხა, ნახა, უთხრა, იყიდა, სთხოვა, ქნა, უპასუხა, ასკუპა და სხვ. რადგანაც ეს ფორმები მხოლოდ სრული ასპექტის გაგებას იძლევიან და მათგან უსრული ასპექტის ფორმები არ იწარმოება, ამიტომ საგარაუდო უსრული ასპექტის ფორმები ამ ზმნებს ან საერთოდ არ გააჩნია (*თქვამს, *უთხრავს, *ქნავს) და ეს ფორმები სუბლექტურად აქვთ ნაწარმოები (ამბობს, ეუბნება, შერება), ანდა აქვთ, მაგრამ მყოფადის გაგებით (ბრძანებს, ჰკითხავს, ნახავს, იყიდის, სთხოვს, უპასუხებს, ასკუპებს); მყოფადი კი სრული ასპექტის გამოძხატველია. რა დასკვნა უნდა გავაკეთოთ აქედან? თუ ქართულ ენათმეცნიერებაში დამკვიდრებულ ტრადიციას მივყავით, „თქვა“ ტიპის ზმნები ქართულში უასპექტო

ზმნებად უნდა ჩაგვეთვალა, რადგანაც საპირისპირო უსრული ასპექტის ფორმები მათ არა აქვთ. მაგრამ, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ეს ზმნები უასპექტო ზმნებად არაიის არ მიუჩნევიან, რაც, რა თქმა უნდა, არათანმიმდევრულობაა. როგორც ჩანს, ხელს უშლით ის, რომ „თქვა“ ტიპის ზმნები ამკარად გამოხატავენ სრულ ასპექტს და ამიტომ მათი უასპექტო ზმნებად გამოცხადება არ ხერხდება, თუმცა პრინციპი ამ შემთხვევაში იგივეა, რადგანაც „თქვა“ ტიპის ზმნებს საპირისპირო უსრული ასპექტის ფორმები აკლიათ.

როგორც ვხედავთ, „თქვა“ ტიპის ზმნებს სემანტიკა აქვთ ისეთი, რომ მათგან უსრული ასპექტის ფორმათა წარმოება დაუშვებელია. „თქვა“ ტიპის ზმნათა ლექსიკური სემანტიკა ისეთია, რომ ყველა მათგანი მეცხეულ მოქმედებას გამოხატავს (თქმა, ბრძანება, შეკითხვა, ნახვა, ყიდვა, თხოვნა, ქმნა, შეპასუხება, სკუპება...). ამ ზმნების მიერ გამოხატულ მოქმედებათა უსასრულოდ გავრცობა დროში დაუშვებელია და ამიტომ მათგან უსრული ასპექტის ფორმების წარმოება არ ხერხდება. ამ თვალსაზრისით „თქმა და „ხატვა“ ფორმები ერთმანეთისაგან ამკარად განსხვავებულია. „თქმა“ ზმნის მნიშვნელობა ისეთია, რომ იგი აუცილებლად უნდა დასრულდეს დროში, ხოლო „ხატვა“ ზმნის მნიშვნელობა ასეთ დასრულებას არ გულისხმობს. ამიტომ თუ „თქმა“ ზმნით გამოხატული მოქმედების დროში გავრცობა შეუძლებელია, პირიქით, „ხატვა“ ზმნით გამოხატული მოქმედება დროში შეიძლება უსასრულოდ გავრცელდეს, მაგრამ ასევე შესაძლებელია ეს მოქმედება დასრულდეს. ეს გარემოება განაპირობებს იმ ფაქტს, რომ „თქმა“ ზმნას მხოლოდ სრული ასპექტი აქვს, ხოლო „ხატვა“ ზმნა უსრულ ასპექტსაც გამოხატავს (ხატვა) და სრულსაც (დახატავა). ამრიგად, „თქვა“ ტიპის ზმნების სემანტიკაა ისეთი, რომ მათგან უსრული ასპექტი არ იწარმოება: უსრული ასპექტი დროში უსასრულოდ განფენას გულისხმობს, ხოლო „თქვა“ ტიპის ზმნები ასეთ განფენას ვერ ეგუებიან. ეს გარემოება აპირობებს იმას, რომ „თქვა“ ტიპის ზმნები სრული ასპექტის გამოხატველია ლექსიკური თვალსაზრისით და ამიტომ, ბუნებრივია, მათგან უსრული ასპექტის ფორმები არ იწარმოება.

ამრიგად, მორფოლოგიური ოპოზიციის წევრების დიზიუნქციურად დალაგების შემთხვევაში წარმოიქმნება არა სემანტიკური თვალსაზრისით განეიტრალებული ფორმები, როგორც ეს ქართულ ენათმეცნიერებაში მიაჩნიათ, არამედ სემანტიკური შეზღუდვები. მორფოლოგიური ანალიზის მიზანი სწორედ ის უნდა იყოს, რომ გაიარკვეს, თუ რა სახის სემანტიკური შეზღუდვები ედება ამა თუ იმ მორფოლოგიური ოპოზიციის დიზიუნქციურ დალაგებას.

§1 ენა როგორც საკლასიციფიკაციო სისტემა

ტერმინი „ლექსიკოლოგია“ ორი სიტყვისგან შედგება. ესენია ლათ. *lexis*, „იტყვა“ და ბერძ. *logos*, „მოძღვრება“. ამრიგად, ლექსიკოლოგია წარმოადგენს მოძღვრებას სიტყვების შესახებ, ე.ი. ლექსიკოლოგიის საგანია სიტყვები, ენის ლექსიკა. მაგრამ სიტყვას სწავლობს არა მარტო ლექსიკოლოგია, არამედ ფონეტიკა და ფონოლოგია, მორფოლოგია და სინტაქსიც. ენათმეცნიერების ყველა დარგი სიტყვას იკვლევს, მაგრამ სხვადასხვა თვალსაზრისით: ფონეტიკა და ფონოლოგია არკვევს იმას, თუ როგორია სიტყვათა ბგერითი და ფონემური შემადგენლობა, ხოლო სინტაქსის დონეზე-სიტყვათა ფუნქციები წინადადებაში. როგორც ვხედავთ, სიტყვა ენათმეცნიერების ობიექტია საერთოდ და არა მხოლოდ ლექსიკოლოგიისა. მაგრამ ლექსიკოლოგია სიტყვას სწავლობს გარკვეული თვალსაზრისით. ესაა სიტყვების კვლევა იმის მიხედვით, თუ რას აღნიშნავენ ისინი გარე სამყაროში, ე.ი. როგორია სიტყვათა მნიშვნელობა მოცემულ ენაში. ამიტომ ლექსიკოლოგია იგივეა, რაც სემანტიკა (ბერძ. *Sēmantikos*, „აღმნიშვნელი“), თუმცა სემანტიკა შესაძლოა უფრო ფართო მნიშვნელობითაც ვისმართო, თუ ამ უკანასკნელის ობიექტად ჩავთვლით გრამატიკული მნიშვნელობის კვლევასაც.

ამრიგად, ლექსიკოლოგიის ობიექტია სიტყვის მნიშვნელობა, უფრო ზუსტად სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა, ე.ი. იმ მიმართებების დადგენა, რომლებსაც მოცემული ენის სიტყვები ამყარებენ საგანთან სამყაროსთან. მაგრამ სანამ მიმართებების კვლევაზე გადავიდოდეთ, უნდა გავარკვიოთ, თუ რა არის თვითონ მნიშვნელობა. მართალია, მნიშვნელობის შესახებ არსებულ თეორიებს ჩვენ აქ ვერ განვიხილავთ, მაგრამ მაინც აღვნიშნავთ, რომ ალბათ ენათმეცნიერებაში არ არსებობს უფრო პრობლემატური საკითხი, ვიდრე მნიშვნელობის საკითხია.

სიტყვის მნიშვნელობა ცნებაა და არა უბრალო მიმართება ბგერებისა საგანთან. ის, ვინც სიტყვის მნიშვნელობად ბგერების საგანთან მიმართებას მიიჩნევს (ამ თვალსაზრისის ჩვენში იცავდა არნ. ჩიქობავა), ფაქტიურად აუქმებს მნიშვნელობის პრობლემას, რადგანაც ბგერა საგანთან მიმართებას ამყარებს არა უშუალოდ, არამედ ცნების საშუალებით.

ცნება არ არის მხოლოდ მეცნიერული აბსტრაქცია (მაგალითად, ადამიანის ცნება როგორც იარაღის მკეთებელი ცხოველისა). როგორც ეს გარკვეული იყო ზემოთ (იხ. თავი I), ცნებას გამოხატავს არა მარტო საზოგადო, არამედ საკუთარი სახელიც კი. როგორც ასევე გარკვეული იყო ზემოთ (იხ. თავი I), ცნება იშლება გარკვეულ სემანტიკურ

კომპონენტებად ანუ სემებად (ბერძ. *σῆμα*, „ნიშანი“), რომელთა ერთობლიობა წარმოქმნის გარკვეულ აზრს, ცნებას მოცემული საგნის შესახებ. ამიტომ სიტყვის მნიშვნელობა სწორედ ცნებაა და არა რაღაც გაუგებარი მიმართება ბგერასა და საგანს შორის. ეს მიმართება რომ დამყარდეს, აუცილებელია ცნება, რომლის გარეშეც არავითარ მიმართებაზე არ შეიძლება ლაპარაკი ბგერასა და საგანს შორის.

ამრიგად, სიტყვის მნიშვნელობა თვითონ სიტყვაშია მოცემული, მაგრამ სიტყვის მნიშვნელობის ექსპლიკაცია საგანთან მიმართებაში ხდება. სიტყვის მნიშვნელობა, როგორც ცნება, საგნის ან მოვლენის შესახებ. ასე, მაგალითად, მნიშვნელობა „მამა“ ასახავს საგნის იმ თვისებებს, რომ იგი (საგანი) არის სულიერი, აღამიანური არსება, მამრობითი სქესისა, უფროსი თაობისა და სხვ. და რომ ეს მნიშვნელობა „დედა“ მნიშვნელობისაგან მხოლოდ სქესის მიხედვით განსხვავდება, რამდენადაც სხვა თვისებები მათ საერთო აქვთ.

როგორც ეს ზემოთ იყო გარკვეული (იხ თავი I), ენა ანაწევრებს აზროვნებას, ე.ი. წარმოდგენებს გარდაქმნის ცნებებად. მართალია, აზროვნების დანაწევრების თვალსაზრისით ენებს შორის იზომორფიზმი (ბერძ. *ἰσος* „ერთნაირი“, „მსგავსი“; *μορφή* „ფორმა“) გვაქვს, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც არსებობს. ამიტომ ენათმეცნიერებაში გაზიარებულია ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, სხვადასხვა ენა სხვადასხვანაირად ანაწევრებს აზროვნების უფორმო მასას. ამიტომაც შეუძლებელია ვამტკიცოთ, რომ სიტყვათა რაოდენობა ამა თუ იმ ენაში ზუსტად შეესატყვისება საგანთა ასეთსავე რაოდენობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენა არ წარმოადგენს ნომენკლატურას. ე.ი. საგანთა უბრალო ჩამონათვალს. სხვადასხვა ენა სხვადასხვანაირად აღნიშნავს, ანაწილებს და აერთიანებს საგანთა სინამდვილეს და არც ერთი ენა არ მიჰყვება საყოველთაო სქემას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი უნივერსალური სქემა არ არსებობს. ყოველი ენა წარმოადგენს საგანთა სინამდვილეს თავისებურ კლასიფიკაციას და ამიტომ სამყაროს იმდენი კლასიფიკაცია გვაქვს, რამდენი ენაცაა. მართალია, ამ საკლასიფიკაციო სისტემებს შორის მსგავსებაც დიდია, მაგრამ მათ შორის განსხვავებებიც შეინიშნება. ამიტომ ჩვენ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სხვადასხვა ენაში წარმოდგენილი საკლასიფიკაციო სისტემები ერთი უნივერსალური, ზოგადლინგვისტური სისტემის სხვადასხვა ვარიანტებია, თუმცა ასეთი უნივერსალური სისტემა ცალკე არ არსებობს. ასეთი უნივერსალური სისტემა წარმოდგენილია მხოლოდ ვარიანტების სახით და ის საერთო, რაც ვარიანტებს შორის არსებობს, არის სწორედ უნივერსალური მოდელი სამყაროსი, რომელიც ერთმანეთისაგან განსხვავებული ვარიანტების სახით რეალიზდება.

სხვადასხვა ენა რომ სხვადასხვანაირად ანაწევრებს აზროვნებას, ამის დასამტკიცებლად განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი. ქართულში, როგორც ცნობილია, ერთმანეთისაგან განსხვავებულია ღისა და ძმის ცნებები, რომელთა შორის განსხვავება მხოლოდ სქესის მიხედვით ხდება. სხვა სემანტიკური კომპონენტები ამ ცნებებს საერთო აქვთ. ესენია: 1) სულიერი, 2) ადამიანური არსება, 3) პირდაპირი ნათესაური კავშირი, 4) მეორე თაობა შშობლებთან მიმართებაში და, შესაძლოა, ზოგი სხვაც. მაგრამ თუ ღისა და ძმის ცნებები სქესის გაგებას არ შეიცავენ, მაშინ ისინი ერთმანეთისგან აღარც იქნებიან განსხვავებული. ასეთი მდგომარეობა გვაქვს სწორედ მალაიურში, სადაც ერთი სიტყვა *sudarā* დასაც აღნიშნავს და ძმასაც. უფრო ზუსტად, მოცემული სიტყვა არც ერთ მათგანს არ აღნიშნავს, იგი გამოხატავს მხოლოდ იმ საერთოს, რომელიც ამ ორ ცნებას ახასიათებს და, ამდენად, სქესის გამოხატვა სავალდებულო არაა.


სხვა მდგომარეობა გვაქვს ამ თვალსაზრისით უნგრულში. ამ ენაში ღისა და ძმის აღსანიშნავად ოთხი სიტყვა გვაქვს. ეს ოთხი სიტყვა გამოხატავს იმ სემანტიკურ კომპონენტსაც, რომლებსაც ღისა და ძმის ცნებები შეიცავს ქართულში, მაგრამ, ქართულისაგან განსხვავებით, მოცემული სიტყვები გამოხატავენ ისეთ სემანტიკურ კომპონენტსაც, რომლის გამოხატვა ქართულში სავალდებულო არ არის. ეს სემანტიკური კომპონენტია ასაკი, რომელიც იყოფა უმცროს და უფროს ასაკად. ამიტომ უნგრ. *bátya* გამოხატავს არა ძმას უბრალოდ, არამედ უფროს ძმას, ხოლო *öccs* — უმცროს ძმას, ასევე უნგრ. *fiú* უფროს დას აღნიშნავს, ხოლო *fiu* — უმცროს დას. როგორც ვხედავთ, უნგრული სიტყვები სემანტიკური კომპონენტების უფრო მეტ რაოდენობას გამოხატავს, ვიდრე სათანადო ქართული სიტყვები და ამიტომ ამ ენაში ორის ნაცვლად ოთხი სხვადასხვა სიტყვა გვაქვს ღისა და ძმის აღსანიშნავად. პირიქით, მალაიური ქართულთან შედარებით სემანტიკური კომპონენტების უფრო მცირე რაოდენობას შეიცავს და ამიტომ აქ ერთი სიტყვა გვაქვს ღისა და ძმის აღსანიშნავად.

საინტერესო სურათია ამ თვალსაზრისით სვანურში. ღისა და ძმის აღსანიშნავად აქაც ოთხი სიტყვა გვაქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში ისეთივე მდგომარეობა მაინც არა გვაქვს, როგორც ეს უნგრულშია. სვანურის თვალსაზრისით აუცილებელია არა ასაკის, არამედ კუთვნილების ჩვენება. ამიტომ სვანურში ერთმანეთისგან განსხვავებულია ძმა ძმისთვის (მუხუბე) და ძმა ღისთვის (ყდმილ). ასევე განსხვავებულად არის გამოხატული და ღისთვის (უდილ) და და ძმისთვის (დაჩუირ).

როდესაც ენას განვიხილავთ როგორც საკლასიფიკაციო სისტემას,

საქმე ეხება არა მხოლოდ ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვებს, არამედ ენის მთელ ლექსიკას. გერმანულში ორი სხვადასხვა ცნებაა ენა როგორც საკომუნიკაციო საშუალება (die Sprache „ენა“) და ენა როგორც ფიზიოლოგიური ორგანო (die Zunge „ენა“). ქართულში კი ეს განსხვავება არსებითი არაა და ამიტომ ორივე ეს ცნება ერთ სიტყვით (ენა) აღნიშნება. რუსულში ერთმანეთისაგან განსხვავებულია ცხვირის როგორც ცხოველის (баран „ვერძი, ცხვარი“) და ცხვირის ზორცის (баранина) ცნებები, მაგრამ ფრანგულში ეს ორი ცნება ერთმანეთისგან განსხვავებული არაა და ამიტომ ისინი ერთი სიტყვით (le mouton) აღნიშნება. ქართულში ერთმანეთისაგან განსხვავებულია ქონა და ყოლა ზმნები. სულიერზე ამბობენ „ჰყავსო“ (მამა ჰყავს, ძროხა ჰყავს...), ხოლო უსულოზე „აქვსო“ (ვენასი აქვს, სახლი აქვს...), მაგრამ რუსულში ეს ორი ცნება ერთი სიტყვით გამოიხატება, ე.ი. ერთმანეთისაგან არ განსხვავდება (Имст отца, имеет корову, имеет дом, имеет книгу).

თუ როგორ სხვადასხვანაირად ანაწევრებს ენები აზროვნების უფორმო მასას, ამის კარგი საილუსტრაციო მაგალითია კითხვითი ნაცვალსახელები ქართულსა და რუსულში. ზოგადად თუ ავიღებთ, უნდა გამოიყოს სამი ზონა, რომლებსაც ეს ნაცვალსახელები მოიცავენ: 1) ადამიანური არსება, 2) სულიერი არსებები, 3) უსულო საგნები.



როგორც ვხედავთ, *кто* კითხვითი ნაცვალსახელი რუსულში მოიცავს პირველ-ორ ზონას (შდრ. *Кто пишет? Кто лает?*), ხოლო მისი შესატყვისი ნაცვალსახელი ქართულში-მხოლოდ პირველ ზონას (შდრ. ვინ წერს?) *что* კითხვითი ნაცვალსახელი რუსულში მოიცავს მხოლოდ მესამე ზონას (შდრ. *что лежит?*) „რა“ ნაცვალსახელი კი ქართულში ბოლო ორ ზონას (რა ყევს? რა დევს?).

პირის ნაცვალსახელების მიხედვით ენები თითქოს არ უნდა განსხვავებოდეს ერთმანეთისგან, რადგანაც გვაქვს, ერთი მხრივ, კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირები (პირველი და მეორე) და ის პირი, რომელზეც საუბარია (მესამე პირი). მაგრამ ამ დონეზეც კი

ენებში განსხვავება შეინიშნება. ამის დასამტკიცებლად საკმარისია ერთმანეთს შევედაროთ ქართული და რუსული. რუსულშიც, ისევე როგორც ქართულში, ცალკე გამოიყოფა პირველი-ორი პირი (Я-მე, Ты-შენ). მაგრამ მესამე პირის მიხედვით კი, როგორც ეს ზემოთაც ვნახეთ (იხ. §3.5, პირი), განსხვავება გვაქვს ქართულსა და რუსულს შორის. ქართულში ჩვენ გვაქვს მხოლოდ ჩვენებითი ნაცვალსახელები (ის, იგი), რომლებიც შეთავსებით მესამე პირსაც აღნიშნავენ: თუ ისინი სახელის თანმხლები ელემენტებია, მაშინ ჩვენებით ნაცვალსახელებს წარმოადგენენ (შდრ. ის კაცი, იგი კაცი), მაგრამ თუ ზმნის თანმხლებ ელემენტებს წარმოადგენენ, მაშინ პირის ნაცვალსახელების როლში გამოდიან (შდრ. ის მოვიდა, იგი მოვიდა). ქართულისაგან განსხვავებით რუსულში ნაცვალსახელების ორი რიგი გვაქვს (ОН-ОНА-ОНО, ТОТ-ТА-ТО), რომელთაგან პირველი ყოველთვის პირის ნაცვალსახელების როლში გამოდის, რადგანაც მხოლოდ ზმნის თანმხლებ ელემენტებს წარმოადგენენ (Он пришёл. Она пришла. Оно пришло), ხოლო მეორე თან ახლავს როგორც ზმნას (Тот пришёл. Та пришла. То пришло), ისე სახელს (Тот мужчина. Та женщина. То перо) და ორივე შემთხვევაში ჩვენებითი ნაცვალსახელის როლში გამოდის. ამრიგად, ქართულში მესამე პირის ნაცვალსახელები არა გვაქვს და ამიტომ მის ფუნქციას ჩვენებითი ნაცვალსახელები ასრულებენ, ხოლო რუსულში მესამე პირის აღსანიშნავად გვაქვს როგორც ჩვენებითი, ისე პირის ნაცვალსახელებიც.

ზოგჯერ შეიძლება გვეგონოს, რომ ორი სიტყვა ორ სხვადასხვა ენაში აბსოლუტურად ერთხვევა ერთმანეთს მნიშვნელობის მიხედვით. რა თქმა უნდა, ასეთი დამთხვევაც არ არის მოულოდნელი (განსაკუთრებით ეს ითქმის სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე), მაგრამ, როგორც წესი, ორი სიტყვა ორ სხვადასხვა ენაში მნიშვნელობის მიხედვით აბსოლუტურად არასოდეს ერთხვევა ერთმანეთს. ავიღოთ საანალიზოდ რუს. Брат და ქართ. „ძმა“ სიტყვები. თითქოს ეს ორი სიტყვა სემანტიკური თვალსაზრისით ერთმანეთს ერთხვევა აბსოლუტურად, მაგრამ მათ შორის მცირე განსხვავება მაინცაა, რადგანაც რუს. Брат ისეთ კონტექსტშიც გვხვდება (შდრ. двоюродный брат), სადაც ქართ. „ძმა“ სიტყვა არ იხმარება (შდრ. ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი). ასევე განსხვავდება ქართ. „თვალი“ სიტყვის მნიშვნელობა რუს. Глаз სიტყვის მნიშვნელობისაგან, რადგანაც ქართულში „თვალი“ იხმარება ისეთ პოზიციებშიც, სადაც რუს. Глаз სიტყვას ვერ დავადასტურებთ (შდრ. ურმის თვალი, წყაროს თვალი და სხვ.). ამიტომ სიტყვის მნიშვნელობის დასადგენად აუცილებელია ყველა ამ პოზიციის დადგენა, რომლებშიც გვხვდება მოცემული სიტყვა მოცემულ ენაში.

ამრიგად, სიტყვის მნიშვნელობის კვლევა გულისხმობს მის განხილვას

ორ სხვადასხვა განზომილებაში: 1; სიტყვის მიმართება საგანთან (რეფერენცია), 2; სიტყვის მიმართება (სემანტიკური თვალსაზრისით) მოცემული ენის სხვა სიტყვებთან (ლირებულება). სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრა ორ სხვადასხვა განზომილებაში საფუძველი ხდება რეფერენციალური და დიფერენციალური მნიშვნელობის განსხვავებისა. „დისა“ და „მისი“ ცნებები, რომლებიც ჩვენ ზემოთ დაწვრილებით განვიხილეთ, გულისხმობს, ვანსხვავებას, ვთქვათ, ჩაცმულობისა და თმის ვარცხნილობის მიხედვითაც, რადგანაც პირველი ერთიანდება ქალთა ზოგად კლასში, ხოლო მეორე ასევე ზოგად მამაკაცთა კლასში, მაგრამ ჩაცმულობისა და ვარცხნილობის სემანტიკური ნიშნები რეფერენციალური მნიშვნელობის შემადგენელი კომპონენტებია. დიფერენციალური მნიშვნელობების დონეზე კი ეს „მისი“ ცნებების განსასხვავებლად საქმარისია მხოლოდ ერთი დიფერენციალური ნიშანი-მედრობითი და მამრობითი სქესი.

სიტყვითა სემანტიკური მიმართებები ერთმანეთთან, რომელსაც ტრადიციულად (ამ ტრადიციას საფუძველი ფ. დე სოსიურმა ჩაუყარა) ღირებულება (ფრანგ. valeur) ეწოდება, უნდა ვიკვლიოთ ერთი სემანტიკური კლასის ფარგლებში. ამგავრი სემანტიკური ველებია ნათესაობის, ფლორისა და ფაუნის, ფერთა, წონისა და ზომის, სილამაზის, სამხედრო წოდებების, ლანძღვა-გინების, ფიცისა და სხვ. სემანტიკური ველები. სახელთა დაყოფა არსებით, ზედსართავ, რიცხვით და ნაცვალსახელებად ასევე სემანტიკური ველების გამოყოფაა. სემანტიკური ველებია ზნაც და ზნისზღაც. მაგრამ ასეთი სემანტიკური ველები (მეტყველების ნაწილები) აბსტრაქტული ველებია, რომელთა შიგნით უნდა გამოიყოს შედარებით უფრო კონკრეტული სემანტიკური ველები. არსებით სახელთა სემანტიკურ ველში ჩვენ გამოვიყოფთ ნათესაობის, ფლორისა და ფაუნის და ა.შ. სემანტიკურ ველებს, რომლებიც გარკვეულ სემანტიკურ ქვეკლასებს წარმოადგენენ: ასევე ზედსართავი სხსელის კლასი: გაიყოფა ფერების, სილამაზის და ა.შ. სემანტიკურ ველებად ანუ ქვეკლასებად. ეს ქვეკლასები შეიძლება უშუალოდ სიტყვებად დაიშალოს, ანდა ისევ ქვეკლასებად. მაგალითად, ფაუნის სემანტიკური ველის ფარგლებში ჩვენ გამოვიყოფთ ცხოველების, ფრინველების, თევზების, მწერების სემანტიკურ ველებს და ა.შ.

სემანტიკური მიმართებები სიტყვებს შორის მყარდება ერთი სემანტიკური ველის შიგნით. იგივე „და“ და „მამა“ სიტყვები ასეთ მიმართებებს ამყარებენ ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვებთან (პაპა, ბებია, მამა, დედა, შმაზბელი, ძე, ასული, შვილი, წული, შვილიშვილი, შვილთაშვილი, პაპიდა, ბებიდა, ბიძა, მამიდა, დედა, ბიძაშვილი, მამიდაშვილი, ძმიშვილი, დისშვილი, ქმარი, ცოლი, მეუღლე, სიმამრი, სიდედრი, მამამთილი, დედამთილი, ცოლისძმა, ცოლისდა, ნახევარძმა, ნახევარდა, მაზლი, შკალი, მაზლიშვილი, მულიშვილი, ქვისლი, შილი, მძახალი, ბიცოლა,

სიძე, რძალი, მამინაცვალი, დედინაცვალი, გერი, და ზოგი სხვა(ც) და არა, ვთქვათ, ზომა-წონის სემანტიკურ ველში (გრამი, კილოგრამი, სანტიმეტრი, არშინი, მეტრი, გირვანქა, ოყა, წამი, საათი, დღე, ღამე, წელიწადი და სხვ.) შემავალ სიტყვებთან. ერთი შეხედვით არავითარი მიმართება არ მყარდება „მძა“ და „შილი“ სიტყვებს შორის ერთი სემანტიკური ველის შიგნითაც კი, მაგრამ თუ გავიხსენებთ იმას, რომ „შილი“ ქართულში ქმრის ძმის ცოლია, ეს მიმართება აშკარა გახდება. მეორე მხრივ, „მძა“ და, ვთქვათ, „ფიჭვი“ სიტყვები, რომლებიც სხვადასხვა სემანტიკურ ველში შედიან, ერთიანდებიან მხოლოდ ყველაზე აბსტრაქტულ დონეზე (არსებითი სახელი), რადგანაც მათთვის საერთოა მხოლოდ ის, რომ ორივე ეს სიტყვა საგანს აღნიშნავს, ე.ი. ორივე არსებითი სახელია.

სემანტიკური ველების საკითხთან მჭიდრო კავშირშია ექსტენსიონალისა და ინტენსიონალის ცნებები. სიტყვის ექსტენსიონალი ეწოდება საგანთა იმ კლასს, რომლებთანაც მოცემული სიტყვა მიმართებას ამყარებს, ხოლო სიტყვის ინტენსიონალია იმ თვისებების ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს მოცემულ სიტყვასთან მიმართებაში მყოფ საგანს. მაგალითად, „ყვავილი“ სიტყვის ექსტენსიონალი უფრო მეტია, ვიდრე „მიხაკი“ სიტყვისა და ეს იმიტომ, რომ პირველი სიტყვა მოიცავს საგანთა გაცილებით უფრო დიდ კლასს, ვიდრე მეორე. მაგრამ „მიხაკი“ სიტყვის ინტენსიონალი უფრო მეტია, ვიდრე „ყვავილი“ სიტყვისა. მეტია იმიტომ, რომ იგი (მიხაკი) გულისხმობს იმ თვისებებსაც, რომლებიც საერთოდ ყვავილს ახასიათებს და, გარდა ამისა, იმ თვისებებს თუ თვისებებს, რომლებიც მიხაკს ყვავილისაგან განასხვავებს. ერთი სიტყვით, ექსტენსიონალი და ინტენსიონალი ერთმანეთთან უკუპროპორციულ მიმართებაშია: რაც უფრო მეტია სიტყვის ექსტენსიონალი, მით უფრო ნაკლებია მისი ინტენსიონალი და პირიქით. ამიტომ რაც უფრო აბსტრაქტულ სემანტიკურ ველში ერთიანდება ესა თუ ის სიტყვა, მით უფრო იზრდება მისი ექსტენსიონალი, მაგრამ მცირდება ინტენსიონალი. პირიქით, სემანტიკური ველიდან კონკრეტულ სიტყვებზე თანდათანობით გადასვლა ამცირებს სიტყვათა ექსტენსიონალს, მაგრამ ზრდის მათ ინტენსიონალს. ერთი სიტყვით, სემანტიკური ველის ექსტენსიონალი უფრო მეტია, ვიდრე ამ ველში შემავალი სიტყვებისა, მაგრამ ერთ სემანტიკურ ველში გაერთიანებული სიტყვების ინტენსიონალი უფრო მეტია, ვიდრე თვითონ სემანტიკური ველისა.

§ 2. ჰიპონიმია

სემანტიკურ ველში სიტყვები გაერთიანებულია არა ქაოტურად, არამედ ჰიპონიმის პრინციპის მიხედვით. ეს პრინციპი სემანტიკაში

ახალი აღმოჩენილია, ხოლო თვითონ ტერმინი „ჰიპონიმია“ შექმნილია სინონიმებისა და ანტონიმების ანალოგიით. ნაწარმოებია იგი ბერძ. *hypō* „ქვე“ და *ónyma* „სახელი“ სიტყვებისაგან და გულისხმობს ერთი სიმრავლის ჩართვას მეორე სიმრავლეში. ასე, მაგალითად, სიტყვა „მიხაკი“ სემანტიკური თვალსაზრისით ჩართულია სიტყვა „ყვავილში“, რადგანაც ეს უკანასკნელი მიხაკსაც მოიცავს, სიტყვა „ასული“ ასევე სემანტიკური თვალსაზრისით ჩართულია „ადამიანის“ სიმრავლეში, „მეტრი“—ზომის აღმნიშვნელ სიტყვათა სიმრავლეში, „პატი“—ფრინველთა სიმრავლეში და ა. შ. საერთოდ უფრო სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვა ყოველთვის ჩართულია უფრო ზოგადი სიტყვის მნიშვნელობაში, ე. ი. ესა თუ ის წვერი გაერთიანებულია რაღაც კლასში. რაც უფრო ნაკლებია სიტყვის ექსტენსიონალი, მით უფრო მეტია იმის ალბათობა, რომ ასეთი სიტყვა ყოველთვის ჩართული აღმოჩნდება გარკვეულ ზოგად კლასებში. ამიტომ ჰიპონიმია სიტყვის ექსტენსიონალზეა დამოკიდებული: უფრო ზოგადი მნიშვნელობის მქონე სიტყვა ერთი სემანტიკური ველის ფარგლებში ყოველთვის იქვემდებარებს უფრო სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვას. ვთქვათ, სიტყვა „არწივი“ სემანტიკური თვალსაზრისით დაქვემდებარებულია სიტყვაზე „მტაცებელი ფრინველი“, ეს უკანასკნელი თავის მხრივ ექვემდებარება „ფრინველი“ სიტყვის უფრო ზოგად კლასს და ა. შ.

ჰიპონიმის შემთხვევაში ცალმხრივ იმპლიკაციასთან გვაქვს საქმე. ასე, მაგალითად, „მიხაკი“ სემანტიკური თვალსაზრისით გულისხმობს „ყვავილი“ მნიშვნელობას, მაგრამ არა პირიქით, მნიშვნელობა „ყვავილი“ არ გულისხმობს მნიშვნელობას „მიხაკი“. ასევე მნიშვნელობა „ძმა“ გულისხმობს მნიშვნელობას „ადამიანი“, მაგრამ არა პირიქით. საერთო, წვერი გულისხმობს იმ მნიშვნელობას, რომელიც კლასისთვის არის დამახასიათებელი და სწორედ ამიტომ არის იგი (წვერი) გაერთიანებული მოცემულ კლასში, მაგრამ კლასი არ გულისხმობს თავისი წვერის მნიშვნელობას. ასევე ჰიპონიმური მიმართებაა საზოგადო და საკუთარ სახელებშიც: საკუთარი სახელი გულისხმობს საზოგადო სახელის მნიშვნელობას. ვთქვათ, ლუასაბ თათქარიძე კაცის მნიშვნელობას (თუმცა ი. ჭავჭავაძეს ამაში ეჭვი ეპარება), მაგრამ მნიშვნელობა „კაცი“ არ გულისხმობს ლუასაბ თათქარიძეს. ერთი სიტყვით, სემანტიკურ ველში წვერებიდან კლასზე გადასვლა ხდება ჰიპონიმის პრინციპის დაცვით, რის შედეგადაც ვლბულობთ გარკვეულ იერარქიულ სისტემებს, რომლებშიც უფრო ზოგადი მნიშვნელობის სიტყვა იქვემდებარებს კერძო მნიშვნელობის მქონე სიტყვას თუ სიტყვებს და ამ გზით წარმოიქმნება სუბორდინაციული მიმართება (დაქვემდებარება) კლასსა (სემანტიკური ველი) და მის წვერებს შორის. ასეთი სუბორდინაციული მიმართება

შეიძლება გვეჩინდეს კლასების დონეზეც (მაგალითად, ფერების აღმნიშვნელი ზედსართავების სემანტიკური ველი ერთიანდება ზედსართავების უფრო ზოგად კლასში, რომელშიც, თავის მხრივ, სახელის კიდევ უფრო ზოგად კლასში შედის). თუ ენის ლექსიკა მოწესრიგებული სიმრავლის შთაბეჭდილებას ტოვებს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სემანტიკურ ველებსა და მის წევრებს შორის ან თვითონ სემანტიკურ ველებს შორის სუბორდინაციის მიმართება გვაქვს. ხშირად ჩვენ სიტყვის მნიშვნელობის ინტერპრეტაციას ვახდენთ არა საკუთრივ წევრების დონეზე, არამედ სემანტიკური ველის დონეზე. შეიძლება არც კი ვიცოდეთ ზუსტად, თუ რას ნიშნავს კაკაღუ ან ფლამინგო სიტყვები და ვკმაყოფილდებით მხოლოდ იმით, რომ ამ სიტყვებით აღნიშნული სიტყვები ფრინველებია, ე. ი. მოცემულ სიტყვათა ინტერპრეტაციას ვახდენთ მხოლოდ სემანტიკური ველის დონეზე. ხშირად ჩვენ გვიჭირს არა მარტო ნასესხები, არამედ მშობლიური ენის ინტერპრეტაცია კი კლასის წევრების დონეზე და ვკმაყოფილდებით მხოლოდ მათი ინტერპრეტაციით სემანტიკური ველების დონეზე. ალბათ ბევრმა ქართველმა არ იცის, თუ რა განსხვავებაა „ჰუნე“, „ტიაჭი“, „მერანი“, „რაში“ სიტყვებს შორის სემანტიკური თვალსაზრისით, მაგრამ რადგანაც ყველა მათგანი „ცხენის“ მნიშვნელობას შეიცავს, ჩვენც ვკმაყოფილდებით მხოლოდ იმ საერთოს ცოდნით, რაც ამ სიტყვებს აქვთ სემანტიკის დონეზე. როგორც ჩანს, შეუძლებელია კაცმა ყველაფერი იცოდეს თავის მშობლიურ ენაშიც კი. ეს განსაკუთრებით ითქმის სემანტიკის შესახებ. ამიტომ ხშირად იძულებული ვართ სიტყვათა მნიშვნელობების ინტერპრეტაცია მოვახდინოთ არა თვითონ სიტყვების, არამედ სემანტიკური კლასების დონეზე.

§3 სინონიმია და ომონიმია

მნიშვნელობასა და აღმნიშვნელს შორის, როგორც წესი, ურთიერთ-ცალსახა შესატყვისობა არსებობს, რადგანაც ერთი მნიშვნელობა მოცემულ ენაში ყოველთვის ერთი გარკვეული აღმნიშვნელით გამოიხატება და, პირიქით, ერთ აღმნიშვნელს ერთი გარკვეული მნიშვნელობა შეესატყვისება. იდეალური იქნებოდა ის ენა, რომელშიც ყველა მნიშვნელობას თავისი აღმნიშვნელი ექნებოდა და ყველა აღმნიშვნელს თავისი მნიშვნელობა აღმოაჩნდებოდა. მაგრამ არც ერთი ბუნებრივი ენა ამ პირობას ბოლომდე არ აკმაყოფილებს, რადგანაც ხშირად ერთი და იგივე მნიშვნელობა სხვადასხვა აღმნიშვნელით გამოიხატება ერთსა და იმავე ენაში და, პირიქით, სხვადასხვა მნიშვნელობას ერთი და იგივე აღმნიშვნელი გამოხატავს. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს სინონიმიასთან (ბერძ. *synonymos* „თანასახელი“), ხოლო მეორე

შემთხვევაში — ომონიმიასთან (ბერძ. *homos+onyma* „თანაბარსახელიანობა“).

მაგრამ სინონიმიასზე როდესაც ვლაპარაკობთ, დასაზუსტებელია თვითონ მნიშვნელობის ცნება, ე. ი. გასარკვევია, თუ რა მნიშვნელობას გამოხატავენ სინონიმები — რეფერენციალურს თუ დიფერენციალურს. უფრო ზუსტად, სინონიმია რეფერენციალური მნიშვნელობის დონეზე გვაქვს თუ დიფერენციალური მნიშვნელობის დონეზე. ქართ. „მრავალმარღვა“ რუს. „подорожник“ სიტყვას შეესატყვისება რეფერენციალური მნიშვნელობის მიხედვით, რადგანაც ორივე სიტყვას ერთი და იგივე რეფერენტი აქვს, მაგრამ დიფერენციალური მნიშვნელობის მიხედვით მათ შორის განსხვავებაა. ქართულში მოტივაციის საფუძველია ის, რომ მოცემულ მცენარეს მრავალი მარღვი აქვს, ხოლო რუსულში ის, რომ მცენარე გზის გაყოლებით იზრდება. როგორც ვხედავთ, ერთი და იგივე რეფერენტი ქართულსა და რუსულში სხვადასხვა თვალსაზრისითაა განხილული, ე. ი. ერთსა და იმავე რეფერენტს სახვადასხვა ცნება შეესატყვისება მოცემულ ენებში.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს სინონიმიის შემთხვევაშიც. რეფერენციალური მნიშვნელობის მიხედვით სინონიმები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც სხვადასხვა ცნებებს გამოხატავენ, ე. ი. ერთსა და იმავე რეფერენტს სხვადასხვა თვალსაზრისით ახასიათებენ ქართულში „ტუჩი“ და „ბაგე“ (ტუჩები და ბაგეები) სინონიმებად მიიჩნევა, და ეს მართლაც ასეა, რადგანაც ორივე მათგანს ერთი და იგივე რეფერენტი შეესატყვისება. მაგრამ სემანტიკური კომპონენტების მიხედვით „ტუჩი“ და „ბაგე“ ერთმანეთისაგან განსხვავებულია, რაც აპირობებს კიდევ კონცეპტუალურ განსხვავებას ამ ორ სიტყვას შორის. „ტუჩი“ სიტყვა სათანადო რეფერენტს წარმოადგენს მხოლოდ როგორც ფიზიოლოგიურ ორგანოს, ხოლო „ბაგე“ სიტყვა ამავე ორგანოს კომუნიკაციის სემანტიკურ კომპონენტსაც უკავშირებს. ამიტომ ქართულში ბუნებრივია ფრაზები: დოქის ტუჩი, ქოთნის ტუჩი და სხვა, მაგრამ დაუშვებელია „*დოქის ბაგე“, „*ქოთნის ბაგე“ და სხვ. მიზეზი ამისა არის ის, რომ დოქსა და ქოთანს კომუნიკაციის სემანტიკური კომპონენტი არ ახასიათებს და ამიტომ არც „დოქის ბაგე“ და „ქოთნის ბაგეა“ ქართულში დასაშვებია. ამავე მიზეზით აიხსნება ისიც, რომ ქართულში ჩვეულებრივია „ტუჩკილი“, „ტუჩ-პირი“ და სხვ. კომპოზიტები, მაგრამ არა გვაქვს „ბაგე-პირი“. კომუნიკაციის სემანტიკური კომპონენტი ამ კომპონენტებში არ იგულისხმება და, ამდენად, არც „ბაგე“ სიტყვა გამოიყენება. მეორე მხრივ, „ბაგე“ სიტყვა ქართულში ყოველთვის კომუნიკაციის სემანტიკურ კომპონენტთან არის დაკავშირებული (შდრ. სრული ჭეშმარიტება

ამოდიოდა იმ ბაგიდან. შ. არაგვისპირელი). ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ქართულ ფონეტიკურ ლიტერატურაში დამკვიდრდა ასეთი ტერმინები: ბაგისმიერი, წვეილბაგისმიერი, კბილბაგისმიერი (და არა *ტურისმიერი, *წვეილტურისმიერი, *კბილტურისმიერი).

ამრიგად, „ტური“ და „ბაგე“ სიტყვები ქართულში, მართალია, სინონიმებია, მაგრამ სხვადასხვა ცნებებს გამოხატავენ (ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კი ეს განსხვავება შემჩნეული არაა და ორივე ეს სიტყვა განმარტებულია როგორც „პირის ნაპობის ზედა და ქვედა კიდე“. ასეთი განმარტება, რა თქმა უნდა, მცდარი არაა, მაგრამ იგი არასრულია, რადგანაც ვერ აჩვენებს განსხვავებას „ტური“ და „ბაგე“ სიტყვებს შორის).

ასევე სხვადასხვა ცნებებს გამოხატავენ რუსულში წყვილები: лоб-чело, глаза-очи, губы-уста და სხვ. ა. რეფორმატსკი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს შემდეგს: Старые риторики это правильно оценивали, разъясняя, что чело-не часть черепа, а вместилище мысли, очи - это не орган зрения, а зеркало души, уста - это не орган приёма пищи (или, допустим, лабиализации гласных), а „источник речей премудрых“ (А. А. Реформатский, Введение в языковедение, М, 1967, стр. 92) ა. რეფორმატსკის იმის თქმ უნდა, რომ, ვთქვათ, лоб და чело სიტყვები, მართალია, ემთხვევა ერთმანეთს რეფერენტის მიხედვით, მაგრამ ისინი მაინც სხვადასხვა ცნებებს გამოხატავენ, სხვადასხვაგვარად ახასიათებენ თავიანთ რეფერენტს.

ამრიგად, სინონიმები ისეთი სიტყვებია, რომლებიც ერთმანეთს ემთხვევიან რეფერენციალური მნიშვნელობის მიხედვით, მაგრამ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან დიფერენციალური მნიშვნელობებით, ე. ი. კონცეპტუალური თვალსაზრისით. ნათქვამი არ ნიშნავს იმას, რომ სინონიმები ყოველთვის განსხვავდებიან ერთმანეთისაგან კონცეპტების მიხედვით. სინონიმები შესაძლებელია ემთხვეოდეს ერთმანეთს როგორც რეფერენტის მიხედვით, ისე კონცეპტუალური თვალსაზრისითაც, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სინონიმებს შორის მხოლოდ სტილისტური განსხვავება იქნება და არა კონცეპტუალური. ასეთი სინონიმებია: ენათმეცნიერება—ლინგვისტიკა, ბეჰემოტი—ჰიპოპოტამი და სხვ.

სინონიმის საწინააღმდეგო მოვლენაა ომონიმია. ომონიმებია ისეთი სიტყვები, რომელთაც სხვადასხვა რეფერენტი შეესატყვისებათ და, ამდენად, სხვადასხვა ცნებებსაც გამოხატავენ, მაგრამ მოცემულ ორ სხვადასხვა ცნებას ერთი და იგივე აღმნიშვნელი შეესატყვისება. ორი სხვადასხვა ცნება ენებში, როგორც წესი, ორი სხვადასხვა აღმნიშვნელით გამოიხატება, მაგრამ გვაქვს გამონაკლისებიც. აი, სწორედ ასეთ გამონაკლისებს წარმოადგენენ ომონიმები. უფრო ზუსტი იქნებოდა

გველაპარაკა არა ომონიმებზე, არამედ ომოფონებზე, რადგანაც ომონიმებს შორის დამთხვევა ზღუდა არა კონცეპტების, არამედ ბგერითი აღმნიშვნელების მიხედვით, მაგრამ ომოფონებს ტრადიციულად ომონიმებს უწოდებენ და საჭირო არაა ამ ტრადიციის დარღვევა.

ომონიმები სხვადასხვა სემანტიკურ ველში არიან განაწილებული. ასე, მაგალითად, ქართ. „ბარი“ (სამუშაო იარაღი) და „ბარი“ (დაბალი, ვაკე ადგილი, „მთა და ბარი“), მართალია, ომონიმებია, მაგრამ სრულიად სხვადასხვა ველში არიან განაწილებული. ამიტომ სხვა არის ის გარემოცვაც, რომლებშიც ეს ომონიმური სიტყვები იხმარებიან ქართულში. წინადადებებში „ბარით მუშაობს“, „ბარი ჩაარტყა თავში“, „ბარს ტარი დააგო“, „ბარზე დაეყრდნო“, „ბარით მოკლა“ და სხვ. სიტყვა „ბარს“ ყველა ქართველი გაიგებს როგორც სამუშაო იარაღს, ხოლო წინადადებაში „ბარში ცხოვრობს“, „მთა და ბარი აიკლო“, „ბარში წვიმს“ და სხვა, პირიქით, სიტყვა „ბარი“ ცალსახად გამოხატავს მხოლოდ „დაბალი, ვაკიანი ადგილის“ მნიშვნელობას. ამ ბოლო დროს ქართულში სესხების გზით ომონიმების მოცემულ წყვილს გაუჩნდა მესამე პარტნიორიც, რომელიც რესტორნის გარკვეულ სახეობას აღნიშნავს, მაგრამ „ბარი“ სიტყვა რესტორნის მნიშვნელობით ასევე გარკვეულ პოზიციებში გვხვდება. წინადადებებში „გუშინ ბარში ვიქეიფე“, „წუხელ ბარში ვიცეკვე“, „ბარში გოგო გავიცანი“, „ბარში ორასი მანეთი გადამხდევინეს“, „ეანომ სარდაფში ბარი გააკეთა“ და სხვ. „ბარი“ სიტყვას არავინ არ გაიგებს არც იარაღის და არც „დაბლობი, ვაკიანი ადგილის“ მნიშვნელობით.

როგორც ვხედავთ, ყველა ომონიმს თავისი სპეციფიკური გარემოცვა აქვს და ამიტომ წინადადებებში ომონიმები ყოველთვის ცალსახა ინტერპრეტაციას ექვემდებარებიან. სხვაობა გარემოცვების მიხედვით კი განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ომონიმები სხვადასხვა სემანტიკურ ველებში არიან გაერთიანებული და, მაშასადამე, სხვადასხვა ცნებებს გამოხატავენ, ე. ი. მათთვის სემანტიკურ კომპონენტთა სხვადასხვა ერთობლიობა არის დამახასიათებელი.

ომონიმები დამახასიათებელია ყველა ენისათვის (შდრ. რუს. лук „მშვილდი“— лук „ხახვი“, брак „ქორწილი“— брак „წუნი“, ინგ. meat [mi:t] „ხორცი“— meet [mi:t] „შეხვედრა“, ფრანგ. saint „ჯანმრთელი“— saint „წმინდა“ და სხვ., მაგრამ ისინი (ომონიმები) ყოველთვის სხვადასხვა სემანტიკურ ველშია განაწილებული. ისეთი ომონიმებიც კი, რომლებიც წარმოშობით ერთია (შდრ. რუს. знать „არისტოკრატია“ და знать „ცოდნა“), ამ ზოგად წესს არ არღვევენ.

§ 4. პოლისემია

ომონიმისგან უნდა განვასხვავოთ პოლისემია ანუ სიტყვის მრავალმნიშვნელოანობა. ასე, მაგალითად, „თვალი“ სიტყვა ქართულში რამდენიმე სხვადასხვა მნიშვნელობას გამოხატავს: 1. მხედველობის ორგანო (მდრ. ჩემი თვალით ვნახე), 2. სოლებიანი (ან მთლიანი) წრე, რომელიც ღერძზეა წამოცმული, ბრუნავს და ამობრავებს გადასახიდ საშუალებას, ბორბალი, გოგორა (მდრ. ავტომობილის თვლები, ვაგონის თვლები, აჭრიალდა ურძის თვალი), ისეთი წრე, რომელიც სხვადასხვა მანქანებსა და მექანიზმებშია გამოყენებული მოძრაობის გადასაცემად ან მოსაწყისრიგებლად, 3. იშვიათი მინერალისაგან გამოთლილი ძვირფასი ქვა, რამეში (ბეჭედში გვირგვინში...) ჩასასმელი (მდრ. ბრილიანტის თვალი, ძვირფასი თვალი, პატოსანი თვალი, ნატურის თვალი, 4. რაიმე ნაგებობის ცალკეული განყოფილება, სათავსი (მდრ. ბუღლის თვალი, ერთი (ორი...) თვალი სახლი, ერთი (ორი...) თვალი წისქვილი. 5. წყაროს თვალი, სადაც წყაროს წყალი გამოდის, 6. ფანჯრის თითოეული ნაწილი, რომელიც ჩარჩოს შიგნითა ტიხრებით არის შემოსაზღვრული (მდრ. ფანჯრის გაღება არც ღირდა, შუშა მხოლოდ ორ თვალში დარჩენილიყო, ისიც ნახევრად ჩამტვრეული, (ნ. ლორთქიფანიძე), 7. ხურჯინის ორ განყოფილებათაგან თითოეული (სოლომონმა შეაკაზმინა ბიჭის ვორი, გადააკიდა ხურჯინი, რომლის ერთ თვალში ხარის ტყავი იდო და მეორეში—შპრაღად მოხარშული ხორცი და პურები. (დ. კლდიაშვილი), 8. ყულფი, რგოლი, უჯრედი (ნაქსოვისა, დაწნულია, ჯაჭვისა...). წინდის თვალი, ლეჩაქის თვალი, არშიის თვალი (ქგლ, IV, გვ. 387-391).

როგორც ვხედავთ, „თვალი“ სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობები აქვს ქართულში. იგი ნიშნავს როგორც მხედველობის ორგანოს, ისე ბორბალს, იშვიათი მინერალისაგან გამოთლილ ძვირფას ქვას, ადგილს, საიდანაც წყარო ამოდის, ნაქსოვის უჯრედსა და სხვ. ერთი სიტყვით, სემანტიკური თვალსაზრისით „თვალი“ სიტყვა ქართულში ზედმეტად გადატვირთულია.

თუ ჩვენ ვიტყვით, რომ „თვალი“ სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობებიდან ძირითადია პირველი (მხედველობის ორგანო), ხოლო სხვები გადატანით მნიშვნელობებს წარმოადგენენ, მაშინ უფრო მეტი წინააღმდეგობების წინაშე აღმოვჩნდებით. საქმე ისაა, რომ სიტყვის მნიშვნელობის გადატანა ხდება რეფერენტების მსგავსების საფუძველზე. როდესაც ვინმეს ვირთან ადარებენ და მიმართავენ „შე, ვირო, შენა!“ არც თუ სასიამოვნო ფრაზით მხედველობაში აქვთ ის, რომ მოცემული პიროვნება ან ვირივით ვიუტია, ანდა ვირივით უზრდელია, ე. ი. მსგავსებას ხედავენ ადამიანსა და ვირს შორის, თუმცა სხვა შემთხვევებში ისინი სხვადასხვა რეფერენტს წარმოადგენენ.

მაგრამ რა მსგავსებაა მხედველობის ორგანოსა და ბორბალს შორის? ან და პატიოსან თვალსა და ბორბალს შორის? რუსული, მაგალითად, მათ შორის რაიმე მსგავსებას ვერ ხედავს და ამიტომ მათ სამი სხვადასხვა სიტყვით აღნიშნავს (შდრ. ПАЗ, КОЛЕСО, КАМЕНЬ ЧИСТОЙ ВОДЫ). ქართული, პირიქით, მოცემულ სამ სხვადასხვა რეფერენტს შორის მსგავსებას ხედავს, რაც ერთი შეხედვით უცნაურია და ალოგიკური.

თუ რა მსგავსებები შეიძლება აღმოვაჩინოთ „თვალი“ სიტყვით აღნიშნულ რეფერენტებს შორის, ამას გვიჩვენებს მხოლოდ იმ სიტყვის მნიშვნელობის დაშლა სემანტიკურ კომპონენტებად. როგორც ჩანს, არ არის საკმარისი „თვალი“ სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრა როგორც მხედველობის ორგანოსი. ეს მნიშვნელობა შეცავს სხვა სემანტიკურ კომპონენტებსაც. ესენია: 1. სიმრგვლე, 2. ღერძის გარშემო ბრუნვის უნარი, 3. ბუდეში ყოფნა, 4. სიძვირფასე, 5. მრჩობლობითობა. პირველი სემანტიკური კომპონენტის მიხედვით (მხედველობის ორგანო) ქართულში მოცემული სიტყვის მნიშვნელობის გადატანა არ ხდება. ამიტომ „თვალი“ სიტყვის ყველა სხვა მნიშვნელობა მხედველობის სემანტიკურ კომპონენტს არ გულისხმობს. ფრაზებში „ურმის თვალი“, „ვაგონის თვლები“ და სხვ. მნიშვნელობის გადატანა ხდება მეორე (სიმრგვლე), მესამე (ღერძის გარშემო მოძრაობის უნარი) და მეხუთე (მრჩობლობა) სემანტიკური კომპონენტების მიხედვით. ამიტომ სიტყვა „თვალი“ ხსენებულ გამონათქვამებში აღნიშნავს არა მხედველობის ორგანოს, არამედ ისეთ მრჩობლ მრგვალ საგანს, რომელსაც უნარი აქვს ბრუნავდეს ღერძის გარშემო. მამასადამე, თვალი როგორც ფიზიოლოგიური ორგანო, გარკვეულად მსგავსია ბორბალისა. ფრაზაში „ხურჯინის თვალი“, სიტყვა „თვალი“ ასევე არ აღნიშნავს მხედველობის ორგანოს, მაგრამ იგი არ აღნიშნავს არც ისეთ საგანს, რომელიც ღერძის გარშემო მოძრაობს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობის გადატანა ხდება „სიმრგვლის“ სემანტიკური კომპონენტისა და მრჩობლობითობის მიხედვით. ისევე როგორც მხედველობის ორგანოა გაყოფილი ორად, ხურჯინიც ორ ნაწილად (თვალად) იყოფა, თანაც ორივე ეს ნაწილი მრგვალია და ამდენად, თვალი, როგორც ფიზიოლოგიური ორგანო, მსგავსებას ამყარებს ხურჯინთან. ფრაზებში „ორთვლიანი სახლი“, „ნაქსოვის თვალი“ და სხვ. სიტყვა „თვალისათვის“ დამახასიათებელია მხოლოდ „სიმრგვლე“ (როგორც ჩანს, ამგვარ ფრაზებში ოთახი მრგვალ საგნად წარმოიდგინება) და ბუდეში ყოფნა. როგორც მხედველობის ორგანოა ჩასმული ბუდეში, ასევე ოთახი ჩასმულია სახლში, ან უჯრედი ჩასმულია ქსოვილში და ამიტომ ამ შემთხვევაშიც არის საფუძველი რეფერენტების მსგავსებისა. ფრაზებში „პატიოსანი თვალი“, „ნატერის თვალი“ ჩვენთვის საინტერესო სიტყვისათვის დამახასიათებელია სიმრგვლის, სიძვირფასისა და ბუდეში ყოფნის

სემანტიკური კომპონენტები, ხოლო ფრაზაში „წყაროს თვალი“ – „სიმრგვლისა“ და „სიძვირფასისა“.

ამრიგად, „თვალი“ სიტყვა ქართულში, სხვა უფრო ზოგადი სემანტიკური კომპონენტების გარდა (უსულო, ფიზიოლოგიური ორგანო...), შეიცავს შემდეგ კომპონენტებს: 1) მხედველობის ორგანო, 2) სიმრგვალე, 3) ღერძის გარშემო ბრუნვის უნარი, 4) ბუდეში ყოფნა, 5) სიძვირფასე, 6) მრჩობლობითობა. ყველა ეს ნიშანი დამახასიათებელია თვალი სიტყვისათვის მხოლოდ მაშინ, როცა იგი ფიზიოლოგიურ ორგანოს (აღამიანის, ცხოველის ან ფრინველისა) აღნიშნავს. სხვა შემთხვევებში „თვალი“ სიტყვის დამახასიათებელია მხოლოდ გარკვეული სემანტიკური კომპონენტები და არა ყველა ამ სემანტიკური კომპონენტის ერთობლიობა. ეს გარემოება ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ ძირითადი და გადატანითი მნიშვნელობების განსახსვავებლად. ინტუიციურად ყველა ქართველი „თვალი“ სიტყვის ძირითად მნიშვნელობად მიიჩნევს გარკვეული ფიზიოლოგიური ორგანოს აღნიშვნას, ხოლო სხვა მნიშვნელობებს – გადატანითად. მაგრამ ერთია ინტუიცია და სულ სხვა არის მეცნიერული ახსნა. ენათმეცნიერებამ უნდა ახსნას, თუ რატომ უნდა მივიჩნიოთ მოცემული სიტყვის ერთი მნიშვნელობა ძირითადად, ხოლო სხვა მნიშვნელობები – გადატანითად. როგორც ჩანს, ამ განსხვავების ახსნა სავსებით შესაძლებელია, რადგანაც ძირითადი გამოღის სიტყვის ის მნიშვნელობა, რომელშიც თავს იყრის სემანტიკურ კომპონენტთა მაქსიმალური რაოდენობა, ხოლო გადატანითია ის მნიშვნელობა სიტყვისა, რომელშიც სემანტიკური კომპონენტების გარკვეული სიმრავლიდან მხოლოდ ნაწილია წარმოდგენილი. ერთი სიტყვით, განსხვავება ძირითად და გადატანით მნიშვნელობებს შორის რაოდენობრივიცაა და თვისებრივიც, რადგანაც სემანტიკური კომპონენტების გამოკლება გადატანითი მნიშვნელობის თვისებრივ ცვლილებასაც იწვევს. მაგალითად, წინადადებებში „თვალი ჩაუკრა“ და „ურემს თვალი მოძერა“ სიტყვა „თვალი“ სხვადასხვაა თვისებრივი თვალსაზრისითაც და ეს განსხვავება გამოწვეულია იმით, რომ მეორე წინადადებაში „თვალი“ აღნიშნავს მხოლოდ მრჩობლ, მრგვალ და თავის ღერძის ირგვლივ მბრუნავ ორგანოს, ხოლო პირველ წინადადებაში მისთვის ყველა ის სემანტიკური კომპონენტია დამახასიათებელი, რომლებიც კი ზემოთ იყო ჩამოთვლილი.

პოლისემია, როგორც ვხედავთ, სხვა რიგის მოვლენაა, ვიდრე ომონიმია. პოლისემიის შემთხვევაში შესაძლებელი ხდება ერთი აღმნიშვნელით გამოხატული განსხვავებული მნიშვნელობების დაყვანა ერთ ძირითად მნიშვნელობაზე, მათი გაერთიანება ერთ ჭერქვეშ. ომონიმის შემთხვევაში კი ორ ან მეტ განსხვავებულ მნიშვნელობასთან გვაქვს საქმე, რომლებიც ერთ ძირითად მნიშვნელობაზე არ დაიყვანება.

§ 5. ანტონიმი

ტერმინი ნაწარმოებია ბერძ. *αντι* „წინააღმდეგ“ და *ὄνομα* „სახელი“. როგორც თვითონ ტერმინიც გვიჩვენებს, ანტონიმები ეწოდება საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვებს. მაგრამ გასარკვევია, თუ როგორ უნდა გავიგოთ თვითონ „საპირისპირო მნიშვნელობა“.

საპირისპიროა ორი ისეთი მნიშვნელობა, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთი სემანტიკური კომპონენტის ორი პოლარული წერტილი. ეს ნიშნავს იმასაც, რომ ორივე ამ წერტილის ინტერპრეტაცია დასაშვებია მოცემულ ენაში. ასე, მაგალითად, თუ ჩვენ ავიღებთ წყვილს „კაცი—არაკაცი“ ან „დამაკმაყოფილებელი—არადამაკმაყოფილებელი“, დავინახავთ, რომ ორივე წყვილის ოთხივე წევრის ინტერპრეტაცია ქართულში შესაძლებელია, რადგანაც „დამაკმაყოფილებელი“ უდრის „სამიანს“, ხოლო „არადამაკმაყოფილებელი“—„ორიანს“ ცოდნის შეფასების ხუთბალანი სისტემის მიხედვით. ასევე „არაკაცი“ სიტყვის ინტერპრეტაციაც არ არის შეუძლებელი, რადგანაც ეს სიტყვა ისევე „კაცს“ ნიშნავს, მაგრამ რაღაც უარყოფითი თვისების თუ თვისებების მატარებელს. სხვაგვარია ამ თვალსაზრისით წყვილები: „წიგნი—არაწიგნი“, „ღორი—არაღორი“, „თბილისი—არათბილისი“, „ხე—არახე“ და სხვ. მოცემული წყვილების უარყოფითი წევრების ინტერპრეტაცია არ ხდება, ე. ი. გაუგებარია, თუ რა არის „არაწიგნი“, „არაღორი“, „არათბილისი“ და სხვ. ამრიგად, დადებითი მნიშვნელობის მქონე სიტყვების ანტონიმებად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ უარყოფითი ნაწილაკით ნაწარმოები ისეთი სიტყვები, რომელთა სემანტიკური ინტერპრეტაცია მოცემულ ენაში შესაძლებელია. ამიტომ „კაცი—არაკაცი“ წყვილი ანტონიმებია, ხოლო „წიგნი—არაწიგნი“, „ღორი—არაღორი“ და სხვ. არ წარმოადგენენ ანტონიმებს. ასე რომ იყოს მაშინ ყველა სიტყვას აღმოაჩნდებოდა თავისი ანტონიმი, რადგანაც უარყოფითი ნაწილაკით სიტყვების წარმოება რაიმე წინააღმდეგობას არ აწყდება. საინტერესოა, რომ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „არაკაცი“, „არადამაკმაყოფილებელი“, „არაჩვეულებრივი“ და ა. შ. განმარტებულია, მაგრამ ამავე ლექსიკონში საერთოდ არაა შეტანილი „არაწიგნი“, „არაღორი“, „არათბილისი“, „არამანანა“ და სხვ. ეს სიტყვები ქართულში სემანტიკურ ინტერპრეტაციას არ ექვემდებარებიან და სათანადოდ არც წარმოადგენენ ქართული ენის სიტყვებს.

ასევე ანტონიმებად უნდა განვიხილოთ რაიმეს მქონეობისა და უქონეობის აღმნიშვნელი სიტყვათა წყვილები, რადგანაც ოპოზიციის უარყოფითი წევრი ამ შემთხვევაშიც ინტერპრეტაციას ექვემდებარება: თავიანი—უთაეო, ქუდიანი—უქუდო, კუდიანი—უკუდო და სხვა. „ქუდიანი“ და „უქუდო“ სიტყვები ორივე კაცს აღნიშნავს, მაგრამ პირველი დადებითი,

ხოლო მეორე-უარყოფითი მნიშვნელობით, წინააღმდეგ შემთხვევაში ანტონიმებად შეგვეძლო ჩაგვეთვალა ყოველგვარი საპირისპირო მნიშვნელობის ორი სიტყვა (და-ძმა, დედა-მამა, მამალი-დედალი, მთა-ბარი და სხვა). ანტონიმები უნდა წარმოადგენდნენ რაღაც თვისების გრადაციის ორ სხვადასხვა საფეხურს. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ყველაზე მეტი ანტონიმები ზედსართავ სახელებსა და ზმნიზედებს აქვთ: ცხელი-ცივი, კეთილი-ბოროტი, თეთრი-შავი, ნათელი-ბნელი, კარგი-ცუდი (კარგად-ცუდად), მეტი-ნაკლები (მეტად-ნაკლებად), გრძელი-მოკლე (გრძლად-მოკლედ).

შესაძლებელია ორი სიტყვა არ ქმნიდეს ანტონიმურ წყვილს, მაგრამ გარკვეულ კონტექსტში მათ შეიძლება ასეთი წყვილი შექმნან: волна „ტალღა“ და камень „ქვა“, стих „ლექსი“ და проза „პროზა“ ან лёд „ყინული“ და пламень „ალი, ცეცხლი“ წყვილები რუსულში არ წარმოადგენენ ანტონიმებს, მაგრამ ა. პუშკინი მათ ანტონიმურ მნიშვნელობას ანიჭებს:

Они сошлись: волна и камень
Стихи и проза, лёд и пламень
Не столь различны меж собой.

§ 6. ტერმინოლოგია

მეცნიერების, ტექნიკისა და დიპლომატიის წარმოშობა-განვითარებამ განაპირობა გარკვეული ტიპის სიტყვების წარმოქმნა. ესაა ტერმინები (ლათ. terminus „საზღვარი“). ტერმინი ცალსახად და თანაც ზუსტად უნდა გამოხატავდეს ცნებას. ამიტომ ტერმინების დონეზე პოლისემია დაუშვებელია.

რა განსხვავებაა ტერმინსა და სიტყვას შორის? ბუნებრივ ენაში სიტყვა „სამკუთხედი“ გამოხატავს ისეთ საგანს, რომელსაც სამი კუთხე აქვს. გეომეტრიაში კი სამკუთხედი ეწოდება ისეთ ფიგურას, რომლის შიდა კუთხეების ჯამი შეადგენს 2 d-ს ანუ 180°-ს. მეორე გაგებით სიტყვა სამკუთხედი ტერმინია, ხოლო პირველი გაგებით იგი სიტყვაა. ასევე სხვადასხვაა სიტყვა „ენა“ და ტერმინი „ენა“. როგორც ტერმინი, „ენა“ გულისხმობს სემიოტიკურ სისტემას, რომელზეც წარმოდგენაც კი არ შეიძლება ჰქონდეს არასპეციალისტს. ბუნებრივ ენაში საკმარისია იმის ცოდნა, რომ სიტყვა „მთვარე“ გამოხატავს გარკვეულ მნათობს, რომელიც ღამით ანათებს. მაგრამ იგივე სიტყვა, როგორც ტერმინი, აღნიშნავს დედამიწის თანამგზავრს.

ტერმინი, როგორც ვხედავთ, სიტყვის მნიშვნელობიდან ვითარდება. სიტყვის მნიშვნელობის განვითარება გარკვეულ საზღვარს აღწევს

ტერმინში, რომლის იქითაც მოცემული სიტყვის მნიშვნელობის ვარირება აღარ შეიძლება. ამიტომაც ეწოდება მას ტერმინი (საზღვარი).

ამრიგად, ერთი და იგივე სიტყვა ენაში შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც ტერმინი და როგორც ბუნებრივი ენის სიტყვა (შდრ. მთვარე, ენა, სამკუთხედი...), რაც გარკვეულ უხერხულობას ქმნის. ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად ხშირად მიმართავენ ლათინურ და ბერძნულ სიტყვებს, აძლევენ რა მათ ტერმინების მნიშვნელობას. ამ ბოლო დროს ენათმეცნიერებაში დამკვიდრდა ტერმინი „დისტრიბუცია“, რომელიც წარმოშობით ლათინური სიტყვაა და აღნიშნავს იმავეს, რასაც „განაწილება“. რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო „განაწილება“ სიტყვისათვის ტერმინის ღირებულება მიგვენიჭებინა, მაგრამ ეს გამოიწვევდა გარკვეულ უხერხულობას, რადგანაც ხშირ შემთხვევაში გაურკვეველი იქნებოდა, თუ რა მნიშვნელობით არის ნახმარი სიტყვა „განაწილება“—ტერმინის მნიშვნელობით თუ იმ მნიშვნელობით, რაც მას ბუნებრივ ენაში აქვს. ამ უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით „განაწილება“, როგორც ტერმინი, ქართულში აღინიშნა ლათინური სიტყვით, რამაც შესაძლებელი გახადა მათი ერთმანეთისაგან განსხვავება. ასე, მაგალითად, ფრაზაში „სტუდენტების განაწილება“ არ იგულისხმება დისტრიბუცია (*სტუდენტების დისტრიბუცია).

„განაწილება“ და „დისტრიბუცია“ სიტყვების ურთიერთმიმართება ზოგადი კანონზომიერების გამოშხატველია. ტერმინების შესაქმნელად, როგორც წესი, ბერძნულ-ლათინური წარმოშობის სიტყვები გამოიყენება მეცნიერებასა და ტექნიკაში.

ბერძნული და ლათინური სიტყვების მოზღვავენას ტერმინოლოგიაში თავისი გამართლება აქვს: 1) ეს სიტყვები შემოდის როგორც ტერმინები და ამიტომ მათი ძირითადი მნიშვნელობა, ე. ი. ის მნიშვნელობა, რაც მათ ბერძნულსა და ლათინურში ჰქონდათ, როგორც ტერმინებს, აღარ აქვთ. ალბათ ბევრმა არ იცის, რომ თვითონ სიტყვა „ტერმინი“ ლათინურში აღნიშნავს „საზღვარს“, ფილოსოფია-„სიბრძნის მოყვარეობას“ და ა. შ. ამიტომ აღრევის შესაძლებლობა ტერმინებსა და სიტყვებს შორის აღარ არსებობს. 2) ამგვარი აღრევის შესაძლებლობა ისპობა თვითონ ტერმინების მსესხებელ ენაშიც. რამდენადაც ტერმინები, როგორც წესი, არ იწარმოება მოცემული ენის საკუთარი ლექსიკური ფონდიდან, ამიტომ ტერმინი და მისი შესატყვისი მნიშვნელობის მქონე სიტყვა სხვადასხვაგვარად აღინიშნება, რაც გამორიცხავს ტერმინების აღრევას ბუნებრივი ენის სიტყვებში. 3) ლათინური და ბერძნული სიტყვების საფუძველზე ნაწარმოები ტერმინები ინტერნაციონალურია და, ამდენად, საყოველთაოდ გასაგები. ტერმინოლოგიას, ასე ვთქვათ, თავისი ენა აქვს. იგი თავისთავად სემიოტიკურ სისტემას წარმოადგენს. ეს სემიო-

ტიკური სისტემა, სადაც ცნებასა და ბევრით აღმნიშვნელს შორის ურთიერთცალსახა შესატყვისობა გვაქვს ფ. დე სოსიურის სიტყვებით რომ ვთქვათ, ნომენკლატურას წარმოადგენს და ეს ნომენკლატურული სისტემა იქმნება ძირითადად ბერძნულისა და ლათინურის საფუძველზე, რაც ათავისუფლებს ბუნებრივ ენებს საკუთარი ლექსიკის გამოყენებისაგან ტერმინოლოგიის შესაქმნელად. ამიტომ ის ფაქტი, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის ენაში ასე დიდი ღიზითაა წარმოდგენილი ბერძნულ-ლათინური ტერმინოლოგია, არის არა შემთხვევითი, არამედ სავსებით კანონზომიერი მოვლენა. ამ გზით ბუნებრივ ენებში შესაძლებელი ხდება ზღვარის გავლება სიტყვებსა და ტერმინებს შორის, რაც შეუძლებელს ხდის მათ აღრევას. ყველა ენა რომ საკუთარ ლექსიკურ ფონდზე დაყრდნობით აწარმოებდეს ტერმინებს, მაშინ, ჯერ ერთი, ძნელი იქნებოდა ზღვარის გავლება ტერმინებსა და სიტყვებს შორის და, მეორეც, ტერმინოლოგია დაკარგავდა ინტერნაციონალურ ხასიათს, რაც ასე საჭიროა მეცნიერების, ტექნიკისა და დოპლიმატიისათვის.

§7. სემანტიკა და პრაგმატიკა

ენობრივი ნიშანი, როგორც ვნახეთ, მიმართებას ამყარებს რეფერენტთან და ამ მიმართებას იკვლევს ენათმეცნიერების ცალკე დარგი, რომელსაც სემანტიკა ეწოდება. მაგრამ ენობრივი ნიშანი მიმართებას ამყარებს მის მომხმარებელ სუბიექტთანაც, რომელიც მეტყველების პროცესში იყენებს ენობრივ ნიშნებს ინფორმაციის გადაცემასა და მიღების მიზნით ენობრივი ნიშნის მიმართებას სუბიექტთან იკვლევს პრაგმატიკა. (ბერძ. pragma „საქმე“, „მოქმედება“).

ენის კვლევა პრაგმატულ ასპექტში შესაძლებელია ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე, იქნება ეს ფონეტიკა, ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი თუ სემანტიკა, მაგრამ ყველაზე საინტერესო მანც ამ თვალსაზრისით სემანტიკის დონეა, რადგანაც სუბიექტი სიტყვათა მნიშვნელობებს უფრო თავისუფლად ეპყრობა, ვიდრე ფონემებს, ან გრამატიკულ მორფემებს. ამიტომაც პრაგმატული მხარე ენისა უფრო მეტ გავლენასაც ახდენს სემანტიკაზე, ვიდრე ფონოლოგიაზე და გრამატიკაზე. ეს გავლენა გამოიხატება სწორედ ისეთ სემანტიკურ პროცესებში, როგორიცაა მეტაფორა, მეტონიმია, სინეკლოქა, ევფემიზმი, ტაბუ, ფრაზეოლოგიზაცია და იდიომატიზაცია.

§7.1 მეტაფორა, მეტონიმია და სინეკლოქა

მეტაფორა (ბერძ. metaphora „გადატანა“), როგორც ამას თვითონ

ტერმინი გვიჩვენებს გადატანას, ე.ი. სიტყვს მნიშვნელობის გადატანას ნიშნავს. მნიშვნელობის გადატანა ხდება რეფერენტების, მსგავსების მიხედვით. მეტაფორიზაციის შემთხვევაში იცვლება არა მარტო რეფერენტი არამედ სათანადო ცნებაც, რადგანაც ამ უკანასკნელს აკლდება რომელიმე სემანტიკური კომპონენტი ან კომპონენტები. ასე, მაგალითად, სიტყვა „ცხვირი“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ორი მნიშვნელობით არის წარმოდგენილი: 1) ადამიანის და პირუტყვის ცხოსვის ორგანო, 2) წინ წამოშვერილი ნაწილი (მთისა ან რაიმე საგნისა). რა თქმა უნდა, პირველი მნიშვნელობა ძირითადია, რადგანაც ამ მნიშვნელობით სიტყვა „ცხვირი“ სასუნთქი ორგანოცაა და წინ წამოშვერილი ნაწილიც, მეორე მნიშვნელობა გადატანითაა, რადგანაც ამ შემთხვევაში სასუნთქი ორგანო აღარ იგულისხმება (შდრ. მთის ცხვირი, კვერის ცხვირი და სხვ.) ამიტომ რეფერენტის ცვლა მეტაფორიზაციის დროს გარკვეულ ცვლილებას იწვევს თვითონ ცნებაში სემანტიკურ კომპონენტთა შემადგენლობის თვალსაზრისით.

მეტონიმაც (ბერძ. metonymia „სახელის გადარქმევა“) ასევე მნიშვნელობის გადატანაა, მაგრამ არა მსგავსების, არამედ მომიჯნავეობის (მოსაზღვრეობის) წესის მიხედვით. მაგალითად, სიტყვა „აუდიტორია“ შენობასაც აღნიშნავს და მსმენელთა კრებულსაც. სუფრა ავეჯიცაა და საჭმელიც. წინადადებაში „სუფრა იყიდა“ იგი ავეჯს აღნიშნავს, ხოლო წინადადებაში „ღიღებულნი სუფრა გაშალა“-საჭმელს. წინანდალი, მუკუზანი, გურჯანი, ბორდო სიტყვები გეოგრაფიულ პუნქტებსაც აღნიშნავენ და ღვინის სხვადასხვა სახესაც, იმის მიხედვით, თუ სად მოჰყავთ იგი. ასევე კოლტი, მაუზერი, ბრაუნინგი, ფორდი, პაკარდი და სხვ. ნაკეთობასაც აღნიშნავენ და მათი გამკეთებლის სახელსაც.

მეტონიმიის შემთხვევაში იცვლება როგორც რეფერენტი ისე სათანადო ცნებაც. „წინანდალი“, როგორც სოფლის სახელი და როგორც ღვინის სახელწოდება, სხვადასხვა ცნებას გამოხატავს და შესაბამისად სხვადასხვა სემანტიკურ ველშიცაა წარმოდგენილი. წინადადებაში „აღ. ჭავჭავაძე ხშირად ჩადიოდა წინანდალში“, ეს სიტყვა გეოგრაფიულ პუნქტს გულისხმობს, ხოლო მეორე წინადადებაში „ჩვენ გასტრონომში წინანდალი მოიტანეს“, იგივე სიტყვა ღვინოს აღნიშნავს და არაფერს არ გაიგებს სოფლის მნიშვნელობით.

სინეკდოქა (ბერძ. synekdoxhē - „გაგულისხმება“) მნიშვნელობის ისეთი გადატანაა, როდესაც ნაწილით მთელი აღნიშნება ან, პირიქით, მთელი ნაწილი იგულისხმება, ამიტომ რომაელები სინეკდოქას უწოდებდნენ pars pro toto „ნაწილი მთელის ნაცვლად“ ან totum pro parte „მთელი ნაწილის ნაცვლად“. პირველი ნიმუშა ქართულში „სამასი ფრთა ქათამი“, „ასი სული საქონელი“, და სხვ. რუს „Сто тысяч солдат“,

„Полк в сто штыков“ და სხვ. მთელი ნაწილის ნაცვლად ნაგულისხმებია, მაგალითად, ისეთ წინადადებებში, როგორცაა „მთავრობა მოვიდა“ (თუ მთავრობაში იგულისხმება მხოლოდ ერთი კაცი, ვთქვათ, დირექტორი), „მანქანა მოდის“ (მანქანა თავისი მნიშვნელობით უდრის ამ შემთხვევაში ავტომობილს და სხვ.).

§ 7.2. ეფემიზმი და ტაბუ

როგორც ამას გვიჩვენებს მნიშვნელობის ექსპერომენტული ანალიზი, ენებში სიტყვათა მნიშვნელობები ფასდება ისეთი უნივერსალური პარამეტრის მიხედვით, როგორცაა „კარგი-ცუდი“. თვითონ კრიტიერიუმი, მართალია, უნივერსალურია, მაგრამ ერთი და იგივე მნიშვნელობა ამ პარამეტრის მიხედვით ორ სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად შეიძლება შეფასდეს. ასე, მაგალითად, ჩვენთვის „გველი“ სიტყვის მნიშვნელობა შეფასდება როგორც „ცუდი“, მაგრამ ავსტრალიელი აბორიგენები, რომლებისთვისაც გველი საკვებია, ამ მნიშვნელობას დადებითად (კარგი) აფასებენ. ქრიატიანული სამყაროს ენებში „ლორი“ სიტყვის მნიშვნელობა დადებითად ფასდება (კარგი), ხოლო მაჰმადიანურ ქვეყნებში იგივე მნიშვნელობა უარყოფითად (ცუდი) არის შეფასებული. ერთ ენაშიც კი შესაძლებელია მერყეობა ამ თვალსაზრისით: თუ ბავშვი მამაზე გაბრაზებულია, მაშინ მას უარყოფითად (ცუდი) აფასებს, სხვა შემთხვევებში კი იგივე მნიშვნელობა დადებით შეფასებას ღებულობს. სტუდენტები გამოცდას უარყოფით შეფასებას აძლევენ, ხოლო ლექტორები—დადებითს და ა.შ.

მოუხედავად ასეთი მერყეობისა, ენობრივ კოლექტივში ყოველთვის გვაქვს გარკვეული სტერეოტიპები, რომელთა მიხედვითაც მნიშვნელობათა ერთი წყება დადებითად ფასდება, ხოლო მეორე — უარყოფითად, მნიშვნელობების უარყოფითი შეფასება ხდება სწორედ საფუძველი ტაბუსა და ეფემიზმების არსებობისა ენებში. საქმე ისაა, რომ ის სიტყვები, რომელთა მნიშვნელობები მოცემულ ენაში უარყოფითად ფასდება, ან სხვა უფრო „კეთილშობილი“ სიტყვებით იცვლება, ანდა ასეთი სიტყვების ხმარება საერთოდ იკრძალება. პირველ მოვლენას ეწოდება ეფემიზმი (ბერძ. euphemia „ზრდილობიანად ლაპარაკი“), ხოლო მეორეს ტაბუ (პოლინეზიური tapu → tabu-საქციანურად აღნიშნული“, „აკრძალული“).

ეფემიზმის შემთხვევაში, როგორც ეხედავთ, უარყოფითად შეფასებული სიტყვის მნიშვნელობა იცვლება დადებითი, „კეთილშობილი“ მნიშვნელობის მქონე სიტყვით ან სიტყვებით. სიკვდილი, რა თქმა უნდა, უარყოფითად არის შეფასებული ქართულსა და ბევრ სხვა ენაში. ამიტომ „მოკვდას“ ნაცვლად გამოიყენება ასეთი სიტყვები: გარდაიცვალა, განისვენა, მიიძინა, „დასაფლავების“ ნაცვლად, რომელიც ასევე უარყოფითად

ფასდება, ხმარობენ „დაკრძალვა“ სიტყვას, „გველს“ უწოდებენ „შაწროხიანს“, „უხსენებელს“, „წყეულს“ და სხვ. გარკვეული სახის მოსახდელ სნეულებებს უწოდებენ „ბატონებს“ (ყვითელა-ბატონები, ხველა-ბატონები, წითელა-ბატონები და სხვ.).

უარყოფითად შეფასებული სიტყვების ხმარება საერთოდ შეიძლება აიკრძალოს, ე. ი. ევფემიზმებითაც კი არ შეიცვალოს. სწორედ ამ მოვლენას ეწოდება ტაბუ. ქართულშიც კი ხშირია ტაბუს მაგალითები. ტაბუა დადებული ქართულში ზოგიერთი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების აღმნიშვნელ სიტყვებზე, სხეულის ზოგიერთ ორგანოზე, მეაბრეშუმეები არ ახსენებენ „ჭიანჭველას“ იმის შიშით, რომ ჭიანჭველა არ გაჩნდეს და აბრეშუმის ჭიები არ მოსპოს. მეთევზეები არ ახსენებენ თევზს, მონადირეები იმ ნადირს, რომელზე სანადიროთაც მიდიან და სხვ. ხვესურეთსა და კვეკასიის მთიანეთის სხვა ხალხებშიც რძალს უფლება არა აქვს იხმაროს ქმრის მშობლებისა და ძმების სახელები. უფრო მეტიც, აფხაზეთში ერთი მოხუცი ქალი არ ხმარობდა აკაკან „აკაკალი“ და американский სიტყვებს იმის გამო, რომ ამ სიტყვებში შემავალი – მარცვალი ემთხვეოდა მისი მამამთილის სახელს (კან სახელია აფხაზეთში).

§7.3. ფრაზეოლოგია და იდიომები

ფრაზები, როგორც წესი, სინტაქსში განიხილება (იხ. სინტაქსი). მაგრამ გვაქვს ისეთი ფრაზებიც, რომლებიც მნიშვნელობით ცალკეულ სიტყვებს ემთხვევა, ე. ი. ფრაზის ლექსიკალიზაციას აქვს ადგილი, რის შედეგადაც ფრაზა ლექსიკურ ერთეულს უტოლდება. ასე, მაგალითად, „თეთრი ოქრო“ ფრაზის მნიშვნელობაა „ბამბა“, „შავი ოქრო“ ფრაზისა – ნახშირი, „წერილი წაიღო“ მნიშვნელობით უდრის „მოკვდა“ სიტყვას, ამავე მნიშვნელობისაა რუსულში „Приказал долги жить“ ან „Отправился на тот свет“ და სხვ.

წინადადება „მეზობელმა წერილი წაიღო“ ქართულში ორ სხვადასხვა წაკითხვას უშვებს: 1) ეს წინადადება ჩვეულებრივი მნიშვნელობით უდრის იმას, რომ მეზობელმა წერილი წაიღო ფოსტაში ჩასაგდებად, 2) მაგრამ იგივე წინადადება შეიძლება გავიგოთ როგორც „მეზობელი მოკვდა“. პირველ შემთხვევაში „წერილი წაიღო“ არ არის ფრაზეოლოგიზმი, იგი უბრალოდ ფრაზაა, ხოლო მეორე შემთხვევაში იგი ფრაზეოლოგიზმია და, მაშასადამე, მისი მნიშვნელობაც სხვაგვარია როგორც რეფერენტის, ისე ცნების მიხედვითაც. ერთი სიტყვით, ფრაზეოლოგიზმი „წერილი წაიღო“ ლექსიკალიზებულია, საკუთარი ლექსიკური მნიშვნელობა აქვს.

ფრაზეოლოგიზმები სამი სახისაა: 1) ფრაზეოლოგიური შენაზარდი, 2) ფრაზეოლოგიური შენაერთი, 3) ფრაზეოლოგიური კონსტრუქცია. ფრაზეოლოგიური შენაზარდის მოტივაცია სინქრონიული თვალსაზრისით უცნობია. ასეთი შენაზარდი სიტყვის ეკვივალენტურია თავისი მნიშვნელობით, მაგრამ ეს მნიშვნელობა დაკავშირებული არ არის ფრაზეოლოგიზმის შემადგენელ კომპონენტებთან და მათგან არ გამოიყვანება. ასე, მაგალითად, ფრაზეოლოგიზმი „ჩაილულის წყალი დალია“ მნიშვნელობით უდრის „დაიკარგა“ სიტყვას, მაგრამ სინქრონიული თვალსაზრისით გაუგებარია, თუ რა კავშირია ჩაილულის წყლის დაღვევასა და დაკარგვას შორის. მაგრამ ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით ადვილი ხდება მათ შორის კავშირის დამყარება. საქმე ისაა, რომ ლეკიანობის დროს ლეკების მიერ გატაცებულ საქონელს მღვეარი თუ დაეწეოდა მდინარე ჩაილულამდე, რომელიც გარეკახეთში მიედინება, მაშინ კიდევ იყო შესაძლებელი საქონლის დახსნა. მაგრამ თუ ლეკები მდინარე ჩაილულს იქით გაასწრებდნენ, მაშინ მათი ძებნა უნაყოფო იყო. ამიტომ შეიქმნა ფრაზეოლოგიზმი „ჩაილულის წყალი დალია“, რაც უკვალოდ დაკარგვის სინონიმი გახდა. ასეთივე ფრაზეოლოგიზმებია რუსულში: Пригча во языцех „ყბადაღებული, სალაპარაკოდ გამხდარი“, Ничтхже сумиются „სრულიად უყოყმანოდ“, „დაუფიქრებლად“ და სხვ.

ფრაზეოლოგიური ნაერთების მნიშვნელობა არ უდრის თვითონ ფრაზეოლოგიზმის შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს, მაგრამ ეს მნიშვნელობა მოტივირებულია (განსხვავებით ფრაზეოლოგიური შენაზარდისაგან) მოცემული კომპონენტებით. ასეთი ფრაზეოლოგიზმებია: ერთ ზურგს იფხანს (ლაქლაქა), ტურჩი აიბზუა (იუკადრისა), ყური აუწია (დასაჯა), თვალი ჩაუკრა (ანიშნა) და სხვ. ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობა, მართალია, არ უდრის ფრაზეოლოგიზმში შემავალი სიტყვების ჯამს, მაგრამ ისინი მაინც მოტივირებული ფრაზეოლოგიზმები არიან. ასე, მაგალითად, თვალის ჩაკერით რალაცას ანიშნებენ მეორე ინდივიდს. ამიტომაც მოცემული ფრაზეოლოგიზმის მნიშვნელობა მინიშნებაა. როცა რაიმე არ მოსწონს ადამიანს, როცა იგი უკადრისობს რაიმეს, ჩვეულებრივ ტურჩს აიბზუებს, ე.ი. ზევით ასწევს. ამიტომ ტურჩის აბზუებაც მეტაფორულად უკადრისობის მნიშვნელობას იძენს.

ფრაზეოლოგიური კონსტრუქციები თავისებური კლიშეებია ენაში. ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმებში მნიშვნელობა ყოველთვის დაიყვანება ფრაზის შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობაზე, მაგრამ რადგანაც ასეთი გამონათქვამები კლიშეებად არის ქცეული, ამიტომაც ისინიც ფრაზეოლოგიზმებად უნდა მივიჩნიოთ. ასეთი ფრაზეოლოგიზმებია: სამარისებრი სიწუმე, ვირივით ჯიუტი, სვაივით * (ან ღორივით) გაუმაძ-

ღარი, ყვაივით შავი და სხვ.

ხშირად ფრაზეოლოგიზმების არსებობა დაკავშირებულია რომელიმე კონკრეტულ მოვლენასთან, კონკრეტულ ადგილსა და დროსთან. გადმოგცემენ, რომ გაიუს იულიუს ცეზარი დიდხანს იდგა მდინარე რუბიკონთან და ყოყმანობდა გადალახა თუ არა იგი, ე.ი. ბრძოლა დაეწყო თუ არა გალების წინააღმდეგ. ბოლოს მან ბრძანა რუბიკონის გადალახვა, რამაც განაპირობა ისეთი იდიომის არსებობა, როგორაცაა „რუბიკონის გადალახვა“. ამ გამონათქვამს იყენებენ მაშინ, როდესაც დიდი ფიქრის შემდეგ კაცი გადაწყვეტილებას მიიღებს და თანაც დადებითს. ამგვარ თავისებურ გამოთქმებს ეწოდება იდიომა (ბერძ. idioma „სპეციალური თვისება“), ხოლო იდიომების ერთობლიობას – იდიომატიკა. იდიომას, როდორც ვხედავთ, სპეციალური მნიშვნელობა აქვს, რომლის გამოცნობა თვითონ იდიომაში შემავალი სიტყვების მიხედვით შეუძლებელია. დიდი ყოყმანის შემდეგ რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება და რუბიკონის გადალახვა ერთმანეთთან რაიმე ლოგიკურ კავშირში არაა, მაგრამ რადგანაც ეს ორი ფაქტი ისტორიულად ერთმანეთს დაუკავშირდა ცეზარის გალაში ლაშქრობის დროს, ამიტომაც რუბიკონის გადალახვამ იდიომატური მნიშვნელობა მიიღო. ასეთივე იდიომებია: სიზიფის შრომა, არიადნას ძაფი, გორდიას კვანძის გახსნა და სხვ. იდიომების წყარო ხშირად ლიტერატურული ნაწარმოებებია. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „ბიბლია“ (შდრ. ბიბლეიზმები: ქვა ქვაზე არ დატოვა, თავზე ნაცრის დაყრა, თვალის ჩინივით გაფრთხილება, ხელის დაბანა...), ჰომეროსის „ილიადა“ (შდრ. ჰომერიზმები: სცილასა და ქარიბდას შორის, ჰერკულესის სვეტებამდე მისვლა...) და სხვ.

§ 8 ენა და ბარე სამყარო

ენის სემანტიკურმა ანალიზმა ცალსახად უნდა გვიჩვენოს, თუ სამყაროს როგორი მოდელია წარმოდგენილი მოცემულ ენაში. თუ ენა საკლასიფიკაციო სისტემაა, მაშინ სემანტიკურმა ანალიზმა გარკვეული წარმოდგენა უნდა შეგვიქმნას იმის შესახებ, თუ როგორაა დანახული მოცემულ ენაში გარე სამყარო, როგორ, რა წესების მიხედვითაა იგი სემანტიკურული მასში, რადგანაც ენა კულტურასაც ასახავს, ამდენად სემანტიკური ანალიზის მიზანი უნდა იყოს კულტურის იმ მოდელის თუ მოდელების ძიებაც, რომელიც მოცემული ენის სემანტიკურ სტრუქტურაშია ასახული, თუ სემანტიკის სფეროს შემოვზღუდავთ მხოლოდ სინონიმების, ომონიმების, ანტონიმების და ა. შ. კვლევით, მაშინ, რა თქმა უნდა, ვერც სამყაროს მოდელს აღმოვაჩინებთ მასში და ვერც კულ-ტურისას. მართალია, ასეთი კვლევაც საჭიროა, მაგრამ მას

სემანტიკურ თეორიაში შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა. სამწუხაროდ, სწორედ ასეთი მეორეხარისხოვანი საკითხების კვლევა ითვლებოდა სემანტიკის ძირითად საგნად ამ ბოლო დრომდე, რადგან სემანტიკა ან საერთოდ უარყოფილი იყო, ანდა სემანტიკური კვლევა დაყვანილი იყო მეორეხარისხოვან პრობლემებზე.

სიტუაცია ამჟამად შეცვალა ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, ე. ი. მას შემდეგ, რაც გარკვეული შემობრუნება მოხდა ლინგვისტიკის ტრადიციული პრობლემატიკისაკენ. ამ გარემოებამ განსაზღვრა სემანტიკის რეაბილიტაცია ენათმეცნიერებაში და ინტენსიური კვლევის გაშლა ლინგვისტიკის ამ ყველაზე ჩამორჩენილ დარგში. განსაკუთრებული როლი კი სემანტიკის ზუსტ მეცნიერებად ჩამოყალიბების საქმეში შეასრულა სემანტიკური კომპონენტების თეორიამ. მართალია, ეს თეორია ჯერჯერობით შორსაა სრულყოფისაგან, მაგრამ წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ მას შესწევს უნარი რევოლუციური ხასიათის გადატრიალება მოახდინოს სემანტიკაში.

სიტყვის მნიშვნელობის კომპონენტებად დაშლის შედეგად ნათელი ხდება, რომ სიტყვა უბრალოდ კი არ აღნიშნავს რეფერენტს, არამედ ასახავს მას, გვიჩვენებს საგნის ან მოვლენის სტრუქტურას, დანახულს, ასე ვთქვათ, შეუიარაღებელი თვალით. მართალია, ენა ნიშანთა სისტემაა, მაგრამ იგი არსებითად განსხვავდება, ვთქვათ, საგზაო ნიშნებისაგან, რომლებიც ასევე სემიოტიკურ სისტემას ქმნიან. ეს განსხვავება კი ისაა, რომ საგზაო ნიშნები მხოლოდ აღნიშნავენ რეფერენტებს. ენა კი აღნიშნავსთან ერთად ასახავს გარე სამყაროს, რა თქმა უნდა, ამ სამყაროს სტრუქტურის გათვალისწინებით. თუ ჩვენ, მაგალითად, „თვალი“ სიტყვის შემადგენელ ყველა კომპონენტს ერთად გავაერთიანებთ (ანალიზი შესაძლებელია მთლად ზუსტი არ იყოს), მივიღებთ იმ ცნებას, აზრს სხეულის გარკვეული ნაწილის შესახებ, თუ როგორ არის ეს ორგანო ასახული ქართულ ენაში, რა თვისებებია დამახასიათებელი ამ ორგანოსათვის. ეს კომპონენტებია: 1) არსებითი სახელი, 2) უსულო, 3) სხეულის ნაწილი, 4) მხედველობის ორგანო, 5) სიმრგვლე, 6) ღერძის გარშემო ბრუნვის უნარი, 7) ბუდეში ყოფნა, 8) მრჩობლობითობა, 9) სიძვირფასე. როგორც ვხედავთ, თვალის ამსახველ ცნებაში წარმოდგენილია ის თვისებები, რაც, როგორც ვთქვით, შეუიარაღებელი თვალით შეიძლება შეამჩნიოს კაცმა. რა თქმა უნდა, ენობრივი ცნება არ წარმოადგენს მეცნიერულ ცნებას და ამიტომ თვალისთვის დამახასიათებელი ბევრი თვისება ენობრივ ცნებაში არ აისახება (ამის გასარკვევად ანატომიაში სპეციალური დარგიც კი არსებობს ოფთალმოლოგიის, ბერძ. οphthalmός „თვალი“ სახელწოდებით), მაგრამ ენისათვის რეფერენტის ზუსტი

ანალიზი არც საჭიროა და თანაც მის (ენის) კომპეტენციაში არ შედის ამომწურავი მეცნიერული დახასიათება მისცეს საგნებსა და მოვლენებს. ენის სემანტიკური სტრუქტურა ადამიანის ნატურალური ლოგიკის უკუფენაა და ამიტომ ენაში რეფერენტების მხოლოდ ის თვისებებია ასახული, რაც ნატურალური ლოგიკისათვის არის მისაწვდომი. ერთი სიტყვით, სამყაროს ენობრივი კლასიფიკაცია არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს მეცნიერულს და იგი არც შეიძლება იყოს ასეთი. ენა მეცნიერება არაა და, მაშასადამე, არც სამყაროს ლინგვისტური კლასიფიკაცია შეიძლება იყოს მეცნიერება. ენა გარკვეული თვალსაზრისით სამყაროს შესახებ, სამყაროს მოდელია, რომელიც თვითონ წარმოადგენს მეცნიერების ობიექტს.

ამრიგად, ენა ასახავს გარე სამყაროს, ონტოლოგიურ (ბერძ. ὄν ნათ. ὄντος „არსებული“) ფაქტს გნოსეოლოგიურ (ბერძ. γνώσις „შეგეცნება“) ფაქტად აქცევს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ენობრივი ნიშანი პირობითი არ იყოს. ის გარემოება, რომ ენა ასახავს გარე სამყაროს, არ ეწინააღმდეგება ნიშნის პირობითობის თეორიას. ენობრივი ნიშანი ამ შემთხვევაშიც პირობითი რჩება. ენობრივი ნიშნის პირობითობა სხვა არაფერია თუ არა აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის კავშირი, ხოლო ასახვის თეორია ეხება აღსანიშნსა (ცნება) და რეფერენტს შორის კავშირს. ერთი სიტყვით, პირობითობის თეორია სხვა განზომილებაში თავსდება და, ამდენად, არც უარიყოფა.

§ 9. სიტყვათწარმოება

ლექსიკაში უნდა განვასხვავოთ ორი დონე: ერთია ისეთი სიტყვები, რომლებიც ბაზისურ ცნებებს გამოხატავენ: და, ძმა, მიწა, წყალი, ჭამა, სმა, კეთება, კვილი, წივილი, წითელი, ერთი, ორი, მე და სხვ. ვუწუდოთ ამ დონეს ბირთვული (ბაზისური) ლექსიკის დონე. ბირთვულ ლექსიკაში შედის ყველა ის სიტყვა, რომლებიც მოცემულ ენაში არაა ნაწარმოები სხვა სიტყვებისაგან. მეორეა დერივატების დონე, ე. ი. ისეთი დონე, სადაც მხოლოდ ნაწარმოები სიტყვები (დერივატები) გვაქვს (დობა, ძმობა, მიწიანი, წყლიანი, საჭმელი, სასმელი, გაკეთებული; კივის, წივის, სიწითლე საერთო, მეორე, მეობა და სხვ.). სიტყვა „ცხენი“, მაგალითად, ბირთვულ ლექსიკას ეკუთვნის, ხოლო მისგან ნაწარმოები სიტყვები (ცხენოსანი, საცხენოსნო, უცხენო...) დერივატებია. თუ მოცემულია ბირთვული სიტყვები და დერივატივის წესები, მაშინ ადვილად შეიძლება ვაწარმოოთ დერივატებიც, ე. ი. ახალი ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვები.

დერივატების წარმოების წესები სხვადასხვა ენაში, რა თქმა უნდა სხვადასხვაა, მაგრამ ისინი შეიძლება დავიყვანოთ სამ ზოგად წესზე.

1) ღერივატიული აფიქსების საშუალებით ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოება. კნინობითი (მა-იკო, თინ-იკო, სულ-იკო და...), ქონების (ცოლიანი, იღბლიანი, კანონიერი, მაღლიერი, ორდენოსანი, ცხენოსანი, ვაშლოვანი, ნულოვანი და სხვ.), უქონლობის (უკბილო, უგულო, უმადურ-ი, უგნური...), წარმომავლობის (სოფლური, ქალაქური, იმერული, რუსული, ქალაქელი, სოფლელი, ბულგარელი...), აბსტრაქტული (მხეცო-ბა, მონობა, თავისუფლება, გონიერება, სიცივე, სითბო...), დანიშნულების (საყურე, საჩონხე, საჯარო, საქვეყნო, საფეხური, სამკერდული...), პროფე-სიისა (მეურმე, მეღუჭნე, მეზღვაური, მეზადური...) და სხვ. აღნიშნული სახელები ენებში, როგორც წესი, ბირთვული სიტყვებისაგან არის ნაწარმოები. შესაძლებელია, ღერივატით კიდევ ახალი ღერივატი იწარმოებოდეს (მღრ. ბუღნიერი→ბუღნიერება).

2) ასევე გავრცელებული წესია ენებში ფუძის რედუქლიკაციის (განმეორების) გზით ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოება. ასეა ნაწარმოები ქართულში მამა, დედა, პაპა, გოგო, ძუძუ, წამწამი და სხვა სიტყვები. მაგრამ რედუქლიკაცია მაინც ძირითადად, ხმაბაძვითი სიტყვების საწარმოებლად გამოიყენება (ყაყანი, ყიყინი, ჯაჯალანი, ჩიჩხინი, ქაქანი, გაგანი, ბაბანი, დაღლანი, ჯიჯღინი, ჭიჭყინი, სისინი, ხიხინი, და სხვ.). მაგრამ ფუძის რედუქლიკაცია სხვა შემთხვევებშიც გამოიყენება ახალი სიტყვების საწარმოებლად (ჩერჩეტი, კერკეტი, ღირღიტა, ხევსუვი, ბიჭ-ბუჭი, ბორბალი, ცოტა-მატა, გიჟ-მაჟი და სხვ.).

3) ახალი სიტყვების წარმოების გავრცელებული ხერხია კომპოზიცია (ლათ. compositio – „შედგენა, დაკავშირება“). კომპოზიტებად განიხილება რედუქლიკაციის გზით მიღებული სახელებიც, მაგრამ კომპოზიციის ცნება უფრო ფართოა, რადგანაც კომპოზიტებს წარმოადგენენ ორი ან მეტი სახელისაგან შედგენილი ლექსიკური ერთეულები.

ორი სახელის შეერთებით მიღებული ახალი ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა შეიძლება უღრიდეს მისი შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობათა ჯამს: (რკინიგზა, ქვანახშირი, დუღამიწა, ფურკამეჩი, ქალიშვილი, გოგირდმჟავა, ღვთისმშობელი...). კომპოზიტები შესაძლებელია მხოლოდ საწყისი მარცვლებით ან საწყისი ასოებით გამოიხატოს (ამერიკის შეერთებული შტატები-აშშ, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია-გაერო და სხვ.). ამგვარ სახელებს აბრევიატურები ეწოდება. მაგრამ ორი სახელის შეერთებით ხშირად სრულიად ახალი მნიშვნელობა წარმოიქმნება, რომელიც არ დაიყვანება მისი შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობებზე. ფრაზებში „ბოლო-შავი დედალი“, „ბოლოშავი მამალი“ მიმდევრობა „ბოლო-შავი“ არ წარმოადგენს კომპოზიტს და შესაბამისად ეს ორი სიტყვა ორ სხვადასხვა ცნებას გამოხატავს. ფრაზაში „ბოლოშავი ჩიტა“ სიტყვა „ბილოშავი“ კომპოზიტია და იგი უკვე ერთ ცნებასაც

გამოხატავს, რადგანაც მიუთითებს გარკვეულ ჩიტზე, რომელსაც ბოლომდე ეწოდება. ასევე ერთცნებიანი კომპოზიტებია: ქინძისთავი, ჯარისკაცი, ჭირისუფალი, ტანისამოსი, მზეთუნახავი და სხვ.

ამრიგად, ახალი სიტყვების საწარმოებლად ენებში გავრცელებული ხერხია ბირთვული სიტყვებისაგან დერივატების მიღება. ამ მიზნით შესაძლებელია ენა იყენებდეს როგორც აფიქსაციას, ისე რედუქციაციას და კომპოზიციას, ამავე მიზნით ზოგ ენაში — ტონიც კი გამოიყენება (ჩინური). ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა ტონით წარმოთქმული სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ენის ლექსიკა ორ სხვადასხვა დონეზეა განაწილებული (ბირთვული, დერივაციული), რაც არსებითად აადვილებს ლექსიკის დაუფლებას და ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ ენა ოპტიმალური სისტემაა. ენა ყოველთვის ცდილობს უმოკლესი გზითა და უმცირესი ძალისხმევით მიაღწიოს გარკვეულ მიზანს. მართალია, სხვადასხვა ენა სხვადასხვა დონით იყენებს სიტყვათა წარმოების შესაძლებლობებს, მაგრამ არ არსებობს ისეთი ენა, რომელშიც მოცემული ორი დონე ერთმანეთისაგან განსხვავებული არ იყოს.

§ 10. დიაქრონიული სემანტიკა

ლექსიკა ყველაზე მოძრავი ნაწილია ენისა, იგი გაცილებით უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე ენის გრამატიკა ან ფონოლოგიური სისტემა. თვითონ ლექსიკაშიც კი სხვადასხვა დინე გამოიყოფა, რომლებიც სხვადასხვა ტემპებით იცვებიან. მიღებულია ლექსიკის დაყოფა ძირითად და არაძირითადად ლექსიკურ ფონდად. ძირითადი ლექსიკური ფონდი უფრო ნელა იცვლება, ვიდრე არაძირითადი. ძირითად ლექსიკურ ფონდში შედის უნივერსალური და ზოგადადამიანური ცნებების აღმნიშვნელი სიტყვები. ასეთებია: სხეულის ნაწილებისა და ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები, ელემენტალური მოქმედებანი (ჭამა, სმა, სიარული, ფრენა, და სხვ.), კოსმიური მოვლენები და საგნები (წვიმა, თოვა, მზე, მთვარე, ვარსკვლავი და სხვ.), ელემენტარული თვისებების აღმნიშვნელი სახელები, ცხოველების, ფრინველებისა და მცენარეების სახელები და სხვ. მართალია, ძირითადი ლექსიკური ფონდის ზუსტად დადგენა შეუძლებელია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ასეთი ფონდი ყველა ენას აქვს.

ამათვისთვე უნდა გაიხაზოს ერთი გარემოებაც. ლექსიკის ცვლა არსებით გავლენას ვერ ახდენს სემანტიკურ ველზე, რომლებიც, შეიძლება ითქვას, უცვლელი კატეგორიებია. უფრო ზუსტად, ლექსიკური ცვლილებები ხდება ამა თუ იმ სემანტიკური ველის შიგნით, მაგრამ ამით თვითონ სემანტიკური ველი არც ისაობა და არც ზიანდება. ასე,

მაგალითად, ზომა-წონის სემანტიკური ველი ქართულში ჩვენს საუკუნეში გარკვეულად შეიცვალა, რადგანაც ხმარებიდან გამოვიდა ისეთი ზომა-წონის ერთეულები, როგორიცაა: ოყა, არშინი, გირვანქა, ადლი და სხვ., მაგრამ ამით თვითონ ზომა-წონის სემანტიკური ველი არ მოსპობილა. გაჩნდა მხოლოდ ახალი ერთეულები (მეტრი, სანტიმეტრი, გრამი, კილოგრამი, და სხვ.), რომლებმაც ხმარებიდან განდევნეს ძველი ერთეულები. მე-12 საუკუნის ქართულში ვერ შევხვდებით ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: „პომიდორი“, „კარტოფილი“, „თამბაქო“, „ინდაური“ და სხვ., მაგრამ ამ სიტყვების შემოსვლას ქართულში არსებითი გავლენა არ მოუხდენია კულტურული მცენარეებისა და შინაური ფრინველების სემანტიკურ ველებზე. ეს ველები ადრეც არსებობდნენ ქართულში, მაგრამ ისინი შეივსნენ გარკვეული ლექსიკური ერთეულებით. ერთი სიტყვით, სემანტიკური ველი თავისთავად უცვლელი კატეგორიაა, კონსტანტია, მაგრამ იცვლება მისი მოცულობა, ჩნდება ან ქრება მასში ახალი ლექსიკური ერთეულები, რაც აპირობებს კიდევ სემანტიკური ველის ცვლილებას და ჩვენ საშუალებას გვაძლევს სემანტიკური ველი განვიხილოთ როგორც ისტორიულად ცვალებადი კატეგორია.

მაინც რა ფაქტორები იწვევს ლექსიკის ცვლილებას? ასეთი ფაქტორი რამდენიმეა. ენის ლექსიკა ასახავს საზოგადოების კულტურას, ეკონომიკას, პოლიტიკას. თუ ყველა მათგანს ერთ ჭერქვეშ გააერთიანებთ და აღვნიშნავთ ტერმინით „კულტურა“, მაშინ ჩვენ უფლება გვაქვია დავასკვნათ, რომ ენა ასახავს საზოგადოების კულტურას ამ სიტყვის მეტად ფართო მნიშვნელობით, სადაც საკუთრივ კულტურის გარდა გაერთიანებული იქნება პოლიტიკა და ეკონომიკაც.

ლექსიკის სწორედ ის ნაწილია ყველაზე მოძრავი და ცვალებადი, რომელიც საზოგადოების კულტურას ასახავს. იცვლება კულტურა და შესაბამისი ცვლილება ხდება ენაშიც. დღეს ბევრისათვის გაუგებარია ისეთი სიტყვების მნიშვნელობა, როგორიცაა: აწისი (იანვარი), ებანი (დაფი), თხიერი (ტიკი), კანდელი (სანთელი), არგანი (ფოხი), განბორება (კეთრი), კვართი (პურანგი), კელობა (კოჭლობა), მტილი (ბაღი), ტარიგი (ჯრაგი), სერი (ვანშამი), ხვასტაგი (საქონელი), კარაული (ვირი) და სხვ. ყველა ეს სიტყვა, მართალია, ძველ ქართულში გვქონდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ისინი ხმარებიდან გამოვიდნენ და მათი ადგილი სხვა სიტყვებმა დაიკავეს. ენა არ შეიძლება არ ასახავდეს კულტურას და რადგანაც საზოგადოების კულტურა, განსაკუთრებით ჩვენს საუკუნეში, სწრაფად იცვლება, შეუძლებელია კულტურის აღმნიშვნელი ლექსიკაც არ იცვლებოდეს. ამრიგად, ენის ლექსიკის ყველა ნაწილი ერთნაირად არ იცვლება. ძირითადი ლექსიკური ფონდი უმნიშვე-

ნელოდ იცვლება საუკუნეების განმავლობაში, ხოლო კულტურის აღმნიშვნელი ლექსიკა შედარებით სწრაფად იცვლება. შემოდის კულტურის ახალი საგნები, ხმარებიდან გადის ძველი, რაც სათანადოდ იწვევს ახალი ლექსიკის დამკვიდრებას და ძველი ლექსიკის განდევნას. ცხოვრების განვითარებამ შესაძლებელია სრულიად ახალი სფერო წარმოშვას ლექსიკისა. თუ მევენახეობასთან დაკავშირებული ლექსიკა ჩვენში საუკუნეებს ითვლის, მეციტრუსეობა მხოლოდ ამ საუკუნეში წარმოიშვა და შესაბამისად მასთან დაკავშირებული ლექსიკაც ახალია. ტექნიკის განვითარებამ წარმოშვა, ვთქვათ, ავტომობილთან დაკავშირებული ახალი ლექსიკა და სხვ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლექსიკის ცვლილებასთან დაკავშირებით სიტყვეთა სესხება. არ არსებობს ისეთი ენა, რომელსაც არ ჰქონდეს ნასესხები ლექსიკა. თვითონ ინგლისურშიც კი საკუთარია (ანგლოსაქსური) მხოლოდ ლექსიკის 30%. დანარჩენი ნასესხებია. მას შემდეგ, რაც ნორმანებმა XI ს-ში დაიპყრეს ინგლისი, ამ ენაში შევიდა ფრანგული და ლათინური სიტყვების დიდი რაოდენობა.

მაგრამ სესხებას, როგორც ვნახეთ, ექვემდებარება მხოლოდ კულტურის აღმნიშვნელი ლექსიკა. რაც შეეხება ენის ძირითად ლექსიკას, ამ სფეროში უცხოური ელემენტების შეღწევა თითქმის შეუძლებელია. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ლექსიკის ეს უბანი მდგრადია და სესხებას ვერ ეგუება. მხოლოდ ჟარგონებშია შესაძლებელი ლექსიკა მთლიანად ნასესხები იყოს. ასეთია, მაგალითად, პიჯინ-ინგლიში (Pidgin English), რომელსაც გრამატიკა ჩინური აქვს, ხოლო ლექსიკა — ინგლისური (რა თქმა უნდა, დამახინჯებული. თვითონ pidgin ინგლ. business „საქმე“ სიტყვის დამახინჯებული ნაირსახეობაა, nusi papa „წერილი“ ასევე ინგლ. news paper სიტყვის ვარიანტია და სხვ.). მაგრამ პიჯინ-ინგლიში ჟარგონია და არა ენა. იგი გავრცელებულია ჩინეთის ნავსადგურებში და მოიცავს მხოლოდ პორტის მუშებისათვის საჭირო ლექსიკას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პიჯინ-ინგლიშს არა აქვს ბუნებრივ ენებში წარმოდგენილი ძირითადი ლექსიკის მსგავსი რამ და ამიტომ ჟარგონებში მოქმედი კანონზომიერება ბუნებრივ ენებზე ვერ გავრცელდება, ე. ი. ბუნებრივ ენაში შეუძლებელია ლექსიკა მთლიანად ნასესხები იყოს.

ენებისათვის, როგორც ვხედავთ, სიტყვების სესხება ჩვეულებრივი მოვლენაა. ნასესხები ლექსიკა აქვს, რა თქმა უნდა, ქართულსაც, რომელშიც ბევრია სპარსული (ქუჩა, ფანჯარა, დროშა, ბაზარი, ბაღი, დანა, ფული, სპილო...); არაბული (საათი, ალგებრა, ექიმი, ბამბა, ჯანდაბა...), ბერძნული (ეკლესია, კლიტე, მონაზონი, კრიალოსანი...), თურქული (ელჩი, გემი, ტოლმა, ბასტურმა...) სიტყვები. ბოლო ორ

საუკუნეში ქართულში მრავალი ლათინური და სხვა ევროპულ ენათა სიტყვები შემოვიდა უმთავრესად რუსულის გზით (რევოლუცია, ლიფერენციაცია, ევოლუცია, ლინგვისტიკა, ბოქსი, სპორტი, რადიო, ტელევიზია, უნივერსიტეტი, ფაბრიკა, ავტომობილი და სხვ.).

ნასესხები სიტყვები ბევრია რუსულშიც. ნასესხებია რუსულში, მაგალითად, შემდეგი სიტყვები: бумага, кукла, июнь, август, казна, сундук, башмак, баран, караул, лошадь, тулуп, сарафан, кумач, аршин, сарай, диван, обезьяна, солдат, кофлета, суп, ваза, жилет, спорт, ростбиф, бас, тенор, руль, флаг, брюки, синтец, пробка, ярмарка, стул, шагб, лозунг, лагерь, коляска... სიტყვათა სესხება გარკვეულ კონტაქტებს გულისხმობს ენებს შორის. ეს კონტაქტები უშუალოც შეიძლება იყოს და შუალობითიც. რუსული და ქართული ერთმანეთთან უშუალოდ კონტაქტირებენ, რასაც ვერ ვიტყვი, ვთქვათ, ქართულსა და გერმანულზე ან ინგლისურზე. კონტაქტში მყოფი ორი ენიდან ერთს, ჩვეულებრივ, გაბატონებული მდგომარეობა უკავია, მეორე კი მასზე დაქვემდებარებულია, თუმცა შესაძლებელია ორივე ენა თანაბრად იყოს ერთმანეთზე დამოკიდებული. ის ენა, რომელსაც გაბატონებული მდგომარეობა უკავია, გავლენას ახდენს მასზე დაქვემდებარებულ ენაზე, რაც ლინგვისტური თვალსაზრისით სიტყვათა სესხებაში გამოიხატება. ფრანგულს ერთ დროს (ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობის შემდეგ) გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ინგლისურთან მიმართებაში, რამაც განაპირობა ფრანგული სიტყვების მძლავრი ნაკადის შეჭრა ინგლისურში. იმავე ფრანგულს მე-19 საუკუნეში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა რუსულთან მიმართებაში, რაც საფუძველი გახდა არა მარტო იმისა, რომ რუსი არისტოკრატია ფრანგულ ენაზე ლაპარაკობდა, არამედ იმისაც, რომ რუსულში ფრანგული სიტყვები შეიჭრა. სხვადასხვა პერიოდში ქართულს დაქვემდებარებული მდგომარეობა ჰქონდა სპარსულთან, ბერძნულთან და არაბულთან მიმართებაში, მაგრამ გაბატონებული მდგომარეობით სარგებლობდა აფსუურ-ადილურ და დაღესტნის ენებთან მიმართებაში. ამიტომ ამ ენებში გარკვეული ნასესხობები დასტურდება ქართულიდან. როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისით, ქართული და სომხური თანაბარი უფლებით სარგებლობდა ერთმანეთის მიმართ. ამიტომ თითქმის იმავე დოზით, რა დოზითაც სომხურშია ნასესხები ქართული სიტყვები, ქართულშიც ვადასტურებთ სომხურ ლექსიკურ ერთეულებს.

რადგანაც კონტაქტები ენებს შორის ორგვარია, ამიტომ სიტყვათა სესხება ორგვარია: უშუალო და შუალობითი. თუ ორი ენა ერთმანეთთან უშუალო კონტაქტშია, მაშინ სიტყვათა სესხებაც უშუალო იქნება. მაგალითად, ბერძნული, სპარსული, არაბული ლექსიკა ძველ ქართულში უშუალო კონტაქტის შედეგად არის შესული. მაგრამ თანამედროვე

ქართულში ლათინური წარმოშობის სიტყვები ძირითადად რუსულის გზით შემოდის. ქართულს არავითარი კონტაქტები არა აქვს იაპონურთან, მაგრამ „ძიუ-დო“, „კარატე“ და სხვ. იაპონური სიტყვებია, რომლებიც ქართულში უშუალოდ არ შემოსულან.

სესხების სპეციალური სახეა კალკი (ფრანგ. calque „გამჭირვალე ქსოვილზე ან ქაღალდზე ასლის გადაღება“). კალკირების შემთხვევაში მოდელი უცხო ენისაა, ხოლო სიტყვები—შშობლიური ენისა. ტერმინი ენათმეცნიერება კალკია გერმანული სიტყვისა Sprachwissenschaft, „შინაარსი“ ასევე კალკია გერმ. Inhalt სიტყვისა და სხვ. მეტყველების ნაწილების სახელწოდებები ქართულში (არსებითი, ზედსართავი, ნაცვალ-სახელი, ზმნა, ზმნიზედა) კალკებია სათანადო ლათინური ტერმინებისა (substantivum, adjektivum, pronomen, verbum, adverbium). როგორც ვხედავთ, კალკირების დროს უცხოური ენის სიტყვები ითარგმნება ისე, რომ სიტყვათა მწარმოებელი მოდელი შენარჩუნებულია. ასე, მაგალითად, სიტყვა pronomen ლათინურში იშლება pro „მაგიერ, ნაცვლად“ და nomen „სახელი“ სიტყვებად, ქართ. „ნაცვალსახელი“ ლათინური pronomen სიტყვის პიდაპირი თარგმანია. კალკებს შეიძლება წარმოადგენდეს მთელი ფრაზებიც. მაგალითად, принять меры რუსულში კალკია სათანადო ფრანგული ფრაზისა—prendre les mesures, ასევე „присутствие духа“ ფრანგ. présence d'esprit ფრაზის მიხედვითაა გაკეთებული და ა. შ.

სიტყვათა სესხება ენებში, მართალია, ისეთი გავრცელებული მოვლენაა, რომელსაც გვერდს ვერ უვლის ვერც ერთი ენა, მაგრამ თვითონ სიტყვათა სესხების ფაქტი, ასე ვთქვათ, კარგი ცხოვრებით არ არის გამოწვეული. არ არის იმიტომ, რომ მსესხებელ ენას იგი დაქვემდებარებულ მდგომარეობაში აყენებს. ენა რომ არ დანაგვიანდეს ნასესხები სიტყვებით, ყოველთვის თავს იჩენს საწინააღმდეგო ტენდენცია, რომელიც პურიზმის (ლათ. purus) „წმინდა“ სახელით არის ცნობილი. პურიზმის ტენდენცია სხვადასხვა ენაში სხვადასხვა დოზით არის წარმოდგენილი. ზოგ ენაში ეს ტენდენცია ძლიერია, ზოგში კიდეც — სუსტი. ენა თავიდან იცილებს ზედმეტ ბალასტს. მე-19 საუკუნის ქართულში მრავალი რუსიციზმი გაბატონდა, მაგრამ მათ წინ გადაუღობა მძლავრი პურიისტული ტენდენცია და ამიტომ დღეისათვის ქართულში მათი კვალიც კი აღარ დარჩა.

ამრიგად, ლექსიკის სესხება ენისათვის აუცილებელია. ამ გზით ამდიდრებს თავის ლექსიკას. მართალია, სესხების ფაქტი ერთ ენას დაქვემდებარებულ მდგომარეობაში აყენებს მეორე ენასთან შედარებით, მაგრამ ამ გზით მსესხებელი ენა ავსებს თავის ლექსიკურ ფონდს მისთვის საჭირო ლექსიკური ერთეულებით. საერთოდ შეიძლება დავასახუ-

ლოთ მხოლოდ ხუთი ენა, რომელთაც ნაკლებად განიცადეს სხვა ენების გავლენა, ხოლო თვითონ უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს სხვა ენებზე. ეს ენებია: ბერძნული, ლათინური, არაბული, სანსკრიტი და კლასიკური ჩინური. სხვა ენებმა კი, თუნდაც ისეთმა დიდმა ენებმა, როგორცაა დღეისათვის ინგლისური, ესპანური, რუსული, გერმანული, ფრანგული და სხვ. დიდი დოზით მიიღეს უცხოური ლექსიკა და ამიტომ ამ ენებში ნასესხები სიტყვები გაცილებით მეტია, ვიდრე საკუთარი.

როგორც ჩანს, ენას აქვს უნარი, შეითვისოს და გადაამუშაოს უცხოური ლექსიკა საკმაოდ დიდი დოზით ისე, რომ თავისი თავის მსგავსი დარჩეს და სხვა ენად არ გადაიქცეს. ენის ამ უნარს ორი ფაქტორი განსაზღვრავს:

1) ერთი ენა მეორე ენიდან ძირითადად სესხულობს მხოლოდ კულტურის სფეროსათვის დამახასიათებელ სიტყვებს. ენის ფონოლოგიური სისტემა, ენის გრამატიკული სტრუქტურა, ძირითადი ლექსიკური ფონდი იმ ვაგებით, როგორც ის ჩვენ ზემოთ დავახასიათეთ, სესხებას, როგორც წესი, არ ექვემდებარება. სესხება გავრცელებულია ძირითადად კულტურის სფეროში. მართალია, ეს სფერო ძალზე დიდია, მაგრამ იგი მაინც პერიფერიული ნაწილია ენისა.

2) ნასესხები სიტყვები მსესხებელი ენის ფონოლოგიური და გრამატიკული სისტემების ჩარჩოებში ექცევიან და სათანადო ადაპტაციას განიცდიან. რუსულიდან ქართულში შემოსულ *ქ*-ს შემცველ სიტყვებში (*кафедра, фанрика...*) მოცემული ენა ქართ. თ ან ფ ბგერებით იცვლება (*კათედრა, ფანრიკა...*), რაც შედეგია იმისა, რომ ქართულს *ქ* ბგერა არა აქვს. ასეთი ადაპტირებული სიტყვები იმდენად არიან დამკვიდრებული მსესხებელ ენაში, რომ ბევრს წარმოდგენაც კი არ აქვს მათი უცხოური წარმომავლობის შესახებ. ბევრ ქართველს უკვირს კიდევ, როდესაც გაიგებს, რომ, ვთქვათ, ოთახი, ფანჯარა, ლამაზი, ექიმი, ვექილი, ღალატი, ბაზარი და სხვ. ქართულში ნასესხები სიტყვებია. ერთი სიტყვით, მოლაპარაკე სუბიექტი, თუ ის სპეციალისტი არ არის, ვერ ასხვავებს ერთმანეთისაგან საკუთარ და ნასესხებ ლექსიკას.

როგორც ვხედავთ, სესხება არ ეხება, ასე ვთქვათ, ენის ბირთვის—მის ფონოლოგიურ და გრამატიკულ სისტემას, ძირითად ლექსიკურ ფონდს. სესხება განსაკუთრებით გავრცელებულია ლექსიკის იმ სფეროში, რომელიც კულტურას ასახავს. ეს სფერო კი პერიფერიული ნაწილია ენისა და ამიტომ სესხება ვერ ცვლის ენის სტრუქტურას, ვერ ახდენს გავლენას მის ფონოლოგიურ, გრამატიკულ სისტემასა და ძირითად ლექსიკურ ფონდზე. პირიქით, ენის სტრუქტურა, ასე ვთქვათ, ადვილად ინელებს ნასესხებ მასალას, აქცევს რა მას საკუთარი სისტემის ჩარჩოებში.

ლექსიკის ცვლილებას აპირობებს ფსიქოლოგიური ფაქტორიც. ტაბუირებული სიტყვა შესაძლებელია საერთოდ დაიკარგოს ენაში და მისი ადგილი დაიკავოს მისმა შემცვლელმა ეფემისტურმა სიტყვამ. ასეთი ბედი ეწია სწორედ „დათვის“ აღმნიშვნელ ინდოევროპულ ძირს სლავურ და გერმანიკულ ენებში. ძვ. ბერძნულში „დათვი“ აღნიშნება *árktos* სიტყვით (შდრ. არქტიკა—„დათვების ქვეყანა“), ლათ. *ursus*, სანსკ. *rksah*, ძვ. სპარს. *arša*, სომხ. *arj* და სხვ. დათვის აღმნიშვნელი სიტყვების ბერძნული, ლათინური, სანსკრიტული, სპარსული, სომხური და სხვ. ფორმები ერთმანეთის ფონეტიკური შესატყვისებია და ერთი საერთო ფორმიდან არიან მიღებული. მათგან განსხვავებით რუს. *медведь* და გერმ. *Bär* სხვადასხვაგვარადაა ნაწარმოები და არ გამოიყვანებიან სათანადო ინდოევროპული ფორმიდან. საქმე ისაა, რომ „დათვის“ აღმნიშვნელი ინდოევროპული ფორმა ტაბუს მიზეზით სლავურ ენებში დაიკარგა და მისი ადგილი დაიკავა ეფემისტურმა სიტყვამ *медведь*, რომელიც სიტყვა-სიტყვით აღნიშნავს „თაფლის ჭამას“ (საერთო სლავური *meduedi*). ამავე მიზეზით გერმანიკულ ენებში დათვის აღმნიშვნელი ინდოევროპული სიტყვა შეიცვალა სხვა სიტყვით (*Bär*), რომელიც წარმოშობით აღნიშნავს არა დათვს, არამედ წაბლისფერს, წაბლას.

სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება შეიცვალოს მეტაფორიზაციის გზითაც, ე. ი. წარმოიქმნას ახალი სიტყვა ახალი მნიშვნელობით. ამ გზითაა მიღებული ფრანგ. *prunell*, „თვალის გუგა“ (შდრ. ფრანგ. *prune* „ქლიავი“), რუს. *кузнецик* „კალია“ (შდრ. რუს. *кузнец* „მჭედელი“) და სხვ. მეტაფორიზაცია განსაკუთრებით გავრცელებულია საკუთარი სახელების საწარმოებლად. მეტაფორული წარმოშობისაა ისეთი საკუთარი სახელები, როგორიცაა: მზია, დათვია, ძაღლიკა, Надежда, Любось, პეტრე (კლდე), რახილი (ცხვარი), ღებორა (ფუტკარი) და სხვ.

მნიშვნელობის შეცვლა სიტყვისა ასევე შეიძლება მოხდეს მეტონომიის ნიადაგზე. ამ გზითაა მიღებული, ვთქვათ, ფრანგული სიტყვა ბიურო (*bureau*). თავდაპირველად ფრანგულში ეს სიტყვა აღნიშნავდა აქლემის ბეწვისაგან მოქსოვილ ქსოვილს, შემდეგში იმ მაგიდას, რომელსაც ეს ქსოვილი ეფარა (შუა საუკუნეების საფრანგეთში სასამართლოსა და სხვა სამუშაო ადგილებში მაგიდებს ამგვარ ქსოვილს აფარებდნენ), უფრო გვიან ამ სიტყვამ მიიღო იმ ოთახის მნიშვნელობა, სადაც ასეთი მაგიდები იდგა, შემდეგ კი დაწესებულების განყოფილებას (მემანქანეთა ბიურო, კონსტრუქტორთა ბიურო) ან მთელ დაწესებულებას (სალექციო ბიურო) აღნიშნავდა, შემდეგში ამ სიტყვამ აღნიშნა ის ადამიანები, რომლებიც ამ დაწესებულებაში მუშაობენ (მთელი ბიურო შეიკრება), ბოლოს კი ამ ადამიანთა სხდომა (ბიუროს სხდომა, ბიურო ოთხშაბათობითაა და სხვ.). ერთი სიტყვით, მეტონომიის შედეგად აქლემის ბეწვისგან

მოქსოვილი ქსოვილის მნიშვნელობიდან მივიღეთ სხდომის მნიშვნელობა, რაც, რა თქმა უნდა, გაუგებარი იქნებოდა შუალედური საფეხურების გაუთვალისწინებლად.

სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა ასევე შესაძლებელია მოხდეს ფუნქციის მიხედვითაც. ერთი შეხედვით გაუგებარიც კია, თუ რატომ აღნიშნავს რუს. перо ისეთ განსხვავებულ რეფერენტებს, როგორცაა „კალამი“ და „ფრთა“. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ერთ დროს ბატის ფრთით წერდნენ (гусиное перо), გასაგები გახდება ისტორიული კავშირი ამ ორ მნიშვნელობას შორის: პირველ ეტაპზე перо აღნიშნავდა ფრთას, მეორე ეტაპზე მან გარკვეული ახალი ფუნქცია შეიძინა, რადგანაც ბატის ფრთა (гусиное перо) საწერი იარაღი გახდა, მესამე ეტაპზე კი, როდესაც ბატის ფრთა, როგორც საწერი იარაღი, შეცვალა ფოლადის კალამმა, перо სიტყვამ ფუნქციური მსგავსების მიხედვით კალმის მნიშვნელობა მიიღო. ლათინური სიტყვა manufactura „ის, რაც ხელით უნდა გაკეთდეს“, დღეისათვის აღნიშნავს მაქანიზებულ წარმოებასაც. ასევე ირანული წარმოშობის სიტყვა ფასი, თვითონ ირანულში „ცხვარს“ აღნიშნავდა. რადგანაც ცხვარი საჭირო ერთეულს წარმოადგენდა, მისგან ქართულში ფუნქციითა მსგავსების გამო „ფასის“ მნიშვნელობა განვითარდა.

სიტყვათა მნიშვნელობა იცვლება სინეკდოქის მიზეზითაც. ინგ. cup „თასი“, „ფინჯანი“ და გერმ. Kopf „თავი“ წარმოშობით ერთი და იგივე სიტყვაა, მაგრამ ერთი შეხედვით გაუგებარია კავშირი ამ ორ სიტყვას შორის, რადგანაც მნიშვნელობის მიხედვით ისინი ერთმანეთისაგან ძალიან დაშორებულა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გერმანულში Kopf სიტყვა აღრე რაინდის თავსარქმელ ჩაჩქანსაც აღნიშნავდა, ხოლო რაინდებს ჩაჩქების რაოდენობის მიხედვით ითვლიდნენ, მაშინ გასაგები ხდება სენამტიკური კავშირი ინგ. cup და გერმ. Kopf სიტყვებს შორის. ეს კავშირი ასე შეიძლება გამოიხატოს: თასი→ჩაჩქანი→თავი. Kopf სიტყვის სინეკდოქურმა მნიშვნელობამ (თავი) გამოდევნა ამ სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა გერმანულში და თვითონ გახდა ძირითადი. ასეთივე ტრანსფორმაცია განიცადა ლათინურმა testa „თასი“ სიტყვამ ფრანგულში, რომლისგანაც მივიღეთ tête „თავი“.

საერთოდ სემანტიკური ცვლილება ორი სახისაა. ცვლილების შედეგად სიტყვის მნიშვნელობა ან ვიწროვდება, ან ფართოვდება. ამის მიხედვით განასხვავებენ მნიშვნელობის დავიწროებასა და გაფართოებას. ქართ. სიტყვა „რვეული“ პირველად „რვაფურცლიანს“ ნიშნავდა, რაზეც თვითონ სიტყვაც მიგვიითითებს (რვა→რვეული). დღეს იგი ფართო მნიშვნელობით იხმარება და ამიტომ აღნიშნავს ათფურცლიან, ოცფურცლიან, ასფურცლიან და ა.შ. რვეულსაც. ასევე

მელანი, რომელიც ბერძნული სიტყვაა, ძვ. ბერძნულში შავს ნიშნავდა და მხოლოდ შავ მელანს აღნიშნავდა. დღეს იგი აღნიშნავს როგორც შავ, ისე სხვა ფერის მელანსაც. როგორც ვხედავთ, „რკეული“ და „მელანი“ სიტყვების მნიშვნელობა ქართულში გაფართოებულია.

შეიძლება მოხდეს პირიქითაც, ე. ი. სიტყვის მნიშვნელობა შესაძლებელია დავიწროვდეს. რუს. ПИВО ადრე ზოგადად სასმელს აღნიშნავდა (მღრ. ПИТЬ „სმა“, ПИТЬ→ПИВО), მაგრამ დღეს იგი მხოლოდ „ლუღს“ აღნიშნავს. ინგ. meat „ხორცი“ სიტყვა ძვ. ინგლისურში ზოგადად საკვებს აღნიშნავდა. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში სიტყვათა მნიშვნელობა დავიწროებულია, რადგანაც ზოგადი მნიშვნელობებიდან კონკრეტული მნიშვნელობებია განვითარებული.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ ლექსიკა არ წარმოადგენს უცვლელ კატეგორიას. პირიქით, იგი ყველაზე სწრაფად ცვლადი ნაწილია ენისა, თუმცა ლექსიკის სხვადასხვა დონე სხვადასხვანაირად იცვლება. ყველაზე სწრაფად იცვლება ის ნაწილი ლექსიკისა, რომელიც კულტურას ასახავს. კულტურა თვითონ სწრაფად იცვლება და ამიტომ კულტურის ამსახველი ლექსიკაც სწრაფად უნდა იცვლებოდეს. შედარებით ძნელი ტემპებით იცვლება ძირითადი ლექსიკური ფონდი, რომელიც ლექსიკის ბირთვს წარმოადგენს. კიდევ უფრო ნელა და უმნიშვნელოდ იცვლება სემანტიკური ველები, რომლებიც ლექსიკის ფუნდამენტს ქმნიან. ძირითადი ლექსიკური ფონდისა და სემანტიკური ველების მდგრადი ხასიათი აპირობებს კიდევ იმ გარემოებას, რომ კულტურის ამსახველი ლექსიკის ცვალებადი ხასიათი ვერ ცვლის ენის სტრუქტურას, ვერ იწვევს მასში არსებითი ხასიათის ძვრებს.

§11 ეტიმოლოგია

მნიშვნელობის ცვლილებას დროში იკვლევს ენათმეცნერების ცალკე დარგი, რომელსაც ეტიმოლოგია ეწოდება (ბერძ. ἔτιμον „ჭეშმარიტება, სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობა“) და რომელიც სხვა არაფერია თუ არა დიაქრონიული სემანტიკა.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ხალხური ეტიმოლოგია და მეცნიერული ეტიმოლოგია. სიტყვათა ეტიმოლოგიზირება, როგორც ჩანს, ადამიანისთვის დამახასიათებელი თვისებაა, რომელიც ახასიათებს, როგორც დიდებს, ისე პატარებსაც. ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით ენა განიხილება როგორც რალაც უცვლელი, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, რომელზეც ვერავითარ გაელენას ვერ ახდენს დროის ფაქტორი. ამიტომ ხალხური ეტიმოლოგიისათვის უცხოა ისტორიული პერსპექტივა და მხოლოდ შემთხვევითი მსგავსების მიხედვით ხდება სიტყვათა ეტიმოლოგიზირება. ხალხური ეტიმოლოგიის მიხედვით „რაჭა“

სხვა არაფერია, თუ არა რა-ჭა, ვარძია გაიგება როგორც „აქა ვარ, ძია“, თელავი როგორც, სომხ. „თე ლავა“ „რა კარგია“, ჭიათურა-როგორც „ჭიაა თუ რა“ და ა.შ. სინამდვილეში კი არც ერთი ეს ეტიმოლოგია სწორი არაა. ასე, მაგალითად, სახელი „თელავი“ არ შედგება სომხური „თე“ და „ლავა“ სიტყვებისაგან, ეს სახელი დაკავშირებულია ქართულ „თელა“ სიტყვასთან და აღნიშნავს თელიან ადგილს. ასევე არაფერი აქვს საერთო ამ სიტყვას ისრაელის დედაქალაქ თელავივთან.

მეცნიერული ეტიმოლოგია არსებითად განსხვავდება ხალხური ეტიმოლოგიისაგან, თუმცა ზოგჯერ აქაც თავს იჩენს გარკვეული უზუსტობები. ასე, მაგალითად, ნ. მარი რუს. СУМЕРКИ-ს აკავშირებდა შუამდინარეთში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მცხოვრები ტომის სახელთან. ეს ტომია შუმერი. СУМЕРКИ სიტყვას რუსულში ნ. მარი ყოფდა ორ ნაწილად: СУМЕР-КИ მაგრამ მოცემული სიტყვის ამგვარი დაშლა მორფემებად არასწორია. სინამდვილეში ამ სიტყვაში გამოიყოფა СУ-წინსართი (შდრ. СУПРУГ, СУГРОБ, СУМЯТИЦА, СУПЕСЬ და სხვ.). მეორე ნაწილი სიტყვისა არის -МЕРК- ძირი (შდრ. МЕРКНУТЬ). როგორც ვხედავთ, მოცემულ სიტყვაში გამოიყოფა არა СУМЕР- და -КИ მორფემები, არამედ СУ-МЕРК-И ეი. ამ სიტყვას არავითარი კავშირი არა აქვს შუმერ სატომო სახელთან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მასში СУМЕР- მორფემა არ გამოიყოფა, და თუ ნ. მარი ამ სიტყვას მაინც აკავშირებდა „შუმერ“ სატომო სახელთან, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ნ. მარის ლინგვისტური თეორია შეგნებულად გამოიყენებდა ისტორიულ თვალსაზრისს ენათმეცნიერებაში.

განხილული მაგალითი კარგად გვიჩვენებს, თუ რაოდენი სიფრთხილეა საჭირო სიტყვათა ეტიმოლოგიზირებისას. მეცნიერული ეტიმოლოგია სწორედ იმისათვის არსებობს, რომ ყველა შესაძლო სიძნელე გაითვალისწინოს და ეტიმოლოგიური კვლევა გარკვეულ ჩარჩოებში მოაქციოს. ეტიმოლოგია ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას უნდა ემყარებოდეს. ზოგჯერ ესეც საკმარისი არ არის: საჭირო ხდება კულტურის ისტორიის ღრმა ცოდნაც.

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება ამტკიცებს, რომ სპილოსა და აქლემის აღმნიშვნელი სიტყვები ინდოევროპულ ენებში გენეტიკურად ერთმანეთს უკავშირდება. ეს სიტყვებია: ბერძნ. elephas (← elephants), ლათ. elephantus, გოთ. ulbandus და სხვ. მაგრამ თუ ბერძნული და ლათინური ფორმები სპილოს აღნიშნავენ, გოთური ფორმა აქლემის აღსანიშნავად გამოიყენება. ამავე მნიშვნელობით შემოვიდა ეს სიტყვა რუსულშიც (შდრ. верблюды). მაგრამ რა არის საერთო სპილოსა და აქლემს შორის სემანტიკური თვალსაზრისით? ერთი შეხედვით-არაფერი! მიუხედავად ამისა, სპილოსა და აქლემის აღმნიშვნელი სიტყვები

ინდოევროპულ ენებში მაინც ერთ ფორმაზე დაიყვანება. როგორც ჩანს, ეს სიტყვა ადრე აღნიშნავდა მძიმე ტვირთის გადამტან ცხოველს, საიდანაც განვითარდა ორგვარი მნიშვნელობა: ინდოევროპულ ენათა ერთ ნაწილში მან მიიღო სპილოს, ხოლო, მეორე ნაწილში—აქლემის მნიშვნელობა.

ეტიმოლოგიურად ერთმანეთს უკავშირდება ტალღისა და მატყლის აღმნიშვნელი სიტყვები ინდოევროპულ ენებში და ამიტომ რუს. ВОЛНА „ტალღა“ და ინგ. wool „მატყლი“ წარმოშობით ერთი და იგივე სიტყვაა. მაგრამ მნიშვნელობა? არც სემანტიკა ქმნის რაიმე დაბრკოლებას, რადგანაც მატყლი ტალღის შთაბეჭდილებას ტოვებს, ამიტომ ადვილი შესაძლებელია მატყლის აღმნიშნელ სიტყვას ტალღის მნიშვნელობა მიეღო.

ამრიგად, მეცნიერული ეტიმოლოგია გამორიცხავს უბრალო მსგავსებებზე დამყარებულ ანალოზს. სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენისას პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იქნას ისტორიული ფონეტიკის მონაცემები, შემდეგ კი—მნიშვნელობა, თუ ორივე ეს მომენტი შესაბამისობაში მოდის ერთმანეთთან, მაშინ ეტიმოლოგიაც სწორი იქნება. ფონეტიკურად გოთ. ulbandus (აქლემი) ბერძ. elephas (სპილო) სიტყვას შეესატყვისება, ამიტომ, სემანტიკური სხვაობის მიუხედავად, ეს ორი სიტყვა ერთმანეთთან გენეტიკურ კავშირშია. ირკვევა რომ მოცემული სიტყვების დასაკავშირებლად სემანტიკაც ვერ გვიშლის ხელს, რადგანაც მაინც ხერხდება მოცემული ორი მნიშვნელობის გაერთმნიშვნელიანება, ე.ი. მათი დაყვანა საერთო ამოსავალ მნიშვნელობაზე.

ერთი სიტყვით, მეცნიერული ეტიმოლოგია ისტორიული მეცნიერება—ისტორიულ ფონეტიკასა და სემანტიკას ეყარება.

§12 ლექსიკოგრაფია

ლექსიკოგრაფია (ბერძ. lexis „სიტყვა“, grapho „წერ“) ლექსიკონების შედგენის მეთოდისა და ხელოვნების საკითხებს იკვლევს. ლექსიკონები მრავალგვარია. პირველ რიგში უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან ენციკლოპედიური და ლინგვისტური (ენობრივი) ლექსიკონები.

ენციკლოპედიურ ლექსიკონებში განმარტებულია არა სიტყვები, არამედ ის მოვლენები, რომლებსაც ესა თუ ის სიტყვა გამოხატავს. ვთქვათ, სიტყვა „ენა“ განმარტებულია ამგვარ ლექსიკონში როგორც ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის საშუალება, ფონემა—როგორც უმცირესი სიტყვათგანმასხვავებელი ერთეული ენისა და ა.შ. ენციკლოპედიურ ლექსიკონებში წარმოდგენილი არაა, ვთქვათ, ნაცვალსახელები ან ზედსართავებისა და ზმნების უმრავლესობა. ამგვარი სიტყვები არ წარმოადგენენ საკვალურ ტერმინებს და ამიტომ ისინი ენციკლოპედიურ ლექსიკონებშიც არ შეაქვთ.

ლინგვისტური ლექსიკონები შეიძლება იყოს ერთენოვანი, ორენოვანი და მრავალენოვანიც კი. ერთენოვანია განმარტებითი ლექსიკონები. ასეთია, მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანის მიერ შედგენილი „სიტყვის კონა“ ან „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, რომელიც რვა ტომისაგან შედგება. განმარტებით ლექსიკონში სიტყვა და მისი განმარტება ერთსა და იმავე ენაზეა მოცემული. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, მაგალითად, ქართული სიტყვები ქართულადვეა განმარტებული. სულხან-საბა ასე განმარტავს, ვთქვათ, „შური“ სიტყვას: წუხილი სხვისა სიკეთესა ზედა, ზოლო „ნიკაპი“ განმარტებულია როგორც „ყბათ შესაყარი“ და ა. შ. განმარტებით ლექსიკონებს შორის ცალკე უნდა გამოიყოს უცხოურ სიტყვათა ლექსიკონი, სადაც მხოლოდ ნასესხები სიტყვებია ახსნილი.

ორ ან მრავალენოვან ლექსიკონებს პარალელურ ლექსიკონებს უწოდებენ. პარალელურ ლექსიკონებში ერთი ენის სიტყვები თარგმნილია მეორე ენაზე, ე.ი. დაძებნილია მოცემული ენის სიტყვათა სემანტიკური ეკვივალენტები მეორე ენაში. ამიტომ ამგვარ ლექსიკონებს თარგმნით ლექსიკონებსაც უწოდებენ. ამგვარი ლექსიკონებია, მაგალითად, რუსულ-ქართული ლექსიკონი, გერმანულ-ქართული ლექსიკონი და სხვ.

ლექსიკონთა სპეციალურ ტიპს მიეკუთვნება საგნობრივი და იდეოგრაფიული ლექსიკონები. საგნობრივ ლექსიკონებში, როგორც ამას სახელწოდებაც გვიჩნებს, საგნების დახასიათება ხდება. ასე მაგალითად, სახლი როგორც საგანი წარმოდგენილია არა იზოლირებულად, არამედ ყველა იმ საგანთან კავშირში, რაც კი სახლთან შეიძლება მიმართებას ამყარებდეს: სამზარეულო, მისაღები ოთახი, სამუშაო კაბინეტი, საძილე ოთახები. ეზო და სხვ. იდეოგრაფიულ ლექსიკონებში სიტყვები დაჯგუფებულია იმის მიხედვით, თუ რა საერთო ცნებას გამოხატავენ ისინი. ასეთ ლექსიკონებში, მაგალითად, ფონემა, ფონი, ალოფონი, ერთ ჯგუფში იქნება გაერთიანებული.

ლექსიკონები შეიძლება იყოს სალიტერატურო ენისა და დიალექტებისა. მეორე ტიპის ლექსიკონები პირველთან შედარებით იშვიათია. 1974-1975 წწ. გამოვიდა აღ. ღლონტის ორტომიანი, რომელსაც ეწოდება „ქართულ კილო-კათა სიტყვის კონა“ და რომელიც შედარებით სრულად ასახავს სიტყვათა იმ ამოუწურავ მარაგს, ქართული ენის დიალექტებში რომაა დაცული. ასევე საყურადღებო ლექსიკოგრაფიული შრომაა რ. შამელაშვილის „თანამედროვე ქართული ენის ლექსიკა“, რომელიც ოთხ ნაკვეთად გამოიცა (თბილისი, 1972-1988 წწ).

გვაქვს ასევე ტერმინოლოგიური ლექსიკონები ამა თუ იმ მეცნიერების ან მეცნიერების რომელიმე დარგის მიხედვით. ასეთია, მაგალითად, (Словарь лингвистических терминов. Ахманова О.С.М. 1966) ანდა

ინგლისურიდან რუსულად თარგმნილი ე. ჰემპის Словарь американской лингвистической терминологии, М. 1964) და სხვ. არსებობს ასევე სინონიმთა ან ომონიმთა ლექსიკონები, რითმების ლექსიკონები, ფრაზოლოგიზმების, იდიომატური გამოთქმების, ფრთიანი სიტყვების ლექსიკონები, ორთოგრაფიული და ორთოეპიული ლექსიკონები, ეტიმოლოგიური ლექსიკონი (მაგალითად, Этимологический словарь картвельских языков, Климов Г.А.М. 1964) და სხვ.

ამრიგად, ლექსიკოგრაფია ლექსიკონების შედგენას გულისხმობს, ხოლო ლექსიკონები ნაირ-ნაირი შეიძლება იყოს. ბოლო დროს გამოჩნდა ლექსიკონის კიდევ ერთი ახალი ტიპი, რომელსაც ინვერსიულ (შებრუნებულ) ლექსიკონს უწოდებენ. ამგვარ ლექსიკონებში სიტყვები დაჯგუფებულია არა საწყისი ასოების მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ რაზეა დამთავრებული ესა თუ ის სიტყვა. ამგვარ ლექსიკონებში ერთიმეორის გვერდით აღმოჩნდება ისეთი სიტყვები, როგორიცაა, ვთქვათ: მალი, მამალი, წამალი, ტყემალი, ემალი და სხვ.

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე

ენათა კლასიფიკაცია

§ 1. ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია. ზოგადი საკითხები.

§1.1. გენეალოგიური კლასიფიკაციის მიხედვით ენებს აჯგუფებენ მათი წარმოშობის (ბერძ. γενέσις „წარმოშობა“) საფუძველზე.

ის ენები, რომელნიც ერთი საერთო წინაპარი ენიდან მოდიან, მონათესავე ენებია და ენათა ერთ ოჯახს ქმნიან. თვითონ წინაპარ ენას, რომლისგანაც მიღებულია მონათესავე ენები, ფუძე-ენა ეწოდება. დღეისათვის ჩვენს პლანეტაზე 3000-მდე ენაა, გაცილებით უფრო მცირეა ენათა ოჯახების რაოდენობა, რომელთა რიცხვი სამ ათეულსაც კი არ აჭარბებს.

ბნელია ზუსტად იმის თქმა, თუ რამდენი ენათა ოჯახია მსოფლიოში. საქმეს ართულებს ის, რომ ნათესაური კავშირები ბევრ ენას თუ ენათა ჯგუფებს შორის ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. ამის გასარკვევად შორს წასვლა არ არის საჭირო. საკმარისია განვიხილოთ იბერიულ-კავკასიური ენათა ოჯახი, სადაც ქართულიც შედის. ამ ოჯახში გამოიყოფა ენათა სამი ჯგუფი ანუ შტო: აფსუურ-ადილურ ენათა ჯგუფი (კავკასიის ჩრდილო-დასავლეთი), ნახურ-დაღესტნური ენები და (კავკასიის ჩრდილო-აღმოსავლეთი) და ქართველური ენები (სამხრეთ-კავკასია). აფსუურ-ადილური და ნახურ-დაღესტნურ ენათა ჯგუფებს

ერთად ეწოდება მთის კავკასიური ენები. დღეისათვის მთის კავკასიურ ენებს შორის ნათესაობა დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რასაც ვერ ვიტყვით ამ ენათა გენეტური კავშირის შესახებ ქართველურ ენებთან. მთის კავკასიურ და ქართველურ ენებს შორის ნათესაობა დადგენილი არ არის და შესაძლებელია იგი არც არასოდეს დამტკიცდეს, ე.ი. მთის კავკასიური ენები და ქართველური ენები სრულიად სხვადასხვა ოჯახის წევრები ან ორი სხვადასხვა ოჯახი აღმოჩნდნენ. ანალოგიური მდგომარეობა სხვა შემთხვევებშიც გვაქვს და ამიტომ ჭირს ენათა ოჯახების ზუსტი რაოდენობის დადგენა.

მონათესავე ენათა ოჯახებიდან ყველაზე დიდია ინდოევროპულ ენათა ოჯახი. ინდოევროპული ენები დღეისათვის ყველა ხუთ კონტინენტზე გავრცელებული, მაგრამ ისტორიულად, ამ ხუთი საუკუნის წინადაც კი, ისინი გავრცელებული იყვნენ მხოლოდ ევროპასა და აზიაში, მაგრამ არა მთელ აზიაში, არამედ ისტორიულ ინდოეთსა, ირანსა და კავკასიაში, რომ ერკვებინათ ინდოევროპულ ენათა ისტორიული გავრცელება აზიაშიც, ამისათვის შემოიღეს ტერმინი „ინდოევროპული“, გერმანიაში მის ნაცვლად იყენებენ ტერმინს „ინდოგერმანული“, მაგრამ ამით არსებითად არაფერი არ იცვლება, რადგანაც ორივე ეს ტერმინი მონათესავე ენათა ერთსა და იმავე ოჯახს გულისხმობს.

რადგანაც ტერმინ „ინდოევროპულს“ შევხებით, აქვე გავარკვიოთ მეორე ტერმინის ისტორიაც. ესაა „სემიტური და ქამიტური ენები“. ტერმინები ბიბლიური წარმოშობისაა. გადმოგვცემენ, რომ ნოეს ჰყავდა სამი ვაჟი: სემი, ქამი და იაფეტი. სემის შთამომავლები იწოდებიან სემიტებად, ე.ი. ნოეს უფროსი შვილის მემკვიდრეებად. სემიტური ენებია: არაბული, აისორული, აქადური, არამეული, ძველებრაული და სხვ., ხოლო ქამის შთამომავლები ქამიტებად (ძველეგვიპტური, კობტური და სხვ.).

ქვემოთ ჩვენ ენათა უმთავრეს ოჯახებს მათში შემავალი ჯგუფებითა და ქვეჯგუფებით წარმოვადგინეთ გ. ახვლედიანის მიხედვით (იხ. გ. ახვლედიანი, ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია, „ენათმეცნიერების შესავლის საკითხები“, თბილისი, 1972, გვ. 290-324).

ინდოევროპულ ენათა ოჯახი

ამ ოჯახში შემავალი ენები ყველაზე გავრცელებულია მსოფლიოში
ინდურ ენათა ჯგუფი

ა) დ ლ ე ს მ ო ქ მ ე დ ნ ი :

1. ჰინდუსტანური ანუ ჰინდუსტანი ენა. ამ ენას აქვს ორი ლიტერატურული ფორმა: ჰინდი-ინდოეთის რესპუბლიკის სახელმწიფო

ენა, ურდუ პაკისტანის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა.

2. ბენგალური ანუ ბენგალი ენა (ამ ენაზე წერდა ინდოეთის დიდი მწერალი რაბინდრანათ თაგორი). 3. ფანჯაბური ანუ ფანჯაბი ენა., 4. ლაჰნდა ენა, 5. სინდჰი ენა, 6. რაჯასტანი ენა, 7. გუჯარატი ენა, 8. მარათჰი ენა, 9. სინგჰალეზური ენა, 10. ნეპალი ენა, 11. ბიჰარი ენა, 12. ორიია ენა, 13. ასამი ენა, 14. კაშმირი ენა—(განთქმული ჯავახარლალ ნეჰრუს მშობლიური ენა), 15. აწინკური ანუ აწინკანთა (ციგანთა) ენა. (სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც გავრცელებულნი არიან ინდოეთიდან).

ამათ გარდა, რამდენიმე სხვა ამათზე მცირე ინდოევროპული ოჯახის ენაა ინდოეთში, ინდურის შთამომავლობისა.

ბ) გ ა დ ა შ ე ნ ე ბ უ ლ ნ ი

1. ვედების ენა (ანუ ვედური)—დაახლ. 1500 წლის წინათ ჩვენს ერამდე შექმნილი რელიგიური ტექსტების ენა და სანსკრიტი—ინდოელთა სალიტერატურო ენა, რომელზეც მდიდარი მწერლობა არის შექმნილი IV ს. ძვ. წ. აღრ. -VII ს. ახ. წ. აღ.

2. პალი—საშუალო ინდური სალიტერატურო ენა, რომელზეც შექმნილია უმთავრესად ბუდდჰისტური შინაარსის საკულტო ნაწარმოებები III საუკუნის ძვ. წ. ა.

3. პრაკრიტები—ხალხური დიალექტები საშუალო ინდურისა.

ირანულ ენათა ჯგუფი

ა) დ ლ ე ს მ ო ქ მ ე ლ ნ ი:

1. სპარსული (ფარსი)
2. ტაჯიკური
3. ავღანური (ანუ პაშტო ენა)— ავღანისტანის სახელმწიფო ენა.
4. ბალუჯი
5. ქურთული
6. ოსური
7. თათური
8. თალიშური
9. კასპიისპირა და პამირის ენები
10. იაღნობი

ბ) გ ა დ ა შ ე ნ ე ბ უ ლ ნ ი

1. ძველი სპარსული—ძველი ირანულის ერთ-ერთი დიალექტი—აქემენიდების ლურსმული წარწერების (VI-IV სს.) ენა.

2. ავესტის ენა—ძველი ირანულის მეორე დიალექტი. ზოროასტრიზმის მოძღვრების საფუძვლების კრებული (იხ. შემდეგი).

3. ფეჰლვეი (ფალაური ენა)—საშუალო სპარსული (III-LX სს.), შემონახული ავესტის თარგმანსა და კომენტარებში, რასაც საშუალო სპარსულად დაერქვა „ზენდ“, ზოლო ავესტას, როგორც დედანს, apastāk

ფუძე (აქედან სპარსული avista,).

4. მიდიური ენა—მიდიელთა ძველი ირანული (წერილობითი ძეგლები არ შემონახულა).

5. პართიული ენა—საშუალო სპარსული ენა (III საუკ. ძვ. წ. ა.—III საუკ. ახ. წ. ა.).

6. სოგდური ენა—დღევანდელი იაღნობის წინარე ენა (ახ. წ. ა. პირველ ათასწლეულში).

7. სკვითური ენა—ძვ. წ. ა. პირველ ათასწლეულსა და ახ. წ. ა. პირველი ათასწლეულის ირანული ენა; დღევანდელი ოსურის წინარე ენა (სკვითური ენა არის დასავლურ-საკური. იხ. ქვემოთ საკური).

8. ხვარაზმული ენა—ამჟამად არის ქვემო წელზე მცხოვრები ირანული ტომის ენა, საშ. სპარსული ახ. წ. პირველ ათასწლეულში.

9. საკური (ანუ ხატაური ენა) შუაზიის საშ. სპარსული ენა. იგივე ენები გეოგრაფიულად:

10. სამხრეთ-დასავლურნი: ძველი ირანული და საშ. სპარსული.

11. ჩრდილო-აღმოსავლურნი: სკვითური, სოგდური, ხვარაზმული, ოსური, იაღნობი.

სლავურ ენათა ჯგუფი

ა) დ ღ ე ს მ ო ქ მ ე დ ნ ი:

სლავურ ენათა ჯგუფში შედის სამი ქვეჯგუფი: აღმოსავლური, სამხრეთული და დასავლური.

I. აღმოსავლურნი

1. რუსული ენა — ყველა სლავურ ენაზე უფრო გავრცელებული ენაა. რუსული ენის ჩრდილოური დიალექტი (ოურობიანი), რომელშიც, მაგ. უმახვილო ო წარმოითქმის როგორც ო, და სამხრეთული დიალექტი (აურობიანი): რომელშიც უმახვილო ო წარმოითქმის როგორც (ა) *ropá*; სალიტერატურო რუსულს საფუძვლად დაედო მოსკოვის მიდამოს კილო. რუსული ენის უძველესი დათარიღებული ძეგლი XI საუკუნისაა. რუსული ენა ყოფილ საბჭოთა კავშირში საეროვნებათაშორისო ენაა, ხოლო გარეთ—ერთი უმნიშვნელოვანესი მსოფლიო ენა. რუსულ ენაზე შექმნილია უმდიდრესი პროგრესული მხატვრული ლიტერატურა.

2. უკრაინული ენა—წინათ მას ეძახდნენ მალორუსულს. უკრაინული შედგება ორი დიალექტისაგან: მარცხენა ნაპირისა და მარჯვენა ნაპირის (მდ. დნეპრისა). სალიტერატურო უკრაინული დამუშავდა პოლტავა-კიევის კილოების საფუძველზე (XVI-XVII სს.).

3. ბელორუსული ენა.

სალიტერატურო ბელორუსული ენა დამუშავდა XIX-XX სს.

II ს ა მ ხ რ ე თ უ ლ ნ ი :

ა) დ ღ ე ს მ ო ქ მ ე დ ნ ი :

4. ბულგარული ენა—წარმოიქმნა სლავური დიალექტების შერწყმით ვოლგა-კამის თურქული ტომის ბულგარების ენასთან (მომთაბარე ბულგარები დაბინადრდნენ დუნაისპირა დაბლობებში VI საუკუნეში და გაითქვიფნენ სლავურ ხალხთა გარემოში). უძველესი წერილობითი ძეგლები გვაქვს VII-IX სს. ბულგარული ენა სახელმწიფო ენაა ბულგარეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა.

5. მაკედონური ენა—დამოკიდებული ენაა იმის შემდეგ, რაც ის მოსწყდა ბულგარულ დიალექტებს XIX საუკუნეში; დღეს იგი სალიტერატურო ენაა.

6. სერბულ-ხორვატული ენა—სერბთა და ხორვატთა ერთიანი ენა; მწერლობა XI საუკუნიდან; სერბებს აქვთ რუსული ანბანი, ხორვატებს — ლათინური.

7. სლოვენური ენა—სლოვენთა ენა სლოვენიასა და იუგოსლავიაში; მწერლობა აქვთ X-XI საუკუნეებიდან.

ბ) გ ა დ ა შ ე ნ ე ბ უ ლ ნ ი :

8. ძველი სლავური (ანუ ძველი საეკლესიო სლავური) ძველი ბულგარულის სოლუნის კილოების საფუძველზე წარმოქმნილი საერთო სლავური სალიტერატურო ენა, რომელზედაც ითარგმნა საეკლესიო წიგნები ქრისტიანობის გავრცელების მიზნით სლავთა შორის (IX-X ს.). მისთვის შეიქმნა ორი ანბანი-გლაგოლიცა და კირილიცა. ძველი სლავური ლექსიკა შესულია გარკვეული რაოდენობით რუსულ სალიტერატურო ენაში.

III. დ ა ს ა ვ ლ უ რ ნ ი :

9. ჩეხური-ჩეხოსლოვაკიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო ენა. წერილობითი ძეგლები ლათინური ანბანით XIII საუკუნიდან;

10. სლოვაკური ენა —სლოვაკთა ენა. მწერლობა ლათინური ანბანით XVIII საუკუნიდან.

11. პოლონური ენა—პოლონელთა ენა; მწერლობა ლათინური ანბანით XIV საუკუნიდან.

12. კაშუბური ენა—კაშუბთა (დასავლ. სლავთა პატარა ტომის) ენა. ცხოვრობენ პოლონეთში. ძალიან ჰგავს პოლონურს. დამტკიცებულად ითვლება, რომ კაშუბური დამოუკუდებელი დასავლურ სლავური ენაა. მწერლობა პოლონური (ლათ. ანბანით) XIX ს. დამლევადან.

13. სერბულ-ლუჟიცური ენა—ლიჟიცის სერბთა ენა; დამწერლობა ლათინური ანბანით XVI საუკუნიდან, აქვთ ორი სალიტერატურო ენა (ზემო-ლუჟიცა და ქვემო-ლუჟიცა დიალექტების საფუძველზე).

ბ) გ ა დ ა შ ე ნ ე ბ უ ლ ნ ი:

14. პოლაბური ენა — პოლაბთა (მდ. ლაბის ორივე ნაპირას მცხოვრებთა — წინათ მრავალრიცხოვან სლავთა) ენა გერმანიაში. გადაშენდა XVIII საუკუნეში. ძველი წერილობითი ძეგლები არაა; მეცნიერები ცდილობენ მის აღდგენას სხვადასხვა წყაროების მიხედვით.

15. სლოვანური ენა—სლოვენცთა ენა, ახლო იყო კაშუბურთან და პოლაბურთან.

16. პომორიული (ზღვისპირა) მცირე-მცირე ენები—კაშუბურისა და სლოვენცთა ენის წინაპარნი. გავრცელებული იყვნენ ბალტიის ზღვის სამხრეთ ნაპირზე (გერმ. Pommern, რუს. померания.)

ბალტიკურ ენათა ჯგუფი

ა) დ ლ ე ს მ ო ქ მ ე დ ნ ი:

1. ლიტუური ენა—ლიტვის სახელმწიფო ენა. წერილობითი ძეგლები ლათინური ანბანით XIV საუკუნიდან. მას შემონახული აქვს რიგი არქაული (ინდოევროპული) ენობრივი მოვლენები.

2. ლიტუური—ლატვიის სახელმწიფო ენა, წერილობითი ძეგლები ლათინური ანბანით XIV საუკუნიდან.

ბ) გ ა დ ა შ ე ნ ე ბ უ ლ ნ ი:

3. ძველი პრუსიული ენა—არსებობდა აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორიაზე. წერილობითი ძეგლები ლათინური ანბანით შემონახული აქვს XIV-XVII საუკუნეებიდან.

ბერმანიკულ ენათა ჯგუფი

ჩრდილობერმანიკული (სკანდინავიური) ძმეჯგუფი

ა) დ ლ ე ს მ ო ქ მ ე დ ნ ი:

1. დანიური ენა—მას ბევრი რამ საერთო აქვს ნორვეგიულთან; რუნული წარწერები IX საუკუნიდან; წერილობითი ძეგლები XI-XII სს. ლათინური ანბანით. XIV-XIX სს. დასასრულამდე წარმოადგენდა საერთო სალიტერატურო ენას ნორვეგიულთან ერთად.

2. შვედური ენა—ჩამოყალიბდა XVI-XVII სს-ში; რუნული წარწერები IX საუკუნიდან; წერილობითი ძეგლები ლათინური ანბანით XIII საუკუნიდან.

3. ნორვეგიული ენა—ნორვეგიელთა ენა. რუსული წარწერები X საუკუნიდან; ხელნაწერი ძეგლები XII საუკუნიდან.

4. ისლანდიური ენა—ისლანდიელთა ენა, ლათინური ანბანით წერა დაიწყო XI ს. დასასრულიდან; ცოტაოდენი რუსული წარწერები აქვს XIII საუკუნიდან.

5. ფაროეული ენა—ფაროე კუნძულზე ნორვეგიულისა და ისლანდიური

ენების მსგავსი აგებულების ენა. მასზე ჩაწერილია ლათინური ანბანით XVIII ს-ში ფოლკლორული ტექსტები. ლიტერატურის მქონე ენაა 1939 წლიდან;

დასავლურ-ბერმანიკული ქვეჯგუფები

6. ინგლისური ენა—ინგლისელთა ენა; ახალი ინგლისური წარმოიქმნა XVI საუკუნეში ლონდონის დიალექტის საფუძველზე; ძველი ინგლისური V-XI სს, საშ. ინგლისური XI-XVI სს. წერილობითი ძეგლები ლათინური ანბანით VII საუკუნიდან; იგი საერთაშორისო ენად ითვლება.

7. გერმანული (დოიჩლანდური) ენა—იყოფა ორ დიდ დიალექტად: ქვემოგერმანული (ჩრდილოეთით Neiderdeutsch ანუ Platdeutsch;) და ზემოგერმანული (სამხრეთით—Hochdeutsch). ეს მეორე საფუძველად დაედო სალიტერატურო ენას, რომელმაც გაიარა საფეხურები ძველზე—მოგერმანულისა (VIII-XI სს.) და საშუალო ზემოგერმანულისა (XII-XV), ხოლო XVI საუკუნიდან გვაქვს ახალზემოგერმანული, უმთავრესად ლუთერისა და მის თანამოღვაწეთა თარგმანების საფუძველზე დამუშავებული. დამწერლობა ლათინური ანბანის ორი სახეობით—გუთურითა და ანტიკვით.

8. პოლანდიური (ანუ ნიდერლანდური) ენა—პოლანდიის (ნიდერლანდის) სახელმწიფო ენა; დამწერლობა ლათინური ანბანით. მისგან ოდნავ განსხვავებულია სამხრეთ აფრიკაში გადასახლებულ პოლანდიელთა ენა—ბურების ენა ანუ აფრიკანსი.

9. ფლამანდიური ენა—ასე ეწოდება ნიდერლანდის (პოლანდიურ) ენას, რომელიც ბელგიის ჩრდილო პროვინციებშია გავრცელებული და სახელმწიფო ენის უფლებებშია ფრანგულთან ერთად. ოდნავ განსხვავებულია პოლანდიურისაგან.

10. ფრიზული ენა—ნიდერლანდი, გერმანიასა და დანიაში ხმარებული ენა, წერილობითი ძეგლები XIV საუკუნიდან.

11. იდიშ (ანუ ახალბრაული) ენა; გავრცელებულია აღმოსავლეთ გერმანიაში, პოლონეთში, გალიციაში, უკრაინაში და სხვ. ჩამოყალიბდა და ძირითადად ზემოგერმანულის სხვადასხვა დიალექტთა საფუძველზე—სლავურთან და სხვა ენებთან შერევით. დამწერლობა ძველებრაული ანბანით.

აღმოსავლეთ ბერმანიკული ჯგუფი

ბ) გ ა დ ა შ ე ნ ე ბ უ ლ ნ ი:

12. ვესტგუთური (ე.ი. დასავლური გუთური) ენა; გუთების სახელმწიფო ენა ესპანეთსა და ჩრდილო იტალიაში საშ. საუკუნეებში; დამწერლობა გუთური ანბანით, რომელიც შექმნა ეპისკოპოსმა ვულფილამ

(Ulfilas) IV საუკუნეში; მანვე თარგმნა სახარება და სხვა, რაც გერმანიკულ ენათა ყველაზე ძველი ძეგლია.

13. ოსტგუთური ენა—აღმოსავლური გუთების ენა ადრინდელ სამ. საუკუნეებში შავი ზღვის ჩრდილო ნაპირებსა და დნეპრის სამხრეთ ნაწილზე, სადაც მან იარსება XVI საუკუნემდე.

იტალიკურ ენათა ჯგუფი

(ასე ჰქვია იტალიის ინდოევროპულ ენებს რომის იმპერიის დაშლამდე აქ იყო ლათინური, ოსკური, უმბრული, საბელური და სხვ.; იმპერიის დაშლის შემდეგ ლათინურსა და მისგან წარმოქმნილ ენებს ეწოდება რომანული ჯგუფის ენები).

რომანულ ენათა ჯგუფი

ა) დ ლ ე ს მ ო ქ მ ე ღ ნ ი :

1. ფრანგული ენა—საფრანგეთის, ბელგიისა (ფლამანდურთან ერთად) და შვეიცარიის (ნაწილობრივ) სახელმწიფო ენა; სალიტერატურო ენა შეიქმნა XVI საუკუნიდან ილ-დე-ფრანს-ის დიალექტის საფუძველზე; ეს და სხვა ფრანგული დიალექტები წარმოიქმნენ ხალხური ლათინურისა და რომაელების მიერ დაპყრობილი ადგილობრივი მოსახლეობის — გალების ტომთა—ენების შერევის შედეგად. უძველესი წერილობითი ძეგლები ლათინური ანბანით IX საუკუნიდან, საშუალო ფრანგული IX-XV სს. ახალი ფრანგული XVI საუკუნიდან; საერთაშორისო ენის მნიშვნელობა ფრანგულმა ენამ მოიპოვა ევროპის ყველა სხვა ენაზე ადრე.

2. პროვანსული ენა (Provençal)—საფრანგეთში, სამხრეთ აღმოსავლეთით, წამოიქმნა ხალხური ლათინურის შერევის, ადგილობრივ ენებთან. მწერლობა ლათინური ანბანით; საშუალო საუკუნეებში ითვლებოდა სახელმწიფო ლიტერატურულ ენად; X საუკუნიდან განვითარდა პროვანსულ ენაზე მდიდარი ლიტერატურა, რომელიც მეტად აყვავდა XI-XVIII საუკუნეებში.

3. იტალიური ენა—იტალიის სახელმწიფო სალიტერატურო ენა, რომელიც წარმოიქმნა ტოსკანური დიალექტების ნიადაგზე, დიალექტებისა რომელნიც წარმოადგენენ ხალხური ლათინურის შენარევს ადგილობრივი მოსახლეობის ენებთან. მწერლობა ლათინური ანბანით წარმოიქმნა XIII საუკუნეში.

4. სარდინიული ენა—კუნძულ სარდინიაზე მოქმედი სალიტერატურო ენა (იმავე კუნძულზე ლაპარაკობენ იტალიური ენის დიალექტებსა და კატალანურ ენებზე). მწერლობა ლათინური ანბანით განვითარდა XIII საუკუნეში.

5. ესპანური, 6. კატალნური და 7. პორტუგალიური ენები პირენეის ნახევარკუნძულზე. სამივე ხალხური ლათინურისა და ადგილობრივი

ენების შენარევი ენებია; სამივეს აქვს ლათინური ანბანი.

ესპანურ ენაზე მწერლობა დაიწყო VIII საუკ. ბოლოდან. კატალანური (ანუ კატალონური) ენის უძველესი ნიმუში გვაქვს XII საუკუნიდან. პორტუგალური ენის უძველესი ნიმუში გვაქვს XII საუკუნიდან. ორივე ეს ენა (ესპანური და პორტუგალური) გავრცელებულია სამხრეთ ამერიკაშიც.

8. რუმინული ენა—რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ენა. წარმოიქმნა ხალხური ლათინურის შერევით რომის პროვინციის დაკიის ადგილობრივ ენებთან, რუმინული ენის ძეგლები გვაქვს XVI საუკუნიდან ლათინური ანბანით.

9. მოლდავური ენა—მოლდავეთის სახელმწიფო ენა, რუმინულისაგან ოდნავ განსხვავებული. დამწერლობა კირილიცის ანბანით XV საუკუნიდან (XIX საუკ.—რუსული ანბანით).

10. არომუნული (ანუ ცინცარული) ენა, რუმინულთან ახლო მონათესავე ენა (ემაზიან აგრეთვე ცინცართა ენას). თავისთავს უწოდებენ ვლახებს; ცხოვრობენ ოუგოსლავიაში, ალბანეთსა და საბერძნეთში, საკუთარი ლიტერატურა არა აქვთ.

11. რეტო—რომანული (ძველი რეციის ტერიტორიაზე მოსახლეთა) ენა—შვეიცარიის მეოთხე სახელმწიფო ენა (ფრანგულ, იტალიურ და გერმანულთან ერთად). დამწერლობა ლათინური ანბანით XII საუკუნიდან.

ბ) გ ა დ ა შ ე ნ ე ბ უ ლ ნ ი :

12. ძველი ლათინური ენა—ძველი რომის სახელმწიფო და სალიტერატურო იტალიკური ენა. უძველესი ძეგლები VI საუკუნიდან ძვ. წ. ა. ძველ ლათინურ ენაზე შექმნილია მრავალი ლიტერატურული ნაწარმოები სხვადასხვა ჟანრისა (ეპიკური, ლირიკული, ისტორიული და ა. შ.). კათოლიკური ეკლესიის ენა. საერთაშორისო ტერმინოლოგიის ერთ-ერთი წყარო. საშუალო საუკუნეებში ღიდ როლს ასრულებდა ხალხური (ვულგარული) ლათინურის სახით. რომის პროვინციებში მოქმედ ენებთან შერევით იგი საფუძვლად დაედო რომანულ ენებს (ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ და სხვებს. იხ. ზემოთ).

13. ოსკური ენა—ერთ-ერთი იტალიკური ენა სამხრეთ იტალიაში, ძვ. წ. აღ. პირველი ათასწლეულის მეორე ნახევრიდან. ოსკური წარწერა ნაპოვნია პომპეის კედლებზე. მასზე მოლაპარაკე ხალხს რომაელები ეძახდნენ სამნიტებს.

14. უმბრული ენა—იტალიკური ენა, შუა იტალიაში, ოსკურ ენასთან რიგ საერთო თვისებათა მქონე, წარწერები III-II საუკუნეებიდან ძვ.წ.ა.

15. საბელური ენა — იტალიკური ენა, რომელზეც ლაპარაკობდა შუა იტალიაში მცხოვრები რიგ ტომთა გამაერთიანებელი ხალხი; დამარცხდა იგი რომაელებთან ხანგრძლივ სასტიკ ომიანობაში.

კელტურ ენათა ჯგუფი

ა) დ ლ ე ს მ ო ქ მ ე დ ნ ი:

1. გ ა ე ლ უ რ ი ქ ე ე ჯ გ უ ფ ი:

(აერთიანებს ირლანდიურს, შოტლანდიურსა და მენ კუნძულის ენას).

1. ირლანდიური ენა—ირლანდიის რესპუბლიკის სალიტერატურო ენა; წერილობითი ძეგლები ოგამური ანბანით IV საუკუნიდან ახ. წ. აღრ., ხოლო VII საუკუნიდან ლათინური ანბანით.

2. შოტლანდიური ენა—შოტლანდიელთა ენა დიდ ბრიტანეთში. ახლოა ირლანდიურთან. მწერლობა XVI საუკუნიდან ლათ. ანბანით. წინა საუკუნეებში საკმაოდ გავრცელებული იყო; დღეს მასზე ლაპარაკობს მხოლოდ გლეხობა.

3. მენ კუნძულის ენა—გადაშენების გზაზე დამდგარი გაელური ქვეჯგუფის ენა. ამჟამად მასზე ლაპარაკობს ძველი თაობის რამდენიმე ათასეული კაცი.

2. ბ რ ი ტ ა ნ უ ლ ი ქ ე ე ჯ გ უ ფ ი

(საერთო სახელია ბრეტონულისა და უელზურის)

4. ბრეტონული ენა—საფრანგეთში ბრეტანის ნახევარკუნძულზე მოსახლე კელტური ტომის ენა, რომლის უძველესი დამწერლობა VIII საუკუნისაა; ლიტერატურა XIV საუკუნიდან.

5. უელზური (ვალისური) ენა — დიდი ბრიტანეთის დასავლეთ ნაწილის უელზის ნახევარკუნძულის ბრიტანული ქვეჯგუფის ენა, რომლის დამწერლობა VIII საუკუნიდანაა. საშუალო საუკუნეებში ამ ენაზე იყო საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა.

3. გ ა ლ ი უ რ ი ქ ე ე ჯ გ უ ფ ი

გალიური ქვეჯგუფისაა მხოლოდ გალიური ენა, რომელსაც ისტორიულად გავრცელებულს ვხედავთ საფრანგეთსა, ჩრდილო იტალიასა, ესპანეთში, ბალკანეთსა და მცირე აზიაშიც კი. შემონახულია გალიური ენის ცალკეული სიტყვები ბერძნულსა და ლათინურის წყაროებში; მთლიანი ტექსტი გალიურისა არ შემონახულა.

ბერძნული ენის ჯგუფი

ახალბერძნული ენა—საბერძნეთის სახელმწიფო და სალიტერატურო ენა დაახლოებით XIV საუკუნიდან დღემდე. განასხვავებენ 1) ძველ ბერძნულ სალიტერატურო ენას ანტიკური დიალექტის საფუძველზე (VII-IV სს.), რომლის დიალექტები იყო იონური, ატიკური, დორიული და ეოლიური; 2) ელინური სამყაროს საერთო ბერძნული ენა („კონინ“), წარმოქმნილი აგრეთვე ატიკური დიალექტის საფუძველზე (III ს. ძვ. წ. აღრ.—IV ს. ახალი წ. აღრ.). 3) საშუალო ბერძნული ანუ ბიზანტიური—ბიზანტიის იმპერიის სახელმწიფო და სალიტერატურო

ენა (VI-XIV სს) და 4) ახალბერძნული ენა.

აღსანიშნავია, რომ ბერძნული ენის დღევანდელი დიალექტები წარმოადგენენ არა ძველი ბერძნულის დიალექტების გაგრძელებას, არამედ „კოინე“ ენის საფუძველზე წარმოქმნილებს.

ალბანური ჯგუფი

ალბანური ენა—ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ენა (ბალკანეთის ნახევარკუნძულზე); მისი წერილობითი უძველესი ძეგლები ლათინური ანბანით გვაქვს (კალკული სიტყვების სახით XV საუკუნიდან, ხოლო ტექსტები—XVII-დან.

სომხური (არმენული) ჯგუფი

სომხური ენა—სომხეთის სახელმწიფო სალიტერატურო ენა (ყოფილ საბჭოთა კავშირში). დამწერლობა თავისი სპეციფიკური ანბანით V საუკუნიდან (ახალი წ. აღ.), თარიღიანი ხელნაწერი ძეგლები IX ს-დან. სომხური მრავალდიალექტიანი ენაა; მასში გამოიყოფა ორი მთავარი დიალექტი: აღმოსავლური (ყოფილ საბჭოთა კავშირში) და დასავლური (თურქეთში). სომხურზე მნიშვნელოვანი გავლენა მოუხდენია კავკასიურ ენებს. ძველ სომხურსა და ახალ სომხურს შორის დიდი განსხვავებაა.

ანატოლიის (მცირე აზიის) ინდოევროპულ ენათა ჯგუფი

(გ ა დ ა შ ე ნ ე ბ უ ლ ი ა)

1. ხეთური (ანუ კანეზური) ენა—ხეთების სახელმწიფო ენა მცირე აზიაში XIX-XII საუკუნეებში; იგი გაიციო მეცნიერებამ ჩვენი საუკუნის დამდეგს—ლურსმულ და იეროგლიფურ მრავალ წარწერაში, და რიგმა მეცნიერმა მიიჩნია ყველა სხვა ინდოევროპულ ენაზე უფრო არქაულად. მისი ხნოვანობისად ითვლება მცირე აზიის რამდენიმე წარწერით ცნობილი ზოგიერთი ენა: 1. ლუვიური, 3. პალაური, 4. კალიური, 5. ლიდიური და 6. ლიკიური.

ტოქარული ჯგუფი

(გ ა დ ა შ ე ნ ე ბ უ ლ ი ა)

1. ტოქარული A ენა (ტურფანული, ყარაშარიული)—ტოქართა ენა ჩინეთის თურქესტანში, ნაპოვნია ჩვენი საუკუნის დამდეგს V-VII სს. ხელნაწერებში—რელიგიური და სამედიცინო შინაარსისა. იმავე ეპოქას ეკუთვნის, ალბათ, ანალოგიური შინაარსის ხელნაწერებში იქვე შემონახული.

2. ტოქარული B ენა (კუჩანური) A ტოქარულისაგან ძლიერ განსხვავებული დიალექტი.

II. სემიტურ ენათა ოჯახი

ამ ოჯახში შედიან შემდეგი ენები:

ა) დ ე ს მ ო ქ მ ე დ ნ ი :

1. არაბული ენა—მუსულმანთა საერთაშორისო კულტის ენა, ყველა სემიტურ ენაზე მეტად გავრცელებული; დამწერლობა არაბული ანბანით. უძველესი არაბული წარწერა IV საუკუნისა ახ. წ. აღრ. დიდი ლიტერატურის (ფილოსოფიურის, ფილოლოგიურის, მათემატიკურის) მქონე.

2. ამჰარული ენა—ეთიოპიის შერეულ სალიტერატურო ენა.

3. თიგრე ენა—თიგრაი ხალხის ენა ეთიოპიაში, უმწერლობო.

4. თიგრინია ენა—თიგრაი ხალხის ენა, აგრეთვე ეთიოპიაში, უმწერლობო.

5. აისორული ენა—არამეული ენის შთამომავალი, მას უწოდებენ აგრეთვე ასირიულს.

ბ) გ ა დ ა შ ე ნ ე ბ უ ლ ნ ი :

6. აქადური (ასურულ-ბაბილონური) ენა—ძველ აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული ენა, რომელიც ცნობილია ძრავალი უძველესი ლურსმული წარწერებით (2800-650 ძვ. წ. ძველი აქადური ანუ ასურული, 650 ძვ. წ. შემდეგ ახალი აქადური ანუ ბაბილონური; ამიტომ ეწოდება მას ასურულ-ბაბილონური).

7. უგარიტული ენა—XV-XIV სს. ანბანური ლურსმული წარწერების ენა უგარიტ სახელმწიფოში (სირიაში).

8. ძველებრაული ენა—ბიბლიის უძველესი ნაწილების ებრაელთა საკულტო ენა. გადაშენდა III საუკუნეში ძვ. წ. დაწერილია ებრაული ანბანით. დღეს აღდგენილია ცვლილებებით ისრაელის სახელმწიფო ენად—ივრიტის სახელწოდებით.

9. არამეული ენა—ბიბლიის გვიანდელი წიგნების ენა, რომელიც გავრცელებული იყო ძველ წინააზიაში, მეტადრე III ს. ძვ. წ. აღ.—IV ს. ახ. წ. აღ.

10. ფინიკიური ენა—ფინიკიასა და ფინიკიის კოლონიებში გავრცელებული ენა; ძველები XIII ს.—დან ძვ. წ. აღ. დაწერილობა ფინიკიური თანხმოვნური ანბანით.

11. ამორეველთა (ამორიტთა) ენა—ასეთი სახელწოდებაა გავრცელებული ამურრუ ტომის ენისა; ეს მომთაბარე ტომი შეიჭრა მესოპოტამიაში, დაფუძნდა იქ და საკმაოდ მნიშვნელოვანი პოლიტიკური როლი შეასრულა. XIII ს.—მდე ძვ. წ. აღ. არსებობდა სირიაში ამურრთა სამეფო.

ქამიტური ენები

ძველგვიპტური ენა. ესაა ძველი ეგვიპტის ენა, რომელიც ცნობილია

მხოლოდ იეროგლიფური ტექსტების მიხედვით. მე-3 ათასწლეულიდან ჩვენი წელთაღრიცხვის მე-3 ს-მდე. კობტური ენა. ძველევგვიპტური ენის შთამომავალია. კუმიტური ენები, ბერბერული ენები. ჩადის ენათა ქამიტური ჯგუფი (ჰაუსა, ანგასი, სურა, მუგზუ, მუბი და სხვ.).

III. ფინურ-უნგრულ ენათა ოჯახი ფინურ ენათა ჯგუფი

1. ბ ა ლ ტ ი ი ს კ ი რ ე თ ი ს ე ნ ა თ ა ჯ გ უ ფ ი

1. ფინური (სუომი) ენა—ფინეთის სახელმწიფო ენა; (ნაწილობრივ რესპუბლიკის გარეთაც — შვეციაში, ნორვეგიაში...); მწერლობა XV საუკუნიდან—ლათინური ანბანით.

2. ესტონური ენა—ესტონეთის სახელმწიფო ენა. მწერლობა XVII საუკუნიდან ლათინური ანბანით.

3. კარელური ენა—უმწერლობო ენა.

2. კერმიაკულ ენათა ჯგუფი

4. კომი—ზირიანული (ანუ კომი) ენა—კომის ავტ. რესპ-ის ენა, მწერლობა წარმოიქმნა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

5. კომი-პერმიაკული ენა—ახლო დგას კომი-ზორიანულ ენასთან. მწერლობა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

6. უდმურტული (ანუ ვოტიაკური) ენა—უდმურტეთის ავტ. რესპ-ის ენა. გავრცელებულია იგი მოსაზღვრე ხალხებშიც. სალიტერატურო ენა წარმოიქმნა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

3. ვოლგისპირა ენათა ჯგუფი

7. მარი (ანუ ჩერემისული) ენა — მარის ავტ. რესპ-ის ენა. მწერლობა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

8. მორდოვეული ენა—ეწოდება ორ დამოუკიდებელ ენას—ერზიას და მოკშა ენებს, —გავრცელებულია მოსაზღვრე ხალხებშიც (გორკისა, პენზისა, ჩკალოვისა და სხვა ოლქებში). მწერლობა—ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

უნგრულ ენათა ჯგუფი

1. უნგრულ (ანუ მაღიარული) ენა—უნგრეთის სახელმწიფო სამწერლობო ენა; გავრცელებულია აგრეთვე რუმინეთსა, ჩეხოსლოვაკიასა და იუგოსლავიაში. მწერლობა XIII საუკუნიდან ლათინური ანბანით.

2. მანსი (ანუ ვოგულური) ენა — დასავლეთ ციმბირში. მღინარე ობის აუზში; დამწერლობა რუსული ანბანით.

3. ხანთი (ანუ ოსტიაკური) ენა — აგრეთვე დასავლეთ ციმბირის

ენა, დამწერლობა რუსული ანბანით.

IV. თურქულ ენათა ოჯახი

ა) დ ე ს მ ო ქ მ ე ლ ნ ი :

1. ანატოლიურ-თურქული ენა-თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო და სამწერლობო ენა, დამწერლობა IX საუკუნიდან არაბული ანბანით, ხოლო 1929 წლიდან ლათინურით.

2. აზერბაიჯანული ენა-აზერბაიჯანის სახელმწიფო და მწერლობის ენა, როგორც ჩანს, აზერბაიჯანულს საფუძველი ისტორიულად აქვს მიღურისა და ალბანურ ენებში, ახალ პერიოდში იგი შედის თურქულ ენათა სამყაროში. მწერლობის ენა XV საუკუნიდან არაბული ანბანით, რომელიც XIX საუკუნეში შეიცვალა ლათინურით, ხოლო 30-იან წლებში-რუსულით.

3. თურქმენული ენა-თურქმენეთის სახელმწიფო ენა, სალიტერატურო ენა ჩამოყალიბდა XV-XVII სს. არაბული ანბანით, რომელიც 1928 წ. შეიცვალა ლათინურით, ხოლო 1940 წ.-რუსულით.

4. გაგაუზური ენა-გაგაუზთა ენა; გავრცელებულია უკრაინასა და მოლდავეთში, დამწერლობა რუსული ანბანით.

5. უზბეკური ენა-უზბეკეთის სახელმწიფო და სალიტერატურო ენა. ჩამოყალიბდა XIV-XVI სს. მდიდარი ლიტერატურა. დამწერლობა დღეს რუსული ანბანით.

6. ყაზახური ენა-ყაზახეთის სახელმწიფო და სალიტერატურო ენა. სალიტერატურო ენა ჩამოყალიბდა XIX საუკ. მეორე ნახევარში არაბული ანბანით (1938 წლიდან რუსული ანბანით).

7. ყუბუხური ენა-დაღესტნის ავტ. რესპ-ში, იხმარება როგორც საერთო ენა დაღესტნის ხალხთა ურთიერთობაში. სალიტერატურო ენად დამუშავდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსული ანბანით.

8. თათრული ენა-თათართა რესპ-ის ენა. 20-იან წლებში არაბული ანბანი შეიცვალა ლათინურით, ხოლო 1939 წლიდან-რუსულით.

9. ნოღაური ენა-გროზნოს ოლქისა და სტაეროპოლის მხარეში მცხოვრებთა ენა, მწერლობა განვითარდა მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსული ანბანით.

10. ბალყარულ (მალყარულ) ყარაჩაული ენა-ყაბარდო-ბალყარეთის ავტ. რესპ-ისა და ყარაჩა-ჩერქეზეთის ავტ. რესპ-ის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბალყარულთა და ყარაჩაველთა ენა. მწერლობა დიწყო საბჭოთა ხელისუფლების ხანაში რუსული ანბანით.

11. კარაიმული ენა-ყირიმისა, უკრაინის და ლიტვის სოფლებში მცხოვრებ კარაიმთა ენა, უმწერლობა.

12. ბაშკირული ენა-ბაშკირეთის ავტ. რესპ-ის ენა, ოქტომბრამდე

უმწერლობო, დღეს ამ ენაზე არსებობს საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა—რუსული ანბანით.

13. შორიული ენა—ჩრდილო ალტაისა და შორიის მცხოვრებთა უმწერლობო ენა; სარგებლობს ხაკასური ან რუსული სამწერლობო ენით.

14. ყირგიზული ენა—ყირგიზეთის რესპ-ის სახელმწიფო და სალიტერატურო ენა. მწერლობის ენა შეიქმნა მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსული ანბანით.

15. ჩუვაშური ენა—ჩუვაშეთის ავტ. რესპ-ის ენა. მას ახასიათებს ფინურთან ნათესაობა. ჩუვაშურ ენაზე პირველი ჩანაწერები გვაქვს XVIII საუკ. პირველი ნახევრიდან. მწერლობა რუსული ანბანით.

16. ხაკასური ენა—ხაკასთა ავტონომიური ოლქის ენა. 1921 წლიდან დამუშავდა დამწერლობა რუსული ანბანის გამოყენებით.

17. თუვეიური ენა—თუვეის ავტ. რესპ-ის ენა (რსფსრ-ში), მწერლობა დიწყო საბჭოთა ხელისუფლების ხანაში—რუსული ანბანით.

18. ყარაგასული ენა—ირკუტსკის ოლქში მცხოვრებ ყარაგასთა ენა, მწერლობა განვითარდა საბჭოთა ხელისუფლების დროს.

19. ყარაყალფაქური ენა—ყარაყალფაქეთის ავტ. რესპ-ის ენა, ლიტერატურული ენა წარმოიქმნა საბჭოთა ხელისუფლების დროს.

20. იაკუტური ენა—იაკუტთა ავტ. რესპ-ის ენა (აღმოსავლეთ ციმბირში) მწერლობა 1922 წლიდან. რუსულ ანბანზე გადაყვანილი ენა 1939 წელს.

21. ახალუიგურული ენა—უიგურთა ენა, რომელიც წარმოადგენს უზბეკეთის, ყაზახეთის და ყირგიზეთის რესპ-თა უმცირესობის ენას. მწერლობა ყოფილ საბჭოთა კავშირის უიგურების რუსული ანბანით აქვთ (იხ. ძველი იუგურული ენა). ეს ენა ძირითადად ჩინეთის რესპუბლიკაშია გავრცელებული.

ბ) გ ა დ ა შ ე ნ ე ბ უ ლ ნ ი :

22. ორზონური ენა—ყოფილი ძლიერი სახელმწიფოს ენა ჩრდილოეთ ინდოეთში მდინარე ორზონზე VII-VIII საუკუნეებში. თავისებური რუნული წარწერები.

23. პაჭანიკური ენა—სამხრეთ რუსეთის სტეპების მომთაბარე ხალხის ენა IX-XI სს.

24. ყივჩაყური (ანუ ყუმანური—кыпчакский, половецкий, куманский) ენა—დიდ ტერიტორიაზე შუა აზიისა და შავი ზღვის ჩრდილო სტეპებში გავრცელებული მომთაბარეთა ენა XI-XIV საუკუნეებში, შემონახა ლათინურ-სპარსულ-ყუმანური ლექსიკონი („Codex Cumanicus“) XIII საუკუნის ბოლოს.

25. ძველი უიგურული ენა—ცენტრალური აზიის დიდი სახელმწიფოს ენა IX-XI საუკუნეებში, მწერლობა არამეული ანბანით.

26. ჩაგატაიური (ანუ ჯაგატაიური)—XIV-XVI საუკუნეებიდან შუა აზიის ენა, რომელმაც შეცვალა ყივჩაღური, მიადწია XX საუკუნემდე, საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიცვალა ადგილობრივი ეროვნული ენებით.

27. ვოლგისპირა ბულგარული ენა—VII-XIV საუკუნეების ბულგართა სამეფოს ენა მდინარე ვოლგასა და მდინარე კამაზე. ზოგიერთი შემორჩენილი ძეგლების ჩვენებით, საფუძველი დაედო ჩუკაშურს. ბულგარეთის სამხრეთის ნაწილი გადასახლდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ბულგარული ენა შეერია სლავურს, დღეს გვაქვს ბულგარული ენა.

28. ხაზარული ენა—მდ. ვოლგისა და დონის ქვემოწელის ტერიტორიაზე მდებარე დიდი სახელმწიფოს ენა VIII-X საუკუნეებში; ახლო იდგა ვოლგისპირა ბულგარულთან.

V. კავკასიური ენები

ამ სახელწოდებაში იგულისხმება კავკასიაში გავრცელებულ ენათა სამი ჯგუფი: ჩრილო-დასავლური კავკასიური ანუ აფსუურ-ადიღური, ჩრდილო-აღმოსავლური კავკასიური (ნახურ-დაღესტნური) და სამხრეთ კავკასიური (ქართველური) ჯგუფი. ნათესაობა მთის კავკასიურ და ქართველურ ენებს შორის დამტკიცებული არ არის.

აფსუურ-ადიღურ ენათა კბუფი

I. აფსუური ძვეჯგუფი:

1. აფსუური, რომელსაც აქვს ორი დიალექტი: ბზიფური (სოხუმის ჩრდ.-დასავლ.) და აბუური (სამხრ.-აღმოს.) მდინარე კოდორზე. მწერლობა დღეს— რუსული ანბანით.

2. აბაზური ენა—ორი დიალექტით (ტაპანთური და აშხარული) ჩერქეზთა ავტონომიურ ოლქში. მწერლობა რუსული ანბანით.

II. ჩერქეზული ძვეჯგუფი:

1. ადიღური (ანუ ჩერქეზული) ენა—(ქვემო და ზემო).

2. ყაბარდოული ენა.

3. უბიხური ენა—უბიხთა ტომის ენა 1864 წელს უბიხთა ტომი მთლიანად გადასახლდა თურქეთში. ამჟამად მასზე ლაპარაკობენ მხოლოდ მოხუცები თურქეთის ქალაქ იზმირის მიდამოებში.

ნახურ-დაღესტნურ ენათა ჯგუფი

I. ჩინური (პეინახური) ძვეჯგუფი

1. ჩინური ენა—ჩინეთ ინგუშეთის ავტ. რესპ-ში მცხოვრებ ჩინეთა ენა. სალიტერატურო ენა შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლებაში—რუსული ანბანით.

2. ინგუშური ენა—იქვე. მოსახლე ინგუშთა ენა. სალიტერატურო ენა დაბუჟდა საბჭოთა ხელისუფლებაში—რუსული ანბანით.

3. თუშური ენა (წოვა-თუშური; შეცდომით ამბობენ „ბაცური“)— მცირერიცხოვან თუშთა ენა კახეთში, სოფ. ზემო ალვანში. უმწერლობო.

4. ქისტური ენა—ახმეტის რაიონის პანკისის ხეობაში (კახეთში) მცხოვრებ მცირერიცხოვან ქისტთა ენა, უმწერლობო.

II. დაღესტნური ქვეჯგუფი

დაღესტნის ავტ. რესპ-ის ეს ჯგუფი იყოფა ოთხ ქვეჯგუფად:

1. ხუნძურ-ანდიურ-დიდოური, 2. დარგუული, 3. ლაკური, 4. ლეზგიური.

1. ხუნძურ-ანდიურ-დიდოური ქვეჯგუფი

1. ხუნძური (ანუ ავარული ენა) ყველაზე მეტად გავრცელებულია დაღესტანში, რომლის დასავლეთ ნაწილში იგი ურთიერთობის საშუალებაა. სამწერლობო ენა, აგებული ჩრდილო დაღესტნის დიალექტზე, განვითარდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ანბანი რუსულია.

2. ანდიური ენა—უმწერლობო მცირერიცხოვან ანდიელთა ენა.

3. დიდოური (ანუ ცეზური) ენა—უმწერლობო მცირერიცხოვან დიდოელთა ენა.

2. დარგუული ქვეჯგუფი

დარგუული ენა—რამდენიმე დიალექტის (ანშური, წუდახარული, კუბაჩური და ხაიდაკური) შემცველი მწერლობიანი ენა; ლიტერატურული ენა აგებულია ახშური დიალექტის საფუძველზე—რუსული ანბანით.

3. ლაკური ქვეჯგუფი

ლაკური ენა შეიცავს რამდენიმე დიალექტს, ერთმანეთისაგან ნაკლებად განსხვავებულს, ვიდრე სხვა ჯგუფებისა. მწერლობა შეიქმნა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ყუმუხური დიალექტის საფუძველზე—რუსული ანბანით;

4. ლეზგიური ქვეჯგუფი

1. ლეზგიური (კიურული) ენა—რამდენიმე დიალექტით: (ნაწილობრივ ჩრდილოეთ აზერბაიჯანში) მწერლობა რუსული ანბანით.

2. ტაბასარანული ენა—ჩრდილოური და სამხრული დიალექტებით; მწერლობა დაფუძნდა სამხრულ დიალექტებზე—ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსული ანბანით.

— 0 —

განხილული ხუთი მწერლობიანი ენის (ხუნძურის, დარგუულის, ლაკურის, ლეზგიურისა და ტაბასარანულის) გარდა დაღესტნურ ენათა ჯგუფში გვაქვს რამდენიმე უმწერლობო ენა, სახელდობრ:

1. არჩიული ენა დაღესტნის ჯგუფის ენა; იმყოფება დაღესტნის რესპ-ში.

2. ალულური ენა ლეზგიურთან ახლო მდგომი ენა დაღესტნის ავტ. რესპ-ში.

3. ახვანური ენა-ხუნძურის ჯგუფის ენა დასავლეთ დაღესტანში.
4. ბაგულალური ენა-ხუნძურის ჯგუფის ენა დასავლეთ დაღესტანში.
5. ბოთლიხური (ანუ ღოდობერული) ენა-ხუნძურის ჯგუფში შემავალი ენა.
6. ბუდუხური ენა- ლეზგიურთან ახლო მდგომი; გავრცელებულია აზერბაიჯანში.
7. კაპუჭური (ანუ ბეეიტური) ენა-ხუნძური ჯგუფის ენა.
8. კარატაული ენა (ორიოდე სოფელში)-ხუნძური ჯგუფის ენა.
9. კრიწული ენა-ლეზგიურთან ახლო მდგომი ენა; იმყოფება აზერბაიჯანის ერთ სოფელში.
10. კუბაჩური ენა-ითვლება დარგუელის დიალექტად. გავრცელებულია დაღესტნის რესპ-ის სოფ. კუბაჩში და ზოგ სხვ. სოფელში.
11. რუტულური ენა-ლეზგიურთან ახლო მდგომი ენა; დაღესტანშია და აზერბაიჯანის ორ სოფელში.
12. უდიური ენა-ლეზგიურთან ახლო მდგომი ენა; გავრცელებულია აზერბაიჯანის ორ სოფელში- ნიჯსა ვართამენში- და საქართველოს ერთ სოფელში-ოქტომბერში.
13. წახურული ენა-ლეზგიურთან ახლო მდგომი ენა; გავრცელებულია დაღესტანსა და აზერბაიჯანში.
14. ხინალუდური ენა-ლეზგიურთან ახლო მდგომი ენა; იმყოფება აზერბაიჯანში.

ქართველურ ენათა ჯგუფში

1. ქართული ენა-საქართველოს რესპ-ის სახელმწიფო და სალიტერატურო ენა. ქართული ენის დიალექტებია საქართველოში: ქართლური, კახური, მესხურ-ჯავახური, მთიულური, მონეური, თუშური, ფშაური, ხევსურული, გურული, აჭარული, იმერული, რაჭულ-ლეჩხუმური, საქართველოს ყოფილი სსრ-ის გარეთ: ინგილოური (ყოფილ აზერბაიჯანის სსრ-ში), იმერხეული (თურქეთში), ფერეიდნული (ირანში), მდიდარი მწერლობა IV-V საუკუნეებიდან როგორც ძველ, ისე საშუალო და ახალ ქართულ ენებზე; იხმარება სპეციფიკური ქართული ორ-resp. სამგვარი ანბანი ხუცური (ნუსხური და ასომთავრული) და მხედრული.
2. მეგრული ენა-სამეგრელოში გავრცელებული უმწერლობო ენა - ორი დიალექტის (სენაკურისა და ზუგდიდურ-სამურზაყანულის) შემცველი.
3. ჭანური (ანუ ლაზური) ენა-შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ჭანთა (ლაზთა) უმწერლობო ენა, რომელიც შეიცავს შემდეგ დიალექტებს: ხოფურს, ვიწურ არქაბულსა და ათინურს.
4. სვანური ენა-სვანეთის მოსახლეობის უმწერლობო ენა, რომელიც შეიცავს ოთხ დიალექტს; ბაღსზემოურს, ბაღსქვემოურს (ორივე ენგურის

ხეობაშია), ლაშხურს და ლენტეხურს (ეს ორი ცხენისწყლის ხეობაშია). განხილულთა გარდა, მსოფლიოში არის კიდევ რამდენიმე ოჯახი, რომელთა დაწვევრილებით განხილვას აქ არ ვთვლით საჭიროდ. დავასახელებთ მათ მხოლოდ ნომენკლატურულად (ზოგან ადგილმდებარეობის ჩვენებით).

VI. სამოდიურ (წინათ ეწოდებოდა სამოიედურ) ენათა ოჯახი

აერთიანებს ნენურს, ენურს, სვასანურსა და სელკუპურ ენათა ქვეჯგუფებს—არხანგელსკისა და ტომენის ოლქებსა და კრასნოიარსკის მხარეში.

VII. მონგოლურ ენათა ოჯახი

1. ხალხა-მონგოლური ენა—მონგოლთა სახალხო რესპუბლიკის ენა—მწერლობა რუსული ანბანით 1945 წლიდან (მანამდე მონგოლური ანბანით)—და აგრეთვე შიდა მონგოლიის (ჩინეთში) ძირითადი მოსახლეობის ენა.

2. ბურიატ-მონგოლური ენა—ბურიატ-მონგოლთა ავტ. რესპ-ის მოსახლეობის ენა, აგრეთვე მის გარეთაც.

3. ოირატული (ანუ კალმიკური) ენა—მონგოლიის ალტაის მთისწინეთებზე, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკაში, სსრკ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მცხოვრებ ოირატთა ენა.

VIII. ტუნბუსურ-მანჯურულ ენათა ოჯახი

კრასნოიარსკის მხარეში, ბურიატ-მონგოლეთის ავტ. რესპ-ში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ზოგ სხვა მხარეში გავრცელებული ენები.

1. ტუნბუსური ქვეჯგუფი:

1. ევენკიური (ტუნგუსური) ენა
2. ევენური (ანუ ლამუტური ენა)
3. ნეგიდალური ენა—ხაბაროვსკის მხარეში.

2. მანჯურული ქვეჯგუფი:

1. მანჯურული ენა—ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. მწერლობა XII საუკუნიდან მონგოლური გრაფიკით.

2. ნანაიური ენა—ხაბაროვსკის მხარის ნანაისკის, კომსომოლსკისა და კურ-ურმიისკის რაიონებში, მწერლობიანი ენა.

3. უდეგური ენა—ხაბაროვსკის მხარეში.

4. ულჩური ენა—ამურის ქვედა წელში ხაბაროვსკის მხარეში.

5. ოროჩული ენა—ხაბაროვსკის მხარეში

(ზოგი მეცნიერი თურქულ, მონგოლურ, ტუნგუსურ-მანჯურულ; ენებს თვლის ალტაურ ენათა ოჯახის ენებად).

IX. ჩინურ-ტიბეტურ ენათა ოჯახი

თაი-ჩინური ჯგუფი:

1. თაიური ენა—თაი ხალხის (ანუ სიამელთა) ეროვნული ენა; თაიური ენებია თაილანდისა, ლაოსისა, ვიეტნამისა, ბირმისა და ზოგ სხვა ქვეყნებში.

2. ჩინური ენა—მასზე მოლაპარაკეთა რიცხვით მსოფლიოში პირველი ენა, მრავალი დიალექტის მქონე; სალიტერატურო ენა შექმნილია ჩრდილოურ დიალექტზე, მდიდარია ძველი წერილობითი ძეგლებით (XV საუკუნიდან ძვ. წ.) დღევანდელ სალიტერატურო ენას ეწოდება პუნთხუა (XX საუკ. 50-იან წლებიდან).

3. დუნდგანური ენა—საბჭოთა კავშირში ჩინეთიდან გადმოსახლებულ დუნგანთა მწერლობიანი ენა.

4. ლაოსური ენა—ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის პატეტ-ლაო ქვეყნის სახელმწიფო ენა, ძველმწერლობიანი (XIII საუკუნიდან).

5. ვიეტნამური ენა—ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ენა.

6. ჩუენური ენა—ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში.

ტიბეტურ ბირმული ჯგუფი

1. ტიბეტური ენა—ტიბეტის რამდენიმე ენიდან გამოირჩევა მდიდარი მწერლობიანი (VI საუკუნიდან ახ. წ.) ენა, რომელზეც ლაპარაკობენ ტიბეტში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ჩამლოსა (ჩანდუ-ში) და ზოგ სხვა მხარეში.

2. ბირმული ენა—ბირმასა და ინდოჩინეთში.

X დრავიდული ენები

ინდოსტანის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში და ზოგან შიგნითაც მცხოვრებ დრავინთა ენა.

1. ტამილური ენა—ტამილთა ენა ინდოსტანის ბოლო ნაწილში.

2. ტელუგუ (ანუ ანდჰრა) ენა—ტელუგუ ხალხის ენა სამხრეთ ინდოეთში.

3. მაღაიალამური ენა—ტამილურთან ახლო მდგომი ენა.

4. კანნარული ენა—სამხრეთ ინდოეთის (მისურის შტატში) ენა.

5. ტულუ ენა—სამხრეთ ინდოეთის (მადრასის შტატში) ერთ-ერთი ენა.

6. გონდიური ენა—სამხრეთ ინდოეთში.

7. ბრაჰუი ენა—ერთადერთი დრავიდული ენა სამხრეთ ინდოეთის გარეთ; პაკისტანის პროვინციებში—ბელუჯისტანსა და სინდში.

XI. მუნღა ენათა ოჯახი

I. ძველმწერლობიანი ენათა ჯგუფი:

ამ ჯგუფში შედიან:

1. სანტალი
2. მუნდარი
3. ხო ენა და ზოგი სხვაც.

2. ქვეყნის ენათა ჯგუფი

ამ ჯგუფში შედიან:

1. მონ ენები (ბირმაში, პატეტ-ლაოში, ვიეტნამში...).
2. ქმერ ენები და
3. ჩამ ენები (ვიეტნამში).
4. მალაკური ენები—სემანგური, სენოიური—მალაკის ნახევარკუნძულზე და სუმატრა კუნძულზე.

XII. მალაიურ-პოლინეზიურ ენათა ოჯახი

მალაიური ანუ ინდონეზიური ჯგუფი

1. სუმატრის ქვეჯგუფი:

- 1) მალაიური ანუ ინდონეზიური ენა—ინდონეზიის სახელმწიფო ენა.
- 2) ბატაკური ენა—ჩრდილოეთ სუმატრაზე; ძველმწერლობიანი.
- 3) აჩე ენა.

2. იავის ქვეჯგუფი:

- 1) იავური ენა—ძველმწერლობიანი (VIII საუკუნიდან ახ. წ. აღ.) ენა.

2) სუნდა ენა—იავა კუნძულზე დასავლეთით.

3) მადურა ენა—იავურთან ახლო მდგომი ენა.

3. ღაიაკური ქვეჯგუფი:

ღაიაკური ენა—უმწერლობო ენა.

4. ცელებესის ქვეჯგუფი:

- 1) ტარაჯული ენა;
- 2) ბუგიური ანუ (ბუგინეზური) ენა;
- 3) მინახასური ენა.

5. ფილიპინების ენათა ქვეჯგუფი:

- 1) ტაგალური (ტაგალოგური) ენა—ფილიპინების ოფიციალური ენა.
- 2) ილოკიური ენა.

6. მაღაბასკარი:

მაღაგაშური ენა—მადაგასკარის მკვიდრთა ენა. გადაშენებული კაცი ენა—ძველი იავური სალიტერატურო ენა (IX საუკუნიდან ახ. წ. აღ.), რომელიც ჩამოყალიბდა სანსკრიტის გავლენით.

პოლინეზიური ჯგუფი

1. აღმოსავლური:

- 1) მაორი ენა.
- 2) ჰავაი ენა.

2. დასავლური:

- 1) სამოა ენა
- 2) უპეა ენა

XIII. კალეოაზიური ენები

ამ სახელწოდებით ცნობილია ურთიერთანამონათესავე სამი ჯგუფი ენათა: ჩუკჩი, ესკიმო და კეტთა (ენისეის ოსტიაკთა). სახელწოდება პირობითია და არა გენეზისურ-ლინგვისტური:

1. ჩუკჩური ჯგუფი

ჩუკჩების ეროვნული ოლქის მკვიდრთა მეტყველება:

- 1) საკუთრივ ჩუკჩური (ანუ ლუორავეტლანური) ენა.
- 2) კორიაკული (ანუ ნიმილანული) ენა—კორიაკთა ეროვნული ოკრუგის მკვიდრთა ენა.
- 3) იტელმური (ანუ კამჩადალური) ენა—კორიაკთა ეროვნულ ოლქში.

2. ციმბირის ენათა ჯგუფი:

- 1) იუკაგირთა (ანუ ოდულთა) ენა—იაკუტიის ავტ. რესპ.-ში.
- 2) ნივხთა (უმართებულა „გილაკთა“) ენა—მდ. ამურის ქვემო წელზე (ხაბაროვსკის მხარეში) და კუნძულ სახალინზე.

3. ესკიმოსური ჯგუფი:

პირობითად აღეუტურთან ერთად ეწოდება მას პალეოაზიური; გავრცელებულია ამერიკის არქტიკულ სანაპიროსა და ყოფილ სსრკ-ში ჩუკჩების ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროზე.

- 1) საკუთრივ ესკიმოსური ენა.
- 2) აღეუტური (ანუ უნანგანური) ენა—აღეუტის კუნძულებზე (აშშ-ში) და ყოფილ სსრკ-ში კომანდორის კუნძულებზე
- 3) კენტთა (ანუ ენისეის ოსტიაკთა) ენა—კრასნოიარსკის მხარეში.

XIV. ავსტრალიის ენები

მრავალი მცირე-მცირე ენები, - გადაშენების გზაზე მდგარნი და ნაკლებად შესწავლილნი (ეოროსო ენა, ბუადიკ ენა და სხვ.). შედარებით მეტადაა შესწავლილი არანტა ენა.

XV. პაპუა ენები

ახალი გვინეის და მელანეზიის სხვა კუნძულების რამდენიმე ასეული ენა, ყველა უმწერლობა და ნაკლებად შესწავლილი. ნათესაური ურთიერთობა სხვა ენებთან არაა დადგენილი.

XVI აფრიკის მკვიდრთა ენები

ბანტუ ენები—ცენტრალური და სამხრეთ აფრიკის მკვიდრთა მრავალრიცხოვანი ენები, გრამატიკულად საკმაოდ მსგავსნი. დავასახელებთ რამდენიმე ჯგუფს:

1. ბანტუს დასავლური ჯგუფი:

1. ბალუნდა ენა—დასავლეთ კონგოში
2. პანგვე (ფანგ) ენა და სხვ.

2. ბანტუს ცენტრალური ჯგუფი:

ლუბა ენა—ბალუბა ენა და სხვ.

3. ბანტუს აღმოსავლური ჯგუფი:

სუაჰელი ენა—აფრიკის აღმოსავლეთ ნაპირზე, ინგლისის კოლონიათა ოფიციალური ენა, მას საფუძვლად უდევს ზანზიბარის დიალექტი, რომელიც მიღებულია სალიტერატურო ენად.

4. სამხრემი-აღმოსავლური ჯგუფი:

1) ზულუ (ზულუსური) ენა—ზულულენდის მკვიდრთა და პროვინცია ნატალის მოსახლეობის ენა.

2) კოსა ენა—ზულუა ენასთან ახლო მდგომი ენა.

სუფთა ბანტუ ენებს გარდა აფრიკაში არის ენათა რიგი, რომლებიც წააგვანან მათ ზოგიერთი ნიშან-თვისებით, მათ ეძახიან ბანტუიდურ ენებს. ასეთების, მაგალითად:

1) მოსი ენა—მოსი ხალხის დასავლეთ სუდანში საკმაოდ გავრცელებული ენა.

2) ფულ ენა—ფულბე ხალხის დასავლეთ სუდანში გავრცელებული ენა.

3) ვოლოფ ენა—დასავლეთ აფრიკაში სენეგალის ხალხის ენა და სხვა.

მანდე ენათა ჯგუფი

1) მანდინგო ენა—მანდინგო ხალხის ენა დასავლეთ სუდანში;

2) მალინკე ენა და სხვ.

ბვინეის ენები:

1) კრუ ენა— დასავლეთ აფრიკის ენა

2) იბო ენა—საკმაოდ მარავალრიცხოვანი ხალხის ენა სამხრ.-აღმოსავლეთ ნიგერიაში.

3) იორუბა ენა— ძველი კულტურის მქონე ხალხის ენა დასავლეთ სუდანში და სხვ.

სონღაი ენათა ჯგუფი:

1) სონღაი ენა— მდინარე ნიგერის შუაწელზე მოსახლე ხალხის ენა, რომლის დიალექტებად ითვლება:

2) ჯერმა ენა

3) დენდი ენა და სხვ.

ცენტრალური სუდანის ენები

1) კანური ენა—ნიგერიის პროვინცია ბორდუში გავრცელებული ენა.

2) კანემბუ ენა და სხვ.

კორდოფანის ენები:

აღმოსავლურ სუდანის მცხოვრებთა ენები.

ნილოსური ენები:

1) ნუერთა (ანუ ნუერ) ენა—აღმოსავლეთ სუდანის ერთ-ერთი ენა.

2) შილლუკ ენა სუდანის სამხრეთ ნაწილში.

3) ბარი ენა— ბარი ხალხის ენა სამხრეთ სუდანში და სხვ.

XVII კალემოაფრიკაშლი ენები.

ასე ეწოდება პირობითად ბუშმენურსა და პოტტენტოტურს (თვითონ ბუშმენები ეძახიან თავის ენას სან-ს, ხოლო პოტტენტოტები თავის ენას—ნამა-ს)

1) ბუშმენური ენები—გავრცელებულია ანგოლაში (სამხრეთ აფრიკაში).

2) პოტტენტოტური ენები—გავრცელებულია კალაჰარიში (სამხრ-დასავლეთაფრიკაში). ამ ენების მატარებელი ხალხები თავის თავს ეძახიან კოი-კონ „ხალხთა ხალხი“, ე.ი. ნამდვილი ხალხი.

XVIII ჩრდილოეთ ამერიკის ენები

1) ალგონკინური ენა—ალგონკინთა ენა, უმეტესად აშშ-სა და კანადაში.

2) იროკეზული ენა —იროკეზთა ენა, უმეტესად აშშ-სა და კანადაში.

3) სიუ-ენა — სიუ ტომთა ენა, უმეტესად აშშ-ში, აგრეთვე კანადაში.

4) ათაპასკური (ანუ ათაბასკური) ენა —ათაპასკთა (ათაბასკთა) ენა აშშ-სა და კანადაში და სხვ.

XIX ცენტრალური ამერიკის ენები.

1) ალგონკინური ენა—ალგონკინთა ენა, უმეტესად სამხრ.-დასავლეთში იუტო-აცტეკთა ენა

2) მაია ენები —ორმილიონიანი ხალხების ენა, რომელთაც შექმნეს საკუთარი დამწერლობა და ძალადი კულტურა ევროპელთა იქ მისვლამდე.

XX სამხრეთი ამერიკის ენები

1) ტუპი-გუარანი ენები — ამვე სახელწოდების ტომთა ენები პარაგვაიში, აღმოსავლეთ ბრაზილიაში და სხვ.

2) კეჩუა ენა — ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხის კეჩუას ენა პერუაში, ბოლივიაში, ჩილესა და არგენტინაში.

3) არავაკთა ენები — პერუსა, კოლუმბიასა, ბრაზილიასა და ვენესუელაში გავრცელებული ენები.

4) არაუკანთა ენა — ჩილესა და არგენტინაში გავრცელებული ენა.

XXI ბანცალკემებული (ე. ი. ცნობილი ჯგუფების ბარემე არსებული) ენები

1. ბასკური ენა (ადგილობრივ უწოდებენ ეუსკარა), ბასკთა ენა ესპანეთსა და საფრანგეთში. ზოგიერთი მეცნიერების აზრით, ენათესავება კავკასიურ ენებს, კერძოდ — ქართველურს.

2. იაპონური ენა — იაპონიის სახელმწიფო-ეროვნული ენა.

3. კორეული ენა—კორეის ხალხის ეროვნული ენა, მასზე ლაპარაკობენ კორეის გარეთაც; ჩინეთში, სსრკ-ში, იაპონიაში და აშშ-ში.

4. აინური ენა — აინუ ხალხის ენა იაპონიაში კუნძულ

§2. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება

ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება დიაქრონიული ენათმეცნიერებაა, რომელიც, როგორც ეს ზემოთაც ვნახეთ (იხ. თავი 1, §6), ენათა ისტორიას იკვლევს ორგვერად:

1) დროის მოძრაობის მიმართულებით, ე.ი. ისტორიიდან თანამედროვეობისაკენ. ამგვარ დიაქრონიულ კვლევას ეწოდება პროსპექტული (ლათ. prospectus „წინ ყურება, ცქერა“). პროსპექტული კვლევის დროს ერთი და იმავე ენის ორ ან მეტ სინქრონიულ მდგომარეობას ერთმანეთს უდარებენ და ამ გზით არაკვევენ მოცემული ენის განვითარების ისტორიას. ასე, მაგალითად, ძველ ქართულში საკუთარ სახელს არ ჰქონდა სახელობითი და მოთხრობითი. წინადადებაში „აბრაამ შვა ისააკ“ სუბიექტი მოთხრობითში კი არ დგას, როგორც ეს თანამედროვე ქართულში გვაქვს (შდრ. აბრაამმა შვა ისააკი), არამედ წრფელობითში. ასევე წრფელობითში დგას პირდაპირი ობიექტიც და არა სახელობითში. ერთი სიტყვით, ძველ ქართულში საკუთარი სახელი სახელობით და მოთხრობით ბრუნვებს ვერ განასხვავებს. შემდეგში საზოგადო სახელების ანალოგიით სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვები განუვითარდა საკუთარ სახელსაც. ერთი სინქრონიული მდგომარეობიდან (ძველი ქართული) მეორე სინქრონიულ მდგომარეობაში გადასვლა (საშუალი ქართული) წარმოადგენს დიაქრონიას.

პროსპექტული დიაქრონიული ენათმეცნიერება იკვლევს იმას, თუ როგორ, რა წესების მიხედვით გადადის ენის ერთი სინქრონიული მდგომარეობა მეორე სინქრონიულ მდგომარეობაში (ძველი ქართული → საშუალი ქართული). თუ ეს წესები გარკვეულია, მაშინ ენის ისტორიაც გამოკვლეულად შეიძლება ჩაითვალოს.

მაგრამ პროსპექტული დიაქრონიული ენათმეცნიერებისათვის დამახასიათებელია გარკვეული შეზღუდვა: ამ თვალსაზრისით შეიძლება ვიკვლიოთ მხოლოდ ხანგრძლივი სალიტერატურო ტრადიციების მქონე ენები, როგორიცაა: ქართული, ლათინური, ბერძნული, სანსკრიტი და სხვ. მაგრამ ამავე თვალსაზრისით ვერ ვიკვლევთ უმწერლობო (მეგრული, სვანური და სხვ.) ან ისეთ ენებს, რომელთაც ახლადშექმნილი დამწერლობა აქვთ (აფსუური, ხუნძური, ლაკური და სხვ.). ჩვენ ვიცით, მაგალითად, თუ როგორი იყო მე-12 ს-ის ქართული, რადგანაც შემორჩენილი გვაქვს გარკვეული ტექსტები (საკმარისია თუნდაც „ვეფხისტყაოსნის“ დასახელება), მაგრამ არ ვიცით, თუ როგორი იყო ამჟამად ს-ის მეგრული ან სვანური, არ ვიცით იმიტომ, რომ ეს ენები დოკუმენტურად (წერილობით) დადასტურებული არ არიან არა თუ

მე-12, არამედ, ვთქვათ, მე-17 ს-შიც კი. ერთი სიტყვით, პროსპექტული დაქრონიული კვლევა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ენებისა, რომლებსაც მწიგნობრობის ხანგრძლივი ტრადიციები აქვთ. ასეთი ენები კი შედარებით მცირეა. ენათა დიდი უმრავლესობა ან უმწერლობა, ანდა დამწერლობა ახლად აქვთ შექმნილი.

2) სხვაგვარია რეტროსპექტული (ლათ. retrospectare „უკან ყურება, ცქერა“) დაქრონიული ენათმეცნიერება, რომელიც დროის საწინააღმდეგო მიმართულებით იკვლევს ენებს. ესაა ენათა კვლევა თანამედროვეობიდან ისტორიისაკენ იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება ღრმად შევიჭრათ ენათა განვითარების ისტორიაში.

რეტროსპექტული დაქრონიული ენათმეცნიერების ძირითადი მეთოდია ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. ეს მეთოდი კლასიკური ლინგვისტური მეთოდია. მისი ფუძემდებელია გამოჩენილი გერმანელი ენათმეცნიერი ფრანც ბოპი. 1816 წ. ფ. ბოპმა გამოსცა ნაშრომი, რომელმაც სათავე დაუდო ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას, რადგანაც ამ ნაშრომში პირველად იქნა გამოყენებული ისტორიულ-შედარებითი მეთოდი.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი გამოიყენება მხოლოდ მონათესავე ენების მიმართ. მონათესავე ისეთი ენები, რომლებიც ერთი საერთო წინაპარი ენიდან არიან წარმოშობილი. ამგვარ წინაპარ ენებს ფუძე-ენა ეწოდება. ქართული, მეგრული, ჭანური და სვანური მონათესავე ენებია იმიტომ, რომ ისინი ერთი ფუძე-ენიდანაა მიღებული. ეს ფუძე-ენა, რომელსაც ჩვენ პირობითად ქართველურ ენას ვუწოდებთ, დღეისათვის ცოცხალი აღარაა, იგი არც ისტორიულადაა დადასტურებული, რადგანაც იმ დროს, როდესაც ქართველური ენა არსებობდა (IV-III ათასწლეულები ჩვენს ერამდე), დამწერლობა ჯერ კიდევ არ იყო. ასევე არაა დოკუმენტურად დადასტურებული ინდოევროპული ენაც, ე.ი. ის ფუძე-ენა, რომლისგანაც არიან წარმოშობილი სანსკრიტი, ძვ. სპარსული, ძვ. ბერძნული, ხეთური, ლათინური, სომხური, გოთური, ძვ. სლავური, ტოქარული და სხვ. ინდოევროპული ენა, როგორც ჩანს, არსებობდა V-VI ათასწლეულებამდე ძველი წელთაღრიცხვით, შემდეგში კი მისგან თანდათანობით განვითარდა აქვე დასახელებული ენები.

მონათესავე ენების შედარება ხდება გარკვეული მიზნით. ესაა ამ ენების ისტორიის გარკვევა და ამ საფუძველზე ფუძე-ენის აღდგენა (რეკონსტრუქცია). ქართველური ენების ურთიერთშედარების გზით ჩვენ საშუალება გვქვია აღვადგინოთ ქართველური ენა, ინდოევროპული ენების ერთმანეთთან შედარების გზით აღდგება ინდოევროპული ენა და ა.შ.

როდესაც ვამბობთ, რომ მონათესავე ენების ურთიერთშედარების მიზანია მათი ისტორიის გარკვევა, ეს ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ

შედარების გზით შეიძლება გაირკვეს, თუ რა არის არქაული ამ ენებში, რა მომდინარეობს ფუძე-ენიდან და რა წარმოადგენს სიახლეს (ინოვაციას). ის მასალა, რომელიც მონათესავე ენებში ფუძე-ენიდან მოდის, ამჟღავნებს კანონზომიერ შეფარდებებს როგორც ფონოლოგიური, ისე გრამატიკული და სემანტიკური თვალსაზრისით. მაგრამ ენათა შედარების დროს საფუძველთა საფუძველია კანონზომიერი ფარდობები ფონოლოგიის დონეზე, რაც ბგერათშესატყვისობების სახელით არის ცნობილი.

ქართ. ა ხმოვანს მეგრულსა და ჭანურში, როგორც უკვე აღნიშნული იყო (იხ. თავი III გვ. 7. 10.), შესატყვისება ო. ეს შეფარდება გამოიყვანება ქართველური ფუძე-ენიდან მომდინარე გარკვეული სიტყვების ანალიზის შედეგად:

ქართ:	მეგრ:
კაცი	კოჩი
ასი	ოში
ქათამი	ქოთომი
ასული	ოსური
ხარი	ხოჯი

შესატყვისობები დასტურდება არა მარტო ხმოვნებში, არამედ თანხმოვნებშიც: ქართ. ც-მეგრ ჩ.

ქართ.	მეგრულ.
ოცი	ეჩი
ცოცვა	ჩოჩუა
ცხონება	ჩხონაფა
ცხელი	ჩხე
ხუცესი	უჩაში

ბგერათშესატყვისებების საკითხი მონათესავე ენებში არ წყდება ისე მარტივად, როგორც აქ წარმოდგენილი სქემების მიხედვით ჩანს. თვითონ ეს სქემებიც გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს. საქმე ისაა, რომ ქართულის ა ხმოვანს მეგრულ-ჭანურში ყოველთვის არ შესატყვისება ო ხმოვანი. ზოგჯერ ქართული ა-ს შესატყვისად ამ ენებში უ ხმოვანი გვაქვს, ზოგჯერ კიდევ ისევ ა.

ქართ.	მეგრ.
ა	უ
სამი	სუმი
დათვი	თუნთი
მამალი	მუმული
ა	ა
ძმა	ჯიმა/ჯუმა

ხმა	ხუმა
ლა*	ლა
სმა	შუმა

როგორც ვხედავთ, ქართ. ა ხმოვანს მეგრულსა და ჭანურში სამი სხვადასხვა შესატყვისი აღმოაჩნდა: ო, ა, უ. რომელი ხმოვანი უნდა აღდგეს ქართველურ ენაში? რომელი მათგანი ასახავს არქაულ მდგომარეობას? უფრო ზუსტად, ქართ. ა ხმოვანია შეცვლილი მეგრულსა და ჭანურში, თუ, პირიქით, ქართულში მოხდა მოცემული სამი ხმოვნის შერწყმა ერთ ხმოვანში? იმის მიხედვით, თუ როგორი პასუხი გაეცემა ამ კითხვებზე, სხვადასხვა იქნება ქართველურ ფუძე-ენაში აღდგენილი ფორმებიც. თუ გაირკვევა, რომ ქართულშია დაცული არქაული მდგომარეობა, მაშინ ქართველურ ფუძე-ენაში უნდა აღვადგინოთ *სამი, *მამა, *მამალი და ა.შ. ფორმები. მაგრამ თუ გაირკვევა, რომ მეგრულ-ჭანურს აქვს დაცული არქაული მდგომარეობა, მაშინ ქართველურ ფუძე-ენაში უნდა აღდგეს *სომი(→სუმი), *მომა(→მუმა), *მომოლი(→მუმული) და ა.შ. ფორმები.

მაგრამ იქნება არქაული მდგომარეობა არც ქართულშია დაცული და არც მეგრულ-ჭანურში? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართველური ფუძე-ენა არ ემთხვევა არც ქართულს, არც მეგრულ-ჭანურსა და არც სვანურს. სწორედ ეს თვალსაზრისია მისაღები. როგორც ირკვევა, ფუძე-ენა არ შეიძლება დაემთხვეს რომელიმე ისტორიულად დადასტურებულ ენას. სხვადასხვა მონათესავე ენაში მეტ-ნაკლებად დაცულია ფუძე-ენიდან მომდინარე მასალა, ერთი ენა შეიძლება დაემთხვეს რომელიმე ისტორიულად დადასტურებულ ენას. სხვადასხვა მონათესავე ენაში მეტ-ნაკლებად დაცულია ფუძე-ენიდან მომდინარე მასალა, ერთი ენა შეიძლება უფრო ახლოს იდგეს ფუძე-ენასთან, ვიდრე მეორე, მაგრამ არც ერთი ისტორიულად დადასტურებული ენა არ შეიძლება დაემთხვეს ფუძე-ენას. ძვ. ქართული უფრო ახლოს დგას ქართველურ ფუძე-ენასთან, ვიდრე მეგრული ან ჭანური, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ძვ. ქართული იყოს ქართველური ენების ფუძე-ენა, ე.ი. ქართველური ენები (ქართული, მეგრული, ჭანური, სვანური) მომდინარეობდეს ძვ. ქართულისგან. თავის დროზე ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში ფუძე-ენად მიაჩნდათ სანსკრიტი, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ისტორიულ-შეღარებითი ენათმეცნიერების განვითარების პირველ ეტაპზე (მე-19

*შეღარება გულისხმობს არა მარტო განსხვავებას, როგორც ეს ზოგჯერ ჰგონიათ. არამედ შხვაგვარსაც. ამიტომ მეგრ. „ლა“ ისევე შესატყვისია ქართ. „ლა“ სიტყვისა, როგორც მეგრ. „ჯიმა“ - ქართ. „ძმა“ სიტყვისა.

საკუნიის პირველი ნახევარი). შემდეგში გაირკვა, რომ სანსკრიტიკ საკმარისად არის დაცლებული ინდოევროპული ფუძე-ენიდან და ამიტომ იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ინდოევროპულ ფუძე-ენად.

დავუბრუნდეთ ისევ ა ხმოვნის შესატყვისებს მეგრულსა და ჭანურში. თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ მეგრულსა და ჭანურს აქვს დაცული არქაული ვითარება და ამიტომ ქართ. ა მოდის მეგრულ-ჭანური ო-საგან, მაშინ ბევრი რამ აუხსნელი დარჩება. თუ პირიქით დავუშვებთ, მაშინ თითქმის ყველაფერი აიხსნება, რადგანაც ირკვევა, რომ ქართ. ა-ს შესატყვისად უ და ა ხმოვნების არსებობას დისტრიბუციული საფუძველი აქვს. საქმე ისაა, რომ ქართ. ა-ს შესატყვისად მეგრულსა და ჭანურში უ გვაქვს იმ პოზიციებში, სადაც ქართ. ა-ს მეზობლად (მომდევნო პიზიციაში) ბაგისმიერი თანხმოვნები გვაქვს (შდრ. სამი, დათვი, მამალი, მამა და სხვ.—სუმი, თუნთი, მუმული, მუმა და სხვ.). ცვლილების მექანიზმი ამ შემთხვევაში ნათელია: სახეზეა ასიმილაცია, რომლის მიხედვითაც ბაგისმიერი თანხმოვნები, როგორც მაქსიმალურად ვიწრო ბგერები, იმსგავსებენ ბაგისმიერ ო ხმოვანს, რომელიც ანალოგიურ თანხმოვნებთან შედარებით უფრო ფართოა, ვიდრე უ. ამგვარი ლაბი-ალური დავიწროების შედეგად მოსალოდნელი და ალბათ ადრე მეგრულსა და ჭანურში არსებული ო-ს ნაცვლად დღეისათვის გვაქვს უ.

ამრიგად, სიტყვის თავსა და სიტყვის შიგნით ქართული ა ხმოვნის შესატყვისად მეგრულსა და ჭანურში ყოველთვის უნდა გვქონოდა ო (კაცი-კოჩი, მამალი-*მომოლი), მაგრამ ბაგისმიერი თანხმოვნების წინა პოზიციაში ო ხმოვანი დავიწროვდა და მისგან მივიღეთ უ. ამიტომ, ვთქვათ, „კოჩი“ სიტყვა მეგრულსა და ჭანურში არ შეიცვალა, ხოლო სავარაუდოდ „*მომოლი“ სიტყვამ 'მუმული' მოგვცა, რის შედეგადაც ქართ. ა ხმოვნის შესატყვისად ამ ენებში ორი სხვადასხვა ხმოვანი აღმოჩნდა.

ახლა რაც შეეხება სიტყვის ბოლოს. ამ პოზიციაში მეგრულსა და ჭანურში ქართ. ა-ს შესატყვისად ისევ ა გვაქვს (შდრ. ჯიმა, ხუმა, და, შუმა და სხვ). როგორც ვხედავთ, ქართ. ა-ს შესატყვისად მეგრულსა და ჭანურში ა გვაქვს მხოლოდ სიტყვის ბოლოში. ერთი შეხედვით ეს წესი თითქოს ირღვევა, რადგანაც მოსალოდნელი ა-ს ნაცვლად ჭანურსა და მეგრულში ზოგჯერ ო გვაქვს, ე. ი. ისეთი ხმოვანი, რომელიც ქართული ა-ს შესატყვისად მხოლოდ ანლაუტსა და ინლაუტში გვხვდება. ეს სიტყვებია:

ქართ:	მეგრ:
რვა	რუო/ბრუო
ცხრა	ჩხორო
და	დო

საინტერესოა, რომ არსებითი სახელი და „сестра“ მეგრულსა და ჭანურში ამავე „და“ ფორმით არის წარმოდგენილი, ხოლო კავშირი „და“ იძლევა „დო“-ს (მდრ. ბჟა დო თუთა „მზე და მთვარე“). მაგრამ, როგორც ჩანს, მოცემულ სიტყვებში ა იმყოფება არა სიტყვის ბოლოში (აუსლაუტი), არამედ სიტყვის შიგნით (ინლაუტი). საქმე ისაა, რომ რიცხვითი სახელები, როგორც წესი, არსებით სახელებთან ერთად იხმარება (ცხრა თუმანი, რვა ამხანაგი და სხვ.). ამიტომ ფონეტიკური თვალსაზრისით რიცხვითი სახელი არსებით სახელთან ერთად ერთ სიტყვას ქმნის ერთი მახვილით. ჩვენ წარმოვთქვამთ არა „რვა მანეთი“ ან „ცხრა მანეთი“, არამედ „რვა მანეთი“ ან „ცხრა მანეთი“, თითქოს ეს ფრაზები ერთი სიტყვა იყოს. განსაკუთრებით ეს ითქმის „და“ კავშირის შესახებ, ვთქვათ, ფრაზაში „მზე და მთვარე“. კავშირი „და“ აერთებს რა ორ სიტყვას, წარმოქმნის ერთ ფონეტიკურ ერთეულს, ერთი მახვილით [მზე და მთვარე]. ამიტომ „და“ კავშირის ა სიტყვის ბოლოში კი არ იმყოფება, არამედ სიტყვის შიგნით. ერთი სიტყვით, რადგანაც რვა და ცხრა რიცხვითი სახელები და „და“ კავშირი ცალკე არ იხმარებიან, ამიტომ ამ სიტყვების ა ხმოვანი წარმოდგენილია არა სიტყვის ბოლოში, არამედ სიტყვის შიგნით, სადაც მას მეგრულსა და ჭანურში კანონზომიერად უნდა მოეცა ო და იძლევა კიდევ ამ ხმოვანს.

ამრიგად, თუ ჩვენ დაეუშვებთ იმას, რომ ამოსავალი მდგომარეობა მოცემულ შემთხვევაში ქართულს აქვს შემონახული, მაშინ ადვილად აიხსნება, თუ რატომა გვაქვს ზოგჯერ მეგრულსა და ჭანურში მოსალოდნელი ო-ს ნაცვლად უ ან ისევ ა.

მაგრამ ნათქვამი არ ნიშნავს იმას, რომ ქართულს ყოველთვის არქაული მდგომარეობა ჰქონდეს შემონახული მეგრულ-ჭანურთან მიმართებაში. სხვა შემთხვევაში შეასაძლებელია ამოსავალი მდგომარეობა დაცული აღმოჩნდეს მეგრულსა და ჭანურში. ასე, მაგალითად, როგორც ეს უკვე იყო აღნიშნული, ქართ. ც-ს მეგრულსა და ჭანურში ჩ შეესატყვისება. ამიტომ ბგერათშესატყვისობათა წესების მიხედვით ქართ. „ციხე“ სიტყვას მეგრულსა და ჭანურში *„ჩიხა“ (ქართ. ე-ს ამ ენებში ა შეესატყვისება) უნდა შეესატყვისებოდეს. მაგრამ გვაქვს „ჯიხა“, რომელიც ქართულში *„ძიხე“ ფორმას ვარაუდობს შესატყვისად. როგორც ჩანს ამ სიტყვაში ქართულში დისტანციური ასიმილაცია მოხდა, რის შედეგადაც მუღერი ძ ყრუ ხ-ს გავლენით დაყრუვდა და ც მოგვცა. მაგრამ მეგრულსა და ჭანურზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება მოცემულ სიტყვაში მუღერის აღდგენა, რაც ნიშნავს იმას, რომ მუღერობა-სიყრუის თვალსაზრისით ამოსავალი მდგომარეობა ამ შემთხვევაში მეგრულსა და ჭანურშია დაცული.

განხილული შესატყვისობები გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის

იმის შესახებ, თუ რამდენად სერუპულიოზურ კვლევას მოითხოვს ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება. საქმეს ართულებს ისიც, რომ საკმარისი არ არის შესატყვისობების გამოვლენა ცალკეულ ფონემებს შორის. ჩვენ მხოლოდ ერთი ხმოვანი და ერთი თანხმოვანი განვიხილეთ, რაც, რა თქმა უნდა, არასრულია. აუცილებელია შესატყვისობების დადგენა არა მარტო ცალკეული ფონემების, არამედ მთელი სისტემების დონეზე. აუცილებელია, ვთქვათ, იმის გარკვევა, თუ რა შესატყვისობები აქვს ქართული ენის ხმოვნებს მეგრულსა და ჭანურში, ასეთივე შესატყვისობები უნდა დადგინდეს თანხმოვნებშიც, იქნება ეს ხშულთა, ნაპარალოვანთა თუ სონორთა სისიტემები. გარდა ამისა, უნდა გაირკვეს, თუ რა ფონეტიკური წესებია გათვალისწინებული შესატყვისობების დადგენისას, ე.ი. რა იწვევს ამა თუ იმ ბგერის ცვლილებას მოცემულ პოზიციებში და ა.შ.

ენათა ისტორიულ-შედარებითი ანალიზის დროს სრულიადაც არ არის საკმარისი რეგულარული სინქრონიული შეფარდებების დადგენა ბგერებს შორის მონათესავე ენებში. ასეთი შეფარდებების დადგენა აუცილებელი ეტაპებია, მაგრამ ამ შეფარდებებს შემდეგ უნდა მიეცეს დიაქრონიული ინტერპრეტაცია როგორც ფონოლოგიური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით. თუ ბგერათშესატყვისობები მონათესავე ენებში სწორად არის გამოვლენილი და დაგენილია ბგერათცვლილების მექანიზმი, მაშინ ჩვენ უნდა შეგვეძლოს ამოსავალი ფორმების აღდგენაც, ე.ი. იმ არქაული ფორმების რეკონსტრუქცია, რომლებიც ფუძე-ენაში უნდა გექონოდა. როგორც ენახეთ, ქართ. ა-ს შესატყვისად ო და უ ხმოვნები მეგრულსა და ჭანურში გვიანდელია. ეს ცვლილება მომხდარია საკუთრივ მეგრულსა და ჭანურში და, ამდენად, იგი არ მოდის ფუძე-ენიდან. ქართველურ ფუძე-ენაში სათანადო სიტყვებში უნდა გექონოდა ა. ამ დასკვნას მხარს უჭერს სვანურის მონაცემებიც, რადგანაც ქართ. ა-ს შესატყვისად მოცემულ სიტყვებში სვანურში ისევე ა გვაქვს (შდრ. სვან. აშირ „ასი“, ქათალ „ქათამი“, ასუშ „ასული“ და სხვ.). ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველურ ფუძე-ენაში გვექნებოდა *„ასი“, *„ასული“ და ა.შ. სიტყვები, რომელთაგან ადვილად გამოიყვანება მეგრულ-ჭანური და სვანური ფორმები.

ქართველურ ფუძე-ენაში რეკონსტრუირებული ფორმები, მართალია, მთლიანად ემთხვევა სათანადო ქართულ ფორმებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველთვის ასეთი სურათი გვექნება. ქართველურ ფუძე-ენაში, მაგალითად, აღდგება *უაშლი, *ძალი, *თაფლი და სხვ. სიტყვები, სადაც მარცვლოვანი ლ უნდა გექონოდა. მაგრამ მარცვლოვანი ლ არ შემოგვრჩა არც ქართულში და არც მეგრულ-ჭანურსა და სვანურში. თუ ეს სიტყვები ქართველურ ენაში სამმარცვლიანი უნდა ყოფილიყვნენ,

უკვე ძვ. ქართულში ისინი ორმარცვლიან სიტყვებად იქცნენ: ვაშლი, ძაღლი, თაფლი და სხვ. ერთი სიტყვით, ძველი ქართულიც კი, როგორც აღნიშნული იყო ზემოთ, საკმაოდ არის დაშორებული ქართველური ფუძე-ნიდან. მთლად ზუსტი თუ ვიქნებოდით, *ასი და *ასული სიტყვებში სხვადასხვა ს უნდა აღგვედგინა, რადგანაც პირველი მეგრულ-ჭანურსა და სვანურში შ-ს იძლევა (შდრ. ოში, აშირ), ხოლო მეორე-ს (შდრ. ოსური, ასუშ). ერთი სიტყვით, *ასი და *ასული სიტყვებში ქართველურ ენაში ორი სხვადასხვა ს უნდა გვექნოდა: ს (ასი) და ს (ასული). ეს ორი ს ქართულში ერთმანეთს დაემთხვა, მაგრამ მეგრულ-ჭანურსა და სვანურში მათ სხვადასხვა რეფლექსი მოგვცეს. ასე რომ, არც ძვ. ქართულის „ასი“ და „ასული“ სიტყვები ემთხვევიან სავარაუდო ქართველურ ფორმებს.

არქაული ფორმების რეკონსტრუქციის დროს აუცილებელია სემანტიკის გათვალისწინება. ქართ. „მუხა“ და მეგრ. „ჭყონი“ სემანტიკური თვალსაზრისით ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ ამ ორ სიტყვას შორის რაიმე გენეტიკური კავშირი მაინც არ არსებობს. საქმე ისაა, რომ მეგრ. „ჭყონი“ სიტყვას ბგერითი შესატყვისობების წესების მიხედვით უნდა შეესაბამებოდეს არა „მუხა“, არამედ *,წყანი“ (ეს სიტყვა, ალბათ, შემონახულია ტოპონიმში „წყნეთი“). მაგრამ ასეთი სიტყვა ქართულში არ არსებობს. ამიტომ სემანტიკური დამთხვევა ორ სიტყვას შორის არაფერს არ გვეუბნება მათ გენეტიკურ კავშირზე.

ორ სიტყვას შორის გენეტიკური კავშირია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის კანონზომიერი შესატყვისობები გვაქვს ბგერების დონეზე. ქართ. თაფლი და მეგრ. თოფური სიტყვები ერთმანეთთან გენეტიკურ კავშირშია არა იმიტომ, რომ ისინი სემანტიკური თვალსაზრისით ემთხვევიან ერთმანეთს, არამედ იმიტომ, რომ ამ ორ სიტყვას შორის კანონზომიერი ბგერითი შესატყვისობები გვაქვს თავიდან ბოლომდე.

მიუხედავად ამისა, სემანტიკური ფაქტორის უარყოფა ისტორიულ შედარებითი ანალიზის დროს მაინც შეუძლებელია. ფონეტიკური თვალსაზრისით გენეტიკურ კავშირში მყოფი სიტყვები სემანტიკურად იდენტურნი ან მსგავსნი მაინც უნდა იყვნენ. გენეტიკური კავშირი თავისთავად გულისხმობს სემანტიკურ იგივეობასაც და თუ ეს იგივეობა დარღვეულია, მაშინ აუცილებელია მისი ახსნა, ე. ი. იმის გარკვევა, თუ რა წესების მიხედვით შეიცვალა ამოსავალი სიტყვის მნიშვნელობა სხვადასხვა მონათესავე ენაში. ასე, მაგალითად, ქართ. „ძელი“ სიტყვას ბგერათშესატყვისობათა წესების მიხედვით მეგრულში „ჯა“ შეესატყვისება, მაგრამ „ჯა“ მეგრულში „ხეს“ ნიშნავს, ხოლო „ძელი“ ქართულში ესაა „ზე მოკვეთილი“ (საბა). ე. ი. მოცემული ორი სიტყვა მნიშვნელობით არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგრამ ეს ორი მნიშვნელობა ისე ახლოსაა

ერთმანეთთან, რომ ძნელი არ არის „ძელი“ და „ჯა“ სიტყვების გენეტიკურ კავშირზე ვილაპარაკოთ. უფრო მეტიც, ადრე „ძელი“ სიტყვასაც ხის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ქართულშიც. სხვათა შორის, ჩვენ დღესაც გვაქვს სიტყვა „ძელქვა“, სადაც „ძელი“ ხის მნიშვნელობით იხმარება (ხე-ქვა).

მონათესავე ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი გულისხმობს მხოლოდ გარკვეული სახის ლექსიკის რეკონსტრუქციას, ე. ი. იმის მიხედვით დადგენას, თუ როგორი სიტყვები გვქონდა ამა თუ იმ ფუძე-ენაში. არც ქართველურ, არც ინდოევროპულ და არც რომელიმე სხვა ფუძე-ენაში არ აღდგება ისეთი სიტყვები, როგორცაა: კინო, თეატრი, გუბერნატორი, მდივანი, ავტომობილი, ელმავალი, რკინიგზა, რეაქტორი და სხვ. ქართველური, ინდოევროპული და სხვა ასეთი ფუძე-ენები არსებობდნენ სახელმწიფოსა და დამწერლობის წარმოშობამდე, როდესაც კულტურის განვითარება ეს-ეს არის იწყებოდა. ამიტომ ამ დონეზე ჩვენ შეიძლება აღვადგინოთ მხოლოდ ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები, ზოგიერთ მცენარეთა, ცხოველთა და თევზების სახელები, მეტეოროლოგიურ მოვლენათა აღმნიშვნელი სიტყვები, ნაცვალსახელები, ზოგიერთი ზედსართავები და ზმნიზედები, მარტივი რიცხვითი სახელები, პირველყოფილი ადამიანის საქმიანობის გამომსატყველი ზმნები და ა.შ. კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა, რა თქმა უნდა, ფუძე-ენაში მეტად შეზღუდული რაოდენობით გვექნებოდა.

ფუძე-ენის რეკონსტრუქცია გულისხმობს, ლექსიკის გარდა, ფონოლოგიური და გრამატიკული სისტემების მიხედვით განსაზღვრას მონათესავე ენებში წარმოდგენილი რეგულარული შეფარდებების საფუძველზე. ამ შეფარდებების ბაზაზე ირკვევა, რომ ქართველური ფუძე-ენაში უნდა გვექონოდა ე.წ. სონანტები, მარცვლოვანი სონორები: მ, ნ, ლ, რ.

ქართველურ ენაში სონანტების რეკონსტრუქციის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ ქართ. მ, ნ, ლ, რ სონორებს გარკვეულ პოზიციებში (1. სიტყვის თავში თანხმოვნის წინ, 2. ორ თანხმოვანს შორის, 3. თანხმოვანსა და ხმოვანს შორის, 4. სიტყვის ბოლოში თანხმოვნის შემდეგ) მთელი მარცვალი შეესატყვისება მეგრულ-ჭანურსა და სვანურში:

ქართ.	მეგრ.
კლდე	კირდე
ბრძოლა	ბურჯაფა
თაფლი	თოფური
ძაღვი	ჯოღორი

რადგანაც ქართული ენის სონორ თანხმოვნებს მეგრულ-ჭანურსა და სვანურში მარცვლები შეესატყვისება (ლ-ორ, რ-ურ, ლ-ურ, ლ-ულ და სხვ.) ამიტომ ქართველურ ფუძე-ენაში ჩვენ უნდა დავუშვათ

სონანტების (მარცვლოვანი სონორების) არსებობა, რომელთაც ქართულში მარცვლოვნობა დაკარგეს, ხოლო მეგრულ-ჭანურსა და სვანურში სრული ხმოვანი განივითარეს. ასე, მაგალითად, „კლდე“ სიტყვა ქართველურ ფუძე-ენაში ორმარცვლიანი *„კლ-დე“ უნდა ყოფილიყო. მარცვლების რაოდენობა მეგრულ-ჭანურ „კირდე“ ფორმაში შემონახული, ქართულში კი სონანტებმა მარცვლოვნობა დაკარგეს და ამიტომ „კლდე“ სიტყვა უკვე ძვ. ქართულში ერთმარცვლიანია.

როგორც ვხედავთ, ქართველური ფუძე-ენის ფონოლოგიური სისტემა განსხვავებული უნდა ყოფილიყო როგორც ქართული, ისე მეგრულ-ჭანური და სვანური ფონოლოგიური სისტემებისაგან და ამ განსხვავებას სონანტები ქმნიდნენ, რომლებიც არც ერთ ქართველურ ენაში არ შემორჩნენ.

ასევე განსხვავებული უნდა ყოფილიყო ქართველური ფუძე-ენის გრამატიკული სისტემა. ქართველურ ფუძე-ენაში არ უნდა გვექონოდა წოდებითი (ამხანაგო, ძმაო...). ეს ბრუნვა გვაქვს მხოლოდ ქართულში. სხვა ქართველურმა ენებმა კი იგი არ იციან. ამიტომ წოდებითი, როგორც ჩანს, საკუთრივ ქართულში ჩამოყალიბდა. ეს ბრუნვა რომ ქართველურ ფუძე-ენაში ყოფილიყო, მაშინ მისი რეფლექსები დარჩებოდა ამ ენებში არა გვაქვს და, მაშასადამე, წოდებითიც არ უნდა ყოფილიყო ქართველურ ფუძე-ენაში. წოდებითის ფუნქციას ქართველურ ფუძე-ენაში, როგორც ჩანს, სრულდება სახელობითი, ისევე როგორც ბევრ სხვა ენაში.

ასევე არ უნდა გვექონოდა ქართველურ ფუძე-ენაში მოთხრობითიც. მოთხრობითს ქართველურ ენებში სხვადასხვა ნიშნები აქვს და, რაც მთავარია, ეს ნიშნები არ წარმოადგენენ ერთმანეთის ფონეტიკურ შესატყვისებს. ასე, მაგალითად, მეგრულ-ჭანურში მოთხრობითის ნიშანია — ქ (კოჩი-ქ „კაცმა“, ძღაბი-ქ „გოგომ“), რომელიც არაერთარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ქართულის — მან, — მა, — ნ სუფიქსების ფონეტიკურ შესატყვისს. ამიტომ ჩვენ უნდა დავუშვათ, რომ მოთხრობითი ბრუნვა ქართველურ ენებში გაჩნდა შედარებით გვიან და რომ ეს ბრუნვა უცნობი უნდა ყოფილიყო ქართველური ფუძე-ენისათვის.

მოთხრობითისაგან განსხვავებით ნათესაობითი ბრუნვა კანონზომიერ შესატყვისობებს იძლევა ქართველურ ენებში. ქართ-ის სუფიქსის შესატყვისად, რომელიც ნათესაობითის ნიშანს წარმოადგენს, მეგრულ-ჭანურსა და სვანურში კანონზომიერად გვაქვს — იშ (მეგრ. კოჩიშ, ძღაბიშ... და სვან. მარემ-იშ „კაცის“). ეს გარემოება კი იმას გვიჩვენებს, რომ ნათესაობითი ბრუნვა უკვე ქართველურ ფუძე-ენაში გვექონდა.

ქართველურ ენებში, როგორც ცნობილია, დრო-კილოთა სამი სერია გამოიყოფა (I. ოსტატი აშენებს სახლს, II. ოსტატმა ააშენა სახლი, III

ოსტატს აუშენებია სახლი). ქართველურ ენაში კი დრო-კილოთა მხოლოდ ორი სერია უნდა გვექონოდა. რაც შეეხება მესამე სერიას, იგი სხვადასხვა ქართველურ ენაში სხვადასხვანაირად იწარმოება, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ ეს სერია ქართველურ ენაში განვითარდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ე.ი. ქართველურ ფუძე-ენაში იგი არ გვექონდა.

როგორც ვხედავთ, გრამატიკული თუ ლექსიკური ხასიათის რეკონსტრუქციები ყოველთვის უნდა ემყარებოდეს ბგერათშესატყვისობათა მკაცრ წესებს: ნათესაობითი ბრუნვის ნიშნები ქართველურ ენებში ერთმანეთის ფონეტიკური შესატყვისებია და ამიტომ ნათესაობითი ბრუნვა ქართველურ ფუძე-ენაში აღდგება. პირიქით, მოთხრობითი ბრუნვის (ერგატივი) ნიშნები ენებში ასეთ ფონეტიკურ შესატყვისობებს არ იძლევიან და ამიტომ ქართველურ ფუძე-ენაში ეს ბრუნვა არ აღდგება. ქართ. „მუხა“ და მგერ. „ჭყონი“ თუმცა ერთმანეთს ემთხვევა მნიშვნელობის მიხედვით, მაგრამ მათ შორის ფონეტიკური შესატყვისობა არა გვაქვს და, ამდენად, წარმოშობის მიხედვით ეს ორი სიტყვა ერთმანეთს უკავშირდება. ერთი სიტყვით, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების საფუძველს წარმოადგენს ბგერათშესატყვისობების პრინციპი, რომლის გარეშეც არავითარი ისტორიულ-შედარებითი კვლევა მონათესავე ენებისა არ შეიძლება განხორციელდეს. ამ თვალსაზრისის საუკეთესო ილუსტრაციაა თვითონ ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების განვითარების ისტორია. ისტორიულ-ენათმეცნიერება ასორმოცდაათ წელზე მეტია, რაც არსებობს და ამ ხნის განმავლობაში მისი ყველა წარმატება ყოველთვის დაკავშირებული იყო ბგერათშესატყვისობის პრინციპის მკაცრ დაცვასთან, ხოლო ყველა წარუმატებლობა — ამ პრინციპის უარყოფასთან.

თუ ორ ან მეტ ენას შორის ბგერათშესატყვისობა არ არის დადგენილი, მაშინ არც ისტორიულ-შედარებითი ანალიზია შესაძლებელი ამ ენებისა და ასეთი ენები არც მონათესავე ენებად ჩაითვლებიან. ამის განაზღვა საჭიროა იმიტომ, რომ ზოგჯერ ბგერათშესატყვისობების დადგენას წინ უსწრებს ენათა შედარებითი ანალიზი მათი გენეტური კავშირების გამოსავლენებლად. ამის საუკეთესო მაგალითია ბასკური ენის გენეტური კავშირების დადგენის ცდები ქართველურ და საერთოდ კავკასიურ ენებთან. უნდა ითქვას, რომ ამგვარი ცდები წინასწარვე განწირულია მარცხისათვის შემდეგი მიზეზების გამო: შესაძლებელია ბასკური მართლაც მონათესავეა ქართველური ენებისა, მაგრამ ამისათვის აუცილებელია ბგერათშესატყვისობების დადგენა ბასკურსა და ქართველურ ენებს შორის. სანამ ასეთი ბგერათშესატყვისობები დადგენილი არ არის, მანამ შეუძლებელია ისტორიულ-შედარებითი ხასიათის კვლევის გაშლა ამ ენების მასალაზე.

უფრო მეტიც, ნათესაობა დადგენილი არ არის თვითონ კავკასიურ ენებს შორისაც. საქმე ისაა, რომ კავკასიურ ენებში გამოიყოფა ენათა სამი ჯგუფი: 1) აფსურ-ადილური; 2) დალესტნის ენები, 3) ქართველური ენები. პირველ-ორ ქვეჯგუფს აერთიანებენ მთის კავკასიურ ენათა ჯგუფში. უნდა ითქვას, რომ მთის კავკასიურ ენებს შორის ნათესაობის საკითხი დღეისათვის ეჭვს აღარ იწვევს, რადგანაც ამ ენებში ბგერათშესატყვისობები უკვე დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს. პრობლემატურია მთის კავკასიური ენების მიმართების საკითხი ქართველურ ენებთან. საქმე ისაა, რომ ბგერათშესატყვისობები მთის კავკასიურ ენებსა და ქართველურ ენებს შორის დადგენილი არაა და ამიტომ ამ ორი ჯგუფის ენების ნათესაობის საკითხს ბევრი სპეციალისტი ეჭვის თვალით უყურებს. ყოველ შემთხვევაში ამ ორი ჯგუფის ენები მონათესავეც რომ იყოს ერთმანეთისა, მათი ნათესაობა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების განვითარების მოცემულ ეტაპზე დამტკიცებულად არ შეიძლება ჩაითვალოს. როგორც ამ ბოლო დროს გაირკვა, ქართველურ ენებს უფრო მეტი აქვთ საერთო ინდოევროპულ ენებთან, ვიდრე მთის კავკასიურ ენებთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არ არსებობს საკმაო არგუმენტები იმის მტკიცებისათვის, რომ ქართველური ენები, უფრო ზუსტად, ქართველური ფუძე-ენა მონათესავეა ინდოევროპული ფუძე-ენისა. თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი და გ. მაჭავარიანი, ვის სახელებთანაც დაკავშირებულია ამ ახალი თეორიის შექმნა, გარკვეულ სიფრთხილეს იჩენენ და ამტკიცებენ არა ნათესაობას ამ ორ ფუძე-ენას შორის, არამედ იმას, რომ ინდოევროპული ფუძე-ენა მესოპოტამიასა და ამიერკავკასიას შორის უნდა ყოფილიყო გავრცელებული, სადაც მას კონტაქტები ექნებოდა ქართველურ ფუძე-ენასთან IV-III ათასწლეულებში ჩვენს ერაზმდე. სწორედ ამ კონტაქტების შედეგია, უფრო ზუსტად, ინდოევროპული ფუძე-ენის ქართველურ ფუძე-ენაზე გავლენის შედეგია ის საოცარი პარალელები ფონოლოგიურ და გრამატიკულ სტრუქტურებში, რაც ამ ორ ფუძე-ენას შორის გვაქვს.

მაინც რა გვიშლის ხელს ინდოევროპული და ქართველური ფუძე-ენები ერთმანეთის მონათესავედ მივიჩნიოთ? ისევ და ისევ ბგერათშესატყვისობების საკითხი. საქმე ისაა, რომ ინდოევროპულ და ქართველურ ფუძე-ენებს შორის ბგერათშესატყვისობები დადგენილი არ არის. ამიტომ თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი ამ ორ ენას მონათესავედაც არ აცხადებენ. თუ დამკიცდება, რომ ამ ორ ფუძე-ენას შორის გარკვეული ბგერათშესატყვისობები გვაქვს, მაშინ მათ მონათესავე ენებად მივიჩნევთ, მაგრამ სანამ ეს დამტკიცებული არ არის, მანამ ქართველური და ინდოევროპული ფუძე-ენების ნათესაობაზე ლაპარაკი ნაადრევია და უსაფუძვლო (სხვათა შორის, არსებობს ასეთი ჰიპოთეზაც, რომლის მიხედვითაც ქართველური

ენები მონათესავე ინდოევროპული ენებისა. მართალია, ეს თვალსაზრისი ენათმეცნიერებაში ასოცრმოცდაათი წელია რაც არსებობს, მაგრამ იგი დამტკიცებული არ არის). ასევე თუ დადგინდება ბგერათმესატყვისობები ქართველურ და მთის კავკასიურ ენებს შორის, მაშინ ენათა ეს ორი ჯგუფი ერთმანეთის მონათესავე აღმოჩნდება. მაგრამ ჯერ-ჯერობით მტკიცება იმისა, რომ ენათა ეს ორი ჯგუფი ერთმანეთის მონათესავეა, სასურველის სინამდვილედ მიჩნევაა და არა არგუმენტირებული მეცნიერული თეორია.

ამრიგად, ბგერათმესატყვისობების დადგენა მონათესავე ენებს შორის ის საფუძველია, რომელზე დაყრდნობითაც უნდა გაიშალოს მონათესავე ენათა ისტორიულ-მედარებითი კვლევა. ამიტომ თუ ბგერათმესატყვისობები გამოვლენილი არ არის, მაშინ არც ენათა ისტორიულ-მედარებითი კვლევა არის მეცნიერული. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ ბგერათმესატყვისობების დადგენის საკითხს ან ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა, ანდა იგი მთლიანად უარყოფილია და ამიტომ კვლევაც ან ნახევრადმეცნიერულია, ან უბრალოდ არამეცნიერული.

ისტორიულ-მედარებითი კვლევა ვერ დაემყარება ვერც შემთხვევით მსგავსებებს ენებს შორის. ქართ. „ფეხი“ სიტყვის სემანტიკური შესატყვისისა რუსულში „НОГА“, რომელიც რა თქმა უნდა, ფონეტიკურად არ წააგავს სათანადო ქართულ სიტყვას, მაგრამ რუსულში გვაქვს სხვა სიტყვაც, კერძოდ კი, ПЕХОТА „ფეხოსანი“, რომლის პირველი ნაწილი ПЕХ- ფონეტიკურად და სემანტიკურად ემთხვევა სათანადო ქართულ ფეხს-ძირეულ მორფემას. ასევე მსგავსია ერთმანეთისა სემანტიკური და ფონეტიკური თვალსაზრისით ძვ. ქართული და-სლობა „დაუძღურდა“ და რუსული О-ЦАБН „დასუსტდა“. მაგრამ ასეთი შემთხვევითი მსგავსებები არც ნათესაობის მაჩვენებელია და არც ენათ კონტაქტებისა. როგორც არ უნდა განსხვავდებოდნენ ენები ერთმანეთისაგან, ისინი მაინც ერთი მასალისგან არიან მოქსოვილი და ამიტომ ყოველთვის მოსალოდნელია გარკვეული დამთხვევები სრულიად არამონათესავე, გეოგრაფიულად ერთმანეთისგან მეტად დაშორებულ ენებს შორისაც კი, როგორცაა, მაგალითად, ქართული და ინდიელთა ან ავსტრალიელ აბორიგენტთა ენები.

ისტორიულ-მედარებითი ენათმეცნიერებისათვის ასევე არა აქვს მნიშვნელობა ნასესხებ და ხმაბაძვით სიტყვებს. ქართულში ბევრია სპარსული (ფანჯარა, ქუჩა, ზარალი, ოთახი და სხვ.). არაბული (ალგებრა, ჯანდაბა, დარაბა და სხვ.), თურქული (გემი, ელჩი და სხვ.) სიტყვები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართული მონათესავეა სპარსული, არაბული და თურქული ენებისა. ასე რომ იყოს, მაშინ ქართული უამრავი სხვადასხვა ენის მონათესავე აღმოჩნდებოდა. მაგრამ

ენათა ნათესაობა ნასესხები სიტყვებით არ ირკვევა, თუ, რა თქმა უნდა, ნასესხები ლექსიკა თვითონ ფუძე-ენიდან არ მოდის. ფუძე-ენიდან მომდინარე ნასესხები სიტყვები ისეთსავე კანონზომიერ შესატყვისობებს ავლენენ მონათესავე ენებში, როგორც საკუთარი ლექსიკა. ასე, მაგალითად, „ვერცხლი“ სიტყვა, როგორც ჩანს, ნასესხებია ჯერ კიდევ ქართულ ფუძე-ენაში. ამიტომ ეს ლექსიკური ერთეული კანონზომიერი შესატყვისითაა წარმოდგენილი სხვა ქართველურ ენებშიც (შდრ. მეგრ. ვარჩხილი).

ისტორიულ-შედარებითი კვლევის დროს ასევე არ ენიჭება მნიშვნელობა ხმაბაძვით სიტყვებს, როგორიცაა: ყიყინი, ხიხინი, ყაყანი, დგაფა-დგუფი, ჩახა-ჩუხი, ჯიჯლინი, ჩიჩხინი, ჭიჭყინი, ქაქანი, კაკანი და სხვ. მართალია, ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ხმაბაძვითი სიტყვების დონეზეც, მაგრამ ამ სფეროში ენებს შორის მანც უფრო მეტია მსგავსება და, რაც მთავარია, ხმაბაძვითი სიტყვები მონათესავე ენებში არ იძლევიან კანონზომიერ შეფარდებებს. ამიტომ ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება, როგორც წესი, ხმაბაძვით სიტყვებს ენათა შედარების პროცესში არ იყენებს.

როგორც უკვე ვთქვით, ისტორიულ-შედარებითი მეთოდი კლასიკური მეთოდია, რომლის საფუძვლები ინდოევროპული ენების მასალაზე დამუშავდა. ინდოევროპული ენათმეცნიერება კი გარკვეული უპირატესობით სარგებლობს, ვთქვათ, იბერიულ-კავკასიურ ან სემიტურ ენათმეცნიერებასთან შედარებით. საქმე ისაა, რომ ინდოევროპულ ენებს (სანსკრიტი, ძვ. სპარსული, ხეთური, ძვ. ბერძნული, ლათინური, გოთური და სხვ.) ხანგრძლივი სამწერლობო ტრადიცია აქვთ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება ამ მხრივ მეტად არასახარბიელო მდგომარეობაშია, რადგანაც ერთადერთი სამწერლობო ენა, რომელსაც ხანგრძლივი სამწერლობო ტრადიცია აქვს, ქართულია და ისიც მხოლოდ მე-1 საუკუნიდანაა წარმოდგენილი წერილობითი დოკუმენტებით. ამიტომ ჩვენ ვიცით, თუ როგორი იყო ძვ. ბერძნული ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მაგრამ არაფერი ვიცით ამავე პერიოდის ძვ. ქართულის შესახებ. რადგანაც ინდოევროპული ენები წერილობითი დოკუმენტებით დადასტურებულია ჩვენს წელთაღრიცხვამდეც კი თანაც ასეთი ენების რაოდენობა საკმაოდ დიდია, ამიტომ ინდოევროპულ ენათმეცნიერებას უფრო მეტი შესაძლებლობები აქვს ისტორიულ-შედარებითი კვლევის ფართო მასშტაბით გაშლისა. ამ გარემოებამ წარმოშვა „თეორია“, რომლის მიხედვითაც ისტორიულ-შედარებითი მეთოდი თითქოს მხოლოდ ინდოევროპული ენებისათვის არის გამოსადგვი და სრულიად უეარგისია სხვა ენების გამოსაკვლევედ. მაგრამ ენათმეცნიერების განვითარებამ სრულიად სხვა რამ გვიჩვენა. გაირკვა, რომ ისტორიულ-შედარებითი

მეთოდი შეიძლება გამოვიყენოთ არაინდოევროპული ენების მიმართაც, როგორცაა, ვთქვათ, ამერიკელ ინდიელთა ენები, აფრიკული ან ავსტრალიური ენები. ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ ისტორიულ-შედარებითი მეთოდი უნივერსალური მეთოდია, რომელიც ეფექტურად გამოიყენება ნებისმიერი მონათესავე ენების საკვლევად დიაქრონიული თვალსაზრისით.

§ 3. ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია

§3.1. ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია.

ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციისაგან განსხვავებულია ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, რომელიც ემყარება ენათა შორის სტრუქტურულ და არა გენეტურ მსგავსებებს. ენათა შორის რომ სტრუქტურული ხასიათის მსგავსებები არსებობს, ეს ჯერ კიდევ მე-19 ს-ში შეამჩნიეს, რაც საფუძველი გახდა ენათა ე. წ. მორფოლოგიური კლასიფიკაციას. ეს კლასიფიკაცია პირველად გამოჩნდა ფრიდრიხ შლეგელის (1778-1829) შრომაში „ინდოელების ენისა და სიბრძნის შესახებ“ (1808წ.). ფრიდრიხ შლეგელი ენებს ყოფდა ფლექსიურ და აფიქსალურ ენებად და ცდილობდა დაემტკიცებინა ფლექსიური ენების უპირატესობა აფიქსალურ ენებთან შედარებით.

ფ. შლეგელის ძმამ-ავგუსტ შლეგელმა (1767-1845) აღნიშნულ ორ ტიპს მესამეც დაუმატა და ენები დაყო ფლექსიურ, აფიქსალურ და ამორფულ (ბერძ. *amorphé* „უფორმო“) ენებად. მისი აზრით, ამორფულია ჩინური, რადგანაც მას არც ფლექსია ახასიათებს და არც აფიქსაცია და ამიტომ ამ ენაში სიტყვები შიშველი ძირებით არიან წარმოდგენილი.

მაგრამ არც ავგუსტ შლეგელის სქემა აღმოჩნდა სრული. ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტმა (1767-1835) მას დაუმატა მეთხე წვერიც, ე.წ. ინკორპორაციული ენები (ლათ. *incorporatio* „თავის შემადგენლობაში ჩართვა“). ინკორპორაციულ ენებში სიტყვა წინადადებას უდრის: სიტყვის დასაწყისი ქვემდებარეს წარმოადგენს, დასასრული კი-შემასმენელს, სიტყვის შიგნით კი ჩართულია (ინკორპორირებულია) დამატებანი განსაზღვრებითა და გარემოებებით. მაგალითად, ერთ-ერთ ამერიკელ ინდიელთა ენაში სიტყვა *ninakakwa* იშლება ასე *ni-* მე, *kwa* –ჭამ, *naka-* ხორც, ე.ი. მეხორცჭამ (მე ხორცსა ვჭამ). სიტყვის დასაწყისი *ni* არის ქვემდებარე, დასასრული *kwa-* შემასმენელი, ხოლო მათ შორის ჩართულია *naka* პირდაპირი დამატება.

ენათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციის საკითხებზე შემდგომშიც გრძელდებოდა მუშაობა. დღეისათვის კლასიფიკაციას ასეთი სახე აქვს. განსხვავებენ ენათა ოთხ ტიპს: 1)ფლექსიური ენები, 2)აგლუტინაციური

ენები, 3) ძირისეული ანუ იზოლირებული ენები და 4) პოლისინთეზური ანუ ინკორპორაციული ენები.

I. ფლექსიური ეწოდება ისეთ ენებს, რომლებიც იყენებენ როგორც გარეგან, ისე შინაგან ფლექსიას (მიმოხრას). გარეგანი ფლექსია აფიქსების მიხედვით ხდება (შდრ. კაც-ი, კაც-მა, კაც-ს, კაც-ის... ან ვ-წერ, ს-წერ, წერ-ს...), ხოლო შინაგანი ფლექსია ხმოვნის აბლაუტით (შდრ. გერმ. der Vater „მამა“, die Väter „მამები“, რუს. отец „მიმაქეს“, мать „დამაქეს“, негаты „რბენა“, нежаты „გაქცევა“). ფლექსიურია ინდოევროპული, სემიტური და ქამიტური ენები.

II. აგლუტინაციური (ლათ. agglutinare „მიწებება“) ეწოდება ისეთ ენებს, რომლებიც გრამატიკულ ფორმებს, მართალია, აფიქსებით აწარმოებენ, მაგრამ სიტყვის ფუძესა და აფიქსებს შორის მჭიდრო კავშირი არა გვაქვს. თუ ფლექსიურ ენებში ფუძე და აფიქსები, ასე ვთქვათ, ერთმანეთშია შეცმული და მათი ერთმანეთისაგან დაცილება ძნელია, აგლუტინაციულ ენებში სიტყვები ადვილად იშლება ფუძედ და აფიქსებად. ასე, მაგალითად, რუსულში ОКО-ОЧН ფორმებში К-ს გადასვლას ყ-ში აპირობებს И ხმოვანი და ამიტომ ОЧ-ალომორფი არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს პალატალური ხმოვანი И, რომლის გარეშეც მრავლობითის რიცხვის ფორმაშიც (ОЧН) К გვექნებოდა. ერთი სიტყვით, ფლექსიურ ენებში აფიქსი გავლენას ახდენს ფუძეზე, ცვლის რა მას ფონეტიკური თვალსაზრისით. ამავე მნიშვნელობის სიტყვა ქართულში (თვალ-თვალეხი) სხვაგვარ სურათს გვიჩვენებს. მრავლობითი რიცხვის (-ებ) მორფემის დართვა სიტყვის ფუძეში არ იწვევს რაიმე ცვლილებას. ამიტომ „თვალეხი“ ფორმა ქართულში ადვილად იშლება ძირად-(თვალ-), მრავლობითი რიცხვის მორფემად (-ებ) და სახელობითი ბრუნვის ნიშნად (-ი).

აგლუტინაციური ენები ფლექსიური ენებისაგან განსხვავდებიან საკუთრივ გრამატიკული თვალსაზრისითაც. საქმე ისაა, რომ აგლუტინაციურ ენებში აფიქსი, როგორც წესი მონოფუნქციონალურია, ერთ მნიშვნელობას გამოხატავს, ხოლო ფლექსიურ ენებში იგი პოლიფუნქციონალურია, რამდენიმე სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. იმავე ОКО-ОЧН ფორმებში მორფემა -И პოლიფუნქციონალურია, რადგანაც იგი გამოიხატავს როგორც მრავლობით რიცხვს, ისე სახელობით ბრუნვასაც. მოცემული ორი ფუნქცია კი ქართულში ორი სხვადასხვა აფიქსით გამოიხატება და ამიტომ ფორმაში „თვალ-ებ-ი“ -ებ მორფემა მხოლოდ მრავლობით რიცხვს გამოხატავს, ხოლო -ი მორფემა- მხოლოდ სახელობით ბრუნვას.

აგლუტინაციურ ენებად მიაჩნიათ კავკასიური ენები (მათ შორის ქართულიც), თურქულ და ფინურ-უნგრულ ენათა ოჯახები და სხვ. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აბსოლუტურად აგლუტინაციური

არც ერთი ეს ენა არაა ისევე, როგორც ინდოევროპული და სემიტური ქამიტური ენები არ არიან აბსოლუტურად ფლექსიურნი. ქართულში, მაგალითად, გვაქვს ფლექსიაც (მდრ. გრეხს-გრისა, თხრის-თხარა...), მაგრამ ჭარბობს აგლუტინაცია. რუსულში, პირიქით, ფლექსია აჭარბებს აგლუტინაციას და ამიტომ რუსული ფლექსიურ ენად განიხილება.

III. ძირისეული ანუ იზოლაციური ეწოდება ისეთ ენებს, რომელთაც, ასე ვთქვათ, მორფოლოგია არა აქვთ, ე. ი. გრამატიკულ ფორმათა საწარმოებლად აფიქსებს არ იყენებენ. ამიტომ ასეთ ენებს უაფიქსო ენებს უწოდებენ. რადგანაც ამ ტიპის ენებში სიტყვის ცნება ძირის ცნებას ემთხვევა, ამიტომ თვითონ ენებსაც ძირისეულ ენებს უწოდებენ. სიტყვათა ძირებს შორის ურთიერთობა მყარდება არა აფიქსების საშუალებით, არამედ ძირის ადგილმდებარეობით წინადადებაში, ასევე თანდებულებით, დამხმარე სიტყვებით, მაზვილითა და ინტონაციით. რადგანაც ძირებს ამ ტიპის ენებში აფიქსები არა აქვთ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ძირები ერთმანეთთან დაკავშირებული არ არიან. ამის გამო ძირისეულ ენებს იზოლაციურსაც უწოდებენ. ძირისეულ ენებს წარმოადგენენ ჩინური და ვიეტნამური ენები.

IV. პოლისინთეზური ანუ ინკორპორაციულია, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ისეთი ენები, რომლებშიც წინადადება ზმნის გარშემო ერთიანდება ისე, რომ იგი (წინადადება) სიტყვას უტოლდება. მაგალითად, ჩინუკ ენაზე (ინდიელთა ენა) i-n-i-á-l-u-d-am (მე მოვედი, რომ მივცე ეს მას) სიტყვაში -d ნიშნავს მიცემას, თავიღური i- გამოხატავს ახლო წარსულ დროს, -n- პირველ პირს მხოლოდით რიცხვში. მეორე -i- პირდაპირ ობიექტს (ეს), -a- მდებარეობით სქესის ირბ ობიექტს (მას), -l- გვიჩვენებს სწორედ იმას, რომ -a ირბი დამატებაა, -u- მიუთითებს ამ მოქმედების მიმართულებას მოლაპარაკის იქით, -am გამოხატავს მოძრაობას რაიმე მიზნით. ინკორპორაციის დროს ჩართული არსებითი სახელი ზოგჯერ მოკლდება ან სულ სხვა სახეს იღებს. ჩრდილო ამერიკის სიბითლ ენაში tlumstan სიტყვა სახლს აღნიშნავს, მაგრამ ინკორპორირების შემთხვევაში იგი ლაბიალიზებულ x -ს ანუ x^w -ს იძლევა.

გრამატიკული და ლექსიკური მორფემების ერთმანეთთან დაკავშირების ანუ მატო სინთეზის ხარისხის მიხედვით უნდა განვასხვავოთ სინთეზური და ანალიზური ენები. სინთეზურ ენებში გრამატიკული მნიშვნელობები თვითონ სიტყვებში გამოიხატება, ხოლო ანალიზურ ენებში იგივე მნიშვნელობები სიტყვის გარეთ—დამხმარე სიტყვებით არის გამოხატული. ამ თვალსაზრისით, მაგალითად, ქართული, ბერძნული, ლათინური, რუსული სინთეზური ენებია, ხოლო ინგლისური, ფრანგული, იტალიური ანალიზურ ენებს წარმოადგენენ. ასე, მაგალითად, „ბავშვი იძინებს“

ფრაზა ინგლისურად უნდა ვთარგმნოთ როგორც The child is sleeping ხოლო „დედა ბავშვს აძინებს“ წინადადება-როგორც The mother is getting the child to sleep როგორც ქართულში სინთეზურ ზმნურ ფორმებს ვიყენებთ (იძინებს, აძინებს), რომელთა შინაარსის გადმოსაცემად ინგლისურში ანალიზური ფორმებია საჭირო (იძინებს- is sleeping, აძინებს- is getting to sleep) ერთი სიტყვით, ქართული სინთეზური ენაა, ხოლო ინგლისური-ანალიზური. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართულში გრამატიკული ფორმები მხოლოდ სინთეზურად იწარმოებოდეს, ხოლო ინგლისურში-მხოლოდ ანალიზურად. ანალიზური ფორმები ცნობილია ქართულშიც (შდრ. დახატული ვარ, დახატული მაქვს და სხვ.), მაგრამ ამ გზით გრამატიკული ფორმების წარმოება ქართულში იშვიათია. ამიტომ ქართული სინთეზურ ენად განიხილება. ინგლისური, პირიქით, ანალიზის ხერხს აძლევს უპირატესობას, თუმცა ამ ენისათვის არც სინთეზია უცხო (შდრ. he reads „ის კითხულობს“, he writes „ის წერს“). მაგრამ რადგანაც ინგლისურისათვის უფრო ანალიზური წარმოებაა დამახასიათებელი, ამიტომ ეს ენა ანალიზურ ენად მიაჩნიათ.

§3.2. სტრუქტურული ტიპოლიგია

ენების დაყოფა ძირისეულ, აგლუტინაციურ, ფლექსიურ და ინკორპორაციულ ან ანალიზურ და სინთეზურ ენებად ტრადიციული კლასიფიკაციაა ენებისა მათი სტრუქტურის თვალსაზრისით. ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია დღეისათვის სხვაგვარია, რადგანაც ენათმეცნიერების განვითარებას შეუძლებელიც კი იყო გავლენა არ მოეხდინა ლინგვისტური ტიპოლოგიის განვითარებაზე.

სრულიად სხვადასხვა წარმოშობისა და სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში მყოფი ენები ავლენენ საოცარ ტიპოლოგიური ხასიათის მსგავსებებს ენის ყველა დონეზე, იქნება ეს ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური თუ სემანტიკური დონე. იქმნება ისეთი შტაბეჭდილება, რომ კონკრეტულ ენებში არაფერი არ შეიძლება იყოს ისეთი, რაც ზოგადი ტიპოლოგიური თვალსაზრისით არ იქნება სანქცირებული, რაც დაუშვებელი იქნება ტიპოლოგიური თვალსაზრისით.

ირაკვეა, რომ ენობრივი სტრუქტურები ხასიათდება გარკვეული ტიპოლოგიური ხასიათის შეზღუდვებით, რომლებიც იმთავითვე კრძალავენ გარკვეული ენობრივი სტრუქტურების არსებობას. ასე, მაგალითად, ენებში გავრცელებულია როგორც ზმოვანთა, ისე თანხმოვანთა სისტემები. ეს ორი სისტემა ერთმანეთთან თანაარსებობს და ერთმანეთს ლოგიკურად გულისხმობს. ამიტომ შეუძლებელია არსებობდეს ისეთი ენა, რომელშიც გვექნებოდა ან მხოლოდ ზმოვანთა სისტემა, ან მხოლოდ თანხმოვანთა სისტემა. ასევე ერთმანეთს გულისხმობს არსებითი სახელი და ზმნა,

ამიტომ შეუძლებელია არსებობდეს ისეთი ენა, რომელშიც გვექნება, ეთქვათ, ზმნა, მაგრამ არ გვექნება არსებითი სახელი, ანდა პირიქით: გვექნება არსებითი სახელი, მაგრამ არ გვექნება ზმნა. ასევე არ გვექნება ისეთი ენა, რომელშიც ყველა სიტყვა ან მოტივირებული აღმოჩნდება, ანდა არამოტივირებული. მოტივირებული და არამოტივირებული სიტყვები ენაში ერთმანეთის გვერდით არიან წარმოდგენილი და ერთმანეთს ლოგიკურად გულისხმობენ.

ზშულთა და ნაპრალოვანთა სისტემების კვლევამ ამ თვალსაზრისით აჩვენა, რომ ამ სისტემებისათვის დამახასიათებელია გარკვეული შეზღუდვები და ამიტომ ჩვენ შეიძლება გვეჩონდეს მხოლოდ გარკვეული სისტემები ზშულებისა და ნაპრალოვანებისა.

ლაბიალურ რიგში, როგორც ირკვევა რომელიმე ენაში ან ენებში შეიძლება გვაკლდეს ყრუ ზშული ან ყრუ სპირანტი, ე. ი. ეს რიგი წარმოდგენილი იყოს მხოლოდ მჟღერი ზშულით ან მჟღერი სპირანტით. მაგრამ დაუშვებელია ისეთი ენობრივი სისტემის არსებობა, სადაც ლაბიალურ რიგში გვექნებოდა ყრუ ზშული ან სპირანტი, მაგრამ არ იქნებოდა წარმოდგენილი სათანადო მჟღერი ზშული ან სპირანტი. ერთი სიტყვით, ლაბიალურ რიგში მჟღერი ზშული ან სპირანტი არ გულისხმობს სათანადო ყრუ ზშულის ან სპირანტის არსებობას, მაგრამ ყრუ ზშული ან სპირანტი ამავე რიგისა ყოველთვის გულისხმობს სათანადო მჟღერ ზშულს ან სპირანტს. ამიტომ დასაშვებია ზშულთა და ნაპრალოვანთა მხოლოდ ასეთი სისტემები:

ზშულები		სპირანტები	
b p	b -	v f	v -
d t	d t	z s	z s
g k	g k	γ x	γ x

მაგრამ დაუშვებელია და არც ერთ ენაში არ დასტურდება ზშულთა და სპირანტთა ასეთი სისტემები:

* - p	* - f
d t	z s
g k	γ x

ველარულთა რიგში საწინააღმდეგო სურათია. ამ შემთხვევაში მჟღერი ზშული ან სპირანტი ყოველთვის გულისხმობს სათანადო ყრუ ზშულს ან სპირანტს, მაგრამ არა პირიქით: ველარული ყრუ ზშული ან სპირანტი არ გულისხმობს სათანადო მჟღერ ზშულს ან სპირანტს და ამიტომ შესაძლებელია გვეჩონდეს ისეთი ენები, სადაც გვექნება ველარული ყრუ ზშული ან სპირანტი, მაგრამ არ გვექნება სათანადო მჟღერი ზშული ან სპირანტი. ამიტომ ენებში დასაშვებია შემდეგი სისტემები ზშულებისა და სპირანტებისა:

ხშულები

სპირანტები

b p

v f

d t

z s

- k

x

მაგრამ დაუშვებელია რომელიმე ენაში არსებობდეს და ამიტომ არც არსებობს ხშულებისა და სპირანტების სისტემები (იხ. I, II, III, IV, V, VI).

ამრიგად, თუ ხშულთა ან ნაპრალოვანთა სისტემებში გვაქვს ლაბიალური ყრუ ხშული ან სპირანტი, მაშინ ამავე სისტემაში აუცილებელად გვექნება ლაბიალური მჟღერი, ხშული ან სპირანტი, მაგრამ არა პირიქით: ლაბიალური მჟღერი ხშული ან სპირანტი შეიძლება იყოს სისტემაში, მაგრამ სათანადო ყრუ ხშული ან სპირანტი არ იყოს წარმოდგენილი.

ასევე თუ ხშულთა და სპირანტთა სისტემაში გვაქვს ველარული მჟღერი ხშული ან სპირანტი, მაშინ გვექნება სათანადო ველარული ყრუ ხშული და სპირანტიც, მაგრამ სისტემაში შეიძლება გვექონდეს ველარული ყრუ ხშული და სპირანტი, მაგრამ არ გვექონდეს სათანადო ველარული მჟღერი ხშული ან სპირანტი. ერთი სიტყვით, ლაბიალობის ნიშანი უფრო ადვილად ეგუება მჟღერობას, ხოლო ველარობის ნიშანი—სიყრუეს. ამიტომაც ლაბიალურ ხშულთა ან სპირანტთა რიგში შეიძლება გვაკლდეს ყრუ ხშული ან სპირანტი, ხოლო ველარულ ხშულთა და სპირანტთა რიგში—მჟღერი ხშული ან სპირანტი. ამიტომ ხშულები და ნაპრალოვნები შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ასეთი სახითაც:

ხშულები

სპირანტები

b -

v -

d t

z s

k

x

მაგრამ დაუშვებელია რომელიმე ენაში გვექონდეს ხშულთა და ნაპრალოვანთა ასეთი სისტემები:

* - p

* - f

d t

z s

g

γ -

ამრიგად, ხშულებსა და სპირანტებში დასაშვებია შემდეგი სისტემები:

ხშულები

1) b p

2) b

3) b p

4) b

d t

d t

d t

d t

g k

g k

k

k

სპირანტები

5) v	f	6) v	7) v	f	8) v
z	s	z	s	z	s
γ	x	γ	x	x	x

მაგრამ აკრძალულია და არც ერთ ენაში არ იქნება რეალიზებული შემდეგი სისტემები:

ხშულები

I. *	-	p	II. *	b	p	III. *	-	p
	d	t		d	t		d	t
	g	k		g			g	

ნაპრალოვნები

IV. *	f	V. *v	f	VI. *	-	f
	z	s	z	s	z	s
	γ	x	γ	-	γ	-

იმ ადგილს, სადაც გვაკლია ესა თუ ის ფონემა, ეუწოდოთ ცარიელი უჯრა. როგორც ვხედავთ, ცარიელი უჯრების ანუ ლაკუნების (ლათ. lacuna „ღრმული, ფოსო, ხარვეზი“) განაწილება ენებში გარკვეულ ზოგად კანონზომიერებას ექვემდებარება. ის ფაქტი, რომ ქართული ენის სპირანტთა სისტემაში გვაკლია f, ხოლო რუსული ენის ნაპრალოვანთა სისტემაში – γ (ღ), კანონზომიერი მოვლენაა, რადგანაც ისეთი სისტემა ნაპრალოვნებისა, სადაც არ გვექნება ლაბიალური ყრუ ან ველარული მჟღერი სპირანტი, ტიპოლოგიური თვალსაზრისით დასაშვებია. მაგრამ ქართულში არ შეიძლებოდა გვექონდა სპირანტთა ისეთი სისტემა, სადაც ლაბიალური ყრუ სპირანტი წარმოღვენილი იქნებოდა, მაგრამ არ გვექნებოდა ლაბიალური მჟღერი. ცარიელ უჯრას სისტემაში შეიძლება ქმნიდეს მხოლოდ f, მაგრამ არა v ვ. ამიტომაც ქართულში გვაქვს v/ვ/, მაგრამ არა გვაქვს f (ეს ბგერა ქართულში შეიძლება დავადასტუროთ მხოლოდ როგორც პოზიციური ვარიანტი /ვ/ ფონემისა (მღრ. ftesaf „ვთესავ“) და არა როგორც დამოუკიდებელი ფონემა. რუსულში, როგორც ითქვა, გვაქვს ჯ, მაგრამ არა გვაქვს γ (ღ), რაც კანონზომიერი მოვლენაა. მაგრამ რუსულში არ შეიძლებოდა გვექონოდა სპირანტთა ისეთი სისტემა, სადაც წარმოღვენილი იქნებოდა γ x-ს არარსებობის შემთხვევაში.

ქართული ენის ხშულთა სისტემა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, სამეულბერივია:

1. ბ ფ კ
2. ღ თ ტ
3. ძ ც წ
4. ჯ ჩ ჭ

5. ბ ქ კ

6. - - ყ

როგორც ვხედავთ, მეექვსე რიგში ორი თავისუფალი უჯრა გვაქვს. მაგრამ ძვ. ქართულში მხოლოდ ერთი თავისუფალი უჯრა გვქონდა, რადგანაც ეს რიგი ჯ-ყ ფონემებით იყო წარმოდგენილი:

1. ბ ფ პ

2. დ თ ტ

3. ძ ც წ

4. ჯ ჩ ჭ

5. ბ ქ კ

6. - ჯ ყ

რადგანაც ხშულთა მეექვსე რიგი ქართულში გაქრობის ტენდენციას ამჟღავნებს, ამიტომ ქართულ ფონეტიკაში დამუშავდა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, მეექვსე რიგი ხშულებისა ქართული ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე სრული უნდა ყოფილიყო, ე. ი. ამ სისტემაში უნდა გვქონოდა მუდური ფარინგალი, რომელსაც აღნიშნავენ დ, ნიშნით და ამდენად, მეექვსე სამეულს ასეთი სახე უნდა ჰქონოდა დ, ჯ, ყ. ტიპოლოგიური თვალსაზრისით ასეთი სისტემის არსებობა საკვებით დასაშვებია. ფარინგალურ ხშულთა რიგში შესაძლებელია გვქონოდა სამივე ხშული, მაგრამ ამავე ტიპოლოგიური თვალსაზრისით დასაშვებია ცარიელი უჯრების არსებობაც ხშულთა მეექვსე სამეულში. შესაძლებელია ეს რიგი საერთოდ არ არსებობდეს, მაგრამ თუ იგი არსებობს რომელიმე ენაში (მაგალითად, ქართულში), მაშინ ცარიელი უჯრების განაწილება ზოგად კანონზომიერებას დაექვემდებარება. შეუძლებელია ამ რიგში გვქონდეს მუდური ხშული და არ გვქონდეს ყრუ ხშულები, ე. ი. მოცემულ სამეულს შეუძლებელია ასეთი სახე ჰქონდეს * დ. ასევე დაუშვებელია მოცემულ სამეულში წარმოდგენილი იყოს მუდური და ფშვინიერი ფონემები, მაგრამ არ იყოს სათანადო მკვეთრი, ე. ი. ეს რიგი შეუძლებელია წარმოდგენილი იყოს როგორც დ, ჯ, -, ამიტომ ტიპოლოგიური თვალსაზრისით დაუშვებელია ასეთი სისტემები:

1) *ბ ფ პ II. * ბ ფ პ

დ თ ტ დ თ ტ

ძ ც წ ძ ც წ

ჯ ჩ ჭ ჯ ჩ ჭ

ბ ქ კ ბ ქ კ

დ - დ ჯ

მაგრამ ამავე ტიპოლოგიური თვალსაზრისით დასაშვებია ასეთი სისტემები ხშულებისა:

I) * ბ ფ პ II.	* ბ ფ პ
ლ თ ტ	ლ თ ტ
ძ ც წ	ძ ც წ
ჯ ჩ ჭ	ჯ ჩ ჭ
ბ ქ კ	ბ ქ კ
ღ ნ ყ	ღ ნ ყ

III) * ბ ფ პ	IV. * ბ ფ პ
ლ თ ტ	ლ თ ტ
ძ ც წ	ძ ც წ
ჯ ჩ ჭ	ჯ ჩ ჭ
ბ ქ კ	ბ ქ კ
- - ყ	- - -

რადგანაც მუღერიობა ვერ უთავსდება ველარობას, იგი უფრო ძნელად შეიძლება შეუთავსდეს ფარინგალობას. ამიტომ რომაული ციფრებით აღნიშნული სისტემები ხშულებისა დაუშვებელია ტიპოლოგი-ური თვალსაზრისით. დასაშვებია ამ თვალსაზრისით მხოლოდ არაბული ციფრებით აღნიშნული სისტემები. მაგრამ მოცემული ოთხი სისტემის არსებობას ტიპოლოგიური თვალსაზრისით ერთნაირი ალბათობა აქვს. ამიტომ ამ თვალსაზრისით შეუძლებელია გავარკვიოთ თუ რომელი სისტემა გექონდა ქართულში მისი განვითარების ადრეულ ეტაპებზე: პირველი თუ მეორე. ორივე ეს სისტემა ტიპოლოგიური თვალსაზრისით ერთნაირად სააღბათოა და ამიტომ ქართული ენის განვითარების ამ უძველეს პერიოდში შეიძლებოდა გექონოდა როგორც ერთი, ისე მეორე სისტემა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ფაქტი, რომ ძველ ქართულში შეექცეს სამეულში ერთი ცარიელი უჯრა გვაქვს, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მოცემულ სამეულში მუღერი ფარინგალის არსებობა დავუშვათ ქართული ენის განვითარების რაღაც ეტაპებზე ანდა ქართველურ ფუძე-ენაში. ასეთი სრული სისტემა ხშულებისა შესაძლებელია არსებულებო, მაგრამ ასევე შესაძლებელია, რომ იგი არ არსებულებო, რადგანაც ამ რიგში დასაშვებია ცარიელი უჯრის ან უჯრების არსებობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მუღერი ფარინგალის არსებობის საკითხი ქართველურ ფუძე-ენაში უნდა გადაწყვიტოს ისტორიულ-შედარებითმა ენათმეცნიერებამ და არა ტიპოლოგიამ. ტიპოლოგია ამ საკითხს ვერ გადაგვიწყვეტს, რადგანაც ამ თვალსაზრისით, ვიმეორებთ, მუღერი ფარინგალის არსებობა ან მისი არარსებობა ქართველურ ფუძე-ენაში ერთნაირად სააღბათოა.

ამრიგად ენებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ გარკვეული სახის ფონოლოგიური სტრუქტურები, ე. ი. ისეთი სტრუქტურები, რომლებიც დასაშვებია ტიპოლოგიური თვალსაზრისით. ერთი სიტყვით, ფონოლოგიური

სისტემებისათვის დამახასიათებელია გარკვეული ტიპოლოგიური შეზღუდვები, რაც შესაძლებელ ხდის ფონოლოგიურ სისტემათა გარკვეული ტიპების არსებობას, მაგრამ კრძალავს ასევე გარკვეული ტიპის სისტემებს, რომლებიც არ რეალიზდებიან ბუნებრივ ენებში.

ამგვარი შეზღუდვები დამახასიათებელი არ არის მხოლოდ ფონოლოგიისათვის. ეს პრინციპი ვრცელდება გრამატიკულ და საერთოდ ენობრივ სისტემებზე. განვიხილოთ ამ თვალსაზრისით ნომინატიური და ერგატიული სისტემები. როგორც ვიცით, ნომინატიურია ისეთი სისტემა, სადაც გარდაუვალი და გარდამავალი ზმნის სუბიექტი ბრუნვის მიხედვით ერთმანეთს ემთხვევა. ამავე თვალსაზრისით მათგან განსხვავებულია პირდაპირი ობიექტი, ე. ი. პირდაპირი ობიექტი სპეციალური ბრუნვით გამოიხატება. ერგატიულია სისტემა, თუ გარდაუვალი ზმნის სუბიექტი ბრუნვის მიხედვით პირდაპირ ობიექტს ემთხვევა და არა გარდამავალი ზმნის სუბიექტს. ეს უკანასკნელი მათგანი განსხვავებულია, ე. ი. გამოხატულია სპეციალური ბრუნვით, რომელსაც ერგატივს უწოდებენ. ამრიგად, ნომინატიურ სისტემაში სპეციალური ბრუნვით (აკუზატივი) გამოიხატება პირდაპირი ობიექტი, ხოლო ერგატიულ სისტემაში — გარდამავალი ზმნის სუბიექტი. ეს სპეციალური ბრუნვაა ერგატივი. ამიტომ ნომინატიურ სისტემაში ზედმეტია ერგატივი, ხოლო ერგატიულ სისტემაში — აკუზატივი. უფრო მეტიც, ერგატივი და აკუზატივი ერთმანეთთან შეუთავსებელია. თუ სისტემაში გვაქვს ერგატივი, მაშინ ამავე სისტემაში აღარ გვექნება აკუზატივი და პირიქით: თუ სისტემაში აკუზატივი გვაქვს, ამავე სისტემაში ერგატივი აღარ გვექნება. ერთი სიტყვით, ნომინატიური სისტემა გამორიცხავს ერგატიულს, ხოლო ერგატიული სისტემა — აკუზატივს. რა თქმა უნდა, შეიძლება გვექონდეს ისეთი ენები, სადაც წარმოდგენილია როგორც ნომინატიური, ისე ერგატიული სისტემა. მაგალითად, ქართულში დრო-კილოთა პირველი სერიის ფორმებთან ნომინატიური სისტემა გვაქვს, რადგანაც ამ შემთხვევაში ერთი და იმავე ბრუნვით (ნომინატივი) გამოხატულია როგორც გარდაუვალი ზმნის სუბიექტი (სახლი შენდება), ისე გარდამავალი ზმნის სუბიექტიც (ოსტატი სახლს აშენებს), ხოლო პირდაპირი ობიექტი სპეციალური ბრუნვით (მიცემითი) არის გამოხატული. დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმებთან კი, პირიქით, ერგატიული სისტემა გვაქვს, რადგანაც აქ გარდაუვალი ზმნის სუბიექტი კვლავ ნომინატივში დგას (სახლი აშენდა) და იგი ბრუნვის მიხედვით ემთხვევა პირდაპირ ობიექტს (ოსტატმა სახლი ააშენა) და არა გარდამავალი ზმნის სუბიექტს. ეს უკანასკნელი სპეციალურ ბრუნვაში დგას (ერგატივი) და, ამდენად, განსხვავებულია გარდაუვალი ზმნის სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ბრუნვისაგან. ერთი სიტყვით,

ქართულში ნომინატიური და ერგატიული სისტემები ერთმანეთთან თანაარსებობენ, რაც თითქოს ერგატივისა და აკუზატივის თანაარსებობასაც ნიშნავს, მაგრამ თვითონ ნომინატიური ან ერგატიული სისტემის ფარგლებში ერგატივი და აკუზატივი ერთმანეთს გამოირიცხავს. ამიტომ დრო-კილოთა პირველი სერიის ფორმებთან არა გვაქვს ერგატივი, ხოლო მეორე სერიის ფორმებთან-აკუზატივი, რომლის როლს ქართულში მიცემითი ბრუნვა ითავსებს. როგორც ვხედავთ, ერთი სისტემის ფარგლებში ერგატივისა და აკუზატივის თანაარსებობა დაუშვებელია: თუ ერგატივი გვაქვს სისტემაში, მაშინ ამავე სისტემაში აკუზატივი აღარ გვექნება და, პირიქით, თუ სისტემაში აკუზატივი გვაქვს, მაშინ ამავე სისტემაში ერგატივი აღარ შეგვხვდება.


არსებითია მაინც ის, რომ სისტემა ან ნომინატიური უნდა იყოს, ან ერგატიული. სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ურთიერთობა ენებში შეიძლება გამოიხატებოდეს მხოლოდ მოცემული ორი სისტემით. რაიმე მესამე სისტემის არსებობა ავტომატურად გამოირიცხვება. გარდაუვალი ზმნის სუბიექტი ბრუნვის მიხედვით შეიძლება ემთხვეოდეს ან გარდამავალი ზმნის სუბიექტს, ანდა პირდაპირ ობიექტს. სხვა რაიმეს იგი (გარდაუვალი ზმნის სუბიექტი) არ შეიძლება ემთხვეოდეს და, ამდენად, რჩება მხოლოდ ორი შესაძლებლობა: თუ გარდაუვალი ზმნის სუბიექტი ბრუნვის მიხედვით გარდამავალი ზმნის სუბიექტს დაემთხვევა, მაშინ მივიღებთ ნომინატიურ სისტემას, მაგრამ თუ გარდაუვალი ზმნის სუბიექტი პირდაპირ ობიექტს დაემთხვევა ბრუნვის მიხედვით, მაშინ ერგატიული სისტემა წარმოიქმნება. სხვა რაიმე შესაძლებლობა ლოგიკურად გამოირიცხვება და ამიტომ ენებში ან ნომინატიური სისტემა გვაქვს, ან ერგატიული, ანდა ორივე ერთად. თუ ორივე ეს სისტემა ერთ ენაში გვაქვს, მაშინ ისინი სხვადასხვა პოზიციაშია წარმოდგენილი. ქართულში, როგორც ვნახეთ, ნომინატიური სისტემა გვაქვს დრო-კილოთა პირველი სერიის ფორმებთან, ხოლო ერგატიული-დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმებთან. ზოგ ავსტრალიურ ენაში არსებით სახელებში ერგატიული სისტემა გვაქვს, ხოლო ნაცვალსახელებში-ნომინატიური. არსებობს ისეთი ენებიც, სადაც იმპერფექტულ დროებთან ნომინატიური სისტემა გვაქვს, ხოლო პერფექტულ დროებთან – ერგატიული. როგორც ვხედავთ, იმ ენებში სადაც ნომინატიური და ერგატიული სისტემები ერთმანეთთან თანაარსებობენ, მათ გავრცელების სხვადასხვა არე აქვთ და ამიტომ ერთმანეთში არ ირევიან.

მაგრამ ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ ისეთი შემთხვევები, როდესაც გარდაუვალი ზმნის სუბიექტი ემთხვევა ბრუნვის მიხედვით ან გარდამავალი ზმნის სუბიექტს (ნომინატიური სისტემა), ანდა პირდაპირ

ობიექტს (ერგატიული სისტემა). ხომ შესაძლებელია გარდაუვალი ზმნის სუბიექტი, გარდამავალი ზმნის სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი ერთმანეთს ემთხვეოდეს ბრუნვის მიხედვით, ანდა სამივე ეს ერთეული განსხვავებული ბრუნვებით გამოიხატებოდეს. პირველი შემთხვევა ენებში მართლაც დასტურდება, რადგანაც ხშირად გარდაუვალი ზმნის სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი და გარდამავალი ზმნის სუბიექტი ერთმანეთისაგან მორფოლოგიურად არ განსხვავდება. ასეთი მდგომარეობა გვაქვს, მაგალითად, ინგლისურში, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, როგორც ეს გარკვეული იყო ზემოთ (იხ. თავი მეხუთე, §2.4.), წინა პლანზე გამოდის სიტყვათა რიგი, რომელიც იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ნომინატივისა და აკუსატივის ოპოზიცია. ამიტომ იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემული სამი ერთეული ერთმანეთისაგან ფორმალურად არ არის განსხვავებული, მაინც ნომინატიური სისტემა წარმოიქმნება.

რაც შეეხება ხსენებული სამი ერთეულის სხვადასხვა ბრუნვით გამოხატვას, ასეთი რამ ენებში არ შეინიშნება, რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა. ისეთი სისტემა, სადაც გარდაუვალი ზმნის სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი და გარდამავალი ზმნის სუბიექტი სამი სხვადასხვა ბრუნვით იქნებოდა გამოხატული, აკრძალულ სისტემათა რიცხვს ეკუთვნის. ასეთი სისტემა არ შეიძლება არსებობდეს და არც არსებობს რომელიმე ენაში. საქმე ისაა, რომ ნომინატიური და ერგატიული სისტემების წარმოქმნა გარკვეულ პირობებში ხდება და ორივე მათგანის წარმოქმნას აპირობებს სიტყვათა ფიქსირებული რიგის არარსებობა.

თუ სიტყვათა რიგი ენაში ფიქსირებული არ არის, მაშინ სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს შორის არსებული იერარქიის გამოსახატავად და მათ შორის დისტანციის დასამყარებლად რჩება მხოლოდ ორი გზა: ან პირდაპირი ობიექტი უნდა გამოიხატოს ისეთი ბრუნვით, რომელშიც არ შეიძლება იდგეს სუბიექტი, ანდა სუბიექტი უნდა დადგეს ისეთ ბრუნვაში, რომელშიც პირდაპირი ობიექტი არ შეიძლება დაისვას. პირველ შემთხვევაში ნომინატიურ სისტემას მივიღებთ, ხოლო მეორე შემთხვევაში—ერგატიულს. ამოსავლად მივიღოთ ისეთი სისტემა, სადაც გარდამავალი ზმნის სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი და გარდაუვალი ზმნის სუბიექტი პირობითად ნომინატივით იქნება გამოხატული:



ასეთი სისტემა ნომინატიური იქნება იმ შემთხვევაში, თუ გარდამავალი ზმნის სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის განსასხვავებლად გვექნება სიტყვათა ფიქსირებული რიგი. მაგრამ


სიტყვათა ფიქსირებული რიგის არარსებობის შემთხვევაში მოცემული სისტემა ან ნომინატიურ სისტემას მოგვცემს, ანდა ერგატიულს. ნომინატიურ სისტემას მივიღებთ იმ შემთხვევაში, თუ პირდაპირი ობიექტის ბრუნვა აკუსატივს მოგვცემს, ე.ი. თუ გვექნება $N \rightarrow \text{Acc}$. ტრანსფორმაცია:



მაგრამ აქვე სისტემიდან შეიძლება მივიღოთ ერგატიული სისტემა, თუ გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვა შეიცვლება, ე.ი. თუ გვექნება $N \rightarrow \text{Erg}$ ტრანსფორმაცია:



ამიტომ ნომინატიური და ერგატიული სისტემები ერთი და იმავე სისტემის ორი სხვადასხვა ვარიანტია, რომლებშიც ან პირდაპირი ობიექტის ბრუნვა ექვემდებარება ტრანსფორმაციას (ნომინატიური სისტემა), ანდა გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვა (ერგატიული სისტემა). დაუშვებელია ტრანსფორმაციას ექვემდებარებოდეს ერთდროულად პირდაპირი ობიექტისა და გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვები, რადგანაც ერთი ტრანსფორმაცია მეორის ბლოკირებას იწვევს. თუ ტრანსფორმაციას განიცდის პირდაპირი ობიექტის ბრუნვა, მაშინ გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვა ტრანსფორმაციას არ დაექვემდებარება, რადგანაც ასეთ შემთხვევაში მივიღებთ ისეთ სისტემას, სადაც აკუსატივიც იქნება და ერგატივიც:



ასევე თუ ტრანსფორმაციას განიცდის გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვა, მაშინ დაუშვებელია ტრანსფორმაციას განიცდიდეს პირდაპირი ობიექტის ბრუნვა. რადგანაც ამ შემთხვევაშიც ისეთი სისტემა მიიღება, სადაც ერგატივიც გვექნება და აკუსატივიც.

გარდამავალი ზმნის სუბიექტის, პირდაპირი ობიექტისა და გარდამავალი ზმნის სუბიექტის წარმოდგენა სამ სხვადასხვა ბრუნვაში სხვა არაფერია, თუ არა ერგატივისა და აკუსატივის თანაარსებობა ერთი სისტემის ფარგლებში. რადგანაც მათი თანაარსებობა ერთი სისტემის ფარგლებში დაუშვებელია, ამიტომ ისეთი სისტემა, სადაც მოცემული სამი ერთეული სხვადასხვა ბრუნვაში იქნებოდა წარმოდგენილი, დაუშვებელია. მაშასადამე, რჩება მხოლოდ ორი შესაძლებლობა: სუბიექტისა

და პირდაპირი ობიექტის იერარქია ან ნომინატიური სისტემით უნდა გამოიხატოს, ანდა ერგატიულით.

დაუშვათ ახლა, რომ გარდამავალი ზმნის სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი და გარდამავალი ზმნის სუბიექტი შესაძლებელია გამოიხატებოდეს მოცემული სამი ბრუნვიდან (ნომინატივი, ერგატივი, აკუსატივი) ნებისმიერი ბრუნვით. ასეთ შემთხვევაში გვექნებოდა თვრამეტი სხადასხვა ვარიანტი, გარდამავალი ზმნის სუბიექტის, პირდაპირი ობიექტისა და გარდაუვალი ზმნის სუბიექტის გამოხატვისა. მათ რიცხვში გვექნებოდა ისეთი ვარიანტებიც, რომლებშიც სამივე ეს ერთეული ერგატივით ან აკუსატივით იქნებოდა გამოხატული:

*A	P	S	*A	P	S
Erg	Erg	Erg	Acc	Acc	Acc

მაგრამ მოცემული სისტემები და მათი მსგავსი სხვა სისტემა აკრძალული სისტემებია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სუბიექტი არ შეიძლება აკუსატივში იდგეს, ანდა პირდაპირი ობიექტი წარმოდგენილი იყოს ერგატივში. ამიტომ ისეთი სისტემები, სადაც სუბიექტი აკუსატივში იქნებოდა წარმოდგენილი, ზოლო პირდაპირი ობიექტი — ერგატივში, არც არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს.

ამრიგად, ნომინატიური და ერგატიული სისტემების განხილვაც ადასტურებს იმ ზოგად პრინციპს, რომლის მიხედვითაც ენებში შეიძლება რეალიზდებოდეს მხოლოდ ისეთი სისტემები, რომლებიც ტიპოლოგიური თვალსაზრისით დასაშვებია. თვითონ ამ სისტემებისათვის გარკვეული ვარიანტულობა არის დამახასიათებელი და ამიტომ ენას დარჩენია მხოლოდ ის შესაძლებლობა, რომ ორი ან მეტი ვარიანტისაგან ერთ-ერთი აირჩიოს. ენას, ამრიგად, აქვს სელექციის საშუალება, მაგრამ შეზღუდულ ფარგლებში, რადგანაც არჩევანი უნდა მოხდეს მხოლოდ იმ ვარიანტებს შორის, რომლებიც ტიპოლოგიური თვალსაზრისით დასაშვებია. ამიტომ ენებში არ შეიძლება წარმოდგენილი იყოს რაიმე ისეთი სისტემა, რომელიც ტიპოლოგიური თვალსაზრისით დაუშვებელია.

40-50-იანი წლების ენათმეცნიერებაში გავრცელებული იყო თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ენებს შორის განსხვავებამ არ იცის რაიმე საზღვარი. ენობრივი სტრუქტურები, ამ თვალსაზრისის მიხედვით, შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან უსასრულოდ და სრულიად მოულოდნელი სახით. ლინგვისტიკამ უნდა აღწეროს განსხვავებული ენობრივი სტრუქტურები, მოახდინოს მათი მოდელირება, მაგრამ თვითონ განსხვავებათა მოდელირება შეუძლებელია, რადგანაც ისინი უსასრულოა.

მაგრამ ამ ბოლო დროს ენათმეცნიერებაში არსებითად შეიცვალა

მდგომარეობა, რადგანაც ენათა უფრო ღრმა კვლევამ აჩვენა საოცარი მსგავსებები ენებს შორის. გაირკვა, რომ ჩვენს პლანეტაზე არსებული ენობრივი სტრუქტურები იზომორფული (ბერძ. isos „ერთნაირი“, μορφή „ფორმა“) სტრუქტურებია და რომ ეს სტრუქტურები ერთი უნივერსალური ენობრივი სტრუქტურის ვარიანტებს წარმოადგენენ და თანაც ეს ვარიანტები ტიპოლოგიური თვალსაზრისით დასაშვები ვარიანტებია, რადგანაც ენებში არ შეიძლება რეალიზდებოდეს ისეთი სტრუქტურები, რომლებიც ტიპოლოგიური თვალსაზრისით დაუშვებელია. ამ ახალი თვალსაზრისის მიხედვით, ენაში წარმოდგენილი ყოველგვარი კონკრეტული ფაქტის მიღმა იმალება რაღაც უნივერსალური კანონზომიერება, რომლის კერძო რეალიზაციასაც წარმოადგენს ესა თუ ის ენობრივი მოვლენა. ასე, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ქართულში არა გვაქვს \bar{h} , როგორც ენახეთ, უნივერსალური კანონზომიერების გამოვლენა იმდენად, რამდენადაც სპირანტთა სისტემა, რომელშიც ყრუ ლაბიალური ფონემა არ გვექნება, ტიპოლოგიური თვალსაზრისით დასაშვებია და ეს შესაძლებლობა რეალიზდებულია ქართულში და ბევრ სხვა ენაშიც. ასევე, სუბიექტისა და პირადპირი ობიექტის ურთიერთობა შესაძლებელია გამოიხატოს ერგატიული სისტემით და ეს შესაძლებლობა გამოყენებულია ქართულში დრო-კილოთა მეორე სერიაში. ხშულები, როგორც ენახეთ, შესაძლებელია ქმნიდნენ წყვილულებს, სამეულებს, ოთხეულებს, მაგრამ არ შეიძლება ქმნიდნენ, ვთქვათ, ათეულებს. ამიტომ ჩვენ ვერც ერთ ენაში ვერ აღმოვაჩინთ ხშულთა ათეულებრივ სისტემას და ეს მაშინ, როდესაც ხშულთა წყვილულებრივი, სამეულებრივი და ოთხეულებრივი სისტემების არსებობა ენებში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. ხშულთა სისტემებში მოქმედებს ასეთი უნივერსალური წესიც. ხშულებში გვაქვს როგორც ყრუ ფშვინვიერები (ph, th, kh), ისე მჟღერი ფშვინვიერებიც (bh, dh, gh). თუ ენაში გვაქვს მჟღერი ფშვინვიერები, მაშინ ამავე ენაში ყოველთვის გვექნება ყრუ ფშვინვიერებიც, მაგრამ არა პირიქით: ენაში შესაძლებელია გექონდეს ყრუ ფშვინვიერებიც, მაგრამ არ გექონდეს მჟღერი ფშვინვიერები. ინლურ ენებში ფშვინვიერთა ორივე ეს სერია არის წარმოდგენილი, ხოლო ბერძნულსა და ქართულში მხოლოდ ყრუ ფშვინვიერთა სერია გვაქვს. მაგრამ ჩვენ ვერ ვიპოვით ისეთ ენას, სადაც გვექნება მჟღერი ფშვინვიერები. ამრიგად, ფშვინვიერება უფრო ეგუება სიყრუის ნიშანს, ვიდრე მჟღერობას. ამიტომ ყრუ ფშვინვიერები მჟღერ ფშვინვიერებს არ გულისხმობენ, მაგრამ მჟღერი ფშვინვიერები ყოველთვის გულისხმობენ სათანადო ყრუ ფშვინვიერებს.

ლინგვისტიკას, რომელიც იკვლევს ენებში მოქმედ უნივერსალურ წესებს, ეწოდება უნივერსალიათა ლინგვისტიკა ანუ უნივერსალური გრამატიკა. ასეთი უნივერსალური წესები შესაძლებელია ტრივარული

იყოს, ე. ი. არ ჰქონდეს რაიმე დიდი ამხსნელობითი ძალა. მაგალითად, ისეთი უნივერსალები, როგორცაა 1) ყველა ენაში გვაქვს ფონემები, 2) ყველა ენაში გვაქვს მორფემები, 3) ყველა ენაში არის სიტყვები ან წინადადებები და სხვ. ტრივიალური უნივერსალებია.

მაგრამ ამგვარი ტრივიალური უნივერსალების გვერდით გვაქვს ისეთი უნივერსალებიც, რომელთაც უდიდესი ამხსნელობითი ძალა აქვთ. ასეთია ყველა ზემოთ განხილული ფონოლოგიური და გრამატიკული უნივერსალია, რომლებიც გასაგებს ზღიან, თუ რატომაა დასაშვები ენებში სისტემათა გარკვეული ტიპები, მაგრამ აკრძალულია ასევე გარკვეული ტიპები სისტემებისა. ამგვარი უნივერსალები ნათელს ჰფენენ იმას, თუ რა ტიპოლოგიური ხასიათის შეზღუდვები ედება ენებში ფონოლოგიურ და გრამატიკულ სისტემებს, რითაც ეს უნივერსალები უდიდეს ამხსნელობით ძალას იძენენ. გარკვევა იმისა, თუ როგორი სისტემები შეიძლება რეალიზდებოდეს ენებში და როგორი არ შეიძლება რეალიზდებოდეს, წარმოადგენს ენობრივი ფაქტების არა უბრალო აღწერას, არამედ მათ ახსნას და ამიტომ ტიპოლოგიური ლინგვისტიკა ამხსნელობითი (ექსპლანატორული) მეცნიერებაა. განვიხილოთ ამ თვალსაზრისით რამდენიმე გრამატიკული უნივერსალია.

ზემოთ როდესაც კაუზატივს განვიხილავდით (იხ. თავი მეხუთე, §3.8.), მივედით იმ დასკვნამდე, რომ ჩართული სუბიექტი ქართულში რეალიზდება ორგვარად: როგორც პირდაპირი ობიექტი (შდრ. მასწავლებელი ბავშვს ატირებს) და როგორც ირიბი ობიექტი (შდრ. ბებია შვილიშვილს წერილს აწერინებს). მაგრამ ეს წესი დამახასიათებელი არ არის მხოლოდ ქართულისათვის. იგი უნივერსალური წესია, რომელიც ყველა ენაში მოქმედებს. ამ წესიდან გამოიყვანება მეორე, ასევე უნივერსალური, წესი: ჩართული სუბიექტი პირდაპირი ობიექტის სახით რეალიზდება იმ შემთხვევაში, თუ პირდაპირი ობიექტის ადგილი წინადადებაში დაკავებული არ არის. თუ ეს ადგილი დაკავებულია, მაშინ ჩართული სუბიექტი ირიბი ობიექტის სახით რეალიზდება. ეს წესი, რა თქმა უნდა, მოქმედებს ქართულშიც და ყველა სხვა ენაშიც. ასე, მაგალითად, ქართულში „ბატონი ყმას ამუშავებდა“ წინადადებაში პირდაპირი ობიექტის ადგილი დაკავებული არ არის, რადგანაც „ბატონი ყმას ამუშავებდა მიწას“ ტიპის წინადადებები არაგრამატიკულია. ამიტომ ჩართული სუბიექტი პირდაპირი ობიექტით (ყმას) რეალიზდება და თვითონ წინადადებაც სათანადოდ უდრის ორ წინადადებას: „ბატონი აიძულებდა ყმას“ და „ყმა მუშაობდა“. მაგრამ წინადადებაში „ბატონი ყმას მიწას ამუშავებინებდა“ პირდაპირი ობიექტის ადგილი წინადადებაში

დაკავებულია, რადგანაც „ამუშავებდა“, როგორც გარდამავალი ზმნა, პირდაპირ ობიექტს მოითხოვს. ამიტომაც მოცემულ წინადადებაში ჩართული სუბიექტი რეალიზდება არა პირდაპირი, არამედ ირიბი ობიექტით. თუ „ბატონი ყმას ამუშავებდა“ წინადადებაში სიტყვა „ყმას“ პირდაპირი ობიექტია, „ბატონი ყმას მიწას ამუშავებინებდა“ წინადადებაში იგი ირიბი ობიექტი ხდება. პირდაპირი ობიექტის ტრანსფორმაცია კი ირიბ ობიექტში განპირობებულია იმ უნივერსალური წესით, რომლის მიხედვითაც თუ წინადადებაში პირდაპირი ობიექტის ადგილი დაკავებულია, მაშინ ჩართული სუბიექტი ირიბი ობიექტის სახით უნდა რეალიზდებოდეს.

ვუწოდოთ „ამუშავებს“ ტიპის კაუზატივებს კაუზაციის პირველი საფეხური, ხოლო „ამუშავებინებს“ ტიპის კაუზატივებს—კაუზაციის მეორე საფეხური. კაუზაციის პირველ საფეხურზე დაუშვებელია ჩართული სუბიექტის რეალიზება ირიბი ობიექტით, ხოლო მეორე საფეხურზე, პირიქით, აკრძალულია ჩართული სუბიექტის პირდაპირი ობიექტით რეალიზება. პირველ საფეხურზე ჩართული სუბიექტი უნდა რეალიზდებოდეს მხოლოდ როგორც პირდაპირი ობიექტი, ხოლო მეორე საფეხურზე—მხოლოდ როგორც ირიბი ობიექტი. როგორც ვხედავთ, ჩართული სუბიექტის რეალიზების წესების რეგულირება უნივერსალური გრამატიკის მიხედვით ხდება. ამ გრამატიკის მიხედვით დაუშვებელია ისეთი ენის არსებობა, სადაც ჩართული სუბიექტი კაუზაციის პირველ საფეხურზე ირიბი ობიექტით იქნება რეალიზებული ხოლო მეორე საფეხურზე—პირდაპირი ობიექტით. ასეთი ენობრივი სისტემა ტიპოლოგიური თვალსაზრისით არ შეიძლება არსებობდეს. ჩართული სუბიექტი კაუზაციის პირველ საფეხურზე უნდა რეალიზდებოდეს, ვიმეორებთ, მხოლოდ როგორც პირდაპირი ობიექტი, ხოლო მეორე საფეხურზე—მხოლოდ როგორც ირიბი ობიექტი. ეს უნივერსალური წესი დაცულია ქართულშიც და ამიტომ კაუზაციის პირველ საფეხურზე ჩართული სუბიექტი ქართულშიც პირდაპირი ობიექტით რეალიზდება (ბატონი ყმას ამუშავებდა), ხოლო მეორე საფეხურზე—ირიბი ობიექტით (ბატონი ყმას მიწას ამუშავებინებდა).

ჩართული სუბიექტის რეალიზების წესებიდან გამომდინარეობს ერთი მეტად საინტერესო უნივერსალური წესიც. როგორც ვნახეთ, „ბატონი ყმას ამუშავებდა“ წინადადებაში ახალი პირდაპირი ობიექტის შემოყვანა ავტომატურად იწვევს ზმნის ტრანსფორმაციას კაუზაციის პირველი საფეხურიდან კაუზაციის მეორე საფეხურში (ამუშავებდა→ამუშავებინებდა) და ყოფილი პირდაპირი ობიექტის გადაკეთებას ირიბ ობიექტად

(ყმას ამუშავებდა→ყმას მიწას ამუშავებინებდა). მეორე ტრანსფორმაცია სხვა არაფერია, თუ არა აქტანტის ჩამოქვეითება და თანაც ასეთი ჩამოქვეითების დროს პირდაპირი ობიექტისგან ირიბ ობიექტს ვლებულობთ. აქედან დასკვნა: პირდაპირ და ირიბ ობიექტს შორის იერარქიული მიმართება გვაქვს და ამ იერარქიაში პირდაპირ ობიექტს უფრო მაღალი საფეხური უკავია, ვიდრე ირიბ ობიექტს. ზემოთ ჩვენ პირდაპირ და ირიბ ობიექტს შორის სწორედ ასეთი მიმართება დაუშვით (იხ. თავი მეხუთე, §2.2), ახლა კი გვეძლევა საშუალება ამ თვალსაზრისის დამტკიცებისა. პირდაპირი ობიექტი რომ უფრო მაღალი რანგის აქტანტაა, ვიდრე ირიბი ობიექტი, ამას ყველაზე ნათლად ჩართული სუბიექტის რეალიზაციის წესები გვიჩვენებენ.

ასევე უნივერსალური გრამატიკის მიხედვით ზდება ვერსიული მიმართებების რეგულირება ენებში. როგორც ეს გარკვეული იყო ზემოთ (იხ. თავი მეხუთე, §3.9), ირიბი ობიექტი აუცილებელი აქტანტაა როგორც სასხვისო, ისე სათავისო ქცევისათვის. მაგრამ სასხვისო ქცევაში ირიბი ობიექტი ექსპლიციტურად არის გამოხატული (პეტრე მეზობელს სახლს უშენებს), ხოლო სათავისო ქცევაში იგივე ირიბი ობიექტი იმპლიციტურად არის მოცემული, რადგანაც იგი სუბიექტთან არის გაერთიანებული (პეტრე სახლს იშენებს). ბუნებრივია, დაისვას კითხვა: რატომ ზდება ირიბი ობიექტის გაერთიანება სუბიექტთან სათავისო ქცევის შემთხვევაში?

ირკვევა, რომ ასეთი გაერთიანება გამოწვეულია უნივერსალური წესებით, ე. ი. ეს მოვლენა უნივერსალური გრამატიკით არის სანქცირებული. საქმე ისაა, რომ მნიშვნელობა, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ორგვარია: რეფერენციალური და დიფერენციალური. ასე, მაგალითად, „თბილისი“ და „საქართველოს დედაქალაქი“ რეფერენცი-ალური მნიშვნელობის მიხედვით ერთნაირია, რადგანაც ორივე ეს სიტყვა ერთ რეფერენტს აღნიშნავს, მაგრამ მათი დიფერენციალური მნიშვნელობა სხვადასხვაა, რადგანაც „თბილისი საქართველოს დედაქალაქია“ წინადადების მნიშვნელობა არ უდრის „თბილისი თბილისია“ წინადადების მნიშვნელობას. რეფერენციალური მნიშვნელობა, როგორც ვნახეთ, სხვა არაფერია, თუ არა სიტყვის მიმართება რეფერენტთან, ხოლო დიფერენციალურია იმ სემანტიკური კომპონენტების ერთობლიობა, რითაც ერთი მნიშვნელობა განსხვავდება მეორისაგან. ასე, მაგალითად, პირველი პირის ნაცვალსახელი „მე“ და მესამე პირის ნაცვალსახელი „ის“ სხვადასხვა დიფერენციალურ მნიშვნელობას გამოხატავენ (იხ. თავი მეხუთე, § 3.5), მაგრამ რეფერენციალური მნიშვნელობის მიხედვით ისინი შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს, თუ, რა თქმა უნდა, ორივე ამ

ნაცვალსახელის რეფერენტი ერთი და იგივე პიროვნება იქნება: მაგალითად, წინადადებაში „მე თავი შევირცხვინე“, ე. ი. „მე შევირცხვინე ის“ ნაცვალსახელები „მე“ და „ის“ ერთსა და იმავე პიროვნებას აღნიშნავს და, ამდენად, რეფერენციალური მნიშვნელობის მიხედვით ისინი ერთმანეთს ემთხვევიან.

თუ რეფერენციალური მნიშვნელობის მიხედვით სუბიექტი ემთხვევა პირდაპირ ან ირიბ ობიექტს, მაშინ ძალაში შედის რეფლექსივიზაციის წესი (ლათ. reflexus „უკუქცეული“), რომლის მიხედვითაც ის წვერი, რომელიც იერარქიის უფრო დაბალ საფეხურზე დგას, უკუქცევითი ნაცვალსახელით უნდა შეიცვალოს. წინადადება „პეტრემ თავი მოიკლა“ წარმოადგენს „პეტრემ პეტრე მოკლა“ (მან ის მოკლა) წინადადების ტრანსფორმს. თუ ამ წინადადებაში სუბიექტი (პეტრემ) და პირდაპირი ობიექტი (პეტრე) სხვადასხვა პიროვნებას აღნიშნავს, მაშინ მოცემული წინადადება მხოლოდ ამ სახით შეიძლება რეალიზდებოდეს, მაგრამ თუ ამავე წინადადებაში სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი ერთსა და იმავე პიროვნებას აღნიშნავს, ე. ი. თუ სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი რეფერენციალური მნიშვნელობის მიხედვით ერთმანეთს დაემთხვევა, მაშინ მოცემული წინადადება „პეტრემ თავი მოიკლა“ წინადადების სახით იქნება რეალიზებული. წინადადება „პეტრემ თავი მოიკლა“ მნიშვნელობით იგივეა, რაც *„პეტრემ მოიკლა პეტრე“, მაგრამ რადგანაც სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი ერთსა და იმავე რეფერენსტს გულისხმობს, ამიტომ მოცემული წინადადება რეალიზდება როგორც „პეტრემ მოიკლა თავი“.

რეფლექსივიზაციის დროს, როგორც უკვე ითქვა, უკუქცევითი ნაცვალსახელით გამოიხატება ის წვერი, რომელიც იერარქიულად უფრო დაბალ საფეხურზე დგას. ამიტომ სუბიექტი, როგორც იერარქიული თვალსაზრისით მაღალი რანგის აქტანტა, რეფლექსივიზაციას არ განიცდის, რაც აპირობებს იმას, რომ, ვთქვათ, ქართულში *„თავმა პეტრე მოიკლა“ გრამატიკულად არასწორი წინადადებაა, ხოლო „პეტრემ თავი მოიკლა“—გრამატიკულად სწორი. პირველ წინადადებაში სუბიექტია შეცვლილი უკუქცევითი ნაცვალსახელით, რაც დაუსვებელია უნივერსალური წესის მიხედვით. ამის დასამტკიცებლად საკმარისია დავასახელოთ რუსული, სადაც, ვთქვათ, „Пётр застрелил себя“ ან „Пётр застрелился“ წინადადებები გრამატიკულად სწორია, მაგრამ *Пётр застрелил Петра ან *Сеня застрелился არ წარმოადგენენ გრამატიკულად სწორ წინადადებებს. გრამატიკული სისწორის მარჯვლირებული წესი ორივე ენაში (ქართული და რუსული) ერთნაირია,

რადგანაც იგი უნივერსალურია. ეს უნივერსალური წესი კრძალავს სუბიექტის რეფლექსივიზაციას, სუბიექტი არ შიძლება შეიცვალოს უკუქცევითი ნაცვალსახელით. სწორედ ამიტომ ცდნა უკუქცევით ნაცვალსახელს რუსულში სახელობითი ბრუნვა არცა აქვს. სახელობითი რუსულში ხომ მხოლოდ სუბიექტის ბრუნვაა და რადგანაც სუბიექტი რეფლექსივიზაციას არ განიცდის, ამიტომ ცდნა ნაცვალსახელს სახელობითი ბრუნვაც არ სჭირდება.

რეფლექსივიზაციის წესით აიხსნება ირიბი ობიექტის გაერთიანება სუბიექტთან სათავისო ქცევის ფორმებში. საქმე ისაა, რომ სასხვისო ქცევის ირიბი ობიექტი, მართალია, ყოველთვის ექსპლიციტურად არის გამოხატული, მაგრამ ამავე დროს იგი (ირიბი ობიექტი) არასოდეს არ ემთხვევა სუბიექტს რეფერენციალური მნიშვნელობის მიხედვით (თუ ასეთი დამთხვევა მაინც მოხდება, მაშინ სასხვისო ქცევა ავტომატურად გვაძლევს სათავისო ქცევას). ასე, მაგალითად, „პეტრემ მეზობელს სახლი აუშენა“ წინადადებაში, რომელიც სასხვისო ქცევას გამოხატავს, თუ ირიბი ობიექტი სუბიექტს დაემთხვევა რეფერენტის მიხედვით (პეტრემ პეტრეს სახლი აუშენა), მაშინ ორგვარი ტრანსფორმი წარმოიქმნება: 1) პეტრემ თავის თავს სახლი აუშენა, 2) პეტრემ სახლი აიშენა. მნიშვნელობის მიხედვით ეს ორი ტრანსფორმი ერთმანეთს ემთხვევა, რადგანაც მეორე წინადადებაც (პეტრემ სახლი აიშენა) იმ აზრს გადმოსცემს, რომ პეტრემ თავისთვის ააშენა სახლი. მაგრამ რადგანაც ქართულში ქცევა გრამატიკულად არის გამოხატული, ამიტომ უფრო ჩვეულებრივია „პეტრემ სახლი აიშენა“ ტიპის წინადადებები. მაგრამ მთავარი ისაა, რომ სასხვისო ქცევის პარადიგმიდან სათავისო ქცევის პარადიგმაზე გადასვლა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ობიექტი სუბიექტს დაემთხვევა რეფერენტის მიხედვით. ამიტომ სათავისო ქცევა ჩვენ უნდა განვიხილოთ როგორც სასხვისო ქცევის სპეციალური შემთხვევა, კერძოდ კი, ისეთი შემთხვევა, როდესაც ირიბი ობიექტი რეფერენტის მიხედვით სუბიექტს ემთხვევა. ამიტომ სათავისო ქცევას გამოხატავს ქართულში არა მარტო „პეტრემ სახლი აიშენა“ ტიპის წინადადებები, არამედ „პეტრემ თავისთავს აუშენა სახლი“ ტიპის წინადადებებიც.

ამრიგად, უნივერსალური გრამატიკა შუქს ფენს იმ საკითხებს, თუ რატომ და რა პირობებში რეალიზდება ჩართული სუბიექტი პირდაპირი ან ირიბი ობიექტის სახით, რატომ გვაქვს სათავისო ქცევის ფორმებთან იმპლიციტური ირიბი ობიექტი ექსპლიციტურად არის გამოხატული. ერთი სიტყვით, ტიპოლოგიური ლინგვისტიკის ექსპლანატორული ძალა

კაუზატივისა და ქცევის მაგალითზე კარგად ჩანს. თუ ტიპოლოგიურ კვლევას მიზნად დაუუსახავთ დასაშვები ლინგვისტური სტრუქტურების გამიჯვნის საკითხს დაუშვებელი ლინგვისტური სტრუქტურებისაგან, მაშინ ლინგვისტიკა ავტომატურად იძენს ამხსნელობით ძალას. იმის გარკვევა, თუ რა არის ენებში შესაძლებელი და რა არის დასაშვები, უკვე ახსნაა და ამიტომ ენათმეცნიერება, რომელიც ამგვარი შესაძლებლობების მოდელირებას ახდენს, ექსპლანატორული მეცნიერებაა. თავის დროზე ნ. ს. ტრუბეცკოი, ფონოლოგიისა და ტიპოლოგიური ლინგვისტიკის ფუძემდებელი, აღნიშნავდა, რომ შესაძლებლობების შესახებ მეცნიერება არ შეიძლება არსებობდესო. ნ. ტრუბეცკოის, ისევე როგორც სხვებს, მიაჩნდა, რომ შესაძლებლობანი უსასრულოა და ამიტომ მათი მოდელირება შეუძლებელია. მაგრამ ირკვევა, რომ შესაძლებლობანი არ არის უსასრულო, მათი რაოდენობა განსაზღვრულია, ხოლო განსაზღვრულია იმიტომ, რომ შესაძლებლობებსაც ედება გარკვეული შეზღუდვები, რაც აპირობებს გარკვეული ტიპის ლინგვისტური სტრუქტურების არსებობას, კრძალავს რა ასევე გარკვეული ტიპის ლინგვისტურ სტრუქტურებს.

როგორც ვხედავთ, ყველა ენა ერთი და იმავე ფონდით სარგებლობს. უნივერსალური გრამატიკის ფონდიდან წარმოქმნის თავის სტრუქტურას. ამიტომ ენებს შორის განსხვავება ნავარაუდევია თვითონ უნივერსალური გრამატიკის მიხედვით. საქმე ისაა, რომ ესა თუ ის კონკრეტული ენა ახდენს არა მთელი უნივერსალური ლინგვისტური სტრუქტურის, არამედ მისი ერთ-ერთი ვარიანტის რეალიზაციას. ამიტომ ჩვენ პლანეტაზე არსებული ენები შეიძლება განვიხილოთ როგორც უნივერსალური ლინგვისტური სტრუქტურის სხვადასხვა ვარიანტი, რომლებშიც არ შეიძლება იყოს ისეთი რაიმე მოვლენა, რომელიც უნივერსალური გრამატიკით არ იქნება სანქცირებული. „ენაში, –წერდა ვ. ჰუმბოლდიტი, – ისე საოცრადაა ერთმანეთთან შერწყმული ინდივიდუალური და უნივერსალური, რომ ერთნაირად სწორია ვთქვათ, რომ კაცობრიობის მთელი მოდგმა ერთ ენაზე ლაპარაკობს და ამავე დროს ყველა ინდივიდს თავისი საკუთარი ენა აქვს“.

§2.3. დიაქრონული ტიპოლოგია

გარკვევა იმისა, თუ რა სახის სტრუქტურები შეიძლება რეალიზდებოდეს ენებში და როგორი სტრუქტურებია საერთოდ აკრძალული დიაქრონიულ კვლევას ანიჭებს არნახულ სუზუსტეს, რადგანაც ამგვარი კვლევა ითვალისწინებს იმ შეზღუდვებს, რაც შეიძლება

დამახასიათებელი იყოს ენობრივი სტრუქტურებისათვის. ამიტომ ტოპოლოგიური ემათმეცნიერება უდიდეს სამსახურს უწევს დიაქრონიულ ლინგვისტიკას, წარმართავს რა დიაქრონიულ კვლევას გარკვეული მიმართულებით. ამ დებულების საუკეთესო ილუსტრაციაა თ. გამყრელიძისა და ვიან. ივანოვის თეორია რომელსაც გლოტალურ თეორიას უწოდებენ.

დიდი ხნის განმავლობაში ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში გავრცელებული იყო თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ინდოევროპულ ფუძე-ენაში აღადგენდნენ ხშულთა ასეთ სისტემას:

I	II	III
(b)	bh	p
d	dh	t
g	gh	k

მაგრამ მოცემული რეკონსტრუქციის ტიპოლოგიური ვერიფიკაციის (ლათ. verus „ჭეშმარიტი“, facio „ვაკეთებ“) შედეგად ირკვევა, რომ სისტემა, რომელსაც აღადგენდნენ ინდოევროპულ ფუძე-ენაში, საერთოდ არ შეიძლებოდა არსებულიყო, რადგანაც ასეთი სისტემა ტიპოლოგიური თვალსაზრისით დაუშვებელია ორი მიზეზის გამო:

1) ინდოევროპულ ფუძე-ენაში არ აღდგება ლაბიალური მჟღერი ფონემა b, მაგრამ აღდგება p. ისეთი სისტემა კი, სადაც იქნება p, მაგრამ არ იქნება b, როგორც ვნახეთ, ტიპოლოგიური თვალსაზრისით დაუშვებელია. თუ სისტემაში გვაქვს p, მაშინ ამავე სისტემაში ყოველთვის გვექნება b-ც რადგანაც p-ს არსებობა b-ს არსებობასაც გულისხმობს, მაგრამ არა პირიქით. ამიტომ ინდოევროპული ფუძე-ენა არ შეიძლება გამონაკლისს წარმოადგენდეს ამ უნივერსალური წესიდან.

2) როგორც აღნიშნული იყო ზემოთ, თუ ხშულთა სისტემაში გვაქვს მჟღერი ფშვინვიერები, მაშინ ამავე სისტემაში გვექნება ყრუ ფშვინვიერებიც, მაგრამ არა პირიქით: ხშულთა სისტემაში შეიძლება გვექონდეს ყრუ ფშვინვიერები მჟღერი ფშვინვიერების არარსებობის შემთხვევაშიც. აქედან დასკვნა: ტიპოლოგიური თვალსაზრისით დაუშვებელია ხშულთა ისეთი სისტემა, რომელშიც გვექნება მჟღერი ფშვინვიერები, მაგრამ არ გვექნება ყრუ ფშვინვიერი. სწორედ ასეთი აკრძალული სისტემა ივარაუდებოდა ინდოევროპულ ფუძე-ენაში.

ამრიგად, ხშულთა ის სისტემა რომელიც ინდოევროპულ ფუძე-ენაში ივარაუდებოდა, ტიპოლოგიური თვალსაზრისით დაუშვებელია. ამიტომ თ. გამყრელიძემ და ვიან. ივანოვმა სპარტლიანად დასვეს საკითხი ამ თვალსაზრისის რევიზიისა და დამუშავეს ახალი თეორია, რომლის მიხედვითაც ინდოევროპულ ფუძე-ენაში უნდა დაეუშვათ ხშულთა

ისეთი სისტემის არსებობა, რომელიც თავისუფალი იქნება ხსენებული ტიპოლოგიური ხასიათის წინააღმდეგობებისაგან. ასეთ სისტემად ახალი თეორიის ავტორებს ესახებათ შემდეგი სისტემა:

I	II	III
(p')	bh	ph
t'	dh	th
k'	gh	kh

მოცემულ სისტემის პირველ სერიაში წარმოდგენილია კაკასიური ტიპის მკვეთრები (გლოტალიზებული თანხმოვნები ანუ უბრალოდ გლოტალები). ასეთი სერია გვაქვს, მაგალითად, ქართველურ ენებში (პ, ტ, კ) ყრუ ხშულთა სერიაში, როგორც ვნახეთ, შეიძლება გვაკლდეს ლაბიალური ყრუ ხშული და ამიტომ ხშულთა ის სისტემა, რომელსაც თ. გამყრელიძე და ვიარ. ივანოვი აღადგენენ ინდოევროპულ ფუძე-ენაში, ამ თვალსაზრისით სავსებით დასაშვებია. ინდოევროპულ ფუძე-ენაში, როგორც ჩანს, ცარიელ უჯრას ქმნიდა არა b, არამედ p', რაც სავსებით ესადაგება ლინგვისტური ტიპოლოგიის მონაცემებს. ეს სისტემა უნაკლოა მეორე თვალსაზრისითაც: მასში წარმოდგენილია არა მარტო მუდურ ფშვინვიერთა სერია (bh, dh, gh), არამედ ყრუ ფშვინვიერთა სერიაც (ph, th, kh). რადგანაც ხშულთა სისტემაში აღდება გლოტალიზებული ანუ გლოტალური თანხმოვნები (I სერია), ამიტომ ამ თეორიასაც შესაბამისად გლოტალური თეორია ეწოდება.

გლოტალურმა თეორიამ არსებითად შეუცვალა სახე ინდოევროპულ ენათმეცნიერებას, რადგანაც მან გამოიწვია ღირებულებათა მთელი სისტემის გადაფასება და ინდოევროპული ენათმეცნიერების გადაყვანა ახალ საწყისებზე. მაგრამ ყველაფერი ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ ტიპოლოგიური ენათმეცნიერების დახმარებით. ამდენად, გასაგება ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც ენათა ტიპოლოგიურ კვლევას აქვს დიაქრონიული ლინგვისტიკისათვის.

ტიპოლოგიური კვლევის შედეგად თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა გაარკვიეს, რომ ქართველურ ფუძე-ენასა და ინდოევროპულ ფუძე-ენას შორის საოცარი პარალელიზმი გვაქვს როგორც ფონოლოგიის, ისე გრამატიკის დონეზე. ფონოლოგიის დონეზე პარალელიზმი გამოიხატება იმაში, რომ ორივე ენაში აღდება ტიპოლოგიური თვალსაზრისით იდენტური სისტემა, რომელშიც გამოიყოფა ხმოვანთა, თანხმოვანთა და სონანტთა ქვესისტემები. არსებითა ამ შემთხვევაში სონანტთა სისტემა. გარკვეულ პოზიციებში (სიტყვის თავში თანხმოვნის წინ, ორ თანხმოვანს შორის, სიტყვის ბოლოში თანხმოვნის შემდეგ) როგორც ინდოევროპულ, ისე ქართველურ ფუძე-ენაში სონორები წარმოდგენილი იყვნენ

მარცვლოვანი ვარიანტებით (მ, ნ, ლ, რ, ი, უ), ხოლო სხვა პოზიციებში—უმარცვლო ვარიანტებით (მ, ნ, ლ, რ, დ, უ). ასე, მაგალითად, ქართველურ ფუძე-ენაში „მზე“ აღდგება *მზე ფორმით, რომელიც ორმარცვლიანი უნდა ყოფილიყო (მ-ზე). ასევე ორმარცვლიანი უნდა ყოფილიყო კლდე, ე.ი. ამ სიტყვას უნდა ჰქონოდა კლდე (კლ-დე) ფორმა.

თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა გარკვევს ისიც, რომ ინდოევროპულ და ქართველურ ფუძე-ენებს შორის პარალელიზმში გვაქვს გრამატიკის დონეზეც. ორივე ენაში ერთნაირია ძირისა და სუფიქსის კანონიკური მოდელები და მათი დაკავშირების წესები. ძირის კანონიკური ფორმაა CVC (თანხმოვანი+ხმოვანი+თანხმოვანი), ხოლო სუფიქსისა VC (ხმოვანი+თანხმოვანი). გარდა ამისა, ერთნაირი ძირისა და სუფიქსის დაკავშირების წესები: თუ ძირი გახმოვანების სრულ საფეხურზეა (ე.ი. თუ ხმოვანს შეიცავს), მაშინ სუფიქსი გახმოვანების ნულ საფეხურზეა წარმოდგენილი (ე.ი. ხმოვანს არ შეიცავს). ამ შემთხვევაში გვექნება CVC—C მოდელი. მაგრამ თუ ძირი გახმოვანების ნულ საფეხურზეა, მაშინ სუფიქსი იქნება წარმოდგენილი გახმოვანების სრულ საფეხურზე (ე.ი. C C- VC მოდელი). ასე, მაგალითად, ძვ. ქართულში გვექნება როგორც „დერკ“ (შდრ. შე-ვ-დერკ „შევედრკი“), ისე „დრეკ“ (შდრ. ვდრეკ). პირველ შემთხვევაში ძირი გახმოვანების სრულ საფეხურზეა (დერ-), ხოლო სუფიქსი-ნულოვან საფეხურზე (-კ), მაგრამ მეორე შემთხვევაში ძირი გახმოვანების ნულოვან საფეხურზეა (დრ), ხოლო სუფიქსი სრულ საფეხურზე (-ეკ). ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ინდოევროპულ ენებშიც. აქაც თუ ძირი გახმოვანების სრულ საფეხურზეა, მაშინ სუფიქსი ნულოვან საფეხურზე იქნება წარმოდგენილი (შდრ. ძვ. ბერძნული *dérk-omai* „ვუმზერ“), მაგრამ თუ ძირი ნულოვან საფეხურზე იმყოფება, მაშინ სუფიქსი იქნება სრულ საფეხურზე (შდრ. ძვ. ბერძნ. *é-drak-on* „შეხედე“).

რით უნდა აიხსნებოდეს ფონოლოგიური და გრამატიკული ხასიათის პარალელიზმში ინდოევროპულ და ქართველურ ფუძე-ენებს შორის? გ. წერეთელი ამ ფაქტის ასახსნელად სამ სხვადასხვა ჰიპოთეზას გვთავაზობს. რომელთაგან იგი ვერც ერთს ვერ აძლევდა უპირატესობას. პარალელიზმში ინდოევროპულ და ქართველურ ფუძე-ენებს შორის შეიძლება აიხსნას:

1) ქართველური და ინდოევროპული ფუძე-ენების ნათესაობით, 2) ხანგრძლივი კონტაქტების არსებობით ქართველურ და ინდოევროპულ ფუძე-ენებს შორის, 3) ენებში მოქმედი იზომორფული ტენდენციებით, რომლებიც დამოკიდებული არ არიან დროისა და სივრცის ფაქტორებზე. მაგრამ ნათესაობა ქართველურ და ინდოევროპულ ფუძე-ენებს შორის არ მტკიცდება, ხოლო კონტაქტები ქართველურ ფუძე-ენას თითქოს

არ უნდა ჰქონოდა ინდოევროპულ ფუძე-ენასთან, რადგანაც ქართველური ფუძე-ენა ოდითგან ამიერკავკასიაში უნდა ყოფილიყო გავრცელებული, ხოლო ინდოევროპული ფუძე-ენა—ცენტრალურ ევროპაში. ამიტომ V-IV ათასწლეულებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ან თუნდაც გვიან რაიმე კონტაქტებს ქართველურ და ინდოევროპულ ფუძე-ენებს შორის ვერ ვივარაუდებდით, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ქართველურ ფუძე-ენაში უნდა გვქონოდა ინდოევროპული ფუძე-ენიდან ნასესხები ლექსიკა (ღვინო, უღელი, ეშვი, მატლი, თხა, თიხა, სისხლი, მკერდი, ოთხი, ექვსი და სხვ.).

თ. გამყრელიძემ და ვიან. ივანოვმა გაარკვიეს, რომ ინდოევროპელთა პირველსაცხოვრისი უნდა ყოფილიყო არა ცენტრალურ ევროპაში, არამედ ახლო აღმოსავლეთში, უფრო ზუსტად, წინა აზიის ჩრდილოეთ ნაწილში, მესოპოტამიიდან (შუამდინარეთი) ამიერკავკასიის სამხრეთ ნაწილამდე. მოცემულ რეგიონში ინდოევროპულ ენას სამხრეთიდან ესაზღვრებოდა სემიტური ფუძე-ენა, ხოლო ჩრდილოეთიდან ქართველური ფუძე-ენა. როგორც ჩანს, ქართველურ და ინდოევროპულ ფუძე-ენებს მჭირდო კონტაქტები ჰქონდა ერთმანეთთან ჩვენს ერამდე მთელი მე-4 ათასწლეულის მანძილზე, რაც აისახა არა მარტო ლექსიკაში, ქართველურმა ფუძე-ენამ რომ ისესხა ინდოევროპული ფუძე-ენისაგან, არამედ იმაშიც, რომ ინდოევროპული ფუძე-ენის ფონოლოგიურმა და გრამატიკულმა სტრუქტურამ გავლენა მოახდინა ქართველური ფუძე-ენის ფონოლოგიურ და გრამატიკულ სტრუქტურაზე, რამაც განაპირობა ქართველურ ფუძე-ენაში ინდოევროპული ფუძე-ენის მსგავსი ფონოლოგიური და გრამატიკული სისტემის წარმოქმნა. ამრიგად, ფონოლოგიური და გრამატიკული ხასიათის პარალელიზმი ქართველურ და ინდოევროპულ ფუძე-ენებს შორის შედეგია ინდოევროპული ფუძე-ენის გავლენისა ქართველურ ფუძე-ენაზე. როგორც ვხედავთ, ხანგრძლივი კონტაქტების შემთხვევაში ერთი ენა შესაძლებელია დაუახლოვდეს მეორეს ტიპოლოგიური თვალსაზრისით. ამგვარ სტრუქტურულ მსგავსებას ენებს შორის დანათესავება ეწოდება. ქართველური და ინდოევროპული ფუძე-ენები, ამდენად, წარმოადგენენ არა მონათესავე, არამედ დანათესავებულ ენებს, ე.ი. ეს ორი ენა ერთ ენათა კავშირში შედის. როგორც ჩანს, ამავე კავშირში შედიოდა სემიტური ფუძე-ენაც, რადგანაც პარალელიზმი შეინიშნება ინდოევროპულ და სემიტურ ფუძე-ენებს შორისაც.

ენების გავლენას ერთმანეთზე ეწოდება ინტერფერენცია (ლათ. inter- „ერთიერთ“, ferens/ferentis-გადამტანი), ე.ი. ენის თავისებურებების გადატანა მეორე ენაში და პირიქით. ინტერფერენცია სხვადასხვა სახისაა იმის მიხედვით, მოსული ხალხის ენა ახლენს გავლენას აბორიგენების ენაზე თუ პირიქით, აბორიგენების ენა-მოსული ხალხის ენაზე. თუ აბორიგენების ენა ახლენს გავლენას მოსული ხალხის ენაზე, მაშინ

გვექნება სუბსტრატი (ლათ. substratum ფუძე, საფუძველი). მაგალითად, აპენინის ნახევარკუნძულზე ლათინური ტომების მოსვლამდე ეს ქვეყანა ეტრუსკებს ეკავა. ეტრუსკულმა ენამ, როგორც ჩანს, გავლენა მოახდინა ლათინურზე, რაც სუბსტრატს წარმოადგენს. ასევე გამოიყოფა ძვ. ბერძნულში პელაზგური სუბსტრატი, ე.ი. იმ ხალხის ენის ნაშთები, რომლებიც აბორიგენებს წარმოადგენდნენ. მაგრამ თუ მოსული ხალხის ენა ახდენს გავლენას აბორიგენების ენაზე, მაშინ გვექნება ადსტრატი (ლათ.- ad- თან, ახლოს, stratum - ფენა) ან სუპერსტრატი (super -ზე, stratum - ფენა). ადსტრატი ანუ სუპერსტრატი იქნება ლათინურის გავლენა ეტრუსკულზე ან ბერძნულისა პელაზგურზე.

ამრიგად, ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე ენათა დიაქრონიული კვლევა წარმოუდგენელია ტიპოლოგიის გარეშე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია ტიპოლოგიური კლასიფიკაციით შეიცვალოს. ამის განხილვა საჭიროა იმიტომ, რომ ენათმეცნიერებაში ზოგჯერ არის ცდა გენეალოგიური კლასიფიკაციის ტიპოლოგიური კლასიფიკაციით შეცვლისა. ეს ცდა ეკუთვნის ნ. ტრუბეცკოის, რომელმაც ინდოევროპულ ენათა ოჯახი დაახასიათა. შემდეგი ექვსი ძირითადი ნიშნის მიხედვით:

- 1) ხმოვანთა ჰარმონიის არ არსებობა
- 2) სიტყვის თავში დასაშვებ თანხმოვანთა რაოდენობა არ აღემატება სიტყვის შიგნით დასაშვებ თანხმოვანთა რაოდენობას.
- 3) სიტყვა არ იწყება აუცილებლად ძირით, ე.ი. გვაქვს პრეფიქსაცია.
- 4) გრამატიკულ ფორმათა წარმოება ხდება არა მხოლოდ აფიქსაციით, არამედ სიტყვის შიგნით ხმოვანთა მონაცვლეობითაც (შინაგანი ფლექსია).
- 5) ხმოვანთა მონაცვლეობის გვერდით გრამატიკული ფორმების წარმოებისას გარკვეულ როლს ასრულებს თანხმოვანთა მონაცვლეობაც.
- 6) გარდამავალი ზმნის ქვემდებარის ბრუნვა არ განსხვავდება გარდაუვალი ზმნის ქვემდებარის ბრუნვისაგან.

თითოეული ეს ნიშანი, ცალკე აღებული, შეიძლება შეგვხვდეს არა ინდოევროპულ ენებშიც, მაგრამ მათი ერთობლიობა, ნ. ტრუბეცკოის აზრით, დამახასიათებელია მხოლოდ ინდოევროპული ენებისათვის. იმიტომ ინდოევროპულ ენათა ოჯახი სხვა ოჯახებისაგან შეიძლება გამოვყოს არა მარტო წარმოშობის, არამედ ტიპოლოგიური თვალსაზრისითაც.

ე. ბენვენისტამ აჩვენა, რომ ექვსივე ამ ნიშნის ერთობლიობა დამახასიათებელია ისეთი არაინდოევროპული ენისათვის, როგორიცაა ამერიკულ ინდიელთა ერთ-ერთი ენა-ტაკელმა. ეს გარემოება კი დამამტკიცებელია იმისა, რომ ტიპოლოგიური კლასიფიკაცია ვერ შეცვლის განეალოგიურ კლასიფიკაციას, ვერ გასწევს გენეალოგიური კლასიფიკაციის მაგივრობას.

ლიტერატურა

1. ახვლედიანი გ. ს., ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბილისი, 1966.
2. Бенвенист Э., Общая лингвистика (перевод с французского) М., 1974.
3. Блумфилд Л., Язык (перевод с английского), М., 1968.
4. Выгодский Л. С. Мышление и речь М., 1974.
5. გამყრელიძე თ. ვ., მაჭუარიანი გ. ი., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართულურ ენებში, თბილისი, 1965წ.
6. Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс. Индоевропейский язык и индоевропейцы, Тбилиси, 1984.
7. Глисон Г., Введение в дескриптивную лингвистику (перевод с английского), М., 1959.
8. Гумбольдт В. О различии строения человеческих языков и его влияния на духовное развитие человечества; "Избранные труды по языкознанию" (перевод с немецкого), М., 1984.
9. ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (ვახველიანის რედაქციით), თბილისი, 1972.
10. Климов Г. А. Очерк общей теории эргативности. М., 1973.
11. ი. მელიქიშვილი, მარკირების მიმართება ფონოლოგიაში, თბილისი, 1976.
12. Лайонз Дж. Введение в теоретическую лингвистику (перевод с английского), М., 1978.
13. Лурия А. Р. Основные проблемы нейролингвистики. М. 1966.
14. რაშიშვილი გ. ვ. ენის ენერგეტიკული თეორიის საკითხები, თბილისი, 1978.
15. Реформатский А. А., Введение в языковедение. М., 1966.
16. Семериньи Д., Введение в сравнительное языкознание (перевод с немецкого), М., 1980.
17. Сепир Э. Язык (перевод с английского) М., 1934.
18. Соссюр Ф. Курс общей лингвистики, "Труды по языкознанию" (перевод с французского), М., 1977.
19. Степанов Ю. С., Основы общего языкознания, М., 1975.
20. Трубецкой Н. С., Основы фонологии (перевод с немецкого), М., 1960.
21. ბიბიგური შ. ვ., საენათმეცნიერო საუბრები, თბილისი, 1975
22. ჩიქობავა ა. ს., ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი 1952 წ.
23. ჩიქობავა ა. ს., ზოგადი ენათმეცნიერება, თბილისი, 1962.

სახელმძღვანელოში გამოყენებული სიმბოლოები

S - სუბიექტი, წინადადება, სონანტი

P - ფრაზა

N - სახელი

NP - სახელური ფრაზა

V - ზმნა, ზმოვანი

VP - ზმნური ფრაზა

AD - ზმნიზელა

A - განსაზღვრება

T - ტერმინალური ეაქვი

• - აკრძალული ან რეკონსტრუირებული ფორმა

F - სპირანტი

თ ა ვ ი ვ ი რ ვ ე ლ ი

ენა და მისი ფუნქციები

§ 1. რა არის ენა, § 2. ცხოველის ენა 22, § 3. გრაფიკული და კინეტიკური ენები 25, § 4. ენა და მეტყველება 28, § 5. ენა როგორც ნიშანთა სისტემა და ენათმეცნიერება და სემიოტიკა 31, § 6. სინქრონიზა და დიაქრონიის გამოყენება 37.

თ ა ვ ი მ ე () რ ე

ენა და საზოგადოება

§ 1. ზოგადი საკითხები 41, § 2. ენა, დილექტი, იდიოლექტი 42, § 3. ენის წარმოშობის საკითხი, 48, § 4. მშობლიური ენა 55.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ფონეტიკა და ფონოლოგია

§ 1.1. ფონეტიკის ობიექტი 66, § 1.2. სამეტყველო ორგანოები 66,
✓ § 1.3. ბგერათა დახასიათება წარმოთქმის ადგილისა და რაგვარობის მიხედვით
✓ 68, § 1.4. საარტიკულაციო ბაზისი 70, § 1.5. აკუსტიკური ფონეტიკა 71,
§ 2. ფონოლოგია 73, § 2.1. დისტრიბუცია 73, § 2.2. ფონოლოგიური ოპოზიციები 76, § 3. ფონოლოგიური სისტემები, § 2.3. ფონემების გამოყოფა 78, § 3.1. თანხმოვანთა და ხმოვანთა სისტემები 85, § 3.2. ხმოვანთა სისტემები 86, § 3.3. თანხმოვანთა სისტემები 90, § 3.3.1. ხშულთა სისტემები 90, § 3.3.2. წაპარალელები 92, § 3.3.3. სონორები 92, § 4. ფონოტაქტიკა 94, § 5. მარცვალი 97, § 6. მახვილი დაინტონაცია 103, § 7. დაქრონიული ფონოლოგია 106, § 7.1. ზოგადი საკითხები 106, § 7.2. ასიმილაცია 107, § 7.3. პალატალიზაცია 108, § 7.4. უმლაუტი 109, § 7.5. სინჰარმონიზმი 110, § 7.6. დისიმილაცია 111, § 7.7. რედუქცია 112, § 7.8. მეტათეზისი 113, § 7.9. ანალოგია 114, § 7.10. სპონტანური ბგერათცვლილებები 116.

თ ა ვ ი მ ე () თ ხ ე

დამწერლობა..... 117

✓ § 1. დამწერლობის წარმოშობა 117, § 2. პიქტოგრაფიული დამწერლობა 119, § 3. იდეოგრაფიული დამწერლობა 121, § 4. ანბანური დამწერლობა 122, § 5. ქართული დამწერლობის წარმოშობა 124, § 6. ანბანი 129, § 4. ტრანსკრიფცია და ტრანსლიტერაცია 131.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

გრამატიკა..... 132

§ 1. მორფოლოგია 132, § 1.1. ფონემა და მორფემა 132, § 1.2. მორფემა და ალიმორფი 133, § 1.3. ძირი. უწყე და ფლექსია 141, § 2.4. აფიქსთა მაგიერობის

გამწვევი საშუალებანი 144 (§2.5. მეტყველების ნაწილები 146, §2. სინტაქსი 149, § 2.1. წინადადება და წინადადების წევრები 149, §2.2. აქტანტები 152, §2.3. უშუალო შემადგენელთა მეთოდი 155, §2.4. ტრანსფორმაციული ანალიზის მეთოდი 174, (§3.) გრამატიკული კატეგორიები 180, §3.1. ზოგადი საკითხები 180, §3.2. ბრუნება 180, §3.3. რიცხვი 185, §3.4. სქესი და კლასი 187, §3.5. პირი 189, §3.6. გვარი 192, § 3.7. ასპექტი 194, §3.8. კაუზატივი 198, §3.9. ქცევა 202, §3.10. განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა 204, §3.11. მორფოლოგიური ოპოზიცია 206. X

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ი

ლექსიკოლოგია

210

§1. ენა, როგორც საკლასიფიკაციო სისტემა 210, §2. პიპონიმია 216, §3. სინონიმია და ომონიმია 218 §4. პოლისემია 222, §5. ანტონიმია 225, §6. ტერმინოლოგია 226, §7. სემანტიკა და პრაგმატიკა 228, §7.1. მეტაფორა, მეტონიმია და სინეკდოქა 229, §7.2. ეუფემიზმი და ტაბუ 230, §7.3. ფრაზეოლოგია და იდიომები 231, §8. ენა და გარე სამყარო 233, §9. სიტყვათწარმოება 235, §10. დიაქრონიული სემანტიკა 237, §11. ეტიმოლოგია 245, §12. ლექსიკოგრაფია 247.

თ ა ვ ი მ ი შ ვ ი დ ე

ენათა კლასიფიკაცია 249

§1. ენათა გენეალოგიური კლასიფიკაცია 249, §2. ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება 273, §3. ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია 287, §3.1. ენათა მორფოლოგიური კლასიფიკაცია 287, §3.2. სტრუქტურული ტიპოლოგია 290, §3.3. დიაქრონიული ტიპოლოგია 307.

ლიტერატურა